1981/3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN 0132-

# მნათობი

10

1981

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 58-ე  № 10  ოქტომბერი, 1981 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

ირაკლი აბაშიძე — ორი ლექსი . . . 3
ვანო ჩხიკვაძე — მივლინება — 1974. ლექსი . . . 4
დავით მჭედლური — ლექსები . . . 9
ოთარ ჩხეიძე — ვენეციური ჭალი. რომანი. დასასრული . . . 13
ვახტანგ გორგანელი — ლექსები . . . 54
თეიმურაზ ჯანგულაშვილი — ლექსები . . . 57
ოთარ შალამბერიძე — იოთამ ზედგინიძე. ლექსი . . . 60
ვახტანგ ახვლედიანი — მინიატურები . . . 62
დილარ ივარდავა — სადაც ზღვაა და ლურჯი მთებია. პოემა . . . 66
ჯემალ მეხრიშვილი — მოთხრობები . . . 73
ბორის ანდრონიკაშვილი — მოთხრობები . . . 85
გიორგი გესთაუთი — ნუ იტყვი. ლექსი. თარგმ. თ. ბექიშვილმა . . . 100
კოსტა მარგიევი — ლექსები. თარგმ. ბ. ხარანაულმა . . . 102

### ნარკვევი

მირონ ხერგიანი — ხუთასი კოშკის მხარეში . . . 105

### ხელოვნება

ნათელა არველაძე — რუსთაველის სახელობისა . . . 118

### 100 მიხეილ ჯავახიშვილი 100

ერემია ქარელიშვილი — ქართული სიტყვის დიდოსტატი. დასასრული . . . 129

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ლავროსი კალანდაძე — „მძიმე ჯვარის“ გამო . . . 147
აკაკი ბაქრაძე — განყიდენ სამოსელი და იყიდენ მახვილი . . . 151
მანანა გვეტაძე — ტრაგიკული ბედის პოეტი . . . 163
ამირან არაბული — „ვინ შეაგროვებს ლექსებსა ჩემსა...“ . . . 171
დინარა ფორჩხიძე — შრომაში გახარჯული წლები . . . 178

### მეცნიერება

ნოდარ ლომოური — კვლავ ნოქალაქევისა და მითიური აიას იგივეობის შესახებ 181

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წიგნების მიმოხილვა

ნოდარ ბრიგალაშვილი — ეტიუდები წინაპრებსა და თანამედროვეებზე . . . 187
ი. ანთელავა — ნაშრომი ზღვაოსნობის შესახებ ძველ საქართველოში . . . 190
ა. აროშიძე — „შეხვედრები ესენინთან" . . . . . . . . . 191

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერულავა, ო. ბიბინეიშვილი, ა. გომიაშვილი, კ. კალაძე, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, გ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე,

ტექრედაქტორი რუსუდან ჩაკვეტაძე

გადაეცა ასაწყობად 7. 9. 81 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 26. 10. 81 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4$X12, ქაღალდის ფორმატი 70X108$^1/_{16}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 13. სააღრ-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 08710. ტირაჟი 22.000. შეკვ. 2307

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 98-55-11. მთ. რედ. მოადგილის — 98-55-18, განყოფილებების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, 1981.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე

17130

# ორი ლექსი

## მე ელადაში...

არ მახსენდება, —
შუაღამისას...
არა, ვარდისფრად როცა გათენდა,
ვხედავ სხვა ზეცას,
ვხედავ სხვა მიწას —
მე ელადაში ვდგავარ ათენთან.

ვამბობ — დიდება,
ვამბობ — დიდება!
გულში წლობით რომ
უხმოდ მემარხა...
ო, ეს სიზმარი, ეს დამშვიდება
მე სიკვდილის წინ უნდა მენახა.

## ცხოვრების სიბრძნე

გამოცდილებას, ცხოვრების სიბრძნეს
გაჩენის დღიდან ხარბად ვეძებდი;
ხარბად ვაგნებდი
სიღრმეს და სიგრძეს,
თვალს ვაელვებდი, გულს ვაქეზებდი

და ლერწმის ღერზე
და ჩანგის სიმზე
მე ზღვა სიმღერა
დამრჩა უმღერი...
გამოცდილება, ცხოვრების სიბრძნე
ქედს მადგას როგორც რკინის უღელი.

ბიბლიოთეკის ბეჭედი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვანო ჩხიკვაძე

## მივლინება—1974

მანდ ახლა ვიცი ცოფიანი სიცივე დაძრწის
და ორთქლი ასდის ჩართულ მანქანებს.
ყოველი მხრიდან ყივის წარწერა:
„ტაიგა უხმობს ახალ მშენებლებს“.
მისჩერებია ათეული ვედრების თვალი,
ღამეგათეულ,
ქერათმიან ადმინისტრატორს
და „ბელამორის“ მძაფრი სუნით გაჟღენთილია
წამოქოჩრილი, ბეწვიანი ჯუბის საყელო...

კვლავ გამახსენდა ის დეკემბერი,
როდესაც ყინვა გულ-მუცელში ხანჯლებს მიყრიდა,
როცა სასტუმროს კარის სახელურს
ძლივს ავაგლიჯე ხელის თითები
და მოქანცული გრძელი რიგის კუდს მივემატე...
უცებ ვიგრძენი:
სულ მარტო დავრჩი,
როგორც ფოიეს კუთხეში მდგარი
გაყვითლებული, სამხრეთული ჯიშის მცენარე.
აქ ბრძოლა იყო საჭირო, ბრძოლა
და მარიფათი
თბილი ლოგინის და სიმშვიდის მოსაპოვებლად.
და მეც ვიბრძოლე, —
მხიარული დიასახლისი,
რომელსაც არყით ჯანი გაუთბა —
„იქნება—მეთქი“ — ბუტბუტებს და ნაკლულ ლიტრიანს
შეყვარებული თვალებით ზვერავს
და ჩემი რომ არ ერიდებოდეს —
ჩაიხუტებდა ზონზროხა მკერდში...
რას იზამ,
ცივა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმსხვრევა თვალწინ
ფიფქი და სუნთქვა,
შორეული ძაღლების ყეფა
ისევ გაფხუკულ სარეცხივით ქანაობს ქარში.
და *თერმომეტრის* ცისფერი ვენა
მიიწევს დაბლა და იწრიტება.

ასე გავცვალეთ სითბოში — სითბო —
რადიატორთან მიდგმულ საწოლზე
მტკიცედ ჩავბღუჯე სასთუმალი
და მოვასვენე
აეროპორტის ალიაქოთით,
მონოტონური, ყრუ გუგუნით დაღლილი თავი...

როდესაც თვალი გავახილე,
ორთქლის ბურუსში
ქშინავდა ძველი სამოვარი,
წკრიალებდა ფინჯანში კოვზი
და მიღიმოდა ლამბაქიდან შაქრის ნატეხი.
მივხვდი, სიკეთე არ განირჩევა
კანის ფერით და სარწმუნოებით,
ის ყველგან არის,
მაგრამ განძივით
უნდა ეცადო ამოაჩინო —
და მე მჯეროდა რომ მისი ფასი
ქვეყნად არავინ არ იცოდა,
როგორც უბრალო
ჩვენი სართულის დიასახლისმა...

შენ მაშინ შეგხვდი, ხის კიბეებით
გასასვლელისკენ როცა დავეშვი
და ჩვენი მზერა,
როგორც შიშველი მავთულები
გადაიხლართა და ორიოდ წამით შედუღდა.
ჩვენ შეგვეშინდა არ დამწვარიყო ეს ხის შენობა —
მოვწყდით ერთმანეთს
და მხოლოდ კეფა
ხედავდა შენი მხრების ლამაზ მოხაზულობას...
გარეთ კი უკვე ბრდღვინავდა „კრაზი"
თავის მძღოლივით ჯანიანი და მოღუშული —
მივიჯახუნე კაბინის კარი
და თოვლის მტვერი გამოიბა გზაზე მანქანამ...

. . . . . . .

ვნახე, ტაიგას როგორ პარსავდა
ათიათასი ხერხის არმია,
როგორ თბებოდნენ ცეცხლთან მუშები
და ალუმინის ჯამებიდან, როგორ ხვრეპავდნენ
შეციებულ და ქონმომდგარ წვნიანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ უმზერდნენ დაბოლმილები
კანტორის კარზე გაკრულ თერმომეტრს...
ვნახე ყინულის კალაპოტში, როგორ ეძინა
„ქალბატონ ლენას“
და სვირინგივით მკერდზე ეხატა
ბულდოზერების ნაკბილარები...
ვნახე მოჭრამდე, როგორ მოკვდა ტაიგის „ტურფა“ —
თეთრი არყის ხე
და ჭილყვავების ზარით წაიქცა...
ვგრძნობდი, დასრულდა დიდი სიჩუმე, —
ადამიანის შუბლი ანგრევდა
ნებიერ ულრანს
და ყინულეთის გზაზე პრომეთეს
მარადიული და მრისხანე ცეცხლი მიჰქონდა...

მე არ ვიცოდი შენ რა გერქვა,
ან რას ფიქრობდი,
ვიცოდი მხოლოდ, რომ იყავი მთელის ნაწილი
ახლა ჩემს წინ რომ გადაშლილიყო,
მთელი თავისი სილამაზით და სიჯიუტით...
ტყის განაპირას გამოსული ნაძვის ხესავით,
რაღაც გარჩევდა დანარჩენისგან —
შენ არ ცხოვრობდი ამ ხმაურით,
თითქოსდა შენი მოვალეობა
ის იყო მხოლოდ
რომ ალესილი ბიჭებისათვის
ძლიერი მუხლი მოგეკვეთა ქალური შუქით..

. . . . . . . . .

მე აღარ მახსოვს,
როგორ მოხდა ჩვენი გაცნობა,
ანდა რომელმა გადააგდო პირველი სიტყვა
ხელთათმანივით,
როგორც ნიშანი გამოწვევის,
როგორც სურვილი
მოწყენილობის მორევიდან თავის დაღწევის...
მახსოვს გაბოლილ რესტორანში როცა შევედით,
ღარბაზმა უცებ ამოიოხრა
და მტკიცედ შეკრულ, მძიმე მუშტივით
ჩემს გაუპარსავ ყბებს მოაჩერდა.
სულ ერთი წამი სჭირდებოდა
რომ ამ შუბლების
გაფითრებული,
გლუვი კედელი
ჩვენსკენ ტორტმანით წამოსულიყო...
მაინც დავსხედით „მტრის ბანაკში“
და ჩემს ჭიქაში
„თეთრი“ ზედიზედ როდესაც „ჩაშრა“ —
დაძაბულობის თასმა მოეშვა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მიხვდი ჩვენთვის აღარ ეცალათ,
ან დაგვივიწყეს,
ან შეეგუენ,
დროებით დაგთმეს,
რადგან იცოდნენ
შორს ვერასოდეს წახვიდოდი,
დღესა თუ ხვალე
მთელის ნაწილი გახდებოდი ისევ და ისევ.
უცებ მეწყინა ეს გულგრილობა
და გადავწყვიტე შეხსენება:
— ხედავთ, აქა ვართ! —
რომ კვლავ მრისხანედ შეკრულიყო შუბლის კედელი.
თვალით ვანიშნე პიანისტს და
მთელმა ორკესტრმა
ჩემი სამშობლოს მელოდია როცა დაუკრა,
როცა ცხოველი მზის სურნელებამ
დარბაზს გათოშილ ნესტოებში შეუღიტინა —
დავიწყეთ ცეკვა...
ო, რა მსუბუქად
დაფრიალებდა შენი სხეული
და სუნთქვაშეკრულ დარბაზის თვალწინ,
როგორ მაძლევდი საიდუმლო კარის გასაღებს...

როცა დავსხედით,
მაგიდასთან ვიღაც მოჩოჩდა,
თავი გაგვაცნო კამჩატკელ პაშად —
მკითხა:
„ძვირფასო,
ერთ უბრალო მელოდიაში,
ამდენი ფული?..
ეგ ხომ მთელი ხუთი „თეთრია“
თანაც... თანაც... რესტორნის ფასით?“..
უნდა გაჩუმდე, როცა პასუხი
ან არ არსებობს,
ანდა იცი — ვერ გაიგებენ.
შენ შემოგხედე,
შენ იცოდი ყოველი ნერვით
ამ მელოდიის ვიყავ ნაწილი
და რაც ვერ შესძლო მთელმა დარბაზმა. —
ის მოითხოვდა თავის კუთვნილს
და გაგვთიშავდა...

. . . . . . . .

ვნახე, ტაიგას როგორ პარსავდა
ათიათასი ხერხის არმია.
როგორ თბებოდნენ ცეცხლთან მუშები
და ალუმინის ჯამებიდან, როგორ ხვრეპავდნენ
შეციებულ და ქონმომდგარ წვნიანს.
თანდათან როგორ იმორჩილებდნენ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და აჩოქებდნენ ციმბირულ ზამთარს;
და ცხელ ლუმელთან მიყრილ ჩექმებზე,
როგორ ტიროდა დეკემბრის თოვლი...

. . . . . .

მე ისიც ვნახე, როგორ ჩაკეტა
აეროპორტის გამოსასვლელი
შლაგბაუმივით დაშვებულმა მორიგის ხელმა
და... იქით დარჩი —
ამღვრეული მდინარის გაღმა.
დარჩი,
რადგანაც ვერ შესძლებდი მთელთან მოკვეთას,
დარჩი, რომ გეთქვა:
„გზამშვიდობის"...
სიზმარი იყო,
ო, ყველაფერი სიზმარში მოხდა!"...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით მჭედლური

## მამულისადმი

გამარჯვებისთვის,
გამარჯვებისთვის!
შენ გამარჯვებებს იყავ ჩვეული.
შენა ხარ ჩვენი კოშკი ბრძოლისა
მტრისგან ვერასდროს ვერ შეღწეული.

და რაც ნათელი გვენთო, გვეფინა,
და რაც იმედის ქუხდა ნაკადი,
ჩვენთვის მოგქონდა განვლილ
წლებიდან,
განძეულივით ჩვენ გვინახავდი.

და ჩვენგან ძლიერ ცოტას ითხოვდი.
ცოტა მოთმენას.
ცოტა გაძლებას,
ცოტა სიყვარულს,
ცოტნეს გმირობას —
სხეულზე ცოტა თაფლის წაცხებას.

და შენი სუნთქვა ისევ ჩაგვესმის
ისევ სავსეა ხმებით ეთერი.
შენით ვივსებით,
შენით ვმაღლდებით,
დედამიწაზე ველარ ვეტევით.

შენი სიმაღლით.
შენი სიმართლით
შენი დიდგორის ზართა ხმაურში
ავაგეთ ჩვენი რწმენის ხომალდი
და სამომავლო აფრა ავუშვით.

უნდა გაშენოთ,
უნდა გამშვენოთ
და ლექსით ყელიც უნდა ვილადროთ,
ყველა სიცოცხლე შენთვის გვჭირდება.
შენთვის სიკვდილიც უნდა ვინატროთ.

## ჩემო თეთრო ფრინველო...

ჩემო თეთრო ფრინველო,
ხშირ-ხშირად რომ რინდდები.
ნუ იქნები პირველი.
ჯერ ნუ ამოფრინდები.

გაზაფხული... გაზაფხულს...
ჭორი დადის ათასი,
— ეს ჯერ მარტი ილვიძებს,
გაზაფხულის კალთაში.

ჯერ წინ არის უცნობი
და უცხო ამინდები,
ჩემო თეთრო ფრინველო,
ხშირ-ხშირად რომ რინდდები —

ნუ იქნები პირველი.
ჯერ ნუ ამოფრინდები!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## შეხვედრა

ისევ ჩამოდის,
ისევ ჩამოდის,
ისევ ჩამოდის წვიმა ხმოვანი,
გაღმა პირმზითი ამ საღამოთიც
ჩანს ფერწერული და სახოვანი.

ისევ მელოდი,
ისევ მელოდი,
ისევ მელოდი გრძელი ლოდინით,
ვიდოდი შენსკენ და სხვათა ხმაში
მესმოდა შენი მწუხრის მოტივი.

შენი წვიმები...
შენი ქარები...
შენი ფიფქები — შენი თვალები...
დასაბამიდან მაგათ სისველეს
არც ვემალები, ვერც ვემალები.

არცა სახელი, არცა სახება,
არცა შეგრძნება, არცა შეხება,
კვალად მოვიდა ჩვენი აპრილი
და ყველაფერი მწვანედ შეღება!

## გვიან თენდება

გვიან თენდება,
გვიან თენდება,
გვიან იღვიძებს ჩიტთა ქალაქი,
ღამის ტყე ღამის წვიმით სველდება
ველებზე აღარ მოდის ბალახი.

ჰგავს ნეკერჩხალი ხომალდის აფრას,
დაღლილს ათასი ქარით და ღელვით,
ჩაეღირება უძირო ნაპრალს
ნაპრალს, რომელსაც ჩაუნთქამს ბევრი.

არვინ ჩაივლის, გამხმარ ბალახში
ქარით ივსება პერანგი გველის,
თითქოსდა ბოლო მგზავრი გადავრჩი
და ყველა კოცნა დახარჯეს მწველი.

გიმზერ და გიმზერ, გვიან თენდება
შემკრთალი ღელე თავდალმა გარბის,
მე შენთვის მუდამ სული მელევა
შენ კი მრისხანედ შეგიკრავს წარბი.

და კვალად უნდა უცხო კაცივით
შენი ხეობის ზღუდესთან ვიჯდე,
ვიდრე ზაფხულის ციცქნა ნაწილი
დარჩება მხოლოდ ერთადერთ ფიჭვზე.

## ისევ იმგვარად

ისევ იმგვარად,
ისევ იმგვარად,
ისევ იმგვარად დღეს მენატრები,
არ გაცვდა ოდენ შენი ხატება
ათას ღორღიან გზებზე ნათრევი.

ვიცი ამ გზაზე ვერვინ მიპოვის,
ეს გზა ყველასგან არის უვალი,
ვინ გამოიცებს კვლავ გულცივობით
შენ მყავხარ ერთი ჭირისუფალი.

ისევ ხვივიან ქარები მთაზე
მგლებმა დაკბინეს ღამის ფარდაგი,
არის ფერნაცვალ სხივებით სავსე
ჯერ უხილავი ტბების ლარნაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ იცი — ღამე როგორ არხევდა
უცხო სამყაროს ანძებს, ანტენებს
და კვლავ უცნობი რამე ძახილი
ჩემს უნებურად ფეხზე მაყენებს.

და ვიდრე გზათა ლორლი გამცვეთდეს
ვიდრე მტვერს მტვერი შეემატება,
ეგებ არ გაცვდეს,
ეგებ არ გაცვდეს,
ეგებ არ გაცვდეს შენი ხატება.

* * *

წვიმის ქალაქში არავინ მოდის
არავის უყვარს ქალაქი წვიმის,
ვხედავ მარტოდენ არაგვის ტოტი
ბარისკენ გარბის,
გარბის და ყვირის.

ქალაქი წვიმის...
წვიმის ქალაქი...
სულ ერთადერთი მცველის ამარა,
ოდენ მოვიდა ველის ბალახი
და მწვანე კალთა გადაგვაფარა.

წვიმის ქალაქო!
წვიმის ქალაქო!
წვიმის ქალაქო სიზმრად ქცეულო!
შენი მცველი ვარ უკანასკნელი
უხმლო, უჯაჭვო და უსხეულო.

## მდინარის ლარი

მდინარის ლარი... წკრიალებს, ღამეს
მიარღვევს მისი ვერცხლის წკრიალი,
ჭალისპირებზე ბოყირობს მყვარი
მწვანე გომბეშო და მიწრიელი.

მეც აქ ვემარხე... ალვსდექი როდის,
როდის მიხსენი — ველარ ვიგონებ,
როდის ჩამომხსენ ტანიდან ლოდი
და ბედისკვერი გამომიგორე.

მდინარის ლარი...
მდინარის ლარი...
წკრიალებს მისი ყინულის ვერცხლი,
ახლა ეს ლარი გაწყდება მალე
და შემდეგ დიდხანს არავინ შეცვლის.

## ჩვენ შევძლებთ

ჩვენ შევძლებთ უფრო ლამაზად
მოვკვდეთ,
მიწას შევრიოთ ჩვენი სულები,
ეს შემოდგომაც ქანაობს თოკზე.
საცაა შენაც ალესრულები.

წინ სურიელმა გზები ჩაკვალა,
მიწას დაასკდა ტყეთა ტაძარი.
არცვინ მომსვლელი, ოდენ ხანდახან
ხმიანობს ზარი შენი საზარის.
გავყურებ, კვალად ქარი რაიმე
მოემართება სთველის ხორშაკით,
ის უკანასკნელ ფოთოლს წაიღებს
და გაგიმზადებს ზამთრის მოსაკითხს.

და შევძლებთ უფრო ლამაზად
მოვკვდეთ
არის სიკვდილი უფრო ქართულიც:
...შენი ქალაქის კართან ვყუდივარ
შენ მტერს მოველი-სულშემართული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩარგალი

ისევ დახარეს მწუხრის ხიფებმა
შენი ყინულით დაღლილი ტოტი,
ტყეო მაღალო — რა გეფიქრება,
რადღა ხმიანობს ქარების შოლტი.

მე მწოლიარე შევყურებ ცარგვალს,
სად ხელაპყრობით ზოგჯერ ვმაღლდები,
აწვიმს სასოვეს, ახონს და ჩარგალს
და სამწყემსურში ყეფენ ძაღლები.

აღარ მაკითხავს წერა-მწერალი,
არცვინ კარისპირს არ ახიმანებს,
დუმს თერგი შენი, ყრუ და ვერანი,
შეუსუდრია უცხო ხვიარებს.

აქ ბევრი მოდის მომსვლელ-წამსვლელი
ვინაც გარდასულ ზამთრებს გადურჩა,
აქ ბევრი მოდის მომსვლელ-წამსვლელი
შენ რომ გჭირდება, ის კი არა ჩანს.

და მწოლიარე შევყურებ ცარგვალს,
სად ხელაპყრობით ზოგჯერ ვმაღლდები
და მოთმინებას დღითიდღე ვკარგავ —
ახლა სულ ახლოს ყეფენ ძაღლები.

## გახსენება

მოულოდნელად ჩათავდა მარტის
მზის ფერადები, აღარ იდღევა,
ნიადაგ მაწვიმს, სველდება ყარტი
და გალუმპული ღამე იწყება.

შენ აღარ მოხვალ, შენს წილ
ჯვართგორზე,
ახლა პატარა ბორცვი მწვანდება,
დედაო ჩემო! — არცრა შენი ხმა,
არც შენი ჩრდილი, რა მელანდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჩხეიძე

# ვენეციური ქალი

## რომანი

### XVIII

იდგომებოდა ქველთობისაიო,

და ფეხზე იდგებოდა მთლად საქართველოცა: 80.000-მდე ახალგაზრდა რო დაამთავრებდა იმ წელს სკოლასა, ერთი ამდენიც ჰო მიემატებოდა წინა წლებისაი, — ჰაიჰაი რომ მიემატებოდა თუ მეტი არა, — მიემატებოდა და მოიყრიდა უშქარი ლაშქარი, უშქარი, ულანდარი, 150.000 თუ 160.000-იანი ლაშქარი მოიყრიდა თავს, მოიყრიდა და შეესეოდა ინსტიტუტებსა, დაახლოებით 1500-იან მხედრიონს შეესეოდა, მიმღებთა თუ გამომცდელთა მხედრიონსა, მხოლოდ 13.000 კაცი რომ უნდა შეეშვათ შიგნითა, ხოლო დანარჩენი გაეძევებინათ, მოეგერიებინათ თუნდაცაო; და იქნებოდა ბრძოლაი საკვირველი, რაღა თქმა უნდა, უთანასწოროი და გასაოცარი, მაინც მცირედი რო სძლევდა უამრავსა, როგორც რო ომში დიდგორისაი. აგვისტოს ომში, სწორედაც აგვისტოსი, ქველთობისაი, 1121 წლისა, დაიღვრებოდა სისხლი უამრავი, დაინთქმებოდა ძალღონეი აღურაცხელი, მეტი ბევრადა, ვიდრე იმ ომში, დიდგორისაი, რამეთუ ალბათ ბევრად უფრო ადვილი იქნებოდა ჟლეტაი მომხდურთა, ჟლეტაი დამპყრობელთა, ვიდრე მოყვასთა დარწმუნებაი, რო არას არგოდა ბევრი უმაღლეს დამთავრებული ასეთ პატარა ქვეყანასა, ჩვენი საქართველოროა, რო უფრო მეტი მეურნე უნდოდა, მეტი მუშა უნდოდა, მეტი ხელოსანი, მეტი ოსტატი, დოვლათის შემქმნელი მეტი უნდოდა და რო ღირსებაც მშრომელს მეტი ექნებოდა, ვიდრე მცონარე დიპლომოსანსა, — ძნელი იქნებოდა დარწმუნებაი, ადვილი იქნებოდა უფრო ჟლეტაი, დავითი რო ჟლეტდა, „ხმლით მისით უკმომდინარითა სისხლითა წელნი აღსავსე ესხნეს, რომელი შემდგომად ომისა გარდახდისა და სარტყელისა განხსნისა საცნაურ იქმნა. ქუეყნად რა დაითხია ესოდენისა მტკნარისა სისხლისა შეყინებულისა, რომელსა პირველ განხილვისა თვით მისგან ვგონებდით გამოსრულად“. ოღონდ ესაა, მშრალი სისხლი რო არ დაინახებოდა და საჩინოთ თვალთა არ წამოუდინდებოდათ სისხლი იგი სარტყელთა შეხსნისასა, მიმღებთა ცხადია, ხოლო „წელნი აღსავსე ესხნეს“, ვითარც იტყოდა ისტორიკოსი აღმაშენებლისა, ხატოვნად იტყო-

დასასრული. იხ. „მნათობი“, № 9.

და, დიდებულად იტყოდა, რგებოდა აღსაწერად ცხოვრებაი დიდებულისა, მე ესა მრგებოდა, ესე ნთხევაი მშრალი სისხლისა ეს მთხეველნი მშრალი სისხლისაი და მივჰყვებოდი, რაცთუ მრგებოდა. ვინცთუ მრგებოდნენ; ანთუ რაც იყო თუ რაც იქნებოდა, არა თუ მხოლოდ შედარებისად ამოტივტივდებოდა დიდგორი აქა, არა ცხადია, ესეც ამბავში ჩაებმებოდა, რო გაიმართებოდა მოტორბოლა დიდგორებზედა, საერთაშორისო მასშტაბის მოტორბოლაი, რო შესჰედავდა უშანგი დავითსაცა, უსათუოდა რაღა თქმა უნდა, თუმცა რო ედო ორი ხუთიანი უკვე ჯიბეში, მაგრამ ვინ უწყის რა მომხდარიყო, გამოადგებოდა საბუთი ესე ყველგანა და ყოველნაირადა, თუნდაც საჩივარში გამოადგებოდა, ყველა რო უჩიოდა ერთიმეორესა, ყველა ერთად რო ხუთიანებს უჩიოდა. ყველა გამომცდელებს რომ უჩიოდა და გამომცდელებიც რო უჩიოდნენ ერთმანეთსა, — სადღაც ვინ უწყის ესეც ჩაერთოთ, დავითიცა, — რას გადარჩებოდა!... — გამოადგებოდა რაღა თქმა უნდა. არა სტოებდა უშანგი ორბელსა, მხარშიც უდგა და ტოლსაც იდებდა; მოტორბოლის საქმეც აეწყო, სტუმრების მიღება რო დაევალებინათ, აქებდნენ სტუმრები. ასე არსად მიუღივართო. და მერე იცი, — დიდგორიც იმისი აღმოჩენა რო იქნებოდა?! — მოტორბოლისადა რაღა თქმა უნდა. საერთაშორისო არბიტრები მოიწონებდნენ, ამასაც ისევე, მასპინძლობას ვითარცა, ხიდი...აცა, დაბრკოლებელითაცა, სიახლოვითაცა თბილისთანა, მოიწონებდნენ ერთისიტყვითა. მოიწონებდნენ თურქმანთა და არაბთა კოალიციური ლაშქრობის მოთავენიცა. მაშინა ცხადია, ქველთობასა 1121 წლისა, იმავე მიზეზითა, სიახლოვითა თბილისისა, ხედითა, რელიეფითა, უდაბნოს რო ჰგავდა, მათთვის მშობლიურსა, ლაშქარიც რო გაიშლებოდა ადვილადა, ლაშქარი იგი 600.000-სს რო აღწევდაო, უცხოელივე ისტორიკოსთა ცნობებითა, [illegible] და გადათქერავდა აღმაშენებლის მხედრობასა, გახლეჩდა ხეობებსა დიღმისასა, ნიჩბისისასა, კავთურისასა, თეძამისასა, გახლეჩდა, გაფლეთდა და მოედებოდა მთლად საქართველოსა იმერ და ამიერ, მოედებოდა მოგოხავდა დიდგორივითა, მოაოხრებდა, მოაუდაბმოებდა, გაიხარებდა, ჩატკბებოდა, ჩაიფლობოდა ნეტარებაშია. იქ ჩახერგავდა და იქ ჩადგებოდა დავით აღმაშენებელი, სწორედაც იქა, სადაცთუ უნდა დაღუპულიყო, ან ქართველობა გადაერჩინა. ზურგს მიჰყუდებდა შუაგულ ქართლსა და შუამდინარეს დაინახავდა იმა დიდგორის ტატნობიდანა, მტრის დევნას გულში ამოიჭრიდა სწორედ იქამდისა, დევნასა და ჟლეტასა, იქამდისა და იმას იქითაც, ისე ულმობლადა, იმათგანვე ვითარც ესწავლა, ხოლო ამათ სხვაგვარად ეტყოდა, თავის ლაშქარსა რაღა თქმაუნდა, 80.000 რო უნდა ყოფილიყო იგივე უცხოელთა ცნობების მიხედვითა: „ეჰეი, ქრისტიანნო, ვახსენოთ ღმერთი და მხნედ შევეჭიდოთ ამა მოციქულთა ეშმაკებისა, გულმედგრად ვიყვეთ და ფიქრი არაა თვით ეშმაკებსაც გავანადგურებთ, ოღონდ გვჯეროდეს ჩვენი ღმერთისა, სჯულისა ჩვენისა, ერისა ჩვენისა, გვჯეროდეს და შევფიცოთ ოღონდაცა, რო დავიხოცებით ყველანი აქა, ასე პირდაპირ დავიხოცებით და ჩვენთაგანი რო არცა ერთი ზურგს არ უჩვენებს ამ ვერან მტერსა, — ოღონდ გვჯეროდეს, შევფიცოთ ოღონდაცა. გასაქცევი მაინც არა გვაქვს, ჩახერგილია ყველა ხეობა, ამოვედით და ჩავხერგევით, ვერცვინ გააღწევს, ამაოა ფიქრი ამაზე; მამულიშვილნო, ან სიკვდილი, ან გამარჯვება, ჩვენთან არს ღმერთი. მიგვძღვებათ წმიდა გიორგი!..“

მიგიძღვებათო და მიუძღვებოდა. ვითარცა მართლაც წმიდა გიორგი. მზეი ქველთობისა შარავანდად რო დასდგომოდა, რო შეემართა მარჯვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაი უებრო, რო გაჰკვეთდა გველეშაპსა, თავი აგერ რო მოეტანა, კუდი ხოლოო რო ჩასთრევდა ოკეანეში, დიდი რო ერქვა და წყნარიც რო ერქვა, ალბათ იქ ჩასთრევდა; და მერე ფრესკებზე წმიდა გიორგის რო გამოჰხატავდნენ, გამოჰხატავდნენ დავითის სახითა, სწორედ იმ სახითა, იმა თვალებითა, სიკვდილს თვალებში რომ ჩასცქეროდა და გამარჯვება ამობეჭდოდა. გაიმარჯვებდა კიდევაცა, სძლევდა ურჯულოთა და ძლევაი იგი საკვირველი განითქმოდა კიდით კიდემდე, მაშრიყიდან მაღრიბამდისა და გათამამდებოდნენ ჯვაროსნებიცა, დავითის იმედით გათამამდებოდნენ. აქ დაიმსხვრეოდა შიში იგი, დაჯერებაი ულმობელი დამპყრობლების მოურევლობისა, დაიმსხვრეოდა, დაიფშხვნებოდა, დაილეწებოდა და აღდგებოდა სული ერისა, დაქელილი სული, დაწიხლული სული, მორეული ერთისიტყვითა. ეს იქნებოდა დიდი ნადავლი, თორემ ის რაო, რო „სპანი ჩვენნი და უფროსად ყოველი სამეფო აღივსო ოქროთა და ვერცხლითა, არაბულითა ცხენებითა, ასურულითა ჯორებითა, კარვებითა, სრაფარდაგებითა, სხვათა უცხოთა ჭურჭლებითა საბრძოლველთა თვითო-სახეთა, ქოსთა და ფილაკავანთათა, სასმურთა ტურფათა და სანადიმოთათა, საოდენმან ქარტამან და მელანმან დაიბანელთა და სამზარეულოთათა, — რატიოს აღწერად!.. და რამეთუ გლეხთა იხილმეცა, ოდეს არაბთა მეფენი მოჰყვანდეს ტყვედ. და სხვათა გოლიათთათვის რადღა რამცა გვინდოდა თქმად", — ეს რაო, — არაფერი, ბევრი არაფერი, თუმცა გაძარცულიყო ქვეყანაი, მაინც არაფერი შეებადლებოდა აღდგომასა სულისა, ერის სულისა, — არაფერი, არაფერი რაღა თქმა უნდა. მერე რაც უნდა გასჭირებოდათ, გამხნევდებოდნენ მაინც იმა გამარჯვებითა, დიდხანს და დიდხანს გამხნევდებოდნენ, თვინიერ აგერ აქამდისაცა, აგვისტოს დღეებს იქ გაატარებდნენ, მსხვერპლს შესწირავდნენ, მოიგონებდნენ, იღრეობებდნენ, — ჯვარს გადიყრიდნენ, გაგულადდებოდნენ; ამოვიდოდნენ რიგრიგისადა, თითო დღითა, თითო ღამისთევითა თითო ხეობაი, — იგი ჩახერგილი, ჩახერგილნი დიდგორის ომში, უკანდასახევი რო მოჭირილიყო, — თითო სოფელი თუ გვარიცა თითოი თუ გაზრდილიყო, გაბევრებულიყო, გამთავნებულიყო, ამოვიდოდნენ და გაანათებდნენ ღამეს დღესავითა, კოცონებითაც გაანათებდნენ, სავსე მთვარითაც რო განათებულიყო, ვარსკვლავებითაც რო განათებულიყო ღამეი აგვისტოსი, შეუკეთებდნენ კოცონებსაცა და აირხეოდნენ ვეება ლანდებადა, აჩრდილებადა უსაშველოდა, გამოცხადებადა იმა გმირებისა, საკვირველება რო დაეწიათ. „აგვისტოსა თურამეტსა" 1121 წლისა; შეეფინებოდნენ იმა გორასა, ხეობის თავში, ნიჩბისისაი, მზე რო დაყრილიყო „აგვისტოსსა თურამეტისა", მზესებრ რო სხიოდა ისიცა აგრეთვე, გატრუნულიყო და სხიოდა ეგრე, მერე უეცრად რო შეიძრებოდა, ამოვარდებოდა ვულკანივითა, ამოვარდებოდა და წამოვიდოდა ცეცხლის ნიაღვრადა რაღა თქმა უნდა, წამოვიდოდა და მოედებოდა, მოედებოდა და გადასწვამდა ველის ურდოთა; მთა შეიძროდა და მთა გადაემხობოდა, მთაი ცეცხლოვანი, გაძნელდებოდა გონს მოგებიაი, გაძნელდებოდა და ჰო გაძნელდა, „რამეთუ პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და ივლტოდა"; გაითენებდნენ ღამისმთეველნი და შეეგებებოდნენ იგივე მზესა, შეეგებებოდნენ და შეჰხარებდნენ, ხელთაღაპყრობდნენ და შეენუკვოდნენ ჩამობრძანებასა, თუნდაცა წუთითა, თუნდაცა წამითა, ოღონდ ცერი შეეხო მიწაზე, თავის მიწაზე და ამათ მიწაზე, თუმცა ღვთიშობლის წილხვდომილიაო, მაინც მზისთვისაც რო ემეტებოდათ, დიდგორის მზისთვისა; აფართხუნდებოდნენ ყორნები მაინცა და ჩრდილი დასცემდა ნიჩბისის გორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცა, ფართხუნა ჩრდილი, დასცემდა და გადაუვლიდა. გაიშლებოდა გორიდან გორაზე, მთლად დიდგორებზე გაიშლებოდა, ზემო დიდგორებზე, ქვემო დიდგორებზე, დაიფინებოდა და ჩაიკეცებოდა, დაელოდებოდა ალბათ თუ მძორსა, ბევრი რო ახსოვდათ და ბევრსაც რო ინატრებდნენ; ახსოვდათ თუ ეხსომებოდათ სულერთია და საკვირველიც არ იქნებოდა სამას წელიწადს თუ ცოცხლობდა ყორანი, ჯერ იმათ მაინც არ დასჭირდებოდათ მემატიანენი თუ ისტორიკოსნი, ეხსომებოდათ პაპებისგანა, დიდედებისგან ეხსომებოდათ: „ვითარითა ღონითა მოსრნა სახელოვანნი იგი მებრძოლნი არაბეთისანი, და ანუ მეოტთა ვითარ სიმარჯვით და განკრძალულად სდევნნა და მოსრა, რომელითა აღივსეს ველნი, მთანი და ღელენი მძორებითა“; იმათვის ალბათ გუშინ იქნებაოდ, ანთუ გუშინწინა, მაძღრისად რო იყვნენ, და ინატრებდნენ იმავ სიმაღლესა, მზეზეც იმიტომ აფართხუნდებოდნენ, ჩრდილიცა იმათი იმიტომაც გადაუვლიდა დიდგორის ველსა, მთებსა დიდგორისა, ღელეებსა დიდგორისაი, გადაუვლიდა და ჩაშავდებოდა ალაგალაგა, აიშლებოდა და ჩაშავდებოდა; მოძალდებოდნენ მაინც აქეთა, ნიჩბისის გორზე, ნიში რო იყო, რო ჩაიშალა, ჯვარი რო აღმართეს მოსაგონარი დიდგორის ომისა, რო მოიგონებდნენ, კურეტთ რო დაჰკლავდნენ, რო ააჩქეფებდნენ სისხლსა ისევა, რო მიუფიცხებდნენ კოცონებსა მთელ-მთელ ბეჭებსა, რო ავიდოდა სუნი შემწვრისაი, რო ჩამოთლიდნენ იქავე, ისევე ცეცხლის ალზედა და მიაწოდებდნენ ყანწთან ერთადა, რო გადაისწორებდნენ აღმაშენებლის დროინდელ ულვაშებსა ხელის ზურგითა, ყანწისათვის რო გადაისწორებდნენ, — ყორნებიც აქეთ მოძალდებოდნენ, გადაუვლიდნენ და გადმოუვლიდნენ ყრანტალითაო და ფართხუნითაო, ანთუ ალყას შემოარტყამდნენ. მოიწევდნენ, მოხანხალებდნენ, მოაშავებდნენ, მოაბნელებდნენ, [illegible]-ბდნენ უსათუოდა; აიღებდნენ თუ რაც იქნებოდა, ჯერ ცოტას დააფრთხობდა გუგუნი ძრავთა, თუმცა მისჩვეოდნენ, ხეობებში რო „დრუება“ ხრიალებდა, რო კვნესოდა ტყეი, რო ეცემოდა, რო მიათრევდნენ „ბელარუსებითა“, იმას მისჩვეოდნენ, ეს სხვა იქნებოდა, თითქოს იმათ რო გაჰკიდებოდა, რო შემოჭრილიყო საგანგებოდა, საგანგებოდაც გაჰკიდებოდა, სწორედ რო იმათს კვალზე გაეკრათ ისრები იგი მიმართულებისა, ველორბოლის მიმართულებისა, დავითსა და სოსოს გაეკრათ, თითქოს წინასწარ გზა დაედგინათ ყვავ-ყორნებისა, დაედგინათ და ისე გაჰყოლოდნენ, ისე გაეკრათ; და რო აუქშევდა დაგდაგი გუნდებსა, დაგდაგი ძრავთა რაღა თქმა უნდა, და რო აიქშევდნენ, გადაინაცვლებდნენ, დაეფინებოდნენ სადღაც იქითა, მიჰყვებოდათ დაგდაგიც იქვე, ანთუ მიუსწრებდა, აღარც დაუშვებდა, დააფრთხობდა ეგრევე ჰაერში, დააფრთხობდა და თან მიჰყვებოდა; და შემოუვლიდნენ ყორნები წრესა, მოტოციკლებიც წრეს შემოარტყამდნენ, ყორნები მაღლა, ციური გზითა, ნათელი გზითა, გზითა სუფთათი, მოტოციკლები ოღრო-ჩოღროთი, ჭონჭყოებითა, ვიწრობებითა, და იქცეოდა მოტოციკლები, აბზრიალდებოდა ბორბლებიც ჰაერში, მრბოლნიც ჰაერში ამოტრიალდებოდნენ, ამოტრიალდებოდნენ და დაეზღერთებოდნენ, გადაუვლიდნენ უკანანი ზედა, ყორნებიც ზედვე გადაუვლიდნენ, ანთუ ჩრდილად გადაუვლიდნენ, დაჰყრანტალებდნენ და გადაუვლიდნენ, მსაჯებსაც ეგრევე გადაუვლიდნენ, ყრანტალითაო რაღა თქმა უნდა, გადაუვლიდნენ და გაეკიდებოდნენ, ვინ ვის მისდევდა ველარ გაიგებდი, ყორნები მრბოლთა თუ მრბოლნი ყორანთა, ვის ვინ დაეფრთხო ველარ გაიგებდი, ვინ ვის გაურბოდა, ვის თუ ვისი შიში მოერეოდა, ველარ გაიგებდი, ველარას გაიგებდი;

და მერე მაინც აჰყვებოდნენ დავი-

17/30

თის გორასა, რო შეადგენდნენ ყოველგვარ ოქმსა, მსაჯები ცხადია, რო ჩაიტენიდნენ ჟურნალისტები რვეულებს უბეებში, აპარატებსაც რო დაჰკეცავდნენ ოპერატორები. რო შეუხვევდნენ დაჟეჟილებსა, რო აახროვებდნენ მოტოციკლებსა დალეწილსა, — შეუყვებოდნენ დავითის გორასა, ჩაიმუხლებდნენ ანთუ კარვებთანა, ანთუ ეგრევე კოცონებსვე შემოეხვეოდნენ, კოცონებსა ბეჰებასხმულსა, შემოეხვეოდნენ და თვითონვე აათლიდნენ, რო მიაწოდებდნენ ხანჯლებსა მასპინძელნი, დიდგორულ ხანჯლებსა, აათლიდნენ და ტუჩებს იწუწნიდნენ, ჭამდნენ და იწუწნიდნენ, სვამდნენ და იწუწნიდნენ და გაიოცებდნენ, ასეთიც არაფერი გვინახავსო, ასედაც არსად შეგვხვედრიანო, გაიოცებდნენ უცხოელნი, უცხო მსაჯულნი რაღა თქმა უნდა, ჟურნალისტებიცა, რეპორტიორებიცა, ფოტო თუ ტელე თუ რა-გინდ, რა სახისა, გაიოცებდნენ და ილუკმებოდნენ; ცოტას იკითხავდნენ და ბევრს აუხსნიდნენ, მასპინძელნი რაღა თქმა უნდა, სტუმართა ცხადია, ბევრს აუხსნიდნენ და მცირესაც ვერ გააგებინებდნენ. ანთუ ვერას გააგებინებდნენ, ვერცთუ დიდგორისა, ვერცთუ ასპინძისა, ვერც საქართველოსი, მხოლოდ საქართველოსი, ვერა, ვერაფერს გააგებინებდნენ და ჩამოჰყრიდნენ ყურებსა მასპინძელნი, მართლა მასპინძელნი, ღამისმთეველნი, ყურებს ჩამოჰყრიდნენ და გმინვაც დასცდებოდათ, რა დაგვმართნია, რა დღეში ვართო, მაშინ იცოდნენ ალმაშენებელი, იცოდნენ და წერდენ იქაურნი, იცოდნენ და ეიმედებოდათ, ერეკლეც იცოდნენ, თვით ერეკლეცა, იცოდნენ და წერდნენ იქაურნი, ახლა რაღაა, რამ დაგვაყრუაო; დაიგმინებდნენ და სხვას რაღას აწამებდნენ, გამოართმევდნენ დიდგორულ ხანჯლებსა, გამოართმევდნენ და გაუყრიდნენ ქარქაშია, ამოიტაცებდნენ და ჩააგებდნენ, დასცემდნენ ხელის გულსა, ვაი, დედასა მტრიისასო: წაეტანებოდნენ ისევ თუ სტუმარნი, უცხო სტუმარნი, [illegible] ნჯლებს მოარიდებდნენ, ეს[illegible]დნენ, სირცხვილიაო, ეს შინაური სტუმარნი ეტყოდნენ, იმათ რო მასპინძელნი ეგონებოდათ და მიუგებდნენ მართლა მასპინძელნი, ის უფრო სირცხვილია, რო არ იციანო, — რას ვეჭმევინებით, ვინც არა იცის, ვინც არ გაგვიგებს, არ დაგვიფასებსო; ისინი ამასაც ვერ გაიგებდნენ, შემოევლებოდნენ დაბრაწულ ბეჭებსა, ჩამოათლიდნენ რამეთი მაინცა, თუ არა დიდგორული ხანჯლებითაო. დანით რამეთი ჩამოათლიდნენ, ანთუ ნაჯახითვე, ანთუ აახლეჩდნენ და დადინდებოდა წვენი მუგუზალზედა, დადინდებოდა აშიშხინდებოდა, აშიშხინდებოდა იმათს ტუჩებზედაცა, ალბათ მუცელშიც თუ აშიშხინდებოდა, ხელს რო წაივლებდნენ და ისვამდნენ მუცელზედა. შიშხინს თუ ასდევდნენ, იმა შიშხინსა, ანთუ იფშხვნებოდა ღვინოი, ნიჩბური ღვინოი, დილმური ღვინოი, მცხეთური ღვინოი, იფშხვნებოდა და გაიგანებდა; რა ეცოდინებოდათ ანთუ ამისი, რო ახირებოდნენ. დიდგორელნიო. მართლა დიდგორელნი, იმათნი თუ იგინი სწორედაცა, ამათ რო ვინ უწყის გადაცმულნიც თუ რო ეგონათ, მსახიობები თუ რო ეგონათ, სახიობა თუ რო ეგონათ, ის გახსენება დიდგორობისა. დიდი გამარჯვების გახსენება, იმედოვნება გამარჯვებისა, — რა ეცოდინებოდათ ანთუ ამისაი, რას აჰხირებოდნენ დიდგორელნიო, როცა მიეზლოთ საზღაურიცა, მიეზლოთ და კიდეც მიუზღავდნენ: ჩასულიყო რო ამათგანიცა საჭიდაოდა რომში, რო წამოეღო სახელიცა ჩემპიონისა და რო გადასდგომოდა ერთი ძველი მასწავლებელი, რომში ყოფილხარ და მომითხრე აბა რა ნახე რომში, როგორა ნახეო: რის რომშიო და რომელ რომშიო, რო გაჰკვირვებოდა, აქედან ჩამსვეს ავტობუსშიო, შემაგდეს მერე თვითმფრინავშიო, მერე კიდევ ავტობუსშიო, მერე კიდევ თვითმფრინავშიო, მერე კი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევ ავტობუსშიო, მერე დარბაზში ამოვყავი თავიო, მერე ჰო მერე ხალიჩაზეო, გამომიყვანეს ჯერ ერთი და ბეჭებზე დავდეო, გამომიყვანეს მეორეი და ბეჭებზე დავდეო, გამომიყვანეს მესამეი და ბეჭებზე დავდეო, მეოთხეც რო დავდე და მეხუთეც დავდე, ჩამსვეს ისევ ავტობუსშიო, მერე ისევ თვითმფრინავშიო, მერე ისევ და აგერა ვარო და რა რომიო და რი რომიო, რას მეკითხებიო, — ასეც მიეზლოთ და კიდეც მიუზლავდნენ, უცოდინრობაც თუ ღირსებად ითქმოდა, რას აჰხირებოდნენ დიდგორელნიო; მაინც ვერაო, ვერ შეასმენდნენ დიდგორელთაცა, განუდგებოდნენ, გაიგანებდნენ, აღარც იცეკვებდნენ, აღარც იმღერებდნენ, ფანდურებს მიჰყრიდნენ, დოლთაცა, სალამურთაცა, ბეჭებსაც ეგრევე მიატოვებდნენ, ბეჭებსაცა და ბარკლებსაცა, აბრაწულთა მუგუზლებზედა, ჩამოეთალათ და ჩამოეგლიჯათ, რუმბებიც ჰო იქავ ეყრებოდა, დასწაფებოდნენ უსასმისოდა, რაც უნდა ექნათ, რაც უნდა ელონათ, ჩაეხეთქათ და ჩაეყლურჭათ, მოჯერებულიყვნენ, როგორცთუ ენებათ, აღარ უჩვენებდნენ გულსა დიდგორელნი; უშანგი მაინც დატრიალდებოდა, დატრიალდებოდნენ უშანგისანი. იმღერებდნენ და ამღერებდნენ მრავალ ენაზედა და მრავალგვარადა, იცეკვებდნენ და აცეკვებდნენ, ისევ ისე მრავალგვარადა, გაიხარებდნენ და გაახარებდნენ, გააოცებდნენ და გააკვირვებდნენ, ასეთი არაფერი გვინახიაო, კვლავაც აქ ვისურვებთ მოტორბოლებსა, ჩავალთ და ვიტყვით, სხვანიც აქეთ აჩქარდებიან, ყველა შეჯიბრიც აქ გვირჩევნიან, ყველა თათბირი და სიმპოზიუმიო; გირჩევნიანთ და ჩვენც აქა ვართო, დააწევდნენ უშანგისანი, კვლავ გადაშლილნი, მოცინარნი. თეთრკბილაჩნი: რა გენაღვლებათო, დიდგორელნი აბუზუნდებოდნენ, არც მიუხედავდნენ, აბუზუნდებოდნენ ზურგშექცევითა, იქვე ყმაწვილთაც წასჩურჩულებდნენ, თვალი გააპარეთ, მიდიან, ფუ[illegible]

წავიდოდნენ ბოლოსდაბოლოსა, მოჯერდებოდნენ და წავიდოდნენ, აედევნებოდნენ ყორნებიც ისევე, თითქოს და რააო, ურდო ილტვისო, ოღონდ არავიან რო არ დაედევნებოდა, რო არ გაგრძელდებოდა ჩეხვაი და ქლეტაი, მიბრუნდებოდნენ ისევ იქითა, სუნი სადით რო ადიოდა, სუნი შემწვრისაი, შებრაწულის სუნი, დოლი სად რო ადაფდაფდებოდა, სულ სხვა ეშხითა რაღა თქმა უნდა, დოლი, სალამური, დუდუკიცა რაღა თქმა უნდა, ცერი სადაც რო დაბზრიალდებოდა, ტაში აჰყვებოდა, ტაში და ტკრიაცი, სიმღერა სადაც ჩაიხვეოდა, დიდგორულიცა და უფრო ძველიცა, ძველის ძველი, აჰაუ, რა ძველი, ადრინდელი ცივილიზაციისა, სულ ადრინდელი, სულ უძველესი, დიდგორელებსლა რო შერჩენოდათ, გადმოსცემოდათ და შერჩენოდათ, შერჩენოდათ და შეინარჩუნებდნენ, შეინახავდნენ, და გადასცემდნენ, გაატანდნენ კვლავაც უთვალავ საუკუნეებსა, რახანთუ მაშინ შეინარჩუნეს, იმა ქველთობასა, 1121 წლისა, — „ქრონიკონი იყო სამას ორმოცდაერთი"; დავითს ვერაო, ვერას გადასცემდნენ ასე ადვილადა, ამა დავითსა, მოსახელესა დიდი დავითისა, სეხნიასაო, ვითარც იტყვიან, არც გაეგებოდა სადთუ მოსულიყო, სადთუ დააგებდა ისრებსა სრბოლისა, მოტოსრბოლისა, გაგონებით რო ეგება გაეგონა, ამასაც თუ მოასწრებდა თუ მოუთხრობდა მამაი თავისი, ძაფს მაინც ვერაო, ვერ გააბამდა იქ მონათხრობსა და ამ დიდგორს შორისა, იმ დიდ ბრძოლასა და ამ დიდ რბოლას შორისა, ვერც თვითონ გააბამდა და ვერც ვერას სოსო მიეშველებოდა, სკოლაშიაც რო არ ესწავლა, მამისგანაც რო არ გაეგონა, გეგმის მეტი რო არაფერი არ გაეგონა, — ისტორია რო მხოლოდ გეგმა ეგონებოდა, შესრულება რო გამარჯვება ეგონებოდა, შეუსრულებლობა დამარცხებაი ცხადია და რაღა თქმა უნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესრულებას რომ მოჰყვებოდა ქებაცა, ჯილდოცა, სოსოც რო ადვილად დაითანხმებდა თავის მამასა, რაც რომ ენება, იხელთებდა მაშინა. — ამ დიდგორისას როდის გაიგებდა, ანთუ რასაო, რას გაიგებდა? — იმდენსაც ვერაო, დავითს რო გაეგო, ამა დავითსა რაღა თქმა უნდა, ორი ხუთიანი რო უხტოდა ჯიბეში, ორსაც რო მალე ჩაიჯიბავდა, ამ საბუთსაც რო მიაკერებდა, ამ დიდ რბოლაში მონაწილეობის საბუთსა, რო გავიდოდა გრიალითა კონკურსში, თავში რო დაწერდნენ, ვით პირველთაგანსა, ანთუ პირველსა, სულ თავში, თავში, დიდი შემოსევა რო დამთავრდებოდა აგვისტოსი, რო მოიგერიებდა რაზმი მცირეი უდანდარ ლაშქარსა, — ორჯერ თუ სამჯერ 80.000-სა, მოიგერიებდა და დაამარცხებდა, სდევნიდა და აიალაფებდა: „გარნა ალაფთა ურიცხუელობასა ვდუმებ, ვინაითგან გლეხნიცა თვნიერ ოქრო-ვერცხლისათა არა რასავე აღიღებდნენ“, ბატონიშვილი ვახუშტი როგორც რო ბრძანებს, მემატიანენეცი ვითარ გვაუწყებენ, მომსწრენიცა, მხილველნი თვალითა თვისითა; ტყვედ დარჩებოდათ დავითი ცხადია, ეს დავითი რაღა თქმა უნდა; დაიწყებოდა წვრთნაი დავითისა, წვრთნაი რჩეულთა, დავითთან ერთად სხვათა რჩეულთაო, და მოისვენებდა უშანგიცაო, იტყვი ალბათა, იტყვი ცხადია, ანდაზაც რო გაგახსენდება: შენ ინსტიტუტში შესვლა თქვი, თორემ დამთავრება ადვილიაო, — ახალი და ახლად ახალი.

## XIX

შეიქმნებოდა სხვაცა ბევრი ანდაზაი ესევითარი, ოღონდ აქ მაინც ჯერ სხვაა სათქმელი უანდაზებოდა: ტყვედ რო ჩავარდებოდა დავითი, ვერ მოითმენდა ტყვეობაში დიდხანსა, გაიპარებოდა, გაიქცეოდა, საძებარი გაუხდებოდათ, ხან მიაგნებდნენ და დააბრუნებდნენ, ხან ვერც მიაგნებდნენ, ანთუ გადააფიქრებდათ სხვა რამ საზრუნავი, მიილექებოდა სახე იმისი, დავიწყება-ში მიიწეწებოდა, — ესაა სათქმელი:

— დავივიწყოთ? — გაახსენდებოდა ისევ სალომესა.

— დავივიწყოთ, რაც იყოოოოო... — წაუმღერებდა უშანგი ოდნავადა, გახსენებაც რო არ უნდოდა.

— ამაგი მაინც არ გენანება?

— რას იზამ!..

— ამაგი არ უნდა დაივიწყო.

— არ დავივიწყებ.

— არ უნდა მოეშვა.

— როგორ არ მოვეშვა?!

— არ უნდა მოეშვა, — მკვეთრად გამოსთქვამდა დეიდა სალომეი, შეკამათება რო არ ივარგებდა.

— ვიცი, სად არის?!

— უნდა იცოდე.

— უნდა ვიცოდე... — გასწელავდა უშანგი ისე, თითქოს ცოტა დამცინავადა.

— უნდა იცოდე და არ უნდა მოეშვა, — არ აჰყვებოდა დეიდა სალომეი. — ისე ყველაფერი დაიღუპება, ყველაფერი.

— ძნელია.

— ამქვეყნად ძნელია ყველაფერი, პურიჭამაც ძნელია.

— პურიჭამაა ძნელი, თორემ სხვას ეგებ რამე მოევლებოდეს.

— არ მოევლება ხელის ჩაქნევითა.

— სადაც არა სჯობს...

— გაჩუმდი, არა თქვა!.. — შეუტევდა დეიდა სალომეი, — გაცლის დრო წავიდა.

— სად წავიდა?

— ჰა?! — ამოეხვეწებოდა ყელი სალომესა, — მოვტყუვდი შენშიცა?!

— მე რაღა ვარ, — უშანგი ამასაც არ შეიცხადებდა.

— დოყლაპია!

— ჰა!!!

— დოყლაპიამეთქი.

— ვაჰ!.. — უშანგი ამას შეიცხადებდა, — თან არ გადავყე?! ჩემს ძმებს გამოვდგომივარ ასე?! მშობლებს გამოვდგომივარ?! შვილებს გამოვდგომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარ?! მეტი ვინ გითხრა, ვის შევადარო, მეტი ვილაა?

— მეტი სამშობლოა.

— ახლა ეგ მასწავლე!..

— გაგახსენე.

— საიდან სადაო?! — დაიბნეოდა უშანგი ცოტათი მაინცა, — საიდან სადაო, რა კვანტი იცის, ე რა ქალია!..

— აღარც მოგწონვარ?!

— დეიდაჩემო!..

— ჰო, ჰო, აღარც მოგწონვარ.

— მოიცა, მოიცა, — აღარ დააცდიდა უშანგი, — საით მეწევი?! ჯერ ის გამირკვიე, პირველი ბრალდება გამირკვიე: ჩაირიცხოსო, რო მიბრძანე, არ ჩაირიცხა?.. მე არაფერი, არაფერი, კარგი არაფერი. ჰო, ჩაირიცხა? მერე? იარა, ისწავლა, მიჰხედა თავის საქმესა? დაჰკრა ფეხი და გადაიკარგა; არ გადაიკარგა? მიბრძანე, მოსძებნეო; არ მოვძებნე?! არა, არაფერი, მე არაფერი, კარგი არაფერი; არ მოვძებნე? ჩაუთვალე და ჩაუბარეო, შენ არ მიბრძანე? არ ჩათვალა, არ ჩააბარა, ხუთები არ გამოიტანა?! არა, არაფერი, მე არაფერი. კარგი არაფერი, ხუთები ჰო გამოიტანა?

— ხუთები!..—გამოამტვრევდა დეიდა სალომეი. გამოამტვრევდა დაეგრიხებოდა ტუჩები.

— ეგ ეგრეა და.. მართალი ხუთები ადვილი არ არის. — თავს გაიმართლებდა უშანგი ასე.

— მერე და მორჩა?..

— სად მორჩა?!

— და ამას ვამბობ. შენ ზღაპრებს მიყვები. — გაიღიმებდა დეიდა სალომეი, მწარედ და მწვავედ გაიღიმებდა. ენას ველარ მოიბრუნებდა უშანგი, კბილებში მოიწეწკდა ენასა. შეიბრალებდა დეიდა სალომეი, რაც უნდა იყოს, დეიდა გახლდა, შეეკითხებოდა დაყვავებითა, — ნეტა სად იქნება?

— ჯანდაბაშია და დოზანაში.

— ი გოგოსთანა?

— ალბათა... მა, რა!

— აქ ასეთი მშვენიერი გოგონებია! თვალები სადა აქვს?!

— წარბს რო არ გაჰხსნიან ეგ შენი მშვენიერი გოგონები, იმათ რო ლაჯის გახსნაც არ უჭირთ, თვალებიც იქა აქვს. — აქ ამოიღებდა უშანგი სიმწარესა, წელან ენას რო ვერ მოიბრუნებდა.

— რა უწესობაა!.. — გაწყრებოდა დეიდა სალომეი.

— ჩემი ბრალია?!

— შენ ამბობ.

— არ ვიტყვი თუ ეს გვიშველის.

— ზრდილობა მაინც დიდი ღირსებაა.

— ბოდიშს მოვიხდი!.. — უშანგი დაჰხრიდა თავსა, დაჰხრიდა და რო ვერც დაჰხრიდა, ქედი შეუშლიდა, ძლიერი, ღონიერი ქედი, არ დაუშვებდა.

და საბაბი რო მიეცემოდა დეიდა სალომესა, აქადაგდებოდა ზნეობის ღირსებაზე და, რო არ ეყოფოდა ერთი მსმენელი, სხვებსაც მოუხმობდა, წამოეწეოდა თუ შეაყოვნებდა, ჯგუფს გაიზრდიდა, გაიბევრებდა, სხვანიც ჯგუფებად რო მიუახლოვდებოდნენ ლეონისა და თამარის საფლავსა, წლისთავზე ლეონისა, — გაიბევრებდა და გაიხსენებდა, ვით ამაღლებულიყო ქართველი კაცი სწორედ ზრდილობითა თვით დამპყრობელთა წინაშეცა, ვერაგ დამპყრობელთა, უთუოდ ვერაგთა, სხვაგვარი ჰო არც გაგონილაო; დაასახელებდა მაგალითსა აურაცხელსა, ქართლის ცხოვრებასაც რო გამორჩენოდა, ანთუ არც რო გააგრძელებდნენ ქართლის ცხოვრებასა ან თავდაყირა რო გააგრძელებდნენ, დაასახელებდა და გაიხსენებდა დიდედა გურანდუხტსა, იმისგან ვიცი, იმან იცოდა ბევრად მეტიო, ბევრსაც თვითონვე შესწრებოდაო. უშანგი თითქოს დროს იხელთებდა, გაიწევდა გასაძრომადა, სახელოს დაუჭერდა დეიდა სალომეი, ხან ასე ულმობელი დეიდა სალომეი: ზრდილობა არის ყველაფერიო, ზრდილობას დაჰკარგავ და ყველაფერს დაჰკარგავ, რახან დაჰკარგავ ადამიანობა-

სა; დავითი რაა, რო, — ეს დაუკარგავს და თუ მართლა ვზრუნავთ, ეს უნდა ვუპოვნოთო; ხუთიანები ვითომ რა არის, ხუთიანებით ვის რას უშველი, ვინც რო წერს, იმასაც რო არა სჯერაო, არაფერია ხუთიანი ამ ჩვენ დროში, თვალსაც ვერავის ვერ აუხვევ; ზრდილობის კარამდე მიგვიყვანია და ჩვენი ამაგი უნდა დაგვენანოს, ბარელამ უნდა გავუღოთ კარიო; ისიც ისწავლის პატივისცემასა ამაგისა და ზრდილობაც ეს არის, გასწიე, გაფხრიწე, აქ ჩაეტევაო; უნდა დავაბრუნოთ, — მოსჭრიდა სალომეი და შეეშვებოდა უშანგის სახელოსა.

— უნდა მოვძებნო... — დაასკვნიდა უშანგი და დააჩერდებოდა მიშვებულ სახელოსა, ჰო არ დაუწვამს თითებითაო.

— აი ეს მომწონს, — შეჰლიმებდა დეიდა სალომეი, და წაქეზდებოდა უშანგიცა:

— ამდენს რო ვცდილიყა ჩემთვისაც ვიშოვიდი ექიმის დიპლომსა.

— ეგლა გვაკლია!..

— რო არც გვაკლია!.. — სხვა შენიშნავდა და ისევ სალომე იხელთებდა სიტყვასა: რო გასტეხოდა სახელი ექიმსა, ვისაც რო შეეძლო, სადღაც გარბოდა, სადღაც ეძებდა მკურნალსა და მაჯის შემტყობსა: აფსუს რა იყო, კრემლშიაც რო ჩვენებს დაიბარებდნენ ხოლმე, მაშინ ამხელა სახელი ჰქონდათო; წინამძღვრიშვილი თითქმის იქ გახლდათ, ეს მევე ვიცი, მომიკითხავს და იქ დაიბარესო, მოუხსენებიათ; მართალია რო ჩვენნი იქნებოდნენ დამბარებელნიცა, მაგრამ უკეთესს მოიკითხავდნენ, აქ ეგულებოდათ უკეთესნიცა; ახლა რაღაო, დამლაგებელიც არ ენდობა პროფესორებსა, აკადემიკოსებსაც არ ენდობაო, ექიმს ჰო რაო, სათოფეზეც არ გაეკარება, ოღონდ რო იცოდეთ. ეგებ ექიმებში მაინც იყოს მართლა მკურნალი, ნამდვილი მკურნალი, მაგრამ რას იზამ, ნდობა როცა დაიკარგება, აღარც მალამო სჭრის, აღარც რჩევა-დარე[illegible] ასე იხელთებდა, ასე გასწევდა სიტყვითა, ოღონდ ნაბიჯს კიდევ მოუნელებდა, გუნდიც უფრო გაეზრდებოდა, ბევრსაც ჩაურთავდნენ თუ მიაწოდებდნენ სხვა მაგალითთა, თურმანიძეთაცა, ბაზიერაანთაცა, თვით მედეასაც გადასწვდებოდნენ, არ დასძრახავდნენ ამ შემთხვევაში, სატრაბახოდღა გამოადგებოდათ: მკურნალობა რო შეასწავლეს თვით ელინელებსა, დამზადება რო შეასწავლეს წამლეულისა, რო გაუშენეს, რო გაუხარეს სამკურნალო ყვავილეულ-ბალახეული, და ჰიპოკრატეცა, მედეას მოძღვრებას თუ ჩაიწერდა, ზეპირად რო გადმოცემულიყო „ილიადასა“ და „ოდისეასავითა“. ენდომებოდა შემოვლაი ამხელა დროსა. მიასწრებდა აპოლონის ჯგუფი. მიესწრო. მაინც სალომეს დაელოდებოდა. მაინც სალომე არ აჩქარდებოდა, წლისთავი რო არ აჩქარდებოდა. მერედა ისეთნიც მოიყრიდნენ თავსა, ჰეკატეს ბაღსაც რო გადასწვდებოდნენ, კირკესაცა თუ ცირცესაცა, ხოლო რასაც თუ გადასწვდებოდნენ, თვალს გადაავლებდა უშანგისა დეიდა სალომეი, მომნუსხველად გადაავლებდა თვალსა, თითქოს კიდევ რილაცის გაღვივებასა ლამობს მასშიო, ზეძალის დვრიტა თუ ეგულება, ანთუ შთაუნერგავს და ბარელამ განაღვივებსო; თითქოს უშანგი განიცდიდაო, შეიძვროდა, შეტოკდებოდა, წარსდგამდა ნაბიჯსა, უკან დაიხევდა, წარსდგამდა კიდევა უფრო მარჯვედა, წერტილს მოძებნიდა თუ ეძიებდა წერტილსა, საყრდენსა ისეთსა და იმდაგვარსა, რო აეტაცა მთელი სხეული, თავისი სხეული რაღა თქმა უნდა, აეტაცა ერთი აკვრითა, აეტაცა და აეფრინა, ასულიყო სულ მაღლა, მაღლა, განა თუ საფრენადა გარშემო დედამიწისა, — არა ცხადია: ასულიყო და მდგარიყო ეგრე, მიწას რო ებრუნა და ემართა იმისა, წუთისოფელიც რო იმას ემართა, — ეძიებდა იმა წერტილსა, თითქოსაო რაღა ქმა უნდა; ანუ თუ მართლაც თუ

ეძიებდა, ანუ თუ მართლაც წარმოიდგენდა, ვერ მიჰხვდებოდა იმდენს მაინცა, გზაი დავითისა სხვაგვარად რო ამოეკითხა დეიდა სალომესა: იქით მიდიოდა გზაი დავითისა, აქეთ მოჭრილიყო, — და მოინდომებდა ბედისწერის შემობრუნებასა, დეიდა სალომე მოინდომებდა, და უშანგის რო ირჩევდა სწორედ ბედისწერასთან მოჰიდავეთა. — ვერ წარმოიდგენდა ამასა ცხადია, ბინდადაც ვერა, ოღონდ თუ მაინც თუ გადასწყვეტდა დავაბრუნებო თუ წავა კიდევ დავაბრუნებო, ვიდრე თუ წელში არ გაწყდებაო, ჰიდილიც ჰო ეს იქნებოდა; ჰელიოსამდეც ჰო მიაღწევდა გუნდი სალომესი სიტყვითა ცხადია, მოგონებებითა, სალომე თითქოს დაასხივებდა თავის თვალთაგანა და უშანგი ნაბიჯს წარსდგამდა იმავე წამსა, წერტილს მოძებნიდა, საყრდენ წერტილსა, აი და აჰაა ავა და ავაო.

მაშინ წლისთავი იქნებოდამეთქი.

მუხათგვერდზედა, სასაფლაოზე თამარისა და ლეონისაი, — ლეონის წლისთავზემეთქი, ქრისტეს მერე რო ოცი საუკუნე უნდა გასულიყო, ხოლო ქრისტედან ჰელიოსისაკენ რამდენი გავიდა რო არ იცოდნენ, ვერც რო გაიგებდნენ, დაბნეულიყვნენ რო ისტორიკოსები.

ოღონდ აქ მაინც წლიდან წლამდისაო:

ამასობაში მოეწყობოდა ნიშანი ხსოვნისა მიცვალებულთა, სხვა არაფერი, ნიშანი ხსოვნისა, წარსულის ხსოვნისა, ერთი ოჯახის წარსულისა, ერთი გვარის წარსულისა, გვართა მრავალთა წარსულისა, ერის წარსულისა, მეტი არაფერი, არაფერი მეტი, — ვის უნდა აშინებდეს, რად უნდა აშინებდეს, რა უნდა აშინებდეს, — მეტი არაფერი; განსხვავდებოდა თავდაპირველი პროექტისაგანა, ცოტად თუ ბევრად განსხვავდებოდა, ანთუ იქიდან ის თუ დარჩებოდა, მარმარილო რო გადაეკვროდა ორივე საფლავსა, შავი, ყურში, კუნაპეტი მარმარილოი, შემ[illegible] საფლავის ქვები, ძველებური მოყვანილობისა, იმგვარივე მასალისგანა, რო გეგონებოდათ ნახელავი ატენელი ოსტატებისა, რო არც გეგონებოდათ, რო აღარ გადარჩენილიყვნენ ამის ოსტატები ატენშია; ქვებზე ჯვრები ამოესახათ, ამოეკაწრათ ვინაობანი, თარიღები, ეპიტაფიაცა, ძველებური ქართული ხელრთვითა, ასომთავრულის ჩაყოლებითა, სამდურავი ამოეკაწრათ წუთისოფლისა, მუდარაცა შენდობისაი, რამეთუ აქ თუ ვინც თუ მოსულა, ყველას შეუცოდავს, უსათუოდაო. შემაღლდებოდა ფერდობზედა სიბრტყეი იგი მარმარილოსი, აუყვებოდა ორი კიბეი აქეთ-იქითა, ბილიკი გასდევდა მერე კიბეთა, შემოერტყმოდა ამ ორ საფლავსა, მოებნეოდა კენჭები ზღვისა, რო ლივლივებდა, რო დანამავდნენ, რო ბზრიალებდა, ბწკრიალებდა, ელავდა, თრთოდა. ხოლო სულ უკან აღიმართებოდა ისევ კედელი მარმარილოსი, ანთუ რო ვერ გამოარჩევდნენ მარმარილოსგანა, ანუ თიხაი, ქანი ორბისული, შეღებილი ორბისული საღებავითა, ფრიდონს რო მიეგნო მამის ქაღალდებში; მაინც კედელი რო აღიმართებოდა, შემოჰყვებოდა ტაძრის კონტურები, მერე ფერდობიც მოთავდებოდა, ანთუ ბორცვი წარიკვეთებოდა, მერე ცაი მოერთობოდა, ცაი იგი მუხათგვერდისა, ცაი იგი დიდგორისაი, ანთუ კალთაი დიდგორის ცისა, — ცა ეფინა და ცის კალთას ება. მოგროვდებოდნენ და მოიწონებდნენ, ჯერ ჰო ისედაც მოიწონებდნენ, მერე მით უფრო, გამოირჩეოდა რო სხვა საფლავთაგანა, ტრაფარეტს რო ასცილებოდა, გასცილებოდა, აღიმართებოდა მკაცრადა, ჯიუტადა, შეუვალადა, თავისთავადა და მომხიბვლელადა. ·

— არ იუარეს?! — ვიღაც იკითხავდა.

— არ დავიშალეთ. — აპოლონი სხვებს დაასწრებდა, თავისიანთა რაღა თქმა უნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბიჭოს!..

— არ დავიშალეთ. — გაიმეორებდა ისევ აპოლონი,

— დაგიშლიან. — არ მოეშვებოდა ვიღაცა მაინცა.

— ბუზსაც ვერ აგვიფრენენ. — თავს გამოიდებდა ისევ აპოლონი.

— გაუკვირდებათ!.. — დაიწივლებდა მერე სულ სხვაი, მანამდის რო არც გაეგონათ, დაიწივლებდა ისეთ ხმაზედა, მანამდის რო არც დაენახათ, ისეთი ვინმე დაიწივლებდა, რო ვერც იცნობდნენ თამარისანი, რო ვერ იცნობდნენ ლეონისანიცა, ერთმანეთისა რო ეგონებოდათ, რო იკითხავდა ყველა იმათგანი სათითაოდა. მოპასუხეს რო ვერ მიაგნებდნენ; ისიც რო ხმას გაიკმინდავდა, აატრიალებდა ბალდადსა ჭრელსა, მოიწმენდდა თვალთა, ცრემლებს მოიწმენდდა, ჩაუვარდებოდა ბალდადი მერე, აითრევდა და ვერ აითრევდა, ქარი წაულებდა თუ ხელი სხვაგან მიეტანებოდა, თვალიც სხვაგან მიეტანებოდა, რო დასძაძლოდა ქუთუთოები, ჩამოსძაძლოდა საულვაშემდისა, — ასეთი ვინმე დაიწივლებდა.

— თითსაც ვერავინ ვერ დააკარებს. — არ შედრკებოდა მაინცა აპოლონი.

— შეეშინდებათ!.. — ისევ იგი დაიწივლებდა თუ მორთავდა ქირქილსა.

მოიბუზებოდა თითქოსა აპოლონი, მერე უცებ აიჭიმებოდა, აიფხორებოდა, აცმუკდებოდა, აივლიდა კიბესა ცმუკვითა, მარჯვნით ერთ სვეტს ამოუდგებოდა, სვეტსა თითქოსო მარმარილოსი, ოღონდ ისევე ორბისული თიხისა, ბარელიეფი რო ამომჯდარიყო, სახება ვახტანგისა, ლეონის ძისა, ომში დაღუპული ჭაბუკისა, სადღაც დაღუპულისა, შორსა, შორსა, ძალიან შორსა, — ამოუდგებოდა და გაიჭიმებოდა, არც ვის შეჰხედავდა, არც შეირხეოდა, აღარც იმ ვიღაცას გაუყადრებდა თავსა; ის ხმაც მიწყდებოდა, მიეფარებოდა ჭრელი ბალდადიცა, მოეფინებოდა საგალობელი, იმავე გუნდის საგალობელი, ისედაც რო მცირესი და კიდევ უფრო შემცირებულისა, უფრო სევდიანისა, უფრო მკვნესარისა, თვითონაც რო გამოჰკლებოდათ ერთი მგალობელი და მისტიროდნენ რო იმასაცა, ანთუ იმას რო დაიტირებდნენ, — იქით ფერდობზე განისვენებდა. ქარიც გალობას იქით წაიღებდა, არა თუ ავი, მშვიდი ქარი, მაინც რო ქარი, მეტი სიოზედა, წაიღებდა და მიუნანავებდა იქათაცა და იმას იქათაცა, შორსაცა და კიდევ შორსაცა, ღრმადაცა და კიდევ ღრმადაცა, ჰელიოსამდე თუ უფრო ღრმადაცა, ეს ხმა პირველად ვისაც ამოელო, ამ კვნესით პირველად ვისაც დაეკვნესა, ვისაც პირველად დაეჩურჩულა ამ სიტყვებითა, იქამდე და სწორედ იქამდისა, — წაიღებდა და მიუნანავებდა.

მგალობელნი შეისვენებდნენ და მოსწყდებოდნენ უმალვე ყველანი იმა შორეულსა, მიმაწყნარებელსა, მიმამშვიდებელსა, წუთისოფელს მოუბრუნდებოდნენ, ისე რო წამსაც არ დაახანებდნენ;

— მაინც სად იშოვნეთ?! — ვიღაც იკითხავდა, მარმარილოიო რაღა თქმა უნდა.

— სად ვიშოვიდით?.. — გაეპასუხებოდა აპოლონი ისევა, გაეპასუხებოდა და თავს აიღრენდა, თვალთ მიაპყრობდა, გადააცილებდა კავკასიონსა, გადააცილებდა, გადააცილებდა;

— დაგიჯდებოდათ... — თანაუგრძნობდნენ.

— ნულარ იკითხავთ!.. — აპოლონი ხელს ჩაიქნევდა.

— ჩამოტანა თქვი... — სხვა დააწევდა.

— აქ ამდენია!.. — სხვა თავს გაიქნევდა.

— ჰო... მოსკოვიდან ჩამოვატანინე. — სხვა დაიჩივლებდა.

— არ ჩამოართვეს?! — სხვა შესძახებდა.

— რა სათქმელია!.. — იგივე შენიშნავდა.

— დაირცხვენდნენ!.. — დასწივლ-

ებდა იგივე ხმაი და წავიდოდა, გადაიკარგებოდა; აქ თუ მოვარდებოდა და სხვას მიაშურებდა, სხვასა და სხვათა, რო მოედებოდნენ გორმახებსა მუხათგვერდისა, გლოვის დღე როა, კვირადღე როა და გლოვის დღე როა, დაკრძალვის დღე როა, ორმოცების დღე როა, წლისთავების დღე როა, მოვლის დღეც როა, საფლავთა მოვლისა, წყალიცრო არაა ახლო-მახლოსა, ვარდი მაინც რო გაახარონ; რო დაარქმევენ სასაფლაოთ აი ეს არისო, და მეტი რო არა ეხარჯვითრაი; რო შეესევიან მკვდარნიცა, ცოცხალნიცა, და რო ხრიოკებს გადააქცევდნენ ედემის ბაღადა; რო გამოდევნიდნენ იქიდანაცა, სხვა ხრიოკებს რო მიუჩენდნენ, იქაც იგივე ედემის ბაღს გაახარებდნენ, და ივლიდნენ ასე, ედემიდან ხრიოკებამდე, არც შეიცხადებდნენ, არც დაიჩივლებდნენ, არც აჰყვებოდნენ იმა წივილსა, ისე ადვილად არ აჰყვებოდნენ, არ დაივიწყებდნენ რამეთუ წარსულსა, შეიგნებდნენ რამეთუ აწმყოსა, შეიმეცნებდნენ ბოლოსდაბოლოსა, შრომისათვის რო გაჩენილიყვნენ, ხრიოკები რო ედემად ექციათ, მხოლოდ იმიტომ რო გაჩენილიყვნენ; შეიმეცნებდნენ და ვერც შეიმეცნებდნენ, ანთუ დასწივლებდა რალაცაიო თუ ვილაცაიო, გამოვარდებოდა ანთუ ტყიდანა, ამოძვრებოდა ანთუ მიწიდანა, ან იჯდა სადლაც მბლის წვეროზედა თუ ლელვის წვეროზე, დაიწივლებდა და ნაყოფს ჩამოჰყრიდა, დაიწივლებდა და გადაფრინდებოდა ზუილითა თუ შხუილითაო, შემზარავითა თუ შემაყრყოლებელითაო. იქ ჯერ მბალი არ იქნებოდა, იქ ჯერ ლელვიც არ იქნებოდა, არ იქნებოდა ნაყოფიერი არარაი სასაფლაოზედა, მერეცა ცხადია, მაცდურმა რო არ დაიბუდოსო, მაინც იპოვიდა ადგილსა თავისასა, რახან იქნებოდა, იპოვიდა კიდეცა, ბორცვიდან ბორცვზედაც გადაიზუვლებდა, სადმე ლოდზედაც წამოსკუპდებოდა, ამოძვრებოდა მიწიდანაცა. თუნდაც ორი კაცის შუაში, ორად ორისა. გალობაი იგი მიჰყუჩებდა წარმოსახვათა უამურთა, მაინც მიაყუჩებდა, მუსიკა დააცხრობდა შფოთსაცა, სიავესაცა, მხოლოდ მუსიკა თუ იქნებოდა, სულ მუსიკა თუ იქნებოდა, არაფერი მეტი.

— სადღაცა ყოფილა ერთი ქალაქი, პატარა ქალაქი, — ვილაც იტყოდა, აიფარებდა თვალებზე ხელსა, — რო არ მაგონდება?..

— როგორი ქალაქი? — სხვა დააჩქარებდა.

— მხოლოდ მუსიკალურ ნაწარმოებებს რო გადასცემს ტელევიზორი, სხვა არაფერს რო მოისმენენ.

სხვა სხვას იტყოდა, ააგდებდა სიტყვასა ბანზედა:

— მასწავლებელი მოგვიყვანეს შეწუხებული, ბავშვს თურმე ჩანთა დაერტყმია თავში.

— ერთს დაურტყამს?! — სხვა გაიკვირვებდა.

— აბა რამდენსა?! — სხვაც გაიკვირვებდა.

— ყველას არა, რო?! — კიდევ სხვაც აგრეთვე გაიკვირვებდა.

— რას ამბობ?! —ისიც რო გაიკვირვებდა, სხვა განუმარტავდა:

— მაშ რალა ემასწავლებლება სამოცისა თუ სამოცდაათი წლის ქალსა?! — განუმარტავდა თუ გაიკვირვებდა ისიცა.

— რჩენა არ უნდა?! — სხვა ჩაერეოდა.

— შვილებმა არჩინონ...

— შვილები მერე ვილამ არჩინოს?!

— თვითონ ველარ ირჩინეს თავი?!

— მშობელი მერე?

— დამსახურებამ უნდა არჩინოს. — ვილაც დაასკვნიდა და ველარც დაასკვნიდა:

— ყელზე არ დაგადგეთ!.. — დაიწივლებდა ხმაი იგივეი, დაიწივლებდა თუ ჩაიქირქილებდა, სადლაც ჯიბეში თუ ჩაიქირქილებდა, ვილაცის ჯიბეში, ყველა ყველას რო მიაჩერდებოდა. ყველა ჯიბეს რო ამოიბრუნებდა, ჭრელი ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლდადი რო არ ექნებოდათ, ქირქილი მაინც რო იქნებოდა, გალობაშიაც რო ჩაეწვნოდა, ამოკვნესაშიც რო ჩაეწვნოდა, ჩაეხვეოდა და ჩაენასკვებოდა. ისევ გარინდებას ამჯობინებდნენ, მიდუმდებოდნენ, მიყუჩდებოდნენ, დაელოდებოდნენ მგალობელთა. ჩადუმდებოდნენ მგალობელნიცა. ჩადგებოდა სიოცა თითქოსა, მუხათგვერდის სიოც ჩადგებოდა, თუ სიოზე მეტიც რო იყო, — რაც იყო, ისიც ჩადგებოდა წამიერადა და ეს იქნებოდა წამი იგი სულთათანისა, მარადისობის განცდის წამი ეს იქნებოდა, ახსნის წამი ეს იქნებოდა, გლოვის ახსნისა; და გამოფხიზლდებოდნენ, სადღაც წარსულნი თუ გადაკარგულნი წამიერადა, ისევ ამ სოფელს მოეგებოდნენ, ბინდს აიყრიდნენ, შეირხეოდნენ. შეირხეოდნენ ჭირისუფალნიცა, აიყრებოდნენ, დაიძრებოდნენ ჯერ ეგრე ერთადა, ერთ დიდ გუნდადა, მერე ნელნელა წაგრძელდებოდნენ, გაიწელებოდნენ, ჩაწყდებოდნენ. ჩაიკუწებოდნენ ავტომანქანებშია, შემობრუნდებოდნენ და დაეშვებოდნენ, გაიხლართებოდნენ გორმახებში მუხათგვერდისა, ფერად თუ ფერად ფარჩად გაიხლართებოდნენ, ამოვიდოდნენ იქიდან სხვანი, ისევ ისე ფერად ზოლადა, და თითქოს როდი ამოვიდოდნენ და თითქოს ესენიც როდი ჩავიდოდნენ, გაჭიმულიყო ჭრელი ბაღდადი, გაჭიმულიყო და ქანაობდა ქალაქიდან სასაფლაომდე, სასაფლაოდან ქალაქამდისა, — სამშაბათობითა, ხუთშაბათობითა, შაბათობითა, კვირაობითა, გარინდდებოდა თუ ჩამოშრებოდა, ანთუ მიყრუვდებოდა მუხათგვერდიცა ორშაბათობითა, ოთხშაბათობითა, პარასკეობითა: შვიდიდან ოთხი დღე იმა სოფელს მოუნდებოდა, სამიღა დარჩებოდა ამა სოფელსა.

## XX

თუ ვით გასწვდებოდა დღეი ოთხი იმა სოფელსა, არ ეცოდინებოდა ჯერ არავისა, მთხრობელი რო არ დაბრუნებულიყო იქიდანა, ხოლო სამი დღე რო ვერ ეყოფოდა ამა სოფელსა, მოეხსენებოდათ რაღა თქმა უნდა, და სულ იმ გზაზე რო იდგებოდნენ, იმ სოფლის გზაზედა, წლისთავი მაინც ანუგეშებდათ, ჭერის ახსნა ანუგეშებდათ. მოუბრუნდებოდნენ წუთისოფელსა, ისევ თავიდან რო უნდა დაეწყოთ, ქელეხიდან წლისთავამდისა, მაინც წლისთავი ანუგეშებდათ, გუთნეულივით ანუგეშებდათ, — სვეს რო გაიტანდა გუთნეული, ველზე გავიდოდა, კვალში ჩადგომამდე იშვებდა ხარი, ცოტას იშვებდა და მაინც იშვებდა. მაინც ჯერ ისევ ცხვირჩამოშვებულნი მიუსხდებოდნენ წლისთავის სუფრასა, მაინც ჯერ ისევ მიცვალებულს მოიხსენიებდნენ, მაინც ჯერ ისევ იმა სოფელს მოიხსენებდნენ, მერეღა ასწევდნენ თავსა, — ჯერ ცხვირს ჩამოუშვებდნენ და მერე თავს ასწევდნენ, — სიტყვასაც ასწევდნენ, ჭერი ჰო უნდა სიტყვით აეხადათ, სხვა არაფერი ახდიდა ჭერსა; თამადა უფრო მეტსაც იტყოდა, მეტსაც დააცდიდა, შესთხოვდა ღვინის დალევასაცა, არ დააძალებდა რაღა თქმა უნდა, ეს ჯერ ჰო ლხინი არ იქნებოდა, ჭერის ახსნაღა იქნებოდა, დაილეოდა ბოლო სადღეგრძელო, — ლხინი და ქორწილი ამის მერე ამ ჭერქვეშაო, — მერე იქნებოდა ლხინი და ქორწილი.

— რანი უნდა ვიყოთ, ამდენიც რო აღარ ვიცოდეთ?.. — ვიღაც იტყოდა, განა თუ იკითხავდა, იტყოდა ისე ვითომ თავისთვისა, ანთუ მართლაც რო თავისთვისა, ჯერ ისევ პირველ სადღეგრძელოებში, ლავაშს რო გაშლიდა და გაჰხედავდა, შუქი რო გაუვიდოდა, ლანდები რო წამოჩნდებოდა, საიქიო რო მოდგებოდა თითქოსაო, ანუ ის სოფელი, იგი სოფელი რო მოდგებოდა.

— რანიც თუ ვყოფილვართ უუუუუუძველეს დროსა. — ვიღაც მიუგებდა, ისიც რო ლავაშს წაავლებდა ხე-

ლსა, ოლონდ გახევდა და პირში ითაფებდა.

— თავისი სახელი დარქმევია ყველა პერიოდსა. — სხვა შენიშნავდა.

— ახლა მაგაზე მამტვრევინე თავი. — აუქცევდა სიტყვას იგივეი.

— აღარც თავის მტვრევა რო გვინდა!.. — სხვა დააწევდა.

— რა ეშმაკად გვინდა?!

— როგორ?!

— ჰო!.. — წააქეზებდა თითქოს ვილაცაი. და დუმილი რო მოჰყვებოდა, მხოლოდლა დუმილი, ჩანგალი თუ რო გაიწკრიალებდა, ჩაიქირქილებდა ხმაი იგივეი:

— იმტვრიე აბა!.. — ჩაიქირქილებდა და გაჰკვირდებოდნენ, თითქოს იქ დაგვრჩა, მუხათგვერდზეო, აქ როდის გაჩნდა, ანთუ სადა ზისო: თამადას იქით ეგონებოდა, სულ ბოლოში, ქალთა მხარესა ,იქიდან აქეთკენ გამოჰხედავდნენ, აქეთაც იქნებოდა, იქითაცა, იმას იქითაცა, გამოიჭყიტებოდა თვალები ჩამოძაძლული თითქოს ყველგანა, ყოველთა შუა, გამოიჭყიტებოდა და ჩაიბჟუტებოდა, ჩაქრებოდა და ამოილანდებოდა, ჭრელი ბალდადი ჭერში გამოეკვროდა თითქოსა, თითქოს ვერაფერი აჰხსნიდა ჭერსა, ატომური იარაღიც ვერაო, თორემ სიტყვა ჰო ვერაო და ვერაო; არ იყაბულებდნენ წლისთავზე ამასა, უნდა აეხსნათ უთუოდა, და რომელიღაცა დატრიალდებოდა, აქეთ ეცემოდა, იქით ეცემოდა, გვერდით მსხდომებსა რაღა თქმა უნდა, გაუმეორებდა რამდენჯერმეცა:

— უნდა ვიმტვრიოთ... უნდა ვიმტვრიოთ!.. — მიაჩერდებოდა თამადასაცა, სხვასაცა და სხვასაცა;

— უნდა ვიმტვრიოთ!.. — აიყოლიებდა არა თუ ერთსა, რამდენიმესა.

— თავი მაინც უნდა ვიმტვრიოთ,

— რო გვთათხავდნენ და ჩვენ უარესად ვითათხავდეთ თავსა,

— რო გვამცირებდნენ და ჩვენ უფრო მეტად ვიმცირებდეთ თავსა,

— რო გვანგრევდნენ და ჩვენ უფრო მრისხანედ ვანგრევდეთ ყველაფერსა, რაც რო აქამდე გვიშენებია, რაც რო საუკუნეებს უშენებია,

— რო გვაცდუნებდნენ და რო გვიმოძლვრებდნენ,

— რო ვკარგავდეთ ღირსებასა ჩვენსა, რო გვშურდეს სხვისი,

— უკეთესი და უარესი რო ვერ გაგვერჩიოს,

— რო დაგვევიწყოს საფლავები მამა-პაპისა, რო ვუკმევდეთ უცხოთა,

— რო გადავყოლოდეთ სხვათა სიამესა, შინ ბავშვები რო გვიტირდნენ,

— უნდა ვიმტვრიოთ!..

—იმტვრიეთ!.. იმტვრიეთ!.. — იგივე ქირქილი შემოირბენდა, უჩინრად შემოირბენდა, დაადუმებდა თუ გააქვავებდა ალაპარაკებულ ხალხსა, ჭერიც თითქოს ჩამოიწევდა თუ ჩამოიბერებოდა, გაიჭექებოდა, თითქოს გასკდებოდა და წამოვიდოდა ღვარი იმდენ ფერადა, ბალდადს რო ჰქონდა, ანთუ ჰაერი გამოიჭრებოდა, ფერადი ისიცა, ფერადი ჰაერი, აჭრელებული, ამღვრეული, ათქვეფილი. ეშმაკმა უწყის ანთუ რა თუ ანთუ რანაირი. და შეყოყმანდებოდა ამიტომაცა ვინმე იმათგანი:

— ნუ შევიცხადებთ ვინმე გვამმოშლილსა, ტურისტსა თუ გადამთიელსა, თუ აწყინა თათარამა.

— ფელამუშმათქო,

— რამაც თუ აწყინა!..

— მოშლილი გვამისგან თუ წარმოსდგება ჭკუაცა მოშლილი?

— და ქვეყანაზე თავს თუ მოგჭრის?

— სუფრას გაგიბახებს,

— შეგილახავს წმინდათა წმინდასა,

— რამეთუ ქვეყნად ცივილიზაცია სუფრით დაწყებულა,

— არათუ ცეცხლითა?.. — მიაგებებდნენ ამა კითხვათა და მოჰყვებოდა პასუხი უამრავი, იტყოდნენ ყველაფერსა, რაც თუ ითქმოდა ნატურფილოსოფოსთაგან მოკიდებული პრაგმატისტებამდისა, ნეოპლატონიკოსთაგან მოკიდებული უტოპისტებამდისა, ანარქისტებამდისაცა, პეტრე იბერიელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გამოსტოვებდნენ რაღა თქმა უნდა, აღიარებდნენ უყოყმანოდა ნუცუბიძის აღმოჩენასა და დასძრახავდნენ გამოფშუტულ დასავლეთსაც, ზოგ მკვლევარსაცა ზომიერი აღმოსავლეთისა, ჩვენი ცხადია, საქართველოსი, ნათელი აზრი რო მოსჭრიდა თვალსა, ნაღვლის შხამით გადალიბრულ თვალსა; იტყოდნენ და გამოჩნდებოდნენ მოდავენიცა, ვთქვათ თუნდაც რო არ მოეწონებოდათ გამოთქმა ასეთი, — „გამოფშუტული დასავლეთიო", ვერ გაიმეტებდნენ ეგრე ადვილადა და ცოტა არ იყოს შეკამათდებოდნენ:

— ევროპა მაინც ევროპაა.

— რა ევროპაა?

— თუ რაღა ევროპაა?!

— რა იყო, რა არის თუ რაღა არის?!

— აკვანია აწინდელი ცივილიზაციისა.

— ჰა?!

— აკვანიათქო.

— აკვანი ოქროს საწმისია, აწინდელი ცივილიზაცია ოქროს საწმისის ცივილიზაციაა.

— იმითი აეხილა თვალი საბერძნეთსა,

— რომსა მერე,

— თვალიც რო დაუბრმავდა, ალბათ იმითვე.

— არა... იმპერიამ დაუბრმავა თვალი.

— რამაც დაუბრმავა.

— იმპერიამ სხვებსაც დაუბრმავა თვალი.

— მაგალითად?

— შეჩერდით რომთანა. — გააფრთხილებდა თამადაი, გაიმეორებდა, ვაი თუ ვინმემ ვერა გამიგოო, ადგებოდა კიდევაცა, მერე ჩაჯდებოდა ჩამშვიდებული და მაშინღა გაისმოდა:

— ფეხი არ წამოგიცდეთ!.. — გაისმოდა და აჰყვებოდა იგივე ქირქილი, მწივანა ქირქილი. დაიფშხალებოდა თამადაი, თვალით დაეძებდა, მოღუშული თვალითა, ვერა ჰპოვებდა და იხმობდა მწდეთა, გააფრთხილეთო. შემოუსხდებოდნენ სუფრასა მწდენი, ვერა ჰპოვებდნენ ისინიცა ცხადია, ვერც რო ვერავის გააფრთხილებდნენ, ვერას მოახსენებდნენ თამადასაცა. აღარც ის იკითხავდა, სიტყვასაც ვინმე სხვა აიბამდა:

— კეთილი, შევჩერდეთ... ერთმა შემოსევამ დააქცია და ერთმა რელიგიამ აუგო ანდერძი.

— ერთი შემოსევა ციხეს ვერ დააქცევსო. — ვიღაცა ასე გაუსწორებდა.

— ეგ ქართულია, ქართული ნათქვამია, ერთმა შემოსევამაც რო ვერ დააქცია, ერთმა რელიგიამაც რო ვერ აუგო ანდერძი, მრავალმაც რო ვერა, ეგ ქართულია.

— ყველას თავისი ანდაზები აქვს.

— ჩვენ ასეთი გვაქვს.

— ჩვენხელა უამრავი გამოიჭრება ევროპაში.

— სხვა საქართველო სად არისო.

— სხვა იტალია სად არისო.

— იმათაც უთქვამთ?!

— მერე რამდენჯერა!..

— სხვა საფრანგეთი სად არისო.

— იმათაცა?..

— სხვა გერმანია სად არისო.

— სხვა ინგლისი სად არისო.

— სხვა შვეცია თუ ნორვეგიაო, სხვა ბელგია თუ შვეიცარიაო...

— ქრისტიანობამ რო ვერაფერი შესძინა ათი-თორმეტი საუკუნის განმავლობაშიცა და ისევ ოქროს საწმისის აღორძინებამ რო მოუტანა დიდება?

— მაინც იდიადა. შენ რაო!..

— მე რაო... ის თუ დამსხვრეულა და თულა დასცქერის თავის ნამსხვრევებსა?

— შენ რაომეთქი...

— ვაგლახ.. მეც მიცქერია: წარუტაციათ ოქროს საწმისი, განა ერთხელა, განა ორჯერა, უამრავჯერა.

— ძალა და ძალადობა...

— შინაარსი წუთისოფლისა.

— და მაინც: მტერნი არ შეგვიბრალებენ წუწუნითა და ვიშითაო. — გაახსენდებოდათ რო ესეცა, ჩამოწვებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დუმილი მცირედი, დუმილი ისეთი, დუდუნიც რო მკაფიოდ გაისმოდა:

— ახ, ახ, ახ!.. რატომ გავატანეთ ოქროს საწმისი?! — დუდუნი ვითომ სასოწარკვეთისა, ოღონდ უფრო რო გამკილავი დუდუნი.

— ვინ გაატანა?! — ისე იკითხავდა ის ვიღაც იყო, თითქოს ესაა, ახლაღა ერკვევა, ახლაღა იძიებს და შურს იძიებსო.

— ღალატმა.

— ღალატი მძლავრობს.

— ის ღალატი სიყვარულით დამშვენებულა.

— კიდევაც რო დამშვენებულა!..

— ყველა ღალატი დამშვენებულა, ზოგი რითათუ ზოგი რითაო.

— მაშ ღალატის მსხვერპლია.

— საქართველო...

— საქართველოო ლამაზო, სხვა საქართველო სად არი... — წაიმღერებდა ვიღაცა ოდნავა, თამადასაც რო აიყოლიებდა, ანთუ ხელით აიყოლიებდა, ლოტბარივითა, ხელითვე მოჰკვეცდა, ლოტბარივითა, ჯერ სიმღერა რო არ ითქმოდა, მერეღა რო ითქმოდა, ბოლოსღა რო ითქმოდა, რო მოიგონებდნენ მიცვალებულსა ერთხელ კიდევა, საბოლოო ჰიქას რო დასცლიდა ყველაი, უთუოდ დასცლიდა, მოწმენდდა თეფშსაცა შილაფლავისა, ლავაშით მოწმენდდა, თხელი, თხელი, სიფრიფანა ლავაშითა, თხელი ფარდითა ამა სოფლისა და იმა სოფლისაი, სოფელი ესე რო იქით მოსჩანდა, უკმაყოფილო და უმადური, მშფოთარი და დაუდეგარი, სოფელი იგი რო აქეთ მოსჩანდა, წყნარი და მშვიდი, უდრტვინველი და შეუწუხარი, სოფელი მარადისა, — მერეღა ითქმოდა, ხოლო მანამდე ითქმოდა სხვაი:

— ლამაზო!.. — ითქმოდა მწარედა, სინანულითაცა, როგორღაც ისე, თავის გულში რო ყველა აყვებოდა, ოღონდ ვიღაც რო თავს გამოიდებდა მაინცა:

— დიახაც ლამაზო!.. ბარაქალა პირველ მთქმელსა!..

— ახლა სხვასა ჰკითხე

— ყველამ თავისით გამოიდოს თავი, ყველა დაეტიოს თავის ქერქშია.

— არ გაწყინოს!.. — დაიწივლებდა მწივანი იგი, იმ ჭრელ ბაღდადში დაიწივლებდა თითქოსაო, ჭერს რო გამოჰკროდა, ჩამობერილიყო რო: დაიწივლებდა და ჩამობუქნიდა მაგიდამდისა, ავარდებოდა და ჩამოვარდებოდა, თითქოსაო რაღა თქმა უნდა, რამეთუ ღარსაით მოსჩანდა, ხმა მოისმოდა უჩინარადა. და შეუძახებდა იმა ხმასა იგი მადიდებელი პირველ მთქმელისა, შეუძახებდა და შესტყორცნიდა ჭერსა:

— დიახაც ლამაზო!.. მშვენიერო!.. გასაოცარო!.. გადასარევო!.. დიახაც! დიახაც! დიახაც!..

— ვითომ არც რო ჰკლავენ, ვითომ არც რო ქურდავენ, ვითომ არც რო ძარცვავენ, ვითომ არც რო აუპატიურებენ, ვითომ არც რო ხულიგნები დაუდის, ვითომ არც რო მისცემოდნენ სასოწარკვეთასა. — ჩაიდუდუნებდა ვიღაცა ისე, იმ აღგზნებას რო გაანელებდა, ოღონდ პასუხი მაინც მოჰყვებოდა, ისევე ჩამქრალი თუ მინელებული, პასუხი თუ კითხვანი მოჰყვებოდა ამდაგვარადა:

— სად არა ჰკლავენ?.. სად არა ჰქურდავენ?.. სად არა ძარცვავენ?.. სად არ აუპატიურებენ? სად არ დაუდით ხულიგნები ბევრად მეტი და ბევრად უამრავი?..

— სად რო აღარა!..

— ყველამ თავის ჩაოხრებულ საქმეს მიჰხედოს.

— შველას არ ინებებ?!.

— ყველამ თავის თავს მოუაროს.

— მომეცით ხულიგნები, თავზეხელაღებული ხალხი მომეცით, — ვიღაცა მაინც არ დათანხმდება იმ წინა მთქმელსა.

— გაკლია განა?!

— ბევრად მეტი მომძალებია, ვინ მომიგერიებს?.. მითხარით, ვინ მომიგერიებს?!

— სასამართლო...

— ვიდრე პეტრე მოვიდოდა პავლეს ტყავი გააძრესო.

— თუ პეტრეს გააძრესო?..

— თუ...

აქ აპოლონი ჩაერეოდა:

— მოიცათ ხალხო, თამადას მოვუსმინოთ. — იტყოდა ასე და თვალს ჩაუკრავდა თამადასა, აი თუ ხალხი როგორ გაგიჩუმე, აბა შენ იცი, შენი განაგრძეო, მაგრამ ვიღაც არ დააცლიდა, მანამდე რო არ ჩარეულიყო, ასე საერთო დუმილს რო ელოდა:

— დაგვიბრუნეთ ოქროს საწმისი!.. — იტყოდა ისე, თითქოს აი და მოართმევენო.

— ინებეთ ბატონო!... — დაიზრიალებდა ხმაი იგი, დაიზრიალებდა შორსა, სადღაცა, და იქ შიგნითაც აჰყვებოდა ძრწოლაი თუ ზრიალი მცირედი, შუშეულისაი რაღა თქმა უნდა; არ მოჰყვებოდა არცა თუ წივილი, არცა თუ ჭიხვინი, არცა თუ ქირქილი, არ მოჰყვებოდა და აღარც უნდოდა, ჩამოგრძელდებოდა რამეთუ ჭრელი ბაღდადი, თითებივით ჩამოგრძელდებოდა და დაიმუჭებოდა, დაიმუშტებოდა, გამოისკვნებოდა ბრაწნი, აპოლონი ვერ დაინახავდა, გაუკვირდებოდა რას შესცქერიანო, იკითხავდა და ვერ მიუგებდნენ, ანთუ ჰკითხავდა ისეთ ვინმესა, რო ვერ დაენახა ვისაცა აგრეთვე, ანთუ ისეთსა. რო დაირცხვენდა, ითაკილებდა, რო ვერ გამოსთქვამდა. ბრაწნი გაქრებოდა, განცდაი არა, არ განქრებოდა ეგრე ადვილადა, ვიღაცას გულიც აუჩქროლდებოდა:

— ნუთუ ამისი ღირსიც გავხდით?!

— აღარცა გჯერა?! — გაიოცებდა ვინმე სხვაი.

— მოდი და ნუ დაიჯერებ!..

— რამეთუ ვერ იქნა და ვერ მოვუარეთ,

— ვეღარც მოვუვლით,

— რამეთუ გვჯაბნის მანკიერება,

— რამეთუ გვძალავს უნიათობა,

— რამეთუ გვიპყრობს ბედოვლათობა, ვერ იქნა და ვერ მოვერიეთ,

— რამეთუ წყარო დაგვშრეტია სიყვარულისა,

— ჩვენის, ჩვენიანისადმი თანაგრძნობა ამოგვშრეტია,

— დაგვიწყებია პატიოსნება, ერთგულება, თავდადება, რწმენა, იმედი,

— ღირსეულება უღირსობას გათანაბრებია რამეთუ,

— გაგვიწირია ურჩეულესნი,

— თვით ილია გაგვიწირია,

— რამეთუ თვალნი აგვხვევია და ვერც გავახელთ ვეღარასოდესა... — გაუყვებოდა ამოძახილი ჯერ თუ ლობურადა, იბერიულადა, მერე კოლხურადა, დამილიეს წესისამებრა, გადავიდოდა და გადმოვიდოდა, წამოეგზნებოდა და წაიწევდა, მიირინდებოდა და მიიფერფლებოდა. ერთი ნაწილი არ აჰყვებოდა, გზას გადაუჭრიდა. ამა გვემასა თავგანწირულსა:

— ყველაფერი კარგია იმპორტული, ნიჰილიზმის გარდა.

— ნიჰილიზმმა დაგვღუპა,

— ნიჰილიზმი დაგვღუპავს,

— ნიჰილიზმი იარაღია ბაქტეროროლოგიური ომისა,

— მძვინვარე იარაღი,

— ატომურ იარაღზე უფრო მძვინვარი,

— ისევ იდეალიზაცია გვერჩივნოს,

— საბაბიც რო გვაქვს:

— მსოფლიოს აოცებენ მოცეკვავენი ჩვენი,

— მომღერლები,

— მოჭიდავენი,

— მოჭადრაკენი, მოჭადრაკენი, ქალნი მოჭადრაკენი,

— თეატრი... — და შეყოვნდებოდნენ და დროს იხელთებდნენ მოდავენი:

— კიდევ?

— დამთავრდა?

— ეთნოგრაფიაა მაინც ყველაფერი,

— მუზეუმსა ვგავართ ეთნოგრაფიისა,

— გადადებულსა დასახურადა.

— ოჰ, ეს ნიჰილიზმი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოჰ, ეს იდეალიზმი!..

— რეალიზმი, ბატონებო, რეალიზმი!..

ითქმოდა კიდევა, მრავალი რამ ითქმოდა, გადაივლიდა სიტყვაი იგი საზღვარსა ყოველსა ამა სოფლისა და იმა სოფლისა, გარდასულისა და მომავალისა, აღმოჩნდებოდნენ მჭერმეტყველნიცა, ქელეხზე რო თავს შეიკავებდნენ, ორმოცზედაც რო თავს შეიკავებდნენ, წლისთავზე აღარ რო შეიკავებდნენ თავსა, რო არ გამოსტოვებდნენ აღარაფერსა ბორბლის გამოგონებიდან რაკეტულ ძრავებამდე. ოღონდ ყველაფერს მაინც ვერ იტყოდნენ, ვერ აღმოიტყოდნენ, მაინც დარჩებოდა ბოლომდე უთქმელი, ან მთლად უთქმელი, რო ვერ გაუმხელდნენ. მეგობრებიცა ერთიმეორესა, რო ვერ გაუმხელდა თვითეულიცა საკუთარ თავსა, თუნდაც ბეთლემში გამოკეტილიყო, მეუდაბნოე გამხდარიყო თუნდაცა; ვერ გაუმხელდა და ვერც გაუმხელდა, რამეთუ სიტყვახ არ აჰყვებოდა, სიტყვით გარეთ არ გამოიტანებოდა, არც თუ ფიქრში გამოიტანებოდა, ფიქრიც რო სიტყვის ქსელში გაიბმოდა, მდუმარე სიტყვისა; სიტყვა იმას ვერ მისწვდებოდა, ფიქრიც იმას ვერ მისწვდებოდა, მდუმარებაც ვერ მისწვდებოდა, ვერც მისწვდენოდა, თუმცა ეცადათ, მისწვდომოდნენ სწორედაც რო მდუმარებითა, ამიტომაც განდგომილიყვნენ, ჩაეხშოთ სიტყვაი და ჩაეხშოთ ფიქრიცა, განწმენდილიყვნენ ცოდვათაგანა. რო აღძრულიყო იდუმალი იგი, უთქმელი იგი, ზიარებოდა მარადისის მდუმარებასა, მარად ფარულსა და მარად სახრ-ერსა, შეუმჩნევლადა და გაუგებრადა, განუცდელადაცა, თუმცა იქნებოდა განცდისაი მხოლოდა, ოღონდ ისეთი მცირედი დროისა, წამიც საუკუნეს რო შეედრებოდა, რო ვერ მიუწვდებოდა ადამიანი; ვერ მიუწვდებოდა ვერცა შეჯიბრითა სიჩქარესთანა სინათლისა, ძალასთანა ნგრევისა, სიდიადესთანა ყოვლისმომცველისა, სწორედ ამითი ვერ მიუწვდებოდა, დაშორდებოდა, დასცილდებოდა, სხვა მხრით ივლიდა, ვერასოდეს რო ველარ შეჰხვდებოდნენ ერთიმეორესა, ვერა ცხადია, რო ითქმოდა ეს ყველაფერი, რო არ ითქმოდა უთქმელი იგი, რო არ ისწრაფოდა, რო არ დაანგრევდა, არც არაფერს რო არ შეედრებოდა, რამეთუ რაც გახლდა, იგი იქნებოდა: საგანი ჭვრეტისა, ჭვრეტისა განცდითა, თვითჭვრეტისა, მარადი ჭვრეტისა, მისაწვდომისა და მიუწვდენელისა სიმცირისა გამო; მიეტანებოდა გრანდიოზულსა წარმოსახვაი, ცნობიერებაც გრანდიოზულს მიეტანებოდა, უსაზღვროებას რო ირწმუნებდა სამყაროისა, განუზომლობას რო ირწმუნებდა შეებმოდა გრანდიოზულსა, განზომილებად მიიჩნევდა გრანდიოზულსა და აცდუნებდა მიჩნევაი იგი, რამეთუ მცირეთი განზომილა დიდი, რამეთუ დიდით არაფერი არ განზომილა, თვითონ იგივეც არ განზომილა, და აცდუნებდა მიჩნევაი იგი, და გაიბმოდა ჯაჭვი ცდუნებისა, ღრევისა, დაბნეულობისა; ბედისწერაც ეს იქნებოდა, დაშორებაი უმცირესისა, ჭეშმარიტის დაშორებაი, დაშორებაი მშვენიერისა, ანუ ნეტარისა, ანუ უთქმელისა, უსაზღვროისა უმცირესობითა, მიუწვდენელისა უძიებლობითა, — ბედისწერაც ეს იქნებოდა; მიეცემოდნენ ესენიცა ბედისწერასა, იტყოდნენ ისევე, იბრუნებდნენ ისევე ნიჰილიზმიდან იდეალიზმამდისა, სასოწარკვეთიდან იმედოვნებამდისა, ილიადან რენეგატებამდისა, იბრუნებდნენ ერთ ადგილასა, ერთ წერტილზე გაუთავებლადა, იტყოდნენ ბევრსა და ყველაფერსა, თვინიერ იმისა, იმა უთქმელისა, ანუ არაფერს რო არ იტყოდნენ, ანუ ვერაფერს რო ვერ გაიგებდნენ, ვერც იძიებდნენ, რო დაჰკარგოდათ, ვერ შთაინთქმოდნენ თვითარსებაში, სულში, განცდაში ვერ შთაინთქმოდნენ. შიშითა შთანთქმისა; ეს შიში დასძლევდა, შეაძრწუნებდა შიში ესე და სიტყვაც თუ მიილეოდა, ვერ მიიკვლევდნენ უთქმელს ჰო მაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნცა, არ ექნებოდათ არც სურვილი, დაიბნეოდნენ ისე იმგვარადა; ისევ სუფრა თუ გასწევდა თავისასა, თამადა გასწევდა, ბოლოს მიატანდა, ბოლო სასმისს და ბრძანებდა ჰერის ახსნასა, რო გაფანტულიყო გლოვაი იგი, ურვაი იგი, ჰერქვეშ რო ბუდობდა, მიწას რო მოსდგამდა, ცაში ასულიყო და იქ გაფანტულიყო; მხოლოდ სიმღერა თუ აიტანდა ცაში მიწიერსა, — ასე მოსდგამდათ. და ასევე მოქცეოდნენ რაღა თქმა უნდა, და გაჰყვებოდნენ უმტკიცეს წესსა, უძველესსა და უმტკიცესსა, ვისაც რა უნდა ეთქვა, ვისაც რა უნდა ეღონა, გაჰყვებოდნენ და იმღერებდნენ;

წამოიწყებდნენ მრავალჟამიერსა,

ჰირში რო მღეროდნენ და ლხინშიც რო მღეროდნენ, იმ სიმღერას წამოიწყებდნენ, მხოლოდ ერთი სიტყვა რო გააჩნდა — მრავალჟამიერი — და მეტი არაფერი სიტყვათაგანი, იმ სიმღერას წამოიწყებდნენ, სხვა დანარჩენი ჰანგი რო იყო, შეძახილები მრავალ ხმაზედა, იმ სიმღერას წამოიწყებდნენ, ის შეძახილები ეგებ ოდესღაც სიტყვები რო იყო, აზრი რო იყო, ანთუ მაშინაც განცდა რო იყო უსიტყვებოდა, მხოლოდღა განცდაი, მხოლოდღა ჰვრეტაი უსიტყვებოდა, იმ სიმღერას წამოიწყებდნენ, ვინ უწყის თუ როდის რო დაეწყოთ, ჯერ რო სიტყვები რო არც იცოდნენ, ვინ უწყის როდისა და ისე დაეწყოთ, არც რო არასდროს დამთავრებულიყო, — მრავალჟამიერო, ასე დაეწყოთ, დაეწყოთ და ეჰა გრძელდებოდა, გრძელდებოდა და გრძელდებოდა მრავალ ხმაზედა, მრავალგვარადა, იმდენგვარადა თუ იმდენნაირადა რამდენი ხევიც რო, კავკასიონს რო ჩამოსდევდა, თრიალეთსაც რო ჩამოსდევდა, რამდენი სოფელიც ველებზე გაშლილიყო, იმდენაირადა, — უამრავადა; რო წაებმოდა ერთიმეორესა, იგივე რო იყო და არც იყო იგივე, ახალახალ განცდას რო იწვევდა, ახალახალ თრთოლვას რო იწვევდა, რო ალანთებდა ახლებურადაცა მრავალჟამიერ სიცოცხლისადა, სიკვდილის ჯინაზე სიცოცხლისადა, მტრების ჯინაზე სიცოცხლისადა, მრავალჟამიერ სიცოცხლისადა; აიფხრიწებოდა ბაღდადი იგი, ჭრელი ბაღდადი, იგი ქირქილი თუ ჰიხვინი იგი გადაიკარგებოდა, დარდი, ვარამი გადიკარგებოდა და გავარვარდებოდა მხნეობა იგი, სიცოცხლეს რო ენება, სიცოცხლეს მრავალჟამიერსა, ერის სიცოცხლესა, ქვეყნის სიცოცხლესა,

წამოიწყებდნენ და გაგრძელდებოდა. მრავალჟამიერ გაგრძელდებოდა, აიხსნებოდა ჰერი წლისთავზედა.

## XXI

ორბელ ეწრელი აჰხსნიდა ჰერსა, მრავალჟამიერს ის დაიწყებდა, ის დაუნაცვლებდა ერთიმეორესა, წააქეზებდა, აიყოლიებდა, ააგუგუნებდა ჩაყრუებულ კედლებსა, დიდიხანია რო აღარ ეგუგუნათ ისეთი რიხითა, ისეთი ომახითა;

ღიმილი ასჭრიდა მოქუფრულ სახესა დეიდა სალომესი, აცმუკდებოდა დეიდა მერი, შუქი გადაჰკრავდა თვალთა დეიდა ზეინაბისა, დეიდა ირინე აჰხრიდა წამწამთა, აჰხრიდა და ისევ დაჰხრიდა, დედა -- ციცინოსი, დაი ამათი — სურათადღა ეკიდებოდა კედელზე ცხადია, სასოებისა და ვედრების სურათადა, შვილისთვის სიკეთის ვედრებისადა, შვილისთვის სიხარულის ვედრებისადა; სიკეთეც ვითომც ეს იქნებოდა, — ორბელ ეწრელი. სიხარულიც ვითომც ეს იქნებოდა, — ორბელ ეწრელი, აჭრილი ღიმილი ამას იტყოდა დეიდა სალომესი, ცმუკვაი იგი ამას იტყოდა დეიდა მერისა, შუქი თვალთა დეიდა ზეინაბისაცა ამას იტყოდა, წამწამთა რხევა თუ რას იტყოდა დეიდა ირინესი, — ძნელი სათქმელია; ციცინო იმას მიაჩერდებოდა, — დეიდა ირინესა, ესენი უკეთ ეცოდინებოდა, ეს დეიდები, უფრო რთულნი, გარეგნულად უფრო მიზეზიანნი, უფრო ძნელად დასაურვებელნი, ოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონდ და მაინც, მსგავსი მსგავსთანი, მრავალთაგანნი, ამოსახსნელნი ბევრად ადვილადა; ის ნაკლებად ეცოდინებოდა, ანთუ არცთუ ეცოდინებოდა, ის უფრო უბრალო, ის უფრო ნათელი და მიუდგომელი სინათლესავითა, — და მიაჩერდებოდა დეიდა ირინესა, გამოტყდი ბარემ, შენ რაღას მისურვებო; არ გამოტყდებოდა დეიდა ირინეი, გამოსატეხი რო არც ექნებოდა, მიენდობოდა გულის კარნახსა, თავისი გულისა, თავისი დღენი, რჩევანი სხვისი ვერაფერს შველოდა და ვერ ურჩევდა თვითონაც ვერავისა, ხოლო თუ მაინც აჰხრიდა წამწამთა, ეგებ უნდოდა მხოლოდ ის გაეგო, ჩემს დისწულს გული თუ რას უკარნახებსო; და მიაჩერდებოდა დისწული დეიდა ირინესა, და აემღვრეოდა ღიმილი დეიდა სალომესა, და დაუცხრებოდა ცმუკვაი იგი დეიდა მერისა. და წაიხრებოდა თვალნი დეიდა ზეინაბისა, და გამოეპარებოდა ციცინოს ესა, დეიდა ირინესაც გამოეპარებოდა. მიაცივდებოდნენ ერთიმეორესა ისე, იმგვარადა თვალითა ცხადია, მხოლოდდა თვალითა; დეიდა სალომეც იქ ჩაეხლართოდა, დეიდა მერიცა, დეიდა ზეინაბიცა, ეჭვი დარევდათ, შური დარევდათ ხელსა. ვერ გაუგებდნენ რამეთუ ცხადია; და ვერც ისინი გაუგებდნენ ერთიმეორესა, ვერაფერს გაუგებდნენ, მხოლოდ ესაა, ირინე რო ხელახლა გადაიკიდებდა დებსა, — ეს იქნებოდა და მეტი არაფერი;

აიწევდა მრავალჟამიერი, ამაღლდებოდა და დაეშვებოდა, მინელდებოდა. ხმაი ეწრელისა სადღაც იქ, შორსა, მინელდებოდა, მიჰქრებოდა და იქვე აიწყვეტდა, იქ, იმსიშორესა, მოვარდებოდა გულამოვარდნილი და ჩაიმუხლებდა, აჩქროლდებოდა, ათრთოლდებოდა და გუგუნად ამოვარდებოდა, თრთოლვაში, ჩქროლვაში ამოვარდებოდა, დაინთქმეოდა და ამოვარდებოდა, მიჰქრებოდა და აენთებოდა, მიმკვდრდებოდა და გაცოცხლდებოდა, იმჩქეფარებდა, იმჩქეფარებდა, იღუღუნებდა, იგუგუნებდა;

კლანჭს ჩაავლებდა დეიდა სალომეი ციცინოსა, ცერსა და სალოკს ჩაავლებდა იდაყვზედა და მიითრევდა თავისკენა; დაულურჯდებოდა, დაეფოთლებოდა ნაკლანჭევი დეიდა სალომესი, კარგახანსაც გაჰყვებოდა, ველარც მოიგონებდა, რისგან იყო თუ როგორ მოსვლოდა, ოღონდ იმ წუთას არ წაართმევდა არცა თუ მკლავსა, აღარ მოსწყვეტდა არც ყურადღებასა, აღარაცა თვალთა, რამეთუ ისიც თვალით მოუბნობდა, სახით მოუბნობდა. უსიტყვებოდა, აღტაცებასა ორბელ ეწრელითა, მოუბნობდა და მოაწონებდა, მოუწონებდა და ურჩევდა, რო აღარ გადაუდო, ქორწილი მოება წლისთავისათვისა; ხოლო ქორწილს თუ არ ინებებდა, ნუ ინებებდა, ხელი მოეწერათ, ჰერი ახდილიყო, — აჰა, გაჰყრიდნენ ამა ყვავილთა, გლოვის ყვავილთა, ბედნიერების ყვავილთ მოართმევდნენ და მისცემოდნენ ბედნიერებასა, როგორც ყოფილიყო დასაბამიდანა, — გლოვის წილ სიხარული, სიხარულის წილ... ო, არა, არა, მხოლოდ სიხარული; ასე მოუბნობდა და ასე მოისმენდა თვით ორბელიცა, თან რო იმღერებდა, თან მოისმენდა, მეტყველებდა სახეი ისეთადა დეიდა სალომესი, ისეც რო იცოდა, რო თანაუგრძნობდა დეიდა სალომეი. მხურვალედ რო თანაუგრძნობდა; თანაუგრძნობდა დეიდა მერიცა, დეიდა ზეინაბიცა, ხოლო ირინესას ვერას გაიგებდა, არც რას რო ეტყოდა და არც რასა ანიშნებდა, არც რო შეჰხედავდა, ამასა, სასიძოსა. ორბელ ეწრელსა; არც არად ჩააგდებდა იგი ეწრელი, გაერკვეოდა აქამომდისა, სალომეს ნებას რო დაჰყოლოდნენ, ხოლო ნებაი იგი მოდრეკილიყო ორბელისაკენა, ორბელს ისურვებდა მეუღლედ ციცინოსი; სხვა არც არაფერი ექითხებოდა, ჩაათავებდა მრავალჟამიერსა, ყველა ხეობისას ჩაათავებდა, გაისტუმრებდა მოწლისთავეთა, შინაურიან-გარეული-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანადა, გაჰყრიდა გარეთა გაქირავების უშნო, უჟამურ მაგიდებსა თუ მერხებსა, უშნო ჰურჭელსაც ზედ მიახვეტავდა, — იგივე, იმავ გაქირავებისა რალა თქმა უნდა, — თვითონვე, მარტოდა, არავის რო არ დასაქმებდა, ანთუ დასაქმებდა, მანდედანაც გამაშორეთო, შეიკეტავდა მაშინვე კარსა და გაუცინებდა ჰერსა ახდილსა; ეს რო აქეთ გაჰხსნიდა მკლავთა, ის იქით გაჰხსნიდა, ეს აქედან რო გაექანებოდა. ის იქიდანა, ანთუ ის არა, — დაჰხრიდა თავსა, აისუსებოდა, თითქოს ესაა, უნდა ჩაიფშხვნესო და მიეჭრებოდა იმავწამს ესა, აიტაცებდა. შეისროდა, შესტყორცნიდა, დაიჭერდა და დააპროწიალებდა, დააპროწიალებდა და გაიტაცებდა, გაიტაცებდა და დაუშვებდა, დაუშვებდა და გაშლიდა, განფენდა, განასპეტაკებდა; ასეც იმღერებდა, ამა ეშხითა, ჩაათავებდა მრავალჟამიერსა მართლაც ამ ეშხითა, გაისტუმრებდა ამავე ეშხითა, გაჰყრიდა ასევე გასაყრელსაცა, ოღონდ თვითონაც გარეთვე დარჩებოდა, ჭვინტს მიახლიდა კარის ძგიდესა ერთიორჯერა, მერე დაბლა დაეშვებოდა ისე სწრაფადა, რო გაუსწრებდა ადრე გასულთაცა, გვიან გასულთაცა რალა თქმა უნდა, თავიანთ კართან დაჰხვდებოდა კორკოტაძეებსა;

შინ მაინც აღარ მიესვლებოდა, ისე გამოიხურა კარი, გამოიჯახუნა, გამოიხეთქა, აღარ მიესვლებოდა ამაყ კაცსა, მერე — იაპონური მაგნიტოფონიც რო წამოეღო, ჯინსებიც რო გამოეყოლებინა, მანქანაცა ცხადია, 24, — აღარ მიესვლებოდა რალა თქმა უნდა, აღარც არსაით გზა ექნებოდა დეიდა სალომეს იქითა, კორკოტაძეების იქითა, ციცინოს რო მიეხურა კარი, ზედ ცხვირწინ მიეხურა. კარგი რამას ნოლა ცხვირწინა; გაუკვირდებოდა რო, დეიდა სალომესაცა, საქმე საქმეზედ მოსული რო ეგონებოდა, ორბელ ეწრელის სურვილს რო ვერვინ აღუდგებოდა, — ესეც აგრეთვე რო ეგონებოდა; ეგონებოდა და გაჰკვირდებოდა, სხვა დროს ეგება ზურგს შეაქცევდა, ზურგს შეაქცევდა დამარცხებული, მაგრამ ამჯერად ეს არ შეეძლო: მარცხდებოდა რო თვითონაცა, არ შეეძლო რალა თქმა უნდა; აიბზუებდა მაინცა ცხვირსა და ეგრე განჭვრეტდა. სად შეიძლება რო შემცდარიყო, ანთუ თვითონა, ანთუ ესა, ან ორივენი? ანთუ ეგერ აპოლონიცა?.. ბევრჯერ იტყოდნენ და ბევრჯერ განსჯიდნენ, დრო ექნებოდათ წლისთავამდისა; გაახსენდებოდათ ჯვრისწერის უარი, ქორწილის უარიცა ციცინოსაგანა, ხელმოწერის უარი არ გაახსენდებოდათ, მტკიცე უარი არ გაახსენდებოდათ, ხოლო დუნეს ჰო არად ჩაუგდებდნეს. შეუძახებდნენ, შეუმღერებდნენ, არად ჩაუგდებდნენ დუნე უარსა; აქეთ ორბელს წააქეზებდნენ, წაქეზებაც რო არ ენდომებოდა, სიძედ მოუხმობდნენ და ლოყას მიუშვერდნენ დეიდა სალომეცა და დეიდა მერიცა, აპოლონიცა რალა თქმა უნდა. ხშირად მიიწვევდნენ და შეახვედრებდნენ სასიძოსა და საპატარძლოსა. მიიღებდნენ საჩუქრებსაცა სასიძოსაგან, ამჯერად, ვითარცა სასიძოსაგანა, — ქალსაც ახლა მიიღებდნენ, ვენეციურ ქალსა, — მიართმევდნენ თვითონაცა აგრეთვე ჰალსტუხებსა ნაირნაირსა, ცალკე სალომეი, მერი ცალკე, ცალკე აპოლონი, დააბარებდნენ უცხოეთში გამგზავრებულთა, გააცილებდნენ და შეეგებებოდნენ და მოურთავდნენ საყელოსა ნაირფერადა; მოურთავდნენ და მოეფერებოდნენ, გააბრუებდნენ შვილთა თუ სიძეთაგან თავმობეზრებულსა, შინ შესვლას რო აღარ ინდომებდა. წლისთავამდისაც რო ველარ დაითმენდა, უთხარით, უბრძანეთ ახლავე დამთანხმდესო, აცმუკდებოდა და დაიყინებდა; შორს დაიჭერდა თვით სალომეცა, მერიცა ცხადია. აპოლონიცა, მოუთმენლობა კარგი ნიშანია ამ შემთხვევაში, ოღონდ მოთმენაც ნაბრძანებია სწორედაც რო ამ შემთხვევაში, გლოვას ვერავინ ვერ დააჩქარებს, ვერც შეანე-

ლებს გლოვას ვერავინო, — შორს დაიჭერდა და ლოყას მიუშვერდა დეიდა სალომეცა, მერი დეიდაცა, აგრეთვე ბიძია აპოლონიცა; არ ეპიტნავებოდა ეს ლოყები ორბელ ეწრელსა, არ ეპიტნავებოდა და მაინც მიუშვერდნენ, არ ეპიტნავებოდა და ეამბორებოდა მაინცა კრთომითა, ნაზადა, სათუთადა, იქამდის რო ვერ მიაღწევდა, ისე რო ეწეოდა, ჭაბუკივით რო გაეხელებინა, ეწეოდა და არ გაიკარებდა. არც რო უფრთხოდა და არც გაიკარებდა, ჭაბუკზე უფროც რო გახელებულიყო, — წლისთავამდისაო, დაამშვიდებდა დეიდა სალომეი, წლისთავამდისაო, თვალს მოუჭუტამდა დეიდა მერი, წლისთავამდისაო და... ისეთს ეტყოდა აპოლონ ბიძია, თითს დაუქნევდა დეიდა მერი, აპოლონსა რალა თქმა უნდა, მუშტს მუშტზე დასცხებდა დეიდა სალომეი, ასე დავნაყავო, აპოლონსა რალა თქმა უნდა; გაიცინებდა აპოლონი, ორბელი არა, დაითვლიდა თითებზე თვეებსა, კვირეებსა, დღეებსა, საათებსა, დაითვლიდა და ველარ დაითვლიდა, თითქოს თუ ბევრი გამოდიოდა, ბევრი უფრორე, რამდენიც რო იყო; სამზადისს ამიტომაც ადრე დაიწყებდა, სამზადისსა წლისთავისადა, ის ირბენდა მარმარილოსთვისა, ხიზილალასთვისაც ისვე ირბენდა, სათალისთვისაცა რალა თქმა უნდა: ვაჟკაცი ყოფილაო, იტყოდა ფრიდონი, ვაჟკაცი ყოფილაო, იტყოდა უშანგიცა, — ჰო იცოდა და კიდევ იტყოდა, ვაჟკაცი ყოფილაო, აპოლონიც იტყოდა, თვით აპოლონი, აბა რა გგონია!.. იყო და იტყოდნენ რალა თქმა უნდა; იტყოდნენ და გაიცინებდა ციცინოი, იტყოდნენ იმის გასაგონადა, გაიცინებდა გავიგონეო, ის გაიცინებდა და აფოფინდებოდა დეიდა სალომეი; დავითანხმოთ ეგება ჯვრისწერაზედაცა, ეგებ ქორწილზეც დავითანხმოთო, თორემ სხვა ჰო გადაწყვეტილა, ჰერი აიხსნება და იქვე დარჩება ჩვენი ორბელიო, — თვით დეიდა სალომე აფოფინდებოდა, აბა რა გგონია!.. ჯვრისწერა არაო, ქორწილი არაო, რო გაიცინებდა, [illegible] მაინც ამასა ციცინოი, მეტს არაფერს გამოურევდა, არა უარობდა არც თაიგულებსა ორბელისასა, არცა გზის გათავაზებასა თუ გაცილებასა ორბელის მიერა, არცა სადილობასა მისივე გვერდითა დეიდა სალომეს სუფრასთანა, ქათინაურებსაც არა უარობდა, იმისსავე რალა თქმა უნდა, გადაკრულ სიტყვებსა, კალამბურებსაც არა უარობდა, არცა ნათქვამსა ასე მეხივითა, — ერთმანეთისათვის გავჩენილვართო, ორბელის ნათქვამსა რალა თქმა უნდა, ყანწი რო ეჭირა და სადღეგრძელოს რო სვამდა ამისასა, სადილობისასა დეიდა სალომესთანა, ხან ვახშამიც რო წაებმებოდა, რო შეესწრებოდნენ სამმართველოების უფროსები გადაყენებულნი, რაიკომების მდივნები თუ ალმასკომების თავმჯდომარეები, ყოფილნი ცხადია, მოლავებულნი პროფკავშირებში, მინისტრები, აგრეთვე ყოფილნი, გამწესებულნი პენსიაზედა, სხვანი თუ სხვანი, რო შემოუვლიდნენ აპოლონსა გარდასულის მოსაგონრადა, ტკბილთა დღეთა მოსაგონრადა, თვითონაც რო თავს აწონებდნენ არა თუ ასულსა მშვენიერსა, არა თუ ბანოვანსა მშვენიერსა, არა ცხადია, — იმა უფროსებსა, რომელთა მერე რო მოლავებულიყვნენ, თავს აწონებდნენ და ათამაშებდნენ იმხელა ყანწსა, ორბელი რო ათამაშებდა, ათამაშებდა და სცლიდა კიდევაცა, სცლიდა და ალავერდს გადავიდოდა; ესენიცა სცლიდნენ მაშინა, ჟამსა გარდასულსა, ალავერდსაც გადადიოდნენ, და სცლიდენ ყველანი, ტუჩებს იწუწნიდნენ, დაიკოცნიდნენ თითებსაცა, — ახლა აღარა რალა თქმა უნდა, ახლა სავსე ყანწს შემოიტარებდნენ, გრძელი სიტყვებით შემოიტარებდნენ, და გაატანდნენ დეიდა მერისა, სადმე რო ჩაეცალა; აიხირებდა ორბელი ცოტასა, აპოლონი მოუბოდიშებდა: რო იცოდე რამდენი შეეძლოთ, კიდევაც რამდენი შეუძლიანთო, ოღონდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეა ახლა საჭიროო; ორბელიც აღარ აიხირებდა, არა თუ მხოლოდლა იმიტომა, უნდა მიეხედა ციცინოსთვის რო, არამედ აგრეთვე იმიტომაცა, ვინ იცის უფრო იმიტომაცა, არად მიაჩნდა რო ესენი თვით მაშინაცა და ახლაც რო არად ჩააგდებდა; მიუხვდებოდა ციცინოი და გაიცინებდა, მიუხვდებოდა სალომეი და მოილუშებოდა, — ის სხვა იქნებოდა, ის მოლუშვაი რალა თქმა უნდა, ის თანხმობა ჰო სულ სხვა იქნებოდა, — იქნებოდა ჰო თანხმობაი, გაგებაი სულთა, დალერებულთა შესაერთებლადა?.. — სად შეიძლება რო შემცდარიყო, ანთუ თვითონა, დეიდა სალომეი, ანთუ აპოლონი, — აპოლონიც ჰო თვალს ჩაუკრავდა, თუმცა ორბელი არ მოსწონდა იმწუთს იმასაცა;

უამათოდ თუ შესცოდა ორბელმა, თუ გაანაწყენა?

შეიცხადებდა ორბელი ისე, სხვა დადრკებოდა სალომეს ადგილასა, — სალომე არა რალა თქმა უნდა, უშანგის იხმობდა, გამოჰკითხავდა, ცალკეცა, ისეცა, ორბელისავე თანდასწრებითა. გამოჰკითხავდა და ვერ გამოიტანდა ისეთს ვერაფერსა, ასეთ საქმროზე უარი თქმულიყო; ის ვითომ რაო თუ ისადილებდნენ ეს სამნი მთაწმინდაზე, — უშანგი, ორბელი, ციცინოანადა, — თუ სთხოვდა დღეს ფულს მე გადავიხდიო, თუ არ დამაცდით, მაწყენინებთო, ოფიციანტს თუ მოიხმობდა, გადახდილიაო, მოახსენებდა თუ ოფიციანტი, გაბუტული თუ წამოდგებოდა, გაბუსხული თუ გამოვიდოდა, ციცინოი რალა თქმა უნდა — ის ვითომ რაო!.. არაფერიო, დაასკვნიდა დეიდა სალომეი, ამისთვის საქმროს ვინ დაიწუნებს სულელის მეტიო; ანთუ ის რაო, თუ მიართმევდა ბილეთებსა ორბელი, თუ ეუარებოდა ციცინოი, ვერას დავესწრები წლისთავამდისა, მითუმეტეს რო შანსონეს კონცერტსაო, თუ არ მოეშვებოდა მაინცა ორბელი, მერე ოპერის ბილეთებით არ მოეშვებოდა, რო გაამწყრალებდა, იქამდე რო არ მოეშვებოდა, — ისიც რო რაო. დაასკვნიდა დეიდა სალომეი, ამისთვის საქმროს ვინ დაიწუნებს, სულელის მეტიო: ან ის თუ რალაო, მოჩხუბრებს თუ გადაეყრებოდნენ, თუ ჩაუვარდებოდა ორბელი შუაში, გააშველებდა და ვერ მოიშორებდა, ორივენი თუ ამას შეუტევდნენ, დაეჟეჟავდა თუ ორივესა. მოდლლებძილ საყელოს მერე ხელით თუ იფარავდა, ეგრე თუ მიჰყვებოდა გვერდითა ციცინოსა. რო უსაყვედურებდა ციცინო უთუოდა, მთვრალი რალა საცემიაო, ორბელი თუ არ დაუთმობდა, სწორედაც მთვრალია საცემი. თორემა ფხიზელი თავს ვინ გაცემინებსო. — ისიც რო რალაო, — არაფერიო. დაასკვნიდა დეიდა სალომეი, ამისთვის საქმროს ვინ დაიწუნებს სულელის მეტიო, — ვერ გამოიტანდა ასე რო ვერაფერსა, ვერ გამოიტანდა და სძრახავდა უშანგისა, ყველაფერი მაინც შენ წაახდინე, ისე ადრე რო გამოგვიჩინე ორბელიო, აი ახლაღა უნდა მოგეყვანა, თავბრუს დაახვევდა ასე ერთბაშადა, არ ექნებოდა დროი ფიქრისა. ერთიერთმანეთს გადასწყვეტდაო; სძრახავდა უშანგისა და მიივიწყებდა, როგორ რო გაახარებდა ვენეციური ქალი. როგორ რო გამოძიებდა ოჯახურ ყოფასა ორბელ ეწრელისა. როგორ რო ჩააგდებდა გულისხმაში აქეთ ციცინოსა და იქით ორბელსა. როგორ რო გაიშინაურებდა ორბელსა, როგორ რო სჯეროდა, ქერის ახსნასლა ელოდება ჩემი დისწულიო, — მიივიწყებდა და სძრახავდა უშანგისა; არ მოაგონებდა უშანგი არაფერსა. დაე დაეძრახა, ოღონდ ეპოვა გამოსავალი: ეგონა იპოვნიდა. არც რო შეეშლებოდა დეიდა სალომესა. ესეც ჰო ეგონა, ოღონდ ესაა, ეთაკილებოდა. გარეთ რო დარჩენოდა მეგობარი. ზესიძე რო დარჩენოდა გარეთა მზითევიანადა: იაპონური მაგნიტოფონითა, ჯინსებითა და 24-ითა; ბევრიც გაულებდა კარსა ასეთ ზესიძესა. ცილაობაც გაჩაღდებოდა, გაეგოთ ოღონდა. — და ეს სალომეს შეაზრიალებდა. უშახ-

გის არა, უშანგის მხოლოდ ეთაკილებოდა, ფიქრობდა, სადმე რო შეეფარებინა, ვიდრე დეიდა მოთოკავდა ციცინოსა, მოთოკავდა და მერე როგორა, — აიღებდა იმის თხელ ხელსა და ამის კოტიტა ხელში ჩასჩრიდა, იქვე, დარბაზში ბადრიაშვილებისა, ჩამოშლილ, ჩამოტყავებულ დარბაზში, მალე ისე რო მოწკრიალდებოდა, ოდესლაც რო იყო თუ არც რო იყო, არც იმ ოდესლაცა, — სად შეეფარებინა ერთისიტყვითა, სასტუმრონი რო ველარ იტევდა სიმპოზიუმების მონაწილეთაცა, საკავშირო თუ საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმებსა, სპორტულ შეჯიბრთა მონაწილეთაც რომ ველარ იტევდა, საერთაშორისო თუ საკავშირო შეჯიბრთა, ყველაფერი რო აქ მოეყარათ, თბილისისათვის რო მიეყარათ ყველაფერი დიდი თავი გაქვს და იეცი თავშიო; იცემდა თავში და ვერც სად დაეტია, ვერც სად დაეძინებინა, ვერც რო გაეძლო, იცემდა თავში და უცხოთათვის რო არა ჰყოფნიდა, ვერ მოუბოდიშებდა თავისიანსა, თბილისის პასპორტით სასტუმრო კარებს არ გაუღებდა, სასწაულით რო გადარჩენოდა თუნდ ერთი საწოლი, ძირგავარდნილი საწოლიც რო გადარჩენოდა; უცხოს პასპორტს თუ უშოვიდა თუ მოხდებოდა ეს სასწაული, დროებითა ცხადია, გადააბამდა რო ვიდრე ორ ხელსა, იმა ორ ხელსა დეიდა სალომეი, — ამ ორ დღეში გადააბამდა, სჯეროდა უშანგისა;

ორბელსაც სჯეროდა რალა თქმა უნდა, ოღონდ იმას არად ჩააგდებდა, დღე მოუნდებოდა ორი თუ კვირაი ორი, — არად ჩააგდებდა, სხვაგვარად გადასწყვეტდა: მიუმატებდა ბადესაცა თავის მზითევსა, ბადესი მაგათ რა იციანო, — სიძეებმაო რაღა თქმა უნდა, — კონიაკის ყლურწვა იციან, დედით მაგათამ, კიდევა ყლურწონ ამის მერეო, ჰოდა, ბადესაც მიუმატებდა, გაიჭრებოდა შმაგი მიჯნური, შეიპარებოდა თავთხელებში არაგვისაი, ალაზნის თავთხელებშიც შეიპარებოდა, კოდორისაცა და რიონისაცა, გაშლიდა და მოუსვამდა, ამოჰყრიდა თევზსა ნაირგვარსა, ცეცხლს დააგზნებდა, და კარდალს აჰკიდებდა, აჰკიდებდა და ფიქრს მიეცემოდა, ჩაეშლებოდა ეგება ის თევზი, — არ ინაღვლებდა, კიდევ დაიჭერდა, მოუსვამდა ბადესა კიდევა, კიდევ ჩაშლოდა, არ ინაღვლებდა, ეგება დანაც რო კბილს არ გაუხსნიდა, ეგება ფიქრი რო ერჩივნა ყველასა, თუ რა ყოფაში ჩავარდნოდა სატრფოი იგი, რო არც არავის მოეტაცა, რო თვითონ მოეტაცა თავი თვისი, თვითონ შეეპყრო, გამოეკეტა ცხრაკლიტულში სულის ცხრაკლიტულში, ქაჯთა ციხეზე უფრო მიუვალში, აუღებელში, მიუღწეველში, თუ რას ილონებდა რაინდი იგი, გმირი იგი, სულის ციხეთა გზა რო იცოდა, წელზე რო ერტყა გასაღები სულის ციხეთა, მიიპარებოდა რო უჩუმრადა, უხილავად რო მიიპარებოდა, ჰხსნიდა, ჰყრიდა იმა კლიტეთა, ჰხსნიდა და ჰყრიდა, — გადუქროლებდნენ კლიტენი თავზე, აფეთქდებოდნენ, დაიმსხვრეოდნენ, დაეყრებოდნენ რიყესა რიონისა, ალაზნის რიყესაც დაეყრებოდნენ, კოდორის რიყესაც დაეყრებოდნენ, არ მოუხმობდნენ მაინც ამასა, ჯერ მაინც არა, — ცხრა კლიტულიო, ნათქვამი როა, თითოს ცხრაჯერ ცხრა მაინც დასდებოდა, იმდენი უნდა დამსხვრეულიყო, იმდენი უნდა დალეწილიყო, კლიტეი ცხადია, რო გასტყორცნიდა დეიდა სალომეი, ფუ, გამჭედი გაგიწყდესო; მანამდე ისევ ბადეს თუ გაშლიდა, — გაშლიდა და მოჰხვეტავდა ბადესა, მოჰხვეტავდა და იმღერებდა სიმღერებს არა მოთევზავისა, — გაყრილი მიჯნურის სიმღერებს იმღერებდა, გაყრილი სატრფოსი, ტყვედპყრობილისა, ციხეს რო არ იჯდა ეგზომ მაღალსა, რო არ იცავდნენ მრისხანე დარაჯნი, რო შეეძლო რო წამოსულიყო, როცა ენება თუ როგორც რო ენება, ამასაც სწვეოდა ტყეში თუ რიყეზე, სადაც მოუწევდა. დასკუპებოდა ცეცხლაპირასა, შეეძლო, ოღონდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვე რო იქნებოდა ისევა და მაინცა, ტყვეი თავისი, ამისი არა, არა ამისა რალა თქმა უნდა; იცოდა ამდენი, არ გაიტარებდა ფიქრადაცა ასეთ სურათებსა, ვეღარ დაითმენდა, მოახტებოდა ისევ 24-სა, ჩაუქროლებდა ისევ თბილისსა, ჩაუქროლებდა და ამოუქროლებდა, გაიჭრებოდა ისევა და ისევ იმღერებდა, ისე, იმგვარადა, ნათქვამი როა, სმენად მხეცნი მოვიდიანო; მოვიდოდნენ თევზნიცა აგრეთვე, შემოეხვეოდნენ, პირს დააფჩენდნენ და მიაჭყეტდნენ თვალთა ამ უცნაურ მოთევზავესა, რო აიკლებდა იქაობასა იმდენი ხმაურითა;

მაშ რა ეღონა თუ რითი გაერთო გული თუ დარდი რითი გაექარვებინა, ვიდრე სალომე რამეს იღონებდა? წიგნზე დიდხანს ვერ დაიხრებოდა, ვერცთუ გულაღმა წაიკითხავდა წიგნსა, თუმცა ექნებოდა კარადები გამოტენილი, — უძვირფასესი კარადები უძვირფასესი გამოცემითა, — გამოიყოლებდა რამდენიმეს მზითევშიაცა, სამიჯნურო ეპოსიდანაცა, მოდერნისტული რომანებიდანაცა, ვერ დაუდებდა გულს მაინც ვერცერთსა, ისევ ბადეს ამჯობინებდა, ამჯობინებდა თოფსაცა აგრეთვე, ოღონდ თოფი დავიწყებოდა, შეუთვლიდა შინა, გამომიგზავნეთო. შურს იძიებდნენ და არ გაუგზავნიდნენ, ანთუ დაგვიბრუნე მაგნიტოფონი და თოფში გაგიცვლითო; გაცეცხლდებოდა ეს ჩვენი ორბელი გაცეცხლდებოდა და ტუჩს ჩაიკვნეტდა, ეტკინებოდა, ემწარებოდა, ახიაო, იტყოდა ასე, თოფი როგორ დამავიწყდაო; იყიდდა თოფსა, არ დავიწყებოდა წიგნაკი მაინცა შემნახველი სალაროსი, იყიდდა, ოღონდ ჯერ ეს ენება, მზითევი უფრო რო გაეზარდა; ინანებდა, რად ავჩქარდიო, არ მოაგონდებოდა, რო არ უნდოდა მაშინ. არაფერი, ციცინოს მეტი, — და რო უნდოდა, ისე უნდოდა, დასწყევლოს ღმერთმა, ჰაბუკია თითქოს უნახავიო, და ისევე რო მონდომებოდა, არ განელებოდა ვნებაი იგი, ოღონდ მზითევზე მაინცა ჯანჯლობდა, ურეკავდა ქობულეთიდანა, გაგრიდან ურეკავდა, კახიდან ურეკავდა, ურეკავდა ახალქალაქიდან, ედავებოდა, ემუქრებოდა; ვერას გააწყობდა, ვერ დააშინებდა გაქირ სიძეებსა, ეთქვათ და აღარ გადავიდოდნენ, გამოგვიგზავნე მაგნიტოფონი და ინებე თოფიო;

ამასობაში თავისას იღონებდა დეიდა სალომეი, ბლოკადას მოუწყობდა ციცინოსა: მერის იქ მისვლას აუკრძალავდა, აუკრძალავდა უშანგისაცა, აპოლონსაცა რალა თქმა უნდა, ფრიდონს არაო, ფრიდონი ისედაც არ მიაკითხავდა, თუ გაიგებდა, ასე ნებავს დეიდაჩვენსაო, მაშინ გვერდიდან არ მოსცილდებოდა დეიდაშვილსა, ჰოდა ამიტომ არ აუკრძალავდა, შეჰბოჭავდა სხვათა და სხვათა, დაე რო მარტო დარჩენილიყო, შეხუთულიყო სიმარტოვითა, შეჭირვებულიყო, უნათესაოდა, უტოლმეგობროდა, უმზუნველოდა, გასავათებულიყო, გათანგულიყო, გადამდგარიყო ბეწვის ხიდზედა, წინ რო უკუნია; უკანაც უკუნი, ზევით ლაჟვარდი და უფსკრული ქვევითა, ბეწვის ხიდზედა, უფსკრული ქვევით, ზევით ლაჟვარდიო, შვეულმფრენი რო მოსრიალდება, რო გადმოისვრის თოკის კიბესა, შენს ფეხებთან რო ჩამოჰკიდებს, რო შეჩერდება, რო გელოდება, — ახვალ თუ არა;.. რას არ ახვალ, — სული ტკბილიაო; შვეულმფრენში თვითონ იქნებოდა დეიდა სალომეი, კიბესაც თვითონვე გადაუგდებდა რალა თქმა უნდა, ამოიყვანდა, მოაბრუნებდა, შემოივლიდა მთლად საქართველოსა, ყველა ხეობას აუყვებოდა, ყველა გზაზე გადადგებოდა, ტყეს მოსჩხრიკავდა, ჭალებს მოსჩხრიკავდა, წააწყდებოდა სადმე ორბელსა და ციცინოს ჩაუგორებდა; მერე ექროლა ორბელსა ისევე, ექროლათ ანუ, თუნდაც თბილისს დაჰბრუნებოდა, დაჰბრუნებოდნენ რალა თქმა უნდა, სალომეს აღარ ეკითხებოდა, ვალს მოიხდიდა ციცინოსასა, სხვას მიჰხედავდა, სხვა საზრუნავსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXII

კარგი იქნებოდა, რო მომხდარიყო მართლაც ზღაპრულადა, ასე ზღაპრულადა, მაგრამ ციცინო არ გატყდებოდა ასე ადვილადა, არც გატყდებოდა და არც შეიმჩნევდა, რო მიატოვეს. სიმარტოვეც არ შეაწუხებდა, ვინ უწყის კიდევაც ეამებოდა? არც მიაკითხავდა, არც დაურეკავდა ძვირფას დეიდებსა, თან გადაჰყვნენ და არც დაურეკავდა, ალბათ რო რაო, — თქვენც მოისვენეთო. რა მოასვენებდა დეიდა სალომესა?... ბლოკადას მოჰხსნიდა, თავისთან იხმობდა ციცინოსა.

ჩამოსხდებოდნენ ბროლის დარბაზშია, სადაც რო მიიღებდა ყველაზე მახლობელთა დეიდა სალომეი, სადაც რო განმარტოვდებოდა მოსვენებისადაცა, ფიქრისიდაცა, ტკბობისადაცა, სად რო სავარძელნი განლაგებულიყვნენ ისე, იმგვარადა, ბევრნაირად რო წარმოეჩინა იგივე ლარნაკი ანუ ლარნაკი უამრავი, სხვადასხვა ზომისა, სხვადასხვა ფორმისა, სხვადასხვა ფირმისა, უცხოური თუ შინაური, უძველესი თუ უახლესი, ნამზითვი, ბოძებული თუ შენაძენი, თავდაუზოგავადა, თავგანწირვითა, საამაყოდა თუ თავგამოსაჩენადა. დღეობებში რო დაჰხსნიდა კართა, შეუძლვებოდა თუ შეეგებებოდა სტუმართა თავისათა რაღა თქმა უნდა, მოუთხრობდა რო ისტორიასა თვითეულისა, წარმოშობასა და ისტორიასა, რო მოუთხრობდა და წარმოდგებოდა მართლაც ისტორია ზოგი გვარისა გარდაგებულისა, ზოგი გვარისა ის-ისაა გაფურჩქნულისა, გვარისა თუ პიროვნებისა, — ალბათ უთუოდ პიროვნებისა, გვარები რო აღარ გაიფურჩქნებიან. პიროვნებანი გაიფურჩქნებიან, გაიფურჩქნებიან და ჩასჭკნებიან. შენაძენს შვილთაც რო ვერ დაუტოვებენ, ნიჭსაც რო ვერა, — მოუთხრობდა და მოუყვებოდა შემთხვევათა მოგზაურობისა, თავგადასავალსა თუ ფათერაკებსა ტურისტებისა თუ მივლინებულთა შორსა და შორსა რაღა თქმა უნდა, საქართველოს რომ გასცილდებოდა, საბჭოთა კავშირს რო გასცილდებოდა ცხადია და რაღა თქმა უნდა, შემოერტყმოდა მთლად დედამიწასა, შემოივლიდა, მობრუნდებოდა, მობრძანდებოდა აგერ ამ დარბაზშილარნაკთა სახითა, რო მოიტანდა თვითეული თავის მშვენებასა, განსაკუთრებულსა და განუმეორებელსა, ისტორიასაც რო მოიტანდა, თავისებურსა და განუმეორებელსა, — და რო მოუთხრობდა დეიდა სალომეი, მჩქროლავი ხმითა, ხანთუ ერთეულთა, ასე მახლობელთა, ციცინოსამებრა, ხანაც მრავალთა, დღეობებში რო მოიწვევდა, იგივე ხმითა, მჩქრიულვაი ხმითა, იუმორითაცა, დაფარული იუმორითა, მჩქროლავ ხმაში რო ძლივს გამოკრთოდა, ასე აგრეთვე ძლივს გამოკრთოდა; იმწუთს ციცინოს არ მოუთხრობდა, არ მოეხმო საამისოდა; მიაჩერდებოდა ვენეციურ ქალსა, ისე თითქოს მარტო ბრძანდებაო, ტკბება მარტოდა მშვენიერებითა მისითაო, მშვენიერებითა და ჰაეროვნებითა, დიახაც რო ჰაეროვნებითა, რო აიტაკებდა ციმციმსა უამრავსა, ბზიალსა უამრავსა, სხივილსა უამრავსა, უამრავფერსა. აიტაცებდა, ანთუ უფრო რო შეჰკრავდა თაიგულთა, ანთუ უფრო, რო დაადგებოდა გვირგვინადა, რო შეერწყმოდა ჰაერსა ისე, ნივთიერება რო იკარგებოდა, სახიერება რო იკარგებოდა. ანთუ ჰაერი განსახიერდებოდა და წააგძელებდა ღეროთა შუშისათა, ისედაც რო ჰაეროვანთა, წააგრძელებდა თუ თვით იქცეოდა სახიერებათა. გადადნებოდა თვით ჰაერი და ჩამოისხმეოდა ძაფისებრადა, უწვრილეს, უუწმინდესი ძაფისებრადა და მოებმოდა წოპთა გამქრალთა, უხილავთა, წააგრძელებდა და მიმკრთალდებოდა უიდუმალეს ცოლთა გვარადა, მიმკრთალდებოდა, მიერწყმოდა თუ მიერქმოდა შუქსა იდუმალსა: მიაჩერდებოდა ციცინოც იმასა, შუქსა იდუმალსა, მკრთალ ციმციმად რო გადმოვიდოდა, გამოჩნდებოდა, ანთუ არა. არც გამოჩნდებოდა, შეიგრძნობდა მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მხოლოდა, თვალი შენაგრძნობს აედევნებოდა, — იქნებოდა გრძნობაი მხოლოდლა, განცდაი მხოლოდლა ციალისა იდუმალისა, ციალისა უხილავისა რაღა თქმა უნდა, ციცინოსათვისა; სა-ჭლომეც აქამდის დააყოვნებდა, დაე ჩაფლულიყო, ჩაძირულიყო, ჩავარდნილიყო უფსკრულებში უხილავისა, ჩავარდნილიყო და ჩაკარგულიყო, იქ დასწვდებოდა, სადღაც ძირზე თუ უძირობაში, უსაზღვრობაში უფსკრულეთისა, დასწვდებოდა და ამოიტაცებდა, დააბრუნებდა ამა ქვეყნადა, დააბრუნებდა და მოაბრუნებდა:

-- რა გემოვნებაა!.. — შესძახებდა ალტაცებითა, ალტაცებით მოაბრუნებდა.

— იშვიათი ხელოვნებაა. — დაუდასტურებდა დისწული დეიდასა.

— მე გემოვნება ვთქვი. — შეუსწორებდა დეიდა სალომეი.

— გემოვნება ხელოვანისა... — შენიშნავდა დისწული დეიდა სალომესი, უფროსი დისწული, პირველი სიხარული, თუმცა აქამდე რო არც ეხსომებოდა, მართლა გაუხარდა თუ როგორ გაუხარდა ამის მობრძანება ამ ხილულ ქვეყნადა.

— მხილველისამეთქი, შემფასებლისამეთქი, — არ დაუთმობდა დეიდა სალომეი, — გემოვნება სხვა ხელოვნებაა, გემოვნება თვითხელოვნებაა, ნიჭია იგი განსაკუთრებული, იშვიათი თუ დაჯილდოებულა ესოდენი ნიჭითა.

— იშვიათი?! — იკითხავდა დისწული.

— იშვიათი!.. — მოუჭრიდა დეიდა სალომეი, — ვინ მიიკვლევდა ამ მშვენიერებასა?! — ალაპყრობდა ხელთა დეიდა სალომეი, თითქოს და რაო, ევედრებოდა მშვენიერებასა, ჰალის ხატით რო გადმომდგარიყო.

— ეს ყველას მოხიბლავდა. — გაუქარწყლებდა დისწული დეიდა სალომესა, ალტაცებას გაუქარწყლებდა, გაუქარწყლებდა ვედრებასა, სასოებასა.

— ეგრე გგონია?! — გაიოცებდა დეიდა სალომეი.

— რაღა თქმა უნდა!..

— მაშ არ იცი თუ რამდენს უთქვამს, ის ჭალი სჯობდა, ამის ადგილას რო ეკიდაო.

— გემოვნებაზე არა დაობენო.

— ოღონდ მაინც განასხვავებდნენ კარგსა და ცუდსაო.

— დავით მაინც არა დაობენო.

— განა მე ვდავობ?

— არა ცხადია.

— მე მხიბლავს გემოვნება უალრესი, კარგზე უალრესი, საუკეთესოზე უალრესი, უალრესი უალრესზედა.

— ანუთუ ჩვენი .. — აქ დისწული გაიღიმებდა, წახუმრებისად გაიღიმებდა.

— ანუთუ ჩვენი და... იმისი .. — გაიღიმებდა დეიდა სალომეცა, გაიღიმებდა და ამოისუნთქებდა, რო ჩაითრევდა ასე დისწულსა, რო არ ჩაჰყვებოდა და ჩაითრევდა, —ჩვენი ესეიგი; ეს დიდი თანხვდომაა, იშვიათია თანხვდომა ასეთი.

— ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა,..... — ჩაიცინებდა დისწული დეიდასალომესი თუ ჩაახველებდა, ანთუ ზედ ზღვარზე გადაივლიდა, მცირე რამ ზღვარზე ამ ორთა შორისა.

— მიხარიან, რო გიხარიან, — ხელს აიღებდა დისწულისასა დეიდა სალომეი, მიეფერებოდა, მიეალერსებოდა, ლოყასთან მიიტანდა, გულს მიიხუტებდა. — და მიკვირს, რო არ მოიკითხავ.

— მოვიკითხავ. როგორა ბრძანდება?

— ასე ცივადა?!

— ცივად გამოვთქვი?!

— ძალიან, ძალიან, ძალიან ცივადა!..

— აბა როგორა ვთქვა?

— როგორც ეკუთვნის.

— როგორ ეკუთვნის?

— გულმხურვალედა.

— ჰა ჰა, ჰა, ჰა, ჰა,... -- გაიცინებდა დისწული ისე, რო არც სიამე ეგონებოდა, რო არც დაცინვა ეგონებოდა დეიდა სალომესა, არც არაფერი ეგონებოდა ისე უბრალო, უგანზრახვო სიცილის მეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არას მიუგებდა დეიდა სალომეი, ცივად დააგდებდა დისწულის ხელსა, ისაა ისე მინაფერებსა. მინაალერსებსა, სანუკვარსა ისე, დააგდებდა და დავარდებოდა ხელიცა ისე, თითქოს მხარს მოსწყდა და ჩაიგრიხება, ჩასრიალდება იატაკზედაო; გაექცეოდა დეიდა სალომეი, თითქოსაო რაღა თქმა უნდა, ჩაჯდებოდა ახლა სხვა მხარესა, ახლა სხვაგვარად განიცდიდა იმა ციმციმსა, იატაკიდან ჭერამდის რო მილივლივებდა, შედედდებოდა რო მერე ჭერზედა, დაიფშხვნებოდა და იფრქვეოდა, იფრქვეოდა და იფრქვეოდა, — მხრებზე ეყრებოდა დეიდა სალომესა, დისწულსაც რო მხრებზე ეფრქვეოდა, — მხრებზე, სახეზე, თმაზე, კალთაზე, ანათუ კალთა აივსებოდა ისე, იმგვარადა, ჩანჩქერივით რო გადმოვარდებოდა; გულს მოიბრუნებდა დეიდა სალომეი, წყენას გადიყრიდა, ხელს დაუქნევდა, ჩემთან მოდიო, და გასცვივოდა ნაპერწკალი ხელსა, ფერადი ნაპერწკალი, მრავალფერადი; და მიაშურებდა დისწული ცხადია, მიაშურებდა და ვერც მიაშურებდა, იმდენი ელვა უნდა გაეპო, იმდენი ციალი, — უამრავი,აურაცხელი რაღა თქმა უნდა, აურაცხელი ფერადოვნებითა, ელვარებითა; მაინც გაარღვევდა, თანაც გაიტანდა ელვარე ნაფშხვენთა, მიუჯდებოდა ეგრე ელვარედა და ვერ იგრძნობდა თითქოს ვერაფერსა დეიდა სალომეი, აღარ ახსოვდა თითქოს დისწული, აღარც არაფერი ახსოვდა, თითქოსა გონება წაელო ბროლის ციალსა თვალისმომჭრელსა, გამაბრუებსა; წამოდგებოდა მერე ეგრევე განაბრუები, თითქოსაო, აღარ შევნიშნავ, აიყოლებდა დისწულსაცა, გადინაცვლებდა, ჩამოჯდებოდა სხვა სავარძელზედა, ჩაიძირებოდა იქაც ისევე, დაივიწყებდა დისწულსაც ისევა, თითქოსაო, არც აქ შევნიშნავ, რამეთუ მართლაც არ ჩაიძირებოდა, არ გაბრუვდებოდა არასოდესა, თუნდაც ისეთ ბრჭყვიალებაში, ისეთ ციალში, სილამაზეში ისე, იმგვარში, — მოიხიბლებოდა და არ გაბრუვდებოდა, დაუბრუნდებოდა წუთისოფელსა, ერთი ნახტომით დაუბრუნდებოდა:

— აქედან სხვაგვარია, იქიდან სხვაგვარი, იქიდან სხვაგვარი.

— დიახ, — მიუგებდა დისწული

— ყველაფერი ასეა.

— დიახ — მიუგებდა დისწული.

— ცხოვრებაც ასეა.

— დიახ. — მიუგებდა დისწული

— იმისი, ჩემი, შენი ცხოვრებაცა.

— დიახ. — მიუგებდა დისწული.

— ოღონდ ესაა,ცოტათი მაინც რო ჩაბინდულა ცხოვრებაი...

— ...ჩემი. — მიეშველებოდა დისწული, — იქიდან უფრო, იქიდან უფრო, აქედან უფრო.

— და შეიძლება განათდეს ასეცა, ასეც აბურბურდეს...

— ორბელს თუ გავყვები. — მიატანდა დისწული.

— აქედან უფრო, იქიდან უფრო. იქიდან უფრო. —შეეწეოდა დეიდა სალომეი, შეეწეოდა ალტაცებითა.

აენთებოდა თვალები დისწულსა, აუვიდოდა თვალები დისწულსა, ჭაღს მიაბჯენდა, ვენეციურ ჭაღსა, მიაბჯენდა და იქნებოდა ასე, თითქოს და რაო, — ქანდაქადქმნმილიო, თითქოს სული რო ამოჰქაროდა რაღა თქმა უნდა ანთუ თითქოს რო წასვლოდა სადღაცა, რაღაც ამბავის მოსატანადა; იქნებოდა ასე, იქნებოდა და მოისმოდა თითქოს და მართლაც საიდანღაცაო:

— მოწყდება ჭაღი...

— ჰა?! — წაიწევდა დეიდა სალომეი, თითქოს ვინაა, რო მომძახისო.

— დაიმსხვრევა... — დისწული იქვე ჩაიდუდუნებდა, შეირხეოდა, ამოისუნთქებდა.

— ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა,... — ჩაიცინებდა დეიდა სალომეი, — მანდ იმსიმძიმე ჭაღი ეკიდა...

— დიახ. — მიატანდა დისწული.

— ჰოდა ნუ გაღონებს.

— ჩამოვარდება. — არ მაღონებსო, ანიშნებდა დისწული.

— რისი თქმა გსურს მაგითი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაც მოგახსენე.

— იგავია?... რო ვერა ვხვდები?!

— იგავი არ არის.—მოიღუშებდა დისწული, ისე, ციალი რო დაეფრქვევოდა, ის უამრავი, ფერადფერადი, სხარტი, უსწრაფესი, დაფშხვნილი ციალი.

დეიდა სალომე იხმობდა აპოლონსა. გამოცხადდებოდა აპოლონი მყისვე, თითქოს იქვე იყო გამზადებული, გაგამოცხადდებოდა და გაიჭიმებოდა, ბრძანე, მზადა ვარ აღმსრულებელიო.

— ჭალი მოწყდებაო. — აუწყებდა დეიდა სალომეი.

— სპილო რო დაკიდო, არ მოწყდება. — დაამშვიდებდა აპოლონი, არც რო შეჰხედავდა ჭალსა, მერელა შეჰხედავდა, მერელა ალაპყრობდა ხელთა, მშვენიერებააო, იტყოდა უსიტყვოდა.

— ასე, რო ვერ შემაშინებ. — ნიშანს მოუგებდა დეიდა სალომეი.

— არც განმიზრახავს.

— ვერც ამიგდებ სიტყვას ბანზედა. — თვალებს მოწურავდა დეიდა სალომეი.

— როგორა გკადრებ...

— აღარც მოგეშვები, — ააბაკუნებდა ქუსლსა იატაკზედა დეიდა სალომეი, — აღარც აპოლონი მოგეშვება, აღარც მერი, აღარც უშანგი, არავინ, არავინ არ მოგეშვება მხოლოდ ორბელის სახელს გაიგონებ მხოლოდ ქორწინებას გაიგონებ, გაგიწყალდება გული, გაგიწვრილდება, გაგიწრიოკდება, იარაღს დაჰყრი და დაგვნებდები, დრო ტყუილად გაგყავს. არც გადაიდება, რასაც რო არ ეგვიანება. ქალი იჯდეს და ბედს ელოდესო, ნათქვამი როა, ბედიც ეს არის კარს რო მოგდგომია. კარს დაუხშობ და ფანჯრიდან შემოვა, ფანჯრებს დაუხშობ და ჭერიდან ჩაძოვა, მიწიდან ამოძვრება, სასთუმალთან დაგისკუპდება, გაიჭრები და თან გამოგყვება. ბედიც ესაა, რო ვერ წაუხვალ, არ მოგეშვება და ვერ წაუხვალ. ჰოდა დაჰყარე იარაღი, ნურარც მე მაწვალებ და ნურარც შენ გაიწამებ თავსა.

— მე არ ვეწამები. — ყელს მოიღერებს დისწული დეიდა სალომესი.

— მარტოობა უკვე წამებაა. — ხმას აუწევდა დეიდა სალომეი. — არ შეიძლება ქალი მარტო იყოს, კაციც არ შეიძლება, ქალი სულ არა.

— გავზრდი კნუტებსა, ლეკვებს გავზრდი დეიდაჩემო.

— ღმერთო მომკალი!.· — შეიცხადებდა დეიდა სალომეი, მერე იქვე აქირქილდებოდა, — რაღა რო გაზრდი, გაუზრდიათ და მოურთმევიათ. შენ როგორც გენებოს, მიიღე თუნდაც ვეებერთელა ხატაურადა, თუნდაც ბომბორა ქოფაკად მიიღე.

— ჰატ!.. — შესძახებდა მაშინვე აპოლონი, გაატატანებდა ორივე ხელსა, მიმოურევდა იმა ციალსა, აამღვრევდა, ააბორიალებდა, — ეგეები არ იყოს!..

— აპოლონჩიკ!.. ხელს ნუ შეგვიშლი, ეს ჩვენი ქალური საუბარია. — მოუტკბებოდა დეიდა სალომეი.

— შეურაცხჰყოფა ვაჟკაცისა ვერაფერი საუბარია!.. — გაჯიქდებოდა აპოლონი და მერე სალომე შეიცხადებდა:

— ორბელს შევურაცხვჰყოფ!.. ღმერთო მომკალი .. თუ შენც ასე ფიქრობ, ჩემო დისწულო, ბოდიშს მოვიხდი!..

— არა, არა!.. — აესწრაფოდა დისწული დეიდა სალომესი, — შეადარეთ რასაც რო გენებოთ.

— ლომსა!.. — შესძახებდა აპოლონი.

— იყოს...

— ვეფხვსა!.. — ხმას მოუმატებდა აპოლონი.

— იყოს...

— ორბსა!.. არწივსა!.. — აი და აჰაა, აფრინდება აპოლონიო, გეგონებოდა.

— იყოს... იყოს.. — მიადევნებდა დისწულიკა დეიდა სალომესი.

— არის! — მოსჭრიდა დეიდა სალომეი და გაილექსებოდა ისე. ვეღარ ჩაურთავდა სიტყვას ვერავინა, აღელდებოდა და იტყოდა მღელვარესა, აჩქრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლდებოდა და აღმოიტყოდა ჩქროლვა-ჩქროლვითა, ცრემლსაც ეგრე მოადევნებდა, წამოაჩქაფუნებდა და შეიკავებდა, ჩამოიგორებდა ან თითო მარცვლადა, ნეკით აიკრეფდა, თითქოს უნდა შეიგროვოსო, დააყრიდა ანთუ ფორაჯები ყელზე, ღაბაბზე, ლოყებზედაცა რაღა თქმა უნდა, დაეყრებოდა ციმციმი ბროლისა, და სახე ისე მოექცეოდა, თითქოს და რაო, ნიღაბიაო, გადაიძრობს და სხვა გამოჩნდება, სულ სხვა ქალი გამოჩნდებაო; არ გადაიძრობდა და იგივე გახლდა, მკაცრი, ჯიუტი, მბრძანებელი, დაუთმობელი, გაულხობელი; იგივე გახლდა და იგივე იქნებოდა, იმ ვრცელ მონოლოგს რო წარმოსთქვამდა, ისე არტისტულად რო წარმოსთქვამდა, აფსუსი იყო, სცენაზე არ იდგა, ანთუ ეკრანზე არ გამოეტანათ, აფსუსი იყო, აფსუსი იყო .. ოღონდ ესაა, შესწყვეტდა უცბადა და შესძახებდა აღშფოთებული, — არ მისმენ?!

— ბატონო?!. — შეირხეოდა დისწული ისე, თითქოს რაღაცას რო მონუსხავს. თითქოს ესაა, გამოერკვევა, ანთუ ველარც გამოერკვევაო.

— არ მისმენმეთქი... ღმერთო ჩემო! — შეიცხადებდა დეიდა სალომეი, მოეშვებოდა, მოიფუტკნებოდა, ჩაიძენძებოდა სავარძელზედა, — ამასაც მოვესწარი...

— ჭალი მოწყდება. — თავს შეარხევდა დისწული დეიდა სალომესი, შემოიბერტყავდა თითქოს ბურანსა, გამოერკვეოდა, გამოფხიზლდებოდა.

— აპალონ?! — დაიზრიალებდა დარბაზი ბროლისა. ანაპერწკლდებოდა, აირეოდა, აზუზუნდებოდა ფუტკარივითა.

— სპილოც რო დაჰკიდო!.. — აპალონი დაამშვიდებდა, აჩქარებდა ხელებსაც ისე, თითქოს ნაპერწკალს მოიშორებსო, თითქოს ფუტკარს მოიშორებსო.

— გესმის?! — წელს შემართავდა დეიდა სალომეი, წამოიკრეფდა ჩაძენძილ ხორცსა.

— მესმის... — დისწული [illegible] და ჩაიკარგებოდა უმალვე ისე, გვიანღა რო ჩაიდუდუნებდა შორსა, სადღაცა, მარცვალ-მარცვალა, ძლივს გასაგონადა, — მესმის... ფათერაკია..

— აპალონ!.. — აბაკუნდებოდა ქუსლი დეიდა სალომესი, აჰყვებოდა დარბაზიც ისევე, ოღონდ აპოლონი მტკიცედ შესძახებდა, ისე მტკიცედა, შეშურდებოდა ყველა კეისარსა:

— არავითარი!..

— გესმის?!

— მესმის, მესმის დეიდაჩემო!.. — და თვალთ დახუჭავდა დისწული დეიდა სალომესი, ხელსაც თვალებზე აიფარებდა, მესმისო კიდევ გაიმეორებდა უფრო დუნედა, მისუსტებულადა, მიელუშებოდა სავარძელსა დაღლილი, დაქანცული თუ თავმობეზრებული.

მოისვენოსო, იტყოდა აპოლონი, მიაცუნცულებდა აბრეშუმის სათვარჯელსაცა, გრძელფოჩიან სათვარველსა, ოღონდ ველარ წააფარებდა, ისე შესძახებდა, ისე ბრძანებდა დეიდა სალომეი:

— არა!.. თუ მოასვენე, ვერც დაიმორჩილებ; თუ არ დაგვთანხმდა, უბედური იქნება, და უბედური რად უნდა იყოს, როცა შეიძლება იყოს ბედნიერი?! როგორ იქნება, შევყურებდეთ გულხელდაკრეფილნი, თავს რო იღუპავს ადამიანი, თუნდაც უცხოი, თუნდაც გარეგანი, როცა შეგვიძლიან რო გადავარჩინოთ?! როგორ იქნება, სად გაგონილა!.. როგორ იქნება დავაგდოთ მარტო, როცა ამდენი მზრუნველი ვყევართ?! როცა ასეთი სიყვარულია, ამ ჩვენს დროში, გაუგონარი!.. როგორ იქნება გაცივდეს გული, ასე გაცივდეს, რო არ აძგერდეს ერთხელ მაინცა, როგორ იქნება, სად გაგონილა!.. უნდა აძგერდეს უსათუოდა, არც შეიძლება, რო არ ძგერდეს. და ვერ დავაცდი, ვერ მოვასვენებ, ეს მოსვენება სიცოცხლე არ არის, ვერ გავიმეტებ სასიკვდილოდა. მერეც გვეყოფა, სიკვდილია თუ ჯანდაბა თუ დარდუბალა, მერეც გვეყოფა, ჯერ უნდა ვიცოცხლოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— და აიმართებოდა დეიდა სალომეი, აიფოფრებოდა, გადაადგებოდა დისწულსა თავზედა და ჩასძახებდა ისეთი ხმითა, ალბათ მკვდარიც რო წამოდგებოდაო, ღვთაებრივი ხმითა ალბათაო, — უნდა იცოცხლო!.

— ჰა!.. — ამოიკვნესებდა დისწული დეიდა სალომესი თუ გამოაღწევდა სიკვდილის ღლანჭებსა, ანთუ ვერაო, ვერ გამოაღწევდა:

— უნდა იცოცხლო!.. — დასძახებდა იმავე ხმითა, ღვთაებრივითა, დეიდა სალომეი, და გამოაღწევდა იმჯერად მაინცა:

— ჰო!.. — იტყოდა დისწული დეიდა სალომესი, თვალს გაახელდა. გაიღიმებდა, აციალდებოდა, აბწკიალდებოდა, გაშუქდებოდა, განათდებოდა, დაამშვენებდა ბროლის დარბაზსა. აბრიალებულ ფერთა დარბაზსა.

— უნდა იცოცხლო!.. — გაიხარებდა დეიდა სალომეი და მიადევნებდა დისწულსაცა:

— იყოს ნება შენი!:

ამას ელოდა დეიდა სალომეი რაღა თქმა უნდა, სჯეროდა, სწამდა, არც უმტყუნებდა, რაც რო სჯეროდა ოღონდ მაინც დაიბნეოდა იმ ერთი წუთითა, მხოლოდ ერთითა, იმ ერთი წუთითა, მერე ჩაიკრავდა გულში დისწულსა, აქვითინდებოდა, ცრემლს დააფრქვევდა, სადაც რო ჰკოცნიდა, იქვე დააფრქვევდა: შუბლზედა, ლოყებზე, ცხვირსა თუ ნიკაპზე, ყელზე, კისერზეცა, და დაჰბუტბუტებდა, რო აღასრულა ყოველი იგი რაც რო ამ ქვეყნად დაჰკისრებოდა, ესღა იყო, რო აბრკოლებდა, რო აღასრულა აგერ ესეცა, და რო შეეძლო, აწ წასულიყო, იქ სადაც მიდიან, ყველანი მიდიან, დაბრუნებით რო არ დაბრუნდებიან, არც დაბრუნებულან და არც დაბრუნდებიან, ალბათ იმიტომ რო იქაა უმჯობესი, სამუდამო მხოლოდ ის როა, — შეეძლო და აჰა წავიდოდა, წავიდოდა ისე ამაყადა, როგორც წასულან ვალმოხდილნი ამა ქვეყნადა, — ცრემლს დააფრქვევდა და დაჰბუტბუტებდა.

## XXIII

გადაიყრიდა იმა ცრემლსა დეიდა სალომეი, გადაიყრიდა თუ ჩაუშრებოდა ისევე, უეცრადა, თავისთავადა;

ჩაუშრებოდა და დატრიალდებოდა დეიდა სალომე კიდევ ერთხელა და ჩვეულებისამებრა, ხანდაზმულობას რო არ შეიმჩნევდა, წონადობას რო არ შეიმჩნევდა, გულის ჩქროლვას რო არ შეიმჩნევდა, გზასაც რო არ მოერიდებოდა და რიონზე, ფაცხაში შეახვედრებდა ნეფე-დედოფალსა; მისი იქნებოდა იდეაცა, ღონისძიებაც მისი იქნებოდა;

არ იახლებდა დიდ ამალასა, თუმცა ენება, არ იახლებდა, — დაუთმობდა ამას ციცინოსა, ამასღა დაუთმობდა, — მხოლოდ აპოლონს თუ იახლებდა; იახლებდა უშანგისაცა, ოღონდ მძღოლადღა თუ იახლებდა, ჩამოართმევდა სხვა უფლებათა, გარდა იმისა, ხარჯს თუ გაიღებდა: გზისას ჰო და ჰო, ფაცხისასაცა, ჯვრისწერისასაცა, ქუთათელს რო მოაბრძანებდნენ, — გაიღებდა რაღა თქმა უნდა, ხოლო თუ იტყვი, რაღა დარჩებოდა სალომესაო, — დარჩებოდა მბრძანებლობაი, არც ინდომებდა არაფერს მეტსა, მრჩეველსაც ჰო არ ინდომებდა, აპოლონიც ჰო ისე ენება, რო დაჰყრდნობოდა, ფეხის გადადგმა თუ მოუწევდა მანქანიდან თუნდაც ფაცხამდისა, აუზამდისა თუნდაცაო, ან თუ მცირე რამ ბექობამდისა, რიონის ტაფობს რო გასქცეროდა, ჯერ რო მუქსაო თუ მრავალფერსაო, თანდათან რო გაიცრიცებოდა, ყველა ფერი გაიცრიცებოდა, გამკრთალდებოდა, გამოლიავდებოდა და მიერქმოდა უსაზღვრობასა, ცისა და მიწის, ცისა და ზღვის უსაზღვრობასა; აქ ამ ფონზედაც შორიდანვე შეიმჩნეოდა, ვინ მბრძანებელი თუ იქნებოდა, ვინ შემსრულებელი, ანთუ მბრძანებელი შეიმჩნეოდა, თორემ შემსრულებელი აღარც ახსოვდა ნადირექტორალსა თუ ნაგამგევარსა იმა ფაცხებისა, ნაუფროსალსა ერთისიტყვითა, — ფული ვიღაცამ გადაიხადაო; არც თუ სხვა ვინმე დაიხსომებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რაღა თქმა უნდა, ამას ეცლებოდა ყველაზე მეტადა, თვალყურსაც უფრო ეს მიადევნებდა იმ გაგანია სიცხესა თუ იმ გაგანია ღრეობაში, მგზავრნი აქ რო გადაიჩრდილებდნენ, ანთუ აქეთ რო მოეშურებოდნენ, როცა ჰყვაოდა აქ ყველაფერი, გემრიელი პურიჭამაც რო აქ შეიძლებოდა, შენთვისა, ცალკეცა, მყუდრო ფაცხებში, რო მოარბენინებდნენ აალებულ შამფურებსა, გავარვარებულ ტაფებსა, ცხელცხელ ჭადებსა თუ ღომსა ეგრევე ქვაბიანადა თუ სიფრიფანა ლავაშებსაცა, ქართლელი თუ ბრძანდებოდი, კახელი თუ ბრძანდებოდი, ხაშლამასაცა, რო მოვიდოდა და ორთქლი მოვიდოდა, სხვა არაფერი, ორთქლი მოვიდოდა და ორთქლი ავიდოდა, თითქოს და მურყნარი აბოლებულა, მსუყე მურყნარიო; მოგირბენინებდნენ ცოცხალსაცა, ანთუ შენვე დაგაჭერინებდნენ იქავე, აუზში კოკოზებითა, რო შეთვრებოდი, რო შეტოპავდი, ამოევლებოდი შენცა თევზივითა, დაგაჭერინებდნენ და შეგიწვამდნენ, მოგირბენინებდნენ საწებელითა, ნაირნაირი საწებელითა; მოგირბენინებდნენ, დაარბენინებდნენ, დაჰქროდნენ და დააპროწიალებდნენ და დამხსომებელი ეს იქნებოდა ყველაზე უფრო, დახსომებითაც დაახსომებოდა სალომეცა და აპოლონიცა, ორბელიცა და ციცინოცა, — გადამხედველი არა, — თუმცა როგორღაც მოფუტკნულიყო, ავადმყოფობა გადაეტანა თუ ციხე გადაეტანა, მოფუტკნულიყო და ველარც მიაგნებდა, სად იდგა ფაცხები თუ სად იყო აუზი, ბილიკი საით თუ მიემართებოდა ბექობამდისა, ვარდნარი სად იყო, თალარები სადა — მიაგნებდა წყაროს მაინცა, იქიდანღა ივარაუდებდა; მანქანებს სად რო გააჩერებდნენ საიდან რო შემოდიოდნენ, ხანთუ წყვილწყვილადა, ხან გუნდებადა, ხან ერთბაშადა, გადმოცვიოდნენ ავტობუსიდანა ჟივჟივითა და ისეთი ჟივჟივითა, ჭიკჭიკითა და ისეთი ჭიკჭიკითა, გალობითა და ისეთი გალობითა, — გაიკრიფებოდნენ ფრინველები, გაილალებოდნენ.

ისინიც ასე შემოვიდოდნენ, ამ ბილიკითა, — ერთი ბილიკი ასე იქნებოდა.

მანამდე ორბელი მოიჭრებოდა, ფაცხას აირჩევდა, სუფრას შეუკვეთდა, — მოიჭრებოდა და გაიჭრებოდა.

მერე მოვიდოდნენ ერთადა, — სად შეჰხვდებოდნენ თუ როგორაო, ეს ამას არ ეცოდინებოდა,—მანქანებს აგერ იქ დააყენებდნენ, აქეთ მურყნარი დაბურულიყო, — ჩაუკაფიათ, ჩაუჩეხიათ, — ვერ გამოივლიდი, თუ არ გადასწევდი ტოტებს ხელითა, ანთუ ვინმე არ გადაგიწევდა; და გადაუწევდა ტოტებსა ორბელი, და მოქათქათებდა დისწული სალომესი, და გადაუწევდა ტოტებსა აპოლონი და მოირწეოდა დეიდა სალომეი, მოირწეოდა თუ მობაჯბაჯებდა, და ჩამოუვარდებოდა ტოტი აპოლონსა და შეჰკივლებდა დეიდა სალომეი და მიეშველებოდა ორბელი, და გამოსხლტებოდა ციცინო უორბელოდა, გაიჭრებოდა ვარდიანშია, თალარებსაც შემოევლებოდა, აუზსაცა, ისევ ვარდიანს მიეცემოდა. — თუ შეიძლებაო სთხოვდა ამასა, მაშინ ზვიადსა, წარმოსადეგსა, გალაღებულსა, — მოსწყვეტდა ვარდთა, ფურცლავდა მერე, ყრიდა აუზში, აცთუნებდა თევზთა თითქოსაო; მართლაც აცდუნებდა, მიეტანებოდნენ, საკვები რო ეგონებოდათ, მიეტანებოდნენ და გავარდებოდნენ, აირეოდნენ, დაირეოდნენ, აირეოდა მშვიდი აუზიცა, ალივლივდებოდა, ალივლივდებოდა ფურცელი ვარდისაცა, თეთრი, წითელი, ყვითელი, შავი, — შავი ვარდისაც; შეყოვნდებოდნენ მიმტანები, რო მიარბენინებდნენ ნაკვერჩხლიან შამფურებსა, თითქოს რაღაცას წამოჰკრეს ფეხიო, თუ არ წამოჰკრესო, — კისერს მოიქცევდნენ, აქეთ დარჩებოდათ თვალი; ეს ჰო რაღაო, — ამას ისეთი რა საქმე ჰქონდა: ვიდექი და შევჰყურებდიო; „მერე მე თვითონ ვემსახურებოდი, — მეტყოდა ამასაცა და ულვივდებოდა სახე გადატეტკილი, ჩამქრალ თვალებშიც ნაპერწკალი ამოუსხლტებოდა, — იმდღეს დიდძალი მუშტარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგვედო, უამისოდაც არ დავზარდებოდი, ისეთი იყო, ისეთი კარგი, გინდოდა, გეცქირა“, — უფრო მაშინა, ბადმინგტონს რო თამაშობდნენო; ბადმინგტონი ვილაცამ მოართვა; ალბათ იმანა. დანახარჯი ვინც რო გადაიხადამეთქი; ალბათ იმანო; აიჭრებოდა თეთრი სიმწვანეში, აიჭრებოდა ისარივითა, თითქოს ლურჯ ცას მიერქმევაო, ხელს მოიქნევდა ერთი მოსხეპითა, ჩოგანს მოიქნევდა, გასტყორცნიდა ფუნჯსა ისე, რო ბუჩქებში ეძებდა მერე ორბელი, წაიჩოქებდა და ისე ეძებდა, მერე ხიჭვებს გამოიძრობდა, დანაბეჟს იზელდა, დაუმიზნებდა მერე ისე რო ველარ მიუწევს პარტნიორიო, მაგრამ მიუწევდა, მაგრამ მიუსწრებდა, გაიტყორცნებოდა და გასტყორცნიდა. და ბაჯბაჯებდა ორბელი ამაოდა. ის აქეთ გახლდა და ფუნჯი იქითა, დაბჯაბაჯებდა და ავარდებოდა, ავარდებოდა და მოსცდებოდა, სად ჩავარდებოდა, ვერ იხილავდა, — აგერ იქაო, მანდ არა, იქაო, ჩოგანს მიუშვერდა იგი მშვენიერი და კისკისებდა, წაიხრებოდა სულ ოდნავად, ხელს მიიბჯენდა გულზე ოდნავადა და კისკისებდა სიქორფეი იგი თხუთმეტი წლისა რო გეგონებოდა, დიდი-დიდი თექვსმეტისაი. გენება თუნდაც ორჯერ მეტისა, გენება თუნდაც სამჯერ მეტისაცა, სიქორფე მაინც თან გაჰყვებოდა, გაყინული იგ სიწრფეი, წლები ვერაფერს რო ვერ დააკლებდა, ვერ გაალხობდა, ვერ მოლექდა, ვერ მოჭმუჭნიდა, რაც უნდა ეცადა; იმის თუნდაც არც რა ეცადა, ყოფილიყო ეგრედვე მუდამა, რძისფერივე მაშიებითა, უფერუმარილო, თეთრი, ოდნავ ხორბლისფერ შეპარებული მარილიანი სახითა, გადაწყობილი თმითა, წაბლისფერითა, უკან რო გაეკრა, თითქოს მართლაც გოგონა არისო, — ყოფილიყო ეგრედვე მუდამა; ორბელი მხარდამხარ ვერ გაჰყვებოდა თუნდაც შორტებითა, თითქოს მოცისფრო შორტებითაო, მოვარისფერო ხალათითაცა, რო ჩაიშლიდა თუ ჩაეშლებოდა თამაშის დროსა, შავი ბანჯგვლები ამოეყრებოდა, თუნდაც შავი

და ჭალარა არაო, აემძივებოდა... ლი ძუნძულითა, სახეზედა თუ ბარძაყებზედა, გაყავისფერებულ ბარძაყებზედა, სახეზედა გარუჯულზედა, რო შეეძინა ამდენიხნის გარეთყოფნითა, — ვერ გაჰყვებოდა. ვერადავერ გაუტოლდებოდა;

იქაც ჰო ვერა, — მიატოვებდა ბუჩქებში შემძვრალსა. ციცინოი რაღა თქმა უნდა, — ჩოგანს აუზში აურდაურევდა, თითქოს თევზები უნდა დაიჭიროსო; არ გაუფრთხებოდნენ თევზები მაინცა, შემოევლებოდნენ ჩოგანსა ირგვლივა, აჰყვებოდნენ და გადასხლტებოდნენ, შეჰყაპყაპებდნენ და გადასხლტებოდნენ. ჩაეშვებოდნენ,- ჩაინავარდებდნენ, მიიკუნჭებოდნენ. მიიმალებოდნენ, ამოვარდებოდნენ მერე უეცრადა, თითებს თუ ჩაჰყოფდა ციცინო წყალში, მიეგლისებოდნენ იმა თითებსაცა; ერთი მაინც არა შორდებოდა, ოქროსფერი პაწარა თევზი, ოქროსფერი თუ ოქროს თევზი. არც მოსცურავდა არც თითებზე მიეტანებოდა. შეჩერდებოდა შორიახლოსა, თითქოს თვალში თვალს გაუყრიდაო, თითქოს რაღაცას ეუბნებოდა. მოაგონებდა თუ შთააგონებდა, გააფრთხილებდა თუ შველსა ჰპირდებოდა თითქოსაო, თითქოს ვერაფერს გააგებინებდა, ანთუ იხმობდა ახლოს მოდიო, უფრო კარგად რო გაგიგოო, აცურდებოდა თითები ისე, ხმობისადა რაღა თქმა უნდა, დაიმლევრევოდა თითები ისე, ლივლივში წყალისა რაღა თქმა უნდა; თევზი მაინც არ აჰყვებოდა, არც მივიდოდა, არც წავიდოდა, არც შეირხეოდა, ლივლივი ზევით გადაუვლიდა, ვერც რო მიმოტეხდა, ვერც რო მიმოგრეხდა თითებივითა; წამოეპარებოდა მერე ორბელი, კოკოზითა რაღა თქმა უნდა, მიაცურებდა, მიაპარებდა, ამოიქნევდა ისე უეცრადა, შტერი თევზი რო ვერ წაუვიდოდა, — ვერ შეიპყრობდა ოქროს თევზს მაინცა, ვერც შეიპყრობდა და არც გაექცეოდა, იქვე იქნებოდა. ანთუ ცოტა მოშორებითა, თითქოს არც არრა გადაეტანოსო, თითქოს არც ვინმე შეენიშნოსო, მია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩერდებოდა ისევ ციცინოსა, შეჰბუტბუტებდა თითქოს ისევა, ეალერსებოდა თითქოს ისევა; წამოეპარებოდა ორბელიც ისევა, გაწბილდებოდა ორბელი ისევა, გაწბილდებოდა და გახელდებოდა, დაერეოდა სხვა თევზებსაცა, კოკოზითა რაღა თქმა უნდა, ჩავარდებოდა შიგ აუზშია, დაეჯაჯგურებოდა, ქვებსა, ლოდებსა დაეჯაჯგურებოდა თუ ზედ შემოერტყმოდა, დახელობდა. მოიშველიებდა ფეხებსაცა და, რო იცოდე, კბილებსაცა, ერთისა კუდიც შერჩებოდა კბილებში, მეტი არაფერი, ვერას ეწეოდა; ბადეს მოითხოვდა, ბადეო, აყვირდებოდა: ჩვენ არა გვქონდა და რას მივცემდითო, — გაიკვირვებდა ნაუფროსალი. — კოკოზით ვიჭერდით. ბადე რად გვინდოდაო; გავარდებოდა მაშინ თვითონვე, წყალი გასდევდა თავზე წურწურითა, გავარდებოდა და მოვარდებოდა, მოარბენინებდა თავის ბადესა, ვეება ბადესა, რო ვერ გაშლიდა მოხერხებულადა, და აგინებდა თავის სიძეებსა, მეორე აღარ გამომატანეს, უფრო პატარა და უფრო მარჯვეიო; და აგინებდა იმ აუზის ხუროთმოძღვარსაცა, რა იყო შუაში ეს მახინჯი ქალი რო არ ამოეყვანაო. ვითომ ქალი და ვითომ თევზიო, ნახევრად ქალი და ნახევრად თევზიაო, გვერდით მიედგა თუ ასე უნდოდა, მაშინ ეს ბადეც გაიშლებოდაო. — და აგინებდა სიძეებსა, და აგინებდა ხუროთმოძღვარსა:

ასე დართოდა მარცხი მარცხზედა, თუმცა ეს რაო, — არაფერიო, შებადურობა მისი იცოდნენ, ის ბადმინგტონი უფრო აწუხებდა, ჩოგბურთელობას რო დაიტრაბახებდა და არცთუ უბრალოდ დაიტრაბახებდა. მეტრეველი მე აღმოვაჩინე, პირველი მწვრთნელი მე ვიყავ მისიო; აქ დავიდუმებ, ვერაფერს გეტყვი, ისე იხტუნებდა ჩოგბურთის კორტებზე, პირველად შორტებს იმისთვის შეიძენდა, შეიძენდა ნაცნობებსაცა. — სალომეც ეტყოდა, იქიდან მახსოვხარ. ჩემი ბავშვები რო დამყავდაო, ამით უშანგის მოსჭრიდა კბილსა, შენზე ადრე მე ვიცნობდიო; ოღონდ აქ მაინც ის უნდა ითქვას, ბადმინგტონ[illegible] იკადრებდა, ვერ ეუარებოდა ციცინოსაც რო, და რო არც ის ეგონებოდა, რო იწვნევდა ესოდენ მარცხსა; ეგება „ფორმაში არ იქნებოდა“? — როგორც იტყოდა, სპორტსმენები ვითარც იტყოდნენ, — რა გასაკვირია!.. იქნებოდა ახლა ერთ „ფორმაში“ მხოლოდა და მხოლოდა, — ნეფის „ფორმაში“, მეფისა არა, სწორედაც ნეფისა; და არ ექნებოდა სხვა არაფრის; ხალისი, არ ენდომებოდა სხვა არავინა, არც ეს დეიდა სალომეი, არც ის ბიძია აპოლონი, უშანგიც არა, თუმცა თვალში რო არ წაეჩხირებოდა, არ ეჭაშნიკებოდა არცა ზრუნვაი ფარული მისი, თვითონ იზრუნებდა, როგორც ენება, თვითონ მოუვლიდა თავის დედოფალსა, — ისეთ „ფორმაში იქნებოდა, ისეთ ფორმაში!..“ არ ენდომებოდა არც ქუთათელი ეპისკოპოსი რაღა თქმა უნდა, ეს ჯვრისწერობანაც მოულოდნელი იქნებოდა რაღა თქმა უნდა, ვერც ახირდებოდა, — საქმე საქმეზე რო მისულიყო, ასე გაჯანჯლებული, ასე გაჯახირებული საქმეი, ცოტაზე აღარ ახირდებოდა, — ჯანდაბას ეგეცო, ეგეცა ვნახოთო; დაიგვიანებდა ქუთათელი ეპისკოპოსი და აღრინდებოდა ორბელი ისე, კბილებს იქითაც რო ვერ გადაიცდენდა, კბილებში მოწეწადა. იხროტინებდა ყელში; შეწუხდებოდა სალომეი, აფუსფუსდებოდა. აბა ეს აბიო, გამთბარი ბორჯომიო, აბა ეს ყელში გამოსავლებიო, აფუსფუსდებოდა და თავსშემოევლებოდა; და გაიბერებოდა ორბელი ისე, ცოტაცაო და გასკდებაო, გეგონებოდა; მაშინ ციცინო ბექობისკენ წაესწრაფოდა, აედევნებოდა ორბელიცა რაღა თქმა უნდა, დროს იხელთებდა და გადასდებდა ხელსა მხრებზედაცა და, რო ათრთოლდებოდა მხრები იმის ხელქვეშა, დაავიწყდებოდა ქუთათელი ეპისკოპოსიცა, სალომეცა, აპოლონიცა, და ლამის ეგრევე აიტატებდა, გაიტაცებდა ეგრევე ჭალაში და ირბენდა, ირბენდა, ვიდრე ირბენდა, — ლამისაო. ჰო მოგახსენე!.. ოღონდ ციცინო მოიცილებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხელსა ნაზადა, რო ვერ აუხირდებოდა ორბელი ისე, რო ვერც ვერაფერს რო ვერ შეიტყობდა, — შეაწუხა თუ ეუხერხულაო, ვერც შეატყობდა და ვერცა ჰკითხავდა, გაჰყვებოდა და გამოჰყვებოდა აუზიდან ბექობამდისა, ბექობიდან აუზამდისა, იქ ისევ რაღაც გამოსავლებს რო დაახვედრებდა დეიდა სალომეი და, რო გამოართმევდა,და, რო მოისკრიდა ხელუკულმადა, თვალსაც რო არ გაადევნებდა;

— სად ჯანდაბაში დაიკარგნენ ამდენი ხანი?! — გაბრაზდებოდა და ამასლა იტყოდა დეიდა სალომეი; და მიხვდებოდა ორბელი, ჯვარისწერობანა თუ ეპისკოპოსი ამისი ბრალი არ უნდა იყოსო და ინანებდა რად გადავუგდეო, მიბრუნდებოდა, თითქოს დაეძებდა, იპოვნის თითქოსა, ბოდიშს მოუხდის თითქოსაო; აპატიებდა თუ არა დეიდა სალომეი,— საკითხავი ეს იქნებოდა, ჯერ — მაინც აპოლონს ეტუტუნებოდა, — ალბათ თუ რაო, წავიდეთ და გავეცალოთო; წასულიყო, აღარა სჭირდებოდა სალომეი ორბელსა, არცთუ მოვალედ ჩასთვლიდა თავსა, მადლობელიცა ყოფილიყო, რომ გაუსაღა შინაბერა დისწული; სხვას კიდევ რას დააყვედრებდა?.. მოადგილედ რო გაიყვანდა? ჰო გადაუხადა!.. არც დაამუნათებს, მაინც სიძეებს დარჩებოდა ის ვენეციური ჭალიცა, — ისიც არამია, რაც დაუტოვა, ამას მაინც არ დაამუნათებს, — ბარი ბარში ვართ, დამეხსენიო; მაგრამ ეტყობა, სულ სხვას შესტუტუნებდა დეიდა სალომეი აპოლონსა, წასვლილსას არა,— ფეხს არ მოიცვლიდნენ, დაელოდებოდნენ ეპისკოპოსსა; ესეც მოითმენდა, ბევრი მოეთმინა, ცოტასაც მოითმენდა;

მობრძანდებოდა ქუთათელი და იმასაც მოითმენდა, ადვილადაც გადაიტანდა წესსა ჯვრისწერისა, რო მოეშალათ და რო ალმდგარიყო, უნდოდათ თუ არა, ალმდგარიყო მაინცა: შეიფერებდა გვირგვინსაცა, საკმელის სუნსაც შეიფერებდა, მოეწონებოდა, რო აფურთხებდა ეპისკოპოსი, სანთელთა ციალიც მოეწონებოდა. დიდთა სანთელთაცა, პატარათაცა, მოეწონებოდა გალობაცა [illegible] სისა რო აჰყვებოდნენ მღვდელი, დიაკვანი, მორჩილი, — თან მოჰყვებოდნენ და აჰყვებოდნენ რაღა თქმა უნდა, მოეწონებოდა ისიცა აგრეთვე, თანხმობას რო დაეკითხებოდნენ, ასე ყველაფერი მოეწონებოდა, რამეთუ ამით მოთავდებოდა, მოიცილებდა ერთბაშად ყველასა — სალომეან, აპოლონიან, ქუთათელიან, მღვდელიან, დიაკვნიან, მორჩილიანადა, ყველას ერთბაშადა; და განუმარტავდა იმათაც ადვილადა თუ ვინმე ჰკითხავდა, რა ჩაგიდენია პარტიულ კაცსაო, განუმარტავდა და ბევრსაც აღარ აუხირდებოდნენ დიდი რამ თანამდებობა რო არ ეჭირა, აღარც ისე გამოედებოდნენ; ანთუ ვინაო, ვინ გაიტანდაო, ასე განაპირა, ასე დაბურული, მიყრუებული ფაცხიდანაო, — იქით მღეროდნენ მრავალჟამიერსა, იქით გუდასტვირს ვიღაც დასძახოდა, იქით ვიღაც თამადა სჭექდა, ლამის მთებსაც გააგონოსო, გუგუნებდა ყველა ფაცხაი, გუგუნებდა თავთავისებურადა, ყველა თავისით გატაცებულიყო, ვის მოიცლიდა ამათთვისაო; გინდ მოეცალათ ჯანდაბას ყველაფერი, ოღონდ გაცლოდნენ, ოღონდ გაცლოდნენ!.. და გაეცლებოდნენ, და მოითმენდა: გაგრძელდებოდა რო სუფრის კურთხევაცა, საქორწინო სუფრისა, სადღეგრძელონი თუ შეგონებანი აპოლონისა თამადისა, რა ვუყოთ თუ მცირე სუფრისა, მაინც სუფრისა საქორწილოსი, რო არ ითქმოდა მცირედადა სუფრაი იგი თუნდაც ესოდნენ მცირედნი რო ხდებოდნენ ნეფე-ედედოფალსა. — არ ითქმოდა, დიდად ითქმოდა, და გაირჯებოდა აპოლონი დიდი სუფრის თამადასავითა. — და მოითმენდა ორბელი ცხადია: მოაითმენდა ქუთათელიცა, ანთუ აღარ აჩქარდებოდა, მოითავებდა იმდღის წირვებსა, იმდღის ნათლობებს მოითავებდა, მოითავებდა ქორწინებამდისა,— მღვდელიც აღარ აჩქარდებოდა, აღარც დიაკვანი, მორჩილი ჰო არა და არა;

გაიღიმებდა ციცინო, ხან თითო ცრემლი ჩამოუგორდებოდა ცალ-ცალ-

ეროვნული

თვალიდანა, ეკიდა ეგრე, ლოყაზე ეკიდა და ჩაუშრებოდა, — გაუღიმებდა, — თავის ცრემლსაო თითქოსაო, ხან გაუცინებდა, — და შევიდოდა აპოლონი ეზოში. შევიდოდა და შევიდოდა: ეს ჩემი სიტყვებია ასე რო აღელვებს, ჩემი სიტყვებია რო აცრემლებს ასეო;

მაინც და რაო, —

აპოლონი რო აპოლონია, ამოიწურებოდა აპოლონიცა;

დამთავრდებოდა ამბავი ესე და მოიწყენდა დეიდა სალომეცა, — დამთავრებული ვერ მიიზიდავდა, ვერ გაიტაცებდა;

დამთავრდებოდა ერთისიტყვითა: წააბრძანებდნენ ცალკე ქუთათელსა თავისი ამალითა, ცალკე დეიდა სალომესა აპოლონიანადა, ორბელი ცოტას დაახანებდა, დედოფლიანადა რაღა თქმა უნდა, მერე გაუტევდა დასავლეთისკენა, — ისინი ჰო აღმოსავლეთის გზას დაადგებოდნენ, ესენი ასე, დასავლეთისასა, ოღონდ მალე შემობრუნდებოდნენ, აქვე, აქვე. ბორბლების ღრჭიალი აქამდეც მოაღწევდა, ისე სწრაფადაც შემობრუნდებოდნენ.

ამასაც მეტყოდა ნაუფროსალი იქაობისა, ნაფაცხარისა, მეტყოდა და მიაფუჩეჩებდა; ეს არ აფიქრებდა, ეს არ აღონებდა, რამდენი ასეთი გაახსენდებოდა, ვინ უწყის რამდენი, — მოგონებებით ვერ იცხოვრებდა, ვერც ეცხოვრა და ვერც იცხოვრებდა, ფაცხით იცხოვრებდა, ოოცნებებდა ფაცხის აღდგენაზე და, იოცნებებდა. ერთხელაც ასევე რო დაერბიათ და აღმდგარიყო უკვე ერთხელა, — დაერბიათ, რო წამოეწყოთ ზევით ცვლილებანი, ეს დაერბიათ, და აღმდგარიყო, რო შეცვლილიყვნენ ზევით ყველანი, ეს აღმდგარიყო — მალე აღმდგარიყო: ახლა როგორღაც დიდხანსა გრძელდებაო, — მოადევნებდა მერე ამასაცა ფრთხილადა თუ ეჭვიანადა, — შეცვლით შეიცვალნენ, მაინც თავისას არ დაიშლიან, მაინც შიშია, მაინც გავფანტულვართ, თავი მაინც ვერ მოგვიყრიათ; შრომის მეტი არაფერი აგონდებათო, გეგმის მეტი არაფერი [illegible] პირზედა, ერთი მოდის თუ მეორე მოდის, იგივე ბუბუნებს, იგივე გუგუნებს, და ეს ჰო ასეა, მიდის და მოდის, ჩვენღა ვდგავართ და ჩვენი საქმე ვერ აგვიწყვიაო; შრომა შრომაო, მაგრამ შრომას ჰო დასვენებაც უნდა, გემრიელი დასვენება უნდა, მადლი რო ჰქონდეს, გემო რო ჰქონდეს შრომასაცა, — ეს ერთადაა, ჩვენ ერთადა ვართ, რად გაგიყვიათ, ვერ გამიგიაო; ჩვენ რაო მეთქი, სტუდენტთა სასადილოს იქით დიდი გზაც ჰო არ ექნება ჩვენი ჯიბის პატრონსამეთქი, — ვცადე ასე რო შევდავებოდი, ანთუ სულაც რო ამერიდებინა, — მაინცსადამდე ივლიდნენმეთქი, ხრჭიალი საიდან მოაღწევდამეთქი; მინდოდა როგორმე მივმხვდარიყავი თუ რა ითქმოდა, თუ რამდენ ხანში, ასე მკვეთრად რო შეიცვლიდნენ გეზსა, ასე მკვეთრად რო მობრუნდებოდნენ, ასე ხრჭიალითა, ლამის მანქანა რო გადაბრუნდებოდა, ისიც „24“, ჟიგული ჰო არა; ვერ მივახვედრებდი თუ რა მინდოდა, ის მხოლოდ „ჯიბეს“ მოჰკრავდა ყურსა და „ჯიბეზე“ ამიხირდებოდა:

— ვისაც ექნება ბატონო ჩემო, ვისაც ექნება!... გაუშვით, დახარჯოს, რა გინდათ. დახარჯოს, აქ ატრიალოს, ამ ქვეყანაში. ამ ქვეყანაში ატრიალოს, ქვის ქვეშ ამოდებას ეს არა სჯობიან?!

და გამოვესარჩლებოდი არქეოლოგებსა, — ისინიც ხალხია, იმათაც უნდათ პურისჭამამეთქი.

— იმათთვისა ხართ?! — ჩაიცინებდა —ესაა მიზანი ცხოვრებისა?! ამიტომაა ისტორია ქვების ქვეშ რომ მოგიქცევიათ და კიდევაც დააყრით ქვებსა?!

და გაისმოდა ხრჭიალი ისევა. — ეგება იგივეც განმეორდებოდა, საკითხავია და არცაა საკითხავი, სხვა იქნებოდა რაღა თქმა უნდა, სხვასაც აუძლევებოდა ბედი თავისი, სხვასაცა და სხვასაცა, გაეკიდებოდა ყორანი თავისი, ყველას თავისი, გაეკიდებოდა და დასჩხავლებდა; ცა იქნებოდა მოწმენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილი, გარემო მდუმარი, მზეი უშფოთველი,—მერე და რაო, მერე და რაო! და რახან რაო, — ავდარში ყორანიც არ აყივლდებოდა.

XXIV

თუ რა ითქმოდა, აღარც ჩავყვებოდი; ციცინო იტყოდა რაღა თქმა უნდა, თუნდაც მუდარითა, ვედრებითა თუნდაცა, გაგულისდებოდა ორბელ ეწრელი; საყურადღებო სწორედ ესაა, გაგულისდებოდა რო ორბელ ეწრელი, მოაბრუნებდა საჭეს რო ისე, ახრჭიალდებოდა ბორბლები ისე, — საყურადღებო სწორედ ესა, საბედისწეროც ეს იქნებოდა; წამოეწეოდნენ და გაუსწრებდნენ უშანგისა; წამოეწეოდა და გაუსწრებდა უშანგი; შეაყოვნებდა, გვერდით გადგებოდა, შეჩერდით თქვენცაო; არ შეჩერდებოდნენ, არ შეჩერდებოდა ორბელი ცხადია, სალომე ანიშნებდა, რამ მოგაბრუნათო, არც მიჰხედავდა ორბელი სალომესა, ციცინო მხოლოდ გაუღიმებდა, — სხვა რას მოასწრებდა, რახან რო მიჰყრიდნენ, ჩაუვლიდნენ, გაეშვებოდნენ; წამოეწეოდა უშანგი ისევა, გადაუსწრებდა უშანგი ისევა; წამოეწეოდა ორბელი ისევა, გადაუსწრებდა ორბელი ისევა, გაგულისდებოდა ასე ამგვარადა, თითქოს აღარც შეჩერდებოდა დასაბამამდე, — აღსასრულამდე ანუ ცხადია; ოღონდ არ იფიქრო, თითქოს ისაა და დაიღუპებოდნენ, შეასკდებოდნენ ანთუ რაღაცასა, ანთუ უფსკრულში გადაიჩეხებოდნენ და თან გადაჰყვებოდა სალომეცა უშანგიანაპოლონიანადა, — არა, არ იფიქროთ: სალომე არავის გადაჰყვებოდა თანა, არ უმუხთლებდა ბედი არცა ორბელსა. არ უმუხთლებდა, — თბილისს მიატანდნენ მშვიდობიანადა, გაიყრებოდნენ მშვიდობიანადა, — თვით ციცინოცა და ორბელიცა, მშვიდობიანად გაიყრებოდნენ, ორბელი ასე გაგულისდებოდა, კრინტს რო ვერ დასძრავდა, ასე, ამგვარად გაგულისდებოდა, და გეგონებოდა, რაინდია სწორუპოვარი, რო აღუსრულებს სურვილსა ყოველს [illegible]ველადა თავის დედოფალსო: იმასაცა, რო გამოემშვიდობებოდა იმ ღამესაცა, პირველ ღამესა, იმასაცა, რო გამგზავრებულიყვნენ მოსკოვსა, ერთადა ცხადია, სალონ-ვაგონითა, იმასაცა, რო გადაფრენილიყო ჯერ ორბელი, ბინა შეერჩია, სასტუმროში თუ სადაც იქნებოდა, ოღონდ შეერჩია რაღა თქმა უნდა, იმასაცა, რო ეცადა, ეცადა აეროდრომზე, შეჰგებებოდა ყოველ რეისსა, შეჰგებებოდა და გაწბილებულიყო: გაგულისება გაუვლიდა მერე ორბელსა, თანდათანობით გაუვლიდა თუ ერთბაშადა, სულერთია, მერე მაინც აზვავდებოდა და აზვირთდებოდა, ახივლდებოდა და აგუგუნდებოდა, აწივლდებოდა, და აჩხავლდებოდა, ყურებს გაუფხრეწდა უშანგისა ტელეფონითა რაღა თქმა უნდა: ღმერთი რაღა იქნება და ხვალ თუ არ მეახლა ეგ შენი ბვირფასი დედოფალი. წყალსაც უზიდია, მეწყერსაც უზიდია, თუნდ ქაჯებს უზიდიათ, მე მაგისი გამომხსნელი აღარა ვარო: ნურც ის ეგონება, ი ღვდლების ბეუტური რამედ მიღირდეს, ფიცის გატეხა რამედ მიღირდესო. არ ეგონებაო, მიუგებდა უშანგი, ყოველშემთხვევაში დავარწმუნებო. ოღონდ ესაა, არც დაარწმუნებდა, არც არას ეტყოდა. — ანუ ორბელს არც უხსენებდა. რო ეახლებოდა ციცინოსა და მიაცილებდა აეროდრომამდისა, მიაცილებდა და ელოდა ისევა: ავა და ჩამოვა თვითმფრინავიდანა, უბრად ჩამივილის და მანქანისაკენ გაეშურება, ფეხს ვერც აუწყობ. ისე, იმგვარად გაეშურებაო. ელოდა და ასეც იქნებოდა, ასე იყო და ასეც იქნებოდა: არა ჰკითხავდა არაფერს, ისიც არ ეტყოდა, თითქოს ამქვეყნად აღარც იქნებოდა. ისე მიატანდა თავის სადარბაზოსა. ერთს გაუცინებდა. თითქოს ესაა და კვლავ მობრუნდება ამა ქვეყნადო. გაუცინებდა და გადავიდოდა. ხვალ მაინც წავალ. უთუოდ წავალო. იმა სიცილს მიაყოლებდა; და ეახლებოდა უშანგი ისევა. ხვალაც და ხვალაცა. ერთხელაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებოდა რო მოთავდებოდა, ეახლებოდა უსათუოდა, ეახლებოდა მოთმინებითა; შინ ისევ ტელეფონი აუხტებოდა, კვლავ შეჰპირდებოდა, დავარწმუნებო; აუხტებოდა ორბელისაგან რო, დეიდა სალომესგანაც აუხტებოდა, მე აღარ ჩამრიო, მე ჩემსას მოვრჩიო.

აღარ ჩაგრევო, შეჰპირდებოდა უშანგიცა, ოღონდ იცოდა, არ იქნებოდა უსალომეოდა, ბედის მწერალი იმას აირჩევდა, ბედისწერას ის უნდა მიჰყოლოდა. ჯერ თვითონ დაჰყვებოდა, ოღონდ ისე, რო მიაქანებდა დიდი სისწრაფითა, მივუსწრებთ თუ არა, მივუსწრებ თუ არა, მივუსწრებთ თუ არაო, მიაქანებდა და აიყოლიებდა, ასწრაფებდა ციცინოსაცა, რო არ მოაფიქრდებოდა სხვა აღარაფერი, ოღონდ მიესწროთ და ოღონდ გაჰყოლოდა, — სხვა აღარაფერი, სხვა აღარაფერი, მაგრამ და რაო; მიუსწრებდნენ და აღარ გაჰყვებოდა; მიუსწრებდნენ და სხვა ფიქრიც უსწრებდა, ფიქრი თუ შიში, რალაც უსწრებდა, რაღაც დაჰყვებოდა, ხელსა ჰკრავდა და გამოაგდებდა, უფრო სწრაფი რამ, სწრაფზე სწრაფი რამ, ჯერ მანქანა რო ვერ შესტოლებოდა, ყველაზე სწრაფი რალა თქმა უნდა, კოსმოსური რალა თქმა უნდა, ანთუ ეს რაო, ვერ შესტოლებოდა სინათლის სიჩქარეცა, — უსწრებდა და ხელსა ჰკრავდამეთქი:

— ხვალ მაინც... — ხმას ამოიღებდა ციცინოი, თითქოს თავის თავს ეპაექრებაო.

— ხვალ იყოს. — მიადევნებდა უშანგიცა, დაამშვიდებდა თითქოსაო, ნელაც შემობრუნდებოდა, ნელაც გამოსწევდა, უჩვეულოდ ნელა, უჩვეულოდა, თითქოს მანქანასაც გაუკვირდებოდა: ვინ უშანგი და ვინ ასე ნელაო.

— თავი მოგაბეზრე. — მოიბოდიშებდა ციცინოი, არცთუ შეჰხედავდა. თვალმინაბული მოიბოდიშებდა.

— არა!.. რას ამბობ?! — გაიკვირვებდა უშანგი ისე, რა ემართებაო, რო იფიქრებდა.

— ჰა, ჰა, ჰა... — ჩაიცინებდა ციცინოი ოდნავადა, უშანგი თითქოს [illegible] არც ახსოვდა.

— ჰა, ჰა, ჰა.. — ჩაიცინებდა უშანგიცა, თითქოს და რაო, გამოერკვესო, ანთუ რადაო, იყვეს ეგრევეო და მოსხეპდა სიცილსა.

— ხვალ მაინც... — ისევ ციცინო იტყოდა; და ხვალაც იტყოდა, თანდათანობით უფრო მეტს იტყოდა, — შენ გიკვირს ცხადია. არ მეკითხები, მაგრამ ვიცი, გინდა რო იცოდე. მეც მინდა რო იცოდე. მეც მინდა, გითხრა, ოღონდ რა მითხრა, ანთუ როგორ გითხრა, ჩემთვისაც რო მიუწვდომელია? სიტყვები არა, სიტყვები ვიცი, სიტყვებს დავალაგებ, სხვები ალაგებენ და მეც დავალაგებ, სათქმელია მიუწვდომელი, უთქმელია და სიტყვებს არ მოჰყვება. ლაპარაკიც ყოვლად ამაოა, ვერაფერს ავუხსნით, ვერაფერს გავაგებინებთ ერთმანეთსა, ვერაფერსა, ვერაფერსა, ცალცალკე ვართ და ცალცალკევე ვიქნებით. შენ ჩვეულებრივ ცოტასა ლაპარაკობ, ჰკუაც ეს არის მე ასე მგონია, მაგრამ სულერთია, ბევრიც სულერთია, ცოტაც სულერთია ამ შემთხვევაში; რაც უნდა ცოტა ვთქვათ და იგივეც რო ვთქვათ, მაინც სხვას ვიტყვით, სხვადასხვანაირსა, აზრს ვერ მივატანთ, ერთიმეორეს ვერ მივუახლოვებთ რაც უნდა ვეცადოთ, რაც უნდა ვეცადოთ; თუ შევთანხმდებით, ანთუ მოგვბეზრდება, ანთუ დავუთმობთ, ანთუ დავაცდით, ისე თანხმობა არ გამოგვივა, ერთდაიგივეს ვერ მივუდგებით, აზრს მაინც ვერა, ვერ მივუდგებით, ბევრიც რო ვეცადოთ, — ჰო ვცდილობ და ბევრიც რო ვეცადოთ, სულ რო ვეცადოთ, ვერ მივუდგებით ვერასოდესა. სიტყვების ხროვა აზრი რო არ არის, აზრი არ არის არც სიტყვები აწყობილი, დალაგებული, რამეთუ მაინც ხროვა იქნება, არც აიწყობა, რახან ხროვაა; ხროვაა და ამიტომ ამოდის სიტყვებში ყველაფერი, სიმახინჯეც ამოდის, სიავეც ამოდის, ცბიერებაც ამოდის, გაიძვერობაცა, სიყალბე ამოდის ყოველგვარი, ყოველ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაირი; თუ ვიტყვით, სიკეთეც სიტყვებში ამოდის, მშვენიერებაც სიტყვებში ამოდისო, — რაო, მერეო, ბოროტება უფრო ძლერს სიტყვითა, სიმახინჯე უფრო ძლერს სიტყვითა, ცბიერება უფრო ძლერს სიტყვითა, გაიძვერობა უფრო ძლერს სიტყვითა, მშვენიერება ისე ვერა ძლერს, სიკეთე ვერა, ისე ვერა ძლერს; სიტყვა მფარველობს ზრახვათა ავთა, ავთა ნაქმნარსაც სიტყვა მფარველობს; ამიტომ აზრი სულ სხვაგანაა, სიტყვათა მიღმაა, მიღმა და მიღმა, აზრი იგივე ჭეშმარიტებაა, მიუწვდომელი, უხილავი, წარმოუსახავი რამეთუ სიტყვაა იგივე საშუალება წარმოსახვისაცა, წვდომისაცა სიტყვაა, ხილვისაცა, სიტყვაა ოდენ საშუალებაი, და ულონოა საშუალებაი იგი, უნიათო, უმწეოა, რამეთუ ხროვაამეთქი, და ხროვა იგი მსახურია ზრახვათა ავთა. და არაფერი ვიცი, და ვერ ამიხსნის სიტყვა ვერაფერსა, ვერც ვერავის გავაგებინებ, ვერც ვერავინ გამაგებინებს, შემიპყრობს მხოლოდდა მოლოდინი, მოლოდინი მხოლოდ ავისა, გავურბივარ და ვერ ავცდები, დავხუჭავ თვალთა და მივეცემი. დრო მაინც მინდა... ანთუ არც მინდა... არც ვიციმეთქი, ჰო მოგახსენებ... ან თვითონაა განმგებელი, რო ვერც გაუსწრებ, რო ვერც ჩამორჩები, დროა განმგებელი...

— დრო. — უშანგიც გაიმეორებდა, ისე, გულგარეშე, თითქოს ესაა რო გაიგონა, ანთუ გაიგო, სხვა არაფერი გაუგიაო.

— დრო. — მიატანდა ისევ ციცინოცა, მაინც დააცდიდა, რახან კრინტი დასძრა, ალბათ რაიმე უნდა მითხრასო.

— მერე იმან რო აღარ დაიცადოს?! — შეაპარებდა უშანგი ასე.

— ბატონმა ორბელმა?.. — თითქოს სადღაც შორს მოეჩვენებოდა ციცინოსა, ისე გაჰხედავდა მტკვარგაღმა მთებსა. იმას იქითა თუ იმის ზევითა.

— უწოდე როგორც გინდა...

— ნუღარ დაიცდის.

— მაშინ რა იქნება?... კომედია იქნება.

— კომედია იყოს.

— არა, არა!... — არ ეჭაშნიკებოდა უშანგის, კომედია არ ეჭაშნიკებოდა, — კომედია რად უნდა იყოს?!

— კომედიაა, ბედნიერად რაც რო მთავრდებაო.

— რო არა მთავრდება?!

— დამთავრდება, დამთავრდება, — მოსჭრიდა ციცინო. — ნეტავი რა არ დამთავრებულა?! მეც დრო მჭირდება, ანთუ მე ვჭირდები დროსა, ერთხელაც იქნება შიშს აღარ ვიგრძნობ, დავხუჭავ თვალთა და გავფრინდები, ფრრრ... — გააგრძელებდა ციცინო. — ვიფრენ და ვიფრენ, თუნდაც დაბრუნება რო არ მეწეროს დედამიწაზე, გულიც აღარ ამიკანკალდება, თუნდაც გავქარწყლდე იქ სადღაც შორსა, არას ვინაღვლი, არ ვიფიქრო, პოეტებისაგან რო დამესწავლოს, ბევრი მიფრენია, ასე განმიცდია, ჩემს განცდას ვიმეორებ, ან ვერც ვიმეორებ, ცხადია, ცხადია, ვერც ვიმეორებ, ოღონდ ახლა მაინც ვშიშობ, ვშიშობ სხვებისთვისა, რადგან მგონია, დაიღუპება ის თვითმფრინავი, მე რო ვავყვები, უბრალო ხალხიც გაიწირება ჩემთან ერთადა, მგონია და ვშიშობ იმათთვისა, იმათ შევიბრალებ, მეცოდებიან, ავალ და ჩამოვდივარ: მომაჩერდებიან შიშიანი თვალებითა, გამოვბრუნდები და გაუვლით შიში, მადლიერებით მომაცილებენ, გასრიალდება ჩემ თვალწინ თვითმფრინავი, ხელს დამიქნევენ მადლიერებითა, მეც ხელს დავუქნევ, მეც მადლობელი, რო გადავარჩინე, რო მივაცილე გადარჩენილთა, მეც ხელს დავუქნევ, ვუქნევ და ვუქნევ, ჩიტისოდენად ვიდრე გადაიქცევა, ვიდრე გასცდება თბილისის მთებსა, რა არის, არ ვიცი, გასტანს თუ როდემდისა, ესეც ჰო არ ვიცი, დრო მინდამეთქი, ამიხირებია. მატარებელშიც ასე მომივიდა, ეგებ ურემში აღარ დამემართოს, მაგრამ ურმებით აღარ დადიან, ან ეს მგზავრობა რაღად გამოვჩხრიკე, რა მოხელეა, რისთვისაა, ესეც არ ვიცი, ვერა გამიგია, ვერაფერი გამიგია. ასე განლაგდა სიტყვები

ეროვნული

ხროვა და ამაოდ ვეძიებ აზრსა, ის სადღაცაა, სადღაც შორსაა, სიტყვათა მიღმაა, სიტყვაა გზაი ერთადერთი, დაბნეული, დაზლართული, აბურდული და არეული, რაც რო მიჰყვები, უფროც აირევი, უფროც გადასცდები, უფროც გაიწეწები, ანუ შენ რაო, მე გავიწეწები, ამიტომაა, რო აღარც ავყვები სიტყვათა ხროვასა, აღარც ვეცდები, მივწვდე თუ სად რაა, ანთუ არის, აღარ ვეცდები, დავუცდი დროსა, დრო თუ დამაცდის, რაც მოსატანია, მოიტანს დროი, და აზრიც ის იქნება, დრო რასაც მოიტანს, ანთუ უაზრობაც სწორედ ის იქნება, რამეთუ წამია დროი, და წამიც ისაა, სიტყვა რაც არის. — აქ მიდუმდებოდა ციცინოი, მიბინარდებოდა, თვალთაც მინაბავდა და მერე ეგრევე ჩაიდუდუნებდა, — ხვალ მაინც.. დრომ თუ ინება რაღა თქმა უნდა.

ხოლო ვინ უწყის თუ რას ინებებდა დროი იგი ხროვაი წამებისა, ანთუ როდის რას ინებებდა?.. ისევ დეიდა სალომე ჩაერეოდა, ისევ ის ინებებდა — აღარას ვამბობ, ვის თუ დატუქსავდა თუ როგორ დატუქსავდა, უშანგისა პირველყოვლისა რაღა თქმა უნდა, — ინებებდა და წაუძლვებოდა, აუძლვებოდა, ჩასვამდა თვითმფრინავში და გამოუტყდებოდა სტიუარდესასა, მფრინავებსაც გამოუტყდებოდა, მგზავრთაცა აგრეთვე გამოუტყდებოდა თუ რა აშინებდა დისწულსა მისასა თუ ვინ ელოდა თუ რა მოუთმენლადა, გამოუტყდებოდა და გააცინებდა, გააცინებდა სტიუარდესასა, გააცინებდა მფრინავებსაცა, მგზავრთაცა აგრეთვე, სულ ცაში რო გამოკრულიყვნენ, სულ რო დაჰქროდნენ, ცაში დაჰქროდნენ, სხვაგვარი მგზავრობა რო ველარ წარმოედგინათ, გააცინებდა და გამოუმშვიდობებოდა; აემღვრეოდათ მერე სიცილი, ჯერ მფრინავებსა, დასაჯდომად რო მოიმართებოდნენ, შასი რო არ გაიხსნებოდა, მერე სტიუარდესა აიმღვრეოდა, ეგრე ჩაირშენდა თავით ბოლომდისა, ბოლოდან თავამდისა, რო ვერ იტყოდა ვერაფერსა, თვალსაც ვერავის გაუსწორებდა, მგზავრნიც ერთბაშად აიმღვრეოდნენ, რო შეამჩნევდნენ, ვსხდებით და ვერაო, ველარა ვსხდებითო; დაავიწყდებოდათ სიცილი იგი, ციცინოც აგრეთვე დაავიწყდებოდათ, შიში მოიცავდა ყველას ერთობლივა, ერთბაშად მოიცავდა შიში; მხოლოდ მესაჰე გაჯიქდებოდა, გაუჯიქდებოდა შიშსა ცხადია, დაეშვებოდა და ავარდებოდა, იტრიალებდა, იტრიალებდა, დაეშვებოდა და ავარდებოდა, გავარდებოდა, მობრუნდებოდა დაეშვებოდა, დაეშვებოდა და ავარდებოდა, ჩამოიწეოდა შასი ოდნავადა, ჩამოიწეოდა და ჩაიხუფებოდა, კიდევ მეტად ჩამოიწეოდა, კიდევ მეტად ჩამოიწეოდა, ჩამოიწეოდა, როცა იქნებოდა... ან ჰო, ან არაო!... ჩამოიწეოდა როგორც იქნებოდა, არცთუ ისე წესიერადა, დაჯდომა მაინც მოხერხდებოდა, დაიჟეჟებოდნენ თუმცა მგზავრები, ზოგი მეტადა, ზოგი ნაკლებადა, გარდა ერთისა...

ამასობაში დაიზრიალებდა ბროლის დარბაზი დეიდა სალომესი, თითქოს და რაო, და ჭერი ჩაიქცაო, თითქოს და რაო, და იატაკი ჩაიფშვნაო, ისაა, რო დაბრუნდებოდნენ მეუღლენი აეროდრომიდანა, კმაყოფილნი, ბედნიერნი, საქმესა სხვათა რო განარიგებდნენ ბედნიერადა, მხოლოდ ამისთვის რო გადაგებულიყვნენ, გაჩენილიყვნენ მხოლოდ ამისთვისა და ამისთვისაც გადაგებულიყვნენ; და რას მიიღებდნენ სამაგიეროდა? — დაიზრიალებდა რო ბროლის დარბაზი, რო შეცვივოდნენ ორივენი ერთადა, ანთუ ველარც რო შეცვივოდნენ, გაიჭედებოდნენ რო კარებშია, შეეყრებოდა ნაპერწკალი თითქოსა, ნაპერწკალი ფერად-ფერადი, შეეყრებოდა და შემოევლებოდა მუხლებზე, კანჭებზე, კოჭებზედა, შემოევლებოდა და ჩაცვივოდა, მოეფინებოდა იატაკზედა, — მოეფინებოდა მთელსა დარბაზსა, თავითბოლომდისა, ვენეციური ჭალის ნაფშხვენები.

და ვგონებ, რო თქმაც აღარ უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ერთისაო... არ გაექექილიყო, ოდნავადაც არა, გათავებულიყო, სისხლი ჩაჰქცეოდა.

XXV

გლოვის სუფრაზე არ აირჩევდნენ თამადასა, სთხოვდნენ მორიდებითა, მოწიწებითა სთხოვდნენ, პატივი დაგვდეო;

გლოვის სუფრაზე არ იტყოდნენ სადღეგრძელოსა თამადისა, გამოემშვიდობებოდნენ მადლიერებითა, ლხინსა და ქორწილში გვეხილე თამადადა ამის შემდეგაო, მხოლოდ ლხინსა და მხოლოდ ქორწილშიო;

გლოვად მისულნი არ იტყოდნენ გამარჯვებასა, შორიდანაც რო მოსულიყვნენ, ერთიმეორეც რო არ ენახათ დიდიხანია, — ამოიოხრებდნენ, ხელს გაუწვდიდნენ. გადააქნევდნენ თავსა; გამარჯვებაში სიხარული იდო. გლოვა სიხარულს ვერ გაიკარებდა. წვეთისოდენადაც ვერა;

სხვა რაღა გამომრჩა?..

ვგონებ არაფერი;

წლისთავზე ისევ მავდარი ესვენათ. თბილელი სწირავდა. იწყებოდა გლოვაი ისევა წლისთავიდანა წლისთავამდისა. ზოგს წლისთავამდისაც არ დააცდიდა, ზოგს დააცდიდა, კარგახანს დააცდიდა, ოღონდ მერე რო დაატყდებოდა, არ გაეცლებოდა არც ისე ადვილადა. იმასაც რა ექნა, სიკვდილსა ცხადია?.. — ოთხი დღე ჰო უნდა ეგლოვათ, — კვირაში ოთხი დღე უნდა ეგლოვათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ვახტანგ გორგანელი

სამოცი წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ პოეტს ვახტანგ გორგანელს. სამამულო ომი ახალი დამთავრებული იყო, როცა ქართველმა მკითხველმა მიიღო ახალი პოეტური კრებული „სალამურები". მასში წარმოდგენილი იყო ოთხი, დღეს უკვე ფართოდ ცნობილი პოეტი — მურმან ლებანიძე, ოთარ ჭელიძე, თეიმურაზ ჯანგულაშვილი და ვახტანგ გორგანელი. დაწყებული იმ დღიდან ვახტანგ გორგანელი აქტიურად იღწვის ქართული პოეზიის ასპარეზზე. მისი ლექსები გამოირჩევიან ლირიკული სიწრფელითა და უშუალობით. პოეტი მუდამ აქტიურად ეხმაურება ჩვენს მღელვარე ცხოვრებას, კომუნისტური იდეალების გამარჯვებას.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ვახტანგ გორგანელის ახალ ლექსებს.

### თ უ შ ე თ ი

1.

ლაჟვარდში რაც კი სხივია
მინდა სიმებად გავჭიმო,
რომ ყველამ ერთად გიმღეროს
გზაო, მზისაკენ გაჭრილო!
სადაც აფრინდა მერცხალი
შენს სადიდებლად აქ არის,
არ მოაკლდებათ ბულბულებს
ხმაში თაფლი და შაქარი.
სადაც კი მამლის ყივილზე
ვარდმა ნათელი გაშალა,
აქეთკენ მოემართება,
რომ დაგვილოცოს გზა-შარა.

2.

დუმილს დაედო სამანი,
მხრები გაშალე, ომალო!
შენი არწივის ყივილი
ცამ ველარ მიმალ-მომალოს.
შინი ჩანჩქერის ქუხილი
ველარ წაიღონ ქარებმა,
ამაოდ ველარც ღრუბელი,
ვერც ზვავი დაექანება.
მაცნედ, მომავლის შუქურად
დგას წამი ძალთა მოკრების,
უნდა მოზღვავდნენ ფარები,
უნდა მოჯარდნენ ჯოგები.

3.

გზა უხმობს გაფრინდაულებს,
გზა უხმობს მამაც ლუხუმებს,
ვისაც კი გული ერჩის და
ახლა საქმისთვის ბუხუნებს.
უნდა დაიძრას მთებიდან
დოვლათ-ბარაქა უშრეტი,
სულ მუდამ წინ, წინ მავალი
კვლავ წინ გვეხილოს თუშეთი.
ეს ცა ნურც დალამებულა
ნურც გათენდება უშენოდ.
დიდი ცხოვრების ფერხულში
გზას დაგილოცავ, თუშეთო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სიტყვავ მართალო!

ისევ და ისევ
წინ გვეძახის მართალი სიტყვა,
სიტყვა, რომელსაც
ცისარტყელად ლაჟვარდი ირტყამს;

სიტყვა, რომელიც
გაზაფხულის მოფრენილ მერცხლებს,
მოაქვთ იმედად
და უფენენ მშვიდობის ფესვებს;

რომ ჩაუდგებათ
უხილავად რძესავით კვირტებს,
წამოვა ტალღად
და იორი ბადაგს ვერ იტევს;

რომ ამოიტანს
თავთავებად მარცვალი პურის,
მკერდგახურებულ
გუთნისდედებს რომ უკლავს
წყურვილს;

სიტყვა, რომელიც
სტუმრად მოსულ კეთილის მსურველს
წინ შეაგებებს
დედის ღიმილს და თონის სურნელს;

სიტყვა, რომელიც
უდარაჯებს ტანაყრილ ყანას,
განთიადამდე
რომ ეფრქვევა უტკბილეს ნანად;

სიტყვა, რომელიც
ჰგავს მინდორში მოქნევას ცელის,
რომლის ბარაქას
გამრჯე კაცის მარჯვენა ელის;

სიტყვა, რომელიც
ვაუკაცივით დაზგასთან ბრუნავს
და იცის ერთი—
არ მოაკლდეს ჩვენს მამულს ზრუნვა;

სიტყვა, რომელიც
არ დაინდობს ულირსს ბოლომდის,
ან რატომ უნდა
ბოგინობდეს ჩვენში ბოროტი!

სიტყვავ მართალო,
შენს გარეშე ცხოვრებას კაცის
არა აქვს ეშხი,
არა აქვს შნო, არა აქვს ფასი.

რაკი აღივსო
უნდა კიდეც იფეთქოს კვირტმა...
გააუკვდავა
რუსთაველი მართალმა სიტყვამ.

ვინაც სიცოცხლე
ანაცვალა სამშობლოს ძახილს,
მართალო სიტყვავ,
ხალხის გულში დაუდგი ტახტი.

შენი ფრთები აქვს
კეთილ აზრს და ლამაზ ოცნებას,
თავისუფლებას,
სიყვარულს და პატიოსნებას.

შენი ღონე აქვს,
შენი სისხლი ძარღვებში უვლის,
სამშობლოსათვის,
ვისაც უძგერს ალალი გული.

ამ პლანეტაზე,
მეგობარო, მოვსულვართ მიტომ,
რომ სუფთა ხელით
გავუწოდოთ ერთმანეთს სითბო.

როგორც დიდგორელთ,
როგორც ნოსტელთ, როგორც
მარაბდელთ,
ყველა ღირსეულს
კვლავაც შენი კალთა ჰფარავდეს.

ყველა ღირსეულს,
რომ უტევდა სტალინგრადულად,
შენ წინ უძღოდი
და დიდება მეტი რაღა უნდა.

დღესაც შრომაში
იმავ ქინით გვიხმობ, გვაქეზებ,
რომ აღიოდნენ
გამარჯვების ბარიკადებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალო სიტყვავ,
დაგილოცავ ფუძეს და კედლებს,
სასპარეზოდ
ამ გადაშლილ ზეცას და ქედებს.

მითქვამს და ვიტყვი
ნუ მომაკლდეს შენი ნათელი,
სანამ მერქმევა
ხელმართალი კაცის სახელი.

## ტაძრები

აქეთ ცას ერთვის ბილიკი,
იქით ჩანჩქერი ფაფარს შლის,
ქარაფებს შორის მივდივართ,
როგორც ზღაპრიდან ზღაპარში.

გაკვირვებს, ცას რომ შერთვია
კედლები უზარმაზარი?
ამ ქვეყნის სადიდებლად
ვაგეთ ამდენი ტაძარი.

მიტომაც ვადუღაბებდით,
ღამეებს თეთრად ვათევდით,
შიგ სამშობლოსთვის აგვენთო
ჩვენი სიცოცხლის სანთლები.

და განა მარტო ტაძრები,
ეს მზედ ნათებაც ენგურის,
ეს ალაზანიც, ეს მტკვარიც
სამშობლოს ტაძრად გვეგულვის.

სად ნაპერწკალი გრდემლს ახლტა
და განთიადად დავძარით,
ის ჩვენი სალოცავია,
ჩვენი ხატი და ტაძარი.

სადაც კი ბარი დავკარით
და მიწა იქცა ედემად,
ის ჩვენი ანგელოზია
და ჩვენი სულის ვედრება.

რაც ემატება სამშობლოს
და მის ტრფობაში ერთდება,
ის ჩვენ საქმეში ტაძრდება,
ის ჩვენს სიტყვაში ღმერთდება.

რწმენის უმაღლეს მეუფედ,
ვისთვის ვიწვით და ვიწოდით,
დგანან სამშობლოს დიდებად
და მისი მარადისობის.

აი, რისათვის ვაშენეთ
ეს ცას შერთული ტაძრები,
რომ მიარღვევენ სივრცეებს,
როგორც ხომალდის ანძები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

## სიხარულის სათავე

ადამიანი იბადება სიხარულისთვის,
რაც ქვეყნად ასე მცირე არის, ასე ცოტაა.
ადამიანი იბადება სიყვარულისთვის,
უსიყვარულოდ გული მუდამ ძგერს საცოდავად.

და თუ ცოტაა სიხარული, პირველ ყოვლისა,
ჩვენი მიზეზით, დიახ, მხოლოდ ჩვენი ბრალია,
ჩვენ გვადევს ვალი ერთმანეთის ზრუნვა-მოვლისა,
და ერთმანეთის ბედიც სწორედ ჩვენ გვაბარია.

მაგრამ ბევრ ჩვენგანს,
და, ვაი რომ, არც იშვიათად,
ერთმანეთისთვის სიხარული არ გვემეტება,
და უფრო მეტიც — შურის შავი ჭია ნიადაგ
ფუტფუტებს, ჰკაწრავს მოყვასის გულს ხანჯლის წვეტებად.

ხშირად ერთურთი გულის სითბოს გარეშე გვრჩება,
დღენი კი ჰქრიან მიშვებული სადავეებით.
გახსოვდეს; ჩვენ ვართ,
                    მხოლოდ ჩვენ ვართ
                    და სწორედ ჩვენ ვართ
ერთმანეთისთვის სიხარულის სათავეები.
...იმ სათავესთან სიყვარულის მზე გენთოს მუდამ!

## წვიმა გაგრაში

გაავდრდა და აიფოფრა
ზღვა ტალღების ფაფარით,
არც ლაჟვარდის ლურჯი ოქრო,
არც პლიაჟის ზღაპარი,

სექტემბერი წვიმის შოლტებს
გვიტყლაშუნებს ბეჭებზე,
— არცა წუთით დამიღონდე,
არც კარავქვეშ შეჩერდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიაროთ ახლა ზღვისკენ,
ნუ დამშორიშორდები,
ჩამოგვბერტყავს ასფალტის მტვერს
წვიმის ნედლი შოლტები.
თავს ცის ცრემლებს დაგვაწურავს,
მზის ნაპერწკლით მოფერილს.
ვინ დაწერა პარტიტურა
წვიმის დიდი ოპერის...
ვინმე გიყს ნუ დამადრიან
აცეტებულს წვიმაში,

(გაგრის მიწას სხვა მადლი[illegible]
მისით დავიწვი მაშინ).
ვიდრე ცაზე ცისარტყელის
ზოლი არ დაჭიმულა,
წვიმა ცეკვავს, წვიმა მღერის,
გვეფერება წვიმურად.
...გაავდრდება? — შტორმმაც ზღვაზე
არ იცის დაყოვნება.
კაციც ზღვისებრ ბორგავს ასე,
როცა ავდრობს ცხოვრება.

* * *

შენ დაგედევნა ჩემი ოცნების
ჭრელი ჩიტების დასი, ნანული.
მათს ფერად ფრთებზე შეიტყორცნება
ფიქრი, ტკივილი და სინანული.
შემომესმება უცებ შენი ხმა,
ვიქცევი სხივად და სიმღერებად,
შავი ზღვის ტალღებს ფრთებად
შევისხამ,
ბიჭვინთის ფიჭვებს გავშლი ხელებად.
შენთან გავჩნდები, გულში ჩაგიკრავ,
ახდენავ ჩემი სიზმრის მზისფერის...
არც სიჭაბუკის ცეცხლი ჩამიქრა,
არც მომიდუნდა ძარღვი სიმღერის.
აპრილის ჩოხით შევიმოსები,
გაქრება დარდი და სინანული.
შენ დაგჭიკჭიკებს ჩემი ოცნების
ჭრელი ჩიტების დასი, ნანული!

## ბიჭვინთის ტაძარში

ბიჭვინთის ტაძარი.
ბახი.
ლოსმინორი.
ფიჭვებში შავი ზღვის წვიმა.
ხომალდად დაძარი
ბალი
საფირონის,
ოცნება დაჭიმე სიმად.

გუგუნებს ორღანი.
თალი
თირთის ტაძრისა,
მუსიკამ, რაიც ჰგავს ვულკანს,
ჭერს ტალღით მბორგავით
ჭალი
მიასრისა
და თვითონ დაენთო შუქად.

წაშლილი ფრესკიდან
გუნდი
ანგელოსთა
აფრინდა, თან ამიტაცა.
შევძლებდი? — დღეს კიდევ
წუთით
არ მელოცნა
სულისწვის მიწაც და ცაცა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

უცნობ ქალს

იანვარია
და ბაზრიდან გამოგაქვს ია,
თუმცა არ ვიცი,
ია ჰქვია თუ სხვა რამ ჰქვია.
და მე მას ვარქმევ
ღვთაებრივი ქალწულის ღიმილს!
სველი
თბილისის მზენარევ წვიმით,
დაუდუმარი დღითა და ღამით
გულის ფესვებში გაბმული სიმი
ხმიანობს:
— ამინ!

## დღეს, რომელიც ღამდება

მიხვალ.
მშორდები.
რა მიხაროდეს...
რა მიხაროდეს —
მიხვალ,
მშორდები.
შენ ხომ აროდეს
    შენ ხომ აროდეს,
        შენ ხომ აროდეს
განმეორდები...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ შალამბერიძე

# იოთამ ზედგინიძე

XIV საუკუნის ქართული ქრონიკიდან.

ყველა დიდ ბატონს, გამგებელს,
მმართველს
რა გამოულევს საფიქრ-საჯავრელს?!
მათ არზა-ნუსხებს, უწყებებს,
დავთრებს,
თუ სიგელ-გუჯრებს ვინ შეაჯამებს?!

ბევრჯერ ცხოვრებამ ეს დაამოწმა
და არ სჭირდება დასტურლამალი:
რაც უფრო დიდი აზრებით ცხოვრობ,
გზა გაქვს მით უფრო ძნელად სავალი.

დასაბამიდან მეფეს ქართვლისას
ორი მტრისაგან ჰქონდა ზიანი:
ერთი — გარეშე გახლდათ, მეორე
უფრო ხელმრუდი — თავისიანი.

. . . . .

გადამთიელთა ავი ზრახვები
არ იყო ძნელი საცოდნელადა,
მაგრამ ვერაგი მოყვრის ლახვარი
ფარულად ფარდის მიღმა ელავდა...

დააბანაკა მეფე გიორგიმ
ლაშქარი სამცხის მისადგომებთან.
სხვა გზა არ იყო, — მან უორგულა,
ერთგულ მოსაგრედ ვისაც ჰგონებდა.

ყვარყვარე გახლდათ მისი სახელი,
ვინც განაგებდა სამცხის სამთავროს.
(სად დაუგროვდა ნისლი ამდენი,
ამ სტრიქონებშიც რომ მოავდარობს?!.)

განუდგა მეფეს ქვეგამხედველი
და ისე მოჰქნა ხვეჭის მაზანდამ,
ძმას გამოსტაცა ათაბაგობა
და ათაბაგად თვითონ დაბრძანდა.

დაითავისა სამცხე მთლიანად
და მოუკვეთა ქართლის სამეფოს;
მოშორდა მცხეთის ეკლესიასაც
და გონმიხდილი ეშმას გაენდო.

ამად გაირჯა მეფე გიორგი,
ამად მიადგა მესხეთს სპიანა, —
არ შეარჩინოს ხელმრუდ ათაბაგს,
რაც თვითრჯულობით მოიპრიანა.

თუმცა, ყვარყვარეც ფხიზლობდა ამ
დროს
და საიდუმლო ჰქონდა სერობა;
გადაბირებულ შეთქმულთა შორის
იყო სიტყვების ალმაცერობა·

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდხანს გაგრძელდა გამცემთა ბჭობა,
ბოლოს ერთმანეთს აუბეს მხარი
და დაადგინეს: მეფე გიორგი
მისსავ საწოლში მოეკლათ ღამით.

მაგრამ შეიტყო ესე ყოველი
ზედგინიძემან ყმამან ითამ.
შეცბუნებული წარუდგა მეფეს,
სამსხელი მკერდით ამოჰქშიოდა.

ისმინა მეფემ ყმის მოტანილი
ამბავი, თუმცა არკი ირწმუნა.
ვეჭვობო, უთხრა,—სამცხის მთავარმა
კაცობა დათმოს ასე ბილწურად.

— თუ ვცბი, მეფეო, მაშ, დამრთე ნება,
რომ შენს საწოლში დავწვე ამაღამ.
დე, მე ვეგონო ჯალათებს მეფე,
ჭოჭმანს დავიწყებ შენთვის, განა?!.

უკეთუ, მეფევ, ეჭვი ამიხდა —
იუდებისგან ვიქნე ვნებული,
არ დაივიწყო ჩემი ოჯახი,
ასე უდროოდ დაობლებული.

აგრე იყოსო, — მეფე გიორგიმ
არ გაუწბილა ყმას დაჯინება.
თან გაიფიქრა: „მარჯვე ფანდია
გამწყრალი მეფის დასაშინებლად“.

. . . .

ახდა გუმანი ერთგული ყმისა,
რა ექნა, ბედთან დარჩა უძლური.
განთიადისას იპოვეს იგი
მეფის საწოლში მთლად აკუწული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ახვლედიანი

# მინიატურები

## რამდენის?..

— კაი კაცი იყო, კაი, ეეჰ!..

— აცხონოს ღმერთმა. მაგრამ ნაადრევად კი მოკვდა საწყალი. მაგის ბავშვობა მახსოვს.

— ოთხმოცდახუთისაც არ იყო, მაგრამ ვინ კითხულობს, შენ ხარ ჩემი ბატონი!

— ოთხმოცდახუთის რავა არ იყო!

— დამიჯერე, არ იყო. ოჯახმა დაწერა ისე, დაახლოებით.

-- თვითონაც რომ ამბობდა?

— ცდებოდა. მე ვიცი სწორი. მაგი რომ დეიბადა, სწორედ იმ წელს გაათხოვეს ნაზიე.

— კაი გოგო კი იყო!..

— იჰჰ! მეც კაი ბიჭი ვიყავი, მაგრამ ღარიბი, დაქცეული... დამიწუნეს მისმა მშობლებმა.

— შენ ცდები მაინც... ნაზიე რომ გაათხოვეს, მას მერე ბარე ოთხმოცდაათიც კია გასული.

— *იჰ! იტყვი შენც!..*

— *არა, თუ?*

— შეიშალე, ჰო? მაშინ ჩვენ რამდენის ვიქნებით, იცი?

— ჰო, რამდენის?!

— შენ თქვი.

— არა, შენ...

— რამდენის და... შენ ხარ ჩემი ბატონი... მე რომ დავბადებულვარ, იმ ზამთარს ძალიან დიდი თოვლი მოსულა...

— რუსის ჯარის შემოსვლა თუ გახსოვს?

— შენ თლა ბალანა ხომ არ გგონივარ? მაგი გუშლამ იყო აგერ...

— ე, იმ წელიწადს დაიბადა ცხონებული.

— ჰო... რაცხა მასე უნდა ყოფილიყო...

— ბაბუ, დიდო ბაბუ! მაშინ ასი წლის ყოფილა და ეგ არის.

— რა იცი შენ, ცინგლიანო!

— რუსის ჯარი ბათუმში ზუსტად ასი წლის წინ შემოვიდა, დიდო ბაბუ!

— ხედავ?

— აბა-აბა? ახლანდელმა ბავშვებმა *ყველაფერი იციან, ყველაფერი...*

— *მაგრამ...*

— *რალა მაგრამ,* ყოფილა ასი წლის და ეგ არის.

— მერე, ჩ-ვენ?... რამდენ წლის ვართ ჩვენ?..

— ?!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წვეთი

დილაადრიან გამოვდივართ სახლიდან მე და ჩემი ხუთი წლის გოგონა, ცოტას გავისეირნებთ ზღვისპირა სკვერში და შემდეგ, საბავშვო ბაღის წინ, რკინის უზარმაზარ ჭიშკართან ვემშვიდობებით ერთმანეთს.

ყოველ დილით ახალ აღმოჩენას მთავაზობს იგი.

...ნელა მივაბიჯებთ ადრიანი დილის წყნარ ცვარიან ქუჩაზე.

„ნეტავ, რას აღმოაჩენს დღეს"...

უცებ...

— მამი, მამი, შეხედე!..

ფოთლის წვეროზე დაკონწიალებულ წვეთს მოუტაცნია ამომავალი მზის პირველი სხივების კონა, თავის ჯადოსნურ ფოკუსში გარდაუტეხია და მრავალფეროვან უგრძეს მძივებად მიმოუბნევია ირგვლივ.

— ხომ ლამაზია, მამი?!

— ძალიან!

ერთხანს მდუმარედ შესცქერის მოჭიატე წვეთს. ჰუტავს — ახელს, ჰუტავს — ახელს თვალებს.

— ასე პატარა წვეთი როგორ ბრწყინავს, ასე ძლიერ?

— სუფთაა და იმიტომ, შვილო...

იგი შემომანათებს წამით თავის ფართოდ გახელილ მომწვანო-მოთაფლისფრო თვალებს და მე ვხედავ, როგორ ციმციმებენ და ილვრებიან იქ ნაირფერი სხივები.

## ალბათ

დილის მზემ გადმოიხედა ომბალოურის მთიდან და ოქროსფერი სხივებით ჩაეკონა ცვარნაპკურ დედამიწას.

მიწის სურნელებამ ჟრჟოლა მომგვარა, თავბრუ დამახვია, გამაოგნა...

და უცებ ვიგრძენი საოცარი სიმსუბუქე, აღმაფრენა... თითქოსდა მეც მზის სხივებსა და მიწის სურნელებაში გავეხვიე, მათი შემადგენელი ნაწილი გავხდი.

ალბათ, ეს არის სამშობლოს მზისა და მიწის დიდი განცდა...

## ბიჭი

— მოკვდი, მოკვდი, უტვინოვ და უქნარავ! — უყვიროდა გაკაპასებული ქალი თავის ათიოდე წლის თავჩაქინდრულ ბიჭს, — იიი... — თავში გამეტებით ჩაჰკრა მჯილი — მამაშენის მოდგმა ხარ, ლოთი და უქნარა მამაშენის...

— მეტს აღარ ვიზამ, დედი!

— რამდენჯერ უნდა მითხრა, მეტს აღარ ვიზამო, რამდენჯერ, — ქალს გული აუჩუყდა და ღაპაღუპით გადმოეღვარა მდუღარე ცრემლები გამხდარ ლაწვებზე, — რა მეშველება, ღმერთო, რა მეშველება ამათ ხელში! — ჯორკოზე ულონოდ დაეშვა და მუხლებზე დაირტყა ხელები.

— მე მცემე, დედი, მცემე... ოღონდ ნუ იტირებ... ნუ იტირებ, დედი... აი, მცემე, რამდენიც გინდა...

— სცემე ვირს, რა აზრი აქვს!

— ჰო, ვირი ვარ, ვირი... ვერ შევნიშნე მაი სამგლეები, ვერ შევნიშნე... აგერ ჩემს გვერდით ბალახობდნენ, მერე უცებ... ბრიგადირი დამადგა თავს და...

— შეაჭმევინე კოლექტივის ყანა, ხომ?! მე წელებზე ვიდგამ ფეხს სახლშიც და კარშიც, ეგებ ცოტა რამ შემოვიტანო-მეთქი ოჯახში!..

— დედიიი, — ოთახიდან სამზარეულოში შემოტყაპუნდა სამიოდე წლის

ეროვნული

გოგონა და კაბაზე მოექაჩა ქალს, — მე ფისი მინდა.

— ჯანდაბა გინდა, ჯანდაბა! — ქალმა ჭურჭელზე დასვა ბავშვი, — ამხელა გაიზარდე და დახმარების ნაცვლად ჯარიმებს მახდევინებ, ხომ? კაი იმედი კი მომსწრიხარ, კაი... შენი დიდი ნენეის ხათრი, თვარა დავკრავდი ფეხს და წავიდოდი ბაბასთან. ჰო, ასე ექადრება იმ ლოთ და გასტროლიორ მამაშენს. ასე, მაგრამ... ი კეთილი დედაბერი მეცოდება. ერთი, აქით მობრუნდი! მობრუნდი-მეთქი, არ გესმის?! მაჩვენე, რა გაქვს ჯიბეში!

— არაფერიც...

— მაჩვენე-მეთქი, მუზირო! კიდევ იმას ჩორკნიდი, არა? მომეცი აქ! არ გეყურება?!

ბიჭმა ჯიბიდან ხის ნაჭერი ამოიღო და გაუწოდა.

— რათ გინდა აგი, რათ! იჭმევა? ისმევა? ა — ამის გამო შეაჭმევინე ძროხებს კოლექტივის ყანა, ხომ?! ახლა მიყურე, რას ვუზამ!.. — ქალი ბუხარში აგიზგიზებულ ცეცხლში უპირებდა შეგდებას, მაგრამ უცებ გაუხევდა ხელი ჰაერში, — ეს მე ვარ? ეს... ეს მე ვარ, ბიჭო? რატომ, რატომ დამხატე ასე, ბიჭო... რატომ დამხატე ა-ასე!.. — და ქალს ღაპაღუპით გადმოუგორდა მსხვილი ცრემლები, — როდის ვარ მე ასე ბედნიერი, შვილო... რატ-ტომ დამხატე ასე...

ბიჭი ერთხანს იდგა გახევებული და შუბლსქვეშიდან შეჰყურებდა ხის პატარა ნაჭერს ჩაშტერებული დედის ათრთოლებულ მხრებს. ძალიან, ძალიან სურდა, მისულიყო და მოფერებოდა, მაგრამ ვერ გაებედა... მერე ბლუზის სახელოზე გულმოდგინედ შეიწმინდა წვეთმომდგარი ცხვირი და შუბლშეჭმუხნული გავიდა სახლიდან.

## ქარიანი ღამე

კვლავ გაუტყდა ძილი... ერთხანს იწრიალა ლოგინში, არაფერი ეშველა...

სინათლე ჩართო.

სერვანტის თავზე საათის პატარა ისარი ოთხს უჩვენებდა.

გარეთ გულსაკლავად წიოდა ქარი და წვიმა ჭავლებად ეხლებოდა ფანჯრის მინებს.

დეკემბრის პირველი რიცხვები იყო.

„გათენებამდე ეჰეეე!..“ — გაიფიქრა კაცმა.

ბოლოხანს დასჩემდა ასე.

ხშირად შეუნიშნავს დედა შუაღამისას საწოლში წამომჯდარი.

ასაკმა იცისო, თითქოსდა ბოდიშს იხდისო, იტყოდა და კბილებით ჩაიბრუნებდა ტკივილისაგან მოწოლილ კვნესას...

უნდოდა სხვა რამეზე გადაეტანა ფიქრი. სასთუმალთან მიდგმული სკამიდან წიგნი აიღო და გადაფურცლა. გონებას ძალა დაატანა, მაგრამ უმარტივესი წინადადებებიდანაც ვერ ამოიტანა აზრი...

...ნეეეელა შემოვიდა ოთახში და საწოლთან გაჩერდა...

— არ გძინავს, შვილო?

თეთრი ლეჩაქი ეხურა თავზე. საფეთქლებთან ქათქათა კულულები მოუჩანდა. შრომისაგან გადაღლილი და დანაოჭებული ხელებით სკამის საზურგეს ჩამოეყრდნო — ოდნავ შეღავათი მისცა დასიებულ ფეხებს.

— არა.

— გტკივა რამე?

— მტკივა.

ლოგინის კიდეზე ჩამოჯდა. მუხლებზე დაიწყო ხელები. კაცმა მათზე გადაიტანა მზერა.

„რამდენს მეალერსებოდა და მცემდა მე ეს ხელები... მაშინაც მიყვარდა ისინი, როდესაც მცემდა. ნეტავ მეტი ეცემათ, უკეთესიც იქნებოდა!“

— ბევრმა ფიქრმა იცის მაგი. ნუ აჰყვები ფიქრს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ გამომდის. შენც ხედავ, არ გამომდის!

— ვხედავ და იმიტომაც გეუბნები, — თავი ჩაღუნა, — მე მგავხარ სულ.

გარდა ჭკუისა.

— რომელი გაგზარდეთ უჭკუო! — ღამისფერ თვალებში ნისლი ჩაუდგა.

„ეწყინა" — გაიფიქრა კაცმა.

— რაც მთავარია, პატიოსნები ხართ. ეს კი მთავარია დღეს...

„მართლაცდა... ან, ან არაფერი..."

ერთხანს უსიტყვოდ შეჰყურებდა შვილს. სულის წიაღიდან დაძრულმა ტკივილმა მთელ სხეულში დაურბინა.

— რაღაც გიჭირს ძალიან.

კაცმა თავი ჩაღუნა.

— შენ ბრძენი ხარ, დედა.

— თქვენ ხშირად მეუბნებოდით მაგას...

„ჰო, ხშირად გეუბნებოდით. გვიკვირდა, როგორ ხვდებოდი ყველაფერს წინასწარ ეს გაუნათლებელი ქალი. მამასაც უკვირდა... არა, უკვირდა კი არა, ბრაზდებოდა... ვერ იტანდა ცოლის ჭკუას. თქვენ ხშირად უთანხმოებაც მოგდიოდათ ამ მიზეზით".

— ჩვენ ისე ვამაყობდით შენით! ისიც... შენ არ იცი, დედა, მამაც ამაყობდა.

— რაღაც... შინაგანი ძალა მკარნახობდა თითქოს. ალბათ, იმიტომ, რომ ძალიან მიყვარდით.

„შენ მართალი ხარ, — გაიფიქრა კაცმა, — დიდი სიყვარული სიბრძნეა დიდი.

ჩვენ ამას წიგნებიდან გვასწავლიდნენ, შენ კი თვითონ მიხვედი მაგ დასკვნამდე".

ერთხანს იყუჩეს.

— ჩვენ უკვე ახალგაზრდები აღარა ვართ, დედა. ჭაღარა სულშიც მოცოცავს უკვე. და რაც უფრო გვშორდები დროით, მით უფრო მტკივნეული ხდები. მოვიყრით თავს შენი შვილები და გიხსენებთ. რა ვქნათ, მამაკაცები ვართ და ერთმანეთს ვუმალავთ სისუსტეს. ჩუმად ვქვითინებთ ცალ-ცალკე...

— ვიცი.

— ჩვენ ისე გვტკივა უშენობა!..

გვერდულად გამოხედა. თვალებში ღიმილი ჩადგომოდა.

— ჩემი სიცოცხლეც სწორედ ეგ არის, შვილო!..

სწრაფად გაუქრა ღიმილი. თვალების კუთხეებში მიიბჟუტა და ნაოჭებში ჩაიკარგა.

გარეთ გულსაკლავად წიოდა ქარი.

„ამდენი ადრე რომ გვეფიქრა შენზე, იქნებ"...

წვიმა ჭავლებად ეხლებოდა ფანჯრის მინებს.

საწოლიდან ჩამოცურებული წიგნი პირქვე ჩამხობილიყო იატაკზე...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დილარ ივარდავა

# სადაც ზღვაა და ლურჯი მთებია

### პ ო ე მ ა

#### შესავალი

მზეს უხმობს, ცხელ მზეს
მამულეთის სიგრძე-განედი, —
ახლა დრო არის — დაჯდე და წერო...
გადადიოდა ჩემი ხალხი
ბედის დანებზე
და კიდევ ჯვარცმულ სიკვდილის წრეზე.
არა მგონია,
იყოს ვინმე ჩვენფერი ბედის,
ჩემო უფალო, ღმერთო ჩემო,,
ვფიქრობ და მაკრთობ, —
შენ ისტორიას
მხოლოდ სისხლის ღვარებით წერდი,
ამბობდი: — სისხლის ფერი აქვსო
მიტომაც მნათობს.
არ მეშინია ჰიპერბოლის, —
ხმამაღალ სიტყვის,
რადგან ღირსი ხარ
მარადიულ ქების და დაფნის...
ქლურტული არის კვლავ თვისება
მომღერალ ჩიტის
და ხედავ? ცდილობს,
რომ მოშვილდოს ჰანგები მძაფრი.
თითო მისხალი, თითო წვეთი
თუ რაღაც ციდა,
რამაც ეს მიწა, წყალი, ოქრო
შექმნა მარადის,
ისევ ხალხია,
ჩემი ხალხი და არა ციდან,
არა ღმერთისგან
დაცემული შუქი სმარაგდის.
პრეისტორიულ გულს გავუხსნი
ყვითელ კარედებს,
ყოველ გუჯარში
სასიცოცხლო სუნთქავს ებანი...
მზეს უხმობს, დიდ მზეს
დედულეთის სიგრძე-განედი,
და... ცოცხლდებიან
წარმართული დღის ღვთაებანი.
მე ვერ ვიქნები
ზოგადი თუ საკაცობრიო,
ვერც ქედმაღლური სიტყვებისგან
მოწნული ღობე, —
ჩემი ეზოდან დაწყებულა ჩემთვის
მსოფლიო...

ყველაზე უფრო
კვლავ მშობლიურს
ვაღმერთებ გრძნობებს.
ვინც რა უნდა თქვას—თევზის სისხლი
მე არ მარგია,
რად დაემსგავსა
ზოგ პოეტთა დასი ერთმანეთს...
ყური დაუგდე:
ო, მათ ხმაში არც არაგვია,
არც ენგურია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არ მესმის მათი, ღმერთმანი.
თუმც ყველას თვისი თან დააქვს
ტვირთი...
როგორც იტყვიან, შეელოდეს
ღმერთი!..
ქღურტული არის თვისება ჩიტის,
მაგრამ სამშობლო
ამა ქვეყნად ერთია, ერთი!
მამულს კი ახლა სურს მომღერალი
ჰყავდეს თავისი ხმითა და ჩანგით.
— ცხოვრების ზღვაში, —
უთხრას ვერავინ, —
არ მახსოვხარო, რაღაც არ ჩანდით!..
ამიტომ ნერვი გავაბათ სიმად,
საკუთარ სისხლის გვესმას დგაფუნი,—
ყველას თავისი მიეგოს წილად,
მე კი ტკივილი მარად ქართული!
არა მოდისთვის, რომ სხვას ვუჩვენო,
თუ როგორ ძალმიძს ვამღვრიო წყალი,
არა, მამულო! ახლა უშენოდ
რამე თუ მსურდეს, დამიდგეს თვალი.
ვინ ვის აწონებს თავს განსჯა-ცოდნით,
არ მეკითხება,
მე სხვა მაქვს ვალი,
ერთს გეტყვი:
ჩემი მადლით თუ ცოდვით
თუ არ გიმღერე დამიდგეს თვალი.
გიმღერებ: გქონდეს შუქი ნათელი,
მარად მიწის შვილს: მზეს და ანთეოსს.
ჯერ მე მესმოდეს ჩემი სათქმელი,
მერე ჩემს ხალხს და ჩემს
საქართველოს!

**მარად ხალხთან**

კოლხეთი, ხობი... ჩვენი კარავი,
აქ უნდა დავცეთ, ძმებო,
წარსულის ხსოვნა გვფარავდეს, —
მზე დღევანდელი ვძებნოთ.
ვძებნოთ კი არა, აქ არის,
ტოტებზბარჩხალა ალით,
ჩემი ბავშვობის ზღაპარი,
გარდახდა დღეის ვალის.
ღმერთმანი, ვერ გამიგია
წუწუნით შევქმნათ ლექსი,
ტირილით კი წაგვიგია, —
გულს დაზრობია ფესვი.
და კიდევ ტაშით კი არა,
გულით, გონებით, ოფლით,
განიკურნება იარა
ქალაქისა თუ სოფლის.
მომბეზრდა სალონების
მუსიკა, ცეკვა, ყავა...
ქალით აღგზნებულ ვნებით
ხელოვნებაზე დავა...
და ასე ზეგ, ან მაზეგ
ბალზე დაამყნობს პანტას.
ცხადია, ზოგთა რიგებს
ხავსი ედება მერე.
უცხოთა, სხვათა წიგნებს
როცა თავისად წერენ.
აქ კი ცხოვრების დუღილს,
ყურს უგდებს ნალდი ქნარი,
თუ ხალხი რამედ უღირს
პოეტს, ის ხალხთან არის!

**ხიბულასაკენ**

— ახალი ხიბულა... (იგივე ხობია),
მისი სისხლი და ხორცი;
აქ შრომა განა უბრალო ჰობია,
ან სიტყვა ლიტონი — ლოცვის.
აქ შრომა მართლაც ჰაერია,
გულია, სისხლია, ნერვი;
ზარმაცი სოფელს თუ გაერია,
ვეღარ იგუებს ვერვინ.
ერთობ ლამაზია ხიბულა,
ფერთა დგას კორიანტელი.
(ახალი ყოფით მოხიბლულმა
ხიბულელებმა დააარსეს
პირველი არტელი);
მას აქეთ წელია რამდენი,
სიღარიბის ჩონჩხიანი ლანდი,
სიკვდილ-სიცოცხლის დარდებით,
სოფელში ვეღარ დადის.
დანარჩენს თავად ნახავთ ადგილზე, —
გვიყვება გამყოლი ჩვენი...
ჰო, ასე, პოეტო, მხატვარო,
ადექ და სიცოცხლე ადიდე,
მედროშე იყავი რწმენის.
ხომ ხედავ როგორ გიყურებს
ხარატი, მლესავი, მწყემსი...
შენც მათი საქმენი ირწმუნე —
გჯეროდეს სასიცოცხლო ფესვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ორი კონტრასტი

შლიდა აპრილი საყვარელ ფერებს.
ვით შლის მოწაფე ნაწერს დაფაზე...
რაც ჩვენ გვიმღერა ხიბულას ლელემ,
რა ჰანგია და... როგორ დაფასდეს.
იმღერებს ვინმე უწრფელეს იმ ხმით?
ლელეს სიმები ჩაშლოდა თმებად.
(ცად ასროლილი ტყიური იხვი
ანაკლიის თხემს გაეკრა ფრთებით),
წინ ზიმზიმებდა ხუთამდე კორდი,
კორდების ირგვლივ გაშლილი ველი,
ფანტავდა ფერებს, ვით ოქროს ზოდი,
ან, როგორც ყელი ყელჭრელა შველის,
ველებს გაღმა კი ჭონჭყზე მღეროდა
მომწვანო ფერი ბურდო-ძეძვნარის,
იწვა ლუმპე და კვლავ მსხვერპლს
ელოდა,
როგორც მსხვერპლს ელის ქუჩის
მეძავი,
რა იყო, თვალის გასროლა ერთი,
სადაც გაეწყო ჯოჯოხეთს ლხინი.
აქ, ხიბულაში ედემის ღმერთი,
როცა იწყებდა სიცოცხლის ხივილს,
იქ ბუყბუყებდნენ ჯოჯოკაცები,
იწყებდნენ სისინს,
ყიყინს და როკვას...
ენატრებოდათ ჟამი ფაცხების,
როცა ციება ქვეყანას ლოკავს;
ხიბულას ფიფქავს აპრილის თქორი,
ჭაობს კი
აკრთობს ჟამი—ნაღველი,
ერთი ბელტია, ბედი კი ორი —
ამგვარი ბედი ისევ გვაღელვებს.
ამიტომ ალსდგა დღეს ქუდზე კაცი,
რათა ჭაობი იქცეს მზის ხიბლად,
და ავადმყოფი ველია რაცკი,
უნდა გაბრწყინდეს როგორც ხიბულა.

### იმედი ხვალის

თირქია გახლავთ ამ ბიჭის გვარი, —
მზედაკრულ სახეს უხდება სევდა,
არ ახსოვს თურმე ალერსი მამის
და უფრო მწარე —
არ ახსოვს დედა!
(ის გაუზრდია ბებიის ამაგს),
დედა მომკვდარა ადრე და უცბად,
ფრონტზე წასულა ომის დროს მამა
როცა ერთი წლის ყოფილა ზუსტად,
მერე ბებიაც გადაჰყოლია
შინმოუსვლელზე
დარდს — არა იოლს,
წელს, თურმე, გიო მამის ტოლია,
მოსახელეა მამისა გიო.
თავიდან გეტყვით: ის არც გმირია,
არც დევკაცია, ბიჭია, ჰოდა,
უბრალოდ ერთი ბრიგადირია,
ახალგაზრდობას თავკაცობს სოფლად.
როს დაუსრულდა სიზმრებში ფრენა,
მან მიაშურა სოფელში ფერმას.
ზოგ-ზოგსაც თურმე არ მოეწონა,
ზოგმა საჯაროდ გაკიცხა ლამის;
,,,ვისაც რა სურდა, ისა თქვა მაშინ,
მაგრამ წისქვილს კი ჰქონდა საფქვავი...
გავიდა წელი და ხიბულაში
არც კი ახსოვდათ იგი ამბავი.
არვის ახსოვდა მანამდე, სანამ
არ ახმაურდა რაიგაზეთი
და დაინახა უცაბედ ყველამ
რა არის თეთრი —
და ობლის ღმერთი.
— მოწინავეა გიოს ბრიგადა,
— ყველას აჯობა გიო თირქიამ,
რა მუყაითი მშრომელი დადგა,
—ადრეც ტყუილი როდი გვითქვამსო—
ამგვარად ბჭობდნენ მტყუან-მართალნი,
მზის ალმურზე თუ დაფნის ჩეროდან,
გიოს ფიქრი და დარდი ნათელი
კვლავ აწუხებდა, კვლავ გასჩენოდა;
ფიქრობდა იგი
და მასთან ერთად
მისი ბრიგადის ყოველი წევრი...
ჩუმად იყვნენ და...
სხვისთვის ვერ ეთქვათ, —
იდგა ტაძარი და სდუმდა მრევლი.
მაგრამ დუმილსაც აქვსო წერტილი
და ერთხელ შალვა კემულარია,
როგორც კეხრონმა, თავაწყვეტილმა,
გიოს ბრიგადამ, კაცი არია.
კი არ არია, ახალგაზრდების
ნათქვამმა კრება განსჯად აქცია...
დაიწყო გიომ: — ნუ გაბრაზდებით,
ჩვენ არც ჯგუფი ვართ და არც
, , ფრაქცია,
ჩვენსას ვიტყვით და...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვისმინეთ, იქნებ
ამ ნათქვამშიაც ნახოთ სიმართლე.
მოგეხსენებათ, ყოველგვარ ფიქრებს
უნდა ხორცშესხმა, უნდა სინათლე.
საკითხს ვაყენებთ...
ვსინჯოთ, ვინ იცის,
აქ, კოლხიდაში იქნება გვიჯობს,
არა დღეისთვის, ან ხვალ დილისთვის,
არამედ ისე... უბრალოდ ვსინჯოთ...
— მე აღარ მესმის მიეთ-მოეთის,
არც ჰოლანდიის, არც ინდოეთის;
ინდოეთში კი ახლაც ცხადია,
ხარი და ძროხა წმიდა ხატია.
ისე დადიან დელის ქუჩებში,
თითქოს ეყაროს თივა-ფუჩეჩი...
ეს თაყვანცემა წარმართულია,
დღესაც რა ხდება
ველარ გავიგე,
მისი გაგება
ჩემთვის რთულია!
ახლა სხვა რამე მაოცებს, ძმებო.
სხვა მინდა გითხრათ,
ჩვენ სხვა გზა ვძებნოთ.
პირუტყვისადმი ჩვენშიც ყოფილა
ეგ პატივცემა ადრე, ორწილი, —
ამასვე ვიტყვი, ალბათ, ყოველთვის,—
მა: ორმა სიტყვამ შუქი მოჰფინა!
„ბჟას“ ეძახიან რძესაც და მზესაც,
კოლხურ-ლაზურად ადრეც და დღესაც.
ხომ ხედავთ, კოლხელს რძე მზედ
უღირდა,
დასაბამიდან ასე ყოფილა,
ძროხამ ჭაობის ჭენჭრეხ ბუღიდან
დამაშვრალს
სხივი მხსნელად მოჰფინა, —
ჩოჩქოლი ატყდა დარბაზში უცებ,
ხანშიშესულებს უკვირდათ ერთობ,
მათი ცხოვრების ფერგასულ
ფურცლებს
რაღაც ახალი ცეცხლი დაენთო.
— მარჩენალია გლეხკაცის ძროხა,
აგრძელებს გიო, სიტყვა წკრიალებს,—
როცა ულხინდა, უჭირდა როცა,
მას იმარჯვებდნენ, როგორც იარაღს.
ეს სხვა თემაა...
სიტყვა ისედაც
გამიგრძელდა და
ვერ ვთქვი მთავარი...

— გვყავს ხუთასამდე მეწველი ძროხა,
ჩვენი არა და სხვადასხვა ჯიშის...
ზამთარ და ზაფხულ
სულ მასზე ვოხრავთ,
თუ რა ვაჭამოთ,
ეს გვახსოვს ცხადში,
ეს გვახსოვს ძილშიც,
თითოეული, ხედავთ ყოველთვის
მისხლამდე როგორ მოაზიზეა,
მთელი ბრიგადა, აბა, რა ეთქმის,
თავს დასტრიალებს —
ლამის ძიძაა!
ჩვენ განა შრომა დაგვზარებია,
ეს თავად იცით, თავს როდი ვიქებთ,—
ეგ არის მხოლოდ, ჩვენ ვიტყვით
ჩვენსას,
ყური დაუგდეთ, სწორია იქნებ:
საქმე ისაა, ჯერ კიდევ მაშინ,
ჭაობზე როცა თვლემდნენ ქოხები,
ქებული იყო მთელს დუნიაზე
კვარაცხელიას ჯიშის ძროხები.
ძროხა, რომელიც თავისთავს არჩენს;
რძე და ყველი კი მთვარეს მიუგავს
და სხვათაშორის რომა ვთქვათ, ისე,
ძალზე მოსწონდა აშილ მიურატს.
მიურატი კი ვეტსაქმის მცოდნე
თურმე იყოო იმ ხანად ფრიად;
— ნუ აყვებითო ევროპულ მოდებს,
ამ ძროხას მართლაც ღვთის ძროხა
ჰქვია,
უთქვამს მიურატს.
...ალპურ საძოვრებს გამოლევს ვინღა,
ხობისწყლის პირას შორთხვი და ლელი
რომ აიყრება,
ჭაობი ნილაბს
ჩამოიფხრეწავს — გაჩნდება ველი,
რაიც დაიტევს ჯოგსაც და ფარას.
გვექნება თივით მინდვრები სავსე...
მაშასადამე, საკითხს ვსვამთ ასე:
იქნებ და ისევ ავაღორძინოთ
ძროხის კოლხური ნაქები ჯიში?!
...იყო კამათი, შეხლა-შემოხლა,
აზრი სადავო, მაგრამ ნათელი...
რაც მთავარია, ყველას ჰშვენოდა
ხვალისთვის ზრუნვა, დღეის სათქმელი.
არ მიუღიათ დადგენილება,
საკითხი დასვეს,
აი, რა იყო?!

და ბოლოს კრებამ ერთხმად ინება:
ეს ყველაფერი ემცნოს რაიკომს.

### უშმურს ებრძვიან კოლხიდელები

ჩვენ ხიბულადან დავეშვით თავქვე...
ჭალადიდისკენ ავიღეთ გეზი,
გზადაგზა თვალწინ დამიდგა სახე:
მწყემსის, მეგუთნის, მებაღის,
მეზვრის...
ყველა ქართველის,
ნაღდი მშრომელის,
ვინც გასულია მინდვრებზე ნათლით,
ვინც ვაჟკაცია დაუდგრომელი,
მკლავმოუღლელი, მჭედელი მართლის,
ყველას, სულ ყველას, ვინც გამახსენდა:
(ასეა, ბევრსაც გავიცნობ მალე!)
მე ვიცი მათი ეს შემართება, —
ერთი მზის ფერი უნათებთ თვალებს.
...ახალსოფელთან, სადაც ჭაობი,
ჭოტივით თვლემს და კვლავ ძალაშია—
დგას მეხთატეხა ჩემი თაობის —
თითქოს ნამდვილი ფრონტი გაშლილა.
ჩვენი მანქანა შევაგდეთ ღელეს
და შორთხვის ტევრთან როცა გაჩერდა,
თვალი ვესროლე წუმპიან ველებს,
და ჰორიზონტი ყვითლად გაშტერდა...
აქ არც „არგოა",
აქ არც ვერძია,
ეს ვინ გასძახის სივრცეს ჰარალოს?
კოლხიდელები უშმურს ებრძვიან,
სურთ ჭაობები დაასამარონ.
მიწა დევების ფეხით ნატორი
დაძარღვულია დამბების ქსელით...
ჭაობებს უტევს ექსკავატორი,
რომ იწმაწნება წეროთა ყელით.
გახლეჩილია ექოს ბგერები
და მეც ბაყაყთა კარნავალს ვისმენ...
შადრევნებივით ბულდოზერები
ცაში ისვრიან წყლის ყვითელ ისრებს,
ვინ იტყვის:
წუმპეს არავინ ერჩის?
მაშინ როდესაც
მარჯვნივ, ტლაპოდან
ამოშლიგინდა როგორც კამეჩი
„დე-ტე" ტრაქტორი, კბილებნაფოტა.
ეს ტრაქტორისტი? ლუდა მანია —
ხუთი „ვეჟკაცის" ყოფილა მამა,
თურმე აქ შრომობს დიდი ხანია,
აქ დავრჩებით, თვით ამბობს, სანამ
ამ პაპანწყვილსო არ გადავჯეკნი
და ეს წუმპენი ყვითლად მორთულნი
აღარ იქნება გულბუდე ეკლის,
და არც სადგომი კოღოს ხორთუმის.
— თუმც უჭაობოდ რაა კოლხეთი?
უფრო უფეხო ბალერინაა, —
მაგრამ ამგვარი ფეხის მოხლეჩით
ყველა ბალეტი ვიცი, წინაა, —
თქვა მანიამ და ჩამიკრა თვალი
და აეწეწა მოჟღალო თმები...
...ავარდეს ბარემ აქ ხანძრის ალი,
დაიწვა უნდა, თუ აენთები.
კოლხეთში ყველგან, სადაც ჭაობი
პირალმა წევს და გადასდის ლილა...
დგას მეხთატეხა ჩემი თაობის,
საშვილიშვილო საქმე გაშლილა.

### კვლავ მომავალზე ფიქრით

მზე დიდებული და ცისმარადი
ანათებდა და ანათებს ქვესკნელს, —
შუქი დიდგორის,
ელვა მარაბდის
მოსხივებულა იმედად ჩვენსკენ.
დაცხრა წარღვნა და... მზესთან კიაფობ,
ჩვენ ვიცით ძალას რათ არ ზოგავდი,
გემის ალმასი სავალს მიაპობს,
კონკრეტული და არა ზოგადი.
ხოხობს ბოლოზე არ ვეიკდებით,
ტკბილია, ტკბილი მამულის ხსენი, —
ვინც აღარაფერს ქმნის და გპირდება,
გულყინულაა საქმის და რწმენის.
გინდა ირწმუნო? ეცადე თითონ
იყო პატრუქი, სინათლე ხვალის,
რადგან ასეა: ჩვენ თითო-თითოდ
და მერე ერთად ვქნით ხვალის ხალისს.
მემახსოვრება გიო თირქია,
ხიბულას მზეში დამწვარი ბიჭი —
გავიგეთ: მისი ცდა და ფიქრია,
ხალხს მოახმაროს ძალა და ნიჭი.
ვნახეთ ბრიგადის ხუთასი ძროხა,
როგორც იტყვიან, ყველა მთვარეა...
ხბორები,
თითქოს ვარსკვლავეთს მოსწყდნენ
და მარტო ფერმა?
აქ მთავარია —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არის სოფელი და მისთვის ზრუნვა,
კერაზე ღვივის ცეცხლის ჯანდარი, —
გიო თირქიაც ძალას და უნარს
აღარ იშურებს სოფლისთვის, არა!
მას ჩაყრილ ჯამთან,
ჯდომა არ უყვარს.
არ ელოდება ციდან მესიას
და მორიდებით, როგორც გვაუწყა,
სურს დაეუფლოს იმ პროფესიას,
რომელსაც დღესაც ემსახურება; —
ო, რა რთულია პირუტყვის ენა,
მაგრამ ამგვარი წვა-ერთგულება
ბოლოს იმარჯვებს, ჩვენ ამის გვჯერა.

### გმირს უნდა ქირისუფალი

ხობის ციხესთან
უთუთია ცქვიტარიას
ყანა აქვს და...
არც კი იცის ნაღდად,
  რანაირი იყო
წინანდელი ლიტანია,
ანდა ვისი საფლავია
ამ ციხეში — მაღლნარს.
ღმერთო ჩემო,
შეიძლება ყვირილი,
რა ხალხნი ვართ,
რა ხალხნი ვართ, ხალხნო, —
აქეთ უნდა მოდიოდეს
ვარდებით და გვირილით,
მთელი,
მთელი საქართველო —
რომ საფლავი,
ეს საფლავი ნახონ!
ჩვენ კი...
გადაშალეთ ისტორია ერების,
მსგავს რამეს თუ
წაიკითხავთ შიგნით...
აქ მარხია სამაგიდო წიგნი —
ამაღლების,
ჩვენი ბედნიერების.
— უთუთია ცქვიტარიავ,
თუ იცი, ვინ დაიდო,
ვის აქვს ბინა
მაგ შენს ყანის გვერდით —
სიამაყე ლომისის თუ რუისის,
საოცარი, საოცარი ბედის. —
აიჩეჩა აქ მოხუცმა მხრები,
ბავშვს ვკითხე და...
მიპასუხა არც მან.
ასეთ დროს ხომ ბრაზით აენთები,
ვამჯობინე უცაბედად გაცლა.
...ხობის ციხეს
ფითრის ენა ლოღნის,
ჟამი ლიბოს ქვას ულმერთოდ აცლის,
მკერდი ლამის ამეგლიჯოს ბოღმით,
არც წარწერა...
მინიშნება არც კი!..
აქ კი, აქ კი უნდა იდგეს სვეტი,
რომ ნათელი ეხვეოდეს მუდამ
აქ მარხია
არც ნაკლები და
ვამბობ არც მეტი —
კაცი, ვინაც
ვარსკვლავივით
საქართველოს ტრფობით დაიბუგა.
ნაკურთხია ხეთის მინდვრის სუნჯიც,
გვირგვინებად შევკრავ დაფნის
ტოტებს,
ქრისტეს ტანს ჰგავს შენი ტანი ლურჯი,
კვლავ მრავალჯერ ამაღლდები,
ცოტნევ!
მოგეხვევი მკერდზე მწვანე კავანად,
გუბაზ-მეფის, დაჭრილის ხმა მესმას...
ვარსკვლავეთის უნაპირო თავანი,
გაიშლება ჩემს წინ ნაწილ-ნაწილ:
ჰიმნად,
კვნესად და
გმირობის ლექსად.
ყველა ვინმეს,
ან რაიმეს ადრიან,
(საქართველო გზას გაჰყურებს
საკუთარი სისხლით ნაწვიმს),
მე კი ახლა იცით?
ცოტნე დადიანს,
ვის ვუდარებ?
მარად ცოცხალ,
მკერდში დაჭრილ არწივს.
აქ მარხია, უთუთიავ, ცოტნე, —
ყრმაო, შენაც გესმას იგი კარგად,
უწინმც გვიჯობს
ყველა ერთად მოვკვდეთ,
ასეთ საფლავს თუ
ამგვარად ვკარგავთ.
ჰო, ასეთი წინაპარი
სიამაყით ვძებნოთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინ ჯაგსარი გზათა უშტი ჯგროა,
ერთხელ მაინც,
ერთხელ მაინც
წელიწადში, ძმებო!
ამ მიწაზე „ცოტნეობის“ დროა!

### ბოლოსიტყვაობა

დრო გაილია უთვალავ მთვარედ,
გადურჩა ქარ-ცეცხლს მიწაც და
ხალხიც,
ვართ ახლა აქ და...
დღეს ვამბობთ მთავარს —
უმთავრესია შეგრძნება ახლის.
დღეს ყველა ცდილობს ჭაობის მხარე—
მწვანედ ქარგავდეს ყანას და ბოსტანს.
მალარიის ჩხირს არ ჰგავდეს მთვარე,
ემღერებოდეს სიმღერის ოსტატს:
„მთვარე ვნახე ნებისა,
ჩვენსა გახარებისაო,
მტერის ამოგდებისა
და მოყვრის აშენებისაო,
-- მთვარე, რა მომიტანე?
-- ტანი მრთელი,
გული მრთელი,
ხელსაქნარი ხვავრიელი“...
იცის ცხოვრებამ
სულს დღეს ვინ ლაფავს,
ან კვირტი ნერგზე რატომ დაამყნოს.
ვართ ახლა აქ და...
თვისტომის ჯაფა
დასახატია და საამაყო.
ის მძიმე ხვედრი
ვის არ მოხრიდა,
უკმურთა დღეთა —
იმ ქარბუქების,
ვართ ახლა აქ და...
ძველი კოლხიდა
დამსწრეა ზღაპრულ გაჭაბუკების.
ტვირთით გვწყდებოდა ჯანი და კინწი,
და ბუდედ ეგოთ კოლოებს შორთხვი,
ვართ ახლა აქ და...
დახაშმულ მიწას
ვხატავთ კოინდრის ბიბინა ნოხით·
დროა, მამულო, ვილაპარაკოთ,
ეს შენ რომ გვაძლევ
უნარს და ხალისს.
ვართ ახლა აქ და...
ვიცი, არასდროს,
აღარ დადგება დაბინდვა ხვალის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯემალ მეხრიშვილი

# მოთხრობები

## ქ უ დ ი

სადგურის უკანა ეზოში ვიჯექი და მატარებელს ველოდებოდი — ესტონეთიდან ნაცნობი ქალი ჩამომდიოდა სტუმრად. წრეგადასულმა თადარიგიანობამ სულ ამირია დავთრები: ჯერ ათი საათიც არ იყო, „მოსკოვი-თბილისი“ კი პირველის ოც წუთზე მოდიოდა. წინ კიდევ ორსაათნახევარი მედო. აგვისტოს ხვატისა და სამასპინძლო ფიქრებისაგან ისე ვიყავი გაბრუებული, სადმე ახლომახლო პარკში გადანაცვლების თავიც აღარა მქონდა.

ალალბედზე ნაყიდი ჟურნალით თვალების დაწყალებას ისევ ხალხის ცქერა ვამჯობინე. გამოგიტყდებით, ძალიან მიყვარს სადგურებსა და აეროვაგზლებზე მოფუსფუსე ჭრელი ხალხის თვალიერება.

უცებ ჩემი ყურადღება აყაყანებულ ბრბოში შემორეულმა ბერიკაცმა მიიპყრო. უფრო სწორად, მისი ბარგი — გაქექილ ჯეჯიმში მავთულით შეკრული ლოგინი — მომხვდა თვალში. შეკრულას ერთი ბოლოდან მატყლგამოჩრილი მუთაქის ჭიპი იჭყიტებოდა, მეორედან — ჭუჭყიანი ფეხის ჩითი.

მოხუცისადმი უცებ სიბრალული დამეუფლა, რადგან ჰაიჰარად შეკრულმა ლოგინმა სილატაკის, უსახლკარობისა და ბოლომოუღებელი წანწალის განცდა აღმიძრა.

მორიალე ხალხში ბერიკაცმა ყინჩად გაიკვლია გზა და შუა ეზოში პირდაპირ ასე, ლოგინაკიდებული შედგა. ტვირთი ცალი ხელით ეჭირა. თავით კი წონასწორობას უნარჩუნებდა და ნაბდის ქუდი მარცხენა წარბზე დარდიმანდულად დასცურებოდა.

ნაცრისფერი, მკვირცხლი თვალებით ცოცხლად მოათვალიერა ეზო-ყურე. მაგრამ რაკი ჩამოსაჯდომი კი არა, თავისუფალი კუნჭულიც ვერსად შენიშნა ტვირთის მოსახდელად, ფალასფულასით აჭრელებული ფარდულისკენ გაეშურა. გაზონსა და ფარდულშუა თუნუქის აქანდაზი. ტარიანი ცოცხი და ცარიელი წურწურა ეწყო. ბერიკაცმა მეეზოვის ავლადიდება ფეხით უკან მიაცურა. დააგდო ლოგინი და ზედ ჩამოჯდა. ძონძით ოფლი რომ მოიწმინდა და სულიც მოითქვა, სალაროს მიადგა და ოვალურ სარკმელში თავი მხრებამდე შეყო. მერე. მატარებლის ბილეთი ქუდის ყალამაში რომ შეინახა, ეზო სიგრძივ გადაჭრა და ერთი კათხა ცივი ლუდი ისე დალია, ბარგისკენ ყასიდადაც არ წასულია მზერა — ემანდ არავინ რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმამაძალლოსო. რისკიანი და გამოჯეკილი ჩანდა!

ლუდი რომ დალია, გადმოჭრა ეზო და ისევ ლოგინზე ჩამოჯდა წელანდებურად. თან ერთი კოლოფი „პრიმაც“ ეყიდა.

დავაკვირდი.

მოხუცს მართლაც შესაბრალისი ელფერი დაჰკრავდა. შავი ფიქრებით, როგორც მე შევატყე, სულ სხვაგან იყო, სევდაჩაწოლილი თვალებით კი მგზავრებს ისე ათვალიერებდა, თითქო მოძმის გამჩენას ელისო.

უცებ, სრულიად შემთხვევით, მე რომ მომკრა თვალი, მუხლზე მუშტი დაიკრა, წამოხტა და ისეთი ყოფით წამოხუსხუსდა ჩემსკენ, თითქო ჯავრობს — როგორ ვერ დაგინახე აქამდე, თვალები სადა მქონდაო

ელდა მეცა. მოხუცი ძველი ნაცნობის გამომეტყველებით მიახლოვდებოდა. თავს ძალას ვატანდი, რათა როგორმე გამეხსენებინა ვინ იყო და სად მენახა, თორემ სირცხვილის ჭამა არ ამცდებოდა. ვერაფერი გავიხსენე. ამასობაში ისიც თავზე დამადგა.

— გაიწი ცოტას, ძმისწულო... დამსვი...

ყველამ მივიწ-მოვიწიეთ და ბერიკაცს ადგილი გავუჩინეთ.

დაჯდა და ჯერ მე შემომხედა დაკვირვებით, მერე რუსის ჯარისკაცებს, რომლებიც თავიანთთვის რაღაცაზე დინჯად საუბრობდნენ.

— პაპიროსი იმდენი უწყვიათ, რამდენიც გინდა. — „პრიმა“ მაჩვენა და გაუბედავად შემომღიმა, — ასანთი კი არა — აბა, ეს სადაურია? . მოიტა, მოუკიდო ერთი!

გაწვდილ ასანთის კოლოფს თვალი აარიდა და თავისი სიგარეტი ჩემსას დაუმიზნა.

— შენც შინ მოდიხარ? — შინაურივით შემეკითხა, როცა აბოლა.

— მე? არა, სტუმარს უნდა დავხვდე.

— ჰო-ო... მე წითელწყაროს მატარებელს მივდევ. წითელწყაროდან კი... ე-ეჰ!..

რაც მართალია, არ მესიამოვნა სტუმრის ასე უცერემონიოდ გაბმა. „ვინმე დამთხვეული რომ გამოდგეს, ჩიჩინით ტვინს გამილაყებს. ხოლო თუ თვითონ ნორმალურია, მაშინ, ალბათ, მე ვგონივარ სულელი და ჩემთან ყბედობაში დროის მოკვლა სწადია. თორემ ამდენ ხალხში რალა მე ამომიღო ნიშანში და მომიჯდა დიდის ამბით. ან სადაური მაგის ძმისწული ვარ-მეთქი?!“ — ვფიქრობდი გუნებაში. მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გავრკვეულიყავი, ვინ იყო და ეს უფრო მაბნევდა და უარესად მაჭოჭმანებდა.

— სხვა... რას შვრები, როგორა ხართ? — ყასიდად ვკითხე, რომ იქნებ საუბრისას მაინც გამჟღავნებულიყო მისი ვინაობა.

ახლა ბერიკაცს დაეტყო გაცბუნება: ეს რა შინაურივით მეკითხება, ნაცნობი ხომ არ არისო.

— აბა, როგორ ვიქნები, შვილო, — ამოიხვნეშა და ნატანჯი თითი შეკრული ლოგინისაკენ გამიშვირა, — ამ ცხოვრებაში ეგე, ეგლა მერგო, მეტი არაფერი!

— ჰმ!.. როგორ თუ მეტი არაფერი?

— როგორა და ლამაზათ!.. არა, ჩვენი ბრალიც იყო, არ უნდა წამოვსულიყავით, მაგრამ რა გვექნა — შვილი რო შეგვეხვეწება?!

— რასა?

— რასა და... ეჰ, რაკი გაინტერესებს და მეკითხები... დაიცა, ხო არსად გაგვიანდება?

— არა.

— ჩემი მატარებელი პირველის ნახევარზე წავა. ეხლა რომელია?

— თერთმეტის თორმეტი წუთი.

— მა დრო ოხრად გვქონია!..

ბერიკაცმა სიგარეტი ღონივრად მოქაჩა და განზე გააბოლა.

— რაც თავი მახსოვს, სულ ცემა მაქვს გამოწერილი. პატარაობაში საწყალი მამაჩემი მიზაპუნებდა — ხეირიანი გამოდიო! დავკაცდი და მამაჩემის ხელობა ცხოვრებამ გადიბარა: ისეთ-ისეთ სილაქებს გამაწნავს ხოლმე, აბა, რა გითხრა და როგორ დაგიხატო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცმა ნერწყვი გადაყლაპა.

— ორი უფროსი ძმა ნიკალაის ჩხუბში დამეღუპა. ერთადერთი და, სამი შვილის დედა, ტიფმა მოიდნო. ცხრა თვის გოგო ღორმა შეგვიჭამა აკვანში.

— რას ლაპარაკობთ!

— დედაკაცი ბოსტანში გაქცეულიყო და სანამ ამობრუნდებოდა... ე-ეეჰ!.. ცამეტი წლის ბიჭი ალაზანში დაგვეხრჩო. სულ პირველი შვილი გოგო გვყავდა. ხუთი შვილიდან ყველაზე ნიჭიანი ის იყო. სწავლას ძალიან გადაჰყვა განა! მათემატიკის ის დაამთავრა. იქვე დაიტოვეს. საგანს თურმე ისე იმორჩილებდა, როგორც შენ შენს ნებაზე წაეპლა გადაგრიხო. ოქროსტვინიანს ეძახდნენ, აგრემც მამა მოუკვდება! არ ვიცი, მართლა თვალი ჰკრეს თუ რა იყო — იმდენი ეძახეს „ოქროსტვინიანო, ოქროსტვინიანოო!“ — რო უცბათ ტვინში სისხლის ჩაქცევით დაგვეღუპა. ოცდაშვიდი წლისა! არც ქმარი, არც შვილი, არაფერი ქვეყანაზე! მარტო ერთი ხელი საგარეო ტანისამოსი და დასტა-დასტა წიგნები დარჩა, ეგ იყო! გოგო ჯერ არ გაგვციებოდა საფლავში, რომა მერვე დღეს ფოსტალიონმა მთავრობის ქაღალდი მაჯახა: ჩიტო როსტოეთან ბრძოლაში დაეცაო. გაძლება არ გინდა?

ბერიკაცს მწარედ ჩაეცინა.

— იმ დღეს აქ ერთი მეზობლის გოგო ჩაჭრილიყო პირველსავე გამოცდაზე და იმისი გაფუებული დედა შვილმკვდარივით მოსთქვამდა: ეს რა უბედური ვყოფილვარო! შე ოჯახდასაქცეო, ვისაც არ გეყურება — რა გატირებს?! წელს თუ ჩაიჭრა, ისწავლის და გაისად კიდე ჩააბარებს. შენ რო ჩემს დარჯაკში გამოგევლო, მაშინ რაღას იზამდიმეთქი, ვიძახდი გუნებაში, მაგრამ აბა. პირში ხო ვერ ეტყვი...

ბერიკაცს ლოყებზე ცრემლი ჩამოუგორდა.

— ეგრე რომა, ცხოვრებამ ხუთი შვილიდან ერთზე ჩამოგვაქვეითა. იხტიბარს მაინც არ ვიტეხდი — გვარის გამგრძელებელი გვყავს-მეთქი. ჯარიდან რო ჩამოვიდა, ორწელიწადნახევარი იცხოვრა ჩვენთან, მემრე უცბათ დაჰკრა ფეხი და ქალაქში წამოვიდა.

— თქვენ კი დარჩით მარტონი.

— ჩვენ კი დავრჩით მარტონი! არ მემეტებოდა საქალაქედ, მაგრამ... სწორედ ორმოცდათოთხმეტის მარტი იყო, ყორა აქ რო წამოვიდა. სამსახური კარგი იშოვა — მომარაგებაში ჩააყენეს. ქება კი არ გამომივიდეს და ძალიან შანსიანი იყო — უფროსებს ძმასავითა ჰყავდათ მიღებული, უიმისოდ წყალს არ შეათბობდნენ! სამი წელიწადი იგრე გაიყვანა, დაცოლშვილებაზე არც უფიქრია. მემრე ძალა დავატანეთ: დროხანი მიგდის, ჩვენც ვბერდებით, რაღას უყურებ-მეთქი. ერთ ოთახში მეც ვერა ვტეულვარ, ცოლ-შვილი სად ვაცხოვროო. სუ ნაქირავებში ხო არ იდგები, ცხოვრება წინ მიდის, სახელწიფო შენც მოგცემს ბინას, იფიქრე რამე-მეთქი. რაც მართალია, მიიღო ჩვენი სიტყვა და სულ მალე ცოლი შეირთო. წლისთავზე ბიჭი გვეყოლა. ძეობა ოთხი თვის გადახდილი გვქონდა, ყორა სოფელში რო ჩამოქანდა: მამავ, მალე ბინებს დაგვინაწილებენ და თქვენი დახმარება გვჭირდებაო. ბაშუსტა! რაცა გვაქვს, რაც არა და გისესხებ-მეთქი! არა, ფულზე არ არის საქმეო. სამ სულზე ოროთახიანი გვეკუთვნის, მაგრამ თუ თქვენ თავსაც ჩავიწერთ, მაშინ ოთხოთახიანს მივიღებთო! ეეე, სხვანაირად გამეწურა გული: სოფლურად ნაცხოვრებმა ქალაქში როგორ უნდა გავძლო-მეთქი. ნუ გეშინიათ, მარტო ქაღალდები გაფორმდება: აქედან ამოგწერთ, იქ ჩაგიწერთ, ცხოვრებით კი ისევ აქ იცხოვრებთო. მაინც არ მომეწონა ეგეთი ხიმანობა. უთხარი კიდეც, მაგრამ ვერ გადავაფიქრებინე: შენ დარდი ნუ გაქვს, ქვეყანა ეგრეაო!

ბერიკაცმა სახეზე ხელი ჩამოისვა.

— საბუთები თავის ნამდომზე გააკეთა და წაიღო. გავიდა ორწელიწადნახევარი და მართლაც მისცეს ახალთახალი ოთხოთახიანი ბინა. გადაბარგებას უშველეთ, დაულოცეთ ახალი ჭერი და იგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევ სოფელში წავედით. ისინიც უკან არ მოგვყვნენ! აეტატებინათ ბალღი და გვიანი ვახშმობა გადასული იქნებოდა, თავზე რო დაგვადგნენ. გული გადაგვიტრიალდა ორთავეს: თუ რამე გინდოდათ, გუშინწინ იქ არ ვიყავით, ამ შუაღამისას საიდან მოდიხართ, რა ამბავია თქვენს თავსა-მეთქი?!

— რა მომხდარიყო?

— ვიღაცას ეჩივლა: მაგას მშობლები ცუღლუტურადა ჰყვანან ჩაწერილები და ისინი აქ არა ცხოვრობენო! გავუჯავრდი: მაშინვე ხო გითხარი, შვილო, რათ გინდოდა საშარო და საწყევარი სახლ-კარი, ის ორი ოთახიც გეყოფოდათ ჯერხანობით-მეთქი. რა ვქნა, მამავ, ვინ იფიქრებდა საქმე ამნაირად გამრუდდებოდაო. ეხლა გვიანღაა სინანული და თუ ყოჩაღად არ მოვიქეცით, ბინიდან გამოგვყრიან და იქნება პასუხისგებაში მიმცენო.

— ერიჰააა!

— მაშ! რძალმა ცალკე გვიწია ყელი: მამა, ოღონდ ნუ დაგვღუპავ და — არ დაივიწყო, თავიდან სუ „დედიკომამიკოს" გვეძახოდა — ოღონდ შედით ჩვენს მდგომარეობაში და რა გინდათ. ჩიტის რძეს არ მოგაკლებთ, ასე შეგინახამთ, ისე შეგინახამთ! მოკლედ, ეზოში სუ ოქროს გორები დაგვიდგეს! სიკვდილი მინდოდა, მამაპაპური ფუძის მოშლა და აქ წამოსვლა კი არა, მაგრამ მეტი რაღა ჩარა გვქონდა?! ორ დღეში დავყიდეთ სახლ-კარი და მამული. თანაც სუ მუქთად. ჰაიჰარად გაყიდული მა სხვანაირად როგორ იქნებოდა, ადამიანო?! ავიკიდეთ ჩვენი ფანციფუნცი და წამოგვიყვანეს ა ბუქიან ქალაქში. კომისიამ სამჯერ შეგვამოწმა. სოფელშიაც ყოფილიყვნენ. რაკი ხინჯი ვერა გვიპოვეს რა, დაგვანებეს თავი. ქალაქში მაისის ოცში ჩამოვბარგდით, სექტემბრის სამში კიდე დედაკაცი მომიკვდა.

— რა დაემართა?

— ქალაქის სიცხემ და კიბეებზე სიარულმა უხამა!.. დავრჩი ეგრე ცოდვილად. არც ჭამა-სმა მაკლდა, არც დაბან-დარეცხვა, მაგრამ რათ გინდა ჩემს ჭკუაზე დამლაპარაკე აღარ კი მყავდა და .. ცოლიანი ხარ?

— არა.

— ჰოდა, აი, გამოსცდი: კაცს სიბერეში უფრო სდომებია დედაკაცი, რო მოგხედოს და შენს ნამდომზე გიპატრონოს!.. მალე მეორე შვილი მიეცათ. ისიც ბიჭი. ჩემი ხათრით იოსები დაარქვეს, სოსო. გავიდა სამი წელიწადი. უფროსებმა ჩემი ბიჭი გაადიდეს, ასწიეს და იგეთი საქმე ჩააბარეს, დუღდა და გადმოდიოდა!

მოხუცი გაჩუმდა და ჩაფიქრდა. მერე შინაურივით გადმოიძაბა ჩემსკენ.

— აბა, შენთან დასამალი რაღა მაქვს და აეგრე მოვიდა! სახლ-კარი სუ დაახატვინა და მუხის კარ-ფანჯარა შააბა. ოთახები უცხოეთის შკაფ-კამოდებითა და კაცის სიმაღლე სარკეებით გაავსო — თვალები აგიჭრელდებოდა! მოკლედ, თითონაცა სჭამდა და უფროსებსაც აჭმევდა! ფულებისაგან გალაღებული ჩემი რძალი ლეკვივით ელაქუცებოდა ბიჭს — ჩემი ჟორჟიკა, ტკბილი ჟორჟიკაო და უფრო და უფრო მეტსა თხოულობდა. თავის დებსა და დეიდაშვილებს სუ ოქროს ჯვრები ჩამოურიგა, ნათლიას დოქის ტოლა ვაზა აჩუქა, დისწულს კიდე... ეჰ, სად მოვაყოლო! გულმა შემიტყო თუ რა იყო, სულ ამაზე ვებრძოდი: დადექ, შვილო, არ გინდა არამი ლუკმა! ცოლის ქეიფზე ნუ ტლინკავ — დედაკაცს რა ჭკუა მოეკითხება?! სხვითა ჰა-ჰა-ჰა-ჰა და ჰი-ჰი-ჰი-ჰი ნუ გჯერა, საქმე საქმეზე რო მიდგეს. ყველანი გამოგეცლებიან და მარტო დარჩები! საიდან შოულობ მაგდენ ფულს, ვინ გაძლევს, შენ ამ მთავრობას ნუ ეხუმრები-მეთქი

— რას გეუბნებოდათ?

— ეჰ! „ჟორა იოსებოვიჩი მოგიკვდეთ, თუ ცხენმა გადმოაგდოსო!" ესა ჰქონდა აკვიატებული.

ბერიკაცმა ტუჩები ლულასავით დაამრგვალა და სახე დაეძაბა.

— დღესაც არ ვიცით, ვინმე უმამაძაღლა თუ როგორ იყო: უცბათ ხელში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუხეთქეს რაღაცა საქმე და დაიჭირეს. არ იკითხავ, რაზე — ბოთლებზე, ქრისტიანო, ღვინის ცარიელა ბოთლებზე! სხვას რო ეთქვა, არ დავუჯერებდი: ჯერ ცარიელი ბოთლი მითხარი, მერე ბოთლებს გამოდევნებული კაცი და ბოლოს იმაზე ატეხილი დავიდარაბა-მეთქი. რა არი ბოთლი? არაფერი! გზაზე რო ეგდოს, არც კი დაწვდები — გაჰკრავ ფეხსა და გააგორებ! მაგრამ ჩემითანა აჯამი კაცი რა გუმანს მოვა, სად მარხია ძაღლის თავი: იმ ცარიელა ბოთლებით თურმე ნახევარი მილიონი ფული ეტრიალებინათ!

— რას ამბობთ!

— მა განა ცოტა თანხა ყოფილიყო რა! ჰოდა, ეს ჩემი ბიჭი დააპატიმრეს და, აბა: ვისიდან იბარებდით, სად აბარებდით, ცალი რა გიჯდებოდათ, როგორ, როდის, რანაირად? მოკლედ, იმ ცარიელა ბოთლებით იგეთი დიდი ხუხულა აიგო, იგეთი დიდი, რომა მეტი აღარ იქნებოდა — თოთხმეტ კაცს ჩაავლეს ხელი! თანაც იმათში სამი კიდე ქალი იყო გარეული! ქართველი ქალები, დარბაისელი ქალები, ოჯახის ქალები, კაცო! სანახავად რო მივდიოდით, იმათი ქმარ-შვილის ცოდვითა და სირცხვილით ჯიგარი მეთუთქებოდა!

ბერიკაცს ხმა ჩაუწყდა. ცრემლი მოერია.

— ბიჭი ისეც ვერ იყო ფარსაგად — სუ გულს იტკიებდა და წამლობდა. ჰოდა, ეტყობა ძალზე იდარდა: რათ მიყვეს, ვინ მიღალატა და გულმა უმტყუნა — თვის თავზე მკვდარი მოგვიტანეს.

— უჰ!

—იმის სწორ-მეგობრები, ადრე კარსა და ბანს რო არ გვიგდებდნენ და მუდამ ღამე ხელიხელგადახვეულნი ქეიფობდნენ, ახლოს აღარ მოგვიდგნენ — ემანდ ჩვენც არაფერში გაგვეხვიოთო. ვიჯექი კუბოსთან და აღარ ვიცოდი, ვინ მეგლოვა — მკვდარი, დაობლებული ცოლშვილი თუ ჩემი ცოდვილი თავი. ღმერთმა უშველოთ. ისევ მეზობლებმა მოგვხედეს და დაგვამარხვინეს. ხუთი შვილიდან ეგ ერთილა მყავდა იმედად და აჰა, მაგანაც ემაგრე უხეიროდ ამოიჭამა თავი. ეჰ!..

— ახლა საით მიემგზავრებით?

— ჯოჯოხეთში. — წაიჩურჩულა და უცებ მზერაცა და სახეც უაზრო გაუხდა. — ბიჭის სიკვდილის შემდეგ რძალმა ამითვალწუნა. ბოლოს კი ისე შემიჯავრა, თვალში ეკლად ვესობოდი. იგეთ დღეში მაგდებდა, შვილო, იგეთ დღეში, წვრილად რო გიამბო, არ დაიჯერებ: ეს მამაძაღლი, მატყუებსო, იფიქრებ... რამდენჯერმე ჯოხითაც იწივა. ე ლანძღვით კიდე ხო მამკობდა და მამკობდა: ბინძურო, გიჟო, კრატინო, აფერისტო, მაიმუნო, ჯიბგირო, ხულიგანოო!

ბერიკაცს ცალყბად ჩაეცინა.

— სხვა რაც უნდა ვიყო, ჩემი ჯიბგირობა ვის გაუგონია! აბა, ერთი შემომხედე სახეში — მე ჯიბგირი ვიქნები?! რძლისთვის რა უნდა მეჯიბგირნა?! მაგრამ ნერვებს რო აიშლიდა, ანგარიშს ველარ უწევდა, რას ამბობდა და რას — არა: რაც ენაზე მოადგებოდა, მომძახოდა! ხო ხედავ, მძულხარ და შენი ყურება აღარ შემიძლიან — გასწი, დაიკარგე აქედანაო!

— ერთი უყურე!

— ხათაბალა არ არი, კაცო! ჩვენ ძალით ხო არ შევცვივნილვართ?! ღვთის წყალობა, თითონ გვიჩოქებდნენ და გვეხვეწებოდნენ! სოფლად ბუდე მოგვიშალეს, პენსია დამაკარგვინეს, დედაკაცი მომიკლეს, ეხლა კიდე — დაიკარგეო! ეგეთი ცარიელ-ტარიელი ვის მივადგე, საით წავიდე-მეთქი, გული მილონდებოდა. არადა, ჩვენთვის რო ვთქვათ, რას ვუშავებდი, შვილო? პატარა ბიჭი მე დამყავდა სკოლაში და მუსიკაზე, ნაგავი სუ მე ჩამქონდა, ბაზარზე, პურზე და რძე-მაწონზე პატარა ბიჭივით დამარბენინებდა. აბაზანასაც არა ვხმარობდი: მართალია, კაჟივითა ვარ და ჩემ სიცოცხლეში არაფერი მტკიებია, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, მაინც ბებერი ვარ-მეთქი და მუდამ კვირა ქალაქის აბანოში დავდიოდი. საცვლებსაც იქ ვირეცხავდი. კორპუსგალმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეწერი გავტეხე და ეგეთი ბოსტანი გავაშენე, მეზობლები ჩვენ დაგვნატროდნენ. ჯამაგირი იყო და...

— ჯამაგირიო?! მუშაობდით?

— მა რა!

— სად?

— სადა და გამწვანებაში! ჩვენი უბნის ნარგავები მებარა. ვაზებს დანატრულებული, იმ ხეებს ისე ვუვლიდი, რომა სამჯერ ფულადი პრემიით დამასაჩუქრეს, ერთხელ კიდე მინისტრის ხელმოწერილი და ბეჭედდასმული სიგელი გადმამცეს. არ იფიქრო, მატყუებსო. აი!

ბერიკაცმა გულის ჯიბიდან ოთხად გაკეცილი სიგელი ამოიღო, გაშალა და მომაწოდა.

— მაგრამ მე ფული რა შავ ქვად მინდოდა, — განაგრძო და სიგელი ისევ შეინახა, — დღეში შაურის შავი პური და ყმაწვილების დაწუნებული კერძებიც მყოფნიდა. ჰოდა, თუმანს მე ვიტოვებდი თამბაქოსა და დალაქისათვის. ასოც მანეთს კიდე მუდამ თვე რძალს ვაბარებდი უკვდავად. მაგრამ იმისმა გულმა არაფერი იგრძნო და იმისმა თვალებმა ვერაფერი დაინახეს.

ბერიკაცს სახე ჩაუსევდიანდა.

— ეჰ, დედაკაცისას რას გაიგებ: თუ ერთი გადაუბრუნდა გუნება, მერე მორჩა!.. ბოლოს სუ აიღო ნამუსზე ხელი — საჭმელს მიკეტავდა, ჩემი ჯიბრით ყმაწვილებს ცემითა ხოცავდა, ვითომ შემეშალაო, ჩემს ჯამში ოთახის გოშიას სალაფავს აჭმევდა. თუ ხასიათზე არ იყო, შინაც არ მიშვებდა. ყოფილა შემთხვევა, მეზობლებს ტკბილი სიტყვით გაუხსნევინებიათ კარი, ანდა, იმათას გამითევია ღამე. ბოლმისაგან უძილობა დამჩემდა. რას ვუშავებ, რათ გადამეკიდა. რა გზას დავადგე — სირცხვილით სოფელში როგორ ჩავიდე, რა ვთქვა-მეთქი.

ბერიკაცი უხმოდ ატირდა.

— ერთხელ იგრე ამაღელვა, გადავწყვიტე მტკვარში გადავვარდნილიყავი. წყალს რო მივადექი, მაშინღა დამიბრუნდა გონი. რასა ჩადი, გავიფიქრე, ყმაწვილების ცოდვით იმ ქვეყანას რა ხეირი დამეყრება-მეთქი. ი[illegible]ვებს ვუყვარვარ, ვუყვარვარ, რო მეტი აღარ შეიძლება! თუ ცოტა შემაგვიანდა სადმე, ცემით რო დახოცო, შინ ვერ შერეკავ: ჩაებღაუჯებიან აივნის რკინებსა და ხბორებივით ბღავიან — პაპა რა იქნა, პაპა რატო არ მოდის! მოკლედ, მივაფურთხე ეშმაკსა და უკანვე გამოვბრუნდი. რა ვქნა, რასაც მიზამს, მიყოს — მართლა ხო არ შემჭამს-მეთქი.

მოხუცმა თვალები ძონძით ამოიწმინდა.

— მერე ერთხელ მეზობლის კაცმა — ნასწავლი კაცია, ოთხი-ხუთი შკაფი სუ წიგნებით გაჭედილი უდგა — თავისთან შემიყვანა და მითხრა: იოსებ ძიავ, ეგ ისეთი ჯორცხენაა, შენ მაგას ვერ აჯობებ. სულ ესე გამწარებული ეყოლები და ისევ ხერხი უნდა ვიხმაროთო. რა ხერხი-მეთქი. სასამართლოში უნდა უჩივლო! ყველაფერი დაწვრილებით ჩავწეროთ და მეზობლები დაგიდასტურებთო. სასამართლო ბინას გაჰყოფს, მერე დაგიშლიან და შენ ერთოთახიანს აგიჩენენ სადმე სხვაგან. მაგათ — სამოთახიანს და ეყოფათ კიდეცო. გუნებაში ვიძახი: ყური მატყუებს, თუ რას ამბობს ეს კაცი?! მე ჩემი სირეგვნით რო გადავწყვიტო ამგვარი რამე, პირიქით, ამან უნდა დამიშალოს და რას მეუბნება, აბა. რაში გამაიხატება ამისი სწავლა-მეცნიერება-მეთქი! მემრე მე უთხარი: რას ამბობ, იულონ, ყმაწვილებს სიობლე და უმამობა არ ეყოფათ, ახლა ბუდე მოვუშალო-მეთქი. ეს დროული კაცი ისე როგორ უნდა გადავრჯულდე. რძალი და შვილიშვილები სასამართლოს გზაზე ვაკანკალო! არა, შენი ჭირიმე, წავალ და ისევ ხიდქვეშ დავლევ სულსა, მაგას კი ვერ ვიზამ-მეთქი!!!

ბერიკაცმა სიგარეტს მოუკიდა.

— გუშინწინ ი ქალბატონმა ბალღები პიანერთა ბანაკში გაატანა თავის დაუას. დილას კი მანეთიანი მომაგდო — რძე-მაწონი ამომიტაო. რაც დამაბარა, ავულე და გამოვბრუნდი. მივადექი კარსა და პირკატა მეცა: ჩემი ფანცაფუნცი და ლოგინი გარეთ ყრია, კარი

კი ორივე საკეტით მაგრაა დაკეტილი. ვაძლევ ზარს, არავინ მიღებს. მერმე მეზობლებმა მითხრეს: რძალი ერთი თვით სადღაც დასასვენებლად წაგივიდა, ტაქსით ეხლა წინ არ გაგიარა, ვერ დაინახეო. გავხეტდი. ძალიან შევეცოდე მეზობლებს. სუ კბილებს აკრაჭუნებდნენ. ზოგი ამბობდა, მოდი, შევამტვრიოთ კარი და ახალი საკეტი დავადვათო, ზოგმა — შემტვრევა რათ გინდათ, ფანჯრიდან გადავძვრები და შიგნიდან გავაღებო, ზოგმა — მილიციაში დავრეკოთო. ყველანი ჭკვიანად იყავით, ჩემ თავს მე თითონ მოუვლი-მეთქი. რძე-მაწონი ერთ წვრილშვილ დედაკაცს მივეცი. მერმე სანაგვეზე მავთული ვიპოვე, შავკარი ლოგინი და წამოვედი!

— სოფელში სად უნდა იცხოვროთ?

ჩემი კითხვა, ეტყობა, იმდენად გულუბრყვილოდ მომეჩვენა რომ სახეზე მარილიანმა ღიმილმა გადაუარა.

— ერთ კვირაში ეგეთი ქოხი მოვწნა, შენი მოწონებული! ჩალით გადავხურავ, აყალოთი გავლესავ და მორჩა! მერე გავალ კოლმეურნეობაში და თუ მშვიდობაა, იქნება ქვითკირის სახლიც ჩავდგა — ჯერ როგო დავხედავ საქმეს! ტალიაანთ ჯილაგისანი კატებსა ვგავართ: ცხოვრებამ როგორც უნდა აგვისროლოს მაღლა, მაინც ფეხებით დავეცემით ხოლმე მიწაზე და გაჭირვებას არ ვეპუებით. ჰმ, სად უნდა იცხოვროო! მე ეგ არ მაღონებს, შვილო! მე მარტო იმასა ვჩივი, სოფელს რა პასუხი ჩავუტანო. მე გინდა არაფერი ვთქვა, გაუგებარი მაინც არ დარჩებათ და მაგ ჩემი ცოდვით სავსემ რაზე მოიჭრა თავი და გამოჭენდა!

მოხუცმა თხრობა დაასრულა და ნამწვავი ფეხით გასრისა.

— ნეტა რომელი საათია?.. ყაჭივით გაგიბი და ალბათ გუნებაში იძახი: ეს მამაძაღლი...

— ეგ რამ გაფიქრე...

— უცხოს არც ვეტყოდი, შვილო! მაგრამ შენც ჩემსავით თუშური ქუდი რო გეხურა, ვიფიქრე, ჩვენი მიწა-წყლისა ჩანს, უნდა გაუგულიპასუხდე და ლარლლი ამოვილო-მეთქი..

სახტად დავრჩი. ახლაღა გამახსენდა: დილას ფაციფუცით რომ ვემზადებოდი, სტუმრის საპატივსაცემოდ სპეციალურად ამოვიღე და დავიხურე კარადაში დიდი ხნის წინათ გადანახული ნაბდის ქუდი.

## უძილო დარაჯი

სოლიკო ჭილიტაშვილმა ორმოცდათვრამეტი წელიწადი ცხვარში გაატარა. გაუცდენლად, უწყვეტად! ქვაც კი ბერდებაო, ნათქვამია. ჰოდა, სიბერე ამ ჩვენს სოლიკოსაც შეეპარა.

— როდემდე და სადამდე, სოლო, არ მოგბეზრდა?! — დატუქსა ერთხელ უფროსმა შვილმა, მიტომ. — გზაში რო დალიო სული, რაღა ვთქვა ქვეყანაზე? მოდი, გაანებე თავი!

— რაღამ მაცხოვროს, ბიჭო?

— ერთ ბერიკაცს ვერ შეგინახავ, კაცო?

— შენი შენახვა კი რათ მინდა, მე ჩემი პენსიაც მეყოფა, მაგრამა...

— ჰოდა, მა რაღა გინდა?

— რა და — შინ რა ვაკეთო?

— არაფერი! წამოწექი გრილოში და ხან აქეთ გადმოგორდი, ხან — იქით!

— ეგ არი!!!

— შენი არაფერი მინდა, მამავ: აქ ბეგივით იჯექი და ვინმე რო დაიძახოს — „ჰაი, მიტო, ჰაი, მიტოო!“ — შენ მარტო ხმა მიეცი: ვინა ხარ, რა გაძახებსთქო!

— ეგ ჰო, შვილო, მაგრამ მე ხო ვიცი ჩემი თავის ამბავი — უქმად ჯდომასაც ვერ ავიტან!

— ვერ აიტან და, ეგე, ვენახი!

— აბა, ეგ რა არი — ერთი წამოწოლა!

— ნეტა, მაგას მოერიო და!.. იფიქრე. იაგორას ბიჭო, იფიქრე! ე ყმაწვილებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან თამაშობა მაინც არა გწყურია? რა გაგიხდა ცხვარი? მაგის ცხვარიც!..

სოლიკომ იფიქრა, აწონ-დაწონა ყველაფერი და დაჰყაბულდა.

— ემაგრე, შე კაი კაცო! — ტოლივით გადასდო ხელი შვილმა.

მაისში ცხვარი მთაზე რომ წავიდა, სოლიკო აღარ გაჰყოლია — შინაკაცად დარჩა. პირველ ხანს ძალიანაც ფუსფუსებდა და ათასნაირ საქმეს იგონებდა, მაგრამ ხუთიოდე თვეში მობეზრდა შინ ჯდომა და სხვანაირად ჩამოყარა ყურები.

— არა, შვილო, მე ეგრე ვერ გავძლებ — სამუშაოდ უნდა გავიდე!

— ერიჰააა! მთიდან ცხვარი ჩამოვიდა და შენც ამიცუნდრუკდი ისევ?!

— ცხვარი! ვინ ამბობს, ცხვარშიო! კოლექტივს საქმე გამოელევა, რა! მემინდვრეობაში ან...

— შენ ტომრების ჯაჯგურის თავილა გაქვს, ადამიანო?! ისევ ის სოლო კი არა ხარ, დათვს კეტით რო არეტიანებდი — დაბერდი! თუ არადა, ასე უცებ მე სად გიშოვო საბერიკაცო საქმე!

— კაცო, შენ მაგაზე ნუ იდარდებ. მე ნაშოვნიცა მაქვს და...

— ჰო-ო?! აბა, სადაც?

— კანტორის ყარაულად!

— ბიჭოს! სიდოლაანთ ვასო?

— თავი დაუნებებია.

— რათა? როდის?.. რატო მე ვერ გავიგე?

— რა ვიცი!.. თურმე კვირაზე მეტია, ყარაულსა ლონდებიან.

მიტო ჩაფიქრდა და ერთი დიდი გადაიხარხარა.

— არა, სოლო. შენ მანდ ვერ გამოდგები!

— რატო, ბიჭო?

— რატომ და იმიტომ!

— მაინც?

— მე ხო გიცნობ. არა! უიღბლო ყარაული იქნები — ერთ თვეს ვერ დაიჭერ თავსა!

— დახე, ეს მამაძაღლი! რატო: შეშას ვერ შევუკეთებ თუ წყლის მოტანა დამეზარება?!

— არა, მაგეებს კი სხვაზე უკეთესად გააკეთებ, მაგრამ... არა, სოლავ, მანდ ცოტა სხვანაირი კაცი უნდა!

— როგორი, შვილო?

— როგორი და მოქნილი, ფართიფურთა, ენაჭრელი, მოლაქუცე, ჰა-ჰა-ჰა, ჰი-ჰი-ჰი! მე ხო ვიცი, არა: შენითანა სწორე და პირში მთქმელი მანდ ვერ გამოდგება! განა მანდაც ცხვარია, რა!

— ლაპარაკობ, რა!

— კარგი!!!

სოლიკო ვერასდიდებით ველარ ჩატეხეს და თავისი გაიტანა — კოლმეურნეობის კანტორაში დარაჯად დაიწყო მუშაობა. ბუღალტერმა პირველ დღესვე ასწავლა, რაიონიდან რომ დარეკავდნენ მათი იქ არყოფნისას, რომელი ტელეფონი უნდა აეღო და როგორ ეპასუხა. დანარჩენი კი — წყლის მოტანა. შეშის დაპობა. ცეცხლის დანთება, ლამპების თადარიგი, ფხიზელი ძილი — არ ესწავლებოდა ნამწყემსარ კაცს.

სოლიკომ სამიოდე დღეში აუღო ყველაფერს ალღო. კანტორის თანამშრომლები სიხარულს ვერ ფარავენ — ენით სანატრელი ყარაული იშოვეს! რა იყო. ზოგიერთივით გაგჭორავს, საიდუმლოს გაგიტეხს, დაგაყურადებს, ენას გაატარებს თუ დავალებაზე ფეხს აითრევს! ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ სოლიკომ ერთი ისეთი ნაკლი გამოამზეურა, რომ კოლმეურნეობის ხელმძღვანელები სულ შიშსა და ავის მოლოდინში არიან. ბერიკაცი ვერა და ვერ გაერკვა თანამდებობრივი იერარქიის ამაზრზენ იდუმალებაში! ამიტომ რაიონიდან და დედაქალაქიდან ჩამოსულ საპატიო სტუმრებთან ხან ისეთ რამეს გამოატყვრენს ხოლმე, სოფლის თავკაცები მიწის გახეთქასა და შიგ ჩაცვივნას ნატრულობენ!

ერთხელ. პირველი ყინვები რომ დაიჭირა, კოლმეურნეობის კანტორას შავი „ვოლგა“ მიადგა. რაღაცნაირად ისე მოხდა, რომ სტუმარი და ფარდულიდან გამოსული სოლიკო ერთდროულად აღმოჩნდნენ ცემენტის კიბესთან. ბერიკაცს მარჯვენით ერთი იღლია შეშა ჰქონდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხუტებული, მარცხენაში ნაჯახი ეჭირა. რაკი კიბე ჩამოსარჯული იყო, სოლიკომ სახელურის გარეშე ვერ გაბედა ასვლა და ნაჯახი სტუმარს შეაჩეჩა.

— ძმისწულო, ერთი მაღლამდე ამომიტანე, შენს გახარებას.

ეს ყველაფერი წამებში მოხდა.

კოლმეურნეობის ხელმძღვანელები კისრისტეხით დაეშვნენ კიბეზე.

— ოოო, ბოდიშს გიხდით, ზურაბ პროკოფიჩ, ბოდიშს გიხდით!.. ეს ჩვენი დარაჯია, მწყემსი იყო... მოხუცია... ჯერ ახალია!.. მომეცით ნაჯახი... ძალიან გთხოვთ!

— აჰ, არა!.. არავითარ შემთხვევაში!.. მერე, რა მოხდა?!. ახალგაზრდობაში ბებიასთან მეც ბევრი მიშრომია ნაჯახით... დიახ!.. მერე, რა!

სტუმარი რომ გააცილეს, სოლიკო კინაღამ შეჭამეს.

—ვინა ხარ, რა ხარ, რა გინდა, რას გადამეკიდე! — ტიროდა განადგურებული თავმჯდომარე, — ჩემი სიკვდილი ხო არ ჩაგიფიქრებია, სოლომონ?! მაშ, იმდენი არ...

— რა იყო, ბიჭო?

— კიდე „რა იყოო" იძახის! რა იყო და შენი მოსამსახურეა, თუ შენი ტოლი, ნაჯახი რო აჰკიდე?

— ხელიხელთ არა მქონდა და გასიპულ კიბეზე ვერ...

— არა გქონდა და ვინ გატანდა აალას?! დაავდებდი იმ სოხროსა და მერე ამოიტანდი !ოქრო ხო არ იყო, მოეპარათ?!. აბა, რა ამბავს წაიღებს — ოზაანში ცულები მაზიდინესო! სირცხვილი არ არის?!

— რა იყოთ, თქვე კაი ხალხო, ერთი ცული ხო არ დაამძიმებდა!

— ეს ისევ თავისას გაიძახის! სოლო, მაგაზე არ არის: დაამძიმებდა თუ დაამსუბუქებდა! ჩიტაიაანთ ნიკასთან კი არა ხარ, რაც მოგეპრიანება...

— თქვენ რა გაჯავრებთ, რო სწყენოდა, თითონ გამიწევდა სამდურავს! როგორ გაუხარდა!

— მაშ, კაცო!

— ჩემი შვილების სიცოცხლემ! რა, თქვენ კი ვერ დაინახეთ: სუ [illegible] ცილით ამაირბინა კიბე და არც კი დაგანებათ — ჯეელობაში მეც ეგეთი მეჭირაო!

— ეეე, შენ იძახი: ფანიაანში წინწკლავსო! მა, ყვირილს ხომ არ დაგიწყებდა! აბა, შენ იცი, ეგ ვინ იყო?

— ვინ იყო?

— ვინ იყო და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის მთავარი სამმართველოს უფროსი!!!

— ჰო-ო... რა ვიცოდი...

— ჰოდა, რომ არ იცოდი, ჩვენც იმიტომ გეტყვით ხოლმე, სოლო იიავ, რომცა უცხოა ჩამოსული, ან ბაიდოს ოთახში გადი და იჯექი შენთვის, ან შინ წადი და დაისვენეო!..

კოლმეურნეობას რაიკომის ინსტრუქტორი ჰყავს შეჩენილი, ამბობენ, თავმჯდომარეობას უმიზნებსო, თითქოს სხვა საქმე არა ჰქონდეს რა, ერთთავად კანტორაში უზის და ქაღალდებში იქექება, ოცდაშვიდიოდე წლის კაცია, უნიჭო, ბრაზიანი, მოპედანტო, ეგოისტი და ნაპოლეონ ბონაპარტესავით მომთხოვნი — კანტორის გოგოებს სისხლს უშრობს პირდაპირ! გარეგნობა კი ისეთი აქვს, ქუჩაში რომ შეგხვდეს, „გამარჯობას" არ გაიმეტებ.

— ერთი ბეწვაა, — მეორე ოთახში ფარულად ჩურჩულებენ საჭირო საბუთების ძებნით გადაღლილი გოგოები, ნამდვილი ცქმუნაა!

ეეე, შენ ცქმუნა დაუძახე: გიპოვის რამე ნაკლს, გაბერავს, გაგიტანს ბიუროზე და მერე უყარე კაკალი! ამიტომ ყველანი შიშით შესციცინებენ თვალებში და უხეში მოწიწებით აწვდიან დაბტვრეულ დავთრებს, გაყვითლებულ ოქმებს, კუთხეებშეხუჭუჭებულ უწყისებს.

მხოლოდ კანტორის დარაჯი ეპყრობა ჩვეულებრივ და აზრზე ვერ მოდის — ვინ არის და რა შეუძლია, მის თვალში ერთი „პატარა ბიჭია", მეტი არაფერი!

— პატარა ბიჭო, დღეს სუ მაგ ქაღა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლდებში იქექები, მოგშივდებოდა, — ისე დაუყვავა სოლომ, თითქო ობოლს მიმართავსო, — დილას ჩემი რძალი შეჭამანდს აკეთებდა, წამო, ვჭამოთ ერთი ლამაზათ!

შეურაცხყოფილმა „პატარა ბიჭმა“ რაღაცა ჩაიბუტბუტა და შუბლზე ოფლის მძივები დაასხა, ელდანაცემი ბუღალტერი კი ფეხაკრეფით გაიპარა აგრონომების კაბინეტში და მაყვალას ბუღალტერიიდან სოლო გამოატყუებინა.

— ხო არ უნდა გამაგიჟო, სოლომან, როგორ გინდა მართლა და მართლა!

— რა იყო, ვიქტორ?

— რა იყო და, რა შენი„ პატარა ბიჭია“, რომ...

— ჯო, იქ კი ვერ მეტყოდი — ე მაგისთვის. გამამიძახე?! პატრა ბიჭია, მა, ჩემტელაა, რა! იმ დღეს ყველაფერი ვალაპარაკე: ეგა და ჩვენი ჰამლეტა თურმე სწორები ყოფილან!

— ან შენ ვინ დაგავალა მაგისი ჭამასმა?! შეჭამანდი — აიქიდან გადმოვარდნილი კრუა ხომ არა გგონია?! ლეონთან ისეთი სუფრა იშლება...

— აბა, მე რა ვიცოდი?! მე მეგონა...

— ჰოდა, რო არ იცოდი — მაშინდელი ცულისა არ იყოს! — დადექი, კაცო, მოისვენე! მაშ, სანამ შენ მოხვიდოდი, სტუმრებს შიმშილითა ვხოცავდით? რატო არ გვაცდი?! აქ მიმსვლელმომსვლელი არ დაილევა და აბა, მოიტა, ყველას აქეიფებ შენი ხარჯით?!

— მე ვიფიქრე, მოშივდებოდა ე პატრა ბიჭსა და...

—ეს ისევ „პატრა ბიჭს“ გაიძახის! ეგე. მაგ. „პატრა ბიჭმა“ გააფუჭა არბოშიკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, გამარჯვების მთავარი ზოოტექნიკოსი და ხორცკომბინატის დირექტორი. ვინ იცის, ჩვენ კიდევ რას გვიპირებს!

— დახე, ეს ძაღლიღლეკვი!

— ჰოდა, წადი შენა და „პატრა ბიჭი“ ეძახე?.. ამ ტელეფონებს რაღა ჭირი ეცათ!.. ერთი, ლეონსთან გადაირბინე და ანეტოსა ჰკითხე — გოჭი შეიწვა თუ არა-თქო.

— ემ საათში!

— მერე მოდი და უჩუმრა ყურში მითხარი — ქვეყანა კი არ შეყარო!

— არა, ნუ გეშინია!..

რა ქნას საწყალმა ნამწყესარმა — ვერა და ვერ გამოუცვნია უფროსთა ნებასურვილები. ისინი სულ სოლიკოს ეჯუჯღუნებიან და ჭკუას ასწავლიან, სოლიკო კი პირიქით — იმათ ემდურება, ნამეტნავად ჭამპურა თავმჯდომარეს.

— შე კაი კაცო, ქეიფობა რა სათაკილოა, მითხარი ხოლმე ვისთან აპირებთ დასხდომას, რო ვიცოდე!

— რაო, სოლავ, ანგარიშები გაბარო?

— ანგარიშები აემიტომ უნდა მაბარო, რაიონიდან რო დარეკავენ ხოლმე: ცოცხალია თუ მკვდარი, გვიპოვეო, ავილებ თავსა და კარდაკარ გეძებ. ისიც, ან გიპოვი, ან — ვერა. ჰოდა, როცა მეცო...

— შენ რაც გაბარია, იმას მიხედე!

— რისა გერიდება?! ტელეფონში კი არ ჩავყვირებ — მავნისა და მავნის ოჯახში ქეიფობს-მეთქი. არა! რო მეცოდინება სადა ხარ, მოვალ და ყურში გეტყვი: რაიონიდან ესა და ეს კაცი გკითხულობს-მეთქი. გინდა გამოჩნდი, გინდა — არა, ნება შენია!

— ეეეჰ!

— ეეეჰ და ეეეჰ, ეგე!..

დეკემბრის ერთ შაბათ საღამოს ტელეფონმა პირდაპირ ნაღველი გაუსია სოლიკოს. ჯერ სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა დარეკა, მერე ვეტსამკურნალოს ფერშალმა და პირველი მდივნის ტექნიკურმა მდივანმა, შემდეგ რაიალმასკომის ინსტრუქტორმა, ბოლოს ისევ სამმართველოს უფროსმა — ყველანი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, გოგია ძმანაშვილსა კითხულობდნენ.

გაჯავრდა სოლიკო. ბრაზი იმიტომ უფრო ერეოდა, რომ მიხვდა, თავმჯდომარემ მოატყუა: თუ მიკითხონ, რაიონში თათბირზევარო. „თუ მართლა იქ არი, აქ რაღას მომჩხავიან?! გაგიჟრა მომგონი!“— შეიკურთხა გოგიაზე გაბ-

რაზებულმა და წითელ ტელეფონს ერთი ისეთი წაუთაქა, აპარატმა წკრიალით დაიკვნესა.

ბერიკაცს დილასაქეთ არაფერი ეჭამა. ის იყო, ერთი ფეხით ჩაცხრა ტელეფონი და იმანაც სავახშმოდ წასვლა დააპირა, რომ ისევ გაისმა ზარის წკრიალი.

— აბა, ერთი!... ჰაე, ვინა ხარ?

— ბილიაშვილი, დუგლას ბილიაშვილი! „საქსახრაისოფლტექნიკიდან!“ თქვენ ვინა ბრძანდებით?

— მე? მე ყარაული ვარ!

— აჰა! თავმჯდომარე მანდ არის?

— აქ არავინ არ არი!

— კარგი... ყურმილი არ დამიკიდოთ! მოემზადეთ და რასაც გიკარნახებ, ჩაიწერეთ!

— რაო, რაო? როდი მეყურება ამ აურ-ზაურში!

— აჰ, აჰ, აჰ! გოგია კი არ არის, არა?! მაშ, რა გვეშველება?.. მაშინ, რასაც გეტყვი, იქნებ დაიმახსოვრო როგორმე და ამალამვე გადასცეთ თავმჯდომარეს. უთხარით: მინისტრს დაურეკავს-თქო!

— კარგი!

— აბა, შომისმინეთ! გოგიას უთხარი, დუგლასმა დაგირეკა-თქო. დუ-გლა-სი! დაიმახსოვრებთ?

— ჰო.

— თეორიულ კონფერენციაზე მცოცავ გრაფიკთან დაკავშირებით კომპლექსური ინტეგრირების დიაგრამა...

— რაო, რაო?.. ცოტა ხმამაღლა!

— კომპლექსური!.. მექანიზაციის!.. ინტეგრირების!.. დიაგრამა!..

— ეეე, მე რუსული არ ვიცი, არა!

— ალო, ალო, ძია კაცო, მისმენთ, გესმით ჩემი?

— როგორ არა!

— ყურმილი არ დამიდოთ, .შენი ჭირიმე!

— არა, ნუ გეშინიან!

— შენ შემოგევლე, შენი ჭირიმე... კაცი არ ვიყო, თუ არ გადაგიხადო!.. ოღონდ ახლა მიხსენი!.. მოდი, თავმჯდომარე მომიყვანე და ჩემზე [illegible]

— რა ძალიან იხვეწები, შვილო, წავალ!

— რა ვიცი...

— მა, აქ სხვა რის მოხელე ვარ? რა ვუთხრა?

— არაფერი. თქვენ მხოლოდ ტელეფონამდე მოიყვათ როგორმე! დუგლასი გელოდება-თქო!

— ჰო, თუ ვიპოვე!

— არ შეიძლება ცოლმა მაინც არ იცოდეს სად არის! ქვესკნელშიაც რომ იყოს, გააგზავნონ მანქანა და მოიყვანონ! მინისტრმა...

— წავიდე?

— კი! არა, არა, დაიცა! ნახევარი საათი გეყოფა?

— ნწუ! შინ თუ ვერ მოვხელე, მაშინ რამდენიმე ოჯახში უნდა მივაკითხო!

— ორმოცი წუთი?

— ერთი საათი მაინც დამჭირდება!

— კეთილი! ახლა რვას ათი უკლია. ზუსტად ცხრაზე ისევ მე დაგირეკავ და შენ ტელეფონთან იყავი! საათი გიკიდიათ?.. საათის ცნობა იცი?

— გვიკიდია!.. ვიცი... ვიკითხავ... რადიოც იტყვის!..

— ძალიან კარგი! მოიცა...

— ჰა, ვიცდი!

— ყურმილი ჯერ არ დადო!.. თუ ცხრამდე ვერ მოასწარი, მაშინ დავრეკავ ათის ნახევარზე, ათზე, თერთმეტის ნახევარზე, ესე იგი, სანამ არ დაგიჭერ!

— რას მიზამ?

— არა, ნუ, სანამ ერთმანეთს ტელეფონზე არ შევხვდებით-მეთქი!

— ააა!

— აბა, რა გეგონა?!. აბა, ახლა, წადი, ძია კაცო, მე კი აქ დაგელოდები!

სოლიკომ მთელი სოფელი გადაახრუნა, მაგრამ თავმჯდომარის ალიკვალს ვერ მიაგნო და უკან ხელცარიელი დაბრუნდა.

ათის ნახევარზე დუგლასმა ისევ დარეკა.

— რა გიყო, შვილო, რა ვქნა, ვერსად ვიპოვე!.. რაო? მაშ, მაშ! ცოლსაც ვუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხარი: თუ გამოჩნდეს, კანტორაში გადმოვიდეს-მეთქი.

— დიდი მადლობა, ძია კაცო! მევალოს!.. თუ გამოჩნდეს, დამირეკოს, შუაღამეც რომ იყოს!.. აბა, ბოდიშს გიხდი შეწუხებისათვის, რა ვქნა, სამსახურია, მინისტრმა დარეკა!

— რა შეწუხებაა, შვილო, ეგ რა სათქმელია...

დუგლასთან დამშვიდობებას რო მორჩა, მაშინღა იგრძნო — ცალი ფეხი დასველებოდა. მინავლებულ ღუმელში ცეცხლი გააღვივა, ფეხზე გაიხადა და კარლია ღუმელს წინდა მიუფიცხა. სველი კალოში კუბოს სახურავივით ეყუდა კედლის ძირას. ბებრული, ქათქათა ფეხი არყის ხის ნახერხზე ედო.

დერეფანში ფეხის ხმა გაისმა. ოთახში სოლიკოს 'რძალი ირა და უმცროსი შვილიშვილი, ექვსი წლის სოლიკო შემოვიდნენ — პაპისთვის ვახშამი წამოეღოთ.

— აბა, უყურე! — გაჯავრდა დიდი სოლიკო, საცვლის ტოტი გაისწორა და ტიტველი ფეხი აოხშივრებულ კალოშში წაყო, — რას ეწვალებოდით, იმდღანდელი არ იყოს!

— გააშრე, გააშრე!.. „რას ეწვალებოდით“ რასა ჰქვია! — ირამ ჩანთა მაგიდის განაკიდზე შედგა, — მა უვახშმოდ ხო...

— ვახშამი, რა!..

— გელოდეთ, გელოდეთ და!.. რატო არ გამოხვედი?

— ვაპირე, მაგრამ ერთი ოცჯერ მაინც დარეკეს.

— რა გვინდათ?

— გოგიასა კითხულობდნენ! ამ შუაღამისას მთელი სოფელი შემოვიარე, მაგრამ ვერსად ვიპოვე!

— მზე კი დაუბნელდეს! რობიზონისთან იყავი?

— რობიზონნა კი არა, აგე, ლიბლიბოაანებამდე ჩავედი! ყურას ძაღლმა კინაღამ შემჭამა!

— გამიქრა თავი! შენც რაღას დადიხარ რო! უთხარი, არ არის და მორჩა!

— ეჰ!

— ვინ იცის, სადა ძღება! ფუჰ, ლოთი!

პატარა სოლამ დაფუნკულ არითმომეტრს მიაგნო და იმას დაუწყო ჩხიკინი. ირა სუფრის გაწყობას შეუდგა ლობიოს შეჭამადი, ნახევარი ვარია, ყველი, პური, მწვანილი, ერთი ჰიჭლა ღვინო და ერთი ბოთლი ლიმონათი წამოეღოთ.

ბერიკაცმა ფეხზე ჩაიცვა, დერეფანში, ჩითის ფარდისუკან ხელები საპნით დაიბანა და მოშიებული კაცის ღიმილით მიუჯდა სუფრას.

— ორი ჯამი რაღათ გინდოდათ?

— მეტიჩარა! — ირამ თავი გააქნია შვილისკენ, თან კერძს ასხამდა, — ჩვენთან არა ჭამა, მე პაპასთან ერთად უნდა ვივახშმოო. იმიტომ წამოტუნტულდა!

— ვაი, პაპა ენაცვალოს! შენ: დაჯე, შენცა ჭამე!

— რას ამბობ, მამამთილო, ეხლა ეს კი იყო, ავიშალენით!

ირა მაგიდეზშუა გვერდულად გაძვრა და ღუმელს მიუჯდა. პატარა სოლიკომ თავი ანება არითმომეტრს და პაპას გვერდით დიდკაცურად წამოპოლორჭიკდა. მან ჯერ პაპას დაუსხა ღვინო, მერე ლიმონათით თავისთვის გაიპიპინა ჭიქა.

ის იყო, ბერიკაცმა ლუკმა ჩაიდო პირში, რომ ტელეფონმა ერთი წამოიკრუტუნა და სასოწარკვეთილი წკრიალი მორთო.

ბერიკაცმა ხის კოვზი ისევ ჩადო პურჩამტვრეულ თიხის ჯამში, აგნიასებულ ტელეფონთან მივიდა და აიღო ყურმილი. ყურმილში ზუზუნ-სისინი შეწყდა და ტელეფონისტი ქალის ნავარჯიშევი, ცივი, მკაფიო და დაფეთებული სოპრანო ყონულის მსხვრევასავით გაისმა.

— Алло, Алло, алло! Это колхоз Озаани?

— ჰო!

— Внимание, внимание! На линии Давид Михайлович!!!

ტელეფონისტი ქალის ხმა უცებ მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისხიპა და ყურმილში ლითონმა გაიჩხაკუნა.

— ალო, ალო, რომელი ხარ მანდ?.. ალო, არ გეყურება?..

კაცი ლაპარაკობდა. ეს არ იყო ჩვეულებრივი ხმა. ეს იყო მბრძანებლური, მძიმე, გალაღებულ-გაფუყული, რაღაცნაირად ბრტყელი, ხელქვეითების გასათათხი, მსმენელის არაფრად ჩამგდები როყიო ბუხუნი. ამ ხმის პატრონისთვის, ეტყობა, უცხო ხილი იყო ლოდინი, შეფერხება, გახუმრება, თხოვნა, მოთმინება, საკუთარი თავის წარდგენა.

— ალო, ალო! ფოსტა! აკი ხაზზე არიანო?.. რომელი ხარ მანდა!

— ყარაული!

— ყარაული?!. თავმჯდომარე მოვიდეს, თავმჯდომარე! ჩქარა!

— აქ არ არი!.. რაო?.. რაიონში თათბირზე ვიქნებიო!.. არა! აბა, მე რაღა ვიცი?.. წელანაც დაურეკეს მაინდ... მთელი სოფელი შემოვი... არც ოჯახში იცოდნენ!.. მაშ, მა, რაა!.. ა შუაღამისას... მა, რაში ვილებ ჯამაგირსა?! რაში და... რათა, კაცო, რათა, რა დაგიშავე... რაღა მე მომნახე დაბალი ღო... ეეე, მე მეტყვის რა: ვინ იცის, სად აზის მსუქან ინდაურსა და ქეიფობს!.. ეგრეა და!.. რასა და სიმართლეს!.. მე?! მე რას მემუქრები, შე კაი კა... რას ამბობ, წინა ხარები არ გადამიხსნა და!

ბერიკაცს ეგონა, უცნობის მუქარა ამათაც ესმითო და უფრო და უფრო ფითრდებოდა.

— რას იმუქრები, ნეტავი, მამა გიცხონდა!.. ოჰ, უცბათ ტელეფონში არ გამოძვრე და!

და ყურმილი მშვიდად დაუდო.

— ვინ იყო, ადამიანო, რა უნდოდა?

— რა ვიცი.

ორშაბათ დილას კოლმეურნეობის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და პარტორგი ერთად მივიდნენ კანტორაში. არც ერთს აღარ ედო კაცის ფერი. თავმჯდომარის კაბინეტში ლასლასით შელაგდნენ და მაშინვე ყარაული გამოიძახეს.

— ეს რა გვიყავი, სოლ[illegible] გრცხვენია?!.. რა გვეშველება ეხლა!.. ეგ რამ გათქმევინა — „ტელეფონში არ გამოძვრე!“ რა პასუხია!.. რათ გვიყავი?.. რა დაგიშავეთ?.. იცი მაინც, ვის უთხარი?

ბერიკაცმა საწყალობლად აახამხამა წამწამები.

— ვისა?

— დავით მიხაილოვიჩს!!!

— მიხაილოვიჩს რომელს ეძახით, ეგ ვინაა?

უთხრეს, ვინც იყო. ბერიკაცი დაილოუბლა.

— ნეტა, ენა ჩამვარდნოდა და! რა გუმანს მოვდიოდი, კაცო, თითონ დამიწყო პრისტავივით მუქარა!

— მაშ, ტელეფონში სატრფიალო ბაიათებს ხო არ გიმღერებდა?!. ეგ რამ წამოგაყრანტალებინა?.. როგორ ვერ იცანი ხმაზე? თუ არადა, ტელეფონისტკამაც ხომ გითხრა. მესამე თვეა აქა მუშაობ და როგორ დავიჯეროთ, დავით მიხაილოვიჩი არ იცოდე ვინ არის!.. სუყველას ეგ არ გვაკერია ენაზე: დავით მიხაილოვიჩი, დავით მიხაილოვიჩი, დავით მიხაილო... დავით მიხაილო... არ ვიცი, არ ვიცი: კაცი ჩააეტილა კაბინეტში და თურმე აღარავის ელაპარაკება!.. იქით ტელეფონისტკა იკლავს თავსა — რაღა ჩემს მორიგეობაში მოხდაო!.. ჩავცვივდით ქვეყნის ყბაში!.. არ ვიცი, არ ვიცი, მიდი, ნათელას დააწერინე განცხადება და... მიტოსი დიდი ხათრიცა გვაქვს, მაგრამ შენი აქ გაჩერება აღარ იქნება!

— აღარც მე მინდოდა, შვილებო!

სოლო პაპამ მოანგარიშეს განცხადება დააწერინა და თავმჯდომარეს შეუტანა. მერე თავისი ბარგი-ბარხანა აიკიდა და კიბეზე დაეშვა.

მიტო შინ დაუხვდა, ნაქეიფარი იყო.

— არ გითხარი, სოლავ, ეხლა?!..

ბერიკაცმა ორივე ახალი წელი — ახლითაც და ძველითაც — შვილიშვილებთან დაიყენა. თებერვალში კი, დოლი რომ დაიწყო, შეკრა გუდა-ნაბადი და ისევ ცხვარში წავიდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორის ანდრონიკაშვილი

# მოთხრობები

## იუბილე

დირექტორის კაბინეტში თათბირი იყო იმის გამო, რომ ზოოპარკში მნახველების რიცხვმა საგრძნობლად იკლო, რაც ძალზე სამწუხაროა. მართლაც, აბა რა სასიამოვნოა უცქირო ბალახმორეულ, დაცარიელებულ ხეივნებს, მოწყენილ, ტყვედქმნილ ცხოველებს და. რაც მთავარია, შეგნებული გქონდეს, რომ ყოველივე ამისათვის აუცილებელია პასუხი აგო ვილაცის წინაშე. ხოლო გეგმა არ სრულდება, ჯიხურებიდან გამყიდველები კარგახანია ზოოპარკის ტერიტორიიდან მოედანზე გავიდნენ, აქ რა გვინდა, ნაყინი გვიდნებაო და გაზეთებსაც არავინ ყიდულობსო. აქაურმა მუშაკებმაც საქმეზე გული აიყარეს. და ეს გასაგებიცაა. იმიტომ, რომ ასეთი გაპარტახება ყველას აწუხებს და გულს უკლავს. უნდა რამე ვიღონოთ. მონიშნეს სხვადასხვაგვარი ზომები, თვით ცხაურებიც კი მორთეს, და აი ზოოტექნიკოსმა გიგომ გულმხურვალედ წამოიძახა — მოდით, ხალხნო იუბილე გადავიხადოთო.

— ვისი?

— სპილოსი. ის ხომ უკვე ორმოცი წელია, რაც ჩვენთანაა.

დირექტორმა ცერად გახედა მას, მაგრამ გიგომ. რათა თავიდან აეცდინა საყვედური — რა უაზროდ ლაპარაკობო, მღელვარედ წამოიძახა:

— მე არ ვხუმრობ!.. განა არ შეიძლება. — მან დაეჭვებით გადახედა თათბირის მონაწილეებს, — მოვაწყოთ დღესასწაული, შევკრიბოთ სკოლის მოწაფეები, გაუმართოთ რაიმე თამაშობები. რათა ირგვლივ უჩვეულო სიხარული სუფევდეს. ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ ცხოველებისადმი სიყვარულია და მეტი არაფერი.

— რატომაც არა? ღირს ამაზე დაფიქრება! — ცოცხლად გამოეხმაურა დირექტორის მოადგილე.

— ცხოველებისადმი სიყვარული?.. შეიძლება ეს იყოს თემა, — დაეთანხმა მთავარი კულტმუშაკი.

— რის თემა? — შეეკითხა დირექტორი.

— მთელი კამპანიისა. აქ ბევრი რამის მოფიქრება შეიძლება.

— ყოველ შემთხვევაში, ამან შეიძლება მოიზიდოს ხალხი. — თქვა მთავარმა ინჟინერმა, ჩაილიმა და ცნობისმოყვარეობით შეხედა გიგოს. — სპილოს იუბილე?

— „იუბილე“ კი არა, შეიძლება ასე ვთქვათ, „ორმოცი წლისთავი“.

— არა, არც „იუბილეა“ ცუდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სპილოს იუბილე“ — ეს რაღაც ამაღლებულადაც კი ჟღერს.

— ჰო, მაგრამ, როგორ წარმოგიდგენიათ ყოველივე ეს? — იკითხა დირექტორმა.

წამოვიდა და წამოვიდა წინადადებები.

— უნდა იყოს ირგვლივ ყველაფერი საზეიმო, მხიარულება ნამდვილი, ბუნებრივი... ყოველგვარი ძალდატანების გარეშე.

— დიახ, ისე კი არა როგორც ნამდვილ იუბილეზე იციან. ლაქლაქს რომ მოჰყვებიან ხოლმე, თან ქაღალდში იცქირებიან.

— შეიძლება ცირკიდან სპილოს მოყვანაც. ასე ვთქვათ, თანამოძმეთა შეხვედრა.

— დაე, დავრიშმა ჩაიცვას კოსტუმი და უჩურჩულოს მას შელოცვის სიტყვები.

— შეულოცავენ გველებს და არა სპილოებს.

— ვინმე მოგონებით გამოვიდეს.

— ვინ? — იკითხა დირექტორმა.

— ვინ დარჩა ჩვენში ყველაზე უფრო ხანდაზმული?

— ბატონი ბესარიონი.

— მე რომ აქ მოვედი, სპილო უკვე დამხვდა, — უარი თქვა მოგონებაზე მთავარმა ბუღალტერმა.

— ანკეტებში უნდა ჩავიხედოთ.

— ბოლოს და ბოლოს, ეს არ არის მთავარი. მოგონებით თქვენც შეგიძლიათ გამოსვლა, ბატონო ბესარიონ, და ყველა ჩვენთაგანსაც. მთავარია ვილაპარაკოთ სპილოზე.

— დიახ, როგორ იზრდებოდა, დამთვალიერებელთა თვალწინ თანდათან როგორ გადაიქცა ახალგაზრდა სპილო უზარმაზარ არსებად.

— მაინტერესებს, სად უნდა მოხდეს ყოველივე ეს? — იკითხა დირექტორმა.

— რასაკვირველია, სპილოს სადგომის წინ.

— მოგონებებიც?

— მოგონებებიც, პიონერთა მსვლელობაც, ნომრების შესრულებაც. იქ საკმარისი ადგილია, — თქვა გიგომ სრულიად დარწმუნებით, — რატომაც არა?

— მე არ მითქვამს არა-მეთქი, უბრალოდ ვარკვევ.

დირექტორი ისევ ორჭოფობდა.

— კი მაგრამ, სად არის აქ ცხოველებისადმი სიყვარული? — თქვა გაღიზიანებულმა დირექტორმა.

— სწორედ ამ დღესასწაულში. არსად, არცერთი სპილოსათვის ასეთი ზეიმი ჯერ არ გაუმართავთ, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

— რატომ? გერმანელებიც აღნიშნავენ ხოლმე წლისთავს, — წარმოსთქვა ვიღაცამ.

— ისინი თავად ზოოპარკის იუბილეს აღნიშნავენ და რა რომელიმე ცხოველისას.

— კი, სინამდვილეა.

— სხვათაშორის, უნდა მოვიწვიოთ ამხანაგები კინოქრონიკიდან, ან ტელეხედვიდან. შესაძლოა საინტერესო სიუჟეტი გამოვიდეს.

ყოველმხრივ იხილავდნენ ამ იდეას, რაც სულ უფრო და უფრო მომხიბვლელი ხდებოდა. გაიხსენეს, გასულ წელს ასეთსავე ვითარებაში გიგომ რომ შეიტანა წინადადება გაეკეთებინათ საბაგირო გზა, რათა დამთვალიერებლებს მაღლობიდან პირდაპირ ზოოპარკში შეძლებოდათ ჩამოსვლა, რომ არ შემოევლოთ გარშემო.

მთავარ ინჟინერს არ უნდოდა ხელი მოეკიდა ამ საქმისათვის და ამტკიცებდა, რომ ასეთ შემთხვევაში ზოოპარკი იქცევა გასავლელ ეზოდ, ხალხი საბაგირო გზას გამოიყენებს გზის შესამოკლებლად და არა ზოოპარკის დასათვალიერებლადო.

— მერე და გამოიყენონ. მთავარია შემოსასვლელად ფულს გადაიხდიან, — დაობდა გიგო. — გასავლელი ეზო... აქ ღამისგასათევად ისედაც არავინ არ რჩება.

ახლა მთავარი ინჟინერი მხარს უჭერდა იმ იდეას, რომ ზეიმი მოეწყოთ სპილოს სადგომის წინ.

— კარგით, — დაეთანხმა დირექტორი, — მოდით შევადგინოთ ღონისძიებების ზუსტი გეგმა. ამასობაში მე რჩევას ვკითხავ სამინისტროში და... სადაც საჭიროა.

— საიდან მოგდის ასეთი აზრები თავში! — უთხრა მთავარმა ინჟინერმა გიგოს.

— თავს გააჩნია...

სამინისტროში, ცხოველთა დაცვის საზოგადოებაში და აღმასკომში მხურვალედ დაუჭირეს მხარი ამ იდეას. საქმე დატრიალდა.

— ეს ძალზე კარგი აზრია, — ხაზს უსვამდნენ ყოველ განყოფილებაში, რასაკვირველია, გარდა საგეგმო-საფინანსო განყოფილებებისა, — ამაში არის რაღაც ამაღელვებელი... სპილო, მოწყვეტილი თავის სამშობლოს, უცხო მხარეში. ასეთ კეთილ დამოკიდებულებას რომ ხვდება. ამასთანავე, საერთოდ, აფრიკა ახლა მთავარ ფოკუსშია.

შუახნის, მაგრამ, ამავე დროს, ლირიკულად განწყობილმა სამინისტროს თანამშრომელმა აღტაცებით თქვა:

— ამას გარდა, ეს სრულიად ახალი ფორმაა ცხოველებთან მუშაობისა. მე, მაგალითად, ამის მსგავსი არასოდეს არაფერი არ გამიგონია. ასეთი რამ, რასაკვირველია, მხოლოდ ჩვენ შეგვეძლო რომ მოგვეფიქრებინა! ყოჩაღ, ყოჩაღ, აბა რა გვეთქმის!

აღფრთოვანებულმა დირექტორმა გააჩაღა მუშაობა. სამინისტროში მოიწვიეს თათბირი ყველა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. აქებდნენ დირექტორს ინიციატივისათვის. იდეა ყველას იტაცებდა.

— ეს იქნება ძალზე ნათელი გამოხატულება ცხოველებისადმი სიყვარულისა.

დირექტორი, რომელიც თავიდან არ იყო დარწმუნებული, რომ ამ იდეას მიიღებდნენ, და, საერთოდ, ეჭვებით შეპყრობილი იყო (მისმა ვაჟმა სტუდენტმა თქვა, რომ, მისი აზრით, ეს ამბავი სისულელეაო). ახლა მხნედ და იმედიანად გამოიყურებოდა.

— საჭიროა იყოს ნათელი, მზიანი დღე. — აფრთხილებდნენ მას, — კარგი ამინდი.. .უნდა ვაცნობოთ ხალხს ტელევიზიის, პრესის საშუალებით. შევუკვეთოთ აფიშები. გავაფორმოთ სპილოს სადგომი. ბოლოს და ბოლოს, ყველა აქ მსხდომი ამ სპილოს თვალწინ გავიზარდეთ, ბავშვობისას ვუცქეროდით მას, ამ ბუმბერაზს, ზოგი აღტაცებით, ზოგიც შიშით, და ახლა, რასაკვირველია, ჩვენ უნდა მივუგოთ კუთვნილი.

— არა, შიში არავის არ გვქონია. ის ისეთი კეთილი და ბუნჩულა იყო.

— თუ შიში არა, გაოცებით ხომ ვუცქერდით. როდესაც ვუცქერით ინდაურს, ანდა სახედარს, მიუხედავად მათი თავისებურებებისა, არ ვართ ისე გაოცებულნი, რადგანაც ისინი პატარები არიან. ეს კი უზარმაზარია.

— მაგრამ რატომ აქვს ასეთი პატარა თვალები? პატარა თვალები ყოველთვის უნდობლობას იწვევს.

— იმიტომ, რომ მას სძულს ეს გარემო. არ უნდა უყუროს ამ ქალაქელებს, მათ ბავშვებს, მატროსულები რომ აცვიათ, ხელში ნაყინი რომ უჭირავთ და მისკენ ხელით რომ უთითებენ.. შეუკრავენ ფეხებს ამ ბუმბერაზს და მერე ათვალიერებენ.

— რასაკვირველია, შენ თავად გესიამოვნება მუდამ რომ მოგჩერებოდეს ვინმე?

— ქალები ხომ სულ ამაზე ოცნებობენ?

გიგო ზოოპარკში ისე დადიოდა, თითქოს მისი საიუბილეო ზეიმი ყოფილიყო. მისი წყალობით წყდებოდა ყოველგვარი პრობლემები, რომლებიც ახლა ყურადღების ცენტრში იყო; ირგვლივ ჩქეფდა ცხოვრება და აქეთ-იქეთ დარბოდნენ ადამიანები. მართალია, ელექტრომონტიორი და დურგალი, რომლებმაც მრავალი დავალება მიიღეს ამ ზეიმთან დაკავშირებით, არ იყვნენ კმაყოფილები. გიგო მივიდა სპილოს სადგომთან, რათა დამტკბარიყო იმის ხილვით თუ როგორ ხორციელდებოდა ცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებაში მისი წინასწარდასახულობანი.

— რა, საქმე არაფერი გაქვს, — უთხრა კიბეებზე მდგარმა ელექტრომონტიორმა.

— რაშია საქმე? — შეეკითხა მკაცრად გიგო.

— თუ ხალხს შენი მხეცები არ აინტერესებს, არაფერი საჭირო არ არის მათი შემოტყუება, — დურგლებმა დაიწყეს ქირქილი.

— შემდეგ რა დღეები გვექნება? კენგურუს დღე... მოლუსკის დღე...

— თქვენ რა, ოღონდ დასხდეთ სადმე კუთხეში და უჯახუნოთ ჭიქები ერთმანეთს, — უპასუხა მან; თავის მეგობარს, ორნითოლოგს კი შესჩივლა:

— ბევრი ცხოვრობს რაღაც განსაკუთრებული შემთხვევის მოლოდინით. მაგრამ შესაძლოა უბრალო ამბითაც გამოიჩინო თავი. საჭიროა მხოლოდ კი არ გამოიგონო გრძნობა, არამედ განიცადო იგი: ადამიანი უნდა გამოეხმაუროს მოვლენებს არა მხოლოდ მათი დიდმნიშვნელობის გამო, არამედ საკუთარი გრძნობის სიღრმით.

რა მოვლენებს გულისხმობ?

— სხვადასხვაგვარს.

გიგო სახლშიაც არ ცხრებოდა.

— უსათუოდ რაღაც უზარმაზარ ამბავს ელიან. გრძნობა კი პატარა ამბავშიც ვლინდება დიდი ძალით.

დასახულ ღონისძიებათა სცენარი თხოულობდა უამრავ შესწორებებს, რასაც იძლეოდნენ ზემდგომი ორგანოები. შესწორებები ძირითადად ეხებოდა სპილოსადმი სიყვარულის სულ ახალ და ახალ გამოვლინებებს. გამოყოფილი იყო შესაფერი სახსრებიც. გიგომ კიდევ შეიტანა წინადადება:

— შეიძლება იუბილარისათვის ადრესების წაკითხვაც.

— როგორი ადრესების?

— როგორსაც კითხულობენ იუბილეებზე, სქელ საქაღალდეებში რომ უწყვიათ.

— სპილო ხომ ვერაფერს ვერ გაიგებს, — სთქვა დაეჭვებით დირექტორმა.

— ეს არ არის სავალდებულო.

— მეშინია, ეს დაცინვად არ მიიღონ!

— რატომ? როდესაც ეს წრფელი გულიდან მოდის. რასაკვირველია, ყველაფერ ამას ხუმრობის იერი უნდა ჰქონდეს. წავიკითხავთ ადრესს და ორკესტრი ტუშს დაუკრავს.

— ორკესტრი?

— რატომაც არა? რა ზეიმი შეიძლება მუსიკის გარეშე?

— მერე და, ვისგან იქნება ეს ადრესები?

— მომწყობებისაგან. სხვადასხვა ორგანიზაციებიდან — სამინისტროდან, ცირკიდან, ალმასკომიდან, სკოლიდან, ხანდაზმულებისაგან.

— ესენი რაღა შუაშია?

გადაწყდა ზეიმს „სპილოს დღე" ეწოდოს. ისმოდა, რასაკვირველია, გონივრული სიტყვებიც:

— მთავარი ეს ხომ არ არის. ერთი და იგივე ცხოველები მობეზრდა ყველას, უნდა შევიძინოთ ახლები, გავადიდოთ ზოოპარკი. ხოლო ეს დროებითი ზომების მიღებაა, რაც არაფერს არ გადაწყვეტს.

— მგლების ყიდვა შეგვიძლია, მაგრამ, არაჩვეულებრივი ცხოველების შესყიდვისათვის ვალუტაა საჭირო, ეს თქვენც თავად მშვენივრად მოგეხსენებათ!

— აბა რას მოგვცემს „სპილოს დღე"?

— ეს თუნდაც ზოოპარკის პრობლემებისადმი ყურადღებას მიიქცევს.

— დიახ, თუმცა ეს დროებითი ზომების მიღებაა, მაგრამ ძალზე ორიგინალურია.

— მოდი გადავწყვიტოთ კონკრეტული საკითხები, — თქვა დირექტორმა.— რითი დავაინტერესებთ მონაწილე ორგანიზაციებს, რომ იმ დღეს განზე არ გაგვიდგნენ.

— ტელევიზორით, პრესით.

— მართალია, ეს ყველას უყვარს. უფრო მეტად მივიზიდოთ ამ საქმეში ქალები, მათ უყვართ ასეთი ფუსფუსი.

— ცხოველთა დაცვის კომიტეტი და

კულტურის სამინისტრო ისედაც მოვა, მათ ეს საქმე უშუალოდ ეხებათ, სკოლებში კი სულ ქალები არიან. ისინი ყველას დაატრიალებენ.

— კოხტად გამოაწყონ მოსწავლეები და მოიყვანონ აქ.

— უნდა მოვიფიქროთ ამხანაგური ვახშმის ამბავიც, — თქვა გიგომ. — ასე უბრალოდ ხომ ვერ გავუშვებთ სტუმრებს.

— დიახ, რასაკვირველია, — თქვა დირექტორმა, რომელსაც სულ უფრო და უფრო ანცვიფრებდა გიგოს მოსაზრდებულობა და სიყოჩაღე, რომელიც ამ ბოლო დღეებში გამომჟღავნდა.

— გამოვიტანოთ პროფკავშირიდან ფული და ჩვენც თავად შევაგროვოთ. ვინმე გავგზავნოთ კახეთში ღვინისათვის.

— აბესალომი გავგზავნოთ...

— არა, — თქვა დირექტორმა, — აბესალომი ვერ ერკვევა ღვინოში. მას ძალზე ძელგიანი ღვინო უყვარს, ყელს რომ აშრობს... ხერესის მსგავსად.

— მაშ როსტომი წავიდეს.

— კარგია.

შემდეგ დირექტორმა გამოიძახა ელექტრომონტიორი და დაავალა — ნათურებიდან გაეკეთებინა სპილოს გამოსახულება ლალად შემართული ხორთუმით.

— ამას ჩამოვკიდებთ ზოოპარკის შემოსასვლელში, რაც კარგად გამოჩნდება მოედნიდან.

და აი, დადგა ეს ღირსშესანიშნავი დღეც. დილიდან მხიარულმა და მორთულ-მოკაზმულმა ქალაქელებმა — უმეტესად ბავშვებმა, დედებმა, ღრმა ფიქრებში ჩაძირულმა და იმ სპილოსავით ზოზინა მამაკაცებმა აავსეს ზოოპარკის ხეივნები. სალარო შეუსვენებლად მუშაობდა. მარჯვედ ვაჭრობდნენ ჯიხურები, რომელთაც ისევ დაეკავებინათ ჩვეული ადგილები. ნათელი, მზიანი დღე იყო, რასაც ითხოვდნენ სამინისტროში. სპილოს სადგომის წინ იდგა დირექტორის კაბინეტიდან მოტანილი საყვავილეები ტიტებითა და გლადიოლუსებით. მორთული ისე, რომ სპილო არ მიწვდომოდა მას. ყვავილები შემოსასვლელშიაც იყიდებოდა. დამთვალიერებლები ცოტათი იჭვნეულად ყიდულობდნენ, არ იცოდნენ, შეიძლებოდა თუ არა ყვავილებით სპილოსთან მოსვლა. ფუსფუსებდნენ ტელევიზიის მუშაკები, დგამდნენ და აწყობდნენ აპარატურას.

ღამის დარაჯმა, როგორც ბოლოს გამოირკვა, ამ ზოოპარკის ყველაზე უძველესმა მუშაკმა, საყვედურით მიმართა მათ:

— ორმოცი წლის განმავლობაში ერთხელაც კი არ გადაგიღიათ. თითქოს აუცილებელია დაბერდე, რომ ყურადღება მოგაქციონ.

ხმაურისაგან დამფრთხალი ფრინველები, რომლებიც მიჩვეული იყვნენ მარცვლის კენკვას მხეცებთან ახლოს, ხეებზე შემოსკუპებულიყვნენ. უკრავდა ორკესტრი. ყველგან მოჩანდა ფოთლებისაგან შეკრული ციფრი „40" და დიდი ასო „ჯ" — სპილო ჯუმბას ვენზელი.

ზეიმის დასაწყისის მომლოდინე სტუმრები სულგრძელად მუსაიფობდნენ:

— თურმე ეს ერთადერთი სპილოა ჩვენს რესპუბლიკაში — თქვა ერთმა დამსწრემ.

— რა დიდი ყურები აქვს, ისე იქნევს მათ, როგორც ფრთებს ფრინველი.

— რამდენი მშვენიერი ცხოველია ქვეყანაზე. ჩვენთან კი რატომღაც მახინჯ ნიანგებს, ბეჰემოთებს და გომბეშოებს ამჯობინებენ.

ცხვირამოკუზული ანტილოპა სულ ახლოს მივიდა ბადის ბოლოში და ყურადღებით დაუწყო თვალიერება მათ, თან წინ წამოსწია თავისი სიფათი.

— კარგი, ვთქვათ, აქლემს კუზი უნდა იმისათვის, რათა ცხიმი შეინახოს შიგ საკვებად, ამას რაღათ უნდა კუზი ცხვირზე?

— ეს არავინ არ იცის. ადამიანებსაც აქვთ კეხიანი ცხვირები და არავინ იცის რისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორკესტრისაგან დაყრუებული, შუქისაგან დაბრმავებული, დაბნეული სპილო ხან ერთ ფეხს დაეყრდნობოდა, ხან მეორეს, აბარტყუნებდა ყურებს, შემდეგ წავიდა თავისი სადგომის კუთხეში; ახლა შორიდან მოჩანდა როგორც უზარმაზარი ლოდი, რუხი, ხორკლიანი, რალაც შეუსაბამო შთამომავალი მამონტისა.

ჭურჭელი, რომლისგანაც იგი იკვებებოდა, სავსე იყო პამიდორით, კიტრით და კომბოსტოთი. ბოსტნეულის ეს მთა საერთო ყურადღებას იწვევდა.

— ნუთუ ამდენს ჭამს?

— ასოც კილოგრამს ჭამს დღეში,— ამაყად თქვა გიგომ.

— აი, თურმე რატომ არ იშოვება პამიდორი.

გიგოც დამუხტული იყო, როგორც ყველა, დადიოდა დღესასწაულის მონაწილეთა შორის და თვალყურს ადევნებდა ყველაფერს. მან გუშინ გაიგო ტელევიზორის საშუალებით, რომ საზამთრო თურმე კენკრა ყოფილა; მაშინ სპილოზედაც შეიძლება ითქვას, რომ იგი ჩვეულებრივი მინდვრის თაგვია, მასაც ხომ აქვს დიდი ყურები და საკმაოდ საძაგელი კუდი.

მთავარი ინჟინერი მხიარულად ადევნებდა თვალს გიგოს. მას საერთოდ ყველა ალტყინებული ადამიანი სულელებად ეჩვენებოდა, გიგო იყო სწორედ გასართობი და მერე როგორი — ის სერიოზულად იყო შეფიქრიანებული იმით, რათა ყველაფერმა კარგად ჩაიაროსო.

— პატივცემულო და საპატიო სპილოვ! — ასე მიმართავდნენ იუბილარს.

სამინისტროს მუშაკი ქაღალდში იცქირებოდა, დიდხანს და მოსაწყენად უხსნიდა ხალხს, თუ რისთვის იყვნენ აქ შეკრებილნი, რამდენი რამ გაკეთდა ზოოპარკის გაზრდისათვის. სიტყვა იყო ოფიციალური და ხალხი მოწყენილი უცდიდა როდის დაამთავრებდა ორატორი ლაპარაკს.

პატივცემულმა აკადემიკოსმა, რომელიც მოიყვანეს აქ, რათა თავისი მოსვლით გაებრწყინებინა რამდენიმე ჩვეულო „ღონისძიება", მთელი ოდა უმღერა სპილოს:

— ეს უდიდესი მომთმენი ცხოველია, წარმოიდგინეთ, მთელი მისი ცხოვრება, ორმოცი წელი, გაატარა ტყვეობაში. ეს ძალზე მძიმეა, აუტანელია, მაგრამ ჭკუაზე არ შეშლილა და შეინარჩუნა თავისი პირვანდელი სახე.

სპილო კი იდგა და იგონებდა თავის შორეულ ბავშვობას, თითქოს დიდიხნის დავიწყებულს, რაღაც დღესასწაულს შორეულ მხარეში. აგონდებოდა ცეცხლის ენები და ტამტამების ხმა. იგი თითქოს უცქეროდა მწვანე სავანის სივრცეს, სადაც ისინი, სპილოების პატარა ჯოგი, თავისუფლად ცხოვრობდნენ, ფეხმარდი ჯოგი, უხვი, ნოყიერი საძოვრები, გაშლილი ხეები მაღალი ვარჯებით, რომლებიც აქ არ არის. დედა ხორთუმით იწევდა ტოტს, და სპილო ერთიანად შემოსჭამდა მის სურნელოვან ფოთლებს. ეძინათ ფუმფულა ბალახზე, ჰყუმპალაობდნენ მდინარის საქცევში, გაყვიროდნენ ხმამაღლა. ყველაფერს თავისი სურნელი ჰქონდა — ქარს, წყალს. იქ იყო ტერმიტის ბუდეები, შმაგი კამეჩები, ფეხშიშველა ხალხი. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე ის, ახალგაზრდა სპილო, დაიჭირეს და მოიყვანეს აქ.

გაიწელა ერთფეროვანი დღეები, რომლებიც ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდა, მათში არ იყო არც სიხარული, არც მწუხარება, არც იმედი თავის დახსნისა.

...ერთი სურათი მეორეს სცვლიდა. განთიადის სიჩუმეში, რომელიც აღსავსე იყო იდუმალი ხმებით, უეცრად შემოიჭრებოდა გმინვა მომაკვდავი ცხოველისა: ბინდი ნელ-ნელა ქრებოდა, ქრებოდა ღამეული განგაშიც; ჯერ კიდევ მძინარე ველზე ამოიზიდებოდა უზარმაზარი ნარინჯისფერი ბურთი და, მასთან ერთად, მშუქარი სიხარული სისხლსავსე თავისუფალი ცხოვრებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგონებებისაგან ღამის დარაჯმა გამოიყვანა. წლები გადიოდა, ადამიანები იცვლებოდნენ, მას კი უცვლელად ხუდავდა ღამის სიჩუმეში, როდესაც ფიქრები გარბიან ღრუბლების მსგავსად ღამეულ ცაზე. დარაჯი ჰყვებოდა — როდესაც სპილო მოიყვანეს, ბევრს არ სჯეროდა, რომ ასეთი არნახული, ბუნების ასეთი არა ამქვეყნიური ქმნილება უხორცოდ გაძლებსო. სცადეს და ძვლები მიუყარეს, მაგრამ აქედან არაფერი გამოდიოდა. ისე კი სპილო, ძალზე წყნარი იყო, დამყოლი, გულისხმიერიც კი. ხანდისხან დაადებდა ხორთუმს მხარზე და ისე იყურებოდა თითქოს განუგეშებსო. განსაკუთრებით გაზაფხულობით შეიმჩნევა, როგორ იტანჯებიან ცხოველები, როგორ ისწრაფიან თავისუფლებისაკენ.

სპილომ ისევ განაგრძო ფიქრი, თან კუშტად ათვალიერებდა ხალხს. როგორი ერთფეროვნები არიან, უზრდელები — უცქერიან მოსაბეზრებელი ცნობისმოყვარეობით და იშვიათად თანაგრძნობითა და სიბრალულით. ამასთანავე, ეს ცნობისმოყვარეობა საერთოდ აუხსნელია. თავადაც ხომ არა ნაკლებად საინტერესონი არიან: უაზროდ ფუსფუსებენ, შეღებილი სახეები აქვთ, ჭრელი ტანსაცმელი! და მან იცხოვრა მათთან ერთად და მათთვის მთელი სიცოცხლე.

შემდეგ იყო ამხანაგური ვახშამი, რაც ხმაურითა და მხიარულად მიმდინარეობდა. გიგო ცენტრში იჯდა. მთავარმა ინჟინერმა გაუვრცელა ხმა, რომ გიგო შემდგომში აპირებს ცხოველთა შორის შეჯიბრის ორგანიზაციას, სირბილში, ხტომაში და სიმძიმეების აწევაში. ესეც ხომ მიიზიდავს ხალხს.

— მართალია, ქუჩის ყველა უსაქმური აქ მოაწყდება საყურებლად.

— აბა როგორ? მნახველებს განა იმ ცხოველების ყურება აინტერესებთ, რომლებსაც არხეინად სძინავთ, ანდა ჩამქრალი თვალებით შეჰყურებენ მათ?

აკადემიკოსმა გააგრძელა თავისი მსჯელობა.

— დიახ, ყველა ცხოველი ადამიანს ემსახურება, ნურვინ იფიქრებს, თითქოს მათთვის სამსახური დიდ რამედ ღირს. პატიმრობა ძნელია, განსაკუთრებით იმისათვის, ვინც ოდესმე თავისუფალი იყო.

სკეპტიკოსები ბუზღუნებდნენ:

— ღამის დარაჯიც ორმოცი წელია რაც მუშაობს, მაგრამ არავის არ მოსვლია ფიქრად მისთვის იუბილეს გამართვა.

დილით გიგომ უსიამოვნო ამბავი შეიტყო — სპილოს თავს რაღაც უბედურებააო. არც ჭამს, არც სვამს, არაფერზე არ იძლევა რეაქციას, დიდიხნის დაჟინების შემდეგ ძლივს გადაიყვანეს სხვა ადგილას და ამას ძალზე უხალისოდ აკეთებს, თითქოს ღრმა ძილისაგან გამოაღვიძესო.

— ეს არაფერია. იუბილის შემდეგ ყველას ცოტა ცუდი გუნება გაუხდება ხოლმე. მალე გამხიარულდება, — ამშვიდებდა ვიღაც. მაგრამ სპილო არ გამხიარულებულა. მესამე დღეს უკვე ვეღარ დგებოდა, მეოთხე დღეს კი სული განუტევა.

განწყობილება ყველას წაუხდა , დირექტორი სასოწარკვეთილებას მიეცა.

— კიდევ ორი-სამი ასეთი იუბილე და სულ აღარ დაგვრჩება ცხოველები, — თქვა მან მწარედ.

— რა ჩემი ბრალია ის, რომ ასეთი ხნიერი იყო, — თავს იმართლებდა გიგო. — საჭიროა, ახალ-ახალი ცხოველების მოყვანა... მარტო ფულები კი არ უნდა აგროვო მათი ცქერისათვის.

სამინისტროს თანამშრომელმა, რომელიც ადრე ასე ალტაცებით მიესალმა იუბილეს, ახლა გადასხვაფერდა და თქვა:

—დღესასწაულები, საერთოდ, პრობლემას არ წყვეტენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იცოცხლეთ, იხარეთ...

ვალიკო პორტიდან გამოვიდა, გუშაგს მხარზე ხელი დაჰკრა, მერე ხალხში, გაჩერებასთან დაინახა სასადილოს ოფიციანტი ქალი ლილი, რომელსაც ხელში მძიმე ჩანთა ეჭირა. მიეპარა და უკანიდან თვალებზე ხელი ააფარა, მაგრამ როგორღაც უხერხულად ზედ გადააწვა. ქალმა საყვედურით თავი გადააქნია.

— ისედაც ფეხზე ძლივს ვდგავარ,— თქვა მან, — რა უხეშები ხართ მამაკაცები! პირდაპირ ტანკები ხართ.

— ჰოდა ეს ტანკები, თქვენი ეშხით ლურჯ ალში იწვიან, — თქვა ვაჟმა ღიმილით.

ქალმა გაკვირვებით შეხედა მას, ვაჟმა ასე განუმარტა:

— ცხოვრება — ბრძოლის ველია, რომელზედაც აქა-იქ გამოკრთის მამაკაცთა დამწვარი და დამსხვრეული გულები! ქალები კი არა, ჩანანა. მათ დაივიწყეს ისინი და წავიდნენ, რათა ახალი ბედნიერება იპოვონ.

— მაშ ქალის ერთგულება მოგონილი ამბავია?—ჰკითხა ლილიმ, თან ჩანთა ერთი ხელიდან მეორეში გადაიტანა.

— ეს არის შენიღბული სანგარი, საიდანაც თქვენ ანადგურებთ კაცებს. იგი მიქრის ტრიალ მინდორზე და ფიქრობს — ირგვლივ სიჩუმეა, საშიშროება არსაიდანაა, რომ უეცრად სანგრიდან გამოვარდება ყუმბარის შეკვრა და სიცოცხლე მიფრინავს ზემოთ თავდაყირა... ანდა თითქოს უცოდველი ბუჩქიდან გამოფრინდება ჯავშანსგამტანი ჭურვი...

ქალმა მოწყენით გაიღიმა და ისევ გზას დაუწყო ცქერა. ავტობუსი არ ჩანდა.

— განსაკუთრებით საშიშნი არიან შენისთანები!

— როგორები?

— ცოტათი მოწყენილები და, ამავე დროს, ნაღვლიანები.

— ყბედი ხარ შენ? — თქვა ქალმა,— შენ ჯერ კიდევ წინა გაქვს ცხოვრება. იკოტრიალებ ტრიალ მინდორზე და ბუჩქებიდან მოფრინდება ჯავშანსგამტანი ჭურვი.

ავტობუსი კვლავ არ ჩანდა. ბიჭმა ხელი ჩაიქნია და ფეხით გაუდგა გზას.

სუფრის გაშლისას დედამ თქვა:

— ვარლამი იყო, თქვა, რომ საღამოს „დინამოზე" მიხვიდე... კვირას წახვალ დეიდასთან?

— ისევ მანდარინებს უნდა მოვუარო?

— აბა სხვა რა უნდა გააკეთო იქ?

— მომბეზრდა მათი ახვევა, სასუქის დაყრა, შეფუთვა, შესხურვა და შეთეთრება.

— ჭამა ხომ არ მოგბეზრდა? მურაბის პურზე წასმა ხომ არ მოგბეზრდა?

ისადილა, აიღო ჩანთა და წავიდა. გასახდელში და დარბაზში ბევრი უცხო ხალხი დახვდა. ესენი იყვნენ ნავთობგადასამუშავებელი, საზღვაო და პედაგოგიური ინსტიტუტების ბიჭები. მომცრო დარბაზი გაჭედილი იყო. ზოგი კედელზე გამოხატულ ჩრდილს ებრძოდა. ზოგი ხვეწავდა დარტყმებს ტომარაზე. მათი გუნდი, ნავსადგურელების გუნდი, გარს ეხვია ვარლამს. მსუბუქი, მოქნილი, მუდამ მოძრავი, იგი ერთდროულად ათ თავის შეგირდს ადევნებდა თვალს.

— რა ხდება აქ? — იკითხა ვალიკომ.

— პირველობაა, —უპასუხა ვარლამმა და ხელით აჩვენა სავარჯიშოდ გეწვევო.

— რატომ აცდენ ვარჯიშს? — ჰკითხა ვარლამმა, ცოტათი რომ შეასვენა. ვალიკომ დაიწყო რაღაცის მიკიბ-მოკიბვა. მაგრამ ვარლამმა შეაჩერა: — საჭიროა მეტი ვარჯიში. მონაცემები კარგი გაქვს, მხოლოდ... თუ არ გინდა აქ სიარული, თქვი, შენი იმედი რომ აღარ გვქონდეს.

— რას ბრძანებთ! ეს იმიტომ, რომ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რამდენჯერ გაჩვენე მარჯვენა კაუჭი, შენ მაინც გაკრულად ურტყამ.

— ასე უფრო მეხერხება.

— მოწინააღმდეგესაც. შენ იხსნები. მიყურე! ხედავ, რა მოხერხებულია მისთვის ყბაში რომ მოგარტყას?

მან დამაჯერებლად მოსდო რამდენჯერმე ნიკაპზე და სხვებთან გადაინაცვლა. დიდი ხანი არ იყო, რაც ვარლამმა რინგზე გამოსვლას თავი დაანება. ერთ დროს საქართველოს ნაკრებშიაც ირიცხებოდა. მაგრამ მალე მწვრთნელად დაიწყო მუშაობა. სპარინგის შემდეგ ისევ მიმართა ვალიკოს:

— დაიხსომე, იყვნენ ბრწყინვალე მოკრივეები — აგეევი, ბარანიკოვი, ბორის კუზნეცოვი, რომლებიც თითქმის ღიად მუშაობდნენ. მათ სწრაფი რეაქცია ჰქონდათ, იხსნებოდნენ და ამით მოწინააღმდეგეს იტყუებდნენ. შენ კი ასეთი რეაქცია ჯერ არა გაქვს. რასაკვირველია, ასე უფრო ლამაზია, გეთანხმები, მაგრამ საშიშია... არის კიდევ ერთი საყოველთაო გატაცება...

მათ გუნდში იყო ერთი მძიმე წონის, მოღუშული მეზღვაური, არ შეუხედავს მისთვის, ისე განაგრძო ვარლამმა;

— ახლა, მაგალითად, მოდაშია, დახურულ დაცვაზე გადასვლა, როგორც ამას აკეთებს მუჰამედ ალი, და დინჯად დასვენება, სანამ მოწინააღმდეგე კოხივით გაყრის დარტყმებს. მუჰამედი ამას აკეთებდა იმიტომ, რომ იგი ყველას მოუგებს სიჩქარის და მოძრაობის ხარჯზე. თქვენ კი რა გამოგდით? იგი თქვენ დაუსჯელად, მაგრამ კორპუსში გიმიზნებთ, გიბეგვავთ გვერდებს და გიხშობთ სუნთქვას და თქვენც შემდეგ უკვე აღარ გაქვთ თავი წინააღმდეგობა გაუწიოთ. სამაგიეროდ გარეგნულად ძალზე გავხარ მუჰამედ ალის, ანდა ბარანიკოვს...

ვარლამი ყოველივეს მოძრაობით გადმოსცემდა, ხელებს არ ასვენებდა. იხრებოდა, ვითომ ყვინთავდა. თავს იცავდა წარმოსახული დარტყმებისაგან და მუქარით წარბებსაც კი იჭმუხნიდა.

— შემოდგომაზე — აქარის პირველობაა, — თქვა მან, — ვინც გაიმარჯვებს, გაემგზავრება საქართველოს ჩემპიონატზე. მაგრამ საჭიროა ჯერ ამ შეჯიბრებაში გამარჯვება, საქალაქოში.

ვალიკო კუთხეში სახტუნელაზე ვარჯიშობდა, როდესაც ვარლამი ისევ მიუახლოვდა.

— ხედავ აგერ იმას?

— ჭორფლიანს?

— ჰო. ახალბედაა. შენს წონაში გამოდის.

ახალბედა, გამოუცდელი მოცეკვავის მსგავსად, ერთ ადგილს ტკეპნიდა, მოძრაობა უხეში ჰქონდა, მოუხერხებელი. თითქოს თავად რცხვენოდა საკუთარი უუნარობისა.

— საიდან არის?

— ვიცით მხოლოდ, რომ უკრავს მუსიკალურ ოცეულში.

— რომელში?

— რომელიღაცაში. ადრე უკრავდა რესტორანში, მაგრამ სერიოზული მუსიკა უყვარს და გადავიდა მუსოცეულში.

— რა სერიოზული მუსიკა შეიძლება იყო მუსოცეულში?

— იქ მარტო მარშებს კი არა, მთელ უვერტიურებს ასრულებენ.

შემდეგი წვრთნა საერთო იყო სპარინგში, მოკრივეები ვარჯიშობდნენ სხვა გუნდებისა და სხვა წონით კატეგორიების ბიჭებთან ერთად. ვალიკო რამდენჯერმე შეხვდა მუსიკოსს. იგი თითქმის წინ არ იწევდა, შესაძლებლობას აძლევდა ვალიკოს ეჩვენებინა თავისი ტექნიკა და თან მინდობილად უღიმოდა მას; ვალიკო კი ზედიზედ ურტყამდა, მაგრამ არც თუ ძლიერად, ისე რომ, ეს ყოფილიყო მაინც კრივი და არა ბალეტი.

— რა გან-განზე ხტის? — უთხრა ვარლამს.

— ეს შიშის გამო კი არ მოსდის. სწორედ, რომ უშიშარი ბიჭია. მან ჯერ კიდევ არ იცის რა არის კარგი დარტყმა.

ახალმოსულს ფართო ტრუსები ეცვა, ცხადი იყო ვარჯიშის წინ ეყიდნა; იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორღაც ლაქუცით უცქეროდა თვალებში ვალიკოს, ყოველივე ეს, ერთად აღებული, მხოლოდ აძლიერებდა მოწინაალმდეგის მიმართ სიძულვილს. „შენ ეს ბუკზე დაკვრა არ გეგონოს!“— ჩაილაპარაკა თავისთვის ვალიკომ; მან წარმოიდგინა თავისი მოწინაალმდეგე, გაჩხერილი უზარმაზარი სპილენძის საკრავში, ჩაბერვისაგან ჭარხალივით გაწითლებული. და ამას იგი სერიოზულ მუსიკას ეძახის!

ვარჯიშის შემდეგ საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატში შეიარა. მაგნიტოფონების შემკეთებელმა ოსტატმა სთხოვა დაეცადნა. თანდათან სხვებიც ჩაერთვნენ საუბარში. პირველობისათვის ბრძოლის ამბავი მათ გაეგოთ აფიშებიდან, რომელიც ვალიკოს ჯერ არ ენახა.

— აბჟანდაძე მოიგებს?

— ჰო...

— შენ?

— არ ვიცი.

— ვინ არის შენი წონის?

— ჯემალი, გელა. კიდევ ვიღაც-ვიღაცეები.

— შენ რამდენჯერ იყავი ჩემპიონი?

— ერთხელ.

— დაე, ახლა სხვა გახდეს ჩემპიონი.

— ასე იყოს.

— ზოგიერთები, ჩემპიონობას რომ მოიპოვებენ, შემდეგ აღარავის ანებებენ ათწლობით. შენც ასე ხომ არ გინდა მოიქცე?

— შევეცდები.

— მართალია, თქვენ ყველას ხელწერილს გართმევენ?

— რისთვის?

— რომ არავის არ სცემოთ.

ლენინის ქუჩაზე აფიშა დაინახა. აფიშა დიდი იყო, მსხვილი ასოებით დაბეჭდილი; მისი გვარი, ისე როგორც ზოგიერთისა, ტექსტიდან გამოცალკევებული იყო.

შემდეგ ტექნიკის სახლში წავიდა. აქაც ცოტათი თავი მოიწონა მომავალი პირველობის ამბის მოყოლით.

— დიდიხანია ჩვენთან აღარ გამოგივლია, — უთხრა ოსტატმა. ვალიკოს ექვსი წელი იყო, რაც წრეში დადიოდა, უმთავრესად, შემოდგომისა და ზამთრის წვიმიან საღამოებში. მან მოსინჯა ცურვა, ორჩხომელი, ჭადრაკი, სანამ კრივზე შეჩერდებოდა, მაგრამ მოდელების წრეც, როგორც ბავშვობის პირველი გატაცება, მისთვის ძვირფასი იყო.

გამხდარი ბიჭი, რომელსაც სახელად გიზო ერქვა, მუშაობდა რადიოთი სამართავ იახტაზე, სახელად „ამხანაგი“. იგი ერთი წლის წინ მოვიდა და უცებ დაწინაურდა. მან კარგად იცოდა რადიო. ერთი წლის მანძილზე რამდენიმე მოდელი გააკეთა, საკმაოდ საინტერესო, მათ გამოსაცდელად კი დადიოდნენ „დინამოს“ აუზში, როდესაც იქ ვარჯიში დამთავრებული იყო. მათ ერთმანეთის შურდათ. ვალიკოს ის, რომ გიზო ადვილად ერეოდა მასალას და ყველაფერში თავისი ფანტაზია შეჰქონდა, გიზოს კი მისი კრივი შურდა. ხელის მტევანი წვრილი აქვს, მაგრამ კარგად ურტყამს. კოსტუმიც ტანზე მოსხეპილი აქვს, გიზოს კი თითქოს ტანზე ჩამოკიდებული აქვს ტანსაცმელი. ორთავეს უნდოდა გემთმშენებელი გამხდარიყო. ვალიკომ შარშან, ოდესაში კონკურსში ვერ გაიმარჯვა, გიზო კი ახლა უნდა წავიდეს. გიზომ კრივზე დაუწყო ლაპარაკი, შემდეგ კი ჰკითხა:

— რა გადაწყვიტე, ისევ წახვალ?

— ჯერ არ გადამიწყვეტია. მამამ თქვა, რომ შესაძლოა ისევ ჩაიჭრაო.

— ერთად რომ წავსულიყავით? წავიღოთ მოდელი და...

ვალიკოს უბრალო მოდელი, ისე, როგორც სხვა ახალგაზრდებისა, იქვე თაროზე ეწყო.

ბიჭებმა მოილაპარაკეს, გიზო მივა ვალიკოს ბინაზე, როდესაც ის შინ არ იქნება და ჰკითხავს მამამისს, ვალიკო მოდის ჩასაბარებლად თუ არაო. შემდეგ გიზომ აჩვენა ვალიკოს რაღაც ახალი წებო, რომელიც მოსკოვიდან გამოუგზავნეს.

ვალიკო აჩქარდა. ბულვარზე პაემანი ჰქონდა დანიშნული ერთ ქალიშვილ-

ეროვნული

თან, რომელიც პრაქტიკაზე იყო ჩამოსული. ქალიშვილი ზღვის მხრიდან მოდიოდა, სველი თმები მძიმე კვანძად ედო მხრებზე. მის დანახვაზე ვალიკომ მაგნიტოფონის ხმას აუმაღლა.

გაუგებარი დამოკიდებულება იყო მათ შორის. ქალი სამი წლით უფროსი იყო ვაჟზე და მაინცა და მაინც ახლოს არ იკარებდა. ამავე დროს, თითქოს მოსწონდა ვაჟი. ერთი სიტყვით, ვერაფერს გაიგებდა კაცი.

— ასე გიყვარს ბანაობა?

— მიყვარს, — გამოუტყდა ქალი,— როგორც კი ზღვას დავინახავ, ელეთ-მელეთი მომდის.

დღეს პრაქტიკანტები დელფინარიუმში უნდა წაეყვანათ, მაგრამ იგი ადრე იყო იქ ნამყოფი და ამიტომაუარი განაცხადა.

— სიცხეა, ჩვენ კი უნდა ვუცქიროთ დელფინები როგორ ნავარდობენ და ხტუნავენ.

ქალიშვილმა მელოდიას მიუგდო ყური და თქვა,— ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში აღარ უნდოდათ ტანგოს ცეკვა, ფიქრობდნენ, რომ ეს ცეკვა მალე მოკვდებაო.

— დავათვალიეროთ ეზოები? — შესთავაზა ვაჟმა.

— ეზოები? —გაოცდა ქალიშვილი.

— ჰო! — აქ ძალზეც არაჩვეულებრივი ეზოებია, — თქვა ვაჟმა. ქალმა კი არ იცოდა როგორ გაეგო ეს, ეზოების დათვალიერება მას არასოდეს არ მოსვლია აზრად. — ეზოები კი არა, რაღაც საოცრებაა, — გაფანტა მან ქალის დაეჭვება და წავიდნენ.

დაათვალიერეს რამდენიმე ეზო, ვაჟი ქალს ყურადღებას აქცევინებდა ყვავილებსა და პალმებზე, დეკორატიულ მცენარეებზე და არქიტექტურაზე, სიმყუდროვეზე, თითქოს საერთო ოჯახი ყოფილიყო ეს ეზოები, მაგრამ ქალი მაინც რაღაცას ეჭვობდა და ვაჟის აღტაცებას არ იზიარებდა.

— ეს ჰიმნია ბუნებისა და ბავშვობის მიმართ. გესმის! — ბოლოს და ბოლოს მგზნებარედ წამოიძახა ვაჟმა, [illegible] ქალი არ აჰყვა.

— მაინც რა გინდოდა ამ ეზოებში?

ვაჟი გაჩუმდა.

— წონაში მინდა ცოტათი დაკლება, — თქვა ვაჟმა, — ვირბენ, შეიძლება?

მან მაგნიტოფონი მიაჩეჩა ქალს და გაიქცა ბილიკზე. მის ფეხქვეშ ქვიშა ხრაშუნობდა. გზაჯვარედინზე შემობრუნდა, ქალს ესმოდა ბუჩქებიდან როგორ უახლოვდებოდა. ჩაურბინა ზურგს უკან, შემდეგ მეორე მხრიდან გამოჩნდა. ქალი თვალს ადევნებდა. ვაჟი მსუბუქად, ლამაზად დარბოდა, სახეც ჩაფიქრებული და მშვიდი ჰქონდა. სწრაფად და მარჯვედ დადის; როდესაც კრივის მოძრაობებს აკეთებს, მაშინაც არაა დაძაბული, თითქოს თამაშობს, ღონეს ისინჯავს. ჯერ კიდევ ბავშვია! ეჰ, ცოტა უფროსი რომ იყოს, უთუოდ არ მოსცილდებოდა. სირბილის დროს ხანდახან თვალს ჩაუკრავდა, ისე შუბლშეკრული დარბოდა, არ აქცევდა ქალს ყურადღებას. ალბათ მისი მოწინააღმდეგეც დარბის, ემზადება, და ვინ იცის ვინ გაიმარჯვებს.

— წავალ, ჩავყვინთავ, — თქვა ვაჟმა და წავიდნენ. მზე ჩადიოდა. პლაჟზე თითქმის აღარავინ იყო. ისინი დიდხანს იწვნენ, მხრებით ეხებოდნენ ერთმანეთს შემდეგ წამოდგნენ და ხეივანში თავისუფალ მერხზე ჩამოსხდნენ.

ამ დღეებში ვაჟი მაინც დადიოდა პორტში. ბრიგადაში არ უყვარდათ, როდესაც ამა თუ იმ მიზეზით თავისუფლდებოდნენ, ანდა ავად ხდებოდნენ უდროო დროს, ანდა ეწეოდნენ საზოგადოებრივ მოღვაწეობას სამუშაო დროს.

ამხანაგებმა უკვე გაავრცელეს ხმა, რომ საზღვაოსნო გუნდს მუსიკოსი შეემატაო.

— ამბობენ, შენი მოწინააღმდეგე იქ, ქნარზე უკრავსო? — მასხრობდნენ ბიჭები.

— ვისაც სურს ძალღონის მოკრეფა, უნდა ბაიანზე უკრავდეს.

მექანიკურ სახელოსნოში სიგრილე იყო. ღია კარიდან ლურჯად მოჩანდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვა. შესვენებაზე ვალიკომ პირსახოცით შეიხვია თავი, რათა მზეს არ დაეცხუნებინა და დაიწყო სირბილი ნაპირზე. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. დაისვენა და შხაპი მიიღო.

განმრიგეები, რომელთა შორის იყო ვალიკოს მამა, ზემოდან, კოშკიდან უცქეროდნენ როგორ დარბოდა იგი.

— კრივი ადამიანს მატებს ძალას, თვითდაჯერებას! — თქვა ერთმა მათგანმა და მოსცილდა ფანჯარას.

— ეს არ არის ცუდი, —თქვა მამამ.

— უმჯობესია თვითკრიტიკული იყო.

— მაგრამ ყველა ადამიანი, დიდი ადამიანებიც კი, ნაკლოვანებებს, ჩვეულებრივ, ეძებენ არა თავის თავში.

— ჰო, ეს მართალია!

დილით ადრე, მამასთან ერთად, ბულვარში წავიდა. მამა ყოველ ცისმარე დღეს ვარჯიშობდა. აქ იყო ღერძი, ორძელი და შვედური კედელი, სარბენად კი ბულვარის ხეივანს იყენებდნენ. ნახევარსაათიანი ვარჯიშის შემდეგ, თხუთმეტ წუთს კალათბურთის მოედანზე ფეხბურთს თამაშობდნენ. შემდეგ კი ზღვაში გაინავარდებდნენ და გარბოდნენ სამუშაოზე. ყველა პროცედურა ჩაატარეს, მამა პორტში წავიდა, ვალიკო კი „დინამოზე". იქ აწონა ტარდებოდა. ახალბედები სასწორთან იდგნენ და ტრუსები ხელში ეჭირათ. ერთი მათგანი უკვე აწონეს. როდესაც ექიმმა შეხედა, უბრძანა აწონისას ტრუსები ხელში არ უნდა გეჭიროთო.

— ერთი ამას დამიხედეთ! — თქვა ექიმმა, — უყურეთ ამ ყალთაბანდს. რომელ საუკუნეში ვცხოვრობთ! თაღლითები!

ექიმს აუხსნეს, რომ მონაწილე — ახალბედაა, და უბრალოდ, წესები არ იცისო. ცნობილი გახდა პირველი წყვილი, ვალიკომ გულთბილად ჩამოართვა მას ხელი:

— დიდი ხანი არაა, რაც დავიწყე ვარჯიში, — თქვა ბიჭმა, — და აი უკვე შეჯიბრია. მწვრთნელმა თქვა, რომ შეჯიბრი — ესაა ქურა, სადაც მოკრივე სწრაფად იწრთობა.

და ბიჭი ყურადღებით მიაჩერდა ვალიკოს, შემდეგ ჰკითხა რამდენი ხანია, რაც სექციაზე დადის, რამდენი ბრძოლა ჩაატარა.

— თავდაცვის საუკეთესო სახე ხომ შეტევაა?

ცირკი გადაჭედილი იყო.

ვალიკომ გვერდით ჩაუარა დათვს, რომელმაც ზანტად შეხედა მას ჩამქრალი თვალებით; ბიჭს გაახსენდა მდინარე კინტრიშზე ამ დათუნიას თანამოძმემ როგორ გაავლო მუსრი სიმინდის რძიან ტაროებს. მაგრამ კოლმეურნეებს კი ველარ დაუძვრა ხელიდან. ეს წამოწოლილიყო ცხაურებში და ძილმორეული უყურებს მას, ის კი ყველაფერს ბდღვნიდა, თითქმის ნახევარი მინდორი გადააბრუნა, სანამ მიწაზე არ გააკრეს.

რინგი გაჩირაღდნებული იყო. ვალიკოს თავშეკავებული ტაშით შეხვდნენ, ფერმკრთალი მუსიკოსი თავის კუთხეში იდგა და უბრწყინავდა ჭორფლიანი სახე. ვალიკო ყურადღებით უსმენდა ვარლამის ბოლო დარიგებას.

— იმუშავე ტექნიკურად, დინჯად. ქულები მოაგროვე. წარმოაჩინე სათამაშო სტილის უპირატესობა. არ დაგავიწყდეს, რომ იგი ახალბედაა და უნდა შეიბრალო. ისედაც თავგზა აბნეულია.

ვალიკომ დაინახა მამა, ამხანაგები, ნაცნობი სტუდენტი ქალი, პორტელი ბიჭები. მისი თანაკლასელებიც კი იყვნენ მოსულები, ხელს უქნევდნენ, მაგრამ იგი არავის პასუხობდა.

მსაჯმა გამოიძახა ისინი შუა რინგზე, მაგრამ ახალბედა წინ გამოვარდა და ვალიკოს დასცხო. მსაჯმა ძლივს გააჩერა იგი და აუხსნა, რომ ჯერ ხელი უნდა ჩამოართვას მოპირისპირეს, და არა მუშტებით დაეტაკოს. მაგრამ მსაჯის სიტყვების აზრი მაინც არ ესმოდა მას. ბოლოს, როგორც იქნა მიხვდა, თუ რას თხოულობდნენ მისგან და დარცხვენილმა გაუწოდა ხელთათმანიანი ხელი ვალიკოს. მაგრამ გონგის შემდეგ იგი ისევ გავარდა წინ.

ვალიკომ, რასაკვირველია, იცოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ეს მშფოთვარე აღტყინება უნდა ჩაექრო კორპუსზე დარტყმებით და ელეგანტური მოძრაობით, რომლებიც მას ყოველთვის ეხერხებოდა, მაგრამ გაბრაზდა ახალბედა ასე უხეშად რომ მიიწევდა მისკენ, ტუჩზე იკბინა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, იქნევდა მუშტებს. თვალები მთლად აღგზნებული ჰქონდა, „ყოველთვის იღიმებოდა, ახლა როგორი გაafთრებულია", გაიფიქრა ვალიკომ. რომელი კრივის სტილზეა ლაპარაკი, როცა ჩხუბსაც ვერ უწოდებ ამ დარტყმებს. მსაჯმა შეაჩერა ბრძოლა და მუსიკოსს შენიშვნა მისცა ღია ხელთათმანით დარტყმის გამო.

დარბაზში სიცილი ისმოდა. ვალიკომ კორპუსში მოარტყა, რათა ცოტათი გონს მოსულიყო, შემდეგ კი გაუშვა მარჯვენა კავი. ახალბედა მოიღუნა, მაგრამ ალბათ მოაგონდა, რომ შეტევა — ბრძოლის საუკეთესო ფორმააო, მკვეთრად შეაგება მარჯვენა ვალიკოს მოძრაობის გადასაკვეთად, რომელიც ისევ კავურით უმასპინძლდებოდა.

ვალიკოს თვალთ დაუბნელდა. ივი უკვე ვერაფერს გრძნობდა, ვერც ხედავდა და არც არაფერი ესმოდა, ვერ გაიგო როგორ გადაქანდა უკან და დაეცა, როგორ ითვლიდა ათ სეკუნდს მსაჯი ცირკის ყრუ ხმაურში, როგორ ტკეპნიდა ერთ ადგილს დაბნეული მუსიკოსი.

როდესაც გონს მოვიდა, დარბაზი კიდევ უფრო გალიზიანებული გუგუნებდა. ის იჯდა კუთხეში თვალდახუჭული.

— კარგად მოადო, — გაიგონა ვილაცის ხმა, — აკი ამბობდნენ ახალბედააო!

— შემთხვევით მოხვდა მიზანში, — უგემურად უპასუხა ვარლამმა.

ვილაცამ ნიკაპქვეშ ამოსდო ხელი. მიხვდა ექიმი იყო. თვალის გახელა ესიკვდილებოდა. როდესაც ცხვირთან ნიშადურის სპირტი მიუტანეს, მძაფრი, არასასიამოვნო სუნი თითქოს ტვინში შეუძვრაო. ვალიკომ თავი გააქნია.

— უკვე ყველაფერი რიგზეა! — მხიარულად თქვა ექიმმა. — ეს მისი პირველი ნოკაუტია?

— საერთოდ, პირველი დამარცხებაა. — უპასუხა ვარლამმა.

— ყოველშემთხვევისათვის, ცოტახანს უნდა იწვეს, — თქვა ექიმმა.

მსაჯმა ხელი აუწია მუსიკოსს, რომელიც დამნაშავესავით უცქეროდა ვალიკოს, ვალიკო კი გაატარეს მთვლემარე დათვის გვერდით მსახიობთა საკაზმულოსთან, სადაც მათი გასახდელი იყო. ვარლამმა თქვა:

— სულერთია პირველობაზე შენ წახვალ, — მაგრამ ვალიკოს არაფერი არ უპასუხნია. — მე წავედი! — თქვა შეწუხებულმა ვარლამმა.

ვალიკოსთან გუნდის ამხანაგები დარჩნენ, რასაკვირველია, მათთვის დარბაზში ყოფნა უფრო საინტერესო იყო, მაგრამ არცერთი არ განძრეულა.

— ჰაერში მუშტს თვითმფრინავის პროპელერის სისწრაფით იქნევდა: ხანდახან ხელი არც კი ჩანდა, — თქვა მძიმე წონის მქონე მოკრივემ და ბიჭებმა სიცილი დაიწყეს.

მათ ათასგვარი სასაცილო ამბავი მოიგონეს, მასხრობდნენ გამოჩენილ მოკრივეებზე, მაგრამ დაღვრემილი ვალიკო ხმას არ იღებდა. შემდეგ ბიჭებმა იფიქრეს, რომ ვალიკოს ჩასთვლიმაო და სათითაოდ გავიდნენ გასახდელიდან.

ვალიკომ საჩქაროდ ჩაიცვა და ცირკიდან სამოსამსახურო კარით გაძვრა.

ავტობუსში ფანჯრისკენ შებრუნებული იჯდა, ეჩვენებოდა, რომ ყველა ირონიით უყურებდა. მაგრამ მერე გაახსენდა, რომ ჯერ არ იყო დამთავრებული კრივი, მისი ნოკაუტის მოწმეები აქ არ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ, და გაუბედავად მიმოიხედა ირგვლივ.

მახინჯაურში ჩამოვიდა და გაუყვა ბილიკს სახლებს შორის. დეიდა სახლში არ დახვდა, ალბათ მეზობელთან იყო გასული. ტელევიზორი ჩართო.

„ჩეხოსლოვაკიაში მნიშვნელოვნად გაიზარდა სიცოცხლის ხანგრძლივობა..." — გაისმა დიქტორის ხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადართო მეორე პროგრამაზე. აქ ფეხბურთის მატჩს უჩვენებდნენ.

— კარგია ჩვეული კომბინაციები,-- იუწყებოდა კომენტატორი, — მაგრამ იმპროვიზაცია თამაშს აძლევს...

— სწორედ იმპროვიზაციაა თამაში, — ჩაილაპარაკა ვალიკომ. ძალზე უჭირდა, ისე როგორც არასოდეს მის სიცოცხლეში.

მოვიდა დეიდა, ასადილა, საჭმელი ყელში არ გადასდიოდა.

— რატომ ხარ ასე მოწყენილი?

დავიღალე.

— ადრე დაწექი.

ილაპარაკეს ვალიკოს ბიძაშვილზე. რომელიც არმიაში მსახურობდა და დეიდას ქმარზე, რომელიც შორეულ ნაოსნობაში იმყოფებოდა, გზავნიდა ღია ბარათებს სხვადასხვა ადგილებიდან. შემდეგ ვალიკო დაწვა. იწვა სიბნელეში და ფიქრობდა: დაუშვათ მუსიკოსმა შემთხვევით მოარტყა იმ წერტილში. მაგრამ შემთხვევითობისაგან უნდა დაიცვა თავი. ვარლამი ხომ ეუბნებოდა: ნუ იხსნებიო. ასე რომ, შემთხვევითი აქ მხოლოდ ისაა, რომ წერტილში სწორედ მუსიკოსი მოხვდა, სერიოზული მუსიკის მოყვარული. ხელთათმანებს იფარებდა, მღელვარედ ჩაიმუხლებდა ყოველ დარტყმისას და აი ვალიკოს კი ნოკაუტი გაუკეთა. განიერი ფართო ტრუსებით დარბოდა, მუშტებს არაჩვეულებრივი სისწრაფით ატრიალებდა, ყველაფერი კომედიად იქცა ცირკში, ახლა კი, ალბათ თავდავიწყებით უკრავს სადღაც ბეთჰოვენს ანდა ბახს.

როგორ ლაპარაკობდა კომბინატში და ტექნიკის სახლში! ისე ჩაფიქრებულად და სერიოზულად, თითქოს ყოველი სიტყვა ოქროს წონა ყოფილიყო. არ დაუდასტურებია, მაგრამ არც უარუყვია, რომ ხელწერილი ჩამოართვეს. ხელწერილის ჩამორთმევა თურმე მუსიკოსისათვის ყოფილა საჭირო. არ ჩაჯდა ავტობუსში ოფიციანტ ლილისთან ერთად, რათა არ ეთრია მისი სავსე ხელჩანთა. არა და, რა გულთბილად ექცევა იგი სასადილოში. ეზო-ეზო დაჰყავდა გალია, იმ იმედით, რომ რომელიმე ამხანაგთან შეიყვანდა. დარბოდა ნავსაბმელებთან, კისერზე პირსახოცგადაკიდებული, თუმცა მშვენივრად იცოდა მრავალი თვალი შესცქეროდა. დახტოდა სახტუნაოზე ბულვარში და აი სამაგიეროც... ყოველივე ამის ნაცვლად, საჭირო იყო მოწინააღმდეგეს სერიოზულად მოკიდებოდა, გინდაც ის მუსიკოსი ყოფილიყო.

მთელი მეორე დღე ბაღში გაატარეს. იგი დუმდა. დეიდა ლაპარაკობდა:

— იცი როგორ ხდება ხანდისხან? დაარტყამს ყინვა და ციტრუსი იღუპება. თებერვლიდან ისევ იწყებ. ჯერ ძირს მოუთოხნი, მერე სასუქს შეიტან... ლიმონი შვიდ გრადუს ყინვას ვერ უძლებს...

ქვემოთ ზღვა ლურჯად ლივლივებდა. ჩანდა, რომ ის თბილი იყო, მხოლოდ სეზონის დროს ახმაურებული მისი ნაპირები ახლა დაცარიელებულიყო. პატარა ბზის ხეივანში თხები დაბორიალებდნენ. დეიდა, მეზობელთან ერთად, კვირა დღეს მაღაზიაში წავიდა. კარგ გუნებაზე დაბრუნდა. უნივერმაღთან ქობულეთელი ბოშა ქალები უნახავს, რომელთაც უმკითხავეს, რომ ქმარი მალე დაგიბრუნდებაო, მერე დიდხანს ჰყვებოდა თავისი ვაჟის ამბებს, როგორ მსახურობდა არმიაში; ბოლოს ჩაფიქრდა და ამოოხვრით თქვა:

— რას იზამ, ახლა თქვენი რიგია... უნდა იცოცხლოთ, იხაროთ!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ბესთაუთი
სამხრეთ ოსეთი

## ნუ იტყვი

ნუ იტყვი ხშირად — „ოსეთი მიყვარს“,
ტრფობა ისეც ჩანს, სიტყვის
უთქმელად,
ფასი არა აქვს ცარიელ სიტყვას
და სიყვარულსაც მალვა უხდება;

მე გულში ხატად მაქვს დედის სახე,
ძილში თუ ცხადად მის ნათელს ვხედავ,
მიყვარხარ-მეთქი, არასდროს ვამხელ.
დამემოწმება მშობელი დედა.

ერთი ქალწულის მშვენებით ვდნები.
იგია ჩემი შვებაც, წვალებაც,
მიყვარხარ-მეთქი, არ ვეფიცები,
დამემოწმება ის შავთვალება.

ამ მთებში ჩემი სული ტრიალებს,
აქ მიდგას ფესვი უშორეს დროდან;
ძარღვებში მიდუღს თერგის გრიალი,
აქ ცხოვრობს ჩემი ძირძველი მოდგმა.

აქ მზის სხივები ოქროსდალალა
ჩემს სიყმაწვილეს ედგა გვირგვინად,
ჩემი ბავშვობის წლებმა ალალმა,
ამ მთაგორებზე გადაირბინა...

ოსეთი, როგორც ბერი არწივი,
მიფრინავს შორს და მე მისი ფრთა ვარ...
ჩვენ გრიგალები ერთად გვარწევენ,
ერთად მივყვებით დროჟამის სავალს.

არა, ოსეთზე სიტყვას ხმამაღალს
მიჯობს რომ ტრფობა უხმოდ ვითმინო,
რომ მის მყინვარებს დავადნე ნამად,
რომ მის ბრიალა მზესთან ვიცინო...

ვინაა იგი, ვისი სახელიც
მშობლიურ ოსეთს ესახელება,
ვისაც მაღალი ჰქონდა ზრახვები
და კრძალვას იწვევს ვისი ხსენებაც?

მას ხსოვნის წმინდას დავუნთებ
სანთლებს,
ლექსებს დავრეკავ ცაში ზარებად —
და ჩემი ჩანგი მის სადიდებელს
მარად იმღერებს დაუზარებლად.

მაგრამ მათ, ვისაც ბედი ოსეთის
არ ენაღვლება, არ ულირს ჩირად,
ვინც ცხვირს გვიბზუებს და შხამსა
სთესავს,
ვინც ჩვენია და სხვა ხატზე სწირავს;

ვინც მამაპაპურ ჩვენი ადათის
და ჩვენი ენის დამდგარა მზირად —
სიძულვილი და მტერობა მათი
თან გამაცილებს სამარის პირად...

ნუ იტყვი ადვილ — „ოსეთი მიყვარს“,
რაც უნდა დაგწვას ტრფიალის ალმა,
ფასი არა აქვს ცარიელ სიტყვას
და სიყვარულსაც უხდება მალვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

სად ხარ ჩემო ცისთვალებავ,
რომელ ქვეყანაში?
რომელ მხარეს იმალები,
ცაში ხარ თუ ზღვაში?
გისველდება დალალები
რომელ ტალღის დენით?
ვის აკვნესებს დანანებით
ტანის რხევა შენი?
მზე სად ტკბება, რა მხარეში
დაგთამაშებს გზნებით?

ანდა ღამით ბადრი მთვარის
სხივს სად ენაზები?
სად გეძებო, საოცნებოვ,
საით შემალები?
ნუთუ მზერამ უნდა ძებნოს
მხოლოდ შენი გზები.
სად ხარ, ჩემო ცისთვალებავ,
რომელ ქვეყანაში?
რომელ მხარეს იმალები,
ცაში ხარ თუ ზღვაში?

* * *

ცაზე მოჯარდნენ ღრუბლები ცრემლის,
მზის წამწამებზე ბრწყინავს კურცხალი,
საიდან გაჩნდა გულში ნაღველი,
ვინ გაიგონა სტუმარი ძალით?

ღრუბლების მიღმა ცაა კრიალა,
გულიც შვებისთვის განა ყრუ არი?

იქ ლალი ჰანგი იწკრიალებდა,
რომ არ ჩაგრავდეს შენი უარი.

მაგრამ ცას ცრემლის ღრუბელი
თალხავს.
ბნელში გზად მივალ ხელისცეცებით...
და ღვივის ნატვრა...
ველით ცის გახსნას
მე და მწუხარე ჩემი ლექსები...

* * *

გაუხუნდა ფერი
დღეებს ნათელფრთიანს
და ღამეთა ფსკერზე
აწ ვარსკვლავნი კრთიან.
ღამის მეუფება
მოჰყვა შუქის წასვლას,
იგი გვეუფლება
დღის ნათელის ნაცვლად.
იგი განფენილა,
სად მნათობი ენთო,
შუქი დარჩენილა
ღამის სათარეშოდ.
დღე ქვედამხობილა,
ხმა სიმღერის — მიწყდა,
ალისფერი დილა
ენატრება მიწას.
აწ წყვდიადის უკან

მზე არ ღვივის სხივად,
დღეთა გზები უკვე
ჯოჯოხეთში მივა...
ო, ვარსკვლავთა გზებზე
განფენილო ღამევ,
ჩემმა ანგელოსმა
ხომ არ გითხრა რამე...
სიხარული გულის
რომ დასრულდა უკვე,
გაქრა სიყვარული,
გაქრა სიჭაბუკე...
ყველა ვაზნა დავწვი,
განვერიდე ფიქრებს,
დარდიც მორჩეს აწი
და დავდუმდე იქნებ!

თარგმნა თედო ბექიშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოსტა მარგიევი
სამხრეთ ოსეთი

## მე მას ვიცნობდი...

მე მას ვიცნობდი
ჯერ კიდევ გოგოს,
ის ჩემზე ცოტა უფროსი იყო,
ლამაზი იყო, და მერე როგორ...
მშვენება მისი რამ დამავიწყოს!

მისი თვალები სულს შეგიკრავდა,
ჰგავდნენ დამწყვდეულ ძუ-მგლებს
ფარეხში,
არც ვისი იყო და არც ვის ჰგავდა
იმ ჩვენს სოფელშიც და ჩვენს
მხარეშიც.

იმისი სახის მწველი სურნელი
ჭაბუკს კი არა, მოხუცს ათრობდა,
ბევრს სჭირდა ტრფობა განუკურნელი
და მის დანახვას წამლად ნატრობდა.

მის თვალებს ჯარად გარს წამწამები
შემოკრებოდნენ, როგორც მცველები.
მრავალი იყო განაწვალები —
ცეცხლი რომ სწვავდა დაუძველები.

მე იგი მახსოვს ჯერ კიდევ გოგო —
ვით ანგელოზი ტევრში ჩინართა.

მაგრამ არ ვიცი თუ შემდეგ როგორ
გადიხვეწა და გაუჩინარდა.

სადღაც წავიდა და ყველას გული
დაფერფლა, აუგს ვინ გაუბედავს,
ნეტავ სად იყო გადაკარგული
და რა ცხოვრებით ცხოვრობდა ნეტავ!

არ ვიცი, მაგრამ გუშინწინებში
ვნახე შემთხვევით ჩემთან მოსული,
ვერ გაარჩევდი ვერაფრით სხვებში,
არღარა ეცხო ანგელოსური.

მაინც სად გაქრა ის სილამაზე
ეს ნაოჭები რამ გაუხშირა,
რატომ გასწირა ბუნებამ ასე,
იაფად გასცა — ნაყიდი ძვირად.

ჩამქრალა მისი თვალის ლადარი,
რომ ბრდღვიალებდნენ ადრე მეფურად,
გატანჯული და ნაავადარი
სიყრმის კალოზე მომეტებულა.

ეჰა, მიჯნურნო, ლამეს ვათევდით
სიყვარულისთვის, ბინდი გვებურა,
ის კი ვით, ლხინი ნაუცბათევი,
წყალს გაჰყოლია, დამთავრებულა.

* * *

მარტო დამბადა დედამა,
მარტოკა ჩავესვენები,
რასაც აქ სახელს ვიშოვი,
იქ იმით მოვიხსენები.

ინელია ტვირთი კაცისა,
ხან ავდარია, ხან დარი,
სულ იმის ზურგზე ჰკიდია,
გაზაფხული და ზამთარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც კი უნდა გაუძლოს
ვაჟკაცმა ტრიალს ქვეყნისას,
ხან ჟამი არის ლაღობის,
ხანაც ბრძოლაში შეხლისა.

ხან გიერთგულებს ცხრა — უცხო,
ხან გიღალატებს ძმა-ბიჭი,
შენ მაინც მტკიცედ იდექი,
უკან არ წარსდგა ნაბიჯი.

სიცხე-სიცივე, ტკივილი —
ყველა გაივლის — ერთია,
ნუ შეგაშინებს, სიცოცხლე
პატარა მონაკვეთია...

მარტო დამბადა დედამა,
მარტოკა ჩავესვენები,
რასაც აქ სახელს ვიშოვი,
იქ იმით მოვიხსენები.

## განგაში

ცაზე მოგროვდნენ თუკი ღრუბლები,
შენ ყურადღებით ადევნე თვალი,
მიტომ, რომ მთაში ძალა ულევი
ღვივის, მომტანი სიავის მრავლის.

დღეს წვიმის ნაცვლად მოვიდა სეტყვა
და ვენახები დაფლითა სრულად,
ამის შესახებ მე უნდა მეთქვა
განგაშის სიტყვა, მხნედ, პირბასრულად.

ველს ქარიშხალი ეძგერა ხანჯლად,
ვაითუ ყანა მთლად გადათელოს,
ვაი შენ, ჩვენო შრომავ და გარჯავ,
ვაი შენ, ჩვენო თვალის ნათელო!

იქნებ გაფანტოს ოქროს თავთავი,
ძნები დაშალოს, გაანიავოს,
ისევ მეწვია ტყუილ-მართალი
წინათგრძნობანი საავდრიანო.

დაკუნტრუშობენ ტყეში ნუკრები,
არ ახსოვთ ბედი და უბედობა,
და გთხოვ, სიკეთევ, ნუ გაუქრები
მათ, გულუბრყვილოდ ვინც შენ
გენდობა.

მაგრამ ვინ იცის, რა მახეს აგებს
ბედი და მგელიც ახლოა იქნებ,
და მე ტკბილ სურათს, ჩემგან ანაგებს
ვანგრევ და ეჭვით ვიწამებ ფიქრებს.

ცას შევარდენი მშვიდად ნავარდობს,
თითქოს სურს მიწას თავი აჩვენოს,
მაგრამ ღრუბლები — ავი, საავდრო,
იკრიბებიან იმის გარშემო.

და ისევ დარდი მომაწვა გულზე,
თითქოს შხამი რამ ჩამაწვეთაო,
სცოდავს, ავ საქმეს ვინც მშვიდად
უმზერს
და განგაშს ასტეხს საყოველთაოს.

## მთიბველები

გული შეჰხარის მთიბლის მოძახილს,
მწვანე სურნელში, მთების კალთებზე,
კობუჩში, ერმნში, ედისს, ხოძაში
მთიბელები ღამეს ცის ქვეშ ვათენებთ.

სოფლის ბიჭები ჯერ კიდევ გუშინ,
დღეს ქალაქელი ვართ მთიბველები,

არც სიძაბუნე, არც შიში გულში,
მზეს არ ვეკრძალვით, ჯანით მრთელები.

ცელები ხელში მხნედ ჩაგვიბლუჯავს,
არ გამოგვრჩება ბალახის ღერიც,
მივყვებით აღმართს, ვით ნაცნობ ქუჩას
და ნაცნობ ჰანგებს უშურველად
ვმღერით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირაწყობილი ჩვენი ცელები
კი არ თიბავენ, თითქოს პარსავენ,
შთამომავლობით ვართ მთიბველები,
ტყუილად ხელებს არ ვასავსავებთ...

ცელი ცელს უხმობს, ბალ[illegible] [illegible]
დავმთვრალვართ იმავ მიწის შვილები,
ჩვენ აქ საქმეზე ვართ ჩამოსულნი,
არ წავალთ სახელშერცხვენილები.

## თითქოს ბავშვი ვარ

თითქოს ბავშვი ვარ, ისევ პატარა,
ფეხშიშველი და მზეზე დამწვარი,
ხან ვაწანწკარებ ცრემლის მათარას,
ხან დარდს ვკლავ გზებზე ლაღად
წანწალით.

და სულ არ არის გასაკვირველი,
ორმოცდაათის როცა ხარ სრულის —
თუ გახსენდება შენი პირველი
ხილვა ქვეყნისა — ვით სასწაული.

უცქირე მთებს და იდექ წვიმაში,
რადგანაც გქვიან ამ ქვეყნის შვილი,
იდექ სეტყვის და ქარის წინაშე
ბავშვივით წმინდა და პირველქმნილი.

ისუნთქე ხარბად მთების ჰაერი,
სულის ჩამდგმელი, მომცემი ღონის,
გაიძღე თვალი ყველაფრის ცქერით —
სავსეა ძალით, ვით ალეთონი.*

გაიხსენებდე, თუ ვით მწყემსავდი
ნახირს, მთის გზებით გაწვალებული,
ვით ფეთდებოდნენ შენი ხმის ზავთით
ტყის ეშმაკები და წყლის ალები.

გაიხსენებდე, თუ როგორ სუფთა
იყო წადილი შენი ყოველი,
იმას ვიქმოდი, რაიც გულს სურდა
და გულიც გქონდა დაუცხრომელი.

ასე წავიდა ბავშვობის წლები
და გაქრა ტკბილი სურნელიც მათი
და ველარასოდეს ველარ მივწვდები,
წელი მამძიმებს ორმოცდაათი.

მაინც ვიგონებ, მაინც ვიხსენებ
და ბავშვობაში გადასახლებით
ისევ ვხალისობ, ისევ ვისვენებ,
ვიწმინდები და ცამდის ვმაღლდები.

თარგმნა **ბესიკ ხარანაულმა.**

* ალეთონი — საგანგებოდ ნადუღი ლუდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიროն ხერგიანი

# ხუთასი კოშკის მხარეში

გამითქვი, ციხის ნაშალო,
რა დრო გაქვს გამოვლილიო,
ან ვისგან ანაგები ხარ,
ან ვისგან ჩამოშლილიო...

ხალხური

ერთი უსიამოდ მოხაგონარი დღე შემორჩენია მახსოვრობის ლაბირინთებს. 1958 წლის შემოდგომის მზიანი ორშაბათი... ლურჯად გადაპენტილი ზეცა უეცრად მტვრის თეთრმა ღრუბელმა შებურა. უცნაურმა გრიალმა და მიწის ტორტმანმა ერთიან გაათგნა დიდ-პატარა.

მესტიის საშუალო სკოლაში გაკვეთილები ტარდებოდა. ნგრევის ყურისწამღებმა ხმამ ფანჯრის მინებს ავბედითი ლაწალუწი დაუკუნა. მერხებიდან გადმოცურებული სამელნეები იატაკზე დაეთხლიშნენ.

მასწავლებელი კარში გავარდა; ხელი ჩრდილოეთისაკენ გაიშვირა და ჩვენც ყველა იქით მივვახედა — მტვრის სქელი ღრუბელი მრუმე სახლარდნელივით გადატმასნოდა ლანჩვალ სოფელსა და მის შემოგარენს! ღრუბელი ავბედითად იწელებოდა, ფართოვდებოდა და ნიაღვარივით ლამობდა თვალსაწიერის შთანთქმას.

უხმოდ შევცქეროდით ამ უცნაურ სანახაობას — მსგავსი რამ არც ვინმეს სმენოდა და არც ვინმეს გაეგონა სოფელში. ჭაღაროსანი მასწავლებელიც კი გაოგნებული იდგა ჩვენს შორის და, პირველად თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე, ვერ აზრხებდა ბავშვების ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას.

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ჩვენი მდუმარება. მალე დახალექი დაილექა, მტვერი ქარმა და ნიავმა მიჩუმქრა ლომის ხეობის უჩუმარ სამალავებში და ფერდობს მიჩუქურთმებულმა ლანჩვალ-სოფელმა, თითქოს მკვდრეთით აღდგაო. მზის სხივებზე გაბრწყინებულმა, მტვრის თრთვილისაგან შეჭაღარავებულმა, კვლავ მოაშურა წუთისოფლის საფიხვნოს.

მაგრამ ამ უეცრად ფერნაცვალ სოფელს აკლდა უმთავრესი რამ — მისი სისხლხორცეული ნაწილი — მარგიანების ულამაზესი მურყვამი, ცაში კეწეწებატყორცნილ ალვისხესავით ახხლეტილი. — სოფლის თავში წამოსკუპებული მეთაური კოშკი, თითქოს თავისი დამამშვენებელი კაცობის შარავანდედი წაჰგლიჯესო, რქებმოჩეხილი ვერძივით დაბეჩავებულიყო ლანჩვალ-სოფელი...

## 1978 წელი. სოფელი ლანჩვალი

საკმარი დრო-ჟამი გამოხდა იმ ნგრევის მერმე. მარგიანებმა ასობით ტონა ქვა-ღორღი და კოშკის ნაშალი გაზიდეს თავისი ეზო-კარიდან, მოასწორეს და მოაშანდაკეს იქაურობა. ასე იყო თუ ისე, ჟამთამონაცვლეობა კვლავ თავისი გზით წარედინა. სხედან ახლა გრილ ლალჩაში გვარის უფროსი, მრავალჭირნახული, თავის ჭეილობაში სახელგანთქმული მონადირე, ჩვენი საუკუნის ოციან წლებში ახალი დროების დამკვიდრებისათვის თავდადებული მებრძოლი მაბილა მარგიანი — გვარისა და სოფლის უხუცესი, მახვში და ასევე საუკუნეს შეჭიდებული ჭაღაროსანი ქალი, სვანეთში საკოლმეურნეო მოძრაობის ვეტერანი ედუკ ხერგიანი, მაბილას კარის მეზობელი; მუდამ ხალისიახებსა და სახეგაცისკროვნებულთ დღეს თვალები ჩანაცრებიათ. ორივენი დარდსა და ნაღველს მო-

უცავთ ამხანაგებთან ერთად ახლობლურად ვე-სალმები მოხუცებს. ისინი კი თავიანთი ჯორ-კოებიდან ჯეილურად წამოიჭრებიან ფეხზე და მკოცნიან. მხარ-ბეჭს მისინჯავენ, მათვალიერე-ბენ, მერმე კი აქეთურ-იქითურს მეკითხებიან. ვატყობ, მიუხედავად დიდი წადილისა, უჭირთ შუბლის გახსნა...

— ბიძია მაბილა, — ვეკითხები მოხუცს, — ასეთი დიდებული ამინდია, მეგობრებითა ვარ მოსული, — თანამგზავრებზე ვუთითებ, — ორიოდ სიტყვა ხომ უნდა უთხრათ... მე იმდე-ნი ველაპარაკე თქვენზე...

— დღეს ვერა, შვილო! — მპასუხობს მაბი-ლას ნაცვლად ედუკი — ჩვენფერა ბებრუხა-ნებს ოღონდ ჰკითხე რამე, და უკეთესს რაღას ინატრებენ... აი, სხვა დროს უბრალ რო გაგვც-დებოდნენ ჩამოსულები, მღურვიან მზერას გა-ვაყოლებდით-ხოლმე, სალამ-ქალამიც რამდენ-ჯერ დაგვნატრულებია. მით უფრო მოფიხვნე და გულიანი თანამოსაუბრე, მაგრამ დღესა, შვილო, არც ერთი არა ვართ მაგის გუნებაზე, უნდა მოგვიტევონ, მაშა...

— მაინც რა მოხდა ასეთი, აკი ბრძანეთ. მშვიდობა სუფევსო... ყველანი კარგადა ვარ-თო...

მოხუცებმა ერთმანეთს გადახედეს, მე კიდევ თანამგზავრებს ვუთარგმნე მათი ნათქვამი. მა-ბილამ ხმას დაუწია და ისე განაგრძო:

— არ მინდა რო უცხოებმა გაიგონ ეს ამბა-ვი. ვინძლო, ღმერთმა მოგვხედოს და ჩვენი სირცხვილი ჩვენდავე თავისმოსაჭრელად ამ ხეობას აღარ გასცდეს, მაშა, შვილო, ღმერთმა თუ არ გადმოგვხედა, უნდა დავიხოცნეთ, თავი აღარსად გამოეყოფა სირცხვილისაგან ჩვენებურ კაცსა. პატიოსნებისათვის გვაფასებდნენ და ახლა ისიც შევბილწეთ... — მაბილას თვალები აუწყლიანდა, ხმაში კი თრთოლვა მოეძალა და ძალაუნებურად გაჩუმდა.

ედუკმა გააგრძელა მისი წამოწყებული ამ-ბავი:

— ალბათ გაიგებდი, მარგიანების სალოცავი რო გატეხეს და ხატები გამოასვენეს, და განა მარტო ეგა, ფუსდის ეკლესია და რამდენიმე სხვა კიდევ, სუ გაძარცვეს ერთიანადა...

* * *

ჩემთვის ყველაფერი ნათელი შეიქნა:

მაბილა იმ სალოცავის ყარაული იყო, ყარაუ-ლი და მეპატრონე, მფარველი და მიმხედავი. დარაჯი, ოღონდ არა ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით. მას თავისი წინაპრებიდან გადმოსცე-მოდა ეს მოვალეობა, ტრადიცია ითვალისწინე-ბდა ეკლესიისადმი მზრუნველობასა და მიხედ-ვას ყოველგვარი საზღაურის გარეშე. მაბილამ, როგორც გვარის უფროსმა, მიიღო ეს დავალება წინამორბედი მახვშებისაგან და ამ ბოლო დრომ-დე ასრულებდა კიდევაც კეთილსინდისიერად. უვლიდა და თავს ევლებოდა თავის სამწყსოს. ზაფხულობით ეზო-კარს ასუფთავებდა, ეკალ-ბა-რდებისაგან წმენდავდა მის შემოგარენს, აკონ-ტავებდა წინაპართა სასაფლაოს, სტუმრებს მას-პინძლობდა, ზოგიერთ მათგანს კარსაც კი უღე-ბდა და ეკლესიაში თავად აძლევდა ახსნა-გან-მარტებას — ესენი იყვნენ რჩეული ადამიანები, ვისაც ზემდგომი ორგანოების ნებართვა ჰქონ-დათ და მესტიის ეთნოგრაფიული მუზეუმის წარმომადგენლები ახლდათ თან. ზამთრობით მაბილას სახურავზე აბლატებაც უხდებოდა; ხანდახან, როცა თავად ველარ ახერხებდა ამას, შვილებსა და შვილიშვილებს იხმარიებდა გადმო-თოვლაში. ერთი სიტყვით, ყველაფერი რიგზე მიუდიოდა, ყველა კმაყოფილი ჰყავდა — შინა-ური მრევლიცა და უცხო სტუმრებიც.. ყველა-ფერი თავისი გზით მიდიოდა, მაგრამ აი, ერთ მშვენიერ დღესაც, მისი რწმენის ბულულას უცნობებმა ცეცხლი შეუნთეს და ძირს დაანარ-ცხეს. იმაზე იყვნენ დღეს ეგრერიგად დამწუხრე-ბულნი მარგიანთა მახვში და მისი თანამოზიარე და მეგობარი ედუკ ხერგიანი. არც გაემტყუ-ნებოდათ მოხუცებს...

გვიან ხმა ამოიღო მაბილამ:

— აი, ეს კოშკი რომ დაილუპა (მან სწორედ ეს სიტყვა იხმარა, დაილუპაო), მაშინ იყო პირ-ველად, მუხლი რომ მომერღვა, ჩემი დაძაბუნე-ბის ხანა დაიწყო იმ ავბედით დღეს. კოშკი ჩვენი სალოცავი, წინაპრებიდან გარდმოსული ძვირფასი რამ სახსოვარი იყო, რწმენა იყო ყო-ველივე სიკეთისა, ამაღლებულისა და ადამიანუ-რისა. თავისუფლების სიმბოლო იყო, ჩვენი გვა-რის მეზირი, მფარველი და პატიოსნებისა და ერთიანობის შეუვალი ნიშანი იყო. ჰო და, ყვე-ლაფერი ეს ერთ წამში გაცამტვერდა, გავერან-და და მოიშთო.

ამაზე უარესი რა უნდა ყოფილიყო თითქოს, მაგრამ უარესი თურმე მერე გველოდა კიდევ. არასოდეს რომ არ მომხდარა ჩვენს ხეობაში, ის მოახდინეს. მამა-პაპათა ნალოცავები ხატები შებილწეს. მეორე დიდი უბედურება მოევლინა ჩვენს საძმოს და საერთოდაც მთელ ხეობას, ყველას, ვისთვისაც აქაური ცა და მიწა, მზე და მთვარე, წარსული და აწმყო-მომავალი ძვი-რფასია. აბა წუთით წარმოიდგინე: ეს კოშკი დრო ჟამმა და მოუვლელობამ გაცვითა, ვიდაც გულბოროტს, ასე ვთქვათ, ხელი კი არ უუვია, კი არ მისწოლია და წაუჯიკავებია, რკინიკეტით კი არ ამოუყირავებია, ქარმა და წვიმამ, თოვლმა და სითბომ ლიბო მოუშალა, წარაშთო და მიწას-თან გაასწორა, მიწა ხარ და მიწად იქეცო, ერ-თადერთი იმაზე დაგვწყდა გული, რომ იმჟამად ყურადღება სულ არ ექცეოდა ჩვენს ძეგლებსა და ციხე-კოშკებს, კოშკის შველა კი ნამდვილად შეიძლებოდა, როგორ არ შეიძლებოდა, რკინის არტახები რო შემოეჭირა ვინმეს, ნაბზარი კი დუღაბით ამოევსო, აი, ახლა რო უვლიან ისე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოშკი უკუნისამდე სალ-სალამათი იქნებოდა. აქაურობას დაამშვენებდა უწინდებურად. შნოსა და ლაზათს შემატებდა ლანჩვალ-სოფელსა და მთელ მესტიას... ჰო, იმას ვამბობდი, აშკარად არავის უმტრია-თქო მურყვამისათვის. ეს ხატები კი მავანთა ნამოქმედარია და მით უფრო საწყენია, რო განზრახისად არის გაკეთებული. და ისიც არ იცი კაცმა, შენი ახლობლის ხელი ურევია თუ შორებლისა. ათას მთას იქიდან მოვიდნენ მძარცველები, თუ შენი თანამოძმენი არიან... გული დაგეთუთქება ადამიანს, აბა რა იქნება...

— ბიძია მაბილა, ადრეც ხო ხელყვეს უგვანოებმა წინაპართა რწმენა, მაგრამ ის ნაძარცვი მაინც ვერ გაიტანეს ხეობიდან? — ჩემს ამ შეკითხვაში ერთგვარი ნუგეში ჩავაქსოვე, რომ მოხუცისათვის ცოტა შვება მეგრძნობინებინა.

— იყო, შვილო, კვირიკე რო შერაცხყო სამმა გარეწარმა. ღვთის მადლმა სამივეს თავგზა აუბნია, დარეტიანებულებს მდევარი წამოაწია... მაგრამ მას მერმე უთვალავმა წყალმა იდინა, ხეობის კარიბჭენი განიხვნენ და ცითა და მიწით ქვეყნიერებას შევეწყვილეთ. ათასი გზები მიემართებიან ამ ლარტაფებიდან და სავალალოდ, უგრძნობელნი არიან ისინი — უკეთურისა და ფარსაგის გარჩევა არ შეუძლიათ. როა ნათქვამი — „მრუშობის გზები ერგასიაო“, მომრავლდა გზები და მომრავლდნენ ისინიც. გზებს რა უნდა უსაყვედურო, როცა ჩვენ ვერ მოგვითხოვია მავანისათვის პასუხი, თავის დროზე ვერ გვიშველია საქმისათვის.

აკაკი წერეთელი:

(ისტორიული ქრონიკა).

„ერთხელ სვანეთში წავედი საზაფხულოდ ჩემს დასთან, რომელიც დადეშქელიანს ჰყავდა. სვანებმა რომ მნახეს და გაიგეს ჩემი სახელი, იკითხეს, ეს ხომ არ არის ის კაცი, რომელმაც სახარება დაგვიბრუნაო? როცა გაიგეს, რომ ისა ვარ, ეთქვათ — მაგას კი ვაჩვენებთ კვირიკეს საყდარსაო, უნდა მოგახსენოთ, რომ ქუთაისის გუბერნატორმა ლევაშოვმა სვანეთიდან წამოიღო ერთი სახარება ძვირფასი ქვებით მოოჭვილი და არ უბრუნებდა სვანებს. მე არაერთხელ გამოვთქვი გაზეთში იმედი, რომ გუბერნატორმა მხოლოდ სანახავად წამოიღო სახარება, როგორც იშვიათი რამ თავის მოქედილობით, თორემ ის თავის დღეში არ მისცემს თავს ნებას, რომ სახარება შეინარჩუნოს-მეთქი. როგორც ეტყობოდა, ამ ჩემმა სიტყვებმა იქონიეს გავლენა ბ. ლევაშოვზე და მანაც სახარება დაუბრუნა სვანებს. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ასე კარგი თვალით შემხედეს სვანებმა და გამოთქვეს სურვილი, რომ მიჩვენებენ კვირიკეს საყდარს. უნდა მოგახსენოთ, თვით გაბრიელ ნეტარხსენებულ ეპისკოპოსსაც არ უჩვენეს სვანებმა კვირიკეს საყდარი ჩემი სიძე დადეშქელიანი, რომელიც იმ დროს პოლიციის ბოქაულად იყო სვანეთში, და ადგილობრივი მღვდელი შემომიჩნდნენ, მენახა ის კვირიკეს საყდარი და შემეტყობინებინა მათთვის, თუ რა არის ამ საყდარში ღირსშესანიშნავი. ეს საყდარი ისე დაცული ჰქონდათ, რომ ყოველ ღამე შვიდი შეიარაღებული სვანი დარაჯობდა. გასაღები კი ხევისბერს ებარა. დავთანხმდი. ერთ საღამოს ორი სვანი მოვიდა და წამიყვანეს. მთელი ღამე ფეხით ვიარეთ. თუმცა ზაფხულის ღამე პატარაა, მაგრამ მაინც ძალიან გამიჭირდა. გათენებამ რომ მოატანა, მითხრეს, ფეხთ გაიხადეო. ეჰ, ვსთქვი, სწორედ მოკვლას მიპირებენ-მეთქი; მომიგეს, კი არ გკლავთ, აქედან წმინდა ადგილი არის და თუ ფეხიშველმა არა, ისე არ შეიძლება საყდართან მისვლაო, თვითონაც გაიხადეს ფეხთ და ეგრე განვაგრძეთ გზა. ძალიან ძნელი იყო ჩემთვის, როგორც უჩვევისათვის ფეხშიშველა სიარული. მაგრამ ჩემდა საბედნიეროდ, საყდარი ახლოს აღმოჩნდა.

მშვენიერ ადგილას დგას კვირიკეს საყდარი — დაბურულ ტყეში. პატარა მაღლობზე, საშუალო ზომის, უგუმბათო ქვის შენობა დიდებულ ნაშთს მოგვაგონებს და ძალაუნებურად დაგაფიქრებს. კითხვა გებადება — აქ, ამ უდაბურ ადგილას ვისთვის იყო საჭირო ეს საყდარი. მაგრამ ეს კითხვა გებადება ახლა. იმ წარსულში, როცა ამ საყდარს აშენებდნენ, ვინ იცის, რა იყო მაშინ აქ.

ერთმა თანამგზავრთაგანმა ხევში ჩაირბინა და ამოიყვანა ერთი მოხუცი, რომელსაც გასაღები ეჭირა ხელში. გაალო საყდარი და შევედით. რაც მე იმ საყდარში ვნახე, დღესაც რომ მოვიგონებ, ოცნებად მიმაჩნია: აუარებელი სხვადასხვა დროშები, წართმეული თამარ დედოფლისაგან. აუარებელი ოქრო და ვერცხლის ნივთები და მათ შორის ვერცხლის ქრისტესთავიანი ბათმანი და ოქროს თევზი. ეს ბათმანიც თამარისა ყოფილა — საზომი და სისწორის მაჩვენებელი: თუ სადმე შეაგულებდნენ საწყაოს სიყალბეს, მაშინვე თამარის ბათმანზე შეასწორებდნენ.

შემდეგ ამისა მიმიყვანეს საკურთხეველში და იქ სრულიად დავრწმუნდი, რომ რაც კვირიკეს საყდარში იყო, თამარ დედოფლის დროს ეკუთვნოდა. ტრაპეზზე იდო ოქროს სარტყელი ქალისა ძვირფასი თვლებით შემკული, რომლის ფასის სიდიდეს მე ვერ ვიტყვი. სარტყელზე იყო შემდეგი წარწერა: „თამარ დედოფალი, მეფე სრულიად საქართველოსი“. ამ ფასდაუდებელი სანახაობით დამტკბარი დავბრუნდი ჩემს სიძესთან. მივედი თუ არა, შემომეხვივნენ ყველანი და მთხოვეს მეამბნა, თუ რა ვნახე კვირიკეს საყდარში, რომ მაშინვე დავმუნჯებულიყავი, ანდა ფეხი მომტეხოდა, არ წავსულიყავი და არ მენახა საყდარი კარგი იყო. მაგრამ ეხლა ბევრიც თავი ვიტეხო, საქმეს ვერ ვუშველი.

ვუამბე ყველაფერი და ეს ამბავი გახდა მიზე-

ზი იმ სამწუხარო შემთხვევისა, რაც მეორე დამესვე მოხდა — ყაჩაღები დაეცნენ კვირიკეს შვიდივე ყარაული დახოცეს და საყდარი ერთიანად გაქურდეს..."

1909 წ.

ᲐᲕᲢᲝᲠᲘ:

ასე ჰკირისუფლობდნენ ჩვენი ერისკაცები ქართულ კულტურას. მართლაც რომ სულისშემძვრელია დიდი მგოსნის სვანეთის სიძველეთა ნამუშების ხელყოფასთან დაკავშირებული ეს ერთი მცირედი მოგონება. ე. ი. რაღაც ზნე ძველთაგან მოგვდევს და ბოლომდე ველარ ამოგვიძირკვავს.

ხშირად კი ვივიწყებთ ჭეშმარიტებას, — „არა არს დაფარული, რომელი არა გამოსცხადნეს". ასეთი ბინძური საქმეები დავიწყებას არ ეძლევა.

ტაშტი გატყდა, ხმა გავარდაო...

* * *

სვანეთის არქიტექტორული ძეგლები უპატრონობისაგან უმოწყალოდ ნადგურდებაო, ეკლესიები ხატებისა და სხვა ძვირფასი ისტორიული რელიქვიებისაგან იძარცვებაო... მავანთა მითქმა-მოთქმის, ჰორებისა და გაუბედავი ვიშვიშისაგან თანდათანობით გამოიკვეთა და ჩამოყალიბდა აზრი იმის შესახებ, რომ საჭირო იყო სწრაფი რეაგირება, უკიდურესი და გადამჭრელი ღონისძიებების გატარება როგორც ერთი მიმართულებით, ესე იგი, სვანეთის ისტორიული ძეგლების აღდგენითი და სარესტავრაციო სამუშაოების განსახორციელებლად, ასევე მეორე მიმართულებითაც — ეკლესიებში დავანებული სიძველის ნიმუშების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებისათვის.

პირველ ღონისძიებას — სარესტავრაციო და აღდგენით სამუშაოებს კარგა ხნის წინათ ჩაეყარა საფუძველი, მაგრამ, სამწუხაროდ, მაინცდამაინც სასურველი შედეგი არ გამოუღია ამ საქმის მაშინდელი ადგილობრივი მესვეურების უგულისყურო, ზერელე მეურვეობის გამო, რაზეც ნათლად მეტყველებენ ჩვენთვის უკვე ნაცნობი მურყვამები, მათი ჩამპალ-ჩაოხრებული, ავად მოლავლავე სახურავები, ამაზე მეტყველებენ აგრეთვე საცხოვრებელი სახლების უხარისხოდ შესრულებული სარესტავრაციო სამუშაოები, რაზედაც უფრო ქვემოთ გვექნება საუბარი. ქვემოთ ვისაუბრებთ აგრეთვე ამ უკანასკნელი ხანის აღდგენითი სამუშაოებისათვის ნიშანდობლივ ზოგიერთ ხარვეზზე.

რაც შეეხება მეორე მიმართულებას — სიძველის ძეგლების გენერალურ რევიზიას, აღწერასა და კვლევის გაძლიერებას სვანეთში, უნდა ითქვას, რომ ამ პრობლემას მთელი პასუხისმგებლობით ამ ბოლო დროსღა მოჰკიდეს ჩვენმა მეცნიერებმა ხელი. 1972 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან ჩამოყალიბდა „სვანეთის კომპლექსური შესწავლის სპეციალური კომისია", ამ კომისიაში გაერთიანებული იყო სვანეთთან დაკავშირებული სამეცნიერო დარგების უმრავლესობა. ყველა ამ დისციპლინას თავთავისი სამოქმედო გეგმა გააჩნდა. „კულტურის ძეგლთა შესწავლას" სვანეთში ხელმძღვანელობდა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი მიხეილ ჩართოლანი. სვანეთის ეთნოგრაფიული ძეგლების განხრით ყველაზე კომპეტენტურ პიროვნებას, ბატონ მიხეილს ასეთი შეკითხვა მივეცით — როდის დაიწყო სვანეთის კომპლექსური კვლევა და რა შედეგებია სადღეისოდ მოპოვებული თქვენი ექსპედიციის მიერ?

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲩᲐᲠᲗᲝᲚᲐᲜᲘ:

— სვანეთი ინტენსიური სამეცნიერო კვლევის ორბიტაში ფაქტიურად სამოცდაათიანი წლების დასაწყისიდან ჩაირთო. სვანეთის კომპლექსური შესწავლის ახლადშექმნილმა კომისიამ პირველი სამეცნიერო გასვლითი სესია ჩაატარა 1972 წელს, მესტიაში. სესიას ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ აკადემიის პრეზიდენტი — აკადემიკოსი ი. ვეკუა. ხოლო მეორე სამეცნიერო სესია თბილისში ჩატარდა 1976 წელს. ამ სესიაზე 85-მდე მოხსენება იქნა წაკითხული. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სექციას აკადემიკოსი ნ. კეცხოველი ხელმძღვანელობდა, ტექნიკურ და დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა სექციას — აკადემიკოსი თ. დავითაია, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სექციას — აკადემიკოსი შ. ძიძიგური. ამ სესიაზე ჩვენ წავიკითხეთ ერთგვარი შემაჯამებელი ხასიათის მოხსენება — „კულტურის ძეგლთა შესწავლა სვანეთში"; მოხსენებამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია, რაც ნაწილობრივად ალბათ თემის აქტუალობითაც აიხსნებოდა...

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სვანეთის მეცნიერულ კვლევას ამ ბოლო დროსღა მიეცა ინტენსიური ხასიათი, რაც სრულ სიმართლეს შეესაბამება, მაგრამ ცალკეულ პირებსა და ექსპედიციებს სვანეთი ძველთაგანვე აინტერესებდათ. საერთოდ, სვანური არქიტექტურის შესახებ ერთ-ერთ პირველ ისტორიულ ცნობად უნდა ჩაითვალოს მეექვსე საუკუნის ისტორიკოსის აგათია სქოლასტიკოსის გამონათქვამი იმის შესახებ, რომ კოდორის ხეობაში არსებობს რკინის ციხე, რომელიც მისიმიელებს ეკუთვნითო. მისიმიელები კი სვანური ტომები იყვნენ. მეშვიდე საუკუნის მოგზაური, მისიონერი თეოდოსი განგრელი ასევე იხსენებს სვანების ციხეს, სადაც იგი მოუთავსებიათ ადგილობრივ მოსახლეობას. ეს, რაც შეეხება უძველეს წყაროებს, სვანური ეთნიკური ერთეულის მფლობელობაში მოქცეული თავდაცვითი ძეგლების შესახებ. უფრო გვიანდელ პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდა ინტერესი. ხოლო ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს 1895 წელს ინგლისელმა მკვლევარმა და ალპინისტმა — უშბის ერთ-ერ-

თმა პირველდამპყრობმა, ფრეშფილდმა, ყურადღება მიაქცია სვანური სამეურნეო და თავდაცვითი დანიშნულების ნაგებობათა განუმეორებელ შეხამებას, ჰარმონიულ სინთეზს, — რაც მიღწეული იყო სვანური საცხოვრისის კომპლექსში. მანვე გააკეთა სათანადო აღწერა და სათანადოდ შეისწავლა იმჟამად სვანეთში არსებული ყველაზე მნიშვნელოვანი და სრულყოფილი ხერგიანების საგვარეულო სახლის კომპლექსი და შეადგინა გეგმა, რის საფუძველზეც, შემდგომში იგი აღრიცხვაზე აიყვანა იუნესკომ. სვანური კოშკების განუმეორებელი და მეტად ორიგინალური არქიტექტურა თავისთავში მრავალ საიდუმლოს მოიცავს. სვანური მურყვამების მოხაზულობის გათვალისწინება დაეხმარათ მეცნიერებს შუმერული დამწერლობისათვის გასაღების მორგებაში. სვანური არქიტექტურის ამ განუმეორებლობამ დიდი ხანია მიიპყრო საზღვარგარეთელი მეცნიერების ყურადღება. ამას წინათ, ამერიკაში გამოვიდა ხალხური შემოქმედებისადმი მიძღვნილი მეცნიერულ-პოპულარული ჟურნალი, სადაც დაბეჭდილი იყო წერილი სვანეთზე სათაურით — „უარქიტექტორო არქიტექტურა“. ამ წერილში ჯეროვნად იყო შეფასებული ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების სიდიადე, თავისთავადობა და ორიგინალობა. მოსკოველი არქიტექტორი ბარხინი ამას წინათ წერდა — „მსოფლიოში ვენეციისა და სვანეთის კოშკების სადარი არაფერი შემხვედრიაო“. ყოველივე ეს მიახლოებითაც კი ვერ ასახავს იმ საყოველთაო ინტერესს სვანეთის არქიტექტურის, სიძველეთა და კულტურის ძეგლების მიმართ, რასაც იჩენდნენ და ამჟამადაც იჩენენ მთელი მსოფლიოს მეცნიერები.

ყოველივე ზემოთქმული კიდევ უფრო აცხოველებს ჩვენს ინტერესს სვანეთისადმი, მართლაც რომ ხელთუქმნელი ცისქვეშა მუზეუმისადმი. ბუნებრივია, ამ ძეგლების შესწავლა, გამოვლენა, დაცვა და შემონახვა პირველ რიგში ჩვენ გვევალება და არა სხვა ვინმეს. ჩვენსავე სულიერი და მატერიალური სიმდიდრის პოპულარიზაციის საქმეში მართლაც რომ ხელის გამოღება გვმართებს. ასე სწამდათ სვანეთის პირველ ქართველ მკვლევარებს — ექვთიმე თაყაიშვილს, რომელმაც 1910 წელს იმოგზაურა სვანეთში და მრავალი საინტერესო მოსაზრება გამოთქვა აქაური სიძველეთა ძეგლების თაობაზე, უფრო ადრე სვანეთით დაინტერესდა აგრეთვე ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, ხოლო აკადემიკოსმა გიორგი ჩუბინაშვილმა მისთვის საინტერესო მრავალი ძეგლი აღწერა.

ამის შემდეგ მეცნიერები რატომღაც ნაკლებად ილტვოდნენ სვანეთისათვის. მხოლოდ 1942 წელს მესტიის მუზეუმის თანამშრომლებმა — ადგილობრივი ძალებით ვცადეთ აღგვეწერა სვანეთის ეკლესიებში დავანებული ნივთიერი ძეგლები. ამ მეტად რთულ საქმეში მეხმარებოდა მუზეუმის თანამშრომელი დათიკო ჩარკვიანმა. ეს მართლაც ყამირის გატეხას ნიშნავდა და, უნდა ითქვას, რომ ჩვენი კვლევა-ძიება იმ დროის კვალობაზე საკმაოდ მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩატარდა. მთელი ჩვენი აღწერის შედეგებს თავისი მნიშვნელობა ჯერაც არ დაუკარგავს. მაგრამ, სამწუხაროდ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ომიანობის ძნელ პირობებში, უგზოობასა და არეულობაში გვიხდებოდა მუშაობა, ბუნებრივია, რომ მრავალი ნივთი ჩვენი თვალთახედვის მიღმა დარჩა და შემდეგში უგზო-უკვლოდ დაიკარგა. როგორც უკვე ითქვა, მხოლოდ 1972 წელს მიეცა დასაბამი ფუნდამენტურ, სვანეთის ძეგლების მაღალ მეცნიერულ დონეზე შესწავლას, შემორჩენილი ნივთების აღნუსხვას, დამუშავებას, თავისი ადგილის მიჩენას, კლასიფიკაციას, სწორედ ამ წელს ჩამოყალიბდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო კომპლექსური ექსპედიცია... რომელმაც უკვე დიდი მოცულობის სამუშაოები ჩაატარა.

* * *

— ბიძია მაბილა, თქვენა ბრძანეთ, ახლა კარგად უვლიანო ამ ციხე-კოშკებს, მაშ კმაყოფილი ხართ ახალი დროებისა, არა?

— კმაყოფილი როგორ არ ვიქნებით, შვილო, — პასუხი გამცა ედუკმა — რაც ახლა სახსრები იხარჯება სიძველეთა ძეგლების აღდგენასა და შეკეთებაზე, ამდენ ფულს სხვა დროს ვინ გაიმეტებდა. ოღონდ, იცოცხლე, ყველაფერი რო წესიერად ხმარდებოდეს.

— მაინც რა გაქვთ მხედველობაში?

— აი, ჩვენი სვანური მაჩუბი. სახურავი მთლიანად გამოუცვალეს, დირეებიც ნაწილობრივ გაუახლეს, იატაკი კი კვლავ ზანზარებს და იქ თივით დატვირთულ მარხილს ვერ შეუძლვები. ამასაც ვინ მოელოდა, მადლობის მეტი რა გვეთქმის და ვუთხარით კიდევაც მადლობა ვისაც ეკუთვნოდა. მართლაცდა როგორი საქმეა, სახლი უფასოდ გაგირემონტონ! ძველად მასეთ რამეზე ოცნებაც არავის შეეძლო, მაგრამ თბილისიდან რომ ჩამოვიდა ერთი ამ საქმის მცოდნე და იქაურობა დაათვალიერა, თქვა, აქ სანახევროდაც არ არისო საქმე შესრულებული. მაშა, ქალობას გეფიცები, ზუსტად ეგრე თქვა. ჩვენ იმასაც არ მოველოდით და არც მოვითხოვდით რაც გააკეთეს, მაგრამ დახეთ, თურმე კანონით მეტი უოფილა გასაკეთებელი რა ვიცი, იმან კი ასე თქვა და... მას მერმე მივხვდი, რამდენ მოწადინებული ყოფილა თურმე ჩვენი სახელმწიფო, რო გლეხკაცობას საოჯახო ამბებში ხელი შეგვაშველოს...

აქამდე თავისთვის გატრუნული მაბილა ბიძია უცებ შეირხა და მიმქრალი თვალები ააფახულა. შევატყე, რაღაცამ შეაფორიაქა მოხუცი. მერე ადგომა სცადა, წამოდგა კიდევაც და ხელი ფერდობს ჩაყოლებული ლანჩვალ-სოფლისაკენ გაიშვირა. ჩვენ ყველაზე მაღალ ადგილას ვიმყოფე

ბოლოით და აქედან ხელისგულივით მოჩანდა მთელი მესტია თავის კოშკებიან-მაჩუბებიანად, ეზო-კარიანად და ვიწრო შუკებიანად.

— კოშკებს ხომ ხედავ, შვილო, ნახე, რა დღეში არიან, მთელი წვიმა და ქარი შიგ ჩახდით და ჩაედინებათ. სულ რაღაც ცოტა ხანია, რაც გადახურეს, მაგრამ ისე უხარისხოდ შეასრულეს სამუშაო, ხო ამჩნევ, სუ ჩაშავებულია სახურავები, ჩამპალი და ჩაოხრებულია იქაურობა, ან ქარისგან არის გადახდილი, ვინ იფიქრებდა იმას, რომ ასე მყისიერად ჩაყანთრდებოდნენ კოშკები და ამდენი ხარჯი წყალში ჩაიყრებოდა. გრძელი საყვავეები რო ჰქონდეთ, მაშინ კიდევ იტყოდა კაცი, თოვლს ვერ გაუძლოო. მანდ ხომ სუ ერთი ციცქნა ფართობია. ის კიდევ ორზე გაუავი და რაღა გრჩება ხელში — სამმეტრიანი დირე! ასეთი მოკლე პოწოლკავები რაღაზე უნდა ჩამტუდარიყო, ახლაც ვერ გამიგია...

— ალბათ წვრილები დაულაგეს, ზოზალოყის ასარევი ჟვერები — ჟიშხები როა, იმხელები! — შეაშველა თავისი აზრი მაბილას ედუკმა.

— სწორედ რომ მასთე იქნებოდა... რამდენი ფული მიახარჯეს ამ ჩვენს მაჩუბებსა და მურყვამებს; ეხ, ყველაფერი ეს რომ წესიერად მიხმარებულიყო — ამოიოხრა მოხუცმა, მერმე ედუკს გადახედა. ედუკი უხმოდ იზიარებდა მაბილას გულისტკივილს. მრავალგზის შეეჯერებინათ მოხუცებს თავთავიანთი მოსაზრებანი ამა თუ იმ საკითხზე და ზელაბლა განსჯა და აწონდაწონვა აღარ უხდებოდათ.

### ლაპარაკობს მინისტრი:

არქიტექტურული, ეთნოგრაფიული, ნივთიერი, ხუროთმოძღვრული და ასევე ბუნებრივი ძეგლების ხელყოფა, ძარცვა და მათი მოვლა-პატრონობის საქმეში მცირედი უყურადღებობაც კი დანაშაულია ზოგადქართული კულტურის, ჩვენი ერის წარსულისა და მომავლის წინაშე.

ამ ბოლო წლებში მოხშირებულმა ეკლესიის ქურდობებმა საცნაურჰყო ის უდარდელობა და ინდიფერენტიზმი, ხვართქლასავით რომ შემოსწვნია ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის სულსა და გონებას. პირდაპირ გასაოცარია — უძველესი ხელოვნების ქვეყანას, ვარძიის, დავით-გარეჯის, ხვამლის, ადიშის ხატ-სამალავების მხარეს ასეთი რა ზნე მოეძალა, რომ ადამიანებმა ახლა ეკლესია-მონასტრებს, მუზეუმებსა და სამლოცველოებს დაიეს ხელი!

ყოველივე ამაზე იყო ბჭობა და საუბარი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სვანეთის კულტურის ძეგლების ბედის საკითხთან დაკავშირებით მოწყობილ კონფერენციაზე, რომელშიც მწერლები, მეცნიერები, პრესისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკები ღებულობდნენ მონაწილეობას. შინაგან საქმეთა მინისტრი გურამ გვეტაძე აქ შეკრებილებს აცნობდა მომხდარ დანაშაულთან დაკავშირებულ ასპექტებს, დაკარგული ძეგლების დასაბრუნებლად [illegible] ნისტრაციული ორგანოების მიერ [illegible] ობას; ტკივილიანი იყო მისი საუბარი, ტკივილიანი და გადამდები, პრინციპული და ალსარებასავით მართალი. მინისტრის ძირითადი აქცენტი მაინც მიმართული იყო მომავლის პერსპექტივებზე, ამოცანებსა და მიზნებზე.

— რა გეგმები დავსახოთ იმისათვის, რომ მეტად აღარ განმეორდეს მსგავსი შემთხვევები? — ეკითხებოდა იგი ხალხს და ყველას სთხოვდა გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებანი ამ საკითხთან დაკავშირებით. — ჩვენ საჭირო მიგვაჩნია, რომ უმოკლეს ვადაში დაიწყოს მესტიის მუზეუმის მშენებლობა, რათა საშუალება მოგვეცეს ნივთიერი ძეგლების ერთ ადგილზე დაუნჯებისა და თავმოყრისა; ეს მოსაზრება შესულია პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი წარსადგენ პროექტში, მაგრამ იქნებ არსებობს სხვა მოსაზრებანიც? ჩვენი დღევანდელი შეკრების მიზანია აზრთა შეჯერება, ასჯერ გაზომვა, გენერალური სამზადისის გაწევა კულტურის სფეროში იდეალური წესრიგის დამყარებისათვის... ისეთი წესრიგისა, ჩვენს ერს რომ შეშვენის, ჩვენი წინაპრების ხსოვნას რომ ეკადრება...

მინისტრი ძირითადად ლაპარაკობდა ნივთიერი ძეგლების შესახებ, რადგანაც ამ ბოლო დროს სწორედ მათ მიიპყრეს მავანთა ყურადღება; სიძველის ნიმუშებით ხელის მოთბობის მსოფლიო პროცესმა, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაშიც ჰპოვა თავისი ავბედითი გამოძახილი.

გამოსულებიც გულისტკივილით ლაპარაკობდნენ აღძრული საკითხის გარშემო, მათი მოსაზრებანი ემთხვეოდა მინისტრის შეხედულებებს და არც შეიძლებოდა, რომ აქ რაიმე კარდინალურ აზრთა სხვაობასთან გვქონოდა საქმე. საუბარი ეხებოდა ერის კულტურის სფეროში ჩადენილ დანაშაულობებს და მათი გამოსწორების გზებს. ყველა ორატორის არგუმენტები იყო მყარი და ანგარიშგასაწევი. ნაკლებად მოსალოდნელი იყო, რომ იქ ვინმეს საწინააღმდეგო თვალსაზრისი დაჰბადებოდა. ადამიანები გამოდიოდნენ იქიდან, რომ მთელი ძვირფასეულობა, ბოლოსდაბოლოს, ერთ ადგილზე თავმოყრილიყო და საიმედოდ ჩაკეტილიყო. დაცულიყო, დაცვა იყო ამ ხალხისათვის მთავარი, რადგანაც დაუცველობამ თავბედი გვაწყევლინა და ერთადაც იმან შეგვყარა დღეს. ასე რომ ყველანი მართლები და გულმხურვალენი იყვნენ, საოცრად ამაღლებულნი და გრძნობამორეულნი მსჯელობდნენ ისინი მუზეუმის მშენებლობის თაობაზე, ძეგლების თავმოყრაზე, მათ მოვლა პატრონობის გაძლიერებაზე. ბოლოს, ზოგიერთმა გამოსულმა ამხანაგმა სიძველის ნიმუშების თბილისში წამოღება მოითხოვა. და მათ ამ მოთხოვნაშიაც იყო ისეთივე სარწმუნო არგუმენტები, რომ ეჭვის შეტანა ასევე უხერხულად მოგეჩვენებოდა. გულწრფე-

ლობა თურმე მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი ყოფილა დამაჯერებლობისათვის...

მიხეილ ჩართოლანი:

ჩვენ ზემოთ ვახსენეთ მუზეუმი ღია ცის ქვეშ; მართლაცდა საქართველოს რომელ კუთხეში შეხვდება ადამიანი ხელოვნების ასეთ მრავალფეროვან ძეგლებს; აქ არის წარმოდგენილი არქიტექტურული, ხელოვნების, ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური, ხუროთმოძღვრული ძეგლები, რაც შერწყმულია სათანადო ფონთან, სვანეთის კავკასიონის სიზვიადესთან, ამაღლებულობასთან; ყველაფერი ეს, ერთად აღებული, ერთ პრიზმაში თავმოყრილი ენგურისა და ცხენისწყლის ხეობებს განუმეორებელ რეგიონებად აქცევს, სადაც ყველაფერი მოწოდებულია თანამედროვე ადამიანის სულის საამებლად, მის შინაგან მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ავიღოთ, მაგალითად, არქიტექტურის ძეგლები. სვანეთში ორასამდე ასეთი ძეგლია — მხედველობაში მაქვს ძველი სვანური საცხოვრისის კომპლექსი კოშკითა და სამეურნეო და დამხმარე ნაგებობითურთ. ეს ის კოშკებია, კონსტანტინე სიმონოვმა თანამედროვე კოსმიურ სატარებებს რომ შეადარა. ეს ის კოშკებია, მოსკოველმა არქიტექტორმა ბარხინმა რომ ვენეციურ კოშკის ტოლდარად მოიხსენია. მაგრამ ახლა საცხოვრისს არ იკითხავთ? ჩემის აზრით, ძველი სვანური საცხოვრებელი სახლი მეცნიერული თვალსაზრისით კოშკებზე არანაკლებ საინტერესოა. აქვე გულისტკივილით უნდა აღინიშნოს ძეგლთა დაცვის სამმართველოს ერთგვარი დიფერენცირებული დამოკიდებულება ამ კოშკებისა და საცხოვრისების მიმართ. მაშინ, როცა კოშკების აღდგენას ლამის ზედ არიან გადაყოლილნი, ამ მაჩუბების აღდგენა რატომღაც მეორეულ საქმედ მიუჩნევიათ, რასაც ძველი საცხოვრისები და მათთან დაკავშირებული სამეურნეო ნაგებობები ნამდვილად არ იმსახურებენ. მეტიაში ძეგლთა დაცვის სამმართველომ ახალი კოშკებიც კი ააშენა, რაც თავისთავად ურიგო საქმე როდია, მაგრამ ისიც ხომ უნდა გავითვალისწინოთ, რომ არქიტექტონიკური სირთულითა და ორიგინალობით, განუმეორებელი თავისთავადობით სვანურ საცხოვრებელ სახლს ე. წ. მაჩუბს ბადალი არ მოეპოვება; სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ამ სახლმა ცოცხლად შემოინახა ძველი ყოფისათვის დამახასიათებელი საოჯახო და სამეურნეო რეალიები, ისტორიული ძველქართული წეს-ჩვეულებანი, თითქმის ყოველივე და ყველაფერი, რითაც ჩვენი ეთნოგრაფიული მეცნიერება თავს იწონებს და თავის ავტორიტეტულ სიტყვას ამბობს სხვადასხვა წარმომადგენლობით ფორუმებზე, სამეცნიერო კონფერენციებზე და საერთოდ ჩვენი მეცნიერების სფეროში.

როგორც ზემოთაც ითქვა, საქართველოს სხვა კუთხეებში ამგვარი სახლ-კომპლექსები საქართველოში არ მოგვეპოვება ხალხის ყოფაში. სვანური საცხოვრისი იმდენად გამძლისი და დროის მდინარებასთან შეჯერებული აღმოჩნდა, რომ მაღალი ყოფითი და სამეურნეო მნიშვნელობის გამო იგი დღესაც გამოიყენება.

ის კი არა და, სვანური მაჩუბის უცნობ არქიტექტორებს დღეს მიმბაძველებიც კი გამოუჩნდათ—ბალტიისპირეთში სვანური სახლის პრინციპით დაიწყეს ბინების მშენებლობა — ამგვარმა ორსართულიანმა საქონლის სადგომებმა ნამდვილად გაამართლა აქაურ მეცხოველეთა იმედები. იმისათვის, რომ ზამთარში თივას მაწიერობა და სიახლე შეუნარჩუნონ, კერიაც კი დაანთეს ამ ახალი წამოწყების მესვეურებმა... ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ ძველი სადგომიდან გამოცალკევებულია ადამიანის საცხოვრისი, რაც თანამედროვე ცივილიზაციის ფონზე აუცილებელი იყო.

სვანეთში კი თავის დროზე მაჩუბებში დიდი ოჯახები ბუდობდნენ. მაგალითად, ხერგიანთა კომპლექსში 1949 წლამდე 30-მდე სული ცხოვრობდა, ჩართოლანებისაში კი — ოცდათხუთმეტი. ძნელი წარმოსადგენი არ იქნება ალბათ — რა სურათი გვექნებოდა კიდევ უფრო ადრეულ პერიოდებში ოჯახის მრავალრიცხოვნების თვალსაზრისით. ასე რომ, ეს კომპლექსები, ეგრეთწოდებული, „დიდი ოჯახის" არსებობის ცოცხალი მატიანეებია, რასაც გაფრთხილება სჭირდება. ამ კომპლექსშია აგრეთვე წარმოდგენილი თავდაცვითი ხასიათის არქიტექტურული ელემენტები. ასეთი მახასიათებლების მქონე ნაგებობანი მხოლოდღა თავისუფალ, ესე იგი, ბალსზემო სვანეთშიღა გვხვდება. ქვემო სვანეთსა და ბალსქვემოურში ანალოგიური კომპლექსები მხოლოდ მებატონეებს გააჩნდათ. უნდა ითქვას, რომ მეთხუთმეტე საუკუნემდე, ე. ი. სვანეთში ბატონყმური ურთიერთობის მოძალებამდე, როცა ქვემო სვანეთში გარდაფხაძეებმა, გელოვანებმა და, ბოლოს, დადიანებმა, ზემო სვანეთის ბალსქვემო ნაწილი კი დადეშქელიანებმა ჩაიგდეს ძალაუფლება ხელში, არქიტექტურული თვალსაზრისით ერთნაირი სურათი გვქონდა; ზედაფენების მომძლავრებამ კი მიწასთან გაასწორა თავისუფლებისა და წინააღმდეგობის კერები, საგვარეულო და სამო საბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობანი. ასე, მაგალითად, ჩვენმა ექსპედიციამ ბეჩოს თემის მხოლოდ ერთ სოფელში თვრამეტამდე კოშკის ნანგრევი აღმოაჩინა, ეცერის თემის სოფელ ბარში კი — ათი კოშკია მიწასთან გასწორებული. ასეთივე მდგომარეობაა ქვემო სვანეთის სოფლებშიაც. დასახელებულ კუთხეებში თვით მებატონეთა კუთვნილი მურყვამებიღა შემოგვრჩა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბატონყმობა მთად და ბარად გამორიცხავდა საგვარეულო კოშკების მძლავრობას. ასე დაირღვა „ერთობილი სვანეთის ხევის" პოლიტიკური და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მეთხუთმეტე საუკუნის შემდეგ. და ამ ნგრევისა და იავარქმნის მოთავეებად გელოვანების, გარდაფხაძეების, მოგვიანებით, დადიანების და ზემო სვანეთის ერთ ნაწილში დადეშქელიანების მაღალი ფენის წარმომადგენლები გვევლინებიან.

ამის წარმოდგენა საშინელ გრძნობას აღძრავს ადამიანში. ამდენი მურყვამი რომ პირად კეთილდღეობას შესწირო, ამდენი სილამაზე და ხელთუქმნელი მშვენიერება ივარქმნა, ალგავო პირისაგან მიწისა, მართლაც და რა გული უნდა გქონდეს, — რა სისხლი გიდუღდეს ძარღვებში...

ეს რაც შეეხება არქიტექტურულ ძეგლების მდგომარეობასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს. ორიოდე სიტყვით გადავხედოთ საეკლესიო ნაგებობების მდგომარეობასაც — ამჟამად აღრიცხულია სამოცდაათამდე მე-10-მე-14-ე საუკუნეების ფრესკებიანი და ფერწერული ნამუშევრებით შემკული ეკლესია, რომელთა უმეტესობა აშენებულია ადგილობრივი ოსტატების მიერ — როგორც წესი, სვანეთში ეკლესიის მშენებელი არის თავისუფალი მეთემე, ან მეთემეთა გაერთიანებული გვარები. ასეთთა რიცხვს განეკუთვნება მესტიაში — ხერგიანების ეკლესია სოფელ ლახთაგში, რომელიც საცხოვრებელი სახლის კომპლექსშია წარმოდგენილი, მარგიანების თარინგზელის ეკლესია სოფელ ლანჩვალში, ჩართოლანების ლამარიის ეკლესია ახევე ლახთაგში, სადაც გასულ წელს მეცნიერებმა ეკლესიის ერთ-ერთ კედელზე აღმოაჩინეს წარწერა — „ჩართველიანი დემეტრე, შეიწყალე სული მისი", რომელიც მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებს განეკუთვნება.

შეინიშნება უცნაური დამთხვევა — ეს გვარები, რომელთაც სრულყოფილი კომპლექსები გააჩნდათ, ამავე დროს ფლობდნენ საუკეთესო მიწის სავარგულებს, სავვარეულო ტყეებს. ეს კერძომესაკუთრული დამოკიდებულება გარემომცველი ბუნებისადმი გრძელდებოდა სვანეთში კოლექტივიზაციის დამკვიდრებამდე და იმის შემდეგაც რამდენიმე ხნის განმავლობაში, რაც აგრეთვე მიგვანიშნებს თავისუფალი სვანეთის სპეციფიკურ მდგომარეობაზე, რითაც იგი დიამეტრალურად განსხვავდებოდა საბატონო სვანეთში შექმნილ სოციალური და ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური ვითარებისაგან.

ეს შექმნილი სპეციფიკური, საქართველოს სხვა კუთხეებისაგან განსხვავებული მდგომარეობა ჰქონდა მხედველობაში აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილს, როცა ამბობდა — „თამარ მეფე საქართველოს მთიანეთს ისე მართავდა, როგორც ეს მთას შეეფერებოდაო". ამიტომაც უყვარდათ ასე ძლიერ იგი სვანეთში, სადაც ყველაფერი ამაღლებული და წმიდა თამარ მეფის სახელთან არის დაკავშირებული. ცალკეული რეგიონებისადმი თავისებური, დიფერენცირებული დამოკიდებულების პრაქტიკა იმ ძველი დროიდან მომდინარეობს; ჩვენ ამით იმის თქმა გვსურს, რომ „ძველში" ყველაფერი როდია მოძველებული და გადასაგდები. წინაპართა ტრადიციებისა და გამოცდილებათა მეცნიერული განზოგადება და შესწავლა განუმეორებელი შედეგის მომცემია. ამ თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია ჩვენი ექსპედიციის საქმიანობა სვანეთში...

* * *

სვანეთში კულტურის ძეგლთა მდგომარეობის თაობაზე რამდენიმე შეკითხვით მივმართე მესტიის ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორს ქალბატონ ციალა ჩართოლანს. მან ზოგადად აღნიშნა:

— რა თქმა უნდა, პირველ რიგში ნივთიერი ძეგლების პრობლემა გვაღელვებს ყველას. რა გზით დავიცვათ ძვირფასი ჯვარ-ხატები მავანთა ხელყოფისაგან? თუ კი მართლაც ერთად მოვუყრით მთელ ძვირფასეულობას თავს და სულაც დედაქალაქში დავავანებთ, ერთი ხელის მოსმით ყველა საკითხს მოვაგვარებთ კიდევაც, მაგრამ წამიერად იმაზედაც უნდა დავფიქრდეთ, თუ რა შედეგი მოჰყვება ყოველივე ამას მომავალში? ასე რომ საჭიროა, დანარჩენ, ე. წ. მიმდებარე ასპექტებთან მიმართებაში დავამუშაოთ მთლიანად მოცემული საშური ამოცანა. ანუ ვიმოქმედოთ კომპლექსურად. მიზეზ-შედეგობრივი პრინციპით.

ა ვ ტ ო რ ი:

სვანეთი შეიძლება ერთ უშველებელ ჯანსაღ მუხას შევადაროთ. წარმოვიდგინოთ რომ ამ მუხას ვილაცამ ტოტები ჩამოასხიპა! ეკლესიები და საყდრები ფანატიზმის წყარო არასოდეს ყოფილა აქაური მთიელებისათვის, მაგრამ ადამიანური რწმენის სიმბოლოს ყოველთვის წარმოადგენდნენ. ქვეშეცნეულად დღესაც არსებობს ხალხში ეს რწმენა. აქ იგულისხმება ადგილის დედის, სამშობლოსა და ხალხის სიყვარული, უფროსის პატივისცემა, ფიქრი მომავალზე. გამრავლებაზე, ოჯახზე, ბუნებასთან გონივრულ დამოკიდებულებაზე, მეგობრობაზე და კიდევ რა არა...

ჩვენ, თუ კი იქიდან გამოვლალავთ ძვირფასეულობას, როგორც უკვე ითქვა, ნამდვილად ვიხსნით მათ გაჩანაგებისაგან, მაგრამ დავარღვევთ ამ ხეობების მკვიდრთა სულიერ წონასწორობას, მოვუშლით ადგილის დედის ნაფუძარს... თოფის ბათქზე დამფრთხალი წეროთა გუნდივით აირევა მრევლი და თავგზადაკარგული მოაწყდება საქართველოს ბარს, რადგანაც მთასთან კავშირი უკვე შევუსუსტეთ და ძალისძალად გავუწყვიტეთ...

ანალოგიურ კამპანიებს ყოველთვის ახასიათებდათ რაღაცის ბოლომდე გაუთვალისწინებლობა, მეტად მწარე გამოდგა ბოლოს ეს გაუთვალისწინებლობა. აიღეთ, თუ გნებავთ. ხევსურების აყრა და ბარში ჩასახლება, ასევე სვანე-

ბის ლილოში და კრწანისში ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ რეგიონში ჩაყვანა; აილეთ, მაგალითად, საკოლმეურნეო მინდვრების გაპიროვნების პრინციპის გაუქმება და, ბოლოს, პირუტყვის ლიმიტირება საქართველოს მთიანეთში, რამაც ასევე განუზომელი ზიანი მიაყენა აქაური გლეხის ეკონომიკას და საერთოდაც მთელი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას...

იოლი გზით სიარული ადვილია, მაგრამ, როგორც დავინახეთ, სახურველი შედეგი არ ახლავს. ჩვენ უნდა უარვყოთ იოლად ჭრა-კერვის ძველი პრაქტიკა. უნდა დავადგეთ უფრო რთულ და პერსპექტიულ გზას...

ყველაზე დიდი სიმდიდრე მთაში მოსახლეობაა, ამ ხატებისა და ძვირფასეულობათა შემქმნელი ხალხი, მათი შემნახველი და მომვლელი; ასე რომ, ყველაფერი უნდა დავუმორჩილოთ ამ მოსახლეობის შენარჩუნების უმთავრეს მიზანს. ეს არის ამოსავალი წერტილი ჩვენთვის და ეს არის სწორედ რთული გზაც. ჩვენ ამ შემთხვევაში ორი კურდღელი უნდა დავიჭიროთ, და არა ისე, ანდაზის უილბლო მდევარივით, ნამდვილად უნდა მოვიხელთოთ. კონკრეტულად ეს ღონისძიება ასე მესახება — თითოეულ თემში შევისყიდოთ გამონთავისუფლებული საცხოვრებელი სახლის თითო კომპლექსი, ასეთი საცხოვრისები სვანეთში ბლომად მოიძებნება, მათი შეძენა იაფი დაგვიჯდება, დიდი ოჯახები უკვე ცალ-ცალკე გავიდნენ მაჩუბებიდან. ძველმა სახლებმა და მერყვამებმა ადრინდელი ფუნქციები დაკარგეს და სოფლის მოსახლეობა, თუ კი გარანტიას მისცემენ, რომ მათ ბინებს მოუვლიან და უპატრონებენ, უსასყიდლოდაც კი დათანხმდება საერთო-სახალხო საქმისათვის თავისი მაჩუბის დათმობას. დიახ, ასეთი შეკეთებული და რესტავრირებული, კეთილმოწყობილი სახლ-მუზეუმები გამოვიყენოთ თითოეული თემში კეთილმოწყობილ ფონდსაცავებად. ამ თემის მოსახლეობა ისე მტკივნეულად აღარ მიიღებს თავისი ფსიქოლოგიური და სულიერი ინტერესების პირობით არეალში საგვარეულო, სათემო თუ საოჯახო ეკლესიებიდან ნივთიერი ძვირფასი ძეგლების გაცემას, რაც ყოვლად გამორიცხულია ამ ხატებისა და ფრესკების სხვაგან, უფრო შორსა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, მათი გონსაწიერისათვის ხელმიუწვდომელ ადგილზე გატანის შემთხვევაში. ადგილობრივი მოსახლეობა იოლად როდი დაგვიჯერებს, რაც არ უნდა დამაჯერებელი და საგულისხმო თეორიული არგუმენტები მოვიშველიოთ ჩვენი ასეთი მოქმედების გასამართლებლად. რეალური ვითარება სვანეთში ასეთია, ჩვენ სწორედ ამ რეალური ვითარებიდან უნდა გამოვიდეთ ყოველი ახალი გადაწყვეტილების მიღებისას...

ყველა თემში გვექნება საბაზისო ფილიალები, ხეობებში მოსახლეობას შევინარჩუნებთ ერთიანი სვანეთი კვლავ ხალხმრავალი იქნება, აღნიშნული მთიანი რეგიონი მორალურადაც დასაჭურისდება — მუხის ეზოები [illegible] რავ რკოს დაისხამენ... მოგზაურთა და სტუმართათვისაც ერთნაირად საინტერესო იქნება მთელი სვანეთი. იგი, როგორც ახლა ხშირად ამბობენ ხოლმე — „თავკომბალას არ დაემსგავსება".

თორემ... საავდრო ღრუბლებს გამოვიხმობთ. დემოგრაფიულ მონაცემებში ვინაც ერკვევა, დამეთანხმება, რომ იმ ძველმა აქციებმა სახურველი შედეგები არ გამოიღეს ამ ასპექტშიაც. ადრე თუ სვანეთი ზიარჭურჭელივით იყო — ნამატ მოსახლეობით ამარაგებდა ბარსა და თავადაც არაფერი აკლდებოდა, ამ ბოლო წლებში ეს სახურველი ტენდენცია შენელდა, ერთობ შესუსტდა და მოსალოდნელია, რომ მატების სინუსოიდი ძირს დაეშვას.

ამიტომაც არის აუცილებელი ჩვენს მოქმედებაში მარტივის უკუგდება და უფრო რთული გზით სიარული. ერთი სიტყვით, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ორივე კურდღელი უნდა მოვიხელთოთ როგორმე.

საერო პრობლემების გადაჭრა მსხვერპლს მოითხოვს. მხოლოდ ასე შეიძლება მივაღწიოთ მიზანს, თუმცა ამ შემთხვევაში დიდი მსხვერპლის გაღება ნამდვილად არავის არ მოუწევს. მით უფრო გვმართებს ვიყოთ ფხიზელნი, აუჩქარებელნი გადაწყვეტილებათა მიღებისას, დარბაისელნი, როგორც მინისტრმა ბრძანა, ყოვლისგამთვალისწინებელნი და გადაწყვეტილებათა სინამდვილესთან ბრძნულად შემჯერებელნი..

## 1978 წ. სოფელი ლანჩვალი.

### ავტორი:

მოხუცი მართალი იყო, — თითო-ოროლა კოშკის გარდა, არც ერთს არ შერჩენოდა მთელი სახურავი, პოწოლკავები ჩამტყდარიყო და ყავარიც შიგ ჩალეწილიყო. ადვილი წარმოსადგენია, რა დღე დაადგებოდა მურყვამებს ზაფხულის წვიმიანობისას და ზამთრის თოვლჭყაპიბაში. ზოგიერთი სულაც თავმოშვლეპილი მოხუცივით უბრად იდგა, თითქოს დარდი რამ შემოსწოლიაო; სიბრალულის გრძნობა დამეუფლა მურყვამებისადმი — მეცნაურა მაბილას სიტყვების არსი და მნიშვნელობა, სულიერივით რომ მიმართავდა და წარმოსახავდა გოლიათ ციხეკოშკებს, ნათესაურად, ახლობლურად რომ განიცდიდა იმათ ჭირ-ვარამს. შემეცოდნენ კოშკები — მართლაც უცნაური ბედი დამყვათ ამ ბებრუხანებს — საქართველოს ძლიერებისა და აყვავების ხანაში, მეათე-მეთორმეტე საუკუნეებში მთელი ლომის ხეობა და არა მარტო ლომის ხეობა, მთელი საქართველო მოიცვა აღმშენებლობის ჰეროიკამ. ბარში ეკლესიებსა და მონასტრებს, ციხეებსა და სალოცავებს აშენებდნენ, მთაში კი, და მეტადრე ენგურისა და ცხენის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყლის რეგიონში ტანწერწეტა გოლიათების აღმართვას შეუდგნენ. საოცარი ტემპით გაჩაღდა მშენებლობა. თითქოს იანდევესო მოსალოდნელი ხიფათები, სათანადო თადარიგს შეუდგნენ თემები, გვარები და საძმოები, თავისუფალი სვანეთს ეკონომიკური საშუალება გასაქანს აძლევდა მთათა და მწვერვალთა ტოლფერი მურყვამები მოემრავლებინა. ბუნებრივი იყო — თანასწორუფლებიან საზოგადოებას, უბატონოსა და „თავის თავის მოყუდნეს" ძალუძდა ასეთი ამაღლებული და დახვეწილი ფორმით ეზღო ხარკი სულიერი თავისუფლებისათვის.

შესაძლოა მურყვამების მშენებლობის პროცესმა, როგორც ეს ხშირად ახასიათებს ხოლმე ანალოგიური ხასიათის საზოგადოებრივ ტენდენციებს, რომელიღაც მომენტში თვითმიზნური შეჯიბრის, გვარებსა და თემებს შორის ქიშპობის ფორმაც კი მიიღო, რადგანაც ციხეთა სიმრავლე თავისთავად თემისა და გვარის ძლიერებას ნიშნავდა, მაგრამ საბოლოო ჯამში ამ საყოველთაო მოძრაობამ მაინც სასურველი შედეგი გამოიღო — სვანეთის მაღალმთიანეთი მტრისად შემართული ისეთი მუშტებით დაიბურძგლა, რომ მეკობრეებს აქეთ ცხვირის შემოყოფის მადა სამუდამოდ დაუკარგა. არა და ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში და არა მარტო აღმოსავლეთში, უკიდურეს სამხერთშიაც და ქართლსა და იმერეთშიაც კი ხშირი იყო ხოლმე ლეკთა ავადმოსაგონარი თარეშები, დასავლეთსაც მრავლად მოეძევებოდა დამშეული მეზობლები, რომელთა პარპაშზე და შემოსევებზე სვანურ ხალხურ ზეპირსიტყვიერებასა და მითოლოგიას არაერთი საგულისხმო ამბავი შემოუნახავს. გავიხსენოთ თუნდაც დედისერთა მირანგულას ტრაგიკული თავგადასავალი, მშობლებამოწყვეტილი ახლა თვითონაც ამ სამტრო შეტაკებას რომ ემსხვერპლა სვანეთის კავკასიონის ფერცხალებზე. როგორც ზემოთაც ითქვა, ამ მურყვამებმა საუკუნოდ წაუხდინეს გუნება-განწყობილება მეკობრეებს და არამკითხე მოთარეშეებს. მურყვამებმა გაწეული ხარჯები, ეკონომისტების ენით რომ ვთქვათ, ასმაგად აანაზღაურეს — მათ უცხო ჩქამი გაწყვიტეს ენგურის ხეობაში, ხანგრძლივი სიმშვიდე ჩამოახახლეს და ხალხის ენერგია მომხვდურებთან სისხლისღვრისა და კინკლაობისაგან გამოანთავისუფლეს და ამით, ვინ უწყის, რა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტების წარმოჩენასა და მომძლავრებას, ერის გამრავლებისათვის ხელსაყრელი სიტუაციის ჩამოყალიბებას შეუწყეს ხელი. მართალია, მიწების სიმწირისა და მოსავლის სიმცირით გამოწვეული ადგილობრივი მტრობა და შუღლი ძალაში რჩებოდა, მაგრამ ისიც შეღავათი იყო, რომ გარეშე მტრის პრობლემა აღარ ედარდებოდა მოსახლეობას, ორ ფრონტზე არ უხდებოდა ძალების გაწევა.

უნდა აღინიშნოს, რომ საზღვრების გამაგრებამ სამოყვროდ განაწყო მეზობლები. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, როცა დაპყრობის იმედი გადაუწყდათ, აღაფზე ფიქრი უკვე ფუჭ ოცნებად ექცათ, პრაქტიკოსმა ქედგადმეღლებმა კეთილურთიერთობის დამყარება არჩიეს თავიანთ მომძლავრებულ მეზობლებთან. ეს ხელსაყრელი იყო მათთვის ეკონომიკური, სავაჭრო-პოლიტიკური და საყოფაცხოვრებო თვალსაზრისით. „მეზობელო კარისაო, მზეო ორთავ თვალისაო!" — გაიხსენეს ძველი ანდაზა და სწორედ იმ ხანიდან თანდათან გაფართოვდა კონტაქტები, ერთმანეთთან მიმოსვლა. ნათესაური ურთიერთობებიც კი ქედგადმელ-გამოღმელებს ახსოვთ მრავალი მაგალითი კეთილმეზობლური, ამაღლებული, გულწრფელი ურთიერთობისა, გაჭირვების ჟამს მხარში დგომისა, ერთმანეთისათვის თავგანწირვისაც კი.

## კეთილი ბრალმდებელნი ანუ წარსულის სევდიანი გახსენება:

ჩვენ ზემოთ ორიოდე სიტყვით შევეხეთ მარგიანების კოშკის საბედისწერო ისტორიას. ადამიანის თავისუფლებისმოყვარე სულისა და ფანტაზიის ამ ხელთუქმნელ ძეგლ-სიმბოლოს თვით ჟამთადინებამ და, ამავე დროს, საზოგადოებრივმა უყურადღებობამ და ინდიფერენტიზმმა გამოუტანა მუხთალი განაჩენი — მოუსწრაფა სიცოცხლე.

ორმოციან წლებში მარილივით დაილია ფალიანების საგვარეულო კოშკი იმავე სოფელ ლანჩვალში. შეიძლება ითქვას, რომ მას მარგიანებისაზე ტრაგიკული ხვედრიც კი ერგო: მოსახლეობამ და უპირველეს ყოვლისა კი, მისმა პატრონებმა სამშენებლო მასალად დაანგრიეს და ასე ნაკუწ-ნაკუწ წაიღ-წამოიღეს და მოაშთვეს. არა და, კაცმა რომ თქვას, მის პატრონებს ეს ტანწერწეტა კოშკი დასანგრევად როდი ემეტებოდათ. ყველაფერი გამოიწვია იმან, რომ მოუვლელობისაგან მურყვამს ქონგურები მოერღვა. თოვლმა და წვიმამ ზედა სართულებს ლიბო მოუშალა და უკურნებელი სენი შეჰყარა, სენი კი თანდათან ჩაუჯდა ტანში — მაღლიდან ქვალოდმა და ხიჭ-ლორლმა დაიწყო ცვენა. ოდითგან მფარველი და იმედიანი მურყვამი ადამიანისთვის საშიში და ზედმეტი ბარგი გახდა: იმჟამად მისი ბედი პატრონის მეტს არავის აწუხებდა ამ ქვეყანაზე, მაგრამ საყოველთაო ძნელბედობის გამო მასაც აღარ ძალუძდა კოშკის ჯეროვანი მოვლა-პატრონობა და შენახვა. და აი, რომ უვნებელეყო ქვათა ცვენით გამოწვეული საშიშროება და საფრთხე, იოლ გამოსავალს მიაგნო — ნგრევას მიჰყო ხელი...

ასეთი, ხვედრი მრავალმა კოშკმა გაიზიარა სვანეთში. ნაკრძალ სოფელ ლანჩვალში კიდევ ორი კოშკი არის ამგვარი მარტივი გზებით მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წასთან გასწორებული, ერთი სახელგანთქმული მთამსვლელების ბექნუ და გაბრიელ ხერგიანების საძმოს კუთვნილი და მეორე — ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი ედუკ ხერგიანის ოჯახისა ამ ბოლო დრომდე იყო კიდევ მეხუთე — სანახევროდ ჩამონგრეული გოშთელიანების მურყვამი, ამჟამად ძეგლთა დაცვის სამმართველოს მიერ აღდგენილი. ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი...

ასე რომ, ერთ მომცრო უბანში მხოლოდ ამ ბოლო რამდენიმე ათეულ წელიწადში ბლომად დანაკლისი განვიცადეთ დანგრეული კოშკების სახით, ხოლო ფილიფე ხერგიანის მურყამეს მდგომარეობას საგანგებოდ გვინდა გავუსვათ ხაზი — კოშკს ერთი ნაბზარიც კი არ ეტყობა, იგი ჯანმრთელი და სალ-სალამათია. მაგრამ, სამწუხაროდ, თვალშისაცემად არის გადაზნექილი, კოშკის ქონგურებიდან ჩამოკიდებულმა შვეულმა ნახევარი მეტრის გადახრა აჩვენა. მურყვამს ეტყობა, საძირკველმა უღალატა. მის სიახლოვეს ძველთაგან არსებულმა წყაროს წყალმა — სარაგმა, ეტყობა, თავისებური გავლენა იქონია მიწის ქანების სტრუქტურაზე და საბოლოოდ კოშკის ბედ-იღბალზეც. ბუნებრივია, რომ „ავადმყოფობის გართულებამდე“ სჯობია მას შველა, თუ კი გვინდა რომ დაღუპვას გადავარჩინოთ.

თვალსაჩინოებისათვის განვავრცოთ ლანჩვალში არსებული მდგომარეობა მთელი სვანეთის მასშტაბით — რა სურათი გადაიშლება ჩვენს თვალწინ? დრო-ჟამისაგან იავარქმნილ მურყვამებს ცალკე მეფის რუსეთის იარანალისა და ცალკე საბატონო სვანეთის ფეოდალების მიერ მიწასთან გასწორებული კოშკებიც რომ მივათვალოთ, ორივე სვანეთში ხუთასამდე კოშკი დაგვიგროვდება. ეს დასტურდება სვანეთში კულტურის ძეგლების მდგომარეობის შემსწავლელი ექსპედიციის უტყუარი მასალების საფუძველზე, ასე რომ სვანეთი ოდესღაც იყო ხუთასი კოშკის მხარე. მერე და რა კოშკებისა. მათ ხელთუქმნელ სილამაზეზე ბევრჯერ გვქონია ზემოთაც საუბარი. მაგრამ მაინც ველარ ითმენ, რომ კიდევ ერთხელ არ გაუსვა ხაზი მურყვამების გრაციოზულობას, კონსტანტინე სიმონოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, მათს ფანტასტიკურობას. სვანეთის კავკასიონის ფონზე ლამარიის ეკლესიისა და უშგულის ფიქლიანი კოშკების სისადავეს...

სიტყვამ მოიტანა და ეს ლამარიის ეკლესიაა, რომლის ეზოშიც თავისუფლებისმოყვარე უშგულელებმა თავისუფალი სვანეთის ხელში ჩასაგდებად და დასამონებლად მობრძანებულ ფუუა დადეშქელიანს, მეტ სახელად — „ფალთაის“ — ანუ, როგორც ეს ერთ ხალხურ ლექსშია ნათქვამი — „ფუთა ფალთაის“, მთელმა სოფელმა ერთიანის ძალით განუმწესა სამუდამო სასუფეველი და არამკითხე სტუმარს მართლაც რომ „სიკვდილის ფინდიხი ალექვინა“. ასე დასჯეს ბალსზემოურებმა დამპყრობელი და ამით [illegible] მუდამოდ შეინარჩუნეს თავისუფლება, თავისუფლებაცა და მასთან ერთად კოშკებიც...

მაგრამ ისევ ჩვენს თემას მივუბრუნდეთ — ამ დანაკარგებზე შეგვახსენებენ ყველაზე უტყუარი დოკუმენტები — უძველესი და უნიკალური ფოტოები უცხოელი მოგზაურებისა. ჩვენ ზემოთ უკვე ვახსენეთ ინგლისელი მეცნიერი და მთამსვლელი ფრეშფილდი, რომელმაც დიდი ვალი დასდო სვანეთს — საქვეყნოდ გაახმაურა აქაური ხალხური არქიტექტურის ნიმუშები... ახლახან კიდევ აღმოჩნდა ფრეშფილდის წინამორბედი იტალიელი ვიტორიო სელას ასეთი შეუდარებელი სურათები, სადაც მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის სვანეთის პეიზაჟებია აღბეჭდილი. როცა ამ სურათების გადაღების წერტილები დაადგინეს მეცნიერებმა, გამოირკვა, რომ ლანჩვალის ხვედრი თურმე სხვა სოფლებსაც რგებიათ — მურყვამები იყო და, აღარ არის! მეტად გულდასანანი ფაქტებია...

კეთილი ბრალმდებელნი კი თითქოს წარსულის ლაბირინთებიდან საყვედურობენო ჟამთასვლის უმადურობასა და წუთისოფლის უკუღმართობას, და ჩვენც გვამუნათებენ — მეტის გულისხმიერებით მოვეკიდოთ ძეგლების მოვლა-პატრონობას; მარტოოდენ ბრტყელსიტყვაობა, სარეკლამო ბაქიბუქი და თვალმახარული ენალაქარდიანობა თუ არა ვნებს საქმეს, რგებით ვერაფერს შველის მას...

* * *

ავტორი:

1980 წ.

ხალდეს კოშკები მტერმა დააქცია. მიუჩოჩა ზარბაზნები და მანამდე უბათქუნა, ვიდრე არ მოაშთო და მიწასთან არ გაასწორა. ეს იყო მეთხუთმეტე საუკუნის მერე მეორე შემთხვევა, როცა კოშკებს ადამიანებმა მოუთავეს ხელი. და ორივე შემთხვევაში საფუძველი ერთიდაიგივე გახლდათ — იქ ადგილობრივ გაბატონებულ კლასებს არ მოსდიოდათ თვალში თავისუფლების ბურჯების, საიმედო კერების არსებობა და აქ კიდევ ცარიზმის ბიუროკრატიულ მმართველობას. ერთიც და მეორეც ტრაგიკული შედეგით დამთავრდა აქაური მოსახლეობისათვის და ასევე უფრო ფართო გაგებით, საერთოდ, ზოგადქართული კულტურისათვის, რაც დასანანია და სამწუხარო. მაგრამ არის კიდევ მესამე ძალა, მესამე მტერი, რომელსაც ნაკლები ვნება როდი მოუტანია და მოაქვს კიდევაც ჩვენი კულტურისათვის — ეს არის ჩვენივე უდარდელი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება სიძველეთა ძეგლების მოვლა-პატრონობისადმი, რაზედაც თავისი გულისტკივილი გაგვიზიარეს ლანჩვალელმა კეთილმა მოხუცებმა ედუკმა და მაბილამ, რაზედაც გული შესტკივა აქაურ მაცხოვ-

რებელთა — საქმეში ჩახედულ და გათვითცნობიერებულ ნაწილს, ლამის მთელ სვანეთს.

გადამდებია მაბილას და ედუკის სადარდებელი, და ამ ნაღვლიან ბილიკებს კვლავ იქითკენ მივყავართ, ვისაც უპირველესად ეხება საქართველოში კულტურის ძეგლების მეურვეობა და მფარველობა, მათი მკურნალობა, რესტავრაცია. ეს არის ძეგლთა დაცვის სამმართველო, თავისი რეგიონალური სარესტავრაციო უბნებითურთ. მართლაც რაოდენ სასიამოვნო მოდერნიზაცია მოხდა ამ ბოლო დროს, როცა საქართველოს ტერიტორიაზე გაბნეული და ფიქსირებული 15.000 ძეგლის მეურვეობა ერთ პატრონს დაევალა — კომპეტენტური მეცნიერებისაგან დაკომპლექტებულ მძლავრ და მოქნილ ორგანიზაციას. მრავალი მიზანი დაისახა აღნიშნულმა ორგანიზაციამ, მრავალს გაართვა კიდევაც თავი, მრავალი ექსპერიმენტი განახორციელა, მრავალი ისევ განსახორციელებელი აქვს. ჩვენ ამ წერილზე მუშაობისას სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებთან ძეგლების მდგომარეობისა და მოვლა-პატრონობის სხვადასხვა ასპექტზე გვქონდა საუბარი. ყველა მათგანი აღნიშნავდა ამ სამმართველოს მაღალკომპეტენტურობას, მაგრამ ყველა გამოთქვამდა მისი საქმიანობის ფორმისა და მეთოდების გარდაქმნის, ამ ძიების პროცესის ბოლომდე დახვეწის, სიტყვის საქმედ ქცევის და მოქნილუნარიანობის გაძლიერების სურვილს. კარგად არის ცნობილი, რომ ძეგლთა მოვლა-პატრონობისათვის სახსრების შეგროვების კამპანიაში მთელი საზოგადოებრიობა იღებს მონაწილეობას, არავინ არ იშურებს ხარჯის გაღებას ამ საქმისათვის, სამაგიეროდ, მას გაუჩნდა უკვე კანონიერი გრძნობა მაღალი მომთხოვნელობისა, რადგანაც საკუთარ საქმედ მიიჩნია იგი.

ბიძინა ხერგიანი — მესტიის რაისაავადმყოფოს ექიმი:

— ჩვენი საგვარეულო საცხოვრებელი სახლის კომპლექსი მართლაც უნიკალურია თავისი მნიშვნელობით და ამაზე აღარ გავაგრძელებთ სიტყვას. მისი შესყიდვის საკითხი ჰა და ჰა, როგორც იქნა, გადაწყდა. ყოველივე კი იმ ათი-თხუთმეტი წლის წინ დაიწყო — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ გამოთქვა მისი შეძენის სურვილი. ოღონდაც აკადემიას უნდოდა, რომ ძეგლთა დაცვის სამმართველოს შეკეთებისა და რესტავრაციის გარანტია მიეცა. თვითონ ძეგლთა დაცვის სამმართველო რატომღაც არ იჩენდა ამ საქმეში სათანადო დაინტერესებას. და იყო ეგ საქმე ეგრე ალალბედზე მიგდებული.

ამ თხუთმეტიოდე წლის წინ მე და ჩემს სახლიკაცებს გამოგვიცხადეს: ამ ძველ საცხოვრებელს ხელი არ ახლოთ, არაფერი შეჰმატოთ და არაფერი გამოაკლოთ, ჩვენ უნდა შევისყიდოთ ამ სახითაო. კეთილი და პატიოსანი. ჩვენც ასე მოვიქეცით. ხელი არ გვიხლია იქაურობისათვის, ეზო-კარი ლაფ[illegible] ქარებსა და წვიმას დავურჩინეთ [illegible] და ეს თხუთმეტი წელი შევცქეროთ, როგორ ინგრევა და იღუპება იქაურობა, შევცქეროთ და გვეტირება! მე კიდევ ავიკარი გუდა-ნაბადი და თბილისსა და მესტიას შორის ამ წლების განმავლობაში ისეთი აბლაბუდა დავწანი, პირს ვერავინ აართმევს; ასე ამაოდ ვიწრიალე მესტიასა და თბილისს შორის... დავაფრიალებდი ქაღალდებს, მიმართვებს, წერილებს, შუამდგომლობებს: ამასობაში იცვლებოდნენ დრონი, ხელმძღვანელები, უქმდებოდნენ უწყებები, იმათ ადგილას ახლები ჩნდებოდა, კვლავ ყველაფერი თავიდან უნდა დამეწყო. პირადი ინტერესის გამო ალბათ ვერავინ დაგვძრახავს — გვსურდა მამაპაპური ალაგი და ფუძე ისეთი დიდი პატრონისათვის მიგვებარებინა, როგორიც სახელმწიფო გახლავთ. თანაც სამუზეუმოდ მიგვებარებინა და ამით ჩვენი უძველესი გვარის ღირსებისათვის რაღაც სასიამოვნო შტრიხი შეგვემატებინა. „კლდის ვეფხვის" სახელი და ხერგიანების კომპლექსი ერთმანეთს შეავსებსმეთქი — ვფიქრობდი. მაგრამ ეგ ფიქრი რჩებოდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ჩვენ კვლავ ცალკე ვიდექით და ვისაც მისი შესყიდვა ეხებოდა, ისინი ცალკე იყვნენ. არა და, ყოველწლიურად ჩამოდიოდნენ აკადემიკოსები, სხვადასხვა რანგის მეცნიერები, საპატივცემულო სტუმრები, ძეგლთა დაცვის სამმართველოს წარმომადგენლები და ჰქონდათ რაღაც გაუთავებელი ბჭობა. საიდუმლო სერობასავით თათბირები, ხანდახან კიდევაც გვიკვირდა — ეს ხომ საქვეყნო საქმეა და საკონსპირაციო აქ რაამეთქი, გამოგვიცხადონ სახალხოდ თავიანთი აზრი, ან იქით გადაწყვიტონ და ან აქეთ-მეთქი.

* * *

— რაღას იტყოდით ნივთიერი ძეგლების მდგომარეობის შესახებ? თუ ამ საკითხზე საუბარი მხოლოდღა სევდის მომგვრელად გესახებათ? — ვკითხე მიხეილ ჩართოლანს.

— ეს საკითხი ყველა ჩვენთაგანისათვის მართლაც რომ „აქილევსის ქუსლს" წარმოადგენს. თვით ეს ტერმინი — „ნივთიერი ძეგლები" მიგვანიშნებს იმაზე, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ხელოვნების განსაკუთრებული მნიშვნელობის საგნებთან და არა არქიტექტურულ და ხუროთმოძღვრულ ძეგლებთან, რომელთა მოპარვა და რეალიზაცია შეუძლებელია. სამწუხაროდ, კოშკებზე უარესი დღე არც იმათ დახდგომიათ გარეშე თუ შინაური მტრისაგან. კვლავ ციფრების ენა მოვიშველიოთ. დღეის მდგომარეობით ორივე ექსპედიციის მიერ აღრიცხულია ცხრაათასზე მეტი მეცნიერული და მატერიალური ღირებულების მქონე ნივთი, რომელთა ერთი ნაწილი განეკუთვნება ბრინჯაოს ხანას, ანტიკურ პერიოდს, ფეოდალურ ხანას და თანამედროვე ეპოქას. ამ ნივთების

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმეტესობა მორწმუნეთა მიერ არის ეკლესიისადმი შეწირული. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ფასდაუდებელია ფერწერული და ჭედური ძეგლები, რომელთა რაოდენობამ 600 ერთეულს გადააჭარბა. მათი დიდი უმრავლესობა მეათე-მეთორმეტე საუკუნეებშია დამზადებული ადგილობრივი ოსტატების მიერ. მოგვეპოვება მრავალი ხელნაწერი, რომელთა შორის მნიშვნელოვანია კალის კვირიკეს ეკლესიაში აღმოჩენილი გათლილ ხის ჯოხზე შესრულებული საერო ხასიათის გარიგება-ხელშეკრულებები. მსგავსი ძეგლები საქართველოში საერთოდ არ მოგვეპოვებოდა ამ მომენტამდე. არის აგრეთვე წარწერიანი თასები, ჯამები, აზარფეშები ასევე მეთოთხმეტე საუკუნით დათარიღებული...

— საქართველოს სხვა კუთხეებთან მიმართებაში სვანური სიძველის ძეგლებისათვის რა მიგაჩნიათ სპეციფიურ ნიშან-თვისებად? ერთი სიტყვით, გადავიდეთ ზოგადიდან კონკრეტულზე...

ჩვენს ამ შეკითხვაზე მეცნიერმა თქვა:

— ზოგად მსჯელობაში მართლაც ბევრი რამ ითქვა აქაურობისათვის ნიშანდობლივ და სპეციფიურ მოვლენებზე. ახლა დავუმატებ იმას, რომ სვანეთის სინამდვილეში ეს არქაულობა და სიძველე თავისი გამოვლინების ყველა ასპექტში გაქვავებული, ანდა ჩამქრალი სახით კი არ გვევლინება, არამედ იგი ხალხის ცოცხალ ყოფაშია შემონახული. ყოველივე ამას თავისი მიზეზები გააჩნდა. მთა უმკაცრესი მსაჯული იყო აქაური სოციალურ-პოლიტიკური და ყოფითი ურთიერთობებისა. ამ ნორმებიდან გადახვრას არავის აპატიებდნენ. ამიტომაც ძველი ჩვეულებებიდან ზედმეტი არაფერი იყო, გარდა გაჭირვების ნიადაგზე აღმოცენებული მტრობისა და შუღლისა, რაზედაც იყო დაფუძნებული შურისძიების და სისხლისაღების აქაური უაღრესად მავნე ინსტიტუტი. მაგრამ ცივილიზაციამ ეს მავნე ტრადიცია თავისთავად ჩამოახსნა ჯანსაღ სხეულს. რა ხანია, გაქრა მტრობის მიზეზი. ხალხი ეკონომიურად წელში გაიმართა და ურთიერთობამაც იცვალა სახე. მოსახლეობამ შვებით ამოისუნთქა. ერთ მშვენიერ დღეს მათ აღმოაჩინეს, რომ იმ ძველი მამაპაპური მოვალეობის — სისხლის აღებისა და შურისძიების შთამომავლობითი ვალდებულების უშველებელი ტვირთი მოეხსნათ მხრებიდან, და დღეიდან უკვე მხოლოდ-ღა თავის საქციელზე იყვნენ პასუხისმგებლები. პირქუშმა სვანებმა ერთი შვებით ამოისუნთქეს. აქაური სოფლები სამოყვრო ბილიკებით დაიქსელა.

ადამიანთა ყოველდღიურ ყოფაში შემონახულ მავნე ტრადიციებთან ბრძოლა — აუცილებელი და გადაუდებელი საქმეა. მაგრამ აქვე მთელის პასუხისმგებლობით უნდა ითქვას, რომ არის მთელი რიგი სხვა ჩვეულებებისა, რომელთაც უნდა გავუფრთხილდეთ, ვეცადოთ, რომ შემოვინარჩუნოთ, განვავითაროთ, ახალი ელერადობა შევძინოთ, დღევანდელობის შესაფერისი ფორმით წარმოვადგინოთ... ამას იმიტომ ვამბობ, რომ ბევრ ვინმეს არასწორად აქვს გაგებული მავნე გადმონაშთებთან ბრძოლის არსი. იგი ხელაღებით ებრძვის ყველაფერს, რაც ძველია და ერთ ტაფაში აქცევს კარგსა და ცუდს. ასე შეეცადნენ სპორტული დღეობის, ალბათ მსოფლიოში შეუდარებელი ხალხური სანახაობის „ჭგვიბის" აკრძალვას და მიაღწიეს კიდეც; ასე შეეცადნენ ჰულიშის — მარულა-შეჯიბრების დაგმობას და მიაღწიეს კიდეც. რამდენი რამის ჩამოთვლა შეიძლება, რაც იყო და აღარ არის და ამაში მცირე როლი როდი შეასრულა ზემოდან მომდინარე მეცნიერულად დაუსაბუთებელი, საგულდაგულოდ შესწავლილი და შეჯერებული დირექტივების ქვემოურთა მიერ არასწორმა ინტერპრეტაციამ... გასულ წელს ამ ჰულიშის დღეობის გადასახლებად სპეციალურად ჩამოვიდა ხენკევიჩის ჯგუფი მოსკოვიდან. დღეობა კი „ადგილზე არ დახვდათ". რაღას იზამდნენ? მისი აღდგენა შეიქნა საჭირო და ეს იმ დროს, როცა ორიოდე წლის წინ ამ დღეობის მონაწილე ახალგაზრდობას ადგილობრივი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი მთელი სიმკაცრით ებრძოდა.

☐ დასასრული იქნება ☐

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათელა არველაძე

# რუსთაველის სახელობისა...

## განახლებული ქართული თეატრის 100 წლისთავის გამო

„დიდია, განუზომელია მნიშვნელობა თეატრისა ყველა ერისათვის. კულტურა თეატრისა უმაღლესი კულტურაა ერისა. იგი ბარობს, ფრთებს ისხამს მასთან ერთად და ეცემა, კვდება ერის სიკვდილთან ერთად", — აღნიშნავდა დიდი ქართველი რეჟისორი სანდრო ახმეტელი. მართლაც, სათეატრო ხელოვნება ქვეყნის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაკადია, რომელშიაც აირეკლება ხოლმე ერის პოტენციური შესაძლებლობანი და მისწრაფებანი; განახლებული ქართული პროფესიული თეატრის ასწლოვანი ისტორია ნათლად გვიჩვენებს რაოდენ ძლიერი იყო და არის ჩვენი ერის სულიერი კულტურა, მისი ტრადიცია. ქართული პროფესიული სცენა თავისი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე გამოხატავდა მოწინავე მამულიშვილთა კეთილშობილურ მიზნებს, ეხმიანებოდა თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებს; ქართული თეატრის თვითმყოფად ხელოვნებაში ინტერნაციონალური სულისკვეთებაც ირეკლებოდა.

სათეატრო ხელოვნება, რომელიც სინთეზურია თავისი ბუნებით, გამოხატავს კიდეც ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმატებებს. ქართული პროფესიული სცენაც ამ ასი წლის მანძილზე ითვისებდა ქართული მწერლობის, სახვითი ხელოვნების, მუსიკის, ქორეოგრაფიის და სხვათა მიგნებებს. ამავე დროს იზიარებდა და თავისებურად იყენებდა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების სათეატრო ხელოვნების მიღწევებს.

ყოველი ერის თეატრი, თავის მხრივ, მსოფლიო სათეატრო ხელოვნების შენაკადს წარმოადგენს და თავისი შემოქმედებით ეპოქის წამყვან ტენდენციას მეტ-ნაკლები ძალით გამოხატავს. მაგრამ თავისებურად, ინდივიდუალურად სწყვეტს დროის მიერ დასახულ ამოცანებს. ქართული თეატრიც მკვეთრად ინდივიდუალური გზით განვითარდა ქართულ ეროვნული კულტურის საერთო მდინარებაში და სადღეისოდ მსოფლიო სათეატრო ხელოვანთა აღიარება და მაღალი შეფასება დაიმსახურა.

1879 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში დაიდგა ბარბარე ჯორჯაძის პიესა „რას ვეძებდი და რა ვიპოვე". განახლებული ქართული პროფესიული თეატრიც წელთაღრიცხვას ამ თარიღიდან იწყებს. ამ დღიდან მას არსებობა არ შეუწყვეტია. შემდგომში იგი თბილისის ქართული დრამის სახელწოდებით იყო ცნობილი, ხოლო 1921 წლის 25 ნოემბერს შოთა რუსთაველის სახელი მიენიჭა. ეს თეატრი ამჟამად თავის ასწლოვან იუბილეს იხდის.

თუ თვალს გადავავლებთ დოკუმენტებს და ღრმად ჩავუკვირდებით ქართული პროფესიული თეატრის ისტორიას (1879-1979), შევნიშნავთ, რომ მან განვითარების რამდენიმე ძირითადი ეტაპი განვლო. პირველი პერიოდი მოიცავს XIX საუკუნის 80-იან წლებს და XX საუკუნის დამდეგს. ამ პერიოდის ქართული თეატრი „აქტიორული თეატრია", „მსახიობ-ვარსკვლავთაგან" შემდგარი დასით. ამავე დროს შეინიშნება თეატრი-დრამატურგის ერთიანი სისტემის რღვევის პროცესიც.

XX საუკუნის დასაწყისიდან პროფესიულმა რეჟისურამ მნიშვნელოვნად გაზარდა თეატრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადადგმო კულტურა. ესაა მეორე პერიოდი, როცა „მსახიობის თეატრი" თავისებურად ითვისებს „რეჟისორული თეატრის" ელემენტებს. ეს პერიოდი ამ ორი კომპონენტის სინთეზის პირველი ცდაა.

XX საუკუნის 20-იანი წლიდან თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ძვრები შეინიშნება, რაც რეჟისორის ადმინისტრაციული და შემოქმედებითი ავტორიტეტის დამკვიდრებით აღინიშნება. იწყება მესამე მნიშვნელოვანი პერიოდი თეატრის ისტორიაში, რომელიც კ. მარჯანიშვილის რეფორმასთან არის დაკავშირებული.

1926-35 წლები გარკვეული სათეატრო მიმართულების აღორძინების პერიოდია. მკვეთრი ინდივიდუალობის მქონე რეჟისორის — ალ. ახმეტელის, ხელმძღვანელობით თეატრმა გამოკვეთა ე. წ. რომანტიკულ-ჰეროიკული საშემსრულებლო სტილი. რუსთაველის სახელობის თეატრი ჩვენი ქვეყნის სათეატრო კულტურის ყველაზე მოწინავეთა შორის აღმოჩნდა და მის საზღვრებს გარეთაც მოიპოვა სპეციალისტთა დიდი აღიარება.

1935 წლიდან 50-იან წლებამდე რუსთაველის სახელობის თეატრში ლიდერის რეჟისორულ ძიებებს შეენაცვლა ნიჭიერ მსახიობთა ხელმძღვანელობა. ამ პერიოდის თეატრი უკვე აღარ იყო რომანტიკულ-ჰეროიკული მიმართულების კლასიკური გამომხატველი.

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში კვლავ მკვეთრი ცვლილებები შეინიშნება. ახალი თაობის რეჟისორთა და მსახიობთა ხელოვნებამ თვისებრივად შეცვალა თეატრის სახე. გმირულ-ჰეროიკულ ნაკადს შეენაცვლა და ამ მიმართულებით პარალელურად განვითარდა ხელოვნების ის სახეობა, რომელშიც ინტელექტუალურმა ნაკადმა, ანალიტიკური აზროვნების სიღრმემ, გრძნობათა სიწრფელემ და ცხოვრებისეული სიმართლის ასახვამ იმძლავრა.

70-იანი წლებიდან გამოიკვეთა და განვითარდა თანამედროვე ფორმათა ძიების გამომხატველი, მოდერნის თეატრის პრინციპების მატარებელი სათეატრო ესთეტიკა, რომელმაც მსოფლიო აღიარება მოუტანა თეატრს და იგი მოწინავე სათეატრო კულტურისა და მაღალი რანგის ხელოვნების მქონე თეატრებს შორის გამოარჩია.

უოველი პერიოდის სასცენო ხელოვნება, რა თქმა უნდა, იმ სოციალ-პოლიტიკური ძვრების გამომხატველი იყო, რა პროცესებიც მიმდინარეობდა თანამედროვე ცხოვრებაში.

ახლა უფრო დაწვრილებით შევეხოთ ზემოთჩამოთვლილ პერიოდებს.

**პირველი პერიოდი:** განახლებული ქართული ეროვნული თეატრის უშუალო წინაპარი, როგორც ცნობილია, იყო გიორგი ერისთავის თეატრი, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ქართული პროფესიული თეატრის დაარსებასა (1850 წ.) და შემდგომ განვითარებაში. თავის მხრივ კი გ. ერისთავის თეატრი აღმოცენდა ქართული მრავალსაუკუნოვანი სათეატრო კულტურის ნიადაგზე.

გ. ერისთავი თავის თავში აერთიანებდა დრამატურგის, რეჟისორისა და მსახიობის ხელოვნებას და ავტორისეული თეატრის კლასიკურ სახეობას ქმნიდა, ისევე როგორც მოლიერი — საფრანგეთში, შექსპირი — ინგლისში, კ. გოცი — იტალიაში და სხვ.

გ. ერისთავის თეატრის სპექტაკლების შეწყვეტის შემდეგ საზოგადოების მისწრაფება სათეატრო ხელოვნებისადმი არ გამქრალა. სცენისმოყვარენი მართავდნენ წარმოდგენებს საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეში. ერთ-ერთი ასეთი წრის საქმიანობა დაედო საფუძვლად პროფესიული თეატრის აღორძინებას, რომელიც ახალ ხარისხში ავლენდა გ. ერისთავის თეატრის მხატვრულ აზროვნებას.

ქართული პროფესიული თეატრის განახლების მოთავენი იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დიმიტრი ყიფიანი, დავით ერისთავი, გიორგი თუმანიშვილი, ნიკო ავალიშვილი, იოსებ ბაქრაძე, ალ. სარაჯიშვილი და სხვ. 1879 წელს შეიქმნა დრამატული საზოგადოება (წესდების ტექსტის შედგენა დაევალათ დ. ყიფიანს და ნ. ნიკოლაძეს), რომელსაც აგრეთვე ასი წელი შეუსრულდა ამჟამად. როგორც ვხედავთ, სათეატრო ხელოვნებას საძირკველი ქართველმა მოწინავე და პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციამ ჩაუყარა. მოწინავე მამულიშვილთა თაოსნობით განახლებული პროფესიული თეატრი მისივე მხარდაჭერით საზრდოობდა; ამიტომაც სრულიად კანონზომიერად იქცა იგი დემოკრატიული იდეების მქადაგებელ ასპარეზად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთ იარაღად.

უპირველესად ქართული მწერლობისა და საზოგადო მოღვაწეთა მსოფლშეგრძნება განაპირობებდა ქართული თეატრის მოქალაქეობრივ მრწამსს: დ. ყიფიანის, ილიას, აკაკის, გ. წერეთლის და სხვათა მოსაზრებანი სათეატრო ხელოვნებაზე საძირკველს უყრიდა მაღალ პროფესიულ, ეროვნულ, ზოგადსაკაცობრიო იდეალების მსახურ ტრიბუნას — სასცენო შემოქმედებას.

ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ „სცენა იგივე სკოლაა, რომელიც ცხოველის სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭკუას... დღეს ჩვენს მდგომარეობაში სცენის მეტის სხვა ისეთი სალხარი არა აქვს რა ჩვენს ხალხს, რომ გონება, გული გაეხსნას და ენაც ავარჯიშოს საჯაროდ, საქვეყნოდ".

აკაკი წერეთელი მოუწოდებდა: „თეატრი, საზოგადოდ, უმაღლესი სასკოლო სარბიელია, საიდანაც ხელოვნურად შეზავებული, სარგო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე დროს, სასარგებლო რამ მსმენელ-მაყურებლებს გრძნობა-გონებას უხსნის და ცხოვრების ბრძმედში ატარებს".

დ. ყიფიანის ოჯახში ხშირად იყრიდნენ თავს სცენისმოყვარენი, შემდგომ, პროფესიული თეატრის დასიც. ხშირად დ. ყიფიანი თავად კითხულობდა დასადგმელ პიესას და სწვრთნიდა ახალგაზრდობას მუსაიფით: „თეატრი არის უდიდესი სკოლა კაცობრიობისათვის, ეს უბრალო რამ, სახუმარო საქმე კი არ არის, ისეთი რამ არის, რომ შიგ თავს იყრის ასი და ათასი სხვადასხვა შეხედულების, სხვადასხვა ხასიათის და მისწრაფების ქალ-კაცი და ეს ამოდენა ხალხი თეატრში ერთი და იგივე ცრემლითა სტირის, ერთი და იგივე სიცილით იცინის! ამ უდიდეს სკოლაში ადამიანი ბევრს რასმე შეიძენს თავის გონებაგახსნილობისათვის".

თავისი სტრუქტურითა და მრწამსით აღდგენილი ქართული თეატრი მკვეთრად ემიჯნებოდა საკარო, საიმპერატორო თეატრებს. თავისი მოქალაქეობრივი მრწამსით — დემოკრატიული გახლდათ, ხოლო შემოქმედებითი მიმართულებით — რეალისტური.

დემოკრატიული, საყოველთაო-საჯარო თეატრის შექმნის მოთხოვნილება გასული საუკუნის 80-იანი წლებისათვის თითქმის ყოველი მოწინავე ქვეყნის საზოგადოებრივ აზროვნებაში მწიფდებოდა. სოციალ-პოლიტიკურმა გარემომ ხელი შეუწყო დემოკრატიული იდეების მომძლავრებას, ხოლო სათეატრო ხელოვნების მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ ნიადაგი შეამზადა, რომ გამოჩენილიყო პიროვნება (რეჟისორი ან მოწინავე ინტელიგენცია, როგორც საქართველოში), რომელიც ახალ საქმიანობას წამოიწყებდა და შემოიკრებდა თანამზრახველ ხელოვანთა კრებულს.

1879 წელს აღდგენილი ქართული თეატრი საყოველთაო-საჯარო თეატრი იყო. ერთიანი რწმენით გამსჭვალული სათეატრო კოლექტივი ეხმიანებოდა ამავე პერიოდში წარმოქმნილ სათეატრო ხელოვნების ძირითად ტენდენციას (სცენაზე ცხოვრებისეული სინამდვილის ილუზიის შექმნა და მისი კრიტიკა, დემოკრატიული იდეები), რომლის გამომხატველი იყო საფრანგეთში — ა. ანტუანის „თავისუფალი თეატრი" (1887 წ.), გერმანიაში — ო. ბრამის „თავისუფალი თეატრი" (1889 წ.), ინგლისში — „დამოუკიდებელი სცენა" (1891 წ.), რუსეთში — კ. სტანისლავსკისა და ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს მიერ დაარსებული მოსკოვის სამხატვრო თეატრი (1898 წ.) და სხვ.

ქართული პროფესიული თეატრის აღდგენა უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის აქტი იყო. გარდა საზოგადოებრივი ყოფის წინამძღვრის როლისა, ქართულ თეატრს ენის სიწმინდის დაცვის მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობაც ეკისრებოდა. ამიტომაც ავალებდნენ თეატრის სულისჩამდგმელნი ქართულ სცენას ამ [illegible] შესრულებას.

განახლებული ქართული თეატრის რეპერტუარის წამყვან პათოსად პატრიოტული თემა იქცა. ამავე დროს, არ დარჩენილა არც ერთი ფენა საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომელთა ყოფა და მისწრაფებანი არ აესახოს ქართულ სცენას. მის რეპერტუარში საპატიო ადგილი ეჭირა ქართულ მწერლობას, რუსულ და დასავლეთ ევროპის დრამატურგიას; ავტორთა შორის უნდა დავასახელოთ გ. ერისთავი, ზ. ანტონოვი, ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, რ. ერისთავი, ა. ცაგარელი, ალ. ყაზბეგი, ალ. სუმბათაშვილ-იუჟინი, გ. წერეთელი, ვ. გუნია, კ. მესხი, გ. სუნდუკიანი, შექსპირი, მოლიერი, ბომარშე, ალ. დიუმა, ა. ოსტროვსკი, ა. სუხოვო-კობილინი და სხვ.

მსახიობების აღმოჩენასა, პროფესიული ჩვევების გამომუშავებასა, განათლებასა და დაოსტატებაში უდიდესი როლი შეასრულეს დ. ყიფიანმა, ილიამ, აკაკიმ, დ. ერისთავმა, ს. მესხმა თავიანთი ხელმძღვანელობით, პიესებით, რეჟისურით და კრიტიკული წერილებით. ამ პერიოდის რეჟისორები იყვნენ ძმები გიორგი და ივანე თუმანიშვილები, ნ. ავალიშვილი, მ. ბებუთაშვილი, გ. სუნდუკიანი, ვ. გუნია, კ. მესხი, ლ. მესხიშვილი და სხვ.

განახლებული ქართული თეატრი მაინც მსახიობის თეატრი იყო, „მსახიობ-თანავარსკვლავთა" დასი. მათ მიერ შექმნილმა გმირებმა უდიდესი როლი ითამაშეს ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. ამავე დროს შექმნეს ქართული სამსახიობო სკოლა. გარკვეული ხასიათების განხორციელებით მათ საძირკველი ჩაუყარეს ქართულ სასცენო საშემსრულებლო ტრადიციას. ესენი იყვნენ მ. საფაროვა-აბაშიძე, ნ. გაბუნია, კ. ყიფიანი, ვ. აბაშიძე, ლ. მესხიშვილი, ვ. გუნია, ეფ. და კ. მესხები, შემდგომ — ელ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჩხეიძე, ალ. იმედაშვილი, ხოლო რევოლუციის შემდეგ ამ თეატრში მოღვაწეობდა ნ. გოცირიძე.

სპექტაკლებს დგამდნენ თავად მსახიობებიც, ისინი ხელმძღვანელობდნენ სხვადასხვა დროს სეზონებსაც. ლ. მესხიშვილის რეპეტიციები, მისი სარეჟისორო გეგმები უნიკალურ მასალას წარმოადგენენ რეჟისორის პიესაზე და მსახიობებთან მუშაობის თვალსაზრისით.

ამიტომაც აღნიშნავდა 1894 წელს გ. წერეთელი: „ქართული თეატრი და ქართული სცენა იმდენად წინ წავიდა, რომ ჩვენზე ბევრად უფრო უკეთეს მდგომარეობაში მყოფი ერიც შეინატრებს ქართულ რეპერტუარს, ქართველ მსახიობთს დასს".

ამ პერიოდის მნიშვნელოვან სპექტაკლებს შორის აღსანიშნავია 1882 წელს განხორციელებული დ. ერისთავის „სამშობლო", 1904 წელს დადგმული ალ სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი" და სხვ. ამ სპექტაკლებმა საზოგადოებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კრიტიკის მაღალი შეფასება დაიმსახურეს, ნიადაგი შეამზადეს ქართული თეატრის შემდგომი განვითარებისათვის.

მეორე პერიოდი: XX საუკუნის დასაწყისიდან სათეატრო ხელოვნების სარბიელზე საგრძნობი ცვლილებები შეინიშნება. ამ დროისათვის სასცენო შემოქმედებაში უკვე დამკვიდრდა მეინინგელებისა, ა. ანტუანის და მოსკოვის სამხატვრო თეატრების პრაქტიკის გაზიარება, რაც რეჟისორის შემოქმედებითი ავტორიტეტის გამოკვეთითა და გაზრდით დაგვირგვინდა. ცხოვრებისეული სიმართლის წარმოსახვისათვის ბრძოლა ითხოვდა მსახიობის ახალი ტექნიკით შეიარაღებას, სადადგმო კულტურის ამაღლებას, ანსამბლურ შესრულებას: დეკორაციის, კოსტუმების, განათების პრობლემის გადაჭრას, რაც ძველი რეჟისურის მოღვაწეობის გადასინჯვას ითხოვდა.

იგივე პროცესი შეინიშნება ამ პერიოდის ქართულ დრამაშიც.

ამ დროისათვის საქართველოში დაბრუნდნენ მოსკოვის სამხატვრო თეატრის პრინციპებზე აღზრდილი რეჟისორები: ვ. შალიკაშვილი, ალ. წუწუნავა, მ. ქორელი, აკ. ფაღავა და ა. ანტუანის თეატრში მყოფი კ. ანდრონიკაშვილი. საგულისხმოა, რომ მათი მოღვაწეობა მხოლოდ დედაქალაქის თეატრით არ შემოიფარგლა. ახალი სათეატრო ესთეტიკის დამკვიდრებას ისინი სრულიად საქართველოს ტერიტორიაზე ცდილობდნენ — სპექტაკლებს დგამდნენ ქუთაისში, ბათუმში, ჭიათურაში, თელავში და სხვ. ამ გარემოებამ ზეგავლენა მოახდინა საერთოდ მთელი ქართული სათეატრო კულტურის განვითარებაზე. რა თქმა უნდა, ახალი სათეატრო ესთეტიკის დამკვიდრება პრაქტიკულ საქმიანობაში რთული აღმოჩნდა. რეჟისორთა ამ თაობის მოღვაწეობა ქართულ დრამაში სცენური კულტურის ამაღლებით, პროფესიონალიზმისათვის ბრძოლით, ჰარმონიული აქტიორული ანსამბლის დამკვიდრებით გამოირჩევა. მათ შემოქმედებაში აისახა ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური ცხოვრება, რევოლუციურად განწყობილი საზოგადოების მიზნები და მისწრაფებანი: სარეპერტუარო პოლიტიკის შეცვლით, ცხოვრებისეული სიმართლის ახლებური სცენური განხორციელებით, დახვეწილ გამომსახველობით საშუალებათა ძიებით, ადამიანის შინაგანი სამყაროს კვლევით, მასობრივი სცენების დამუშავებით, კიდევ უფრო გაალრმავეს სასცენო შემოქმედება და ქართული თეატრი განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანეს.

ამ პერიოდში ქართული თეატრის საშემსრულებლო ხელოვნება კიდევ უფრო ამაღლდა, რამაც თვალსაჩინო მსახიობთა ოსტატობა წარმოაჩინა. ძველი თეატრის მსახიობთა დიდებულ პლეადას შეემატნენ ნ. ჯავახიშვილი, ნ. დავითაშვილი, არაღელ-იმზნელი, ტ. აბაშიძე, ... დალიშვილი და სხვ.

ამ პერიოდის მნიშვნელოვანი დადგმებია ი. გედევანიშვილის „მხვერპლი" და „სინათლე", რომელთა განხორციელებისთვის სპეციალურად შესრულდა დეკორაციები.

გარდამავალ სპექტაკლად მოევლინა ქართულ დრამას ს. შანშიაშვილის „ბერდო ზმანია", რომელიც 1920 წელს დადგა ახალგაზრდა რეჟისორმა ალ. ახმეტელმა. ამ დროისათვის ქართული დრამა მეტად რთულსა და დაძაბულ პირობებში იმყოფებოდა. უსახსრობა და რეპერტუარის სიპრელე ამძიმებდა მის მდგომარეობას. ალ. ახმეტელის რეჟისორული პრინციპები კარგად შეესატყვისებოდნენ ახალ დროს. იგი ცდილობდა ქართულ დრამაში გაეღრმავებინა და დაემკვიდრებინა ახალი სათეატრო ესთეტიკა, რომელიც „რეჟისურის თეატრის" წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს. ამ სპექტაკლზე მუშაობას უკვალოდ არ ჩაუვლია; მსახიობთა და მაყურებელთა ფსიქიკაში მოხდა ძვრა, რომელმაც მალე გამოიღო შედეგი. რეჟისორთა წინა თაობის ხელოვნებამ, ამ წარმოდგენაზე მუშაობამ და სხვ. შეამზადა ნიადაგი კოტე მარჯანიშვილის მოღვაწეობისათვის ქართულ დრამაში.

მესამე პერიოდი: საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დაირაზმნენ კულტურის მუშაკები, რომ მთელის ძალით აესახათ ის ძვრები, რაც მიმდინარეობდა თანამედროვე ცხოვრებაში. „პროლეტარული მასების განვითარება", მათი ყოფისა, მისწრაფებათა და რევოლუციური ბრძოლების რომანტიკის გამოხატვა — გახდა სცენის ხელოვანთა ძირითადი საზრუნავი.

იმხანად ქართული დრამა წარმოადგენდა სხვადასხვა სათეატრო ესთეტიკის მომხრე ხელოვანთა კრებულს. იმდენი სათეატრო ენა, ინტერესი და მისწრაფება მეფობდა, რამდენი ნიჭიერი არტისტიც იყო დასში. სწორედ დასის მონოლითური შეკავშირება და დროის თანახმიერი ხელოვნების შექმნა დაედო საფუძვლად ამ პერიოდის სასცენო შემოქმედებას.

1922 წლის 25 ნოემბერს პრემიერის — ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროს" წარმატება, ქართული თეატრის აღზევება და შემოქმედებითი წინსვლა დაკავშირებულია კ. მარჯანიშვილის სახელთან, გამოცდილმა და სახელმოხვეჭილმა რეჟისორმა, რომელსაც უკვე ჰქონდა საინტერესო შემოქმედებითი ბიოგრაფია და სახელი რუსეთის თეატრალურ წრეებში, გარდატეხა მოახდინა ქართული თეატრის ცხოვრებაში, მის მდინარებას კალაპოტი შეუცვალა. ამ ცვლილებაში მონაწილეობდა ალ. ახმეტელიც. მათ გაბედულად შეუტიეს ძველი თეატრის ესთეტიკას, რუტინასა და შტამპს, ამით კი დროის შესატყვისი მაღალპროფესიული ხელოვნება შექმნეს.

კოტე მარჯანიშვილის რეჟისორული ძიებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულად გამოხატავდნენ თანამედროვე საბჭოთა სინამდვილესა და სათეატრო ხელოვნებაში წამოჭრილ პრობლემებს. მისი სწრაფვა — შეექმნა მაღალი იდეალების შემცველი, სადღესასწაულო თეატრი, საზეიმო განწყობისა და მხნეობის მომნიჭებელი ხელოვნება — თანდათან მიზანს აღწევდა. კ. მარჯანიშვილის სასცენო რეფორმამ წარმატებით დააგვირგვინა რეჟისორთა წინათობის ზრახვანი. სინთეზური ხელოვნებით, სათეატრო კომპონენტთა იშვიათი ჰარმონიულობით ქმნიდა იგი ერთიან ნაწარმოებს — სპექტაკლს, რომლის ავტორადაც რეჟისორი — კ. მარჯანიშვილი გვევლინებოდა. რეჟისორი-ავტორი თვისებრივად ახალი სასცენო ნაწარმოებისა, საქართველოში კ. მარჯანიშვილის სახელთან არის დაკავშირებული.

ამ პერიოდში სახელგანთქმული მსახიობების გვერდით აფიშაზე გაჩნდნენ ახალი გვარები: ვ. ანჯაფარიძე, თ. ჭავჭავაძე, უ. ჩხეიძე, აკ. ხორავა, აკ. ვასაძე, გ. დავითაშვილი, შემდგომ — შ. ღამბაშიძე, ვ. გოძიაშვილი, ს. თაყაიშვილი, გ. სარჩიმელიძე, ალ. გომელაური, ს. ყორყოლიანი და სხვ

მნიშვნელოვნად დაიხვეწა სპექტაკლების მხატვრული ფორმა, ამ მხრივ დიდი წვლილი მიუძღვით მხატვრებს — ვ. სიდამონ-ერისთავს, ი. გამრეკელს, ლ. გუდიაშვილს, კ. ზდანევიჩს, მ. შავიშვილს და სხვ.

წარმოდგენის მთლიანობის შეგრძნებაში საგულისხმო იყო კომპოზიტორების თ. ვახვახიშვილისა და კ. ფოცხვერაშვილის წვლილი. ამ პერიოდში განსაკუთრებული წარმატება ხვდა სპექტაკლებს: „ჰამლეტი“, „მზის დაბნელება საქართველოში“, „სალომეა“ და სხვ.

ორი დიდი რეჟისორის ერთობლივი მუშაობის პერიოდში თეატრმა შემოქმედებითი სახე საგრძნობლად შეიცვალა. ამაღლდა საშემსრულებლო და სადადგმო კულტურა. იმავე ხანებში ალ. ახმეტელის ინიციატივით თეატრში ჩამოყალიბდა ახალგაზრდა მსახიობთა კორპორაცია „დურუჯი“ (კ. მარჯანიშვილის პატივსაცემად შეარქვეს მისი მშობლიური ყვარლის მდინარის სახელი). კორპორაცია მიზნად ისახავდა ერთიანი მოქალაქეობრივი და სათეატრო იდეით კიდევ უფრო მჭიდროდ შეეკავშირებინა დასი, რათა იგი თანამოაზრეთა საკრებულოდ ექცია, ხელი შეეწყო ახალგაზრდა შემოქმედში პროფესიული ჩვევების გამომუშავებისათვის, ინტენსიურ ძიებათა შედეგად მიეგნოთ ახალი მხატვრული ფორმისათვის და სხვ.

1924 წლის 29 იანვარს კორპორაცია „დურუჯი“ ფართო საზოგადოების წინაშე წარსდგა. გარკვეული დროის შემდეგ კ. მარჯანიშვილის თაოსნობით დაარსდა ქუთაის-ბათუმის სახელმწიფო თეატრი (ახლანდელი კ. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრი).

მეოთხე პერიოდი: რუსთაველის სახელობის თეატრის სათავეში ჩაუდგა სანდრო ახმეტელი. მისი მოღვაწეობის ძირითადი მიზნები სათეატრო ხელოვნების თვისობრივად შეცვლის პროცესში ითვალისწინებდა შემდეგს: საბჭოთა სინამდვილის მნიშვნელოვანი პრობლემებისათვის მოეძებნა სახიერი ეროვნული ფორმა; ალეზარდა ეპოქის შესატყვისი აქტიორი — მოქალაქე. ცხოვრებიდან სცენაზე აეყვანა გმირი — რევოლუციის შემოქმედი და საბჭოთა სინამდვილის მშენებელი. „ჩვენი თეატრის ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ გამონახულ იქნას კომუნიზმის იდეების გამოხატვის ნაციონალური ფორმა“ — აღნიშნავდა ს. ახმეტელი და თეატრს, რომლის შენებასაც შეუდგა თანამოაზრეებთან ერთად, გმირულ-ჰეროიკული შეარქვა. რეჟისორის მოსაზრებათა პრაქტიკული განხორციელება რეპერტუარის ძირფესვიან შეცვლას გულისხმობდა. ორიგინალური დრამატურგია თანადროულობის გაზრდილ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებდა. ამიტომაც ალ. ახმეტელმა რეპერტუარში შეიტანა თარგმნილი პიესები, მათში კიდევ უფრო გაალრმავა სოციალური მოტივი, ხალხის მებრძოლი სულისკვეთება აზვირთებულ ტალღად აქცია. ორგანიზებულ მასად დარაზმა და სპექტაკლის იდეას დაუმორჩილა დაძაბული შრომისა და დაუთრგუნავი ძიების შედეგად დაიბადა სპექტაკლები: „რღვევა“, „ლამარა“, „ანზორი“, „თეთნულდი“, „ინტირანოს“ და სხვ. შემოქმედებითი კოლექტივის რომანტიკულ შემართებას, ჰეროიკულ მგზნებარებას, ერთიან მიზანსწრაფვას ამძაფრებდა აქტიორული განსახიერების ანსამბლურობა და მაღალი ოსტატობა. თ. წულუკიძის, ბ. შავიშვილის, ივ. აბაშიძის, ე. ლორთქიფანიძის, გ. დავითაშვილის, აკ. ხორავას, აკ ვასაძის, დ. მჟავიას და სხვათა მიერ განხორციელებული გმირები ქართული აქტიორული სკოლის ტრადიციის გამგრძელებლად და ახლის შემქმნელად გვევლინებიან. რეჟისორული აზროვნება, აქტიორული ოსტატობა, ი. გამრეკელისა, ი. გოკიელის და ი. ტუსკიას მეტყველი და ნატიფი ხელოვნება ქართული ეროვნული კულტურის მრავალფეროვნებას ავლენდა და საძირკველს უყრიდა მომავლის ხელოვნებას.

სანდრო ახმეტელი ფილოსოფიური სიღრმით აზროვნებდა და თეატრს დახვეწილ ფორმას უქმნიდა. მისი თეატრი ეპოქის ტრიბუნად, საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემათა ამსახველ ასპარეზად იქცა. მან შექმნა თეატრი-ფორუმის განსაკუთრებული სახეობა, რომელშიც დრამატურგი, რეჟისორი, აქტიორი, მხატვარი, კომპოზიტორი და ქორეოგრაფი მათემატიკური სიზუსტით გამოხატავდნენ სათქმელის მასშტაბურობას, გამომსახველობით საშუალებათა ლაკონიზმსა და გამიზნულებას. სინქრონული და ფერადოვანი ჟესტი გმირის შინაგან სამყაროს ხვეულებს ავლენდა; რეჟისორული უნაპირო ფანტაზია სცენაზე რისხვად შემა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთული ხალხისაგან უზადო კომპოზიციებს ქმნიდა, ოხტატის მიერ შექმნილ ფერწერულ ტილოს ემსგავსებოდა; მასის ცეცხლოვანი ტემპერამენტი, აზვირთებული რიტმი და ვნებათაღელვა ეპოქის მაჯისცემას უერთდებოდა და დიდებულ ხელოვნებას წარმოშობდა.

ალ. ახმეტელს თეატრისადმი უანგარო ერთგულება ახასიათებდა, შეგნებული ჰქონდა რეჟისორის როლი და მნიშვნელობა სათეატრო ხელოვნებაში; მან შექმნა ერთიანი იდეით შედუღაბებული დასი. ეს იშვიათი ნიჭია: მხოლოდ ერთეულები ფლობენ ასეთ უნარს — დარაზმონ შემოქმედებითი კოლექტივი, უხელმძღვანელონ მას და გარკვეული შემოქმედებითი მრწამსის თანამიმდევრული განვითარება შესძლონ. ს. ახმეტელი რეჟისორ-ავტორის კლასიკური განსახიერება იყო ქართულ თეატრში; ამიტომაც სარგებლობდა უდიდესი ავტორიტეტით. რეჟისურის ისტორიის განვითარებაში მას საპატიო ადგილი განეკუთვნება ანტუანის, გ. ფუქსის, ო. ბრამის, კ. სტანისლავსკის, ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს, მ. რეინჰარდტის, ე. პისკატორის, ვს. მეიერხოლდის, ევგ. ვახტანგოვის, კ. მარჯანიშვილის, ა. თაიროვის, ლ. კურბასის და სხვათა გვერდით.

ალ. ახმეტელის ხელმძღვანელობით რუსთაველის სახელობის თეატრმა საკავშირო და საზღვარგარეთელ სპეციალისტთა აღიარება მოიპოვა. 1930 წელს მოსკოვში ნაციონალური რესპუბლიკების თეატრების ოლიმპიადაზე გამარჯვებით, შემდგომ მოსკოვსა, ლენინგრადსა და ხარკოვში გამართულ გასტროლებზე მიღწეული წარმატებებით, მაყურებლისა და სპეციალისტების მაღალი შეფასებით დადასტურდა, რომ შემოქმედებითი კოლექტივისა და მისი ლიდერის მხატვრული პრინციპები, მოქალაქეობრივი პათოსი, რომანტიკულ-გმირული გზნებით განმსჭვალული ემოციები, ეპოქის თანაზიარ ხელოვნებას წარმოადგენდა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებით ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს ეხმიანებოდა. ეს მაღალი მისია წარმატებით შესრულდა, როგორც კლასიკის გაბედული ინტერპრეტაციით, ასევე თანამედროვე ავტორთა ნაწარმოებების სცენური ხორცშესხმითაც. თეატრმა ფართოდ გაუღო კარი დრამატურგებს — ბ. ლავრენევს, ვ. კერშონს, შ. დადიანს, ა. მირცხულავას, გ. შატბერაშვილს, ს. მთვარაძეს, პ. სამსონიძეს და სხვებს.

ალ. ახმეტელის რეჟისორული ხელწერისათვის ეგზომ დამახასიათებელია აზრის მასშტაბურ მეტაფორაში გამოხატვა, სადაც სპექტაკლის მთლიანობის პრინციპია გათვალისწინებული და ჩანაფიქრი ძლიერ ემოციას ბადებს — მრაიხანე კრეისერი „რღვევაში", მთიელთა ბანიანი კოშკების ნატიფი კონსტრუქცია „ანზორში", ცათაბჯენილი სვანური კოშკის სიდიადე „თეთნულდში", შინაგანად გამოფიტული, დაკოჟრილი ხე „ინტირანოსში" და სხვ. თანამოაზრე მხატვართან, ირ. გამრეკელთან და მსახიობებთან ერთად შექმნილ ამ მეტაფორულ აზროვნებასა და აქტიორულ შესრულებაში ნათლად ჩანდა ავტორის ინდივიდუალობა, ნაწარმოების მიმართება, რეჟისორული თვალთახედვის თავისებურება, რასაც აღფრთოვანებაში მოჰყავდა მაყურებელი. ემ. ბესკინი წერდა: „ამ თეატრზე, ამ სპექტაკლებზე მხოლოდ აღტაცებით უნდა იწერებოდეს! რა საუცხოო თეატრია, რა საუცხოო სპექტაკლებია! იგონებ ყველაზე უფრო შთამბეჭდავს, ყველაზე უფრო ძლიერ თეატრალურ შთაბეჭდილებას და უნდა აღიარო, რომ არც ერთის შედარება არ შეიძლება ამ წარმტაც ტემპერამენტიან, ამ განსაცვიფრებელ ფორმასთან..."

მეხუთე პერიოდი: მომდევნო წლების მანძილზე რუსთაველის სახელობის თეატრს სათავეში ჩაუდგნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები ა. ხორავა და აკ. ვასაძე. მკვეთრი ინდივიდუალობის მქონე ძლიერ პიროვნებას, შემოქმედებითად დიდად ავტორიტეტულ რეჟისორ-ლიდერს შეენაცვლა ნიჭიერ მსახიობთა ხელმძღვანელობა. ამ პერიოდში თეატრს დიდი აღიარება მოუპოვა რამდენიმე დიდებულად შესრულებულმა როლმა. საკავშირო და რესპუბლიკური პრესა უმეტესად აკ. ხორავასა და აკ. ვასაძის აქტიორულ პოტენციას აღნიშნავდა. იმდენად დიდი იყო მათი ხელოვნებისაგან მიღებული შთაბეჭდილება, რომ ფარავდა წარმოდგენების საერთო გადაწყვეტის, სპექტაკლის მთლიანობის პრინციპს. ამ მოთხოვნას აქტიორული რეჟისურა მთელის ძალით ვერ პასუხობდა. ყოველ შემთხვევაში, ამ პერიოდის პრესის გაცნობა საშუალებას არ იძლევა ვიმსჯელოთ წარმოდგენების რეჟისორულ ინტერპრეტაციისა და ხედვის მაღალ კულტურაზე (გარდა რამდენიმე გამონაკლისისა), რეჟისურის ხელოვნების იმ ამოცანათა გადაწყვეტაზე, რასაც ამ პერიოდის თეატრი ითხოვდა. ამიტომაც შესაძლებელია ითქვას, რომ მიუხედავად რამდენიმე აქტიორული ნამუშევრის დიდი წარმატებისა, რუსთაველთა შემოქმედებით ცხოვრებაში არ შეინიშნებოდა მკვეთრი და გაბედული რეჟისორული ძიებანი და აღარც თეატრი იყო ახმეტელისეული დროის ჰეროიკული ესთეტიკის ეკსტატური გამომხატველი. ნამდვილს — მიმსგავსებული შეენაცვლა და რუსთაველის სახელობის თეატრმა კვლავ იცვალა სახე.

სპექტაკლებით „არსენა" (დრამატურგი ს. შანშიაშვილი, რეჟისორი აკ. ვასაძე), „ნაპერწკლიდან" (შ. დადიანი, აკ. ვასაძე), „თოფიანი კაცი" (ნ. პოგოდინი, აკ. ხორავა), „გმირთა თაობა" (ს. კლდიაშვილი, კ. პატარიძე) და სხვ. თეატრი ცდილობდა რომანტიკულ-ჰეროიკული სტილის შენარჩუნებას. რუსულ კლასიკასა და თანამედროვე პიესებს დიდი ყურადღება ექცეოდა. თეატრმა დაიახლოვა მწერლები: ს. კლდია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილი, გ. მდივანი, შემდგომ — ვ. დარასელი, კ. კალაძე, გ. ბერძენიშვილი, ი. მოსაშვილი, ლ. ქუბაბრია, ვ. პატარაია, ი. ვაკელი და სხვ. ამ დროს შემდეგი სპექტაკლები დაიდგა: ალ. კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი“, გიორგი მდივნის „ალკაზარი“, ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“, შ. დადიანის „გუშინდელნი“, ს. შანშიაშვილის „გიორგი სააკაძე“, ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი“, დ. კლდიაშვილის ნაწარმოებთა მიხედვით ს. კლდიაშვილის მიერ შექმნილი პიესა „შემოდგომის აზნაურები“ (რეჟ. კ. პატარიძე) და სხვ.

განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო შ. აღსაბაძის მიერ შექსპირის „ოტელოს“ დადგმა: აკ. ხორავას ოტელო და აკ. ვასაძის იაგო — ეს იყო ქართული აქტიორული სკოლის კიდევ ერთი მონაპოვარი, რომელმაც აღაფრთოვანა ქართველი საზოგადოება, საკავშირო პრესა და არაერთი უცხოელი სპეციალისტი. ცნობილი შექსპიროლოგი მ. მოროზოვი აღნიშნავდა: „დიდება თეატრს, ვისაც ასეთი აქტიორი ჰყავს... ოტელო-ხორავა — შექსპირის მეგობართა ნამდვილი დღესასწაულია, ეს არის მთელი საბჭოთა თეატრის, მთელი საბჭოთა კულტურის დღესასწაული“. აქტიორული შესრულების ოსტატობით აღფრთოვანებული ვ. კაჩალოვი სწერდა აკ. ხორავას: „ძვირფასო აკაკი ალექსის ძევ, მინდა გითხრათ, რომ კარგა ხნის მანძილზე, მას შემდეგ, რაც მოვუსმინე ახალგაზრდა შალიაპინს, თეატრს აღარ მოუნიჭებია ჩემთვის ისეთი ცხოველი სიხარული, როგორც მომანიჭეთ თქვენი ოტელოთი. მადლობელი ვარ ამ სიხარულისათვის. მაგრამ გართმევთ ხელს თქვენ და თქვენს პარტნიორს აკ. ვასაძეს — შესანიშნავ იაგოს. მდაბლად გიხრით თავს ორივეს, განსაკუთრებით კი თქვენ. გიხრით მიწამდე თავს ოტელოსათვის“.

30-იანი წლების ბოლოს დადგა პირველი სპექტაკლი დ. ალექსიძემ და თავდაპირველადვე მიიქცია მაყურებელთა და სპეციალისტების ყურადღება.

თეატრისათვის ქმნიდნენ ესკიზებს ს. ქობულაძე, ირ. გამრეკელი, ს. ვირსალაძე, ელ. ახვლედიანი, თ. აბაკელია, დ. კაკაბაძე, შემდგომ — დ. თავაძე, ფ. ლაპიაშვილი და სხვ. სწერდნენ მუსიკას კომპოზიტორები — ი. ტუსკია, ან. ბალანჩივაძე, რ. გაბიჩვაძე, ა. მაჭავარიანი და სხვ. დაწინაურდნენ შემსრულებლები: თ. ბაქრაძე, ალ. თოიძე, ნ. ლაფაჩი, რ. ბერიძე, ე. აფხაიძე, გ. სალარაძე, მ. ჩიხლაძე, ს. ჯაფარიძე და სხვ.

დიდი სამამულო ომის პირველსავე დღიდან სამშობლოს სადარაჯოზე დადგა რუსთაველის სახელობის თეატრიც. დასის ნაწილი გაეშურა ბრძოლის ველზე, ნაწილი საკონცერტო ბრიგადებით აღაგზნებდა საბჭოთა მეომრებს. რეპერტუარში იმძლავრა პატრიოტულმა თემატიკამ, სამოქალაქო ომის მონაწილეთა გმირობამ, ძლიერი სახელმწიფოსათვის მებრძოლ[illegible] სახეებმა: ვ. დარასელის „კიკვიძე“ (რეჟ. ა. ვასაძე), გ. მდივნის „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ“ (რეჟ. ა. ვასაძე, დ. ალექსიძე), ვ. სარდუს „ფლანდრია“ (რეჟ. შ. აღსაბაძე), დ. ერისთავის „სამშობლო“ (რეჟ. ა. ვასაძე), ს. შანშიაშვილის „კრწანისის გმირები“ (რეჟ. დ. ალექსიძე), ს. კლდიაშვილის „ირმის ხევი“ (რეჟ. ა. ვასაძე), ვ. სოლოვიოვის „დიდი ხელმწიფე“ (რეჟ. ა. ვასაძე) და სხვ. ისტორიულმა, გმირულმა, რევოლუციურმა რეპერტუარმა დიდად შეუწყო ხელი მაყურებელთა სულიერი სიმხნევისა და გამარჯვების რწმენის აღზევებას.

ამ პერიოდის აქტიორული ხელოვნების წინსვლის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს: უფროსი თაობის მსახიობების გვერდით: თ. თარხნიშვილმა, თ. თეთრაძემ, ეკ. ვაჩნაძემ, ნ. მგალობლიშვილმა, ე. საყვარელიძემ, ნ. ჩხეიძემ, ბ. ზაქარიაძემ, ვ. დოლიძემ, მ. გეგეჭკორმა, ა. კუპრაშვილმა და სხვ.

სამამულო ომის მრისხანე წლებში თბილისი მასპინძლობდა მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობთა ერთ ჯგუფს. მსახიობები — თ. ჰავჰავაძე, აკ. ხორავა, აკ. ვასაძე, და სხვ. სამხატვრო თეატრის მსახიობებთან—ი. კაჩალოვთან და ი. თარხანოვთან ერთად მართავდნენ საშეფო კონცერტებს ჰოსპიტლებში.

ამავე პერიოდში სავსებით გამოიკვეთა დ. ალექსიძის რეჟისორული ხელწერა, თეატრს შეემატა მსახიობთა და რეჟისორთა ახალი თაობა და კვლავ შემზადდა ნიადაგი რუსთაველის სახელობის თეატრის შემდგომი განვითარებისათვის, რეჟისურამ კვლავ „დაიბრუნა“ თავისი უფლებები.

მეექვსე პერიოდი: როგორც ცნობილია, XX საუკუნე რეჟისურის საუკუნეა. რეჟისურის თეატრი კი სათეატრო ხელოვნების განვითარების ერთ-ერთი ძლიერი ეტაპია, რომელმაც ახალი ჰორიზონტი აღმოაჩინა როგორც საშემსრულებლო ხელოვნებაში, ასევე ცხოვრებისეული უწყვეტი ნაკადის შექმნაში, გამომსახველ ფორმათა და ანალიტიკური აზროვნების ჰარმონიულ ერთიანობაში. 50-იან წლებში რუსთაველის სახელობის თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში კვლავ შეინიშნება ძვრები, რომელმაც კვლავ წარმოაჩინა რეჟისორის შემოქმედებითი ავტორიტეტი და აღორძინა გარკვეული სათეატრო ესთეტიკა. იგი გმირულ-რომანტიკულის პარალელურად არსებობდა, რომლის გამომხატველი იყო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის დ. ალექსიძის შემოქმედება. სპექტაკლებს „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, შემდეგ „ოიდიპოს მეფე“, „ფიროსმანი“, „ბახტრიონი“ — საზოგადოება და სპეციალისტები დიდი მოწონებით შეხვდნენ. ეს იყო ა. ახმეტელის თეატრისადმი ერთგულებისა და სიმპათიის თავისებური გამოხატულება. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტიკური ტრაგედიის სცენური განხორციელების ისტორიაში პირველი იყო რუსთაველის თეატრი, რომელსაც ოიდიპოსის ოთხი შემსრულებელი ჰყავდა — აკ. ხორავა, ს. ზაქარიაძე, აკ. ვასაძე და სრულიად ახალგაზრდა ე. მანჯგალაძე.

მაღალი აქტიორული საშემსრულებლო ოსტატობის გამოხატულება იყო ს. ზაქარიაძის მოღვაწეობა ამ თეატრში. მის მიერ განსახიერებული გმირები — ოიდიპოსი, ქადაგი, ფიროსმანი, ქაჯიაშვილი, დარისპანი, ბეკინა, კრეონტი — ქართული სასცენო შემოქმედების დიდებული ქმნილებებია, რომლებმაც საერთო აღიარება ჰპოვეს როგორც საქართველოში, ასევე მთლიანად საბჭოთა კავშირსა და საზღვარგარეთ.

ამავე პერიოდში, სხვადასხვა წლებში, აქ მოღვაწეობდა კეთილშობილი პიროვნება და თვითმყოფადი ხელწერის რეჟისორი არ. ჩხარტიშვილი. მისმა სპექტაკლებმა „ოპტიმისტური ტრაგედია", შემდგომ „ბებერი მეზურნეები" ფართო საზოგადოების აღიარება ჰპოვეს.

ფ. ლაპიაშვილისა და დ. თავაძის მხატვრულ აზროვნებასთან ერთად, ქართული სცენოგრაფიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით მხატვრებს, რომლებიც სხვადასხვ წლებში აფორმებდნენ სპექტაკლებს: აქ უნდა დავასახელოთ ო ლითანიშვილი, ო. ქოჩაკიძე, ა. სლოვინსკი. ი. ჩიკვაიძე, მ. მალაზონია, კ. იგნატოვი და სხვ. დიდი ამაგი დასდეს თავის მხრივ თეატრს კომპოზიტორებმა — ო. თაქთაქიშვილმა, ს. ცინცაძემ, ბ. კვერნაძემ, ნ. მამისაშვილმა და სხვ.

ამავე თეატრში, დასახელებული სპექტაკლების პარალელურად, ვითარდებოდა სათეატრო ესთეტიკა, რომელმაც თავისი გამოხატულება ჰპოვა მ. თუმანიშვილისა და აკ. დვალიშვილის რეჟისურაში.

1951 წელს რუსთაველის სახ. თეატრის რეპერტუარში გაჩნდა სპექტაკლი „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!", რომელმაც ცხადყო, რომ თეატრში საინტერესოდ მოაზროვნე თაობა მოვიდა; შემდგომში მან დიდი როლი ითამაშა ქართული სათეატრო ხელოვნების, აქტიორული და რეჟისორული ოსტატობის განვითარებაში. ამ თაობამ თვისებრივად შესცვალა თეატრის სახე. მათ შემოქმედებას ახასიათებდა აქტუალური მოქალაქეობრივი პოზიცია, შეუფერადებელი ცხოვრებისეული სიმართლის ასახვა ლაკონურსა და ზუსტ მეტაფორათა ნაკადში, ადამიანის შინაგანი სამყაროს, ფარულ სულიერ მოძრაობათა ანალიზი და მეტყველ ფორმათა ძიება. მათ შექმნეს მეტისმეტად სათუთი, ადამიანურად დიდი და ადამიანურად უბრალო ხელოვნება. მათ შემოქმედებითად გააგრძელეს კ. მარჯანიშვილისა და ალ. ახმეტელის სახელოვანი ტრადიციები და ქართული თეატრი ახალ სიმაღლეზე აიყვანეს. ამ თეატრალური გამარჯვების შემოქმედნი იყვნენ და არიან მ. ჩახავა, გ. გეგეჭკორი, ერ. მანჯგალაძე, კ. მახარაძე, რ. ჩხიკვაძე, გურამ სალარაძე, ბ. კობახიძე, მ. თუმანიშვილი, შემდგომ — ს. ყანჩელი, კ. საკანდელიძე, ზ. კვერენჩხილაძე...

სცენაზე განსაკუთრებულ, გამორჩეულ რაინდსა და ამაღლებულ გმირს შეენაცვლა ერთი მხრივ გარეგნულად არაეფექტური, ჩვეულებრივი, მაგრამ შინაგანად ძლიერი და უკომპრომისო პიროვნება, და მეორე მხრივ, ყოველდღიურობაში გათქვეფილი, ყოფითი საკითხებით დაკავებული ადამიანი. თეატრი ასეთ ადამიანთა (უკომპრომისო გმირისა და ჩვეულებრივი ადამიანის) საერთო საკრებულოს შინაგან სტრუქტურასა და არსებობის კანონზომიერებას იკვლევდა. და რომ ამოეხსნა მთლიანი საკრებულოს (მთელი თანამედროვე საზოგადოებრივი ყოფა და მისწრაფებანი) პოტენციური შესაძლებლობანი, ჯერ მისი ნაწილების ანალიზს ახდენდა. თავდაპირველად იკვლევდა ერთი ნაწილის „გონებრივ ატმოსფეროს", სულიერ სამყაროს ესენი იყვნენ: ლოპესი, ლეანდრო, ამარანტა („ესპანელი მღვდელი", მსახიობები ე. მანჯგალაძე, რ. ჩხიკვაძე, მ. ჩახავა); ექვთიმე ქათამაძე, ივლიტე ბოსტოლანაშვილი, ვეფხია („ამბავი სიყვარულისა", მსახიობები გ. გეგეჭკორი, ს. ყანჩელი, რ. ჩხიკვაძე); ლიდა მატისოვა, მილან სტიბორი, ვაცლავ კრალი და სხვ. („როცა ასეთი სიყვარულია", მსახიობები მ. ჩახავა, გურ. სალარაძე, ბ. კობახიძე და სხვ.); ბოცო, გურამი, ლეილა და ვახტანგი („ზღვის შვილები" — ერ. მანჯგალაძე, კ. მახარაძე, მ ჩახავა, გ. გეგეჭკორი); გვადი ბიგვა, არჩილ ფორია, ზოსიმე („გვადი ბიგვა" — ერ. მანჯგალაძე, ჯ. ლოლაშვილი, კ. საკანდელიძე) და სხვ.

მეორე მსოფლიო ომმა მწვავე კატეგორიულობით დააყენა მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე ჩვეულებრივი მოკვდავის (ე. ი. „პატარა ადამიანის") პრობლემა. ომის შემდგომმა ეპოქამ მრისხანედ მოსთხოვა ყველას, ეპოქის გმირსაც და ჩვეულებრივ ადამიანსაც პირადი პასუხისმგებლობის შეგრძნება ისტორიული მოვლენების მიმართ, პირადი ინიციატივის უნარის გამომჟღავნება ახალი საზოგადოებრივი „საერთო საცხოვრებლის" მიმართ. თეატრს უნდა გამოეკვლია, ერთის მხრივ, გმირის, ეპოქის სინდისისა და შემოქმედის, მეორეს მხრივ, ჩვეულებრივი მოკვდავის — სულიერი სამყარო, მისწრაფებანი, რომ სცენურ ფორმაში გამოეხატა თანამედროვე ეპოქის სრულყოფილი სურათი. მხოლოდ თვად გმირობის პრობლემა და გმირი შეიცვალა ცხოვრებაში და მისი ასახვის ახალი მხატვრული საშუალებების დაბადებაც ამან განაპირობა. მომძლავრდა ტრაგიკომედიის ჟანრი, რომლის საუკეთესო მაგალითებს წარმოადგენს

ეროვნული

ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვა“ (რეჟისორი მ. თუმანიშვილი, გვადი —ერ. მანჯგალაძე), „სამანიშვილის დედინაცვალი“ (რეჟისორები თ. ჩხეიძე, რ. სტურუა; სამანიშვილი — გ. გეგეჭკორი, ბეკინა — ს. ზაქარიაძე, კირილე — რ. ჩხიკვაძე) და შ. დადიანის „გუშინდელნი“ (რეჟისორი თ. ჩხეიძე).

იკვლევდა რა საზოგადოების ერთი ნაწილის ყოფას, თეატრი ესწრაფვოდა გაეღვივებინა მასში აქტიური მოღვაწეობის სურვილი, საზოგადოებრივი მნიშვნელობის პრობლემებით დაინტერესება. ამასთანავე, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მასშტაბები და სიზუსტე უბიძგებდა თეატრს ასეთსავე მასშტაბურ ძიებაზ. ა[illegible] ძიებათა მასშტაბურობა მიმართული აღმოჩნდ[illegible] ადამიანის სულიერი სამყაროს „ფსკერზე არსებული ნაწილაკების“ აღმოჩენისაკენ, სინამდვილის ზედმიწევნით სრული ანალიზისაკენ. რეჟისორ მ. თუმანიშვილისა და მსახიობების ძიება მიმართული იყო ამ მიგნების „სოციალური იმპულსებისათვის“ ფართო პანორამის შექმნისაკენ ზუსტ სცენურ მეტაფორათა ნაკადში. ისინი ჯერჯერობით ეძიებდნენ „დიდებულში ჩვეულებრივს“: ეს იყო მიზნისაკენ მიმავალი გზის ერთი საფეხური და როცა ეს ერთი საკითხი ამოწურეს, რეპერტუარში გაჩნდა ლირის (ს. ზაქარიაძე), ანტიგონესა და ფედრას (ზ. კვერენჩხილაძე) მასშტაბური ვნებები, ძლიერი პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის ურთულესი პრობლემა. ახლა მ. თუმანიშვილის რეჟისორული ძიებანი მიმართული აღმოჩნდა იქითკენ, რომ „ჩვეულებრივში დიდებულის“ შეცნობის პროცესისათვის ექვივალენტურ მეტაფორათა სისტემა შეექმნა. ერთიანი ცხოვრებისეული ნაკადის წარმოჩენა სცენურ დანადგარზე და საზოგადოებრივი განვითარების პროცესების ამოხსნა იყო დამახასიათებელი ამ წლების რუსთაველელთა შემოქმედებისათვის. ინტელექტუალურმა თეატრმა ინდივიდუალური განხორციელება ჰპოვა სცენაზე და სამსახიობო ხელოვნების ახალი ჰორიზონტი წარმოაჩინა.

მ. თუმანიშვილი რეჟისორ-ავტორის საუკეთესო წარმომადგენელი იყო ამ პერიოდის თეატრში, რომელმაც ამ მხრივ გააგრძელა კ. მარჯანიშვილისა და ალ. ახმეტელის რეჟისურისათვის დამახასიათებელი ეს თვისება.

1967 წელს თეატრმა პირველად გამართა გასტროლები ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ — რუმინელ მაყურებელს უჩვენეს სპექტაკლები: რ. ებრალიძისა და ს. დოლიძის „ჩვენ, მისი უდიდებულესობა“ (რეჟ. გ. ქავთარაძე), სულხან-საბას მოტივების მიხედვით შექმნილი პიესა „სიბრძნე სიცრუისა“ (რეჟ. ნ. ხატისკაცი, თ. მალალაშვილი), მ. ელიოზიშვილის „ბებერი მეზურნეები“ (რეჟ. ა. ჩხარტიშვილი) და სცენები სხვადასხვა სპექტაკლებიდან.

პრესამ მაღალი შეფასება მის[illegible]ლოვნებას.

რუმინული გაზეთი „ფიკლია“ აღნიშნავდა:

„შ. რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრთან პირველმა კონტაქტმა წარმოაჩინა, რომ ჩვენ ვეზიარეთ ჭეშმარიტად ადამიანურ და დიდებულ ხელოვნებას.

მაყურებელმა უდიდესი სიამოვნებით მიიღო ქართველი მსახიობების ხელოვნებისაგან, რომლებმაც გამოამჟღავნეს უნივერსალური თვისებები, როგორც კომედიაში, დრამასა და ტრაგედიაში, ასევე ლირიკულ სახალხო პოემაში, იგავ-არაკში“.

1970 წელს თეატრი გაემგზავრა საგასტროლოდ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლი[illegible]სა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში. საგასტროლო რეპერტუარში შეიტანეს: ს. ელენტის „მიწის შვილები“, დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, „სიბრძნე სიცრუისა“, ჟ. ანუის „ანტიგონე“ და სცენები სხვადასხვა სპექტაკლებიდან

აღფრთოვანებული სპეციალისტები პრესის ფურცლებზე წერდნენ:

„სადღეისოდ ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო თეატრი საბჭოთა კავშირში, თეატრი, რომელიც აერთიანებს მრავალ ნიჭიერ მსახიობსა და რეჟისორს, მდიდარი და მრავალფეროვანი რეპერტუარით გამოირჩევა“.

„ტრიბუნა ლუდუ“ აღნიშნავდა:

„ელასტიური რეჟისურა, მდიდარი და მრავალფეროვანი მსახიობთა ნიჭიერება ხელს უწყობდა ცოცხალსა და საინტერესო სპექტაკლის შექმნას, რომელიც გულთბილად მიიღო პოლონელმა მაყურებელმა“.

„მსახიობებს გასაოცარი თვისება გააჩნიათ — საინტერესო დახასიათებებისა და გარდასახვის ხელოვნების საშუალებით, მოქმედების სადა ხალხურობა უმაღლეს დონეზე აიყვანონ; იშვიათად დავმტკბარვართ ჩვენ ისეთი დიდებული მსახიობების ხელოვნებით, როგორიცაა სახალხო სცენები პიესიდან „ბებერი მეზურნეები“, მუსიკალური კომედიიდან „ხანუმა“ და ზღაპრიდან „ქინქრაქა“.

„ზუსტი მიგნებებით მდიდარი რეჟისურა, ფანტაზიით სავსე და, ამავე დროს, მარტივი, პრაქტიკული ხერხებით მოქმედი დეკორაცია და მსახიობების მრავალფეროვანი ნიჭი, რომლებიც ცეკვას, პანტომიმას, სიმღერას ხშირად ისე ფლობენ, როგორც შთამბეჭდავ მიმიკას, მეტყველებას და მიმოხვრას — ქმნიდნენ დაუვიწყარ შთაბეჭდილებას“.

**მეშვიდე პერიოდი:** ჩვენი საუკუნის 70-იან წლებიდან რუსთაველის სახელობის თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. თეატრის საშუალო თაობის გვერდით ახალგაზრდებმა მთელი ძალით გამოავლინეს თავიანთი მაღალი ოსტატობა. ჩამოყალიბდა რეჟისორ

რ. სტურუას შემოქმედებითი პრინციპები; გამოიკვეთა თ. ჩხეიძის რეჟისორულ ძიებათა მიმართება.

ინტელექტუალურმა თეატრმა ანალიტიკური განსჯის სივრცეები გააფართოვა, მსახიობ-მოქალაქის აქტიური აზროვნების პროცესები გამოკვეთა და სცენა საზოგადოებრივი მწვავე პრობლემების ტრიბუნად აქცია... საშემსრულებლო ხელოვნების არსენალი გამდიდრდა ლაკონური, დახვეწილი, ძუნწი და გამიზნული გამომსახველობისა და აზროვნების პროცესის სინქრონიზმით (აქ თავი იჩინა 30-იანი წლების, კერძოდ ალ. ახმეტელის თეატრის რამდენიმე თვისებამ). კიდევ უფრო გაღრმავდა მსახიობის შინაგანი გარდასახვის გზების ძიება. ამით ინტელექტუალურმა თეატრმა მსოფლიო სათეატრო ხელოვნების განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა. სცენის ოსტატთა ძიებანი მიმართული აღმოჩნდა მსახიობის გამომსახველობის ფერადოვნების გასამდიდრებლად. ამ პერიოდში სრულიად კანონზომიერად წარმოიშვა სწრაფვა სწორედ საშემსრულებლო ხელოვნების ფერთა ნაირგვარობის დამკვიდრებისათვის, ფორმათა სადღესასწაულო ფეიერვერკისათვის. ამიტომაც სცენის ხელოვანთა გარკვეული ნაწილის ძიებანი მიმართული აღმოჩნდა ფერთა სიუხვის მისაგნებად. თეატრში კვლავ აღორძინდა მოედნის თეატრის თავისუფალი წყობა, შესრულების სილაღე. განსაკუთრებული შინაგანი თავისუფლება, ფართო და ფერადოვანი მონასმები. ინტელექტუალური თეატრის მიგნებებით გამდიდრებული თანამედროვე სცენა ადვილად იყენებს და ირგებს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის სხვადასხვა ეპოქისათვის დამახასიათებელ თვისებებს. კონკრეტული ასოციაციისაკენ გვიბიძგებს აზრით დამუხტული მასშტაბური მიზანსცენები, მეტაფორული აზროვნების გამიზნულობა და გამომსახველ ფერთა სიუხვე. თეატრი თითქოს „გულუბრყვილო სიმსუბუქით გვახსენებს კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა ასპექტს, რომ თანამედროვე ცხოვრების პროცესებში ადვილად გაარკვიოს მაყურებელი. ასეთ ძიებათა კვალი დაჰყვება რ. სტურუას რეჟისურას, რომლის ძირითადი პრინციპი გახდა ბრეხტისეული ესთეტიკის ერთ-ერთი თვისება — მაყურებელი „გაართოს და ისე შეაგონოს“. შუასაუკუნეების თეატრის სახეობა — მორალიტე და ფარსი ადვილად თავსდება მოვლენების სტურუასეულ ინტერპრეტაციაში. მისი რეჟისურა თავისუფლად არღვევს ავტორის თეატრის პრინციპს, მისთვის შეუვალი და არ არის ავტორისეული ტექსტი, რომელსაც თავისი ჩანაფიქრის საშუალებად იყენებს და ქმნის საზოგადოებაში წარმოქმნილ განწყობათა შესაბამის ხელოვნებას.

თანამოაზრე მხატვრებთან (გ. მესხიშვილი, მ. შველიძე, მ. ჭავჭავაძე, თ. გომელაური) და მსახიობებთან (რ. ჩხიკვაძე, კ. კავსაძე, მ. [illegible]ლელი, ე. მაღალაშვილი, ჯ. ღაღანიძე, გ. ხარაბაძე, ბ. მირიანაშვილი, ე. ლოლაშვილი, ა. მახარაძე, ი. გიგოშვილი, ნ. ფაჩუაშვილი, თ. დოლიძე, ლ. ჭავჭავაძე, დ. პაპუაშვილი, ს. ლალიძე, რ. ჩხაიძე, ლ. ძიგრაშვილი, ლ. ლამბაშიძე, მ. გამცემლიძე, ა. ხიდაშელი, და სხვა), კომპოზიტორ გ. ყანჩელთან და ქორეოგრაფ ი. ზარეცკისთან ერთად თეატრის აღნიშნული თაობა ქმნის სპექტაკლის სახიერებას, რომელმაც ახალი ხარისხით და თვისებით წარმოაჩინა ქართული თეატრის ადრინდელი ძიებანი, ახალ სიმაღლეზე აიყვანა რუსთაველის თეატრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ. სტურუას შესანიშნავი რეჟისორული ძიებები მთელი ძალით გამოვლინდა სპექტაკლებში — „ყვარყვარე“, „კავკასიური ცარცის წრე“, „რიჩარდ III“, „ვარიაციები თანამედროვე თემაზე“. საზოგადოებისა და სპეციალისტთა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა „კავკასიური ცარცის წრე“ და „რიჩარდ III“. ამ სპექტაკლებმა მსოფლიო აღიარება მოუპოვეს თეატრს, წარმატებით აღინიშნა გასტროლები მოსკოვში, კიევსა და საზღვარგარეთის მთელ რიგ ქვეყნებში.

ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ თეატრმა სხვადასხვა წლებში საგასტროლოდ იმოგზაურა: დასავლეთ გერმანიაში, იუგოსლავიაში, მექსიკაში, იტალიაში, შვეიცარიაში, ინგლისსა, საბერძნეთსა და საფრანგეთში. უდიდესი წარმატებით აღინიშნა დასის მონაწილეობა სათეატრო ფესტივალებში, რომლებიც მოეწყო იუგოსლავიაში, ედინბურგსა და ავინიონში.

დიდი წარმატება ხვდა საარბრუკენში დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალს“, რომლის დადგმაც შემდგომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში განახორციელა რ. სტურუამ.

ინგლისში უდიდესი წარმატება ხვდა სპექტაკლებს „კავკასიური ცარცის წრესა“ და „რიჩარდ III“; პრესა აღნიშნავდა:

„წარმოდგენის ბოლოს მაყურებელი ფეხზე წამოდგა ამ დიდებული ქართველების საპატივცემულოდ, რომლებიც იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც მათ ედინბურგში გვიჩვენეს, როგორც ჩანს, მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო დასს წარმოადგენენ“.

„...მაყურებელი დიდხანს და მხურვალედ მიესალმებოდა ქართველ მსახიობებს; რამაზ ჩხიკვაძის პატივსაცემად კი ფეხზე წამოდგა და ოვაციებს ბოლო არ უჩანდა.. დასიდან განსაკუთრებით შთამბეჭდავი არიან მახარა — ავთანდილ მახარაძე და ორი დედოფალი — სალომე ყანჩელი და მედეა ჩახავა“.

„რ. სტურუამ, რუსთაველის დასმა (და არა ნაკლებ გია ყანჩელმა) დაგვანახეს, რომ ქართველებს უნარი შესწევთ გვასწავლონ ზოგი რამ

ნათელა არველაძე
ეროვნული ბიბლიოთეკა

შექსპირის პიესების დადგმასთან დაკავშირებით. და ბოლოს, შეიძლება ითქვას უფრო მეტიც — ჩვენ ვეზიარეთ ისეთი დონის დადგმას, რომელმაც სძლია თანამედროვე საერთაშორისო ანტაგონიზმს".

„ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო რუსთაველის თეატრის აღმოჩენა ორი წლის წინათ მექსიკაში, სადაც მე ვნახე „კავკასიური ცარცის წრე" და „ხამანიშვილის დედინაცვალი" — დ კლდიაშვილის ტიპიური ქართული კომედია..."

„ბრეჰტის პიესის წარმოდგენის სირთულეები შესანიშნავად დასძლია ცოცხალმა საშემსრულებლო ნიჭით აღსავსე დასმა, ხოლო რამაზ ჩხიკვაძე, რომელიც გამოდის გაიძვერა მოხუცი მოსამართლე აზდაკის როლში, ჩვენი დროის უდიდესი მსახიობია".

„ჩხიკვაძე კავკასიელი ლორენს ოლივიეა, რომელიც სცენიდან აფრქვევს მომხიბვლელობას, სიკეთეს და სიბრძნეს... ის ზედმიწევნით თამაშობს თავისი გარეგნული გამომსახველობით.. რ. ჩხიკვაძე თეატრის წამყვანი მსახიობია, მაგრამ იგი მეთაურობს საოცრად ძლიერ დასს..."

ასი წლის მანძილზე ქართულმა თეატრმა რთული, მაგრამ მეტად საინტერესო გზა განვლო. იგი ყოველთვის ისწრაფოდა გამოეხატა საზოგადოების „გონებრივი ატმოსფერო", ცდილობდა ეროვნული კულტურის ტრადიციებზე დაყრდნობით მთელი ძალით შეეგრძნო და შემოქმედებითად აეთვისებინა მსოფლიო სათეატრო ხელოვნების მონაპოვარი.

რუსთაველის სახელობის აკადემიურმა თეატრმა უდიდესი მისია შეასრულა — ქართულ სათეატრო ხელოვნებას აზიარა არა ერთი ქვეყანა, ათასობით უცხოელი მაყურებელი და მათ ცხოველი ინტერესი გაუღვივა ქართველი ერის, ქართული კულტურის მიმართ.

გაბედული ძიებანი, რაც დამახასიათებელი იყო და არის ამ თეატრის რეჟისორებისათვის, თანამედროვე რუსთაველელთა ხელოვნებაში მთელი ძალით შეიგრძნობა, რაც გვაფიქრებინებს, რომ თეატრის ხვალინდელი დღე თანამედროვე სათეატრო ხელოვნების ურთულესი პროცესების შემცველი იქნება, უპირველესად კი მის შემოქმედებაში გამოვლინდება ქართველი ერის მდიდარი სულიერი სიმდიდრე და მრავალსაუკუნოვანი კულტურის პროგრესული ტრადიციები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერემია ქარელიშვილი

# ქართული სიტყვის დიდოსტატი

მიხეილ ჯავახიშვილის რომანები მთელ ეპოქას ქმნიან ქართულ მწერლობაში. ისინი გამოირჩევიან ცხოვრებისა და ადამიანის უზარმაზარი ცოდნით, განცვიფრებთ მწერლის ყოვლისმხილველი მხატვრული თვალი და მახვილი ალღო. მიხეილ ჯავახიშვილის ყოველ რომანში ცოცხლად, სიმართლითა და დამაჯერებლობით არის გადმოცემული წარსულისა თუ თანამედროვე ვითარების გარკვეული ისტორიული ვითარების მონაკვეთი, სხვადასხვა სოციალური ფენების ადამიანების სულიერი სამყარო, ხასიათების ფორმირების რთული პროცესი; დამახასიათებელია აგრეთვე თემის უაღრესი თავისთავადობა და აღებული დროის ტიპიური კონფლიქტების სიმახვილე. მიხეილ ჯავახიშვილი ჭეშმარიტი ნოვატორია. მიუხედავად იმისა, რომ იგი კარგად იცნობს ეროვნული და მსოფლიო ლიტერატურის მიღწევებსა და შედევრებს, არავის არ „ბაძავს", მათ მიღწევებს შემოქმედებითაც იყენებს და იკვლევს, ქართული მწერლობის განვითარების ახალ თავს გადაგვიშლის, მის შემდგომ ეტაპს ქმნის. მიხეილ ჯავახიშვილის რომანისტიკამ წარუშლელი გავლენა მოახდინა როგორც მკითხველის ესთეტიკური გემოვნების განვითარებაზე, ისე ქართული მწერლობის ყველა დარგის აღმავლობაზე, მას სიცოცხლეშივე გაუჩნდნენ უშუალო მიმდევრებიც და „წამბაძველებიც". იგი ერთი პირველთაგანია იმათ შორის, ვინც ქართული რომანი ახალ სიმაღლეზე აიყვანა.

მიხეილ ჯავახიშვილი ფაბულის დიდი ოსტატია, მის ნაწარმოებთა ფაბულა ყოველთვის თავისთავადია, ორიგინალური და მოულოდნელობით აღსავსე. ფაბულის მნიშვნელობაზე მას თავისი შეხედულება ჰქონდა, ფაბულა, ამბავი მხატვრული ნაწარმოების მოტორად მიაჩნდა. „ვიქტორ ჰიუგო, — წერს იგი, — გენიალური ფაბულისტია. შეუსუსტეთ ან მოუსპეთ მას ფაბულა, და ვ. ჰიუგოს რომანებსაც სასიცოცხლო დღენიც შეუმცირდება. ჩვენ შორის დღესაც ტრიალებს ის აზრი, თითქოს შემოქმედება უმთავრესად დაკვირვების, ხსოვნისა და ასახვის უნარი ყოფილიყოს. ეს თავისთავადაც იგულისხმება. უმთავრესი კი ფანტაზიაა, ნიჭია, გამოგონებისა და შთაგონებისა".

მწერლის ნაწარმოებებში ამაოდ შეეცდებით ანალოგიების დაძებნას. პარალელები, რომლებზეც ზოგიერთი მკვლევარი მიანიშნებს, ხელოვნურია, სრულიად არ ემთხვევა არც შეხედულებათა პრინციპების მიხედვით, არც მხატვრული მსოფლშეგრძნებით. ის, რაც კრიტიკული რეალიზმისაგან მიიღო, მწერლისათვის დოგმად კი არ იქცა, არამედ იმპულსად, ღრმად ჩაეხედა მოვალეობის განვითარების შინაგან პროცესებში. სწორედ ამან მისცა შესაძლებლობა კრიტიკული რეალიზმის პოზიციებიდან სწრაფად გადასულიყო სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე და მისი პრინციპები თეორიულადაც გაეზიარებინა და მხატვრულადაც ხორცი შეესხა.

სამართლიანად აღინიშნა ქართულ კრიტიკაში, რომ ოციან წლებში ქართულ მწერლობას შემოქმედებითი ინტენსივობისა და ნაყოფიერების, ნაწარმოებთა იდეურ-თემატიკური აქტუალობის, მკითხველთა მასებზე ზემოქმედების ძალის, პოპულარობის მხრივ, მიხეილ ჯავახიშვილს ბადალი არ ჰყოლიაო; ამას სრულიადაც ხელს არ უშლიდა ის გარემოება, რომ მწერლის შემოქმედებაში წარსულის ბნელი გადმონაშთებისა და ნეგატიური მოვლენების

* დასასრული. იხ. „მნათობი", № 9.

9. „მნათობი", № 10.

მხილების პათოსი ჭარბობდა. ამ შემთხვევაში ჭეშმარიტებას მოკლებული არ არის მწერლის მოსაზრებაც:

„მე პროზაიკოსი გახლავართ, პროზაიკოსი კი უკვე დამყარებულს და მკაფიოდ გამოსახულ ყოფას და ფორმას ეტანება. თუმცა ეს დებულება კანონად არ მიმაჩნია. ბევრმა მწერალმა მოახერხა „უფორმო" მოვლენა ფორმაში მოექცია. მაგ. ფედინმა, შოლოხოვმა, პანფეროვმა და სხვ., ერთ დროს მგონი მეც დავძლიე ეს უძნელესი საქმე („ჯაყოს ხიზნები" გაიხსენეთ)"...

პირველი რომანი, რომელშიც მიხეილ ჯავახიშვილმა მთელი ძლიერებით გამოავლინა ცხოვრების ცოდნის დაუშრეტელი მარაგი და მხატვრული წარმოსახვის ფართო დიაპაზონი, ეს იყო სათავგადასავლო ჟანრის რომანი „კვაჭი კვაჭანტირაძე". ეს იყო აგრეთვე პირველი ფართო მასშტაბის მხატვრული ტილო ქართულ საბჭოთა პროზაში.

„კვაჭი კვაჭანტირაძე" რეალისტური პროზის ნიმუშია; მისი მთავარი გმირი ისტორიული ხინამდვილის პირმშოა, იგი კვალდაკვალ მისდევს მოვლენების განვითარებას, მოხერხებულად ცურავს ცხოვრების რთულ ტალღებში, ყოველგვარ სიტუაციას მარჯვედ იყენებს პირადი სარგებლობისა და განდიდებისათვის, თამამად მიმართავს შანტაჟსა და კომბინაციებს, ტრიუმფით გადის მთელ გზას რუსეთის პირველი რევოლუციიდან ოციან წლებამდე და ბოლოს კოკა მაინც წყაროზე გატყდება. ყალთაბანდს საბოლოოდ ნიღაბს ჩამოხსნიან.

კვაჭი თავისი დროის მახინჯი შვილი იყო, დიდი მასშტაბის არამზადა და ავანტიურისტი, მედროვეც, რომელსაც დიდი დღე არ ეწერა. ავტორი თავის გმირს გვაცნობს ქვეყნად მისი გაჩენის პირველი დღიდან. კვაჭი პირველი ვაჟი იყო ოჯახში და მისმა დაბადებამ სიხარულის ჟრიამული, ქოთი და ფუსფუსი გამოიწვია. გახარებულმა მამამ — სილიბისტრომ მაშინვე თავის პირმშოს კვაჭი დაარქვა. ამ დროს, როცა შინ ასეთი მხიარულება სუფევდა, თითქოს ბუნება გაწყრაო, გარეთ ყველაფერი აირია, ჭექა-ქუხილი ატყდა, კვაჭანტირაძის ბაღში მდგარ ალვის ხეს მეხი დაეცა და შუაზე გაიპო, ჟონდიას დუქანი გრიგალმა დაანგრია. „მაგრამ ერთი საათის შემდეგ ღრუბელი გაიფანტა და კვლავ გაზაფხულის მშვენიერი დარი დადგა." ამინდის ასეთმა არევამ ერთგვარი შეშფოთება გამოიწვია, მაგრამ იმავე საღამოს მკითხავმა ბავშვის მშობლები დაამშვიდა:

„— ქარიშხალი და ჭექა-ქუხილი იმას ნიშნავს, რომ ახალგაზრდობაში კვაჭის მრავალი გაჭირვება და თავგადასავალი მოელის, მარა ღმერთი დიდია. მჭილი რომ ისთე ჰქონდა მოჭერილი, რომე ძლივს გავუშალეთ, ეს იმის ნიშანია, რომე რაც კვაჭის ჩაუვარდება ხელში, იმის წართმევა კაცს არ შეუძლია. მერე რომ გვირგვინი დაიდგა თავზე, ეს იმას ნიშნავს, რომე შემდეგში კვაჭის... ბრწყინვალე და სახელოვანი მომავალი მოელის. ალვის ხეს რომ მეხი დაეცა და ჟონდიას დუქანიც რომე ეშმაკებმა წაიღეს, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენი და კვაჭის მტრებს... მეხი დაეცემათ და ისთე დოუსკდებათ გულები როგორც ალვის ხე გასკდა დღეს".

მკითხავის სიტყვებმა ყველას გული მოულბო და სახეზე კმაყოფილების ღიმილმა გადაჰკრა. სილიბისტროს მაინც დარჩა ერთი საფიქრალი: იგი „მაძიებელი" იყო, „აზნაურობა ჯერ დამტკიცებული არ ჰქონდა და პასპორტში წინანდებურად ეწერა სამარცხვინო და სათაკილო სიტყვა: გ-ლ-ე-ხ-ი", მაგრამ ამ უბედურებას იოლად დააღწია თავი, განთქმულმა ავანტიურისტმა და ყალბი სიგელ-გუჯრების მკეთებელმა აშორდიამ სილიბისტროს აზნაურობა უბოძა და ამით პატარა კვაჭიკოსაც „ბედნიერი მომავალი" აღუთქვა. — „ჩემო პატარავ! მე გზა გაგიკაფე, ყველა კარი გაგიღე და დანარჩენი შენ იცი".

ცოტა რომ წამოიზარდა, მამამაც ჩინებული შეგონება მისცა! „— შვილო კვაჭი, აი ქვეყანა ასეა მომართული: ზოგი უმფროსია, ზოგი უნცროსი; ზოგი მდიდარი, ზოგი ღარიბი; ზოგი ძლიერი, ზოგი გლახაკი; ზოგი თავადი ან აზნაური; ზოგი კიდო ყაზახია, გლეხია, შენისთანა აზნაური-შვილმა ყველას თავი არ უნდა გაუყადროს, არ უნდა აჰყვეს. ყაზახი და გლეხი შენ ვერაფერს მოგცემენ, პირიქით, გამოგრჩებიან რამეს. აზნაურსა და მდიდარს დაუმეგობრდი, დოუახლოვდი, ასიამოვნე და ძმად გოუხდი. მდიდარი და ძლიერი ყოველთვის გამოგადგება: ერთი წინ წაგაყენებს, მეორე გაჩუქებს რამეს, მესამე ხელს მოგიმართავს. ასეა, ჩემო კვაჭიკო, მოწყობილი აი ქვეყანა, შენც უნდა მიჰყვე მას და გამოიყენო".

მამისა და აშორდიას შეგონება ღრმად ჩაიჭედა კვაჭიკოს მეხსიერებაში. ლამაზმა და მომხიბლავმა ჭაბუკმა კარგად შეითვისა ფარისევლის ფილოსოფია, სწრაფად გამოიმუშავა ავისა და კარგის, სასარგებლოსა და საზიანოს გარჩევის უნარი. „კვაჭი ჭკვიანთან ჭკვიანი იყო, — გვეუბნება ავტორი, — დინჯთან — დინჯი, ხუმარასთან — ხუმარა, დარდიანთან — დარდიანი, მხიარულთან — მხიარული; ძლიერთან — მორჩილი, პირმოთნე, ქლესა, თავაზიანი და მოლიმარე. მაგრამ თუ საჭირო იყო, მას შეეძლო უხეშთან და ჭირვეულთან — თავმდაბალი და მოქნილი ყოფილიყო, სუსტთან — კადნიერი, თავხედი, ჟინიანი, პირდაპირთან — ორგული, ფლიდი და ორპირი, ორგულთან — ათგული და ათპირი; მუხასთან — ლერწამი, ლერწამთან — მუხა; რკინასთან ბამბა და ბამბასთან — რკინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც პირდაპირი გზა დაკეტილი იყო და სხვა ვინმე უკან იხევდა, იქ კვაჭი ხუთიოდე მიხვეულ-მოხვეულ ბილიკს იპოვნიდა, უკარო და უფანჯრო ოთხ კედელშიც რომ ჩავარდნილიყო, ათიოდე ხვრელს აღმოაჩენდა და ცხრაკლიტურ ციხეში ისე შეძვრებოდა და გამოძვრებოდა, როგორც ნემსი ბუმბულში".

ყალბის მქნელობასა, ფარისევლობასა და მომხვეჭელობაში კვაჭი სწრაფად გაიწვრთნა და დახელოვნდა; სამტრედიიდან ქუთაისსა და ოდესით პეტერბურგისაკენ მიმავალი რთული და დახლართული გზა „ტრიუმფით" გაიარა. დიდძალი ფული დააგროვა, იმპერიის დედაქალაქში მდიდრული ბინა დაიქირავა, კაბინეტი და სადარბაზო ოთახები ევროპულად მოაწყო, გავლენიან ოჯახებს დაუკავშირდა, დიდი თანამდებობის პირები, მინისტრები და გენერლები გაიცნო, „წმინდა მოხუცს" — გრიშკა რასპუტინს დაუმეგობრდა და მისი წყალობით მეფის სასახლის ნდობით აღიჭურვა. თუმცა პოლიტიკისა არაფერი გაეგებოდა, მაგრამ იქაც მიუწვდა ხელი და ათასნაირი ინტრიგები მოაწყო, შექმნილ საზოგადოებრივ ვითარებას მოხერხებულად იყენებდა თავის სასარგებლოდ; რაკი ერთი ფეხი შედგა ამ მაღალ კვარცხლბეკზე და რუსეთის ნამდვილი მეფე-პატრიარქის — რასპუტინის ნდობა დაიმსახურა, მისი ბოროტი ნიჭი და სამოქმედო სარბიელი სულუფრო გაიზარდა და გაფართოვდა, მეფის კარზე ისეთი გავლენა მოიპოვა, რომ თვით მინისტრებიც მასთან დაახლოებას დიდ პატივად მიიჩნევდნენ. კვაჭი რასპუტინის მდივანი გახდა, ირგვლივ თავისი მეგობრები შემოიკრიბა და დიდ სარფიან საქმეთა „გაიმახვნებას შეუდგა", გრიშკას ბოსტანში მინადენი წყალი ერთ კვირაში მოხწყვიტა და თავის არხში გადმოაგდო". კვაჭი ძალიან მოქნილი გაიძვერა გამოდგა, ჟოველგვარ სისაძაგლეს იოლად აკეთებს და ღრმად ინიღბება, მისთვის უცხო არ არის არა მხოლოდ მლიქვნელობა, მომხვეჭელობა, არამედ — ჯაშუშობაც. მეფეს რომ პირში ერთგულებას ეფიცება, ზურგს უკან მის უცნოელ მტრებთან გარიგებას აწარმოებს. ყოველ შემთხვევას, დიდი იქნება თუ პატარა, მოხერხებულად იყენებს თავის სასარგებლოდ. გრიშკა რასპუტინის წყალობით რომ მეფეს პირველად შეხვდა, მლიქვნელურად გაუწვა ფეხქვეშ, უერთგულეს მონად მოაჩვენა თავი, მღელვარებით მოუყვა, თუ როგორ ჩაახრჩეს კავკასიაში დიდი ღელვა და არეულობა, პირველ რევოლუციას რომ მოჰყვა. „ჩვენშიც გაჩნდნენ ურიები და ეშმაკების მოციქულები, — ეუბნება იგი მეფეს, — მაგრამ შენი ერთგული მონები და ყმები არ შევუშინდით: შევებით, ვაჯობეთ, დავხოცეთ, ხოლო გადარჩენილი ისეთ ჯურღმულებში ჩავყარეთ, რომ ეშმაკებიც ვეღარ იპოვნიან"... და აიმედებს: „შიში ნუღარ გაქვს, მეფევ. ნუ შედრკება შენი გული, ხელმწიფევ! მრავალი ვართ, წმინდა რუსეთში შენი და ღვთის ერთგულნი, მაგრად დაეყრდენ ჩვენს მძლავ ზურგს. გამძლე და ძლიერია იგი. ვივლით და ბუმბულივით გატარებთ".

ნაამბობით აღფრთოვანებულმა და მოხიბლულმა მეფემ ერთგული მონა გულში ჩაიკრა, ერთხელ კიდევ მადლობა გადაუხადა, თავადობა „აღუდგინა" და ალერსით გამოეთხოვა. კვაჭის გონებაში კი ამ დროსაც სულ სხვა ფიქრები ბორიალობდა, მდგომარეობას სწონიდა, ახალ მაქინაციებს „აკვარახჭინებდა". პირველი მსოფლიო ომის წინა დღეებში კვაჭი ამხანაგებითურთ, ევროპაში მოხვდა, ბერლინში ატმოსფეროს გაეცნო, მოვლენებს თავისებური ანალიზი გაუკეთა, ომის მოახლოვება დაყნოსა, მეგობრებს წინასწარმეტყველურად აუხსნა:

„— ბესო, ლადი, ჰიპი! დაიხსომეთ ჩემი სიტყვა და გადაეცით ისტორიას შემდეგი: ორი კვირაც არ გაივლის, რომ რუსეთი გერმანიას უჯიკავებს, და გერმანია რუსეთს. მერე ომი ატყდება და ღვთის რისხვა დატრიალდება. რუსეთს ინგლისი, საფრანგეთი, რუმინია და იტალია მოემხრობიან... კი, კი! იტალია გერმანიას გადაუდგება და ინგლის-საფრანგეთს მიემხრობა-თქვა. გერმანიას ავსტრია, ბულგარეთი და ოსმალეთი მიუდგებიან. ბოლოს ამერიკაც ჩაერევა და ქვეყანა მთლად სისხლში შეიღებება. თუ მე დევიღუპე, ჩემი ნათქვამი ისტორიას გადაეცით. აპა, ამხანაგებო, აწი გვჭირია ჩვენ ჭკუა, ფხიზლობა და სიფრთხილე."

კვაჭის მოხერხება და სიფრთხილე არ აკლდა და შექმნილი სიტუაციაც თავის სასარგებლოდ კარგად გამოიყენა, „თვალი ლითონისა და იარაღის აქციებს დაადგა, „რაც ნაღდი ფული ჰქონდა, გაიაფებულ აქციებზე გადაახურდავა და იმედიანად ამოისუნთქა. თუმცა „არც აქეთ, არც იქით"-ის პოლიტიკას დაადგა, მაგრამ ბერლინის ქუჩებში მაინც ბრბოს აჰყვა, ქუჩებსა, ყავახანებსა და სალონებში გააფთრებული მოუწოდებდა პარიზისა და მოსკოვისაკენ დაძრულიყვნენ. რამდენიმე დღის შემდეგ საფრანგეთში გადავიდა და იქ შეცვლილ მოტივზე დაიწყო სიმღერა. ხმაჩახლეჩით გაჰკიოდა: ბერლინისაკენ! ბერლინისაკენ! როცა შემდეგ რუსეთში დაბრუნდა, იქაც თითი ბერლინისა და კონსტანტინოპოლისაკენ გაიშვირა.

მოვლენები თავისი გზით მიდიოდა, კვაჭი მოხერხებულად ასდევდა მშფოთვარე ტალღებს და თავს მუდამ სამშვიდობოზე გრძნობდა. ის წვრილმანებიდან მსხვილმანებზე გადავიდა. პირვანდელი მასშტაბი აღარ აკმაყოფილებდა, ფართოდ გაშალა „მოღვაწეობა", რუსეთის მტრებთან ბნელ საქმეების გარიგებასაც მოჰკიდა ხელი. რუსეთის მეფეს რომ პირში ერთგულებას ეფიცებოდა, ზურგს უკან გერმანიის ჯაშუშებთან საიდუმლო კავშირს ამყარებდა და

ჯიბეს მილიონებით ისქელებდა. მეფის მთავრობა კვაჭის ამერიკაში ჰგზავნის საიდუმლო ნახაზებით, იარაღისა და ყუმბარების შესაძენად, კვაჭი ამ საიდუმლო ნახაზს გერმანიის ჯაშუშებს გადასცემს, მის ნაცვლად ამერიკაში შეცვლილი ყალიბის ნახაზს ჩაიტანს და იქ დამზადებული ყუმბარები რუსულ ზარბაზნებს აღარ გამოადგება. ამ იარაღის იმედით მეფის სარდლობა დიდ შეტევას წამოიწყებს და დამარცხდება.

მთავრობა კვაჭის ღალატზე ეჭვს მიიტანს, დაიწყება საქმის გამოძიება... კვაჭი საგონებელში ჩავარდება, ხედავს, რომ მახეშია მოქცეული, სახტიკი მხილება და სასჯელი მოელის. მაგრამ კვაჭი რის კვაჭია, რომ ასე უცბად დაჰყაროს ფარ-ხმალი, უიმედოდ ჩაიქნიოს ხელი და ბედს დანებდეს. გაქნილი ფარისეველი ამ განსაცდელსაც დააღწევს თავს...

კვაჭი კვაჭანტირაძემ ისიც შეუცდომლად დაყნოსა, რომ მეფის მთავრობის დღეები დათვლილი იყო. ახალ მთავრობასთან შეგუების წინასწარი გეგმა შეიმუშავა. 1917 წლის 27 თებერვალს რომ მშრომელთა შურისძიების ზღვამ გადმოხეთქა, კვაჭიმაც მკლავები მარჯვედ მოუსვა და ტალღებს „ზევიდან“ მოექცა. კვაჭიმ და მისმა ამალამ თავრიდის სასახლეში მოიკალათეს! ასე იცვალა ფერი ქამელეონმა, მოინდომა კვლავ ესარგებლა შემთხვევით, ძველებურად მოვლენების ზედაპალატებში ენავარდნა. კერენსკიმ რომ გაიმარჯვა, კვაჭი გაიბადრა, თავისი ამალა ჯგუფებად დაჰყო და ზამთრის სასახლისაკენ გაეშურა ლოზუნგებით: „— მოქალაქენო!.. მხარი დაუჭირეთ დროებითს მთავრობას! შემოგვიერთდით! მოიხადეთ თქვენი ვალი!...“

ერთხანს არც მაშინ დაიბნა, როცა დროებითი მთავრობის აღსასრულის დღე მოახლოვდა. თავისი ნაცადი ფილოსოფია კვაჭიმ ამ ჯერადაც სცადა გამოეყენებინა, „გაწითლდა“, ოქტომბერს მიეტმასნა და ბოლშევიკების რევოლუციური ლოზუნგები აიტაცა, მაგრამ აღრინდელი შინაგანი თვითდაჯერება და სიმშვიდე მაინც დაჰკარგა, ხედავდა, რომ ფეხ-ქვეშ ნიადაგი ეცლებოდა, მისი მოქმედების არე ვიწროვდებოდა და ფრთები ეკვეცებოდა; სულ მალე ნდობაც შეერყა, თუ ადრე, სადაც კარი დაკეტილი აღმოჩნდებოდა, ფანჯრიდან გადაძვრებოდა ხოლმე, ახლა იმავე ფანჯრიდან მოძულებული გადმოაგდეს... კვაჭიმ დაღუპვის გარდუვალი საფრთხე იგრძნო და სამშობლოს მოაშურა, მენშევიკების მინისტრებს ამაყად ჩამოუარა და თავისი ვინაობა გააცნო „— კვაჭი კვაჭანტირაძე გახლავართ. ეს-არის ეხლა დავბრუნდი წითელი ჯოჯოხეთიდანაო“. და ხელისუფლების თვალების ახახვევად წითლების ლანძღვა-გინებას მოჰყვა, „— რუსეთი დეიღუპა, ბატონო, დეიღუპა! ამ ქვეყანას ქრისტე ღმერთიც ველარ წამოაყენებსო“ — [illegible] გულში ცინიკურად იღიმებოდა, [illegible] აწყობდა...

და აი, ვიდრე თავისებურად ფრთებს გაშლიდა, მენშევიკური რეჟიმი დაემხო. ახალ ვითარებაში კვლავ სცადა გარდასახვა, ფერისცვალება, მაგრამ ამჯერად ჩაუვარდა კოვზი ნაცარში... ამხილეს, დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში მოათავსეს. მაგრამ კვაჭი რაღა კვაჭი იქნებოდა, რომ თავისი სიცოცხლე ასე უბრალოდ დაესრულებინა. გონებას ძალა დაატანა და ციხიდან გაქცევის გეგმა შეადგინა, დამშვიდებით შეუდგა მის განხორციელებას... ბედმა აქაც „გაუღიმა“.. ერთ დღეს თავი კონსტანტინოპოლში ამოჰყო... აქ კი თავისი შესაფერი ადგილი მონახა, სიმყრალის ორმოში მოხვდა და ძაღლუმადური ცხოვრება დაიწყო... ბოლოს და ბოლოს, ღირსეულ ადგილს მიაგნო, გვეუბნება მწერალი, გამოეთხოვა თავის „მრავალტანჯულ“ გმირს და გზა დაულოცა: „მაშ ალხეინად დალპი მაგ ორმოშიო“.

როგორც მწერალი ამბობს, კვაჭი „ნარევი ტიპია“, ე. ი. მას ერთი პროტოტიპი არა ჰყავს, შემკრები, იმავე დროს, მხატვრულად განზოგადებული, მწერლის ფანტაზიით შეფერილი ხასიათია, მაგრამ რეალური, ნამდვილის, ცხოვრებისეულის სრული მიმსგავსება. აკი მრავალჯერ შეხვედრია კიდეც მიხეილ ჯავახიშვილს კვაჭი და მისთვისაც გაუკრავს კლანჭი!

მთავარი ის არის, რომ რომანის სიუჟეტური ქარგა სინამდვილის ლოგიკას ემყარება, მისი ფილოსოფია კი რეალისტურია. მწერლის მოქალაქეობრივი პოზიცია პროგრესულია; მოვლენები და პრობლემები ისტორიული განვითარების ასპექტშია განჭვრეტილი და მართებულად გადაჭრილი. ამ პირველსავე რომანში საკმაო სიმკვეთრით გამჟღავნდა მწერლის დამოკიდებულება სოციალისტური რევოლუციისადმი. შემეცნებითი თვალსაზრისითაც, ბევრი რამ საინტერესოა რომანში. ნათლად გადაგეშლებათ თვალწინ ის რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა, რომელსაც რევოლუცია გადის, დაინახავთ და გაეცნობით მის დაუძინებელ მტრებსა და ყალბ მეგობრებს, ფარისევლებს, თვალთმაქცებსა და ავანტიურისტებს, რომლებსაც სურთ ისტორიის ჩარხი უკუღმა შეატრიალონ, მაგრამ ისტორია მათ თავის დამსახურებულ ადგილს მიუჩენს. მთელი რომანის მანძილზე მწერალი მწარედ დასცინის და ამათრახებს ყველა ჯურის ნაკაცრებს, მათს სულიერ სიცარიელეს...

* * *

პირველ რომანში თუ მწერალმა „უკვე დამყარებულს და მკაფიოდ გამოსახულ ყოფას და ფორმას“ მიმართა, მომდევნო რომანში („ჯაყოს ხიზნები“), რომელიც თითქმის იმავე პერიოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში იწერებოდა, მისი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „უფორმო" მოვლენა აილო და ფორმაში მოაქცია. ამ შემთხვევაში მიხეილ ჯავახიშვილს ძველი დაკვირვებები და შთაბეჭდილებები აღარ ეყოფოდა. ახლა განსაკუთრებულად გამახვილებული მხატვრული თვალი და ფხიზელი ალღო იყო საჭირო, რომ ცხოვრებაში და ადამიანთა სულში მომხდარი უჩვეულო, უტრადიციო მოვლენები შეემჩნია, გაეაზრებინა, მართლად, დამაჯერებლად წარმოესახა და მათი განვითარების პერსპექტივებზეც მიენიშნებინა. ამის სირთულე იმით აიხსნება, რომ ახალი პროცესები ჯერ დაუსრულებელი იყო და ახალი ადამიანის ტიპებიც ჯერ თვით ცხოვრებაში იყო იშვიათი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ თაობის წარმომადგენლებს, ვინც თავდადებით იბრძოდა რევოლუციისა და მისი მონაპოვრის დასაცავად.

იდეური და ზნეობრივი სიახლე უმტკივნეულოდ როდი იკაფავდა გზას და მკვიდრდებოდა ქალაქად და სოფლად, ადამიანთა შეგნებაში. მას წინ ეღობებოდნენ რევოლუციის აშკარა მტრებიც, ფარისევლებიცა და მედროვეებიც, რომლებიც ბოროტად სარგებლობდნენ მძაფრი კლასობრივი ბრძოლის დროს დაშვებული ცალკეული შეცდომებით; თუ ღრმად ჩავუკვირდებით და ობიექტურად შევაფასებთ რომანს, როგორც უკვე ვთქვით, უარყოფითის მხილების პათოსთან ერთად, შევამჩნევთ ახლის დადებითის გაბედულ მხარდაჭერასაც; სწორედ უკანასკნელი განსაზღვრავს მწერლის პოზიციას.

პოპულარული „კვაჭი კვაჭანტირაძის" შემდეგ გამოქვეყნებულმა „ჯაყოს ხიზნებმა" წარმოუდგენელი ინტერესი გამოიწვია, იგი ფართო აზრთა გაცვლა-გამოცვლის საგანი გახდა, ცხარე პოლემიკა დიდხანს გაგრძელდა, დამცველებიც ბევრი ჰყავდა და უარმყოფელებიც. ეს არ შეიძლება შემთხვევითობით ავხსნათ. პოლემიკის დამნთები დენთი თვით ნაწარმოების გულში იყო მოთავსებული. იგი განპირობებული იყო ნაწარმოების იშვიათი მხატვრული ძალით, სინამდვილის უტყუარი ასახვით, ხასიათების ტიპიურობითა და დრომოჭმულის, წარმავლის მხილების სიმწვავით. ცხოვრების ის დუღილი, რომელიც რომანში იყო ასახული, ჯერ კიდევ არ ეკუთვნოდა გუშინდელ დღეს, მის პერსონაჟთა პროტოტიპები ჯერ კიდევ ცოცხლობდნენ და მოქმედებდნენ, მაშასადამე, ისინი მხილების, შემართების პათოსს მშვიდად ვერ შეხვდებოდნენ და სათანადო რეაქციასაც ამჟღავნებდნენ; ამ გარემოების ექო პოლემიკაშიც პოულობდა გარკვეულ გამოხატულებას. მწერალს სიყალბეში, რეალიზმის ღალატში სდებდნენ ბრალს, თეიმურაზი არ მიაჩნდათ ტიპიურ სახედ. ჯავახიშვილს აზრთა ეს სხვადასხვაობა სულაც არ აღელვებდა; პირიქით, ის ნაწარმოების ღირსების, მისი მხატვრული სიმართლის დამადასტურებელ ნიშნად მიაჩნდა. მართლაც, რომანი დიდი სულიერი მღელვარებითა და მართალი განცდით, ცხოვრების განახლების თანაგრძნობით არის აღბეჭდილი. როცა პოლემიკის ხანა გადავლილი იყო, მწერალი წერდა:

„უცნაურია: ყველაზე მეტი დავა „ჯაყოს ხიზნებმა" გამოიწვია, მაგრამ ყველაზე მეტი სიხარულიც ამ რომანის დასრულებამ მაგრძნობინა. იმ დღეს ნამდვილად ბალღად გადავიქეცი, რომელსაც გაუძლისი ბედნიერება დაატყდა. ველარც მე ვცნობდი ჩემს თავს და ვეღარც ჩემი ცოლ-შვილი მცნობდა".

ვიმეორებთ, რომანმა ასეთი ცხოველმყოფელი გამოხმაურება სწორედ იმით გამოიწვია, რომ მასში ქვეყნის განახლების მძაფრი მაჯისცემა ისმოდა, მდიდარი იყო ცოცხალი სახეებითა და შთამბეჭდავი ეპიზოდებით, „სულიერ-უსულო საგნების ურთიერთობით", რასაც მწერალი ბუნებას, სიცოცხლეს, ცხოვრებას უწოდებს.

მიხეილ ჯავახიშვილის ერთ-ერთი მთავარი ხერხია — პირველად ნაწარმოების პერსონაჟების გარეგნული პორტრეტი დახატოს და მერე თანდათან, მოქმედებით, საქმიანობით, განცდებით, მოვლენებზე რეაგირებით გაგაცნოთ მათი სოციალურ-ზნეობრივი ბუნება, მათი ხასიათები. გმირის გარეგნულ პორტრეტში გამჟღავნებული შტრიხები უაღრესად ნიშანდობლივია, აზრის ფართოდ დამტევი და ცხოველი ინტერესის აღმძვრელი — როგორ წარიმართება მისი ცხოვრების ბედი, მისი დამოკიდებულება ადამიანებთან, გარესამყაროსთან.

„ჯაყოს ხიზნების" მთავარი პრესონაჟები, პირობითად, სამ ჯგუფად შეიძლება დავყოთ. ერთნი არიან ძველი სამყაროს ნიადაგგამოცლილი ადამიანები — თეიმურაზ ხევისთავი და მისი მეუღლე მარგო, რომელთა მზე თანდათან მკრთალდება და ულიმღამოდ ჩადის, მეორენი—რევოლუციით გაღვიძებული ძალები, ახალი ცხოვრების დამამკვიდრებელნი, ჯანღონით სავსენი, მომავლის იმედით თვალგაბრწყინებული მშრომელი გლეხები — ნინიკა, თედო, თანდილა, ილო და სხვები; ამათვე შეიძლება მივაკუთვნოთ ნახუცარი ივანე, რომელმაც ანაფორა გაიხადა, უარყო თავისი ადრინდელი შეხედულებები და გულწრფელად ჩადგა განახლებული ცხოვრების სამსახურში, სოციალისტურ რევოლუციაში დაინახა ადამიანის ბედნიერებისა და სიკეთის წყარო. მესამე — ყოფილი მოჯამაგირე და ყოფილი მოურავი ჯაყო ჯავაშვილი, ხარბი, თაღლითი, გაიძვერა. მან ბოროტად ისარგებლა თეიმურაზის ნდობით. მისი ხასიათის სისუსტით და ხელში ჩაიგდო მისი უძრავ-მოძრავი ქონება, თანაც ვაჟრობას მიჰყო ხელი და სოფლის აუტანელ წურბელად

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქცა. გაკულაკებული ყოფილი მოურავი მემამულეზე უარესად ავიწროებდა გლეხებს, უხინდისოდ სცარცვავდა და ატყუებდა მათ. სულით და ხორცით მგელს, გარეგნობაც პირუტყვული ჰქონდა: ქალაქში თეიმურაზთან შემთხვევით მოხვედრილი ჯაყო მწერალმა ასე აგვიწერა:

„ჯაყო ჯივაშვილი ქალაქში შემოვარდნილ დათვს ჰგავდა. დედაბოძივით სქელი და გაჩაჩხული ფეხები ძლივს იმაგრებდნენ უშნოდ და ისე განივრად დადგმულ თეძოებსა და მხარბეჭს, რომ ვიწრო ტროტუარი მარტო ჯაყოს ძლივს იტევდა.

რამდენიმე ნაჭრილობევით დასერილი თავი და პირისახე ისეთი შავის, ხშირისა და აბურძგვნილის ჯაგრით ჰქონდა შემოსილი, თითქოს ჯაყოს ბეჭებზე კუპრში ამოვლებული უზარმაზარი ზღარბი აცოცებულაო.

შავი ჯაგრის ბუჩქნარი თვალებამდე სწვდებოდა და იმ ჯაგნარიდან მხოლოდ ხარის თვალებს, წინ-წამოწეულ ცხენის კბილებსა და აჭყლეტილ ცხვირს ამოეყო თავი.

ერთი მტკაველის სიგრძე ულვაშები გადმობრუნებულ ჯამებივით გამოყრილ ლოყებზე გაცვეთილ ცოცხებივით ეყარნენ, ხოლო იმ ჯამებს დინჯად და მედიდურად ლამბაქების ყურები დასცქეროდნენ“.

თეიმურაზმა რომ ყოფილ მოურავს შეხედა, გაოცდა, ისე გადიდებულიყო და გასუქებულიყო (ამ დროს უკვე თეიმურაზის მთელი ქონება ხელში ჰქონდა ჩაგდებული და მის მამა-პაპეულ ციხე-დარბაზში ბატონივით პარპაშობდა). სამაგიეროდ, თეიმურაზი საადრევად დაბერებულა, მიმქრალი და მილეულულია, თითქმის საამქვეყნო ალარაფერი ეტყობა:

„ნაბატონევი თეიმურაზ ხევისთავი თავის ნამოურავალს იღლიამდე ძლივს სწვდებოდა. თეიმურაზი უმზეო ყვავილივით ნაზი და ლამაზი იყო, ნატიფად ასხმული და ,ნაქანდაკევი, მაგრამ გამხდარი და გაძვალებული, მხრებაყრილი და მკერდჩავარდნილი, ბეცი და მელოტი, გაფუფქული ქათმის მინამგვარი, მწიგნობრობით დაღლილი, დაშრეტილი, გამოწურული და დამდნარი ნაკაცარი, რომელსაც მომავლად თვალწინ მხოლოდ შავი ნისლი ჰქონდა აფარებული, ხოლო ყველაფერი, რაც კი ოდესმე გააჩნდა, წარსულში ჰქონდა დარჩენილი“.

მწერალი ხევისთავს თავიდან ლმობიერად ეპყრობა და ერთგვარად სიმპათიურად გვიხატავს, მაგრამ რეალიზმის გრძნობას არ ღალატობს და მკაცრად ამათრახებს თეიმურაზის ხასიათის სისუსტეს, მის ლიბერალიზმსა და გზადაბნეულობას. თეიმურაზ ხევისთავი მაშინაც, როცა ჯერ ისევ ჰქონდა მამულები და ქონება, წინაპართა ბატონურ ქედმაღლობას და მიკერძოებას არ იჩენდა. თანამედროვე განათლებას იგი ხალხოსნური იდეებით გატაცებულ ლიბერალად ექცია. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობაშიც ედგა ფეხი, ჟურნალ-გაზეთებს სცემდა და წერა კარგად ეხერხებოდა, წერდა მხუბუქად და მიმზიდველად, ქველმოქმედებას ეწეოდა, ეხმარებოდა ღარიბ სტუდენტებს, სკოლებს და გლეხებსაც ლოიალურად ექცეოდა. „ზრდილი, პატიოსანი, დინჯი, ჭკვიანი და ენამჭევრი საზოგადო მოღვაწე“ ძალიან უფრთხილდებოდა თავის ავტორიტეტს, ცდილობდა თავისი საქციელით საბაბი არ მიეცა პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისათვის საზოგადოებაში მისთვის სახელი გაეტეხათ. მაგრამ მწერლის მიერ გმირის ამ დახასიათებაში სატირული ნელსაცხებელიც ურევია. ხედავთ და გრძნობთ, რომ მისი ეს ღირსებები ფუჭი მეოცნების ცარიელი ზიზილპიპილები და ფუჭყვავილა უფროა, ვიდრე ჯანსაღი ნაყოფი. უპირისპირდება რა „ნადირივით თავაგლეჯილ, კადნიერსა და რეგვენს, ხეპრესა და მოუხეშავ“ ჯაყოს წერდა:

„თეიმურაზმა თითქმის ყველაფერი იცოდა. სამაგიეროდ არაფერი არ შეეძლო; ჯაყომ არაფერი არ იცოდა, სამაგიეროდ ბევრის შემძლე იყო; პირველი თვალხილული და სმენიანი იყო, ხოლო მეორე — თითქმის უთვალჩინო და სმენა დახშული“, მაგრამ „სიცოცხლის წყურვილი, უნარი და სამართებლივით გალესილი ცხოვრების ფხა“ ჰქონდა. სწორედ ამ საპირისპირო თვისებებმა განაპირობეს თეიმურაზის ცხოვრების დეგრადაცია, დაქვეითება, დაცემა, და ჯაყოს მგლური ინსტიქტების აღორძინება, ბატონყმობის დროის ბატონზე უფრო სასტიკ „ბატონად“ აღზევება:

თეიმურაზი თავის მოურავს სულ იმას ჩასჩიჩინებდა:

„— ტყე და სსს... სახნავ-სათესიც ხალხს ეკუთვნის, თავი და... დაანებე, ღალას ნულარ გამოართმევ, ხალხი არ შეაწუხო, აყალ-მაყალს მოერიდე, თორემ ჩემი მტრები ისარ....რრგებლებენ, გაზეთებში გ...გგამლანძღავენ და საქვეყნოდ თავს მომჭრიან“! მოურავი ამ შეგონებას ყურს არ უგდებდა.

„როცა მუდამ მოუცლელ, ყოვლად გადაუდებელი საქვეყნო საქმით დატვირთული და პოლიტიკური გაზაფხულით გატაცებული“ თეიმურაზი შემოდგომობით ორ-სამ წელიწადში ერთხელ მაინც თბილისიდან ნაშინდარში ჩავიდოდა, გლეხები შემოეხვეოდნენ, ემუდარებოდნენ შემწეობა მიეცა და ვალი შეემცირებინა ან ეპატიებინა. თეიმურაზიც უარს ვერ ეუბნებოდა, მაგრამ ჯაყოს რისხვას თავს ვერ აღწევდა. ჯაყოს ხელში ეჭირა უნებისყოფო თეიმურაზი და რაც უნდოდა, იმას აკეთებდა, თეიმურაზს ბავშვივით გაუწყრებოდა და დატუქსავდა, ეტყოდა „—ბატონო, შენ უნდა წახვიდე აქედან, თორემ მე და შენ ვერ მოვრიგდებითო“.

ჯაყო უდიერად ექცეოდა გლეხებს, ორჯერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამჯერ ახდევინებდა ღალას, ფიზიკურ ძალასაც იყენებდა, თანაც ნელ-ნელა თეიმურაზის უძრავ-მოძრავ ქონებას, მოტყუებითა და ცბიერებით ხელში იგდებდა, ეპატრონებოდა.

ორივე ამ ადამიანს მწერალმა გლეხები — ნინიკა, ილო, თედო, თანდილა და ნახუცარი ივანე, მათი ჯანსაღი ლტოლვა და რეალისტური ფილოსოფია დაუპირისპირა. ივანე რომანში ძალიან საინტერესო ტიპია, მას ცხოვრებამ აუხილა თვალი, უარი თქვა ღვთის „სამსახურზე“ და ხალხთან ერთად ახალი ცხოვრების მშენებლობის ენთუზიასტი შეიქნა. თეიმურაზისა და ივანეს დიალოგში შეპირისპირებულია წარმავლისა და ამომავლის, მომაკვდავისა და სიცოცხლისუნარიანის ფილოსოფია. ორივე ინტელიგენტია, ძველი სამყაროდან მოდიან, მაგრამ ერთი უნიადაგო შეხედულებებით გონდახშულია, უიმედო, მეორე კი — თვალახელილი, რეალისტურად მოაზროვნე, პერსპექტივიანი: თეიმურაზის ირონიულ კითხვაზე — „ახლა შენ მითხარი, ივანე, შენ მარტო ანაფორა გაიხადე, თუ რწმენაც იმ ანაფორას გააყოლე? — ივანემ ღიმილით უპასუხა:

— რწმენა კი არ გავაყოლე ანაფორას, არამედ ანაფორა გავაყოლე რწმენას. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მე შენსავით არ დავცარიელებულვარ. ღვთის რწმენა დავკარგე, სამაგიეროდ უფრო ძლიერი რწმენა შევიძინე.

— რომელი? — გაოცებით შეეკითხა თეიმურაზი.

— მწამს ჩემი მშრომელი ხალხის ძალა და მისი მომავალი“; უფრო მკაცრად კიცხავს ივანე თეიმურაზს: — „მე ეკლესიის მსახურებას მოვწყდი და ხალხს დავუბრუნდი, შენ კი ძველსაც მოსწყდი და ახალსაც ვერ შეურიგდი“.

თეიმურაზი და ივანე ერთმანეთის ანტიპოდები არიან.

„— დავიღუპებით, — კვნესით ამბობდა თეიმურაზი.

— ვშენდებით, — ნუგეშიანად უპასუხებდა ივანე. — ქართული სული და კულტურა მხოლოდ ეხლა იღვიძებენ“.

ივანეს ეს სიტყვები ნიჰილისტსა და სკეპტიკოსს თეიმურაზს სასაცილოდ არ ჰყოფნის. გესლით ჩაიხითხითებს და ირონიულად წაიბუტბუტებს:

„— ქართული სული! ქართული კულტურა!..“ მას აღარც ქართული სული სწამს და აღარც ქართული კულტურა. როცა ივანე ეტყვის ქართველი ერი უკვდავიაო, იგი ცინიკურად მიუგებს:

— „უკვდავია მხოლოდ მეტაფიზიკური ბოდვა, დრო და მისტიკური ზღაპარი. ეხლა უკვდავება შეყვარებულ სტუდენტსაც არა სჯერა“.

გონებადაჩლუნგებულ თეიმურაზს მხოლოდ თავისი ერის უკვდავებაში კი არ ეპარება ეჭვი, აღარც კაცობრიობის არსებობა სჯერა, გულში დაგროვილმა ღვარძლმა თვალთახედვაც შეუზღუდა და გონებაც:

„— კაცობრიობა! კაცობრიობა! — წამოიძახა თეიმურაზმა — ისე ახირებულხარ, თითქოს კაცობრიობა მართლა არსებობდეს!“

თეიმურაზი სწრაფად მიექანებოდა უფსკრულისაკენ, მაგრამ მაინც თავის რწმენას, თუ ამას რწმენა ეწოდება, ჯიუტად შეხორცებოდა:

„— ივანე, ერთი რამ დაიხსომე სამუდამოდ, მე მომღუნეს, შეიძლება მომტეხონ, მაგრამ ვერასოდეს ვერ დამიმორჩილებენ, ვერ-ა-რა-სოდეს, გესმის? ვერ-ა-რა-სოდეს მეთქი! როცა იქნება, მე ჩემს ნამდვილ სათქმელს ვიტყვი“.

თეიიმურაზის ამ სიტყვებში მწერალმა მწვავე ირონია გაურია. დროთა განმავლობაში თეიმურაზის სულსა და გონებაში რაღაც ცვლილებების მსგავსი ხდებოდა, რაღაც იმედის სხივი ჩნდებოდა, მაგრამ ეს სხივი ისევ უმალ ჩაქრებოდა და მის გონებაში კვლავ შავი წყვდიადი ჩამოწვებოდა ხოლმე. მისი სიტყვა და საქმე ერთმანეთისაგან გათიშული იყო. როცა ერთ დღეს თეიმურაზმა ივანეს ალსარება გაანდო — ახლა მივდივარ ახალი ბედის საძებნელად და ახალი ცხოვრების მოსაწყობად, რაც იყო, წავიდა, აღარ დაბრუნდებაო, ივანემ არ დაიჯერა, მაგრამ არ შეედავა, მაინც გზა დაულოცა...

ხმელეთზე ამოვარდნილი თევზივით ცოცხალმკვდარი თეიმურაზი სამსახურსაც წაეპოტინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, ახალი ქვეყანა და თეიმურაზი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ, მათ ერთმანეთისა არ ესმოდათ. იმდენად დაუძლურდა, გამოიფიტა, სულიერად დაცარიელდა, რომ არა მარტო საზოგადოებრივი ცხოვრებისა არაფერი ესმოდა, არამედ იმასაც ვერ ხედავდა რა ხდებოდა მის ირგვლივ, მის ოჯახში, და თუ გული რაღაც უბედურებას უგრძნობდა, წინააღმდეგობის უნარიც დაკარგული ჰქონდა. მის ინტელექტუალურ დეგრადაციას, ზნეობრივი დეგრადაციაც მოჰყვა, „ბედს“ ინერტიულად გაჰყვა, „ბედი“ კი მას სიკეთეს არ უქადდა.

გაქნილმა და ვერაგმა ჯაყომ თეიმურაზის მხოლოდ სახლ-კარი და ქონება როდი მიითვისა, ოჯახიც დაუნგრია, ცოლიც წაართვა. მწერალი მარგოს ხელაღებით როდი ადანაშაულებს ბედის ჩარხის უკუღმართად დატრიალებაში, მარგოს ზნეობრივ დაცემაში თვით თეიმურაზს მიუძღვის ბრალი. ჯანღონით სავსე ახალგაზრდა ცოლი სრულიად უყურადღებოდ ჰყავდა მიტოვებული, წიგნებში და გაზეთებში ჩაფლული, ცოლისათვის არასოდეს არ იცლიდა. „იმის დაშრეტილ და დონდლო სისხლში ვნების ქარიშხალი არასოდეს არ ატეხილა, და მისი გული, — ისიც მჩატე გაზეთებივით დაჭმუჭნული და გაჩვარებული, — ღვთაებრივ ხანძრით არ ანთებულა. იქ, სადღაც, ჯურღმულში ოდნავ-ღა ბჟუტავდა მილეული ჰრაქი და მასზე ძლივსღა შიშინებდა ნელთბილი სიყვა-

რული. იმ მილეული ჭრაქის ალი გაყინულ მარგოს ერთხელაც ვერ მოეკიდა, ვერ გააცხელა და ვერ აადუღა მისი ობოლი სისხლი ვნების დუღილით, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა სიცოცხლის ხალისი, დინჯი ბედნიერება და ხევისთავთა გვარის უკვდავება“.

მარგო ერთხანს „თეიმურაზის შუქით და სახელით იკვებებოდა“, იმისი მოღვაწეობით მოხიბლული, „იმის დღეს ფიცულობდა და იმის ხატს ლოცულობდა“, მაგრამ ასე დიდხანს არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. როცა იგი ნელ-ნელა გაცვდა, დადნა და დაპატარავდა, მარგოსაც ყველაფერი მოსწყინდა, მობეზრდა, „მისი მჩატე ნააზრევიც, მისი მუდმივი ფუსფუსი და საქვეყნო მოღვაწეობაც“. საკმარისი იყო ოდნავი ბიძგი, შემთხვევა, რომ მათი ცოლქმრობის ფუძე შერყეულიყო. ამას ქვეცნობიერად გრძნობდა მარგო და შიშობდა.

უკანასკნელად რომ ჯაყო თბილისში ჩამოვიდა და გალატაკებული და დაუძლურებული თეიმურაზი იხილა, გულში მზაკვრულმა აზრმა გაუელვა — სთხოვა თეიმურაზსა და მარგოს მასთან წასულიყვნენ სოფელში, იქ თავისუფლად იცხოვრებდნენ, არაფერი მოაკლდებოდათ:

„— კნეინაჯან, ამ ოხერ ქალაქში რას აკეთებდე!.. მოდ[illegible] ჩემთან სტუმრად წამოხვიდოდე, ღმერთმანი! ჯაყო ისე შეინახავდე ნათლიებსა (მარგო მისი შვილის მომნათვლელი იყო. ე. ქ.), როგორც ბატკნებსა, მაშა“.

თეიმურაზი ჯაყოს სურვილის ფარულ აზრს ვერ მიხვდა, ჯაყოს წინადადებამ კმაყოფილების გრძნობა აღუძრა. ქალაქში უჭირდათ, ყელამდე ვალებში იყვნენ ჩაფლული და ლუკმაპურსაც ველარ შოულობდნენ, ჯაყოს წინადადებას ცოტა სხვანაირად შეხვდა მარგო, თავიანთ ნასახლარში, ისიც ნამოჯამაგირალთან შეკედლება თავმოყვარეობას ულახავდა, თანაც გული რაღაც ავს უგრძნობდა. ქმრის საყვედურზე — შენი, არ მესმ[illegible], თითქო ჯიბრში მიდგებარო, — მარგომ არც თუ ორაზროვნად უპასუხა:

„— ჯიბრში კი არ გიდგები, ხელს ვიბანმეთქი. თუ ჩვენი საქმე უარესად წავიდა, მე ნურაფერს დამაბრალებ-მეთქი. შენგან გამიგონია: ვინც მაღლე სჭრის, ის დიდხანს ნანობსო“.

თეიმურაზმა თავისი გაიტანა, თბილისში შიმშილს, ჯაყოს ხიზნობა არჩია. „ჯერ მე წამოვალ, — უთხრა ჯაყოს, — იქაურობას დავხედავ და მერე მარგოსაც დავიბარებ“.

ამ შემთხვევაში მწერალი მარგოს ანტიპათიურად არ გვიხატავს, იგი გვეუბნება, რომ მარგომ მშობლიურ ქალაქს გულისტკივილით შეაქცია ზურგით, მიდიოდა და არ მიუხაროდა:

„მატარებელი მარგოს ქართლისაკენ მიაქროლებდა, ხოლო დედაკაცის აჩუყებული გული კვნესით უკანვე იწევდა“.

და აი, როცა სამი საათის [illegible]დეგ მარგოს სადგურზე მხოლოდ ჯაყო დახვდა, ცუდად ენიშნა, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო.

მარგო ჩარდახიან ურემში გაშლილ ლოგინზე წამოწვა, ჯაყო კი კოფოზე მოთავსდა. ჯაყო არ ჩქარობდა, მარგოს კი ერთი სული ჰქონდა, ვიდრე სოფელში მივიდოდა. „— ჯაყო, იჩქარე, თორემ საღამომდე ვერ მივალთო“, შეეხმიანებოდა ხოლმე დროდადრო, მაგრამ ჯაყო ამშვიდებდა, შენ ნუ გეშინიაო, და უფრო უკლებდა სვლას, თან გაბადრული ჯაყო ანთებული თვალებით ხარბად ჰამდა მარგოს გაღეღილსა და მოყვითალო მარმარილოს მკერდს, სპილოს ძვლის მკლავებსა და კისერს, ამობურცულ ძუძუებსა და განიერ თეძოებს, შავ კაბაში გამოკრულ ბარძაყებსა და ჯიშიან წვივებს“.

ჯაყო უბედად გადაიქცა და თანდათან მარგოც აიყოლია, ნამოჯამაგირალს დიდხანს არ დასჭირებია შორიდან მოვლა. საკენკი გადაუგდო. თითქოს სიბრალულით უთხრა:

„— ეეეჰ, კნეინაჯან! თეიმურაზი შენი ყადრი არ ვიცის, თორემ“...

ჯაყოს ეს სიტყვები მარგოს გულუბრყვილო ნათქვამად მოეჩვენა და გადაგდებულ ანკესს მაშინვე წამოეგო.

„— რატომ, ჯაყო? რაში მეტყობა?“ — შეეკითხა მარგო და ჯაყოსაც ეს უნდოდა:

„— იმაში გეტყობება, შენი წირიმე, რომა გამხდარხარ, გენაცვალოს ჯაყო, ძალიან გამხდარხარ.

მარგომ მხიარულად გადაიკისკისა“.

ჯაყოს უხეში კალამბური მარგოს ხუმრობად ეჩვენებოდა, ის კი ნელ-ნელა თავის მიზანს უახლოვდებოდა. ჯაყომ თითქმის პირდაპირ უთხრა მარგოს, თეიმურაზი არც ვაჟკაცია და არც ღონიერიო, „შენისთანა ქალი სულ ოქრო-ვერცხლში უნდა იჯდეს და შენი ქმარი ისეთი ღონიერი უნდა ვიქნებოდე, როგორც ჯაყო ხარ, მაშა, მაშა!“ მარგომ გულიანად გადაიკისკისა ჯაყოს „ხუმრობაზე“, რა მასხარა ყოფილხარ, ძლივს არ გამაცინეო, და თვითონაც ხუმრობის კილოთი ჰკითხა:

„— ჯაყო, მაშ შენი ცოლი რომ ვყოფილიყავი...

ჯაყო კინაღამ კოფოდან გადმოვარდა:

— ჩემი ცოლი?! შენ რომ ჯაყოს ცოლი იქნებოდე?!

— ჰო, მე რომ შენი ცოლი ვყოფილიყავ, როგორ შემინახავდი? აბა მიამბე, ჯაყო! სიცილით ჰკითხა მარგომ, მერე წამოჯდა და გაბადრული პირისახე გაბადრულ ჯაყოს შეუბრუნა. — აბა მიამბე ჯაყო, როგორ შემინახავდი?“!

„ჯაყო მთვარესავით გაიშალა“, სხეულში იმედის სითბომ დაუარა და გატაცებით მოუყვა, რომ ქალბატონივით აცხოვრებდა, ყელამდე სიმდიდრეში ჩასვამდა, ძვირფას სამშელ-სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელსაც არ მოაკლებდა, ჩიტის რძეც რომ მოსდომოდა, იმასაც უშოვიდა!

მარგო გულიანად იცინოდა ჯაყოს ოსურად მოქცეულ კილოზე და იმაზე ფიქრი სულაც არ გაჰკარებია, რომ ნათლიმამა ღალატს ჩაიდენდა!

„ასეთ ხუმრობასა და ოცნებაში, — გვეუბნება მწერალი, — მზეც ჩავიდა და ბინდმა მოაღწია, ბაღ-ვენახებით, ჭრელი სოფლებით, პატარა ხევ-ხუვებით და თხელი ჭალებით დაწინწკლული ქართლის უზარმაზარი მწვანე ხავერდი დამუქდა. საურმე გზა სადღაც დაიკარგა. ურემი ჯერ ბილიკზე გადავიდა, რიყეს გაჰყვა და ჯაგნარს შეერია". უკვე გრძნობთ, რომ ჯაყო თავისი ვერაგული განზრახვის შესრულებას შეუდგა. კიდევ კარგა ხანს უგზო-უკვლოდ ატარა ურემი, მერე ერთ ბნელჭალაში შეაჩერა და ხარების გამოშვებას შეუდგა.

მარგომ გზის გადახვევა გვიან შენიშნა, ურმიდან ხარების გამოშვება ავად შეიცნო და შიშმა აიტანა, აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო, გაჩუმდა და ბედს მიენდო. ჯაყო კვლავ უბედად გადაიქცა, ნუ, ნუ გეშინიანო, ამშვიდებდა, მაგრამ მარგოს დამშვიდება უკვე აღარ შეიძლებოდა, ჯაყოს პასუხს აღარ აძლევდა, ხმა ჩაიკმინდა, „თავი მოიმძინარა და გაირინდა". როცა ღამის წყვდიადი ჩამოწვა და ბუნება გაინაბა, აღარსაიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა, ჯაყო ურემზე ავიდა და, ნებით რომ ვერაფერს გახდა მარგოს ძალით დამორჩილებას შეუდგა. მარგომ წინააღმდეგობა გაუწია, ლანძღავდა, ყვიროდა, ემუქრებოდა. მაგრამ ღონიერ მხეცთან ვერაფერი გააწყო.

„ეინმობანილი და დამშვიდებული ჯაყო ურმის ქვეშ შეძვრა და გოლიათის ხვრინვა ამოუშვა". „ნაცემი, ნაბეგვი, დაძალებული და გაჰუჭყიანებული" მარგო კი — „ახდილ ნამუსს, შელახულ პატივსა და გასრესილ თავმოყვარეობას ცეცხლის ცრემლით ჰგლოვობდა, მოწამლულივით ჰბორგავდა, სიმწრისაგან იკლაკნებოდა და გულში იმუქრებოდა".

ასე დაწვრილებით მარგოს მგზავრობას თბილისიდან სოფლამდე იმიტომ შევეხეთ, რომ ნათელი გაგვეხადა ავტორის დამოკიდებულება ამ ქალისადმი: მარგო მწერალს ხელაღებით უარყოფით პიროვნებად როდი ჰყავს დახატული, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია; პირიქით, მის მიმართ გარკვეულ თანაგრძნობასაც იჩენს. იგი მიაჩნია უნებლიე მსხვერპლად თეიმურაზის უყურადღებობისა, უუნარობისა. ბუნების ძალამ ადამიანის ნებისყოფას სძლია. უშნომ, უზრდელმა, მაგრამ ჯანიანმა ვაჟკაცმა მარგოს პირველად აგრძნობინა მამაკაცი, პირველად აუჩქროლა სისხლი ნამდვილი ვნებით, და ეს ცოტას როდი ნიშნავდა ჯანსაღი სხეულისათვის.

აი როგორ გვიხატავს მარგოს სულში მომხდარ მეტამორფოზას:

„რიჟრაჟზე ჯაყო ერთხელ კიდევ [illegible] ურემზე და იმ ჩარდახიდან კივილისა და ტირილის ნაცვლად დედაკაცის ვნებიანი კვნესა და თავდავიწყებული ბოდვა მოისმა.

იმ ჭალაში, ლიახვის პირზე, როცა ცამ თვალი მოიფშვნიტა და ფერი იცვალა, მიძინებულმა მარგომაც პირველად გამოიღვიძა. გაკვირვებით თვალი გაახილა და ხარბად დასწვდა ცხოვრების ერთ საუნჯეს, რომელიც ამ ქვეყნად არც კი ეგულებოდა. რაც უნდილმა და ჭიანჭამმა თეიმურაზმა თავის უმის ვნებით ათ წელიწადში ვერ გაუთბო მარგოს, ტყიდან გამოვარდნილმა ნადირმა — ჩაკირულმა ჯაყომ — ათ წუთში აუდუღა და აუჩქროლა.

მარგო უძილობით იყო გალახული. მაგრამ მაინც მღედრულის თვალით დაინახა და ცხადად იგრძნო უცნაური ცვლილება:

ჩაზნექილი გულიდან თითქო მძიმე ლოდი აეხსნა. გაღვიძებულმა ძარღვებმა სიცოცხლის ჟრიამული მორთეს და დუბელა სისხლმაც ჩუხჩუხი ასტეხა. იგრძნო და გაიგო მარგომ, რომ იმ ღამიდან მას გრილ სულში შარავანდედი ჩაესახა, რომ მისი დაობლებული ტანი საამურის შანთით დაიდაღა, დაუტევნელის სიხარულით გაიჟღინთა და სხივნაკრავ კოკორივით გაიფურჩქნა".

მარგო მაინც დიდხანს ებრძოდა თავისთავს, ფიქრობდა: — მარტო რომ დარჩებოდნენ, თეიმურაზს ყველაფერს ეტყოდა, იმღამინდელ ამბავს გაუმხელდა, თან გააფრთხილებდა, ხმას ნუ ამოიღებ, ნურც შენ მოიჭრი თავსა და ნურც მე მომჭრიო, ავდგეთ, ჩქარა წავიდეთ აქედანო. რამდენჯერმე დააპირა თქმა, ერთხელ კიდევაც დაიწყო, — თეიმურაზ... მაგრამ თეიმურაზი განზე იყურებოდა და ცოლის ლაპარაკი არ ესმოდა... მერე და მერე, უკვე უაზრო შეიქმნა ალსარება, თანაც მარგოს თვალში თეიმურაზი თანდათან უფრო მცირდებოდა.

თეიმურაზი არაკაცად იქცა ფიზიკურადაც, სოციალურადაც და ზნეობრივადაც. დაჰკარგა ადამიანის სახე. ყველაფერს ხედავდა და თვალს არიდებდა, ეუბნებოდნენ და ყურს იყრუებდა. როცა ჯაყომ მარგო წაართვა და მასზე ჯვარი დაიწერა, გაუბედურებული თეიმურაზი უძლური მოწმე იყო ყოველივე ამისა.

მარგო მადლიერი არ იყო თავისი ბედისა, მაგრამ ჩვრად ქცეული თეიმურაზი თანდათან შეზიზღდა. ჯაყოს ხელში იტანჯებოდა, ბოლოს მის უბრალო ხელზე მოსამსახურედ იქცა, ჯაყო მარგოს ცემასაც არ ერიდებოდა, მაგრამ თავზევით ძალა აღარ შეჱწევდა, აღარსად წაესვლებოდა და მძიმე ხვედრს უსიტყვოდ ურიგდებოდა. მარგო ახლა სიბრალულს უფრო იწვევდა, ვიდრე გაკიცხვას... უმართებულო იქნებოდა მარგოსათვის მოგვეთხოვა, როგორც ზოგიერთი მკვლევარი სჩადის, ფეხზე წამოეყენებინა დაცემული და დამცირებული თეიმურაზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს მარგოს არ შეეძლო, არა იმიტომ, რომ არ სურდა, არამედ იმიტომ, რომ თვითონ თეიმურაზის ხასიათი ამის საშუალებას არ აძლევდა, თეიმურაზი ტყვედ ჰყავდა თავის „ფილოსოფიას“ და ჯანსაღი ხილვა მოვლენებისა დახშული ჰქონდა, არც არავის უსმენდა, არც არავის უჯეროდა, აკი არც მარგოს მუდარას გაუწია ანგარიში — დარჩენილიყვნენ ქალაქში და არ წასულიყვნენ სოფლად ჯაყოს ხიზნებად! როცა საბოლოოდ გაუბედურებული თეიმურაზი მარგოს თანაგრძნობას სთხოვს, უკვე გვიან არის: თეიმურაზს არ შეეძლო ახალი ცხოვრება დაეწყო. მისთვის რომ თანაეგრძნო, მარგოს პიროვნებას უფრო მეტი ჩრდილი მიადგებოდა. მან ჯაყოსთან საბოლოოდ დარჩენა, მასთან მონური ცხოვრება მხოლოდ ტანჯვისათვის აირჩია, რათა ნაწილობრივ მაინც შეემსუბუქებინა თავისი დანაშაული, თუმცა ამ დანაშაულის მთელი სიმძიმე მას არ აწვა კისერზე. ეს ბოლოს თვით თეიმურაზმაც შეიგნო. თავისთავთან დარჩენილი თეიმურაზი ანალიზს უკეთებს განვლილ გზას, მარგოს უდანაშაულოდ მიიჩნევს და თავისი ბრალი „უსაზღვროდ და უძიროდ“ ეჩვენება. საკუთარი დანაშაულის შეგნებამ სულიერი ტკივილები გაუათკეცა და მარგოს სიბრალულის გრძნობა გაუღვივა... განა ამის გამო არ იყო, რომ „ქადილით წასული მებრძოლი ერთგული ძაღლივით უბრუნდებოდა ჯაყო ჯივაშვილს“; როცა თეიმურაზი კოოპერატივში მოეწყო ნოქრად და „დამოუკიდებელი ცხოვრება“ დაიწყო, მაშინაც მარგო მუდამ თვალწინ ედგა, — მარგოს სახელს რომ გაიგებდა, გვეუბნება მწერალი, ან საერთოდ გზაში მოჰკრავდა თვალს, უმალვე მუშტარს თავს მიანებებდა, სიტყვას შუაზე გაწყვეტდა და ფანჯარას მივარდებოდა. სანამ მარგო მოსჩანდა იმ გზაში, გახევებული თეიმურაზიც იდუმალ ჯაჭვებით იყო მიბმული ფანჯრის ბაქანზე.

ჯაყო? — ჯაყოს ზნეობრივი სახე გამოიკვეთა თეიმურაზსა და მარგოსთან ურთიერთობაში, ამ ურთიერთობაშივე გამოჩნდა მისი, როგორც სოფლის ბურჟუის, კულაკობის წარმომადგენლის იდეურ-ფსიქოლოგიური ნიშან-თვისებები, რაც სოფელთან მიმართებაში, მშრომელ გლეხობასთან დამოკიდებულებაში კიდევ უფრო დაკონკრეტდა და სრული სახით წარმოსდგა. თავისი პრაქტიკული ჭკუის წყალობით ჯაყომ კარგად ისარგებლა თებერვლის რევოლუციით, მენშევიკების ბატონობის პირობებში კიდევ უფრო გაულვივდა მტაცებლური მადა, ადგილობრივი სახელმწიფოებრივი ძალაუფლებაც ჩაიგდო ხელში და მთავრობის დასაყრდენი გახდა. როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, ჯაყოს სიმშვიდე დაეკარგა, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა, ისევ თავისი მოხერხებულობის იმედი ჰქონდა. ძველი ღმერთი ანათემას მისცა და ახალ მთავრობას ლაციცი დაუწყო.

„— ღმერთმა გაკურთხოს ბოლშევიკების მთავრობა, რომელმაც საწყალ ჯაყოს სახლიც მოგცა, ბაღიც, ვენახიც და კარგი კანონიცა... — გაიძახოდა ყველას გასაგონად“.

მაგრამ გაიძვერას ეს ფანდები აღარ გაუვიდა. სოფელში გამოჩნდნენ ახალი ადამიანები, რომლებმაც ამ „კარგი კანონით“ ჯაყოს ნიღაბი ჩამოხსნეს, მითვისებული მიწები ჩამოართვეს და გლეხებს დაურიგეს, თეიმურაზის ნასახლარიდან გამოასახლეს და იქ სკოლა და კოოპერატივი გახსნეს, ჯაყოს კი თავისი ადგილი მიუჩინეს. მოწინავე გლეხები — ნინიკა, ილო, თანდილა, თედო ხალხს სათავეში ჩაუდგნენ და სოფელი ახალი ცხოვრების რელსებზე შეაყენეს.

ამით საბოლოოდ მკაფიოდ იკვეთება რომანის შინაგანი ტენდენციაც, მწერლის მოქალაქეობრივი პოზიციაც, და აქედან გამომდინარე ნაწარმოების მთავარი იდეაც.

განახლებული საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი მწერლის დამოკიდებულება, მისი მოქალაქეობრივი პოზიცია, თეიმურაზის, მარგოსა და ჯაყოს ურთიერთობის პრობლემა რომანში მეტად ნათლად არის გამოხატული. ობიექტური მკითხველისათვის ძნელად ამოსაცნობი აქ არაფერია. რომანის „სამკუთხედის“ თემის ირგვლივ დავა, მასში რაღაც „უცნაურის“ ძიება ყოველთვის ხელოვნურ ხასიათს ატარებდა და დამაჯერებლობას მოკლებული იყო. სამკუთხედის მარადიული თემა მიხეილ ჯავახიშვილმა ორიგინალურად გაიაზრა, ფართო მასშტაბის სოციალურ ძვრებთან დააკავშირა და ძლიერი ემოციური ძალის ეპოქალური ტილო შექმნა.

მარგოს მიერ ქმრის ღალატი, როგორც ზევით დავინახეთ, თეიმურაზის მამაკაცურ სიძაბუნეში იღებს სათავეს. სქესთა ურთიერთობის ეს პრობლემა ცხოვრებაში მოუწესრიგებელი რჩება თვით იდეალური სიყვარულის დროსაც. მიხეილ ჯავახიშვილი შეწუხებული იყო ხოლმე, როცა ზოგიერთი ვერ უგებდა და მის ჩანაფიქრს ყალბად განმარტავდა. ალბათ ამით აიხსნება, რომ თავის უბის წიგნაკში ჩაუწერია:

„ჯაყოს პრობლემა — რასპუტინის პრობლემაა. დედოფალ ალექსანდრას წინაშე არჩევანი რომ წამოჭრილიყო — ან რასპუტინი ან მეფე ნიკოლოზით — უეჭველად რასპუტინს აირჩევდა. ვინც რასპუტინიადას იცნობს, დამეთანხმება“ (იხ. ქეთევან ჯავახიშვილი, ჟურნ. „მნათობი“, 1981 წ., № 9, გვ. 169).

რომანში სტილისტიკურადაც შეიმჩნეოდა სიახლის ნიშნები. მწერალი შემოქმედებითად აფართოებს კრიტიკული რეალიზმის ფარგლებს, საბჭოთა რომანისტიკის პირველი კვალი გააქვს. „ჯაყოს ხიზნებმა“ ქართული საბჭოთა პროზა ახალ სიმაღლეზე აიყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თეთრი საყელო" ფრიად საინტერესო ნაწარმოებია. ლაღი და თავისუფალი თხრობა, კოლორიტის შთამბეჭდაობა რომანს იშვიათ მიმზიდველობას ანიჭებს. შეიძლება პრობლემატიკაც რომანისა მთლად ახალი არ იყოს, მხატვრული ლიტერატურისათვის, მაგრამ მთავარი ხომ ეს არ არის! ერთსა და იმავე თემაზე, ამ სიტყვის ფართო გაგებით, მრავალ ავტორს შეუძლია დაწეროს, თუკი იგი თავის სათქმელსა და საკუთარ ფორმას მიაგნებს. აქ კი მწერალი ქმნის ცოცხალ, პლასტიკურ სურათებს, რომლებშიც დამახასიათებლად აისახება კონკრეტული ყოფის თავისებურება, დინამიკა, ცხოვრების განვითარების გარკვეული ისტორიული კანონზომიერება; ამ კანონზომიერებიდან გამომდინარე პრობლემებსაც ახლებურად წყვეტს, ხწყვეტს სახელდობრ ისე, როგორც ეს მეოცე საუკუნის მოწინავე რეალისტ მწერალს მოეთხოვება.

ყოველგვარი მხატვრული ნაწარმოების წყაროს რეალური ცხოვრება, სინამდვილე წარმოადგენს. რეალური ცხოვრება გაცილებით მეტს იძლევა, ვიდრე მას ადამიანის ფანტაზია წარმოადგენს. ეს კარგად იცის მიხეილ ჯავახიშვილმა. ერთ-ერთ თავის გმირს ასე ალაპარაკებს:

მე ვფიქრობდი, რომ მწერალი ზოგჯერ ოდნავ ხტყუის, რადგან ხშირად ისეთ უცნაურს, რთულსა და გახლართულ ამბავს გვიამბობს, რომელიც არსად არ მომხდარა ან ვერ მოხდებოდა. მაგრამ შემდეგ, რაც გაუთავებელ ომებსა და რევოლუციის დროს ნახა და გაიგო, ეს აზრი ყირამალა გადაუტრიალდა. თამამად დაიწყო იმის მტკიცება, რომ ცხოვრება ისე გენიალურად ხტყუის, ისეთ რთულსა და უცნაურ ამბებს ჰქარგავს, რომ ყველა მწერლის ფანტაზია მასთან შედარებით მკრთალია.

„საქართველოს სპილენძი აღარა აქვს, — ვთქვი და გადავწყვიტე, — უნდა ვიპოვნო". ელიზბარი — მთავარი გმირი რომანისა — მართლაც მიდის განზრახვის შესასრულებლად, მეგზურად ახმეტელ ნაჩათრალს აირჩევს და გზას გაუდგება. მაძიებელთ გზა აებნევათ, უგზო-უკვლოდ ხეტიალობენ ულრან ტყეებსა და ხევებში და ამ ხეტიალში წააწყდებიან სოფელს — ჯუხრაანთკარს, რომლის არსებობა არავინ იცის: ჯუხრაანთკარელები ცხოვრობენ განდეგილად, გარესამყაროს მოწყვეტილნი, არც მათი არსებობა იცის ვინმემ და არც თვითონ უკავშირდებიან ვისმეს, პირიქით, ახლოს არავის აჭაჭანებენ. თუ კი ვინმე შემთხვევით აღმოჩნდება მათ ტერიტორიაზე, აუცილებლად მოკლავენ, რათა სოფლის გასაიდუმლოებული მისასვლელი არ გამჟღავნდეს. ელიზბარისა და მისი მეგზურის გამოჩენამ სოფელში, უჩვეულო ალიაქოთი ატეხა, ხევსურები აღშფოთებით შემოეხვივნენ ირგვლივ, ალბათ დახოცავდნენ კიდეც, რომ მოულოდნელად ელიზბარის [illegible]ნობი, მისი ყოფილი მოწაფე, დიდი ხნის უნახავი ჯურხა არ შეხვედროდა. ჯურხას წყალობით სოფელში ყველა შინაურულად მიიღებს.

ელიზბარი სიამოვნებით დარჩება ჯურხაანთკარში, ჯურხას ძმად გაეფიცება, გაწიკლაურდება, იქაურ ზნე-ჩვეულებას გაიზიარებს. მეგზურს თვალახვეულს გამოისტუმრებენ, რათა გზა არ დაიხსომოს და არავის მოასწავლოს.

ელიზბარი მოხიბლა აქაურობამ, „თვალსა და გულში ეცნენ ლაჟღაჟა და სისხლიანი ქალუკები და ვაჟიკები, თოთიები და ჯურხები, შუქიები და ლელიკები, თუთიები და ხაუთთები". ჯურხას აზრს: „— ჩვენ ჰუჰყი გარედან გვაცხია, ქალაქელს კი შიგნით აქვ. სრულ მუდამ იმას გონებენ, ვინ მოვატყუვავ, ჩვენ ჯანსაღნი ორთ, თქვენ კი დამპალნი ეშმანი ხართ და სულიც და ხორციც დამპალი გაქვთ", — ელიზბარი უდასტურებს — აგრეათ.

ჯურხა ამბობს:

„— ქალაქელი ხელმრუდეა, ჯიბგირია, ქურდია, ვერაგი, მთაჩი კი არც ქურდობაა და არც მოლორებაა."

ელიზბარი უპასუხებს:

„— ჰეშმარიტებაა, ჯურხავ! სრული სიმართლეა!"

ელიზბარის თვალში ქალაქმა და ქალაქელებმა ფერი და ეშხი დაკარგეს. სამაგიეროდ ხევსურთა კარჩაკეტილი ცხოვრება მოეწონა.

მოვუსმინოთ მის აღსარებას:

„ბედისაგან მოთელილი და ნაბურთალი ვარ. ცხოვრებამ გამომფიტა, მომქანცა და ფუღურო მყო. რაც მქონდა და ვინც მყავდა, თითქმის ყველანი დავკარგე: მამა, ძმა და სამიოდე ნათესავი, მამა-პაპის მონაგარი და უკანასკნელი თავშესაფარი, სულის სიმხნევე და გულის სიმტკიცე. ყოველივე მქონდა და აღარაფერი არ შემრჩა. სული დამიცალიერდა და ველის სიმტკიცე. ყოველივე მქონდა და აღარაფერი არ შემრჩა. სული დამიცალიერდა და ვერაფრით ველარ ავავსე. ამიტომ იყო რომ ტანიც და სულიც წიფლის ქვეშ ასე უცბად გალხვა და გაინაბა. ისეთი საამური ბანგით ვარ გაჟღენთილი, რომ უძრავად თუნდ ერთ წელიწადს გავძლებ, თუნდ სამუდამოდ დავრჩები. ჩემი გუმანი ძალდატანებას ან საპატივებელ საბაბს ელოდება".

დარჩა ჯურხაანთ კარში და დაიწყო გაწიკლაურება, „ტვინის იზმებისაგან და აციებისაგან" გაძარცვა.

ელიზბარი გაწიკლაურდა, სწრაფად აითვისა და შეეზარდა ჯურხანთკარის ადათ-ჩვევებს პირველად იქ სამუდამოდ დარჩენასაც ფიქრობდა. ქალაქში წერილი გაგზავნა — აღარ დავბრუნდები, მკვდრად ჩამთვალეთ, ნურც ჩემი გზა-კვალის ძებნას დაიწყებთო. ცოლს, ცუცქიასაც ნება მისცა ახალი ქმარი ეშოვა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბედნიერებულიყო... მას შემდეგ, რაც ხათუთას წაწლობით დათვრა, ქალაქში დაბრუნებაზე ფიქრიც არ გაჰკარებია. მის თვალში „სამოთხემ“ მეტი მიმზიდველობა შეიძინა და ჯურხაანთკარს მაგრად მიეჯაჭვა. მიეჯაჭვა, მაგრამ მოვლენების ზეგავლენით ეს ჯაჭვი თანდათან შესუსტდა და გამძლეობა დაჰკარგა. თანდათან მობეზრდა იქ ყოფნა და მათ ადათ-ჩვევებზედ გული გაუცივდა. შინაგანად გაორებული ელიზბარი თავს ძალას ატანდა, ბორგავდა და შექმნილ მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებდა. განათლებულ და ჰუმანისტად აღზრდილი ელიზბარის გულში პირველი ბზარი მაშინ გაჩნდა, როცა ბუხრის თავზე კედელზე სამი შავი ხუთთითა შენიშნა. პირველად თვალს არ დაუჯერა, დააკვირდა და ცხადად შეიცნო — მაჯებში მოჭრილი სამი მარჯვენა ხელი, „ლორივით დაშაშხული და შემხმარ-შეძვალებული“. ჯურხამ შენიშნა ელიზბარის ერთგვარი შეცბუნება და, თითქოს გასამხნევებლად, სიამაყით უთხრა, — ნუ გიკვირს, ჩვენი ადათი შევასრულე, მეტი არც რაიო, და თან დაიტრაბახა — მაგისთანა ხელები ოთხმოცამდე გვქონდაო მამა-პაპათაგან დატოვილი. ამ თხუთმეტმა შავმა თითმა მოსვენება დაუკარგა. მაგრამ გაწიკლურებულ ელიზბარს დაცინვისა ერიდება, გულს ნაძალადევად იმაგრებს, შიშს არ ამჟღავნებს. სწორედ ამ დაცინვის შიშმა მოაკვლევინა დათია. ამ მკვლელობისათვის ნამდვილი წიკლაურობა შეუქეს, ჯურხამ მოფერებით ლამის ნეკნები ჩაუნგრია, იამზემ და მზექალამ ახალი რაინდი გადაჰკოცნეს, ხოლო ხათუნამ იმ ღამეს ისე იწაწლა, რომ მეორე დღეს ელიზბარს ფეხები ედრიკებოდა. ელიზბარის გულში მაინც სხვა ცეცხლმა ჩაიბუდა. და როცა შემთხვევით სამი ცხენოსანი მილიციელი გამოჩნდა ჯურხაანთ კარში და ხევსურებმა ისინი დახოცეს და მათი ნადავლის გაყოფაზე თითქმის ჩხუბიც კი მოუვიდათ, ელიზბარმა მოთმინება დაკარგა, თავი ველარ შეიკავა და მკვლელებს ყაჩაღები უწოდა... ზამთარი დადგა, გარეთ აღარ გაისვლებოდა, ოთხ კედელშუა დარჩენილი, თითქმის დამუნჯებული დაბორიალებდა; ადრე თუ ყველაფერი ბუნებრივად და საამურად ეჩვენებოდა, ახლა ცეცხლის ცქერით თვალები გაუწყალდა, წნელის ლარანზე წოლით თეძოები დაებუჟა, ხინკალმა, ერბომ და ქადამ გული აუსუყეს, მყრალმა თამბაქომ და არაყმა ხახა ჩაუხლიჩეს. სიზმარში დათვიას სისხლი ახრჩობს, იმ სამი კაცის სიკვდილიც არ ასვენებს...

ჯურხას ძმამ წიქამ ელიზბარის მოქიშპე მტერი ბათაკა მოკლა, ალტაცებით ახარებს, ქალი და კაცი სიამაყეს ვერ ფარავდა, პირველ რიგში თითქოს ელიზბარს უნდა გახარებოდა, მადლობა გადაეხადა, მაგრამ კრიჭა შეეკრა... იგრძნო რომ წიკლაურობა აუტანელი იყო მისთვის. ქალაქი მოენატრა. — „მე წიკლაური აღარა ვარ, — გამოუტყდა თავისთავს, — წიკლაურობა“ ვცადე, მაგრამ დავმარცხდი. მეტად მძიმე და უჩვეულო ტვირთი მოვიკიდე. ახლა დროა სულიც დავიმშვიდო და მუხლიც შევისვენო, თორემ წავიქცევი... საცაა წავიქცევი! ძალუმად გაუწია გულმა ქალაქისაკენ, დაინახა რომ ნამდვილი ბედნიერება და სიკეთე ცივილიზაციაში ყოფილა. ზამთარი მიიწურა და გაზაფხული დგება, დიდი გაზაფხული ბუნებაშიც და მის გულშიც. თეთრ საყელოს ჰვრეტს, — განიერს, მაღალსა და იქაური თოვლივით სპეტაკს. გულიდან საბოლოოდ ამოირეცხა, რასაც ცოტა ხნის წინათ ეთაყვანებოდა, ადიდებდა, აღმერთებდა, ერთადერთ ჭეშმარიტებად და მშვენიერებად მიაჩნდა. ერთხელ კიდევ დაარღვია ადათი, ბოსელში განსაწმენდად გამომწყვდეული ხათუთი ინახულა, მოეფერა, კარგად ყოფნა უსურვა, — „მოითმინე და განიწმინდე. მალე მე და შენ ერთად განვიწმინდებით, ერთად!“ ეჩურჩულება ხათუთის. ხათუთი ნათქვამის აზრს ვერ ხვდება, ულიმის და თავის აშლილ ფიქრს უმხელს — ბათაკას ძმას ძალლიკას ერიდეო. გონების თვალის ახელით კმაყოფილი ელიზბარი თავის კანში ველარ ეტევა, წყალს გაატანა წიკლაურების ადათიცა და გვარიც. მოხვდა რა ჯურხაანთკარში, ადამიანის სახე დაჰკარგა, ახლა უბრუნდება პირვანდელს — „მე ადამიანი ვარ, ადამიანი!.. თავდაპირველად მე ადამიანი ვარ-მეთქი, ადამიანი!“ ენატრება გაიგოს, გაღმა მხარეს რა ხდება, იმ ქვეყანაში რა ამბავია? „თოკებით ვყოფილვარ იმ ნაპირს მიბმული, — ამბობს ელიზბარი, — ვიღაც თუ რაღაც სჭიმავს ამ თოკებს და გაღმისაკენ მიმათრევსო.

გაზაფხულიც მოვიდა, დიდი გაზაფხული! ელიზბარის სულიერი აღდგენისა და განახლების გაზაფხული. ეს სიმბოლიკაა. ახლა ისეთივე როდი დაბრუნდება ქალაქში, როგორიც იქიდან წამოვიდა. ახლისა და ძველის შეპირისპირებაში მან ბევრი რამ გაიგო, ბევრი რამ ახლებურად გაიაზრა, ჯურხაანთ კარიდან ჩუმად გამოიპარა და უგზო-უკვლოდ შეერია ტყეს... ვაჟიკას გამოპარვა ჯურხამ გვიან გაიგო და უკან დაედევნა... დიდი წვალების შემდეგ გზადაკარგული ვაჟიკა იპოვა და მათ შორის მეტად დამახასიათებელი დიალოგი გაიმართა: ვაჟიკა ქვევით მოიწევს, ქალაქისაკენ, ჯურხა ისევ მთისკენ ექაჩება, ქვევით, მურდალ ქვეყანაში ნუ მიხვალო, ვაჟიკას არა მხოლოდ მობეზრდა, შეხძულდა კიდეც წიკლაურების კარჩაკეტილი ცხოვრება, უნდა ჩამორჩენილობას თავი დააღწიოს და ცივილიზაციას დაუბრუნდეს, თეთრი საყელო — სიმბოლო განათლებისა და კულტურისა — გაიკეთოს. ჯურხას არ სწამს ცივილიზაცია, ხევსურთა ცხოვრებაში სიჯანსაღეს ხედავს, განათლებაში — გადაგვარებას, იქ საკუთარი არაფერი შეგრჩება. თეთრი საყელო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეც მქონდა და კინაღამ დამახრჩო. ჯურხა ჯიქურ იცავს თავის პოზიციას, ვაჟიკაც მტკიცედ დგას თავის გადაწყვეტილებაზე.

„—მთაში შეხიზვნა გაქცევაა და მეტი არაფერი, — მიუგებს ვაჟიკა, — ბრძოლის ველი ქალაქშია და ომსაც იქ მოვიგებთ, არ დავმარცხდებით. მომხდურს დედა-ციხეში უნდა დაუხვდე. მეკი იქიდან გამოვიქეცი და დავიმალე.

— იქ ვერ იბრძოლებ, ვაჟიკავ.

— შენ კი იბრძვი? დათვის ბუნაგში შემძვრალხარ და დამალვა მიზნად გადაგიქცევია.

ჯურხა შეყოყმანდა. იყუჩა და მერე სთქვა:

— ქალაქში გაგაწითლებენ.

— არც მაგისა მეშინიან".

ერთმანეთი რომ ვერ დააჯერეს, ჯურხამ იმედი გადიწყვიტა, ხელი ჩაიქნია და მხოლოდ ერთი რამ სთხოვა:

„— შემფიცე, რომ ჯურხაანკარის გზას არავის უჩვენებ და მადანსაც არავის ასწავლი. ესაა ჩემი უკანასკნელი თხოვნა.

ვაჟიკამ უცბად, ხელაღებით ყველაფერი ვერ ამოიგდო გულიდან, ის ხომ ძმა იყო ჯურხასა და შვილი მისი მშობლებისა. სინდისმა შეაწუხა და სიტყვა მისცა:

„— ვფიცავ ჩვენს ძმობას, ჩვენი დედის რძესა და გუდანის ჯვარს, ხათუთას და ნოდარს (ცოლსა და შვილს ე. ქ.), რომ არასოდეს არც ჯურხაანთ-კარის გზას ვაჩვენებ ვინმეს, არც სპილენძის მადანს ვასწავლი".

„— ეხლა გულმშვიდად წავალო", — უთხრა ჯურხამ და გამოემშვიდობა. გულისტკივილით დასცილდნენ ერთმანეთს...

ახლა ელიზბარი თავის ოთახში ზის და მშვიდად მუშაობს, ისევ ცისფერი პიჟამო აცვია, ყელზე თეთრი საყელო უკეთია, ახალთახალი, გახამებული, მაღალი და უბიწო; მთის სუნი და ჰუჰყი ელიზბარმა და ხათუთამ გოგირდის აბანოში ჩამოირეცხეს...

ელიზბარი იმ ძველი ინტელიგენტის ზოგადი ტიპია, რომელიც რევოლუციის პირველ დღეებში დაიბნა, ვერ გაუგო მას და განუდგა. განახლებული ცხოვრების გამოცდილებამ თანდათან გონების თვალი აუხილა, თავისი წარსული გადააფასა და ცხოვრებაში თავისი ადგილი იპოვა.

რომანში შეპირისპირებულია ძველი და ახალი საქართველო, წარმავალი და ამომავალი, პრიმიტივი და კულტურა. ადამიანის დაუფასებლობა და ჰუმანიზმი, საშუალო საუკუნეების კარჩაკეტილობა და დღევანდელი კარლიობა. მწერლის სიმპათიები ახლის მხარეზეა. სხვანაირად არც შეეძლო რეალისტურად მოაზროვნე ადამიანს, მაშინ გვერდი უნდა აევლო ისტორიული განვითარების კანონზომიერებისათვის და სიმართლისათვის ეღალატნა. ჯერ კიდევ „კვაჭი კვაჭანტირაძეში" იგრძნო და დაინახა საით იხრებოდა სიმართლე, სად იჰედებოდა ნამდვილი ბედნიერება. ხევსურთა ცხოვრების და ზნე-ჩვეულებების გარეგანმა „რომანტიკამ" ცოცხალი შინაარსი დაკარგა, მხოლოდ ეგზოტიკური მნიშვნელობა შერჩა და საბოლოოდ ავტორის არავითარ თანაგრძნობასა და მხარდაჭერას აღარ იმსახურებს. მ. ჯავახიშვილი ცივილიზაციაში ხედავს ერის მომავალს, მისი ინტელექტუალური ძალების გაფურჩქვნას. ქალაქი მისთვის წინსვლისა და პროგრესის სიმბოლოა.

მიხეილ ჯავახიშვილის „გივი შადურს" ერთადერთი მოქმედი გმირი ჰყავს; მისი საშუალებით, უფრო სწორად, მისი ნაამბობის მიხედვით ვეცნობით დანარჩენთა თავგადასავალს, მათი ცხოვრების ისტორიას — თუ როგორ დაჰკარგეს ადამიანური სახე, როგორ დაეშვნენ ფსკერამდე და ნამდვილ ნაკაცარებად იქცნენ. სასაფლაო-აკლდამის ბინადარი გივი შადური ოდესღაც კაცური კაცი ყოფილა, მასაც ჰქონია ოჯახი, ჰყოლია მეგობრები, უმაღლეს სასწავლებელშიც უსწავლია, ცოდნასა და კულტურას ზიარებია, ხალხისაგან არ ყოფილა გამოკლებული და, წარმოიდგინეთ, „ქართული მწერლობის ერთგული ყმა და მუდმივი მუშტარი" გახლდათ. ის რომ გარკვეულ განათლებასა და კულტურას მოკლებული არ არის, მისი მხჯელობიდან, საუბრის დროს ხალხური სიბრძნის, აფორიზმებისა და ლიტერატურიდან ხატოვანი გამოთქმების უხვად გამოყენებიდანაც ჩანს.

ახლა კი გივი შადური ასე წარმოგვიდგენს თავის თავს: „მე უკვე ნაკაცარი ვარ. წარსულმა მომატყუა, აწმყო მაწვალებს, მომავალი მაშინებს და ისე დავდივარ ამქვეყნად, როგორც ქვრივი სასაფლაოზე".

რამ მიიყვანა აქამდე გივი შადური? ერთი შეხედვით, თითქოს ცოლის ღალატმა, იგი უდანაშაულოდ ჩასვეს ციხეში. საქმის გამომძიება ჭიანურდება, შეშფოთებული ცოლი ცდილობს როგორმე უშველოს ქმარს. გამომძიებელთან მიდის, დახმარებას თხოვს. გამომძიებელი მდგომარეობით სარგებლობს, ქალს იძულებულს გახდის ქმარს უღალატოს და მასთან კავშირი დაიჭიროს... მალე იმ გამომძიებელს დანაშაულებათა გამო დასჯიან. ახალი გამომძიებელი პატიმარს გაამართლებს და მაშინვე გაათავისუფლებს. შინ დაბრუნებული გივი შადური ყველაფერს გაიგებს, ოჯახს მიატოვებს, ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდება და მაწანწალად იქცევა, „არც ხნავს, არც თესავს", მათხოვრობს და კეთილი ადამიანების ნასუფრალით გადის იოლად. მაწანწალას ღამის გასათევიც არა აქვს, სასაფლაოზე ერთ ძველ აკლდამას მიაგნებს და იქ შეაფარებს თავს, დღე გარეთ ლუკმაპურისათვის წანწალებს, ღამეს აკლდამაში ატარებს... უხეირო ამპარტავანი იყო და ცოლის ღალატმა აქამდე მიიყვანა, არაკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცად აქცია. მაგრამ ადამიანის ფსკერამდე ასეთ დაცემას უფრო დიდი საფუძველი უნდა ჰქონოდა, ამპარტავნობა ამისათვის საკმარისი არ იყო. მთავარი ის იყო, რომ „ქვეყანა რომ აირია, მან ყოველგვარი რწმენა დაჰკარგა, სკეპსისმა შეიპყრო და სული დაიცალიერა. უკან რომ იხედება, ყველაზე მეტად ის აოცებს, სიცილის უნარი როგორ შერჩა. იგი თანამედროვეობით უკმაყოფილოთა წრეს ეკუთვნის, ერთადერთი დასაყრდენი ოჯახი დარჩენოდა, ისიც დაენგრა და სანუგეშებელი არარაფერი დარჩა. „ემ, დავანებოთ თავი ჩემს ახლანდელს, — ეუბნება ახლად შეძენილ „მეგობრებს“, რომელთაც ასე დაწვრილებით უყვება ნახულსა და განცდილს: —იგი შავია, ვითარცა ჩემი მომავალი, და მძიმეა, როგორც ჩემივე სული“.

როცა რომანში აღწერილი სხვა ნაკაცართა თავგადასავალსაც ეცნობით, კიდევ უფრო ცხადი ხდება გივი შადურის ტრაგედიის სოციალური საფუძველი. მისმა ბიძაშვილმა პეტრემ, რომელთანაც ერთად გივი შადური სწავლობდა ოდესაში, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე მდიდარი ქალი შეირთო; ამიერიდან იგი ფუფუნებით ცხოვრობდა, ზაფხულს ყირიმის აგარაკებზე ატარებდა, ზამთარს — პეტერბურგში მაღალ წრეებში ტრიალებდა, აღარც სამშობლო აგონდებოდა, აღარც შინაურები. „სადაც მე ვარ, ჩემი სამშობლოც იქ არისო“, — გაიძახოდა. მაგრამ მოხდა რევოლუცია, გაჩაღდა სამოქალაქო ომი და პეტრეს ცხოვრებაც აირწა, ბედი უკუღმა დაუტრიალდა, სიმდიდრე დაჰკარგა, ამ ნიადაგზე ცოლი გაუგიჟდა, გაუბედურდა. ახლა, როცა სხვა გამოსავალი აღარ ჰქონდა, სამშობლო მოაგონდა... მაგრამ აქაც ბედმა უღალატა. საქართველოშიც გაემარჯვა რევოლუციას და მშვიდი ცხოვრება არც აქ მოელოდა. უფრო მეტი თავზარი იმან დასცა, რომ მისი ადრინდელი საცოლე ძმის ოჯახში დახვდა რძლად... აქაც არ დაედგომებოდა, ქუჩაში დაბორიალებდა, ზოგჯერ რუსთაველის ქუჩაზე გრძელ სკამზე იჯდა და ვინმე თავისთანა ნაკაცარს ესაუბრებოდა.

„საოცარია, — ისმის შადურის პირით გამოთქმული მწერლის მწარე ირონია, — როგორ მალე პოულობენ ერთმანეთს ნათავადარნი, ნაგენერალევნი და ნაკაცარნი. სხედან, თბებიან, ჩურჩულებენ და მავალებს ათვალიერებენ“.

ასევე არარაობად იქცნენ სამოქალაქო ომში თეთრების ერთგულნი და საბჭოთა ხელისუფლების მტრები. წარჩინებულთა წრიდან გამოსული მარადო, ყარამან ჯიქურაული, სეხნია ლაჩიშვილი... მათი ზნეობრივი გადაგვარება სოციალურმა უნიადაგობამ შეამზადა.

„არსენა მარაბდელი“ მწერლის შემოქმედების ახალი საფეხური იყო. ეს რომანი ქართული პროზის უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა, ყურადღება მიიქცია ღრმა, [illegible] ისტორიული სიმართლით, ხასიათების სიმკვეთრით, მასალის გააზრებისა და მხატვრული წარმოსახვის მასშტაბურობით. აქ მთელი სისავსით გამოჩნდნენ ხალხის წიაღიდან გამოსული მხატვრულად სისხლსავსე ადამიანები, რომელნიც მომავლის იმედით აღსავსენი, შეუპოვრად იბრძოდნენ თავისუფლების მოსაპოვებლად.

მეცხრამეტე საუკუნის პირველი სამი ათეული წელი, რომელსაც რომანი ეხება, სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებით მეტად რთულ და ისტორიოგრაფიაში იმჟამად თითქმის შეუსწავლელი ეპოქა იყო.

ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვამ და მშრომელთა ორმაგი ჩაგვრის გაძლიერებამ გამოიწვია ხალხის მასობრივი უკმაყოფილების ზრდა. ეწყობოდა გლეხთა აჯანყებები მებატონეთა და ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში მშრომელი წრიდან გამოსული ეროვნული გმირი არ შეიძლებოდა აქტიურად არ გამოხმაურებოდა ხალხისა და ქვეყნის საერთო ტკივილებს; მწერალს კი, რომელიც ამ ეპოქას ასახავდა, ეპოქის სრული მაჯისცემა უნდა გამოეხატა. და აი, საამისო მასალა რომ მოეპოვებინა, მწერალს გიგანტური შრომის ჩატარება მოუხდა. ერთსა და იმავე დროს ისტორიკოსის როლიც შეასრულა და მხატვრისაც. ზედმეტი არ იქნება ამის თაობაზე თვით მწერალს მოვუსმინოთ:

„არსენა მარაბდელი“-ს პირველი თავები 1926 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში“, და მაშინვე შევწყვიტე, — წერს მიხ. ჯავახიშვილი, — იმიტომ, რომ „მოგროვებული მასალა საკმარისი არ აღმოჩნდა. საერთოდ, ჩვენი ისტორია ჯერ სისტემატურად არ არის დალაგებული, ხოლო მე-19 საუკუნის ისტორია სულაც არ დაწერილა. ამიტომ იძულებული გავხდი, მე თვითონ შემესრულებინა ჩემთვის ეს უმადური შრომა. ვსწავლობდი კავკასიის იმდროინდელ ისტორიას, ადმინისტრატიულ წყობილებას. ეთნოგრაფიას, ხალხურ პოეზიას, ლექსიკას, გრამატიკას, ეკონომიკას, ისტორიულ გეოგრაფიას, მოქმედ გმირთა ბიოგრაფიას, გენეალოგიას, იმ ეპოქის საერთო სტილს და ამგვარ მსხვილმანებსაც და წვრილმანებსაც. რომანისტს ათასი რამე სჭირდება და მეც მჭირდებოდა ზოგიერთი ბოტანიკური, ზოოლოგიური, ჩაცმა-დახურვისა და ამგვარი ცნობების მოგროვება“...

რომანის წერას მწერალი მხოლოდ მაშინ შეუდგა, როცა საკმაო მასალა დააგროვა. „არსენა მარაბდელი“ 1926 წელს დავიწყე და შარშან (1932 წ. ე. ქ.) დავასრულე, — ამბობს მიხეილ ჯავახიშვილი. — შიგადაშიგ სხვადასხვა მოთხრობებსა ვწერდი, და ეს რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვაკლო, ეს რომანი დაახლოებით ხუთიოდე წელს იწერებოდა".

რომანი მწერალმა ფართო პლანით გაიაზრა, მან განიზრახა მთელი ეს ეპოქა აესახა დამახასიათებელი ისტორიული მოვლენებითა და ტიპაჟით. ტიპების უმრავლესობა სინამდვილიდან არის აღებული, ზოგიც მოგონილია, მაგრამ მოგონილნიც კონკრეტულ სინამდვილისათვის დამახასიათებელნი არიან.

არსენა ხალხში კარგად არის ცნობილი „არსენას ლექსით", მაგრამ მწერალი ამ ლექსის ქარგას არ გაჰყვა, რადგან იგი საკმარისად არ ჩასთვალა ეპოქალური გმირის შესაქმნელად. ამასთან, დაუჯერებლად მიაჩნდა, რომ მარტო ამ ლექსს შესძლებოდა „მარაბდელი ბიჭი" ამდენხანს ეცოცხლებინა. მისი აზრით, არსენამ დიდი ზნეობრივი ძალის წყალობით მოიპოვა სახელი და პოპულარობა. მწერალი მოხიბლა არსენას ჰუმანიზმმა, დემოკრატიზმმა და ვაჟკაცურმა სულგრძელობამ, იმან, რომ მთელი თავისი ცხოვრების რთულ გზაზე ადამიანის სისხლი არ დაუღვრია. „ვაჟკაცობის კულტი და ერთგვარი სულიერი კეთილშობილება — აი რამ მომცა ოძელაშვილის ხასიათის გასაღები", — ამბობს იგი. ამასთან ოძელაშვილის უკვდავების მეორე სათავედ მიიჩნია მის დროშაზე გამოხატული, პრიმიტიული, მაგრამ უძლიერესი სოციალური სიმართლე,— „მდიდარსართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა". მწერლის რწმენით ამ ორმა ბურჯმა წარმოშვა არსენას უკვდავება და გამოჰკვეთა მისი ტიპი.

და აი, ასეთი ეპოქალური ტიპის დასახატავად დიდი სუნთქვა და ფართო მოქნევა იყო საჭირო. არსენაზე ხალხური ლექსის გარდა, სხვა ლიტერატურული ნაწარმოებებიც არსებობს, მაგრამ რაკი ისინი ლექსის ფარგლებს დიდად არ სცილდებიან, არსენა მათში მეტად ლოკალურ, ფრაგმენტულ ფიგურად რჩებოდა და მის მხრებს მოხსნილი ჰქონდა ის დიდი სოციალური და ეროვნული ტვირთი, რომელიც ჭეშმარიტ სახალხო გმირს უნდა ეზიდა. მიხეილ ჯავახიშვილის არსენას ორიგინალურობა, მისი სრული თავისთავადობა რომ ნათელი გახდეს, უმჯობესია ისევ მწერლის განმარტება მოვიშველიოთ:

„ლექსის ავტორი მოკლედ სჭრის: „ზაალს რომ ერთი გოგო ჰყავს, არსენას მოეწონება". მოეწონა და მოიტაცა. მე კი ამ მოტაცებას მოწონების სოციალური სარჩულიც გამოვაკერე და არსენას გაჭრის მომზადებას და კვანძის შეკვრას — ერთ დღეში დატრიალებულ ამბავს — რომანის ერთი მესამედი მოვანდომე. „გაუწყრა მაღალი ღმერთი ფარსადან ბოდბისხეველსა". გაუწყრა და ნათლიას უღალატა. ამასაც საკმაო დასაბუთება დასჭირდა. „ნაბადი გვერდზე მოიგდო, თოფი ფეხზე შეაყენა" და ერთმა კაცმა თორმეტი[illegible]ბული ყაზახი დაიფრინა. პოეტს ყველა აპატიებს ამგვარ ჰიპერბოლას, პროზაიკოსმა კი მკითხველი უნდა დააჯეროს, ე. ი. დაწვრილებით უნდა აუხსნას როგორ მოხდა ასეთი სასწაული. ლექსის ავტორმა არსენას ბედისწერა — კუჭატნელი ბოლოში გამოაჩინა, მე კი ჩემი გმირის სიკვდილი უბრალო შემთხვევას ვერ დავუთმე და ორი კაცი თავიდანვე იდეურ-პირადულ მოსისხლედ გადავაქციე. ლექსის ავტორი მუდამ მარტო არსენას მისდევს, მე კი მშრომელ გლეხობას დავუკავშირე, და მისი ზრახვა-იმედის მედროშედ ავსახე. ლექსის ავტორი არავითარ ფონს არ აგვიწერს და მის მიერ მოცემული ფაბულა ქრონოლოგიური ციკლია არსენას თავგადასავლისა... სულ სხვანაირად უნდა მივდგომოდი ამ თემას, მისი სოციალურ-პოლიტიკური არე უნდა მომენახა, მოქმედნი და ამბები ლოგიკურად გადამება, ზოგი რამ ფაქტებით და ფსიქოლოგიურად დამესაბუთებინა, ამოდენა რომანისათვის შინაგანი კომპოზიციური აღნაგობა ამესახა, ყოველი სურათი სიუჟეტურად გადამეშალნა, ბევრი რამ შემეცვალნა, ზოგი რამ უკიდურესად დამეწურნა — ერთი სიტყვით, სრულიად ახალი მხატვრული ნაწარმოები უნდა შემექნა"...

ასე ფართო მასშტაბით ჩაფიქრებული გმირი მიხეილ ჯავახიშვილს, ბუნებრივია, ინტელექტუალურადაც უნდა აემაღლებინა. არ შეიძლებოდა არსენა გონებრივი ჰორიზონტით რიგითი ყმაგლეხის დონეზე მდგარიყო, საზოგადოებრივი მოვლენების ინფორმაციაც მასზე მეტი არ სცოდნოდა, ნაპოლეონის სახელი და რუსეთის გლეხთა მოძრაობის ამბებიც გაგონილი არ ჰქონოდა. ზოგიერთს ეჩოთირა არსენას ასეთი გათვითცნობიერება. ასეთ ნიჰილისტებს მწერალმა ჯეროვანი პასუხი გასცა და დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ გონებაფხიზელ და ჭკვიან არსენას რუსეთისა და ევროპის ამბები აუცილებლად უნდა სცოდნოდა.

„საფრანგეთის რევოლუციაზე და ნაპოლეონზე, — ამბობს იგი, — მთელი მაშინდელი საქართველო ლაპარაკობდა. არსენა ზაალის კარზე იზრდებოდა, ზაალი კი ხშირად დადიოდა ქალაქში და იქ იმდროინდელ შეგნებულ საზოგადოებას ხვდებოდა. არსენაც იქ ტრიალებდა და რა საკვირველია, რომ აქ გაგონილი ამბავი შეეგნო და თავისებურად მოეხარშა". მით უმეტეს, კარგად უნდა სცოდნოდა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენები, გლეხთა მღელვარებანი თუ თავადაზნაურთა შეთქმულებანი. ამიტომ, მწერალმა თავისი მთავარი გმირი ისტორიული მოვლენების ცენტრში მოაქცია, და ამ გზით ეპოქის მართალი მხატვრული მატიანე შექმნა.

„არსენა მარაბდელი“ გასული საუკუნის 20-30 წლების საქართველოზე გაცილებით მეტ ცოდნას იძლევა, ვიდრე რომელიმე ისტორიული ნარკვევი. „არსენა მარაბდელი“ პირველი ისტორიული ნაწარმოებია, რომელშიც მასშტაბურად აისახა ბატონყმობის დროის კლასობრივი დიფერენციაცია და საპირისპირო სოციალური ძალების ინტერესთა შეჯახება. აქ მთელი თავისი სიდიადით გამოჩნდა ქართველი ხალხის სულიერი ძალა, გაუტეხელი ნებისყოფა, მრავალ განსაცდელს გამოვლილი ოპტიმიზმი. რომანის დადებით გმირებში გაცოცხლებულია ისტორიულად ჩამოყალიბებული ქართული ხასიათები. გაადევნეთ თვალი ოძელაშვილების წინაპართა და შთამომავალთა ვაჟკაცურ ცხოვრებას, ხალხისა და სამშობლოსათვის მათს გმირულ თავდადებას და თქვენ მთელ ქართველ ხალხს შეიცნობთ. განა ქართველი ხალხის სიმბოლური სახე არ არის არსენას პაპა—ასწლოვანი მახარა, ნახევარ საუკუნეზე მეტხანს რომ ეზიდებოდა საქართველოს მეწინავე დროშას, სამშობლოს მტრებთან ბრძოლაში რომ გალია თავისი დღენი და ტანზე ალაგი აღარ დარჩენია დაუსახიჩრებელი, მაგრამ სული ისევ გაუტეხელი აქვს? ასეთივეა მამამისიც — ღვთისავარი. არსენა და მისი თანამებრძოლნი ღირსეულად იღებენ წინაპართა ესტაფეტას და მზად არიან მამა-პაპაზე მეტი გმირობის გამოსაჩენად.

რომანი დიდ ინფორმაციას შეიცავს აგრეთვე ქვეყნის ეთნოგრაფიისა და ხალხის ადათჩვევებზე, რაც მნიშვნელოვნად აფართოებს მკითხველის ცოდნას ერის წარსულზე. რომანში ჭეშმარიტი პატრიოტიზმისა და ჰუმანიზმის მძლავრი მაჯისცემა ისმის, იგი თავიდან ბოლომდე სამშობლოს, ადამიანის სიყვარულით არის გამსჭვალული. რომანში გამოხატული პატრიოტული შემართება და ზნეობრივი კეთილშობილება უმაგალითოდ ზრდის მის იდეურ-მხატვრულ ღირებულებას. გხიბლავთ მწერლის ლაპიდარული სტილი, ფერადოვნება, მხატვრული წარმოსახვის საშუალებათა სიმდიდრე, ენობრივი სიმსუყე, ლექსიკისა და ხალხური სიბრძნის — ანდაზებისა და მოსწრებული თქმების, სახოვანი შედარებების სიუხვე, პერსონაჟთა მეტყველების ინტონაციური ინდივიდუალობა, მხატვრული სისადავე და ზომიერების იშვიათი გრძნობა. აქ მთელი სიდიადით გამოჩნდა ფერწერის დიდოსტატი, იგი თავისუფლად იყენებს თვალისმომჭრელ საღებავებს და შინაგანად დამუხტულ ცოცხალ, პლასტიკურ სურათებს ჰქმნის. ავიღოთ, მაგალითად, მის მიერ აღწერილი ქართული ჭიდაობა. ვის შეეძლო ასე მხუბუქად და გამომსახველად გადმოეცა ქართული ჭიდაობის სილამაზე, მისი მოქნილობა, როგორც ეს მიხეილ ჯავახიშვილმა შეძლო ოძელაშვილისა და კუპატნელის შეხვედრის დროს? ქართული ჭიდაობის ასეთი ექსპრესიული სურათი ქართულ ლიტერატურაში განუმეორებელია. ამ შერკინების დროს არსენამ მიწას დაანარცხა მოწინააღმდეგე.

ჭიდაობის ეპიზოდს მწერალი პრინციპულ მნიშვნელობას აძლევს. საყვარელი გმირის სიკვდილი, როგორც თვითონ ამბობს, შემთხვევას ვერ დაუთმო და კუპატნელი თავიდანვე არსენას „იდეურ-პირად მოსისხლედ“ აქცია. აქვე მიგვანიშნა მის ბოროტ არსებაზე, — სულგრძელმა და გულღია არსენამ, ჭიდაობა, რომ დამთავრდა, ღიმილით ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად და შერიგება შესთავაზა, კუპატნელმა კი შხამიანი თვალებით შეუბღვირა და გესლიანად ჩამოიცილა — „დამეკარგე, შე ცინდლიანო, შენაო“. ამის შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდა, შურს იძიებდა.

* * *

„არსენა მარაბდელში“ სრულყოფილად გამოვლინდა მიხეილ ჯავახიშვილის ძირითადი ესთეტიკური პრინციპი. აღიარებდა რა მხატვრის ალღოსა და თვალის თავისუფლებას, მას მაინც ისეთი მასალის არჩევა ურჩევნოდა, რომელიც გაამხნევებდა ხალხს და გაუღვივებდა იმედს, მომავლის რწმენას. არსენა მარაბდელის ცხოვრებაც სწორედ ასეთი „მასალით“ გამოირჩეოდა. მაგრამ რომანი მარტო ამით როდი იქცევს ფართო საზოგადოების ყურადღებას, მისი განსაკუთრებული ღირსება ხალხთა მეგობრობის იდეაშიც გამოიხატა, იზიარებს რა ადამიანთა საზოგადოების კლასებად დაყოფის მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, მწერალი ყველა ერში მკაფიოდ განასხვავებს ერთმანეთისაგან დაჩაგრულსა და დამჩაგვრელს; ამავე დროს, ნათლად ხედავს იმ საერთოს, რაც სხვადასხვა ერის ჩაგრულ კლასებს ერთმანეთთან აკავშირებს. რომანში დამაჯერებლად არის ასახული მეზობელი ხალხების ისტორიული მეგობრობა, მათი ინტერესების ერთობა. იგი თანაგრძნობით ხატავს რუს ნასალდათარ კარპიჩას, უკრაინელ ოსტაპს, აზერბაიჯანელ დალი ჰასანს, სომეხ ბალოს, ოს მეშთას და სხვებს, რომლებიც მხარში უდგანან ქართველ გლეხებს ქართველი ბატონებისა და რუსეთის მეფის მოხელეების წინააღმდეგ ბრძოლაში. მხატვრული სიტყვის ეს იშვიათი შედევრი დროის ისტორიული მოვლენების არა მხოლოდ მართალი ასახვით იქცევს ყურადღებას, არამედ ამ მოვლენების სწორი შეფასებითაც.

არსენა ოძელაშვილი გიორგი სააკაძესავით უდროობის მსხვერპლი იყო, ორივე ნაადრევად დაიბადა და ამიტომ მათი ტრაგედია ისტორიულად გარდუვალი იყო. მაგრამ არც ერ-

თის საქმე მათ სიკვდილთან ერთად არ დაღუპულა. ხნულში ღრმად ჩავარდნილ გამანთავისუფლებელი მოძრაობის თესლს გაღვივების პოტენციური ძალა შერჩა.

რომანის ეპილოგში საგულისხმო სურათია გადმოცემული. თუ ბრწყინვალე წოდების შეთქმულნი ძველი „ცოდვებისაგან“ განწმენდის გზას დაადგნენ, თვითმპყრობელობის ერთგულნი და ბედით კმაყოფილნი შეიქნენ, რისთვისაც ახე უხვად ლებულობდნენ მეფის წყალობას, გლეხთა მოძრაობის მესვეურთ თავისი იდეალებისადმი ერთგულება შერჩათ. არსენას ძმადნაფიცებიდან ბევრი დაიღუპა გადასახლებასა და პატიმრობაში. მაგრამ ვინც დაბრუნდა ნაწამები და ნატანჯი, თან ჩამოჰყვა ვაჟკაცური შემართების სული. ნაციმბირალმა როსტომმა, ახალგაზრდებსა და ბალღებს რომ თვალი გადაავლო, დაიძახა — „არსენები და მომავალი ძმადნაფიცები უკვე გაჩენილიყვნენ. იზრდებოდნენ. მოდიოდნენ და ოდესმე ისინიც ისევე დაიქუხებდნენ, როგორც ოდესღაც მათი წინაპრები — გორდა და მისი შეფიცული ძმები ჰქუხდნენ“.

„ერთი კვირის შემდეგ არსენას სიკვდილის თორმეტი წლისთავი დადგა. მთელი სოფელი ეკლესიის ეზოში შეიყარა. მღვდელს არასოდეს არ წაეკითხა ესოდენ გრძელი ალაპი. ყველანი ჩააწერინეს და გაიხსენეს — ოძელაანიც და კარპიჩაც, პაპა მახარეც და ოსტაპიც, ლაცაბიძეც და ნასყიდაც, ლაზქარაც და მუშთაც, ხეხნიაც და ხოსიტაც, საბა დალაქიც და ბერუაც, ბალოც და სიმონაც, ყველა გაიხსენეს და კინაღამ დალი ჰასანიც მიაყოლეს, რომელიც მესამეჯერ გადახვეწილიყო სათათრეთში“.

ბოლოს დაღუპულთა დანატოვარი ანდერძიც გაიხსენეს:

„არსენას დროშას ატარებდეთ, პირნათლად შეინახავდეთ და სანამდე გადასცემდეთ თაობით-თაობამდე, სანამ გორდა მარაბდელის წმინდა საქმეს ბოლომდე არ მიიყვანდეთ“.

ყველამ ერთსულოვნად შეფიცა, რომ არსენას დროშას დაიცავდნენ და მისი გზით ივლიდნენ.

„— კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი, — დაიძახა მოღიმარე სულხანმა.

„— ისე არ ამოწყდებიან, ჯავრი არ ჰამონ მტრისანი“. — მიაძახა არსენას ვაჟმა, თან წარბი შეათამაშა და თავის რაზმს გადახედა.

„— შევჭამთ, გადავუხდით! დავლეწავთ! — ხმა მისცეს მეგობრებმა“.

ეს იყო ხალხი... ეს იყო საქართველო!..

* * *

„არსენა მარაბდელს“ მოჰყვა „ქალის ტვირთი“, რომელიც ქართველი ხალხის უახლოეს რევოლუციურ წარსულს — 1905 წლის რევოლუციის თემას მიეძღვნა. ეს თემ[illegible] მწერლობაში ახალი არ იყო. [illegible] ჰპოვა ასახვა პროზასა, პოეზიასა და დრამატურგიაში. ეს გარემოება ავტორს რთული ამოცანის წინაშე აყენებდა, მას ახალი თვალით უნდა შეეხედა ახლო წარსულის მოვლენებისათვის და თავისი დამოუკიდებელი სათქმელი ეპოვა. ასეც მოხდა. „ქალის ტვირთი“ ცხრაასხუთი წლის თემაზე დაწერილ არც ერთ ნაწარმოებს არ ჰგავს, როგორც ქართულ, ისე რუსულ ლიტერატურაში. იგი, უპირველესად, საინტერესოა ისტორიული სინამდვილის თავისებური ალქმით. მწერალმა დაგვიხატა საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები, თავისი ძლიერი და სუსტი მხარეებით, და გვიჩვენა რევოლუციისადმი მათი განსხვავებული დამოკიდებულება. აქ შეპირისპირებულია სოციალურად და პოლიტიკურად მოწინააღმდეგე ძალები, გაბედული, სწორუპოვარი რევოლუციონერების პარალელურად დახატულია ოპორტუნისტთა, მერყევეთა, შინაგანად გაორებულთა სახეები. აქ ვეცნობით რევოლუციის დროებით და შემთხვევით თანამგზავრებსაც.

რომანის სათაური მისი ამოცანის ერთგვარ განსაზღვრას იძლევა. მწერლის განზრახვაა გვიჩვენოს ქალის როლი პირველ რევოლუციაში, ის ტვირთი, რომელიც ქალებმა მამაკაცებთან ერთად ზიდეს. ამის გამოსახატავად გამოყვანილია ერთმანეთისაგან განსხვავებული ინდივიდუალობის მქონე ორი ქალი — ქეთო და მართა. პირველი — ქეთო ფეოდალური არისტოკრატიის წრიდან არის გამოსული, მეორე — მართა კი მუშა რევოლუციონერია. ქეთო რევოლუციური აღმავლობის რომანტიკამ სტიქიურად გაიტაცა, მაგრამ ჯერ აღზრდისა, და შემდეგ იმის გამო, რომ მისი მონაწილეობა რევოლუციურ მოძრაობაში გამოწვეული არ იყო მოძრაობის ხასიათისა და მნიშვნელობის ღრმა გაგებითა და რწმენით, მის მოქმედებას აკლდა თანამიმდევრობა, წინააღმდეგობით აღსავსე და შინაგანად გაორებული, უპერსპექტივო პიროვნება იყო.

მუშა-ბოლშევიკი მართა კი მონოლითური ფიგურაა, იგი ბოლომდე ერთგულია თავისი რწმენისა. რევოლუცია მისი სულის ნაწილია და მთელი არსებით ეძლევა მას, რევოლუციის გამარჯვებაში ხედავს იმ ხალხის ბედნიერებას, რომელსაც თვითონ ეკუთვნოდა. ამიტომ, რევოლუციის ტვირთის სატარებლად ქეთოს მხრები სუსტია, მას ამ ტვირთის დაძვრა არ შეუძლია. სიმძიმე, ამ შემთხვევაში, მთლიანად მართას მაგარ მხრებს ებჯინება და ისიც რევოლუციონერის რთულსა და ძნელ გზას უშიშრად და ვაჟკაცურად გაივლის.

ერთ თავის ჩანაწერში მიხეილ ჯავახიშვილი

ეროვნული

რომანის ამ მთავარ პერსონაჟებს შემდეგნაირად ახასიათებს:

„ქეთო რევოლუციონერი არ არის, რევოლუციონერია მართა. ქეთო მხოლოდ გატაცებული იყო რევოლუციით. მაშინ მაგისთანა ტიპები მრავალნი იყვნენ. ქეთომ ვერ ზიდა რევოლუციის ტვირთი. სამაგიეროდ მეორე ქალმა, რომელმაც აგრეთვე აიკიდა ეს ტვირთი, ზიდა და პირნათლად მიიტანა ბოლომდე. ის ციმბირშიც კი გაჰყვა ქმარს. მართა გამოვიყვანე ჯანსაღი ქალი, გაცილებით ჯანსაღი, ვიდრე არისტოკრატიის წარმომადგენელი ქეთო".

რასაკვირველია, რომანი ბევრს დაკარგავდა, რომ მწერალი მხოლოდ ამ პრობლემებით შემოფარგლულიყო, ეპოქის სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან მოვლენებსაც არ შეხებოდა და სიმართლით არ წარმოესახა გაფთრებული რევოლუციური ბრძოლების ცოცხალი სინამდვილე.

რომანის მოქმედება თბილისში სწარმოებს. მწერალს პირველი სტრიქონებითვე შევყავართ რევოლუციურ ატმოსფეროში. იგი ხატავს ბუნების სიმბოლურ სურათს, რომლის მიღმაც საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემა უნდა შევიცნოთ:

„იმ დღეს ცაც კი აჯანყდა: უცებ აიმღვრა, აფორიაქდა, ჭექა-ქუხილით ჩამოსრიალდა მთაწმინდიდან და გაწეწილ-გაშმაგებული ალქაჯივით მიაწყდა ანდრო ახატნელის სამ-სართულიან სახლს"... ცაში კვლავ შფოთი იდგა. ღრუბლებს თითქოს დოლი გაემართათ: ნადირის მიერ დამფრთხალი ნახირივით მორბოდნენ, გამალებით მოერეკებოდნენ ერთმანეთს, ურთიერთს მუჯლუგუნს უშენდნენ, მუსრავდნენ, ფხრეწდნენ, აფეთქებდნენ"..

ქალაქშიც ქარიშხალია ავარდნილი. თოფისწამლის მძაფრი სუნი დგას, ყუმბარების ბათქა-ბუთქი ისმის და პოლიციას მოსვენება დაკარგული აქვს, ხალხი თავისუფლებისათვის სისხლს ღვრის, მეფის ტახტი ირყევა, იმედის სხივი ღვივდება... მერე რეაქცია დროებით წელში გაიმართება, იწყება რევოლუციონერებზე ნადირობა, დაპატიმრება, გადასახლება, რეაქციული თავადაზნაურობა აქტიურდება, შავ რაზმებს ქმნის და იარაღით გადის ველზე საბრძოლველად. წვრილბურჟუაზიული ელემენტები რევოლუციას სცილდებიან, ჩრდილში აფარებენ თავს, ზოგი სასოწარკვეთილებაში ვარდება, თავს იკლავს, ჭეშმარიტი რევოლუციონერები კი იატაკქვეშ გადადიან და კვლავ შეურიგებელ ბრძოლას აგრძელებენ.

მწერალი რომანში სასიყვარ[illegible]საც აბამს. ეს მეორე პლანი ორგანულად ერწყმის პირველს და უფრო მეტი სისრულით წარმოსახავს გმირთა ხასიათებს. რომანის გმირებისათვის არაფერი ადამიანური უცხო არ არის, ისინი სრული სიცოცხლით ცხოვრობენ. მაგრამ ყველას ეს ცხოვრება ერთნაირად ლამაზი როდია. თუ ქეთო და მისი მსგავსნი სიყვარულშიც ვერ იჩენენ პრინციპულობასა და თანამიმდევრობას, ბოლომდე ვერ რჩებიან თავისი სასიყვარულო განცდების ერთგულნი და ყოველი ნიავის დაქროლაზე თავისუფლად გადადიან ყვავილიდან ყვავილზე, მართასა და ზურაბისთანა ადამიანების სიყვარული ლამაზია და მიმზიდველი. ქეთოს ჯერ კლიმიაშვილი მოსწონდა, მერე ზურაბი, ცოლად კი პოლიციელ ავშაროვს გაჰყვა, ბოლოს ისევ კლიმიაშვილის დაბრუნებას შეეცადა და ასე გზადაბნეულმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა. მართა კი ბოლომდე ზურაბის ერთგული დარჩა, მხოლოდ ის უყვარდა და ნამდვილი მეგობრობაც გაუწია. როცა ზურაბი ციმბირში გადაასახლეს, თან გაჰყვა, რათა მეგობრისათვის მძიმე ხვედრი შეემსუბუქებინა, მისი ბედი თვითონაც გაეზიარებინა.

რომანში ხასიათები მხატვრულად განზოგადებულია, ტიპიზირებულია, გმირთა სულიერი ნიშნები მათი ხასიათის შესატყვისად ლოგიკურად ვითარდება, მათი ენაც, სიტყვიერი მასალაც ინდივიდუალურია, დაკავშირებულია მათს ფსიქოლოგიურ წყობასთან და სოციალურ და ეროვნულ ფაქტორებთან.

ამიტომ არის, რომ რომანში ცხოვრების მოვლენებიც და სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების ადამიანთა ხასიათებიც ისტორიული სიმართლით იქცევენ ყურადღებას და კარგად ვგრძნობთ რევოლუციის აღმავლობისა თუ რეაქციის გამარჯვების ატმოსფეროს. „ქალის ტვირთი" სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო, მონუმენტური მხატვრული ქმნილებაა. რომანის სიუჟეტი კომპოზიციურად მტკიცედ არის ნაგები, ენა ჯავახიშვილისეულია — დახვეწილი, სადა და ამაღლებული, მოსწრებული თქმებითა და სახოვანი შედარებებით კი ჩვეულებრივად მდიდარი.

ეს რომანი რომ დაამთავრა, მწერალს თანამედროვეობის თემაზე მუშაობის ფართო გეგმა ჰქონდა დასახული, მოგონებების დაწერასაც აპირებდა, მაგრამ მუხთალმა ბედმა მისი განხორციელება აღარ აცალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავროსი კალანდაძე

# „მძიმე ჯვარის" გამო

ო, მართლაც რა მძიმე ჯვარის ზიდვას უნდა გავადევნოთ თვალი საკმაოდ ბევრი მიმართულებით ოთხ დიდ წიგნად შესრულებულ ნაწარმოებში! მხედველობაში გვაქვს რევაზ ჯაფარიძის რომანი „მძიმე ჯვარი". ამბებით, პერსონაჟებით, ფაქტებით, ყოფა-ცხოვრებითი მასალით ეს რომანი, რასაკვირველია, ისტორიულია. მაგრამ მხატვრულ-ესთეტიკური ნაგებობით, მსოფლმხედველობრივ-იდეური შინაარსით, სოციალურ-ისტორიული კონცეფციით იგი არ შეიძლება არ იყოს ავტორის თანადროული მოვლენა. მხატვრული ქმნილების ისტორიულ მასალაში, თავისთავად გულგრილ, ინერტიულ მასალაში, არსებითად ყოველთვის გაცხადებული თუ გაცოცხლებულია შემოქმედის მსოფლშეგნება, ანუ შემოქმედის სულიერი დამოკიდებულება სამყაროსადმი, გარემომცველ სინამდვილისადმი, ამდენად სული ნაწარმოებისა ყოველთვის ავტორის თანადროულია.

სიტყვა და საქმე ეხება მეთვრამეტე საუკუნის საქართველოს, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს — იმერეთის სამეფოს ერთობ მწარესა თუ შავ ისტორიულ ბედს. მაგრამ ჩვენს სულსა და გულს იპყრობს არა ისტორია, არა გულგრილი და მშრალი მოყოლა მომხდარი მოვლენებისა და ამბებისა, არამედ ისტორიული პიროვნებებისა თუ გამოგონილი პერსონაჟების, ისტორიულად აღსრულებული, ან ისტორიულად შესაძლებელი ფაქტების მხატვრული წარმოსახვა და განზოგადება.

ბუნებრივია, რომ თავიდანვე განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ნაწარმოების ცენტრალური პერსონაჟი — იმერეთის მეფე სოლომონი. მწერალი თავიდან ბოლომდე საკმაოდ მძაფრი, უხვი და ინტენსიური ფერებით გვიხატავს ამ ერთობ მწარე ბედის მეფეს. მამის გარდაცვალების და თავისი გამეფების პირველ დღიდანვე მას ეწყება მწვავე, შეურიგებელი უთანხმოება და წინააღმდეგობა თავისივე წრის ადამიანებთან, უწინარეს ყოვლისა, საკუთარ ბაბუასა და დედასთან. ეს წინააღმდეგობა ბევრ შემთხვევაში ტრაგიკულ სიმძაფრეს აღწევს. არსებითად, ეს წინააღმდეგობა ამოძრავებს მაშინდელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ღერძს. სოლომონი ერთობ დრამატიულ-ტრაგიკული ხვედრისა და საკმაოდ რთული სულიერი წყობის პიროვნებაა. იგი, რასაკვირველია, უმაღლესი ფეოდალური წრის ხორცი ხორცთაგანი, სისხლი სისხლთაგანია. მაგრამ, ამავე დროს, თავისი ეპოქის უკეთესი, პროგრესული ტენდენციისა და მიდრეკილების გამომხატველიცაა. მარტო ის, რომ მთელი არსებით წინაღუდგა ყველაზე ანტიჰუმანურ, ყველაზე რეაქციულ მოვლენას, მონობის ყველაზე შემზარავ ფორმას — ადამიანების გატაცებას და ადამიანებით ვაჭრობას, ამ მეფეს თავისუფლებისათვის თავდადებულთა რაზმეულს აკუთვნებს. მწერალი ახერხებს ამის მხატვრულ დასაბუთებას. შესაძლოა, ეს იყოს ერთგვარი პარადოქსი, ან ერთგვარი ახირება საზოგადოებრივი განვითარებისა. შესაძლოა, ისტორიული პროგრესისათვის აუცილებელია ზოგჯერ „თეთრი ყვავების" გაჩენა და გამოფრენა, რომ მოძრაობის მკვდარი წერტილი გადაილახოს. ძირითადად სიმართლის უკომპრომისო გრძნობა წარმართავს ვითარებათა მოძრაობას ამ ნაწარმოებში. სოლომონ მეფეს თითქოს ქვეშეცნეულად „გაეგება", რომ უზარმაზარი სასიცოცხლო ძალღონეა საჭირო, რათა ისტორიის კლდეღრეებში გაიყვანო შენი ქვეყანა. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიზნებიც და პირადი მიდრეკილების ერთობ რთული შენაზავი განსაზღვრავს ამ მეფის ადამიანურ შინაარსს. თითქოს ეროვნული სულისკვეთებისა და სასი-

ცოცხლო ენერგიის რაღაც განსაკუთრებული ნაყური ჩამდგარა ამ მეფის არსებაში, რომ თვით მწარე შავბედობისა და იმედგადაწურვის პირობებშიც კი ინარჩუნებს ერთგვარ მხნეობასა და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის ჟინს. მას ახასიათებს საგრძნობი სულიერი სტოიციზმი. ჭირთა თმენა და გამძლეობა თითქოს მისი ხალხური ფესვებიდან მომდინარეობს. თვით მისი წრის, მისი სოციალური მოდგმის არსებაშია სათავე დიდი ამქვეყნიური ბოროტებისა. მისი ყოველი გაბრძოლება ქვეშეცნეულად არსებითად თავისი წრის მარწუხებიდან თავდახსნის ცდაა. მწერალს სურს შეგვაყვაროს თავისი რომანის მთავარი პერსონაჟი. ამის საფუძველიც აქვს — არა მარტო სუბიექტური, არამედ ობიექტურიც. სოლომონ მეფე მართლაც პროგრესულია, როგორც სახელმწიფოებრივი მოღვაწე, და დადებითი ადამიანი, როგორც პიროვნება.

ორიოდე ეფემერულ საომარ წარმატებას თუ არ ჩავთვლით, სოლომონმა არა ერთი მარცხი იგემა, მიუხედავად მისი საგულისხმო სტრატეგიული ნიჭიერებისა. ბატალური სცენები და საომარ მოქმედებათა ხლართები მწერალს ოსტატურად აქვს შესრულებული. ამ სცენებში იგრძნობა ხალხის უდრეკი სული, გათავისებული მეფის მიერ. ამიტომაც არ ენურება მას იმედი თვით უმძაფრეს ბედუკულმართობის წუთებშიაც კი. მას სწამს თავისი სიმართლე თავისი ქვეყნის წინაშე, თავისი წრის წინაშე. ეს აძლევს მას იმედს და სასიცოცხლო ძალას, თავისი რწმენის, რაც არსებითად თავისი ქვეყნის სასიცოცხლო ბედის ნიშნად ესახება, სამსხვერპლოზე მიაქვს უახლოესი ნათესაური კავშირიც კი. არა მხოლოდ თავისი მეფური ამბიციის, არამედ უმალ თავისი ქვეყნის კეთილდღეობის მისეული გაგება ამოქმედებს მას. რასაკვირველია, სულისა და გულის მოძრაობის სხვადასხვა მიზეზებსა და ნიუანსებს მოკლებული არ არის მეფის შინაგანი სამყარო, მაგრამ მთავარი წარმმართველი ვიწრო პირადული ვნება კი არა, საერთო ეროვნული გულისთქმაა. მეფეა და ადამიანი. ამიტომაც არც ადამიანური და არც მეფური უცხო არ არის მისთვის. საკუთარმა პაპამ (ბაბუამ), თვით სოლომონის დედასთან შეთანხმებით გამეფებისთანავე ტახტიდან ჩამოაგდო შვილიშვილი. ეს იყო ყველაზე პირწავარდნილი ბნელი და ავი ფეოდალური წრის ხრიკების შედეგი. სოლომონის პაპა და დედა ბატონყმობის ამ ყველაზე ბოროტი სულისკვეთების გამომხატველნი არიან. ბატონყმური განკერძოების ქომაგებს, თუ სრულ ფეოდალურ კარჩაკეტილობის შენარჩუნებას ვერ შესძლებდნენ, ევროპულ-რუსულ მონარქიზმს თურქულ-სპარსული ბნელზე ბნელი დესპოტიზმი ერჩიათ. ამრიგად, არსებითად მოვლენათა სიღრმეში თავს იმალავდა მწვავე წინააღმდეგობა განათლებულ მონარქიულ მიდრეკილებასა და აზიურ დესპოტიზმს შორის. ამ ტენდენციათა მრავალმხრივინაირფეროვნება გამოხატულებას პოულობს გონებამახვილურ მხატვრულ ინდივიდუალიზაციაში. მწერალი თავისი ქმნილების მნიშვნელოვან ნაწილში აღწევს ისტორიული მოვლენის სინამდვილის ფაქტის გარდაქმნას შთამბეჭდავ მხატვრულ სიმართლედ.

ღრმა დრამატული სიმძაფრით არის აღბეჭდილი სოლომონ მეფის უმწვავესი კონფლიქტი პაპასა და დედასთან. თავისი სახელმწიფოებრივი მიზნების გამო მეფე თითქმის სრულიად ახშობს თავის გულში მშობლიურ-ნათესავურ გრძნობას. ულმობელნი არიან ერთმანეთის მიმართ: დედა თამარი და პაპა ლევან აბაშიძე — თავიანთი პირადი საბატონო ინტერესების გამო, სოლომონი კი თავისი სამეფო ქვეყნის ბედისა და შესაძლებელი კეთილდღეობისათვის (სულ გამორიცხული, რასაკვირველია, არც მეფის პირადული ვნებებია). ადამიანთა საზოგადოებრივი განვითარება-მოძრაობის ხვეულებში თვით ისეთი ამაღლებული კავშირი, როგორიცაა მშობლიური ანუ დედაშვილურ-მამაშვილური კავშირი, გარემოებათა მიხედვით საოცარ გარდაქმნებსა და გადადუღებას განიცდის. ადამიანები ისტორიის შემოქმედიც არიან და ისტორიის სათამაშო ტიკინებიც. ქვეყნიერების სამოძრაო დუღილში კაცთა ბედი ხან რას მიეხეთქება და ხან რას. ხსნის ჯაჭვი ხშირად არც ძლიერ გონიერებას უჭირავს ხელში. სტიქიის უგონო ზვირთები, ვინ იცის, ხან სად გაიტაცებენ ცხოვრების ხომალდს და ხან სად.

სოლომონ მეფე საკმაოდ გონიერი მმართველი და მეომარი იყო, მაგრამ ბედი არცთუ გულუხვად წყალობდა (რა გონიერიც და ძალმოსილიც უნდა იყო ადამიანი, ნუ ფიქრობ, რომ ისტორიის ბორბალს ისე აბრუნებ, როგორც მოგესურვება). სოლომონის პაპის — ლევან აბაშიძისა და დედის — თამარის მარცხი არსებითად აღმოსავლურ დესპოტიზმზე დამყარებული იმედის ნგრევა იყო და მომავლის შუქის ჩაქრობას მოასწავებდა, სოლომონ მეფის მარცხის უკან კი თითქოს საიმედო მომავლის შუქი ციალებდა. სოლომონის დამარცხებულმა პაპამ — ლევან აბაშიძემ მტრული ქვეყნის მესვეურებს შეაფარა თავი და საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლაში ეულად დაილუპა, დედა თამარი კი შვილმა სამუდამო პატიმრად გაგზავნა სამეგრელოში. შურისგების გრძნობა ხშირად ყოველ ძლიერ გრძნობას ამარცხებს და იმონებს. მაგრამ სო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლომონს შურისგების გრძნობაზე მეტად საკუთარი ქვეყნის ალზევების გრძნობა ამოქმედებდა. სამშობლოს ალზევების გრძნობის გამარადისების მისწრაფებით გადადის იგი წარსულიდან მომავალში, თანაც ეს არის მისი საზიდი მძიმე ჯვარის ერთი დიდი ნაწილი.

რომანის ერთ-ერთ შესანიშნავ დრამატულ-ტრაგიკულ ნაკვეთს წარმოადგენს სოლომონის პირველი სიყვარულის მწარე ამბავი. სამეფოს ბედ-ილბალმა დიდი სულიერი მსხვერპლის გაღება დააკისრა სოლომონს. საომარი თანადგომისათვის სამეგრელოს მთავარმა — ოტია დადიანმა, სოლომონს მოსთხოვა ახალგაზრდა მეუღლეს გაეყარე და ცოლად შეირთე, იმერეთის დედოფლად დასვი ჩემი ერთადერთი ქალიშვილიო. გრძნობით ამ ულმობელ და ამაზრზენ ვაჭრობას სოლომონმა გარკვეული წინააღმდეგობა და სულიერი პროტესტი შეაგება, მაგრამ დროის ულმობელობამ და საომარმა აუცილებლობამ მისი მეფური ნებისყოფაც კი გადრიკა. იგი ბედის იძულებით შერთული თანამეცხედრის მარიამის საკმაოდ მოსიყვარულე მეუღლეც გახდა. პირველი სიყვარულის ნაისრალს თითქოს განზრახ ატანს დავიწყების ქარბორიოს, ეს კი მკითხველში უფრო აძლიერებს დანგრეული სიყვარულის მწუხარე გრძნობას. ბედუკულმართობით შეჭივრებულ ქვეყნის ბედს ჰგავს რაღაცათი მწარე ხვედრი დედოფალყოფილისა. ფეხმძიმეს მას სადღაც შორეულ მონასტერში გადაჰკარგავენ. შეუხორცებელ ჭრილობასავით გვანვალებს ადამიანის ბედის ნკვარამში ჩაკარგული სიცოცხლე. ადამიანის ბედი ხშირად ავი ბელზებელივით ხითხითებს კაცთა ცხოვრების ნაპრალებიან გზაზე. შენ კი გნყურია ადამიანთა ტკივილების დაყუჩება სნორედ ტკივილების დაყუჩების გზაზე ერნყმის სიკეთე სილამაზეს. მაგრამ ვაი, რომ ტკივილი უტკივილოდ არ იკურნების.

ადამიანები ვივიწყებთ (რომ არ ვივიწყებდეთ, ალბათ, მუდმივ სატანჯველად გვექნება!), რომ ყველგან ჩამოლამდება უსაშველოდ. ყველა ჩავლამდებით უსასრულოდ. სულის ერთადერთი მოსაოხებელი სიკეთის თესვაა. ტყუილ-უბრალოდ როდი უთქვამს რომელიღაც ძველთაძველ ბრძენს — იჩქარეთ სიკეთის ქმნაო. ბოროტების დასჯა ხომ არის სიკეთე? რასაკვირველია, ძალიან ხშირად ძნელია იმის გარკვევა, თუ რა არის სიკეთე და რა არის ბოროტება, მაგრამ არის ალბათ უყოყმანო სიკეთეც და უყოყმანო ბოროტებაც. ის, რასაც აზნაური ქაჯაია ჩადიოდა, სოლომონ მეფეს უპატიებელ ბოროტებად მიაჩნდა და ცამდე მართალიც იყო. თავისივე სამშობლოს შვილების მოტაცება და ტყვეებად გაყიდვა გადამთიელებზე მართლაც ხომ წმინდა წყლის ბოროტებაა, ამიტომაც არ გვანუხებს ქაჯაიას ულმობელი დასჯა. ამ ეპიზოდსაც ჩვეული ოსტატობით აკეთებს მწერალი.

მრავალ ფრიად საგულისხმო და მეტყველ სახეთა (პერსონაჟთა) შორის შესანიშნავად არის დახატულ-გამოძერწილი ფეოდალური განკერძოება-პარტიკულარიზმის ყველაზე ნიშანდობლივი გამომხატველი — რაჭის ერისთავი როსტომი, ვინაც ერთობ შთამბეჭდავად ასახიერებს თავის ადამიანურ უსწორმასწორობას — სიმუხთლეს, ცბიერებას — თავისი ეპოქის, თავისი წრის კონდენსირებულ ფსიქოლოგიას.

როდესაც რევაზ ჯაფარიძის ამ ვრცელ ნაწარმოებში ეცნობით ფეოდალური საზოგადოების ზედაფენების მრავალსახოვან წარმომადგენლებს, შორეული თუ ახლობელი აზრობრივ-ემოციური კავშირებით, გებადებათ ფიქრები, რომ ყველაზე ძნელად გასაკურნავი და გადამდები სულიერი სნეულება კაცობრიობის ისტორიაში დატოვეს მონათმფლობელობამ და ბატონყმობამ. ეს სნეულებაა უპირატესობის გრძნობა, უპირატესობისა, რაც ვითომდა თან დაყოლილი თვისებაა რჩეულთა ანუ ადამიანთა განსაკუთრებული ჯიშისა. სამწუხაროდ და სავალალოდ, ეს ცრურწმენა, უკეთ ვთქვათ, სულიერი სენი ახლაც ფეხმოკიდებულია მრავალთა შორის და დიდხანსაც დარჩება მათ სულსა და გულში. ნურას იტყვით ადამიანთა კეთილდღეობაზე, სანამ ადამიანთა სულში იღვიძებს ბატონკაცური უპირატესობის გრძნობა თუ ვნება. ვლაპარაკობ საქმის მხოლოდ ფსიქოლოგიურ მხარეზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვივიწყებ ძირითად მხარეს, ე. ი. სოციალურ ვითარებას. არა! მაგრამ მწვალებელი კითხვა მაშინდელი ღრმად მოაზროვნე ადამიანისათვის ალბათ მთელი სიმწვავით იჭრებოდა: რა გვეშველება? სად არის საშველი? დასაბამიდან თავსატეხ კითხვას ვინ და როდის გადანყვეტს? ან კი საერთოდ შეიძლება გადანყდეს?... ჟინი სხვებისათვის ნინ გასნრებისა მარადიულად უკურნებელი სენია? განა თვითგაუკეთესების მუდმივი ნყურვილი ვერასოდეს ჩაკლავს ამ ავ ჟინს?.. და თუ სხვებისათვის ნინგადასნრების ჟინი კაცთა მარადიულ უკურნებელ სენად დარჩება, რა გალაღებულიც უნდა იყოს ზოგიერთი, ადამიანი მაინც მუდმივ ნამებულ არსებად ჩაითვლება...

დასაბამიდან თავსატეხ კითხვას ვინ და როდის გადანყვეტს?

ჰე, სად არ გაგიტყუებს მხატვრული სიტყვის განტოტებანი!

რომანში მოქმედებს მთელი ლაშქარი მთავრებისა, თავადებისა, აზნაურებისა... რამდენი პირადული ნიშანი, რამდენი სალებავი დასჭირვებია მნერალს! ერთხელაც არაბუნებრივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალებავს არ მიმართავს, იგი დაჯერებული რეალისტია, იქამდე დაჯერებული რეალისტი, რომ ფუნჯი იშვიათად ნატურალისტური დეტალისაკენაც კი გადაუცდება ხოლმე (მხედველობაში მაქვს ზოგჯერ ყოფითი წვრილმანების აღწერა). მრავალრიცხოვან პერსონაჟთა შორის თვითეულს თავისი განსხვავებული იერი აქვს მოძებნილი. გაიხსენეთ, რა მეტყველი ფერადებით აქვს დახატული სამეგრელოს საკმაოდ გონიერიც და საკმაოდ ჩაკვანძული ბუნების დარბაისელი მთავარი ოტია დადიანი, ოღონდ თავისი საყვარელი ასული მიეთხოვებინა იმერეთის ახალგაზრდა მეფისათვის — სოლომონისათვის და იგი არად აგდებდა სოლომონის მიერ სიყვარულით შერთული პირველი სათნო, მშვენიერი თანამეცხედრის — თინათის ბედს. თუმცა ამ უმართებულოდ განწირული ქალის ხვედრი რომანშიც რაღაცნაირ ტრაგიკულ ბურუსშია გახვეული. სულ სხვაა ერთგვარად გულღრძო ხასიათის კაცია დადიანი — ოტიას ვაჟი; შესაძლოა, იგი უფრო დამახასიათებლად ასახიერებს გულზვიადი თავადის თავკერძულ ხასიათს. ნათელი შტრიხებით არის დახატული აფხაზეთის ახალგაზრდა მთავარი, აფხაზთა ლაშქრის მეთაური შერვაშიძე, სოლომონის გულდაგული თანამებრძოლი. გულში ჩამწვდომი დრამატიზმით არის გადმოცემული ამ ჭაბუკი მთავრის დაღუპვა ომში. საგულისხმოა აფხაზთა ჯარის მონაწილეობა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში. საქართველოსათვის აფხაზ ჭაბუკთა დაღვრილი სისხლი შთამაგონებლად ასახიერებს ქართველთა და აფხაზთა ისტორიული ბედის ერთიანობას.

რომანის ფრიად მნიშვნელოვან მონაკვეთს შეადგენს ქართველთა სამი მეფის—ქართლისა — თეიმურაზის, კახეთისა — თეიმურაზის ვაჟის — ერეკლესა (პატარა კახად წოდებულის) და იმერეთისა — სოლომონის ღვაწლის, ურთიერთობისა და შეხვედრის ამბავი. სურათოვანი მონათხრობით დადასტურებულია, რომ ქართველი ერის სამთავე მეთაური ქვეშეცნეულად თუ გააზრებულად საქართველოს ერთიანობას ესწრაფვის. მკითხველს უეჭველად აზრჩაქსოვილი ხატოვანებით და ესთეტიზმით იზიდავს თვალნათლივ გამოკვეთილ პერსონაჟთა ცხოვრების, მოღვაწეობისა და ბედის დრამატული კვანძები. ამ მხატვრულ სახეთა კრებულს განეკუთვნებიან სოლომონის ძმებიც. მკითხველს გულს უკოდავს თავისი ტრაგიკული ბედით მეფე ერეკლეს ასულის ცხოვრების გზა. საგულისხმო ის არის, რომ თვითეული პერსონაჟის ცხოვრების სიღრმეში დაკვირვებული თვალი თავისებურად დალანდავს ერის ბედისა და თავგადასავალის ანარეკლსა და განტოტებებს.

მართალია, მაშინდელი რუსეთის ჯარის წარმომადგენელი — კაპიტანი ორლოვი რომანის ეპიზოდური პერსონაჟია, მაგრამ როგორც გარდუვალი ისტორიული მოძრაობის მანიშნებელი და საქართველოს ბედის ტრიალის მაუწყებელი იგი ფრიად საგულისხმო მხატვრული სახეა. მწერალი ყოველთვის ცდილობს თვალი გაუსწოროს ქვეყნის მოძრაობისა და განვითარების ულმობელ სიმართლეს და სწორედ ეს ულმობელი სიმართლე გარდაქმნას მხატვრულ სიმართლედ.

რომანის მრავალრიცხოვან პერსონაჟთა შორის, რასაკვირველია, ასევე ფრიად საგულისხმოა და ყურადღებას იქცევს ხალხის ქვედა ფენების, უკეთ ვთქვათ, გლეხობის წარმომადგენლნი. ვფიქრობ, მიუკერძოებელი და უკომპრომისო სიმართლის გრძნობით არის გახსნილი მათი ადამიანური შინაარსი, მათი ნათელი და ბნელი მხარე. უანგარო ერთგულებას და ვაჟკაცურ თავდადებას ასახიერებენ სოლომონის ძიძიშვილები. ისინი გვხიბლავენ გულითადობით და გულალალობით. მაგრამ ბილწი და ანგარებიანია ბუნება ყმა გლეხისა, რომელიც მზად არის ტახტიდან ჩამოგდებული სოლომონ მეფე ვერაგულად შეიპყროს იმ გასამრჯელოს მისაღებად, რომელიც ამ საქმის აღსრულებისათვის აღთქმული აქვთ სოლომონის მტრებს, უწინარეს ყოვლისა, სოლომონის პაპას — ლევან აბაშიძეს.

ერთი სიტყვით, მწერლის პალიტრა აღსავსეა უხვი სალებავებით თავისი მრავალრიცხოვანი პერსონაჟის როგორც გარეგნული, ისე ფსიქოლოგიური პორტრეტების შესასრულებლად.

რომანის შთამბეჭდავი მხატვრული სურათოვნებისაგან მიღებულ ესთეტიკურ სიამოვნებასთან ერთად მკითხველი კმაყოფილი რჩება კარგი ქართული ენითაც, ბუნებრივად და ზომიერად რომ არის შეზავებული იმერული კილოკავით.

თუმცა ქება-დიდება მაგრად არის დღეს ფეხმოკიდებული, მაგრამ მე მაინც შევეცდები მცირე შენიშვნა გამოვთქვა ამ კარგი ნაწარმოების მიმართ.

ჩემი აზრით, ჩვენი შემკვრივებული დროისათვის ნაწარმოები ერთობ დიდი მოცულობისაა. რომანს უეჭველად გაამდიდრებდა ტყვედ გაყიდულთა თუნდაც ერთი დრამატულ-ტრაგიკული სიყვარულის ამბავის შეთხზვა და გამოხატვა...

ეს ორიოდე ფრაზა მხოლოდ სხვათა შორის.

„მძიმე ჯვარი“ ჩვენი დროის ყველაზე უკეთეს ქართულ რომანთა რიცხვს განეკუთვნება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი ბაქრაძე

# განყიდენ სამოსელი და იყიდენ მახვილი

რომანის სახელია „სამოსელი პირველი“. განმარტების თვინიერ, მკაფიო არ არის რა აზრის მატარებელია ეს სათაური.

არსებობს სამოსლის აზრის ტრადიციული გაგება. ცხადია, ჯერ ეს უნდა გავიხსენოთ, რომ ზუსტად წარმოვიდგინოთ, რა არის ტრადიციული გურამ დოჩანაშვილის რომანის სახელწოდებაში და რა დაემატა ახალი. მერე კი ამ გახსენებით გავაღოთ „სამოსელი პირველის“ აზრობრივი ცხრაკლიტულის კარი.

ბიბლიური მითოლოგიის თანახმად, როცა ღმერთმა ადამი და ევა შექმნა, ისინი შიშველი იყვნენ, მაგრამ თავიანთ სიტიტვლეს მანამ ვერ ხედავდნენ, სანამ ცნობადის ხის ნაყოფი არ ჭამეს. ცნობადის ხის ნაყოფის ჭამით გონი, რუახი შეიძინეს და არა მარტო მთელი სამყარო დაინახეს, არამედ — საკუთარი სიშიშვლეც. ამრიგად სამოსელი პირველი ცოდნაა, რომლითაც ყოველი კაცი უნდა შეიმოსოს, რათა კეთილი და ბოროტი გაარჩიოს.

სასულიერო ჰიმნოგრაფიაში ხშირად შეხვდებით ამგვარ სტრიქონებს:

„მომეც მე სამოსელი ბრწყინვალე, რომელმან შეიმოსე ნათელი სამოსლად, ღმერთო, მეოხებითა მოწამეთაითა“...

„რომელმან შეიმოსე ნათელი სამოსლად, შენდა მოვილტით, შენ გიღაღადებთ: განანათლე სული ჩემი დაბნელებული“...

ამ ჰიმნების მიხედვით სამოსელი პირველი ღვთაებრივი ნათელია, რომლითაც ადამიანი უზენაესს ეზიარება.

როცა მეფე ლუარსაბ მეორე სასიკვდილოდ განემზადა და გადაწყვიტა შაჰ აბასს პირველს ხლებოდა, მემატიანემ აღნიშნა, ისწრაფოდაო „შემოსად სულიერისა სამოსლისასა.“

როგორც ვხედავთ, პირველი სამოსლის ტრადიციული გაგება ზოგადად ადამიანის უნივერსუმთან ზიარებას გულისხმობს.

შეიძლება ასე გავიგოთ გ. დოჩანაშვილის რომანის სათაურიც. ამის საბუთად „სამოსელი პირველის“ პროტაგონისტის სახელი დომენიკოც გამოდგება და, საერთოდ, მისი თავგადასავალიც. Dominicus ლათინურად ღვთისას ნიშნავს. ამას პროზაიკოსიც გვეუბნება: „სახელადაც უცხო სახელს, დომენიკოს გარქმევ, სიტყვებიდან დომინუს, დომინიონ და დომენ...“ ჩვენებურად კი ეს სახელი იქნება ღვთისავარ (საალერსო ფორმით, ღვთისო).

ცოტა ხნით აქ მსჯელობის პირდაპირ გეზს გადავუხვევ. ვისაც „სამოსელი პირველი“ წაუკითხავს, კარგად ესსომება, რომ გ. დოჩანაშვილი რომანში იყენებს იტალიურ-ესპანურ ონომასტიკონსა და ტოპონიმებს. მართალი რომ გითხრათ, რომანში ამის ვერავითარ აუცილებლობას ვერ მივაგენი. იგი უფრო ავტორის თავისებურ სურვილად მეჩვენა. მაგრამ ისიც აშკარად უნდა ვთქვა, რომ ეს საკითხი საკამათოდ არ მიმაჩნია. მწერალი უფლებამოსილია ამ შემთხვევაში სურვილისამებრ მოიქცეს. ალბათ გ. დოჩანაშვილს დომენიკო უფრო ჰარმონიულ და ქლერად სახელად მიაჩნია, ვიდრე ღვთისავარ. თუ ასეა, იყოს ნება მისი.

თითქოსდა სამოსელი პირველის აზრის ამოცნობას წინ არაფერი ედგა, მაგრამ საქმე თვად ავტორმა გაართულა, როცა გვითხრა: „სამოსელი პირველია სიტყვა.“ ამის წაკითხვისას, ნებით თუ უნებლიეთ, არ შეიძლება არ გაგახსენდეთ „პირველითგან იყო სიტყუაი, და სიტყუაი იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაი იგი“.

თუ პირველ სამოსელსა, სიტყვასა და ღმერთს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორის პირდაპირი კავშირია, მაშინ როგორ გავიგოთ ეს სურათი?

„სოფლის განაპირას, კოშკში, სამოსელი პირველი ინახებოდა.

...ხის დაბალ ტახტზე უძვირფასესი კაბა იყო გაფენილ.ი.. სამოსელიდან უამრავი კაშკაშა სხივი ელრიალით იწელებოდა ბნელში. იისფრად ციაგებდა დიდი ამეთვისტო, მინანქრით მოჭედილ საყელოსთან მიბნეული, მწვანედ ლივლივებდნენ ზურმუხტები, მთელი კაბის სიგრძეზე მწყობრად დატანებულნი, ყოველ ზურმუხტს შორის ლურჯად კამკამებდნენ საფირონები, გვერდით კი ყოველ ქვას წყვილი მარგალიტი ებნია. მთელი კაბა ოქრომკედით იყო მოჭედილი, ცივი, ყინულოვანი ციმციმით თითქოს ერთმანეთში ხრაჭუნით იფშვნებოდა უამრავი ყვითელი ნამცეცი, სინათლე ლივლივებდა მთელს სამოსელზე და იქვე, ტახტის ფეხთან მიწყობილ ორ ხამლზე წყვილი ალმასი კაშკაშებდა, ხარის თვალის ოდენა. სამოსლის მინანქრით მოჭედილ ქამარზე ბეჭედი იდო, ყვითლად შემოჭარულ ოქროში ავად კიაფობდა თლილი ბრილიანტი."

რატომ მიიღო სიტყვამ ამგვარი მატერიალური სახე?

როცა კი ამ კითხვას წაიკითხავს მკითხველი, შეიძლება გაიფიქროს — უკვე კირკიტით დაიწყო მსჯელობა. არ არსებობს ნამდვილი მკითხველი (გაიხსენეთ გალაკტიონის „არის მკითხველი მშვენიერ წიგნის და არის მხოლოდ გადამკითხველი"), რომელიც მხატვრული ნაწარმოების, როგორც მთლიანი ისე ცალკეული ეპიზოდის, აზრის ნათლად ამოცნობას არ ცდილობდეს, არ ეძებდეს ლოგიკურ თანამიმდევრობას. ამბობენ, მხატვრულ ნაწარმოებში ზოგიერთი რამ ქვეცნობიერად არის დაწერილი და მისი ლოგიკური განმარტება ყოველთვის არ ხერხდება. ამიტომ ქვეცნობიერადვე უნდა აღიქვათ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ მართლაც ასეა, მაინც უნდა მოვძებნოთ ამოხსნა.

კარგად ცნობილია, რომ შემოქმედის სახელს ორი ვინმე ატარებს — ღმერთი და მწერალი (საერთოდ ხელოვანი). თუმცა უნდა გულახდილად ვთქვა, რომ აქ აუცილებელია დიფერენციაცია. მწერალს, მხატვარს, კომპოზიტორს მართლაც შეიძლება შემოქმედის მაღალი სახელი ვუწოდოთ, რამეთუ ისინი არარსებულიდან ქმნიან ახალ მხატვრულ სამყაროს. რაც შეეხება მსახიობს, რეჟისორს, მუსიკოს-შემსრულებელს, მათ ნაკლები საბუთი აქვთ შემოქმედი ერქვათ, რადგან ისინი უკვე შექმნილის ინტერპრეტაციას ეწევიან. რეჟისორი დგამს უკვე დაწერილ პიესას, მსახიობი თამაშობს უკვე დაწერილ როლს, მუსიკოსი-შემსრულებელი ასრულებს უკვე დაწერილ მუსიკალურ ნაწარმოებს. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ყოველი რომანი ახალი მხატვრული სამყაროა. იგი არაფრით ჰგავს წინ არსებულ მხატვრულ სამყაროს და არ დაემსგავსება მანამდე შექმნილს. მას საკუთარი შინაარსი და კანონზომიერება აქვს. ბუნებრივია, რომ მკითხველს ამ შინაარსის ამოცნობის და კანონზომიერების დადგენის სურვილი უჩნდება. ხომ არის მოწადინებული ადამიანი ამოიცნოს გარემომცველი რეალური სამყაროს კანონზომიერება და აზრი, ასევე სურს მას ჩაწვდეს ილუზიურ სამყაროს ანუ მხატვრულ ნაწარმოებს.

ნამდვილი მკითხველი აუცილებლად კირკიტაა. ამ კირკიტის გამართლება ის არის, რომ შეძლებისდაგვარად გვსურს მივუახლოვდეთ სიმართლეს. ამას კი მაშინ მოვახერხებთ, როცა, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც დავადგენთ რა აზრით, რა მიზნით არის შექმნილი „სამოსელი პირველის" ილუზიური სამყარო, მისი პროტაგონისტები, ცალკეული სცენა თუ ეპიზოდი.

სამოსელ პირველს არა მარტო მკაფიოდ დასანახი მატერიალური სახე აქვს, არამედ მისი გაყიდვაც შეიძლება. დომენიკოს მამამ პირველ სამოსელს თვლები დააძრო, გაყიდა და შვილს ექვსი ათასი დრაჰკანი მისცა. ჩვენ ვიცით ღმერთის ოცდაათ ვერცხლად გაყიდვის ლეგენდა. მაგრამ ექვსი ათასი დრაჰკანი კი მეტისმეტად დიდი ფულია. ამიტომ, როგორც ჩანს, ავტორი აქ სხვა რამეს გულისხმობს, რაც პირადად ჩემთვის ძნელი ამოსაცნობია. უნდა ვიფიქროთ, რომ გაყიდვის თვალსაზრისით, სიტყვა-ღმერთი და სამოსელი პირველი — სიტყვა ერთმანეთს არ უკავშირდება.

სამოსელი პირველი შეიძლება დაიწვას კიდეც. მისი დაწვა აღწერილია რომანის ფინალში. თურმე პატიოსანი თვლები, რომლითაც მოოჭვილია კაბა, ადამიანთა სამშვინველია. დომენიკო ხედავდა, როგორ გიზგიზებდნენ ცეცხლში ის ადამიანები, რომელნიც მას ცხოვრების გზაზე შეხვდნენ. მაგრამ იწვოდნენ იმის შესაბამისად, ვისი სამშვინველი რით იყო სავსე — კეთილით თუ ბოროტით.

თუ გაყიდვისა და დაწვის აქტს ერთმანეთს შევადარებთ, ახალი კითხვა გაგვიჩნდება.

როგორც შევიტყვეთ, სამოსელი პირველის პატიოსანი თვლები ადამიანთა სულები ყოფილან. ეს დაწვამ გამოავლინა. „ეს — დომენიკოს ნებსითა თუ უნებლიეთ თანამგზავრნი, ჰოი, რა მკვეთრად განსხვავებული, ხალხი იწვოდა!"

ამასთანავე ისიც ვიცით, რომ დომენიკოს მამამ სამოსელი პირველის თვლები გაყიდა. „სამოსელი პირველი მთლიანად კი არა, თვლები დააძრო და ისინი გაყიდა."

კა მაგრამ ვინ არის დომენიკოს მამა, ვისაც უფლება აქვს ადამიანის სამშვინველი გაყიდოს? ასე ადვილად ფული შვილს მისცეს, რომ უმაწვილმა კაცმა ადამიანის დანიშნულება ეძიოს და ცხოვრების აზრის ამოცნობა სცადოს?

რომანის მიხედვით, მკითხველი ზერელედ იც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობს დომენიკოს მამას, რომ ამ კითხვებს დამაჯერებლად უპასუხოს.

თუმცა გამოთქმულია აზრი, რომ დომენიკოს მამაში „მაღალ სოფელში მცხოვრები პატრიარქი მამის ცნების გარდა უზენაესი ქრისტიანული ღვთაების — მამა ღმერთის — მაღალი აზრია დაუნჯებული“ („კრიტიკა“, 1981 წ., №2, გვ. 88). მართალია, გაბედული აზრია, მაგრამ ძნელი გაზიარება ძნელია.

ქრისტიანული კონცეფციის თანახმად, მამა-ღმერთს ოდენ მხოლოდშობილი ძე ჰყავს — ქრისტე. იგი ღმერთის ხილული, ხორცშესხმული სახეა და მოვლენილია ქვეყნად, რათა აღიხვნოს ცოდვანი სოფლისანი და აცხოვნოს ხოფელი მის მიერ (იოანე, 1,29; 3,17).

„სამოსელ პირველში“ კი დომენიკოს ჰყავს ძმა. იგი არ არის ერთადერთი შვილი. უკვე ეს ფაქტი პირწმინდად გამორიცხავს დომენიკოს მამაში ქრისტიანული მამა-ღმერთის თუნდაც შორეულ მინიშნებას.

გარდა ამისა, ვისი ცოდვა აღიხვნა დომენიკომ ან ვით ძალუძს მას აცხოვნოს სოფელი? რომანის მიხედვით, იგი ხომ ერთი მიამიტი ახალგაზრდა კაცია,რომელიც ცხოვრების აზრის მისაგნებად დახეტიალობს ამ ცოდვა-მადლით სავსე მიწაზე?

ზემორე ციტირებული სტრიქონის ავტორს ორი ერთმანეთის გამომრიცხავი დებულებაც აქვს გამოთქმული.

პირველი: „მისი („სამოსელი პირველის“ — ა. ბ.) სიუჟეტი შეცდომილი ძის იგავის მოტივზეა აგებული“ (გვ. 87).

მეორე: „ამიერიდან დომენიკო მამის მიერ ქვეყნად მოვლინებული სიტყვაა“ (გვ. 89).

მამის მიერ ქვეყნად მოვლინებული სიტყვა მხოლოდ ქრისტეა. მას ანალოგი არ ჰყავს. დავუშვათ გ. დოჩანაშვილმა სცადა, დომენიკოს სახით, ქრისტეს ლიტერატურული ხატი შექმნა, მაშინ როგორღაა დომენიკო ძეშეცდომილი? განა შესაძლებელია ქრისტესა და ძეშეცთომილს შორის რაიმე მსგავსების პოვნა? ეს ხომ უღრმესი შეცდომაა. ქრისტიანული კონცეფციის მიხედვით, ქრისტე თავად არის ის, ვინც ყველა შეცდომილს ჭეშმარიტების გზაზე აყენებს, ვინც ემსხვერპლება ცოდვის გამოსყიდვაში ცოდვილს. ყველა ძეშეცდომილი ქრისტეში პოულობს ხსნას. „სისხლი იგი იესო ქრისტეს ძისა მისისაი განგვწმედს ჩვენ ყოვლისაგან ცოდვისა“ (იოანეს ეპისტოლე პირველი, 1,7).

რა საშუალებით შეუძლია დომენიკოს ერთიც იყოს და მეორეც?

ვინც ქრისტიანულ მოძღვრებას ოდნავ მაინც იცნობს, იცის, რომ ქრისტე, როგორც მამა-ღმერთის ემანაცია, ჭეშმარიტებაა, როგორც წარმავალი ანუ მიწიერი, ისე წარუდინებელი ანუ ზეციერი ჭეშმარიტება. ამიტომ მოიცავს ქრისტე ორ ჰიპოსტატსს — კაცებრივსა და ღვთაებრივს. კაცებრივი ჰიპოსტასი გამოხატავს მიწიერ ანუ წარმავალ ჭეშმარიტებას, ხოლო ღვთაებრივი ჰიპოსტასი — ზეციერს ანუ წარუდინებელს. ადამიანის მოვალეობა კი მიწიერი ჭეშმარიტებიდან ზეციერ ჭეშმარიტებამდე ამაღლდებაა.

თუ დომენიკო „მამის მიერ ქვეყნად მოვლენილი სიტყვაა“, მაშინ იგი ჭეშმარიტება, ცხოვრების აზრი ყოფილა და სრულიად გაუგებარია რაღას დაეძებს. რა, საკუთარი თავი, საკუთარი ჭეშმარიტება უარჰყო და ახლის პოვნას ცდილობს? ამის მსგავსი არაფერი სწერია რომანში „სამოსელი პირველი“.

ეს გაუგებრობა რომანის ალეგორიის ბუნდოვანებამ გამოიწვია. შესაძლებელი გახდა ნებისმიერი ინტერპრეტაცია.

ჩემი ძირითადი შენიშვნაც ბუნდოვანებას ეხება. საერთოდ იგი გ. დოჩანაშვილის შემოქმედებისათვის უცხოა. მისი მოთხრობების პრობლემატიკა რთული და საინტერესოა, მაგრამ ყოველთვის ნათლად და მკაფიოდ არის გადმოცემული. ნურავინ იფიქრებს, რომ მწერალს სიმარტივისაკენ მოვუწოდებდე. აზრის სიმარტივე და აზრის მკაფიოობა ორი ძირეულად განსხვავებული ცნებაა. ეს ყველას კარგად ესმის. უბრალოდ არ უნდა დავივიწყოთ ის, რაც ასე ზუსტად თქვა სიმონ ჩიქოვანმა: „შემოქმედებას სირთულე უყვარს, ოღონდ გასაგებ ენით ნათქვამი“.

ასეა თუ ისე, რომანის ალეგორიული შინაარსის ამოსაცნობ საშუალებად მაინც ავტორის განმარტება უნდა მივიჩნიოთ: „სამოსელი პირველია სიტყვა“.

მაშინ სათაურში ჩამალული აზრი ჩემთვის ასე ყალიბდება: იგი, ვინც სამოსელი პირველით შეიმოსება, ეზიარება სულიერ ცხოვრებას, უპირატესობას მიანიჭებს მას და დაგმობს ხორციელი ცხოვრებით გამოწვეულ ყველა მანკიერებას. კეთილისა და ბოროტის ბრძოლაში კეთილის თანამოსაგრე იქნება. ამ დასკვნას ამაგრებს ისიც, რომ როცა სამოსელი პირველის თვლები იწვოდა, ცეცხლი არ მოეკიდა მხოლოდ დიდ ამეთვისტოს. „და მხოლოდ ერთ ქვას — დიდ ამეთვისტოს ვერ ედებოდა მრისხანე როკვით შეპოტინებული ცეცხლი...“ „მხოლოდ იმ ერთს, ერთადერთს, იმ ჯიუტად მოელვარე ქვას, მაინც რამდენი უწრიალა და, ველარ მოედო ვერახდიდებით ცეცხლი...“ დიდი ამეთვისტო კი ანა-მარიას სიმბოლოა. თავის მხრივ კი ანა-მარია გ. დოჩანაშვილს სულიერი ცხოვრების, სულიერების სახედ ჰყავს გამოყვანილი. აქ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ დომენიკოს უკვე ჰქონდა გაკვეთილი მიღებული — დედამიწას სიყვარული ატრიალებსო. დომენიკოსათვის კი ამ ყოვლისშემძლე ტრფიალის საგანი სწორედ ანა-მარია იყო. და ბოლოს, როცა სამოსელი პირველი დაიწვა, მამამ დომენიკოს „გულზე კანაფით ჩამოხკიდა დიდი ამე-

თვისტო — ცეცხლმოუდები, მეუფიანი, ანა-მარიას მოციაგე ქვა."

სამოსელი პირველი, დიდი ამეთვისტო, ანა-მარია დაახლოებით ერთი აზრობრივი შინაარსის სიმბოლოებია. ეს გვავალდებულებს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ანა-მარიას სახეს.

(გ. დოჩანაშვილი დიდ აზრობრივ ფუნქციას ანიჭებს ანა-მარიას (მარტო ის რად ღირს, რომ სამოსელი პირველის ყველა პატიოსანი თვალი დაიწვა და გადარჩა მხოლოდ დიდი ამეთვისტო, ანა-მარიას ქვა), მაგრამ ფუნქციის შესაბამის ადგილს არ უთმობს რომანში. ამ ქალის შესახებ მკითხველმა ცოტა რამ იცის.

ანა მარია ლამაზ-ქალაქში ცხოვრობდა. მამამისი სამხიმიან მარტივ საკრავს ამზადებდა, სოფელში ყიდდა და ამით ცხოვრობდა. მამაშვილი აგურის სახლში იყო დაბინადრებული. საღამოობით მათი ფანჯრიდან მუსიკის საამო ჰანგი ილვრებოდა. ოღონდ ლამაზ-ქალაქელებმა არ იცოდნენ ვინ უკრავდა, მამა თუ შვილი.)

„ანა-მარია ქალი იყო, მაგრამ შველს ჰგავდა", წერს აღტაცებული ავტორი (აღსანიშნავია, რომ ეს ფრაზა რამდენჯერმე მეორდება რომანში). აქ ისევ უნდა გადავუხვიოთ მსჯელობის ძირითად ხაზს და ერთი საერთო ხასიათის შენიშვნა გავაკეთო. იგი ნაწილობრივ გ. დოჩანაშვილსაც ეხება. დღევანდელ ქართულ პროზაში პროზაიკოსები თავად უფრო არიან მოხიბლული საკუთარი პერსონაჟებით, ვიდრე მკითხველი. არის ძველთა ძველი, ურყევი კანონი, რომლის თანახმად აღტაცება მკითხველის მოვალეობაა და არა ავტორის. ყველა დროის ყველა ნიჭიერმა მწერალმა იცის, რომ იგი ვალდებულია, რამდენადაც შესაძლებელია შეინარჩუნოს ობიექტურობა, სიმშვიდე და გულგრილობაც საკუთარი პერსონაჟის მიმართ. მკითხველს მისცეს საშუალება, ვისით მოიხიბლოს და რატომ. როცა მწერალი თავს ვერ იკავებს და საკუთარი პერსონაჟით მომეტებულ აღტაცებას ამჟღავნებს, ეს უპირველესი ნიშანია ოსტატობის უკმარისობისა. ეს უკმარისობა არასასურველი დიდი დოზით ვლინდება დღევანდელ ქართულ პროზაში.

დომენიკოს თავდავიწყებით შეუყვარდა ანა-მარია და ცოლად შეირთო იგი. ახლად ჯვარდაწერილთა შორის პირველსავე დღეს გაჩნდა შინაგანი წინააღმდეგობა. დომენიკოს მოეჩვენა, რომ ვიღაც თუ რაღაც მის ცოლს ქმარზე მეტად უყვარდა.

„დომენიკოს ეჭვები ღრღნიდა — ვიღაც სხვას, სულ სხვას ულიმოდა იმისი ცოლი..."

დომენიკომ ანა-მარიას „გამამხნევებელი ღიმილით შეხედა თვალებში, შეკრთა — მაინც სხვისა იყო მასთან პირველად ღამენათევი ქალი, სუსულ სხვისა..."

მართალია, დომენიკოს „მტერი" მუსიკა იყო, რომელსაც მთელი არსებით ეძლეოდა ანა-მარია, მაგრამ კონფლიქტი მაინც მწიფდებოდა.

„... ლოყაზე შემოაჭდობდა თითებს, თავს გადაუწევდა, თვალებში ჩახედავდა, მზერას არიდებდა ქალი, დომენიკო კი მაგრად, მაგრად შემოხვევდა ხელებს და ჩაიკრავდა გულში თვალებში ჰკოცნიდა, გორგალი ებჯინებოდა ყელში, სული სტკიოდა... თვალდახუჭული ჰკოცნიდა ყელზე და გრძნობდა, როგორ თბებოდა, მომლოდინე, მადლიერი ქალი, ისე მადლიერი, გაამაყებულ მგზავრს ცრემლმორეული თვალების დანახვა მოუნდებოდა და, რომ შეხედავდა, — აჰ, სხვისი იყო, მაინც სუსულ სხვისი... სხვას ეკუთვნოდა!"

ამ კონფლიქტის განვითარების მოლოდინში მკითხველი იძაბება, მაგრამ, სამწუხაროდ, მოტყუებული რჩება. დომენიკომ ანა-მარიას „სამაგიერო" იმით გადაუხადა, რომ საროსკიპოში გაიქცა და კახპა ლაურასთან ერთი ღამე გაათია. ღლისით ამ საქციელის თავად შერცხვა მამაკაცს. იგი ყურებჩამოყრილი, მხრებაწურული და სინდისატკივებული დაბრუნდა შინ. ამით დამთავრდა ცოლ-ქმრის კონფლიქტი. სხვა რამ ავტორს მკითხველისათვის არ უცნობებია. დროც აღარ არის, რადგან მალე ფეხმძიმე ანა-მარია მოკვდება

ჩემი აზრით, სულის წინააღმდეგობა, რომელიც დომენიკოსა და ანა-მარიას შორის არსებობს, შეუძლებელია ასე უბრალოდ და მარტივად დამთავრდეს. მაგრამ რატომღაც გ. დოჩანაშვილმა თავი აარიდა როგორც კონფლიქტის განვითარებას, ისე მის მართალ დასასრულს. შეიძლება ვცდები, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ მწერალი შეუშინდა კონფლიქტის განვითარებას. და მის მიერვე შექმნილი წინააღმდეგობა იოლად „მოაგვარა" ანა-მარიას სიკვდილით.

ის, რაც რომანში ანა-მარიას შესახებ არის ნათქვამი, ერთი დასკვნის უფლებას გვაძლევს: ეს ქალი გაცილებით უფრო ღრმა, რთული და დახვეწილი სამშვინველის პატრონია, ვიდრე დომენიკო, ყოველ შემთხვევაში მათი შეხვედრის პერიოდში. მერე დომენიკო ცხოვრების რთულ გზას გაივლის და ბევრის მხილველი გახდება. ბუნებრივია, რომ ეს მის სამშვინველს გაამდიდრებს და გაართულებს. ორი სხვადასხვა ძალისა და სიღრმის სამშვინველის შეხვედრისას, მით უმეტეს, მათი ქორწინებით გაერთიანების დროს, როგორც გარდაუვალი აუცილებლობა, იბადება შეურიგებელი შუღლი. მართალია, „სამოსელ პირველში" ამ უთანხმოების ჩანასახი არსებობს, მაგრამ გამოვლენილი არ არის მისი არსი. არსის გამოსავლენად საჭირო იყო ანა-მარიას უფრო გამოკვეთილად დახატვა. იგი, ავტორის ჩანაფიქრის მიხედვით, სულიერების ეტალონია. მაგრამ ეტალონობისათვის არ კმარა მარტო მუსიკით გატაცება, თუნდაც იმგვარი, როგორსაც გ. დოჩანაშვილი აღწერს.

„ანა-მარია, რჩეული, უკრავდა... თავი უკან გადაეგდო, თვალები დაეხუჭა და ქუჩიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეჰყურებდა ფანჯარაზე აბობლებული, გამწარებული დომენიკო. პირველად ხედავდა დაკვრისას ანა-მარიას სახეს, მოღალატე ცოლს შესცქეროდა განრისხებული მგზავრი — იმას მეუფე ეფერებოდა... თავზე უსვამდა უხილავ თითებს, ტუჩზე ჰკოცნიდა, უკრავდა ქალი... ნეტარებისაგან თვალდახუჭული, ნეტარებისაგან უხმოდ კვნესოდა, ანა-მარია, შუამავალი მეუფესა და საკრავებს შორის, იმ დიდი შრომის, დაკვრა რომ ერქვა, ჯილდოს იღებდა — თავად მეუფე ეფერებოდა, ნეტარებისგან კვნესოდა ქალი... თავგადაგდებულს, ყელზე ჰკოცნიდნენ და თვითონ ქალიც ტუჩებს სიხარულით აწვდიდა მეფეს..."

ხშირად პერსონაჟის რელიეფურად გამოკვეთისათვის კონკრეტული საქციელის დახატვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე აღწერა, თუნდაც დაწვრილებითი. სანიმუშოდ შევადაროთ ზემორეციტირებული აღწერა, როგორ უკრავდა ანა-მარია, კამორელი მეძავის როსას საქციელს.

კამორაში ყოფნის დროს გაწამებულ დომენიკოს ქალი მოენატრა. თოთ-ექიმმა მოუყვანა როსკიპი როსა. დომენიკოს მხოლოდ ოთხი დრაჰკანი ჰქონდა. მხოლოდ ეს შეეძლო მიეცა გასამრჯელოდ ქალისათვის. უფრო ლატაკი, ღარიბი და საცოდავი იყო მეძავი. მას ორმოცი გროში ჰქონდა. როსა მზად იყო ყველაფერი აეტანა, ოღონდ დომენიკოსაგან ის ოთხი დრაჰკანი მიეღო. იგი მორჩილად გაშიშვლდა და დაწვა. სულგანაბული ელოდა მამაკაცს. დომენიკოს ქალის საცოდაობამ თავზარი დასცა. იგი სათუთად, ნაზად ელერსებოდა როსას. ქალმა პირველად თავის სიცოცხლეში იგრძნო ადამიანური დამოკიდებულება. პირველად დაინახა, რომ იგი არ იყო ოდენ სხვისი ვნების დასაცხრობი ნივთი. როსას სამშვინველი მადლიერების გრძნობით აივსო.

დილით, როცა დომენიკოს გაეღვიძა, ქალი ლოგინში აღარ იწვა. „...მაგრამ მაგიდაზე ოთხი დრაჰკანი სხვაგვარად ეწყო — სიმაღლეზე, ერთიმეორეზე ელაგა, და უცებ, ელდანაცემი, სულ სხვა რაღაცას დააშტერდა — ოთხი დრაჰკანი ხომ იდო და იდო... და იქვე, კიდევ ორმოცი გროში."

დომენიკოსა და როსას შეხვედრა პაწია ეპიზოდია რომანში. მაგრამ კამორელი მეძავი, მისი საქციელის გამო, არ დაგავიწყდებათ. ეს საქციელი მკითხველს საშუალებას აძლევს როსას მთელი ცხოვრება წარმოიდგინოს, დაინახოს ის ჭიდილი, რომელიც როსკიპის სამშვინველში მიმდინარეობდა. მართალია, როსა ხორცით გახრწნილი იყო, მაგრამ სულით მას არ დაუკარგავს უბიწოება. თან იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ როსა კამორაში, ე. ი. ჯოჯოხეთში, ცხოვრობს, შეგვიძლია უმნიშვნელოვანესი დასკვნა გავაკეთოთ: ადამიანს ყოველგვარ პირობებში ძალუძს შეინარჩუნოს სულის სიწმინდე, თუ ეს მას სურს.

როგორც ხედავთ, კონკრეტული საქციელი არა მარტო პერსონაჟს ხატავს რელიეფურად, არამედ გზას უხსნის მკითხველის ფანტაზიასაც, აქტიურს ხდის მკითხველის გონებას. ამასთანავე, ემოციური ელდა საქციელში ძლიერია. ლამაზად აქვს აღწერილი გ. დოჩანაშვილს, როგორ უკრავდა ანა-მარია. ავტორთან ერთად, მკითხველიც ნასიამოვნებია და კმაყოფილი ამ აღწერით, მაგრამ უფრო შორს არ მივდივართ. როსას საქციელით კი ელდანაცემი არა მარტო დომენიკო დარჩა, არამედ მკითხველიც, რამეთუ მან მოულოდნელად აღმოაჩინა როსკიპის სამშვინველში სულიერება. ანა-მარიას სულიერებას ელდის დამცემი კონკრეტული საქციელი აკლია რომანში. რასაც ელდა აკლია, იმის მიმართ მკითხველი გულგრილია. ელდა დიდი ესთეტიკური ცნებაა და მას სერიოზული ყურადღების მიქცევა სჭირდება. აქვე უნდა უნდა ვთქვა, რომ საერთოდ ელდის პრობლემა ერთ-ერთი ძირითადი საკითხია დღევანდელი ქართული პროზისათვის. ჩვენს დღევანდელ პროზაში (თითო-ოროლა გამონაკლისს არ ვგულისხმობ) ამბავიც მდორედ, ერთფეროვნად მიედინება და პერსონაჟებიც თავისი უმოქმედობით ტყუპის ცალებივით ერთმანეთს ჰგვანან. მათ ელდის დამცემი თვისება არ გააჩნიათ.

ანა-მარიას მხრივ ელდის დამცემი საქციელის გამოვლენის აუცილებლობას ავტორიც კარგად გრძნობს. ამის თქმის საფუძველს იძლევა ანა-მარიას სიკვდილი. იგი მოულოდნელია და შემაძრწუნებელიც. მკითხველს ბუნებრივად უჩნდება კითხვა — რატომ მოჰკლეს ანა-მარია? ამის პასუხად შეიძლება გვითხრან: განა ყველაფერს ახსნა სჭირდება? განა ცოტაა ცხოვრებაში შემთხვევითობა? გონებაარეულ უგოს აკვიატებული ჰქონდა ვილაც მოეკლა. შემთხვევით იგი ანა-მარიას შეეჩეხა გზაზე და გიჟმა განუსჯელად ჩაიდინა ბოროტმოქმედება. ამგვარი პასუხი თითქოს ლოგიკურად გამოიყურება, მაგრამ ასე იოლად არ არის საქმე. უაზროდ და უმიზნოდ არც ცხოვრებაში კვდება ადამიანი და არც მხატვრულ ნაწარმოებში. ის სხვა საკითხია, რომ ცხოვრებაში კაცის სიკვდილის აზრსა და მიზანს ადამიანი ვერ წვდება, ვერ ხვდება და ვერ ამოუცვნია. ეს აზრი და მიზანი უზენაესმა იცის. მან უწყის, ვინც ადამიანი შექმნა. რაც ადამიანს უაზროდ და უმიზნოდ ეჩვენება, მას მკაფიო აზრი და მიზანი აქვს, ოღონდ, როგორც ითქვა, კაცთათვის მიუწვდომელი და შეუცნობელი. თუ ბუნებაში ასეა, მხატვრულ ნაწარმოებში ცოტა სხვანაირად არის. მხატვრულ ნაწარმოებში პერსონაჟის შემოქმედიც მწერალია და მისი მკვლელიც მწერალია. ამიტომ ავტორმა უწყის, რა მიზნით და რა აზრით ცოცხლობს მისგან შექმნილი პროტაგონისტი ან რა მიზნით და რა აზრით კვდება ან კლავენ მას. რაკი მწერალიცა და მკითხველიც ადამიანია, ეს აზრი და მიზანი საერთოდ გასაგებია,

ოლონდ ზოგჯერ პროცესი მკაფიოდ ვერ იხატება. ბუნდოვანება ხელს უშლის მკითხველს ყველაფერი ნათლად ამოიცნოს.

ცხადია, გურამ დოჩანაშვილმა იცის, რატომ მოჰკლა უგომ ანა-მარია, თუმცა, გულწრფელად უნდა ვთქვა, ჩემთვის ეს გაუგებარია. რა თქმა უნდა, ანა-მარიას მარტო იმისათვის არ ჰკლავენ, რომ ამით მკითხველს ელდა დაეცეს. გუმანით ვგრძნობ, რომ ამ მკვლელობას უფრო ღრმა შინაარსი აქვს. ამას ის გარემოებაც მაფიქრებინებს, რომ როცა ქუჩაში ანა-მარიას სიკვდილი უახლოვდება, ხოლო შინდარჩენილ, აწრიალებულ დომენიკოს ავის მომასწავებელი გრძნობა აწამებს, ავტორი პარალელურად გვახსენებს რესასა და წინამძღოლის სიკვდილს. მაშასადამე, რესას, წინამძღოლის და ანა-მარიას სიკვდილთა შორის რაღაც კავშირია. ამიტომ გავიხსენოთ, როგორ დაიხოცნენ რესა და წინამძღოლი.

რესამ ნანდუს ცოლი აცდუნა. ნანდუმ დომენიკოს მამასთან იჩივლა და სამართალი ითხოვა. რესამ უარყო, არავითარი კავშირი ნანდუს ცოლთან არა მქონიაო. ნანდუს კი თავის სიმართლის დამტკიცება არ შეეძლო. მაშინ დომენიკოს მამამ რესას სთხოვა, სალამურზე დაგვიკარიო. გახარებულმა რესამ სალამური ჯიბიდან ამოიღო და დაკვრას შეუდგა. თან მღეროდა. უცბად რესამ სოხანეზე ზღართანი მოადინა და სული განუტევა. გაოგნებული ნანდუ ირწმუნებოდა, არაფერ შუაში ვარო. დომენიკოს მამამ იგი დაამშვიდა და უთხრა, კვარი აიღე და მკვდარს დახედეო. ნანდუმ კვარი მიანათა მიცვალებულს და შეშინებულმა იყვირა — იირკოლა ჩი!.. პაწია, შხამიანი უხსენებელი სალამურში შემძვრალიყო და, როცა რესა უკრავდა, ტუჩებში ეკბინა.

რესამ დაარღვია მცნება — „არა გული გითქმიდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა“ და თან იცრუა. იგი დამნაშავეა და თავად ბუნებამ მიუზღო სამაგიერო. თვით ავტორი ამბობს, „ის (რესა — ა. ბ.) დამნაშავე იყო.“

სწორუპოვარი მეომარი იყო წინამძღოლი, უშიშარი და უდრეკი. მისი თავკაცობით სიმაგრე აიღეს მხედრებმა და ეზოში ორი ბერიკაცი ნახეს: ერთი სულ იღიმებოდა და გვერდით წყლით სავსე ტიკი ედგა. მეორე პირქუშად გამოიყურებოდა და სხვავივით იბღვირებოდა. წინამძღოლი ჯიქურ მისჩერებოდა მომღიმარ მოხუცს. შორიდან სიმღერა მოისმა და წინამძღოლმა იქით მიიხედა. ბერიკაცმა ტიკი აიღო და წყლის სმა დაიწყო. კაციშვილმა არ იცის, რა აზრმა გაუელვა თავში წინამძღოლს. იგი ანაზდად შემოტრიალდა, ხმალი იშიშვლა და მოხუცს თავი გააგდებინა. „ეს პირველი უდანაშაულო კაცი იყო, — დასძენს ავტორი, — წინამძღოლის ხელით მოკლული.“

წინამძღოლმა არ დაიცვა მცნება — „არა კაც ჰკლა“. ეს შეცდომა მან გააცნობიერა და არხებითად თავი მოიკლა. იგი ნიღბაფარებული დაიღუპა საკუთარ მეომრებთან ბრძოლაში. წინამძღოლიც მცნების დარღვევისათვის იყო დამნაშავე. ეს მკაფიოდ არის ნათქვამი რომანში.

რაკი ავტორმა ეს ორი სიკვდილი გაგვახსენა ანა-მარიას მკვლელობის წინ, ბუნებრივად ჩნდება სურვილი მოინახოს ამ ქალის დანაშაულიც მაგრამ იგი „სამოსელ პირველში“ არ არსებობს. პირიქით, თუ ვინმე უმწიკვლო და უდანაშაულოა, ეს ანა-მარიაა. მაშინ რატომ გვახსენებს მწერალი ანა-მარიას მკვლელობის პარალელურად რესასა და წინამძღოლის სიკვდილს? ამის პასუხი მე ვერ მოვძებნე.

ანა-მარიას მკვლელობის აზრის ამოკითხვა იმიტომაც მიმაჩნია აუცილებლად, რომ გავიგოთ და ამოვიცნოთ, რას ვერ მიწვდა დომენიკო? რას განასახიერებდა ანა-მარია? მკითხველმა ხომ იცის, რომ მკვდარ ანა-მარიასაც ვერ ჩაწვდა დომენიკო, რომანში წერია: როცა დომენიკომ მოკლულ ქალს დახედა, იგი გაშრა — „სულ სხვისა იყო!“

რა ვერ გაითავისა დომენიკომ?

შევეცდები ამ კითხვას ჩემებურად ვუპასუხო. შეიძლება იგი ავტორმა გაიზიაროს, შეიძლება — არა. მაგრამ ეს პასუხი რომანის წაკითხვით დაიბადა და საგანგებოდ არ გამომიგონია.

ჩვენ ხშირად ვიმეორებთ იოანე მოციქულის სიტყვებს — „ღმერთი სიყვარული არს“ (ეპისტოლე პირველი, 4,8), მაგრამ იშვიათად ვეკითხებით თავისთავს — როგორი სიყვარული. ქრისტიანული რელიგიის კონცეფციით, სიყვარული ორგვარია: სიყვარული-აგაპე და სიყვარული-ეროსი. სიყვარული-აგაპე გულისხმობს ზეციერ სიყვარულს, ხოლო სიყვარული-ეროსი — მიწიერს.

ადამიანს არავინართმევს ეროსი-სიყვარულის უფლებას, მაგრამ არსებობის მიზნის შესაცნობად ეს უკმარია. ადამიანი აუცილებლად უნდა მიწვდეს და ეზიაროს აგაპე-სიყვარულს.

ანა-მარიას უყვარდა დომენიკო (სიყვარული-ეროსი), მაგრამ მისი სამშვინველი სავსე იყო სიყვარული-აგაპეთიც. დომენიკო კი მხოლოდ ანა-მარიას სიყვარულს (სიყვარულ—ეროსს) ფლობდა. მისი სამშვინველი ჯერ არ იყო ნაზიარები სიყვარულ-აგაპეს. ამიტომ დომენიკოს სიყვარული ნაკლული იყო. ამიტომ ეჩვენებოდა მას ანა-მარია მაინც სხვისად. მხოლოდ ანა-მარიას სიკვდილის შემდეგ გააცნობიერა დომენიკომ, რა აკლდა, რით სჯობნიდა ქალი მას, როგორ შეიძლებოდა მისი სამშვინველი სულად გარდაქმნილიყო და ამაღლებულიყო.

როცა ამას ვამბობ, იმასაც ვფიქრობ — იქნებ დომნიკოს ცნობიერების გაღვიძებაა ანა-მარიას სიკვდილის აზრი? მოყვასის სიკვდილი უდიდესი და უმძიმესი ტანჯვაა. ტანჯვა კი აფხიზლებს ადამიანის დაძინებულ გონებას.

ამასთანავე მკითხველისათვის კარგად ცნობილია, რომ ანა-მარიას სიკვდილის მერე გადაწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწერია დომენიკომ კამორაში ანუ ბოროტებისა და ტანჯვის ქალაქში წასვლა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გვემით სურს დომენიკოს გაიწმინდოს სამშვინველი და შეიძინოს უნარი ეზიაროს ამაღლებულს.

ამ ამაღლებულის კონკრეტული შინაარსი გვაინტერესებს, რისი მიგნებაც, სამწუხაროდ, რომანში ჭირს.

საერთოდ და ზოგადად შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ანა-მარია ანუ მშვენიერება მოჰკლა ფილისტერულმა საზოგადოებამ.

ლამაზ-ქალაქი, სადაც დომენიკო და ანა-მარია შეხვდნენ ერთმანეთს, ფილისტერობის განსახიერებაა. ფილისტერულ საზოგადოებაში კი ყველაფერი ცრუ და არანამდვილია — სიყვარულიც, მეგობრობაც, მტრობაც, განათლებაც, კულტურაც...

რიოში და ყალბია კონჩეტინა, სიყვარულის მაძიებელი ქალი, რომელიც ბოლოს დებილ კუმეოს მისთხოვდა. კონჩეტინა უშუალობის ტრფიალი ყოფილა. ეს თვისება კი გონებასუსტ მამაკაცში აღმოაჩინა.

რიოში და ყალბია მამიდა არიადნაც, რომელსაც ისეთი დახვეწილ ადამიანად მოაქვს თავი, რომ ყოველგვარი წვრილმანის გამო გული უღონდება. მთელი სიცოცხლე იგი ვიღაც ვასკოს მისტირის, რომელიც მამაკაცურობის იდეალად წარმოუდგენია. მართალია, ეს ვასკო რომანში უშუალოდ არ მოქმედებს, მას მხოლოდ არიადნას გახსენებებით ვიცნობთ, მაგრამ „სამოსელ პირველში“ იგი იმდენად ცოცხლად იხატება, რომ მკითხველი ზედმიწევნით იცნობს მას. ჩანს, რომ ვასკოც ისეთივე დებილი იყო, როგორიც კუმეოა.

რიოში და ყალბია არტურო, ვინც ვითომ სტუმართმოყვრულად შეიფარებს დომენიკოს, ნამდვილად კი ატყუებს და ტყავს აძრობს სოფლელ ბიჭს.

რიოში და ყალბია კეთილშობილი პიროვნების ნიღბის მატარებელი დუილიო, სულ მაღალ მატერიებზე რომ მსჯელობს და საჩუქრად იის კონები დააქვს. გულით კი იგი დიქტატურას ეთაყვანება და სხვათა დამონებაზე ოცნებობს.

რიოში და ყალბია ტულიო. იგი დრამკანების გამო მეგობრობს დომენიკოს. მის ხარჯზე ქეიფობს და ერთობა.

ერთი სიტყვით, ლამაზ-ქალაქი სიცრუით და თვალთმაქცობით სავსე სამყაროა. ამ ქალაქში ნამდვილი მხოლოდ დომენიკო, ანა-მარია, გიჟი უგო და ალექსანდროა.

„სამოსელ პირველში“ სიცრუის, სიყალბის, თვალთმაქცობის დახავსებული ატმოსფერო დამაჯერებლად და მკაფიოდ არის დახატული. ამ გარემოში ვერაფერი ნამდვილი ვერ გაძლებს. ვერც გაძლო. ანა-მარია დაიღუპა. დომენიკომ ლამაზ-ქალაქი მიატოვა და კამორაში გაემგზავრა. უგო გიჟია და მისთვის სულერთია, სად დალევს სიცოცხლის დღეებს. ალექსანდრო კი წინასწარ გამიზნული მისიით ცხოვრობს ლამაზ-ქალაქში. მას ამ ფილისტერული საზოგადოების გარდაქმნა უნდა. მართალია, მკითხველმა არ იცის, რით დასრულდება ალექსანდროს საქმიანობა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ამ პერსონაჟისადმი ავტორის ირონიულ დამოკიდებულებას, უნდა ვიფიქროთ, რომ მისი მისია დასამარცხებლად არის განწირული.

რაკი დომენიკო ცხოვრების აზრისა და დანიშნულების შესაცნობად მოგზაურობდა, მან პირველი გაკვეთილი ლამაზ-ქალაქში ანუ ფილისტერულ საზოგადოებაში მიიღო. ამ გაკვეთილის თანახმად, ყველაფერი ამაღლებული და მშვენიერი განწირულია დასაღუპავად (ანა-მარიას მკვლელობა), ხოლო ყველაფერი ფილისტერული, მეშჩანური და ობივატელური (არიადნა, კონჩეტინა, კუმეო, დუილიო, ტულიო, არტურო და სხვანი) არხეინად და თავისუფლად არსებობს, შესანიშნავად ეგუება და ეთვისება გარემოს, მას არაფერი ემუქრება.

დომენიკომ მეორე გაკვეთილიც უნდა მიიღოს. იგი ტოვებს ლამაზ — ქალაქს და ტანჯვის სამყაროში ანუ კამორაში მიემგზავრება.

კამორას არსს ყველაზე ნათლად გამოხატავს შიშველი მოანგარიშე ანისეტო. კამორაში არსებობის საფუძველი სრული უნდობლობაა. ანისეტომ დიქტატორ ბეტანკურის ფულები რომ არ მიითვისოს, თხემით ტერფამდე ტიტველი და თავგადაპარსული მუშაობს. ეს ძალიან რელიეფური და გამოკვეთილად ნათელი სახე-სიმბოლოა. ოღონდ, როგორც ჩანს, ავტორი არ ენდო მკითხველს და განმარტა, რატომ არის ანისეტო შიშველი: „ალბათ ისიც არ იცი, მოანგარიშე შიშვლად რადა დგას — ფული რომ არ ჩაიცუროს სადმე.“ ეს განმარტება არ არის საჭირო. უამისოდაც ყველაფერი ნათელია. საერთოდ, „სამოსელ პირველში“ განმარტებებს ხშირად წაიკითხავთ. გავიხსენოთ თუნდაც დონ დიეგოს თვითმკვლელობა. მას მერე რაც დონ დიეგომ მარშალი ბეტანკური მოჰკლა, მისი თვითმკვლელობა შინაგან დამაჯერებელ მოტივს მოკლებულია. ამიტომ ავტორი განმარტავს: „ეს თვითმკვლელობა არ იყო, ეს — ძმათა ხათრით სიკვდილი გახლდათ.“ ამგვარი განმარტებანი კი იმის საბუთია, რომ გ. დოჩანაშვილი ან მკითხველს არ ენდობა ბოლომდე ან თავისთავს. მწერალი კი ორივეს — თავისთავსაც და მკითხველსაც — უნდა გულღიად ენდოს. ისიც უნდა სჯეროდეს, რომ მან სურათი ზუსტად დახატა და ისიც, რომ ნათქვამი არ დარჩება მკითხველისათვის გაუგებარი. განმარტება პუბლიკუმსა და მხატვრულ ნაწარმოებს შორის ემოციურ კავშირს აცივებს, რამეთუ იგი მკითხველს ართმევს მხატვრული სახის ამოცნობის სიხარულს.

კამორა სამყაროა, სადაც ადამიანთა შორის ნდობა სრული უნდობლობით ვლინდება. მარტო ეს საკმაოა იმის წარმოსადგენად, როგორ ჯოჯოხეთში მოხვდა დომენიკო. მაგრამ მკითხველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დომენიკოს კამორაში ყოფნას შიშით არ უყურებს. მან წინასწარ იცის, რომ ბოროტების ქალაქში მას ალექსანდროს ძმა დაიცავს.

„სამოსელ პირველში" გამოყვანილია ორი ძმა — ალექსანდრო და მიჩინო. ორივე კეთილისათვის იბრძვის, ალექსანდრო — ლამაზ ქალაქში, მიჩინო — კამორაში. ალექსანდრო ქადაგებით ცდილობს ადამიანს მოყვასისადმი სიყვარული ჩაუნერგოს, მიჩინო კი კონკრეტული საქმით აპირებს დაეხმაროს გაჭირვებულს. ალექსანდროს ლამაზ-ქალაქი ირონიულად უყურებს. არავის სჯერა მისი. რა თქმა უნდა, ფილისტერული სამყარო სხვაგვარად ვერ შეხედავდა ალექსანდროს. მაგრამ აქ გარკვეული დოზით დარღვეულია წონასწორობა. ალექსანდროსადმი ავტორისა და ლამაზ-ქალაქის საზოგადოების დამოკიდებულება ერთნაირია. საქმე ის გახლავთ, რომ მკითხველი ჯერ გუმანით და მერე ერთადერთი საქციელით ხვდება ალექსანდროს განსხვავებას ლამაზ ქალაქელთაგან. ამ საქციელს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ალექსანდროს პიროვნების შესაცნობად. როცა დომენიკომ კამორაში წასვლა გადაწყვიტა, გადაჭრილ ხესთან, მიწაში დამალული ფული ალექსანდრომ მოუტანა მას.

„— აი, შენ დრაჭკანები მოგიტანე...

— და თქვენ... იცოდით?

— რაღა თქმა უნდა.

— და არ აიღეთ?

— მგლოვიარედ რომ არ ვიყო, სილას გაგაწნავდი, — უთხრა ალექსანდრომ, — რანაირიღა შეურაცხყოფა არ მიმიღია, მაგრამ ასეთი? არასოდეს, არა..."

დომენიკომ ვერც კი წარმოიდგინა პატიოსნება, რომელმაც იცოდა, სად იყო ფული გადამალული და არაფერი აიღო.

ამ საქციელით მჟღავნდება ალექსანდროს უანგარო ბუნება. მაგრამ ავტორს ეს უანგარო კაცი ისეთივე ირონიით ჰყავს წარმოდგენილი, როგორც სხვანი, ვისაც არავითარი ღირსება არ გააჩნია. აუცილებელია ალექსანდროსადმი ავტორისა და ლამაზ-ქალაქელთა დამოკიდებულების ნიუანსური განსხვავება. მთელი რომანი რომ ირონიულ ხასიათს ატარებდეს, მაშინ შეიძლება ეს განსხვავება აუცილებელი არ ყოფილიყო. მაგრამ ასე არ არის. რომანის ბევრი ადგილი პათეტიკური ინტონაციით არის დაწერილი. განსაკუთრებით ის ნაწილი, რომელიც ანა-მარიასა და კანუდოსელებს ეხება. თუ ავტორი არ არის ირონიული მშვენიერების (ე. ი. ანა-მარიას) და თავისუფლების (ე. ი. კანუდოსელების) მიმართ, რატომღა ავლენს ირონიას უანგარობისადმი (ალექსანდროსადმი)? განა უანგარობა ისეთივე მაღალი ნიჭი არ არის, როგორც მშვენიერება და თავისუფლება? ცხადია, ასეა და ამიტომ არის აუცილებელი წონასწორობის დაცვა.

რა თქმა უნდა, ირონია ყოველთვის არ გულისხმობს უარყოფით დამოკიდებულებას, პირიქით, ზოგჯერ ირონიით სიყვარული იხატება. მაგრამ ეს მაშინ ხდება, როცა ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოების საერთო, მთლიანი განწყობილებაა ირონია. „სამოსელ პირველში" კი განწყობილება ცვალებადია. ირონიას ენაცვლება სატირა, სატირას — პათეტიკა. ამგვარი ცვალებადი განწყობილების სიტუაციაში ირონია მხოლოდ უარყოფითი შინაარსით აღიქმება. ამიტომ ვამბობ, რომ ალექსანდროსადმი დამოკიდებულებას მეტი ნიუანსირება სჭირდებოდა-მეთქი, თორემ, როცა „სიყვარულის კაქტუსზეა" ლაპარაკი მკაფიოდ ჩანს ორგვარი დამოკიდებულება — ირონიაც და სიმპატიაც ალექსანდროს მიმართ. მაგრამ ეს ცალკეული შემთხვევა ვერ აბათილებს საერთო შთაბეჭდილებას.

უნდა აღვნიშნო ისიც, რომ თავად სიმბოლო — სიყვარულის კაქტუსი — ირონიული პროზისათვის კარგად მიგნებულ ხატად მიმაჩნია. მართალია, კაქტუსი თითქოს გონჯი და ეკლიანი მცენარეა, მაგრამ უნაზესი და ულამაზესი ყვავილები აქვს. აყვავებული კაქტუსის ბაღი უმშვენიერესი სანახაობაა.

ალექსანდროსადმი ნიუანსურად მრავალფეროვანი დამოკიდებულების აუცილებლობა სამი გარემოების გამოც არსებობს.

ჯერ ერთი, ალექსანდრო თვითონ ამბობს — „... საჭიროებისდამიხედვით აყრანტალებული და დასაცინი ვარ — ასეა ამ ქალაქში საჭირო."

რატომ?

მეორეც, როცა დომენიკო მშობლიურ სოფლიდან ლამაზ-ქალაქში მოდიოდა, კოჭლმა მონამ გამოაცილა. განშორებისას გამცილებელმა სილა გააწნა და თან ბოდიში მოუხადა — „რა ვქნა, ჯერ არავისთვის გამირტყია, მაგრამ... — მორცხვად თქვა თავდახრილმა კოჭლმა, — ასე მიბრძანა იმან" (დომენიკოს მამამ — ა. ბ.). ლამაზ-ქალაქიდან კამორაში დომენიკო ალექსანდრომ გააცილა. ახლაც გამოთხოვებისას ალექსანდრომ დომენიკოს ალიყური აჭამა და თან პატიება ითხოვა — „ასე იყო საჭირო... მაპატიე."

რა კავშირია დომენიკოს მამას, კოჭლ მონასა და ალექსანდროს შორის?

პერსონაჟთა შორის ამგვარი საიდუმლო კავშირი სხვაგანაც არის რომანში მითითებული. მაგალითად, ლამაზ-ქალაქელი არიადნა გამუდმებით ახსენებს ვიღაც ვასკოს, რომელიც ნამდვილ მამაკაცად მიაჩნია. მერე კი კამორაში პოლკოვნიკი სეზარი შესჩივლებს სუზის გამო დომენიკოს: „ქმრის შემდეგ შენს გარდა არავისთან ვყოფილვარო, მიმტკიცებს, მეფიცება... მაგრამ ეს როგორ დავუჯერო, რადგან იმ დროს... ლოგინში, საწოლში რაღა, ეშხში რომ შევა, სულ კვნესა-კვნესით გაიძახის — ოპოპოოო, ვასკო..."

არიადნასა და სუზის შორის რა კავშირია?

ამ კავშირების ძიებას გვაიძულებს რომანის ალეგორიული ხასიათი.

მესამეც, ვინ უფრო სწორად და მართლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემსახურება კეთილს ალექსანდრო თუ მისი ძმა მიჩინო?

ამ კითხვების პასუხი ჭირს, რადგან ალექსანდროს სახის მრავალპლანიანობა სრულად და ბოლომდე არ არის დახატული.

ალექსანდროს ძმამ მიჩინომ ბავშვობაში უნებლიეთ დანაშაული ჩაიდინა. დედის დაცვის დროს მამინაცვალი შემოაკვდა და თერთმეტი წლის ბიჭი მკვლელის სახელით დაიდაღა. მერე იგი, დავაჟკაცებული, კამორაში ცხოვრობდა. აქ, რაკი კეთილის ქმნა აშკარად და ღიად არ შეეძლო, მოჩვენებითად ბოროტების სამსახურში იდგა. მიჩინოს უნდოდა ემოქმედა დევიზით — „თუკი სიკეთის მთესველი ვარ, ბოროტება უნდა მოვსპო“. ამას თავად ამბობს. ამის გამგონე მკითხველს პრინციპული კითხვა ებადება: შეუძლია კი ბოროტების სამსახურში მყოფ ადამიანს, თუნდაც უალრესად შენიღბულს, კეთილი საქმის კეთება? შეიძლება ჩემი პასუხი ერთობ სუბიექტურად მიიჩნიოთ, მაგრამ მტკიცედ მჯერა, რომ არ ძალუძს. ამიტომ მიჩინო და ყველა, ვინც მისებრ თვლის, რომ ბოროტის ნიღბით კეთილს გავაკეთებო, თავისთავსაც ატყუებს და სხვასაც.

უფრო გამოწვლილვით შევეხოთ ამ პრობლემას.

ძნელად დასაჯერებელია, რომ კაცი, რომელიც უპირველესი და უსასტიკესი ჯალათის მოვალეობას ასრულებს, შეინარჩუნებდა უნარს ეცხოვრა დევიზით — „დედამიწას სიყვარული ატრიალებს“ — და ამას პრაქტიკულადაც ახორციელებდეს?

პირველი, რაც ამ კაცმა უნდა გააკეთოს, არის ბატონის ნდობის დამსახურება. მიჩინოს უნდა დაემსახურებინა ბეტანკურის ნდობა. მაგრამ როდის და როგორ გენდობიან დიქტატურის დროს? ეს გარემო და პირობები ზუსტად და დამაჯერებლად არის აღწერილი „სამოსელ პირველში“.

გენდობიან მაშინ, თუ მოანგარიშე ანისეტოსაებრ შიშველ-ტიტველი ხარ. დარწმუნებული არიან, რომ ვერაფერს მოიპარავ.

გენდობიან მაშინ, თუ მონა ხარ და ლაქია მწატვარ გრეგ რიკოსავით ვისაც ბეტანკური როგორც მოისურვებს, ისე ამასხარავებს. მოუნდება ბეტანკურს და გრეგ რიკო ხალხის თვალში გოროზი, ქედმაღალი, უნიჭიერესი შემოქმედია. ინებებს დიქტატორი და თხილის გულს გადაუგდებს, მუხლებზე დაჩოქილ გრეგ რიკოს იატაკზე ახოხებს და ტახტის ქვეშ აძებნინებს. გენდობიან, თუ გრეგ რიკოსაებრ მორჩილად შეასრიულებ დიქტატორის ყველა ბრძანებას.

გენდობიან მაშინ, თუ ბოროტმოქმედი ხარ პოლკოვნიკ სეზარივით ან ზედამხედველ ნავოლესავით.

გენდობიან მაშინ, თუ ეჭვმიუტანლად გჯერა, „ექვსჯერ სამი შვიდია!“

სხვაგვარად არავინ გენდობა და არც ვინმეს სჭირდები. ამგვარ სიტუაციაში როგორ მოახერხებდა მიჩინო კეთილის სამსახურს? თუ იგი თავზე ლაფს არ დაისხამდა, ვერ ჩადგებოდა ბეტანკურის ამსახურში, ვერ მოიპოვებდა მის ნდობას. მაშასადამე, მას ჯერ ბოროტება უნდა ჩაედინა, ნდობით აღჭურვილიყო და ამის მერე ისევ დაეწყო კეთილის სამსახური. მაგრამ ვისღა გამოადგება, კეთილის თვალსაზრისით, ბოროტების ლაფში ამოვლებული კაცი?

მართალია, მიჩინომ დომენიკო გადაარჩინა, მაგრამ კანუდოსის საშველად ვერაფერი იღონა. პირიქით, თავი იმართლა, მანუელო კოსტას იმიტომ ვერ დავეხმარე, რომ მაშინ შენ ვერ გიხსნიდიო. რა გამოდის, ერთის მიმართ სიკეთე რომ ჩაედინა, მეორე უნდა გაეწირა. მაშასადამე, იწყება სიკეთით ვაჭრობა, რაც, ცხადია, კეთილთან ვერ იქნება დაკავშირებული.

ამიტომ, თუ მართალია და დამაჯერებელი დიქტატურის ატმოსფერო კამორაში, ძნელად სარწმუნოა მიჩინოს სიკეთე.

მიჩინო დიდი შეცდომის მსხვერპლია.

ვისაც კეთილის სამსახური სურს, იგი სრულად უნდა გაემიჯნოს ბოროტს და ისე მოიქცეს, როგორც ძველი სიბრძნე ამბობს: განყიდენ სამოსელი და იყიდენ მახვილი.

კითხვა, რომელიც მკითხველს აწუხებს, გაუჩნდა დომენიკოსაც: „სიკეთე თუ ხართ, იქ, იმ ქალაქში... რა გაძლებინებთ?“ ამის პასუხად მიჩინომ დომენიკოს უამბო:

ფანჯრებდახშული ეტლით თვრამეტი ავაზაკი მგზავრობდა. ამ ეტლში იჯდა მიჩინოც და კიდევ ერთი უცნობი მგზავრი. ალექსანდროს ძმამ გადაწყვიტა, დაეხოცა ავაზაკები. იგი ჩუმად კოფოზე აცოცდა და მრავალცხენიანი ეტლი თავად წაიყვანა. მიჩინო თავგამეტებული მიერეკებოდა ცხენებს. უნდოდა უფსკრულში გადაეჩეხა ეტლი ავაზაკებიანად. თავისთავზეც აღარ ფიქრობდა. მაგრამ უეცრად გაახსენდა უცნობი მგზავრი, უდანაშაულო კაცი, რომელიც ავაზაკების გამო უნდა დაღუპულიყო. მაშინ მიჩინომ დაასკვნა, უმჯობესია ეს ერთი უდანაშაულო კაცი გადარჩეს, ვიდრე დაიღუპოს იგი თვრამეტ ავაზაკთან ერთად. მან აღარ გადაჩეხა ეტლი უფსკრულში. ასე იხსნა უნებლიეთ უცნობმა თვრამეტი ავაზაკი სიკვდილისაგან.

მართალია, საინტერესოა მიჩინოს დამოკიდებულება კეთილისა და ბოროტისადმი, მაგრამ ის, რაც მან დომენიკოს უამბო, ზემორე ციტირებული კითხვის პასუხი არ არის.

დომენიკოს არ უკითხავს, რა სჯობსჩ თვრამეტ დამნაშავესთან ერთად ერთი უდანაშაულოც განადგურდეს თუ ერთ უდანაშაულოსთან ერთად თვრამეტი დამნაშავეც გადარჩეს? ამის პასუხი დიდი ხანია არსებობს და მას იზიარებს კეთილშობილი კაცობრიობა. ძველი რომაული სამართალი სამართლიანობის ძირითად პრინციპად აღიარებდა: უკეთესია ათი დამნაშავე გაა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლო, ვიდრე ერთი უდანაშაულო დახჯოო.

დომენიკოს სხვა რამ აინტერესებს: სიკეთე როგორ ძლებს ბოროტების გარემოცვაში. ამის პასუხი კი მიჩინიომ ვერ მოძებნა. ვერც მოძებნიდა, რამეთუ კეთილის ქმნისათვის აუცილებელია თავისუფლება. სადაც არ არის თავისუფლება, არ არის კეთილიც. კამორაში განადგურებულია თავისუფლება და, მაშასადამე, მომსპარია კეთილიც. არც მიჩინიოა თავისუფალი კაცი, რადგან იგი ნიღაბს ატარებს. ნიღაბი თავისუფლების დამონების ფორმაა და, ამდენად, ყოველი ნიღბისმატარებელი ადამიანიც მონაა. მიჩინიოც მონაა და, ბუნებრივია, მას არ შეეძლო კეთილის კეთება. ის, რომ მან დომენიკო გადაარჩინა, კარგი საქმეა. მაგრამ კარგი საქმე და კეთილი ერთი და იგივე არ არის. კარგი საქმე კონკრეტული შინაარსის მატარებელია. კეთილი კი, ყოვლისმომცველი უნივერსალური მოვლენაა.

კეთილისათვის კანუდოსელები იბრძვიან. მათ იციან თავისუფლებისა და კეთილის დასამკვიდრებლად აუცილებელია ბრძოლა, თავგანწირვა, მსხვერპლი. ისინი ასეც იქცევიან. მათი დამარცხება არ იწვევს სასოწარკვეთილებას. მთავარია ის, რომ ბოროტების წიაღში იბადება თავისუფლებისა და კეთილის სული, რომელიც უკვდავია და რომელიც სხვა თაობებს გადაეცემა. კანუდოსელთა ახალი თაობა მოიპოვებს იმას, რასაც ძველმა თაობამ ვერ მიაღწია.

მიჩინიოსაგან განსხვავებით, დომენიკომ კანუდოსიც იხილა და კანუდოსელებთან ერთად იცხოვრა და იბრძოლა. მან ჯოჯოხეთიც განვლო, სალხინებელიც და სამოთხეც. ამიტომ მისი დასკვნა უფრო ღრმა უნდა იყოს, ვიდრე მიჩინიოსია. სწორია, დედამიწას სიყვარული ატრიალებს, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ მას დაცვა—პატრონობა სჭირდება. დაცვა და პატრონობა კი იმას ხელეწიფების, ვისაც არა მარტო კათარსისგავლილი სულის სიმბოლო დიდი ამეთვისტო ჰკიდია, არამედ ის მახვილიც, რომელსაც სამოსლის გაყიდვით შეიძენს კაცი. რატომღაც დომენიკოს ეს მახვილი არ უმშვენებს წელს თუმცა ვინც სამოსელს ჰყიდის, მან მახვილი უნდა იყიდოს. ამას ითხოვს ლოგიკა. დომენიკომ სწორედ სამოსელის გაყიდვის გზით შეიცნო ცხოვრება. შესაძლებელია, ეს იმან გამოიწვია, რომ გ. დოჩანაშვილი მახვილის აუცილებლობის აზრს იზიარებს.

გ. დოჩანაშვილი ცამდე მართალია, როცა ფილისტერულ საზოგადოებას და დიქტატორულ სამყაროს წარმოგვიდგენს ერთფეროვნად, მოსაწყენად და თავმომაბეზრებლად. ავტორი ლამაზ-ქალაქში და კამორაში არსებული ატმოსფეროს ზუსტი აღწერით დამაჯერებლად გვეუბნება, რომ დიქტატურისა და ფილისტერობის (მათ შორის კი ურღვევი კავშირია) უპირველესი საშინელება ის არის, რომ ადამიანში ჰკლავს მრავალფეროვნების, ნაირნაირობის სიყვარულს. ყველაფერს აერთფეროვნებს და ადამიანს ამსგავსებს დასაქოქ თოჯინას, რომელიც წინასწარდამუშავებული პროგრაგრამის შესაბამისად ცხოვრობს და მოქმედებს. დიქტატურა ყველას პროკრუსტეს სარეცლით ათანასწორებს. ეს კი თავისთავად ცხადია იწვევს ადამიანში ადამიანურის სიკვდილს. აქ ავტორთან სადავო არაფერია. მაგრამ ზოგჯერ ერთფეროვანი ატმოსფეროს და ერთფეროვანი ადამიანების დასახატავად გამოყენებულია ერთფეროვანი ხერხები და საშუალებანი. ეს კი საკამათოა.

მაგალითად, ლამაზ-ქალაქელთა შორის ყველას რაღაც აქვს აკვიატებული.

კონჩეტინას ჰგონია, რომ იგი ვიღაცას უყვარს („მე მგონი, ვინსენტეს ვუყვარვარ...“, „ანტონიოსაც ვუყვარვარ...“, „მე მგონი, იმ მდიდარ სულელსაც... ჰო, დომენიკოს... მგონი, იმასაც ვუყვარვარ...“)

მამიდა არიადნა წამდაუწუმ ნამდვილ მამაკაცს ვასკოს იხსენებს.

დუილიო ხშირად იმეორებს — „წყაროდან ჰიქას ნუ წამოიღებ.“

კუმეო ყველას ეჩიჩინება, მოდით ვიმეგობროთ.

უგო გიუს კი ამოჩემებული აქვს — „დავკლავ, დავკლავ კამოჩული დანით“...

და ასე შემდეგ.

კამორაში ბეტანკურს ქრთამს ასე აძლევენ: ნაირნაირი ხელობის კაცნი მოდიან დიქტატორთან და ეუბნებიან — „ჰალაში გახლდით სწორუპოვარო, თქვენს მაღალ თანამეცხედრეს ბეჭედი რომ დაუკარგავს ის ადგილები მოვიარე... და ვინც ეძებს, მოგეხსენებათ, ჰპოვებს კიდეც და... ეს ხომ არ არის?“ ბეტანკური ალმასისთვლიან ბეჭედს შეათამაშებს ხელში და დაუდასტურებს, ეს არისო. ბეჭედი დიქტატორის სალაროში მიდის. ერთხელ ამგვარი ხერხით ქრთამის მიცემა ეფექტურია და შთაბეჭდილებას ახდენს. იმ პიროვნებასაც ეცნობა მკითხველი, ვინც გასცა ქრთამი. მაგრამ, როცა იგი მეორდება და მეორდება (დიდვაჭარი არტემიო, ლამაზ გენერალი, ხორხე, მთავარი პროკურორი, პორფირიო და სხვანი), მაშინ უკვე ტავტოლოგიურ ხასიათს იღებს, მხატვრული ხერხი უფერულდება და კარგავს თავდაპირველ მოხდენილობას.

ტავტოლოგიურია პერსონაჟთა სამეტყველო ენაში ეს ელემენტიც:

კონჩეტინა კუმეოს — „ცუნცულ, გიყვარვარ?“

სეზარი სუზანას — „რატომ, ჭუკიჭუკ?“

ცოლი ჟოაო აბადოს — „არ მოგენატრე, ჰა, პუმპურიკა?“

„არისტოკრატი“ ქალი დომენიკოს — „არ მოგწონვარ, არა?!.. დაა, პინკურიკა?“

როსკიპი დომენიკოს — „ძალიან გაგახარებ, ცინცრიკ!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიმე ერთი პერსონაჟის სამეტყველო ენის დასახასიათებლად ეს ხერხი მისაღებია და კარგი, მაგრამ ამ საშუალებით არ მოხერხდება რამდენიმე, თან სხვადასხვა მდგომარეობის და თვისების ადამიანთა მეტყველების თავისებურების გამოვლენა.

ზოგჯერ ავტორის მეტყველებაშიც იჩენს თავს ერთნაირობა. როცა როზინაზეა ლაპარაკი რამდენჯერმე მეორდება — „აი, ის, ქალაში რომ იყო". მართალია, გ. დოჩანაშვილი თავად შენიშნავს — „არ გავუქიროვეთ საქმე ამ ერთ ქალაში ყოფნით?. — მაგრამ ეს შენიშვნა ვერ ამართლებს ხერხს, რამეთუ იგი მარტო როზინას მიმართ არ გამოიყენება. იგივე მეორდება მაშინაც, როცა უსახელო პერსონაჟზე მიმდინარეობს საუბარი. ამ პერსონაჟს ვიცნობთ კაცად, ვინც არ იცოდა გრამატიკა. ეს ფრაზა, სხვადასხვა ვარიაციით, ბევრჯერ გვხვდება: „...წარმოთქვა გრამატიკის ცუდად მცოდნემ...", „...კაცი, რომელიც გრამატიკით ვერ დაიკვეხნიდა...", „კაცმა, რომელმაც რიგიანად ვერ იცოდა გრამატიკა..."

მართალია, ეს ავტორს ირონიული განწყობილების შესაქმნელად სჭირდება, მაგრამ ხერხი ყოველთვის სათანადო ეფექტურ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს. მით უმეტეს, რომ გ. დოჩანაშვილს ასეთ საშუალებათა გარეშეც ოსტატურად ეხერხება ირონიული ატმოსფეროს შექმნა. რასაც ნათლად ადასტურებს როგორც ლამაზქალაქში, ისე კამორაში დახატული განწყობილება. ამასთანავე ავტორს გამეორება გამოყენებული აქვს როგორც ლაიტმოტივი. თუ ლამაზქალაქში მეორდება — „ჩვენ ყველას გვაქვს ჩვენი ქალაქი...", კანუდოსში განმეორდება — „ჩვენ ყველას გვაქვს ჩვენი მდინარე..." ლაიტმოტივი გარკვეული აზრობრივი ფუნქციის მატარებელია, ტავტოლოგია კი — არა. ამიტომ მათი ერთად არსებობა და გაუმიჯნაობა ხელის შემშლელია მკითხველისათვის.

რაც ზემოთ მოგახსენეთ, თითქოს მეორეხარისხოვანი შენიშვნაა, მაგრამ ნურც ასე უბრალოდ მივიჩნევთ მას. საქმე ის გახლავთ, რომ ერთფეროვნება, რომელიც ლამაზ-ქალაქსა და კამორაში ზუსტ ატმოსფეროს ქმნის, კანუდოსშიც გადმოვიდა. ეს კი სასურველი არ არის. თავისუფლების ერთ-ერთი უპირველესი ღირებულება ისიც არის, რომ იგი იძლევა პიროვნული თუ საზოგადოებრივი მრავალფეროვნების გამოვლენის საშუალებას.

გ. დოჩანაშვილმა დამაჯერებლად დახატა, როგორ კარგავს ცნებები მნიშვნელობას და აზრს დიქტატურის პირობებში. როგორ შეიძლება უნდობლობა პატიოსნებად მოინათლოს (შიშველი ანისეტოს სახე), მონობა — თავისუფლებად (მხატვარ ოგერ რიკიოს ხატი), როგორ ეხმარება უნებლიეთ პატიოსნება არამზადობას (მწყემსი აველინო), უნებურად მამაცობა სილაჩრედ როგორ იქცევა (ზე მორეირა) და ასე შემდეგ. თავისუფლება ყველა ღირებულებ[illegible] შინაარსს, ნამდვილ აზრს აღადგენს და ადამიანი უნილბო არსებობას იწყებს. ეს ცვლილება არ არის დახატული კანუდოსში. მართალია, იქ ადამიანები ავლენენ ერთგულებას, თავდადებას, თავგანწირვას, ვაჟკაცობას, მაგრამ ეს უკმარია. მამაცობა და ვაჟკაცობა შეიძლება გამოიჩინოს სასოწარკვეთილმა ადამიანმაც და თავისუფალმაც. კანუდოსელთა ბრძოლა და გმირობა სასოწარკვეთილთა საქციელია. ამის საბუთია არა მარტო დიეგოს თვითმკვლელობა, არამედ მენდეს მასიელის სიტყვაც.

მენდეს მასიელი ბრძოლას იწესებს თავისუფლებისათვის ისე, რომ დარწმუნებულია დამარცხებაში: „...ისიც იცოდეთ, რომ დავმარცხდებით, მაგრამ სილაღეს იგემებთ, ძმებო..." როცა თავისუფლება აუცილებლობად კი არ არის მიჩნეული, არამედ თვითმიზნად. თავისუფლების თვითმიზნურობა კი თავად გ. დოჩანაშვილის კონცეფციას ეწინააღმდეგება. „სამოსელი პირველის" აზრობრივი შინაარსის თანახმად თავისუფლება აუცილებლობაა. თვინიერ თავისუფლებისა, კაცს ადამიანური არსი ეცლება. დიქტატურა კი ანტიბუნებრივი მოვლენაა. დააკვირდით ერთ ალეგორიას, რომელიც კაატინგას სახით არის წარმოდგენილი რომანში. კაატინგა რაღაც კაციჭამია მცენარეა. იგი კანუდოსელებს ეხმარება და კამორელებს ებრძვის. მაშასადამე, ბუნება თავისუფლების მომხრეა. პრუდენსიოს შეცდომა რომ არა, რომელმაც კაატინგას ბუჩქნარი კამორელთა გვამებით გააძღო, შეიძლება კანუდოსი არ დამარცხებულიყო, ისეთ გადაულახავ კედლად იყო აღმართული ბუნების სასწაული.

აქ ერთი წუთით შევჩერდეთ და ალეგორიულობაზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა. ალეგორიულობა ახლა მწერლობის მოდური გატაცებაა როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. რა თქმა უნდა, საერთოდ ალეგორიულობის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ოღონდ ორი რამ კი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ.

ა) თუ ნაწარმოებში არ არის რეალისტური პლანი, მაშინ ალეგორია თვითნებური ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, რაც მკითხველს აბნევს. რეალისტური პლანი ყოველთვის ალეგორიის გასაღებია, რადგან ისინი ერთმანეთს ავსებენ და ამდენად ინტერპრეტაციაც უფრო ზუსტი შეიძლება იყოს.

ბ) გარკვეულ პირობებში ალეგორია არაკეთილსინდისიერი მწერლების თავშესაფარია. ალეგორიით ისინი იოლად ატყუებენ მიამიტ მკითხველებს, ბუნებითა და არსით რეაქციონერები თავს გაჩვენებენ რევოლუციონერებად, თავს იკატუნებენ, მეტის თქმის საშუალება არ იყო და რაც მოვახერხე, ალეგორიით შევძელიო. მათ ხელისუფლებაც მადლიერი ჰყავს და ხალხიც. ამიტომ ალეგორიულ ენას პატიოსანი მწერალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრთხილად უნდა მოეკიდოს, რომ უნებლიეთ თვალთმაქცების ბანაკში არ აღმოჩნდეს.

მოგეხსენებათ, მწერლის ღვაწლი არა მარტო ტალანტით იზომება, არამედ პატიოსნებითაც. მკითხველთა სასიხარულოდ, „სამოსელი პირველის" ალეგორია, პატიოსანი ალეგორია.

ახლა კი ისევ ზემოთ შეწყვეტილი საუბარი განვაგრძოთ.

გ. დოჩანაშვილი კანუდოსის აღწერისას ცვლის რომანის საერთო ირონიულ ატმოსფეროს პათეთიკური განწყობილებით. ავტორი ამაღლებული ინტონაციით იწყებს თხრობას. არის შემთხვევები, როცა თხრობის ინტონაცია პროზიდან ლექსში გადადის, მაგალითად, მენდეს მასიელის სიტყვა.

თავისუფლებას გაჩვენებთ, რაა,
ოღონდ დროებით,
იცოდეთ ესეც და ნუ შეკრთებით,
რადგან ისედაც დროებითა ვართ,

აქ, ამ მიწაზე...
და სიკვდილისაც ნუ გეშინიათ
ნურც — არყოფნისა,
ნუ გგონიათ, რომ უცხო ხილია —

დაბადებამდეც ხომ არ ვიყავით...
რა არ მომხდარა ჩვენს გაჩენამდე,

დიდრონ ქალაქებს ილებდნენ ერთნი
და მეორენი თაყვანსა სცემდნენ...
„ბნელში ტიროდა პატარა ბიჭი...
ზღვის პირას გრძელ ნავს უცდიდა ქალი

ამას დავუმატოთ დიდი კანუდოსელების პათეთიკური სიკვდილი და მივიღებთ ავტორის თავისუფლებისადმი დამოკიდებულების ნათელ სურათს.

სახოწარკვეთილებისგან შეიძლება დაიბადოს თავგანწირვა, მაგრამ არა თავისუფლება. თავისუფლება შედეგია მტკიცე შინაგანი რწმენისა. იგ შეუძლია განახორციელოს იმან, ვისაც ხელეწიფების თავისთავის მართვა. ეს უნარი „სამოსელ პირველში" უფრო მკაფიოდ უნდა გამოავლინონ კანუდოსელებმა. ისინი უფრო მრავალფეროვანი და მსუყე სალებავებით დახატული უნდა წარვუდგინოთ მკითხველს. თითოეული მათგანი თავისებურებითა და განუმეორებლობით ელდას უნდა სცემდეს მკითხველს და მტკიცედ იბეჭდებოდეს მის ცნობიერებაში.

— სამოსელი პირველი" სიყვარულით და ინტერესით წაიკითხა საზოგადოებამ. ეს მის ღირსებას მეტყველებს. მაგრამ მე მაინც მიზანშეწონილად მივიჩნევდი გულგრილი და დაკვირვებული რედაქციის გაკეთებას. ეს კიდევ უფრო დახვეწდა რომანს, ლაკონურსა და შეკრულს გახდიდა მას. ცხადია, ეს მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ ავტორი ნაწილობრივ მაინც გაიზიარებს ამ წერილში გამოთქმულ შენიშვნებს.

და ბოლოს, მინდა აღვნიშნო ერთი გარემოება, რომელიც დღეს ქართულ მწერლობაში შეიმჩნევა და რაც დასაგმობად მიმაჩნია. თუ რომელიმე მხატვრულმა ნაწარმოებმა მოწონება დაიმსახურა, მის მიმართ ჩნდება ნეკროლოგური მადლიერების განწყობილება. აღტაცების ცრემლმორეული, ქუდმოხდილი შევყურებთ მას და, თუ რაიმე დავწერეთ ამ ნაწარმოებზე, მხოლოდ და მხოლოდ ხოტბა უნდა ვთქვათ. როგორც ნეკროლოგში მიგვაჩნია უხერხულად გარდაცვლილის ნაკლის აღნიშვნა, აქაც გვიჭირს ხარვეზებზე ლაპარაკი. ის კი გვავიწყდება, რომ მხატვრული ნაწარმოები ცოცხალი ორგანიზმია და, როგორც ყოველ ცოცხალ არსებას აქვს თავისი ავ-კარგი. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცოცხალ არსებაზე ნეკროლოგის დაწერა შეურაცხყოფაა, დამცირებაა. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, რომ ბრმა აღტაცება და ბრმა გმობა ერთნაირ შედეგს იძლევა — აზრის უმოძრაობას. ეს კი მწერლობის უბოროტესი მტერია.

„სამოსელი პირველი" ცოცხალი ლიტერატურული ქმნილებაა, რომელიც ნაირნაირ ფიქრს, განცდას და ემოციას აღუძრავს მკითხველს. ამიტომ ამ რომანზე ლაპარაკისას ყველაზე დიდი დანაშაული, რომელიც შეიძლება კრიტიკამ ჩაიდინოს, გახლავთ „სამოსელი პირველისადმი" ნეკროლოგური მადლიერების გამომჟღავნება. ნეკროლოგურ მადლიერებას უნიჭოება იმსახურებს. „სამოსელი პირველი" დაკრძალვის ჰეშმარიტებას არ ლალადებს და ამიტომ მასზე უნდა ვიმსჯელოთ, ვიკამათოთ, ვიდავოთ.

კარგა ხანია დადგა დრო მოწიფული აზროვნებისათვის დამახასიათებელი განსჯის უნარი შევიძინოთ და ინფანტილური კმაყოფილება და განცხრომა თავიდან მოვიცილოთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანანა გვეტაძე

# ტრაგიკული ბედის პოეტი

ტერენტი გრანელმა ტრაგიკული ცხოვრებით იცხოვრა — ავადმყოფი, გაუხარელი პირად დამოკიდებულებებში, იგი სრულად დაუცველი იყო მკაცრი რეალობისაგან, ქიმერების და მირაჟების ქვეყანაში ცხოვრობდა, ამიტომაც სრულიად ვერ მოერგო სინამდვილეს და დაიმსხვრა მასზე.

სიკვდილის არრდილი პირველივე ლექსებიდან აშფოთებს პოეტის შთაგონებას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ტერენტი გრანელის ლექსთა კრებულების სათაურებიც კი: „პანაშვიდები" (1920 წელს გობრონ აგარელთან ერთად), „სამგლოვიარო ხაზები" (1921 წელს), „სულიდან საფლავები "(1922 წ.), „Memento mori" („გახსოვდეს სიკვდილი", 1924 წელს). მხოლოდ ერთი ლექსების კრებული, გამოცემული 1926 წელს, არ მოიხსენიებს სიკვდილს სათაურშივე. ეს კრებულები დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა და უთუოდ დიდი მადლობა ეთქმის ლერი ალიმონაკს, ვინაც ბევრი ჯაფა დახარჯა ტერენტი გრანელის ლექსების ახალი გამოცემისათვის, რომელშიც თავმოყრილია ადრე გამოქვეყნებული ლექსები პოეტისა, დღიურები, ლიტერატურული თუ პირადი წერილები, კომენტირებული და ზოგჯერ დათარიღებულიც კი შემდგენლისაგან. ამრიგად, ერთი ყდის ქვეშ მოქცეულია ტერენტი გრანელის მწუხარე პოეზია, დასაბამიდან დასასრულამდე.

ტერენტი გრანელის შემოქმედებითი დებიუტი მღელვარე წლებს დაემთხვა. ეს იყო 1919 წელი, მენშევიკების ბატონობის წლები საქართველოში, როცა თავისუფლებისა და რევოლუციის იდეით გატაცებული საზოგადოება სულიერ დეპრესიას განიცდიდა, როცა პოეზიაში, ამ თავისებურ სეისმოგრაფში, აშკარად იგრძნობოდა შემოქმედებითი პათოსის დაცემა და მინორულ განწყობილებათა გაბატონება. სავსებით ლოგიკური იყო ამ პერიოდში ქართველი სიმბოლისტების — „ცისფერყანწელთა" მოღვაწეობა, რომლებმაც თავის გავლენის ორბიტაში ბევრი „თავისუფალი" პოეტი მოაქციეს, ის ვინც სიმბოლისტთა კორპორაციაში არ შევიდა. მათ შორის იყო ტერენტი გრანელიც. ტერენტი გრანელის პირველი ლექსები მაინც არ ატარებენ სიმბოლიზმის მკაფიოდ გამოვლენილ ნიშან-თვისებებს სულიერი ნათესაობა ცისფერყანწელებთან მერე და მერე უფრო საგრძნობი ხდება. ადრეული, 1919 წელს დაწერილი ლექსები ტერენტი გრანელისა, საერთოდ ჯერ კიდევ გაურანდავ სახეს ატარებენ. ცხადია მათ შორის არის სხვაობა — ზოგი უკეთესია, ზოგი ნაკლებ, ზოგი საერთოდ ვერ ახდენს შთაბეჭდილებას, მაგრამ ყველა ძირითადად ავლენს რა მათი ავტორის საერთო შესაძლებლობებს; აი, მაგალითად:

> ჩიტი აფრინდა სადღაც მაღლობიდან
> ახლა იქნება საათი ათი.
> ახლა ეს ყვავი ჩემთან ახლოა
> ახლა ეს ყვავი კაციფით დადის.
>
> (1919)

ყვავი, რომელიც კაცივით დადის, უთუოდ სიმბოლისტთა პოეზიის არსენალიდან არის. ანდა

> და ახლაც მაღლა ჩემი გულია
> და სადღაც სარკე ელავს ჰაერზე,
> დღეს ყველაფერი დაკარგულია.
> დაკარგულ იღბალს ქარში დავეძებ.
>
> (1919)

იგივე ითქმის ქარში დაკარგულ იღბალზე და ჰაერში მოელვარე სარკის შესახებაც. ეს შემთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვევითობა, ან უბრალო დამთხვევა არ არის. ამის საბუთად გამოდგება იმავე 1919 წელს „კრონოსის სარკეში“ (№2) დასტამბული პატარა წერილი ტერენტი გრანელისა ვალერიან გაფრინდაშვილის „დაისების“ გამო. აი რას წერს ახალგაზრდა პოეტი:

„დაისების“ ყველა ლექსი ბანაობს მუსიკის უსაზღვრო ზღვაში, ეჭვი არ არის, რომ დაისები უნიკუმია საქართველოში. მისტიციზმმა, როგორც ძირითადმა ლეიტმოტივმა სიმბოლიზმისა, ვალ. გაფრინდაშვილის შემოქმედებაში ჰპოვა გამოხატულება. ის „ორეულები“, „ოფელიები“ და „მარსიფალიები“, რომელიც ეზმანება პოეტს ახალ ქვეყანაში, აბსოლუტური თავდებია პოეტის უსაზღვრო ფანტაზიის და უძირო სულის. გაფრინდაშვილმა შექმნა ისეთი მრავალფეროვანი პოეზია, რომელშიც გამოსჭვივის მისტიური სახე და ახალი სამყაროს გიგანტური სული. პოეტის ასეთი ორიგინალობის გენეზისი, უეჭველია, მის განსხვავებულ ტალანტში იმალება. გაფრინდაშვილმა დაიმსახურა პოეტის წმინდა სახელი. მან თქვა ახალი სიტყვა და შექმნა თავისებური სამყარო, მაგრამ ამ სამყაროს განჭვრეტა ძნელი აყველა იმათთვის, ვისაც არ ესმის სიმბოლისტური ლექსების მნიშვნელობა. დიდი გაუგებრობა და ყალბი წარმოდგენაა ჩვენში სიმბოლიზმზე. ორიგინალობა მხოლოდ სიცილს იწვევს საქართველოში, მაგრამ ამას მომავალი გაამართლებს და ეჭვი არ არის, კერძოდ, გაფრინდაშვილის და საერთოდ სიმბოლისტების სახელი წარუშლელი დარჩება ხელოვნების ისტორიაში.“

იმავე 1919 წელს, იმავე „კრონოსის სარკეში“ (№1): „ჩვენ არ შეგვეშინდება სივრცის უსაზღვროება, არც პატარა კაცუნების პრიმიტიული იერიშები. ჩვენ უკვე თეთრი სამოსით დავიწყეთ ჭირითი იქ, სადაც იზრდება სიმბოლიზმის მწვანე ყვავილები“ („ახალ სამყაროში“). „ჩვენში“, ცხადია, უპირველესად ტერენტი გრანელი იგულისხმება.

როგორც ვხედავთ, ადვილი გამოსაცნობია იმ მისტიციზმის გენეზისი, რომელიც გრანელის პირველსავე ლექსებში აშკარად იგრძნობა, პოეტის საერთო განწყობილება და ლექსების მიმართულებაც, თუმცა ადრეულ ლექსებში, ვიმეორებთ, სრულყოფილებამდე კიდევ შორსაა. „სიმბოლიზმის მწვანე ყვავილები“ უთუოდ ბოდლერის „ბოროტების ყვავილების“ ასოციაციას იწვევს, წარმოიდგინეთ, თავისი რადიკალური დაპირისპირების გამო უპირველესად. მწვანე ყვავილები სიახლის, მარადიულობის, სიცოცხლის სიმბოლოა. ასე ესმის ეს ტერენტი გრანელსაც. ჩავყვეთ ციტირებულ წერილს („ახალ სამყაროში“) ცოტა ქვევით: „ჩვენ დავტოვეთ სინამდვილე, დავგმეთ შავი წარსული და ახალ ფერებთან დავიწყეთ საუბარი. დღეს ჩვენ წინ იშლება ახალი ქვეყნის მუქი სურათები, რომლის მშვენიერი სანახაობა მეტად გვაბრმავებს. ფერად კრიალოსნების და მზის ნათელ [illegible]ვარებით იმოსება ჩვენი სავალი გზა. ოცნება ჩვენი ამაყია და ციურ ბგერებში იფერფლება ყვითელი ალმურით. არ გვაწუხებს სიკვდილის შიში. ჩვენი უახლოესი მიზანია შევქმნათ მარადისობა და უტეხი სხეულით მივეგებოთ ყოველგვარ საშინელებას. სული ჩვენი ჩქარია და შეუკავებელი. გვიყვარს ქანაობა უმაღლეს ლიცენციაში!“

როგორც ვხედავთ, ამ პატარა პროგრამაში ბევრია სიმბოლიზმისაგან და ბევრი სწორედ რადიკალურად საპირისპირო მასთან. ჭეშმარიტად მწვანე იყო ქართული სიმბოლიზმის ყვავილები! ტერენტი გრანელის პირველი ლექსების, ასე ვთქვათ, ინვენტარიც კი, სიმბოლისტებთან ნათესაობას უსვამს ხაზს:

თეთრი შუადღე ბრინჯაოს ჯვრებით,
ყრუ სასაფლაო და მდუმარება,
უცნობი თვალი, ო, ჯავრით ვთვრები,
ირღვევა ფიქრი, სდუმს მწუხარება.

კვირის წირვები ქრებიან შხამით
დღის ზიარება ხატებს დანებდა,
მამის საფლავი, ტირილი ღამით
სისხლი აბელის, გლოვა დანებთან.
(„კვირის შუადღე“, 1920)

ტერენტი გრანელის ლექსები ყოველთვის მუსიკალურნი არიან, ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით. მაგრამ ეს არ არის ბგერების დახვავება, როცა მუსიკის პრიმატი ანელებს სათქმელის შთამბეჭდაობას. ტერენტი გრანელის ლექსები ხშირად დისკრიპციულნი არიან, ხშირად ვიზუალურნი და მუსიკა ამ ლექსებისა, არ ცვლის მათ ნირს. მაგალითად:

მოდის საღამო, ეს დღე ილევა
და ირგვლივ სოფლის თეთრი სივრცეა.
აღარ ეტყობა სოფელს ცვლილება
და წალენჯიხა ისევ ისეა.
(„წალენჯიხა“)

ტერენტი გრანელი არ იყო გულგრილი ლექსის ფორმის მიმართ. ამას მოწმობს 20-იან წლებში დაწერილი რამდენიმე კანონიკური სონეტი („ფიროსმანაშვილს“, „სონეტი დედინაცვალს“), მაგრამ როგორც წესი, მან ჩვეულებრივი ოთხტაეპიანი სტროფები არჩია, უფრო ხშირად ჯვარედინი რითმებით და ასეთი სისადავე საოცრად კარგად შეეწყო მისი სათქმელის რაობასაც:

თბილისი — წმინდა
თავშესაფარი,
თბილისი მინდა
როგორც საფლავი.

ან კიდევ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიყვარდა ერთი. დავტოვე იგიც
და შენ მიშველე ახლა მარიამ,
ნელა მივდივარ და ბაღის იქით
აივრცე თეთრია და მდუმარეა.

ტერენტი გრანელის მთელი შეგნებული შემოქმედებითი ცხოვრება, დიდი გალაკტიონის სახელთან მიმართებაში წარიმართა. როგორც მოგონებებიდან ჩანს, ტერენტი გრანელი განსაკუთრებულად აფასებდა და, ამავე დროს, როგორც განაჩენს, ისე ღებულობდა თავისი ლექსების გალაკტიონისეულ შეფასებას. გალაკტიონი პოეზიაში მისთვის მეტრი იყო, ის მწვერვალი, რომლის სიმაღლეს ეტალონად ღებულობდა:

გალაკტიონი
ყოველთვის დიდი,
გალაკტიონი
ზეცისკენ მიდის.

(„გალაკტიონი").

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ტერენტი გრანელი ყოველთვის გრძნობდა დიდ ზღვარს საკუთარ თავსა და გალაკტიონს შორის, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი თანამედროვე მათ ერთმანეთთან ადარებდა კიდეც. ტერენტი გრანელი წერდა გალაკტიონისადმი მიძღვნილ ერთ ლექსში:

ერთად ვხეტიალობდით თბილისის
ბულვარებში,
რესტორნებში, ბაღებში — მე არსად არ
გტოვებდი,
შენ პოეტად შეგიცნეს, რომ ჩაგხედეს
თვალებში
მე კი დავრჩი მტკვრის პირად — უსახელო
პოეტი.

(„გალაკტიონი")

მაგრამ ამის შეგრძნება არავითარ ბზარს არ აჩენს ტერენტი გრანელის დამოკიდებულებაში გალაკტიონისადმი:

გალაკტიონი
ხომ პოეტია,
ზარი სიონის
გულზე მეტია.

გალაკტიონი
ხომ ძვირფასია,
გალაკტიონი
მუდამ ასეა.

ტერენტი გრანელის კეთილშობილ არსებისათვის უცხოა სალიერის დამოკიდებულება მოცარტთან, მაგრამ საბედისწერო წუთებშიც კი, იგი გალაკტიონს ხშირად იგონებს და რაღაცნაირად, რაღაცდაგვარად უპირისპირდება. მის განსაკუთრებით ცნობილია მისი ლექსი „მე და გალაკტიონი":

ავად ვიყავი, წუხელ ვკვდებოდი,
ახლა მიგონებს ალბათ ზოზია,
გალაკტიონში არის დემონი,
და ჩემში უფრო ანგელოზია.

ცხადია, გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის ოკეანეს, მძაფრს და ვნებებით დაყურსულს, ტერენტი გრანელის ტრაგიკული, ნატიფი, მაგრამ კამერული პოეზია ვერ გასწვდებოდა თავისი რადიუსით. ამიტომ ამ ორი სახელის ერთად მოხსენიება, ვფიქრობ ყოველთვის ზედაპირული იყო და გამოწვეული ზედაპირული ზოგიერთი ნიშან-თვისების მსგავსებით. უპირველესად, ეს სიმბოლიზმისათვის დამახასიათებელი პოეტიკის გამოყენების შემთხვევებია ორივე პოეტის ლირიკაში. თვითონ ტერენტი გრანელი ჩანს საკმაოდ გარკვეული ყოფილა გალაკტიონ ტაბიძის ლირიკის გენეზისში, რომლის ერთ-ერთი მასაზრდოებელი ჩქერი, უთუოდ სიმბოლიზმი იყო. ამის დასტურია მისი პატარა წერილი, რომელიც გრანელმა ჯერ კიდევ 1920 წელს დაწერა, როცა მისი და გალაკტიონის ურთიერთობა დასაბამს იღებდა („ახალი ნაკადი", 1920 წ. №4). ტერენტი გრანელის ამ წერილში გამოთქმული ბევრი თეზა, უთუოდ საყურადღებოა. მოგვყავს ნაწყვეტი ამ პატარა წერილიდან:

„საქართველოს პოეზიის რენესანსში გალაკტიონმა თავისი წვლილი შეიტანა.

აგრეთვე უნდა ითქვას, რომ გალაკტიონი მიმართებით სიმბოლისტია, იგი ყოველთვის თავის განცდებს სიმბოლისტურად გვიხატავს და მის ლექსებში უმთავრესად სიფაქიზის და სინაზის მისტიციზმი გამოსჭვივის. გალაკტიონი ინდივიდუალიზმის ცეცხლით არის განმსჭვალული. მას სწამს მხოლოდ „მე", როგორც მსოფლიოს განუსაზღვრელი და განუყრელი ნაწილი. გალაკტიონის შემოქმედებაში არის თავისებური სამყარო, რომელიც ხილული ქვეყნის ანარეკლია: იგი ყოველთვის საგნების გადაღმა ეძებს მსოფლიოში გაბნეულ ფერებს და აქ არის გალაკტიონის გამართლება, მას უყვარს მუსიკის და განცდის ერთმანეთთან შეხამება, რომლის სინთეზში ადამიანის ძალუძს ემოციონალურ და ესთეტიკურ გრძნობის დაკმაყოფილება. გალაკტიონმა ნახა თავისი სახე, სახე მეტად ძლიერი და პოეტური ბუნებით აღჭურვილი. სხვა ლექსებს თავი რომ დავანებოთ, „ლურჯა ცხენები" შედევრია, რომლის ვრცელი დინამიკა უმაღლეს წერტილს აღწევს. აგრეთვე ასონანსებს მის პოეზიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს, რომელსაც უმაღლესი პრეროგატივა ეძლევა ახალ პოეზიაში.

გალაკტიონი ვიწრო ყალიბებში არ თავსდება, იგი თავის შეუკავებელ სულით ლიცენციისკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიისწრაფვას და აქ იშლება მისი პოეტური სახის უზენაესი ატრიბუტები".

ამგვარად, გალაკტიონ ტაბიძის სახელი გრანელისათვის იყო საზომი იმისა, რასაც პოეზია ერქვა. ამ მთავარში მან უთუოდ შეუცდომელი ალღო და მაღალი გემოვნება გამოამჟღავნა. დღეს, ამჟამად, ქართულ ეროვნული გენიის მატარებელი გალაკტიონ ტაბიძის სახელი, არავითარ აზრთა სხვადასხვაობას არ იწვევს. გალაკტიონი ეს უკვე ისტორიაა და მას ჩვენი კულტურის განძურში უმნიშვნელოვანესი და უდიდესი ადგილი უჭირავს. მაგრამ ყოველივე ამის განჭვრეტა ახალგაზრდა კაცის მიერ, მაშინ როცა თვით გალაკტიონის შემოქმედებითი ცხოვრება დასაწყისში იყო, უთუოდ აღსანიშნავი და საგულისხმო ფაქტია.

ტერენტი გრანელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გალაკტიონ ტაბიძისადმი დამოკიდებულებაში, ის შეუმცდარი აღმოჩნდა. მაშინაც კი, როცა იგი დღიურს წერს და ჩვეულებრივ ფაქტებს აღნუსხავს, საოცარი მოწიწება იგრძნობა გალაკტიონ ტაბიძის მიმართ.

ტერენტი გრანელის ლექსის ქსოვილი, სადაა და მარტივი, სინტაქსიც სასაუბროა. შეიძლება სწორედ ამ თვისებაშია ტერენტი გრანელის პოეზიის ხიბლი; გრანელის ლირიკაში ძირითადი აქცენტი გრძნობისეულია, განცდათა უშუალობა იგრძნობა ყოველთვის:

მესმის შრიალი იდუმალ ძალთა
და მოდის მთვარე, ააე ბებერი
და ორთქმავალი კივის ვაგზალთან
უკვე დაიძრა მატარებელი.

ეს თეთრი ღამე მე ისევ მიყვარს,
ღამეა თეთრი და ძილი არ მსურს,
და მატარებელს უთუოდ მიჰყავს
ქალი, რომელიც იგონებს წარსულს.

(„ქალი მატარებელში")

გავიხსენოთ თუნდაც მისი ცნობილი ლექსი „გაზაფხულის სალამო":

გაზაფხულის საღამოა მშვიდი
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.
სული საზღვარს გადასცდება ფრენით.
ახლაც მახსოვს მისამართი შენი...

ამ ლექსის სიმარტივეში და იქნებ მიამიტობაშიც კი, არის მისი მომხიბლველობა. ამგვარი მაგალითები ძალიან ბევრია ტერენტი გრანელის ლირიკაში, უფრო სწორად, ეს ის პრინციპია, რომლითაც იგი თითქმის ყოველთვის ახორციელებს თავის პოეტურ ჩანაფიქრს. ზოგჯერ ტერენტი გრანელის ლექსები აღმწერლობით იერსაც იძენენ და ყოფითი დეტალებითაც არიან დატვირთულნი, იმდენად ავტობიოგრაფიულნი არიან და იმდენად არ ცდილობს ავტორი დააცილოს ისინი საკუთარ თავს. ეს სწორედ ის „პროზაიზმებია", რომელთაც ახეთი მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვეს დღევანდელ პოეზიაში. აი, მაგალითად, ლექსი „კოჯორი":

რა ვქნა, ჩემი გზა ასე შორია
მე უთბილისოდ ერთი დღე ვერ ვძლებ.
ძვირფასო, ახლა ეს კოჯორია,
ვარ თბილისიდან მეშვიდე ვერსზე.

თბილისი მართლაც რომ გამოკვეთილი თემაა ტერენტი გრანელის შემოქმედებაში — თბილისი დათოვლილი და თბილისი მდუმარე, თბილისი წვიმიანი და თაკარა მზით გამთბარი, ყოველნაირ თბილისს იპოვით მის ლირიკაში. ტერენტი გრანელს უყვარს იმ ადგილისა და ვითარების მინიშნება, სადაც და როდესაც იწერება მისი ლექსი. ხშირად შევხვდებით ამგვარს:

უკნობ საფლავთან ვდგავარ,
ცხოვრება რას არ ჩრდილავს.
კვლავ ხუთშაბათის დღეა
და ღრუბლიანი დილაა.

ანდა:

ახლა ჩემს ირგვლივ მეტი ხალხია
და მაინც ვფიქრობ ცისფერ ღამეზე
ჩრდილია, ვწევარ და მეშინია
რომ სახურავი თავზე დამეცეს და ა. შ.
და ა. შ.

ეს ყოფითი დეტალები თავისებურ ელფერს აძლევენ გრანელის ბევრ ლექსს მაგრამ, ცხადია არ არიან განმსაზღვრელნი მათი არსისა.

ტერენტი გრანელისთვის ჩვეულებრივია არა მარტო ერთი ტაეპის, ხშირად ერთი სტროფის განმეორება ლექსში. ეს ხერხი მის თითქმის ყველა ლექსში გვხვდება. ნიმუშად არაერთი ლექსის დასახელება შეიძლება. ამიტომ, როგორც წესი ამ ლექსებში ერთნაირია დასაწყისი და დასასრული, დამწყები და დამამთავრებელი აკორდი, რაც გარკვეულ განწყობილებას თუ აზრს უსვამს ხაზს.

თავისთავად ეს ხერხი არც ახალია და არც იშვიათი, მაგრამ ტერენტი გრანელის ლირიკაში იგი პრინციპულად ხაზგასმით არის გამოყენებული. გარდა აზრობრივი დატვირთვისა, ასეთი რეფრენი გარკვეულ მუსიკას ქმნის ლექსში.

ტერენტი გრანელი არაიშვიათად ხმარობს დიალექტიზმებს ლექსებში, მაგრამ ლექსის სტრუქტურის გამო, ისინი ნაკლებად შეიმჩნევიან. მაგალითად:

სულს მარტოობა უნდა
მარტო ვიქნები აწი.
სადღაც გაისმის მუდამ
ჩუმი შრიალი ნაძვის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხსვათაშორის, ამ თვისებითაც იგი თანხვდება გალაკტიონს, რომელმაც ბევრ დიალექტიზმს ლირიკაში მოქალაქეობრივი უფლება მიანიჭა, მუსიკის გამახვილებული გრძნობის გამო.

ტერენტი გრანელის პოეზიაში ხშირია თუ შეიძლება ასე ვთქვათ სახეშტამპები, ყოველ შემთხვევაში იმდროინდელ ქართულ პოეზიისათვის, ვთქვათ ასეთი — „სისხლიანი სამარე", „ბაღში ეცემა ფოთლების გუნდი", „ღამე — ყორანი" და სხვა. ასეთი სახეების დახვავებაა ლექსში „შემოდგომის პასტორალი". აქ „თეთრი ფიქრების კრებულიცაა" და „სკრიპკის ტანჯული გოდება" და სხვა არაერთი სტერეოტიპიც, მაგრამ ამავე ლექსში მშვენიერი ტაეპიც არის: „და როიალივით მიწყნარდა წვიმა"...

ბევრი ლექსი ტერენტი გრანელისა დაუკმაყოფილებლობის გრძნობას ტოვებს ამ თვალსაზრისით — მშვენიერი სტროფები იკარგებიან დაშტამპულ სახეებს შორის.

ტერენტი გრანელის ლირიკაში ხშირად გვხვდება არა მარტო იმდროინდელ პოეზიაში გავრცელებული სახეები, რომლებზედაც ზემოთ იყო საუბარი, არამედ მოტივებიც კი. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ იმდროინდელი პოეზიის გარკვეულ ნაწილს ახასიათებდა საერთო თემებიც და სახეებიც. ასე დასახლდა ტერენტი გრანელის პოეზიაში „იდუმალი ქალი ლენორა", რომელიც არაერთგზის არის მოხსენიებული პოეტის მიერ და რომელიც არაერთგზის გვხვდება გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაშიც. აქ მცირე ექსკურსი არის საჭირო. ლენორა ედგარ პოს ცნობილი „ყორანის" მეშვეობით ფრიად პოპულარული გახდა მსოფლიოში. ეს არის გარდაცვილი სატრფოს ხატება ედგარ პოს პოეზიაში, რომელსაც არაერთი სტრიქონი ეძღვნება პოს ლირიკაში. ედგარ პომ თავისი პოეზიით და თავისი ბიოგრაფიითაც დიდი ყურადღება მიიქცია პირველად სწორედ სიმბოლისტების მეშვეობით. აი რას წერს ნ. ანასტასიევი ედგარ პოს მოთხრობების 1980 წლის რუსული გამოცემის წინასიტყვაობაში: „...ასე წარმოსდგა ედგარ პო მთელი თავისი ეპოქალური მნიშვნელობით (პატივი მისი აღმოჩენისა ეკუთვნის არა პოეტის თანამემამულეებს, არამედ ფრანგებს — ბოდლერს, ვერლენს, რემბოს". ედგარ პოს ტრაგიკული ბედი (მას წილად ხვდა მატერიალური გაჭირვება, ადრე მოუკვდა მეუღლე, მიეძალა ღვინოს და ნარკოტიკებსაც კი, გარდაიცვალა ბალტიმორის ერთ-ერთ კლინიკაში, სადაც ქუჩიდან მიიყვანეს — უგონოდ ეგდო), აშფოთებდა ბევრის შთაგონებას, ისევე როგორც ტერენტი გრანელის, თუ გალაკტიონ ტაბიძის ბიოგრაფია მათ თანამემამულეებს. აქვე მინდა ვთქვა, რომ ამ ბიოგრაფიებში ალბათ არაერთი თანხვდენის დაძებნაც შეიძლებოდა. ალბათ რაღაც მახლობელი ჰპოვეს ედგარ პოში თავის დროზე ფრანგმა სიმბოლისტებმაც, თავი რომ დავანებოთ პოს უდიდეს მისტიციზმს, რომელიც მათ ფართოდ აიტაცეს. ასე რომ, ვერ დავეთანხმებით რევაზ თვარაძეს ედგარ პოს და ფრანგი სიმბოლისტების ერთგვარ დაპირისპირებაში, რომელსაც იგი თავის საინტერესო წერილში „ედგარ მესამედ" გვთავაზობს. რ. თვარაძე წერს გ. ტაბიძის შესახებ: „იმ დიად სულთა საკრებულოში, რომელთა ხმიერებაც კოსმოსური ორკესტრის შემადგენელი ნაწილია. ედგარ პო მეტი სიყვარულითაც კი არის მოხსენიებული, ვიდრე ვთქვათ, ვერლენი, ბოდლერი, რემბო, გოტიე.

ალბათ ასეც უნდა ყოფილიყო. რამეთუ ფრანგ სიმბოლისტებთან, ბოდლერთან და გოტიესთან გალაკტიონმა უკვე პოეტური სიმწიფის ასაკში დაამყარა ურთიერთობა, ვითარცა სწორი სწორთ, ისე შეხვდა მათ, ხოლო ედგარ პო ისევე როგორც რომანტიკოსები მისი შეგირდობისდროინდელი კერპი გახლდათ, სულიერი მოძღვარი, რომლის ჟრუანტელისმომგვრელი ზეგავლენის დაფარვა არც კი უცდია. სიმბოლისტებს ეტოქებოდა, ეჭიბრებოდა, ისევე როგორც იმპრესიონისტებს („ჭარხალი"), ხოლო ედგარ პო მისთვის ადრეული სიჭაბუკისდროინდელი სიყვარულის საგანი იყო და არა გასაჯიბრებელი პოეტი".

აქ ბევრი საკამათო არაფერი უნდა იყოს, თუ ერთ მთავარს გავითვალისწინებთ — ედგარ პოსადმი გალაკტიონის აღფრთოვანებული დამოკიდებულება ეს უპირველესად სიმბოლისტების პლატფორმის გაზიარება იყო.

სწორედ ამ პლატფორმის გაზიარების შედეგი იყო ლენორას სახელის არაერთგზის მოხსენიება ტერენტი გრანელის ლექსებშიც და ის ლექსები, რომელიც მან ამ „იდუმალ ქალს" უძღვნა:

მძიმე ქარები გარეთ კვნესიან,
დღემდე ოცნება სივრცე მეგონა.
რა ძვირფასია ეს პოეზია
და იდუმალი ქალი ლენორა...

(„იდუმალი ქალი ლენორა")

ანდა ავიღოთ ტერენტი გრანელის მეორე ლექსი, მიძღვნილი აგრეთვე ლენორასადმი:

ლენორა — წმინდა,
ლენორა — ერთი,
ლენორა მინდა
ლენორა — ღმერთი...

ტერენტი გრანელის ლირიკაში ლენორას გაჩენა სავსებით ორგანული და ბუნებრივი იყო, თუ გავითვალისწინებთ ტერენტი გრანელის პოეზიის საერთო ხასიათს. ქალი, რომელიც დაკავშირებულია სიკვდილთან და სილამაზესთან, იდუმალი, ტრაგიკული ლენორა, უთუოდ ორგანულია გრანელის ლირიკისათვის. კიდევ ერთი ლექსი, რომელიც ლენორას ეძღვნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსის სათაურია „სევდა“, ქვესათაური „ლენორას“:

მსდევდა და მსდევდა
ფიქრების გროვა.
სევდა და სევდა
გლოვა და გლოვა.

იდუმალება, მარადისობა, უსაზღვროება ყოველთვის ხიბლავს გრანელს (აკი როგორც ამას ს. ჭილაია იგონებს, შ. ნუცუბიძემ უწოდა მას ყველაზე დიდი მისტიკოსი ქართულ პოეზიაში). იდუმალება გრანელთან პოეზიის რამბასთან არის დაკავშირებული („რა კარგი არის ეს პოეზია და იდუმალი ქალი ლენორა“). უფრო თვალსაჩინოდ:

სადღაც შორს, ნაპრალს ნისლი ეწვია
მე დავასვენე ბალში თვალები.
ჰქრიან ფიქრები და პოეზია,
რა არის, გარდა იდუმალების.

სადღაც შორს, ნაპრალს ნისლი ეწვია,
მივდივარ თბილისს ვტოვებ დროებით.
ჰქრიან ფიქრები და პოეზია
რა არის, გარდა უსაზღვროების...

ტონი ამ ლექსისა მშვიდია და აუმღვრეველი, როგორც ბედს შეგუებული კაცის აღსარება.

იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ მაინც, გრანელის ლირიკაში გვხვდება ლექსები, რომელნიც სიცოცხლის სიყვარულით გამთბარან, მზით გასხივოსნებულან:

დღეს სხვანაირი სიცოცხლე ვიგრძენ
და ქვეყანაზე აღარ ვეტევი
მზიანი დღეა, ელვარებს სივრცე
და დაფრინავენ მაღლა მტრედები.

მაგრამ ამ სტრიქონებს უშუალოდ წინ უსწრებს თავისი გამომსახველობით მშვენიერი სტროფი, ოღონდ სულ სხვა განწყობილების:

ეს მთები ისევ დგანან მეფურად
(მე არ ვიყავი და წუხელ წვიმდა),
ქალაქი ისე გაჩუმებულა,
თითქო ქალაქი დაღუპვის წინ დგას.

გარკვეული ერთფეროვნებაც უთუოდ ახლავს თან ტერენტი გრანელის ლექსების უმეტესობას. ამ ერთფეროვნებას ალბათ ერთთემიანობა განსაზღვრავს — უიმედობა, სასოწარკვეთა, სინანული, საკუთარი მდგომარეობის ფიქსაცია ლექსის დაწერის მომენტში, — აი მთავარი მოტივი ტერენტი გრანელის შემოქმედებაში. და თავისი კეთილხმოვანებისა თუ ნიჭიერების დამლით აღნიშვნის მიუხედავად, ტერენტი გრანელის ლირიკა უთუოდ მონოტონურია. და მაინც ტერენტი გრანელის ლექსები, ეს ვარიაციები სევდის თემაზე, უმეტეს შემთხვევაში შთამბეჭდავნი არიან, და, ცხადია, საჭირო განწყობილებასაც ქმნიან.

ტერენტი გრანელს ყოველთვის აშფოთებდა სიკვდილის აჩრდილიც. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ერთგვარად საპროგრამო ლექსი, კრებულიდან „გახსოვდეს სიკვდილი“:

რა ვქნა შავი ღამეა, მძიმე და უსაშველო,
მახსოვს ჩემი სოფელი, მისი ყრუ
ადგილები.
ახლა რაღაც სხვა მინდა, რაღაც სხვა,
უსახელო
რომ დაღუპვა მომელის, ვიცი
დანამდვილებით.
ნელა გადის დღეები და ძნელია გარჩევა,
მე, ძვირფასო, ვერ მოვალ, გზა შენამდე
შორია.
ჩემი გვარი: გრანელი — პოეზიას დარჩება
ჩემი გული და სისხლი — ეს Memento
moria

პოეტს ყოველთვის სტანჯავდა სიმარტოვეც, გაჭირვებაც, ავადმყოფური ხილვებიც, მაგრამ ზოგჯერ თავიც კი მოჰქონდა ამით. ასეთ თავის განსხვავებულობაში ის ზოგჯერ გარკვეულ სიხარულსაც გრძნობდა:

უმანკო ცრემლი დამეცა გულზე,
ყველამ თქვა: ყოფნა რომ სიზმარია,
სიკვდილს ყოველთვის თვალებში ვუმზერ,
ვგრძნობ ვიღუპები და მიხარია.

რადგან ყოფნა სიზმარეულია, პოეტის გაგებით, იგი მაინცდამაინც არ დარდობს გარდაცვალებას — „ვგრძნობ ვიღუპები და მიხარია“. კიდევ ერთი ნაწყვეტი ლექსიდან „ღამის სტრიქონები“:

რა ვქნა, ისევ სიცოცხლეზე ვდარდობ,
ირგვლივ ისევ მდუმარება დადგა.
მიხარია, რომ დამტოვეს მარტო
ყველა ერთად რომ წავიდა სადღაც.

რა ვქნა, ისევ შურია და მტრობა,
ალბათ ქარი გადაუვლის მაღლობს.
ასე მარტო მიხარია ყოფნა,
როცა თავს ვგრძნობ მე სიკვდილთან
ახლოს.

ტერენტი გრანელს უთუოდ ახასიათებს ერთგვარი ესთეტიზმი. მას უყვარს ლამაზი პეიზაჟი, ლამაზი სევდა, კეთილხმოვანი, ლამაზი სიტყვები. ერთ უცნობ გერმანელს ქალს, რომელიც დაკრძალული იყო გერმანელების ყოფილ სასაფლაოზე, მან კეთილხმოვანი სახელისა და გვარის გამო ლექსი უძღვნა. ამ სახელს და გვარს იგი სხვაგანაც, სხვა ლექსშიც მოიხსენიებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ალლიდი ოტტო" — ქართული სმენისათვის ეს უცნაური სახელი და გვარი, ღრმად ალიბეჭდა პოეტის მეხსიერებაში.

მზე ნელა ჩადის და დგება ჩრდილი.
გარშემო ძველი ძეგლები დგანან.
ო, ვილაც ქალი საფლავთან ტირის,
არყოფნის შიშმა მეც ამიტანა.

ქარმა ფოთოლი კვლავ შეარხია,
თანაც ბელურამ ყივილი მორთო,
და ყვავილივით აგერ მარხია
უცნობი ქალი — ალლიდი ოტტო!

ტერენტი გრანელის მთელი ცხოვრების დრო უცნაურად განაწილდა საავადმყოფოებსა, სახაფლაოებსა, გარინდებულ ბაღებსა და მატარებლებს შორის, რომელნიც მას თბილისიდან სოფლამდე და სოფლიდან თბილისამდე დაატარებდნენ. სოფელში მყოფს თბილისი ენატრებოდა, თბილისში მყოფს — სოფელი. მის ცხოვრებაშიც ყველაფერი მონოტონურად მეორდებოდა.

მესმის ვილაცა უკრავს გიტარას
და მეორდება, რაც იყო დღემდე,
და შუადღეზე გამოიდარა
ამდენი წვიმის და ქარის შემდეგ.

ხომ ეკარგება აზრი ნიღაბსაც,
თუ მან გრიგალი გადაიტანა,
ჩემს დალუპვაზე ფიქრობს ვილაცა
ჩემს დალუპვაზე ტირის ვილაცა.

„ხომ ეკარგება აზრი ნიღაბსაც"... ჰქონდა კი ეს ნიღაბი ტერენტი გრანელს? თუ უბრალოდ მისი არსება საოცრად ემთხვეოდა იმ ნიღაბს, რომელიც მას ჩანს მოსწონდა და აწყობდა კიდეც. ყოველ შემთხვევაში, ის არც ერთხელ არ შეეცადა რადიკალურად შეეცვალა თავისი ცხოვრების წესი. დიდ სამყაროში, ის რჩებოდა სევდით ალსავსე საწუთროს პირისპირ, თუმცა ბევრი რამ უყვარდა და ძვირფასი იყო მისთვის, რაც ზოგჯერ მცირე სიხარულსაც ანიჭებდა.

ააე გამეფდა შური და მტრობა
სდუმს შორეული ქალის საფლავი.
რატომ არა მაქვს მე ნებისყოფა?
რატომ არა მაქვს თავშესაფარი?

ყოველ ხელოვნების ნიმუშს თავისი დროის დაღი აზის. სპეციალისტები თითქმის შეუცდომლად ადგენენ რომელ ეპოქას, რომელ საუკუნეს განეკუთვნება ფერწერის, ქანდაკების, არქიტექტურის ნიმუშები. (რასაკვირველია, თუ ეს სტილიზაცია არ არის). დაახლოებით ასევეა პოეზიაში. ტერენტი გრანელის ლირიკას უთუოდ ატყვია ჩვენი საუკუნის 20-იანი წლების ქართული პოეზიისთვის ნიშნეული თვისებები. ვიმეორებთ, ეს უპირველესად სიმბოლისტთა პოეტური პრაქტიკის გაზიარების შედეგად მოხდა. სხვას თავი რომ დავანებოთ, იმ დროისთვის ტრადიციულია ფერთა ალქმა და ხმარებაც ტერენტი გრანელის ლირიკაში.

ფარულ თვალებით გაგაოცებს შავი დარდები,
და თვით ეროსი აგამღერებს ფერად ჰანგებით,
ფერწასულ მთვარეს შენ შორდები ყვითელ მანგებით,
რკინის სხეულით ბოროტ სიკვდილს ეხაბარდები.

საფირონ ღამით გაგაბრაზებს ლექსი ქართული
და ყრუ რიტმები ერთმანეთში გადახლართული,
სტეფან მალარმეს მაგონებდა თეთრი წიგნები,
წითელ ფერებით ჩამოდნები მწვანე კანდელი

ცეცხლის რკალებით აგათრთოლებს კორიანტელი
და უთვალავი მოთარეშე ქუჩის ციგნები.

ანდა:

არის ცისფერი თოვლი
თეთრი ლოცვების გაღმა.
სული ფარული თრთოლვით
მიისდევს სიზმრების დალმართს.

პოეტმა თავის ფსევდონიმად გრანელი აირჩია. შესაძლოა ეს კეთილხმოვანი გვარი, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, მცირე ნაწილაკის — გრანის აღმნიშვნელი სიტყვიდან მოდის. ამრიგად, გრანელი დაკავშირებულია პატარასთან, მცირესთან. მაგრამ თვით პოეტს არასოდეს დაჰბადებია აზრი თავისი პიროვნების თუ ლირიკის სიმცირის გამო. პირიქით, თავის ლექსებში ის არაერთხელ გამოსთქვამს აზრს თავის სიდიადისა თუ გენიალობის გამოც კი. ლექსებში ეს პოეტურ კოკეტობას ჰგავს, რამეთუ საეჭვოა ტერენტი გრანელს არ სცოდნოდა გენიალურის მასშტაბები. ნიმუშად ერთი ლექსი, სადაც მისთვის ჩვეული სულიერი განწყობაა გამოხატული (სხვათაშორის მშვენიერად) და სადაც თავი პოეტს გენიოსად ჰყავს გამოცხადებული.

...ქვევით საფლავებია და ზევიდან ფიქრები
(ალბათ გენიოსი ვარ და ცისფერი სიშორე),
დაო, ახე მგონია, ბედნიერი ვიქნები,
სადმე ახლო თბილისთან თუ სამარე ვიშოვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულის მკრთალი ლანდები შენს გარშემო ივლიან,
წვიმიანი წამოვა რიცხვი აუტანელი,
ბედის კარი, ძვირფასო, ისევ დაკეტილია
საოცრება მოგელის, შენ, ტერენტი გრანელო.

ეს დარდები მიჰქრიან, როგორც თეთრი პეპლები,
ო, მარადი წუხილის მეტი რა დაგვრჩენია.
მხოლოდ მე ვარ დამწვარი, მხოლოდ მე ვიფერფლები
და დროა, საქართველომ იგრძნოს ჩემი გენია.

მე მგონია გათავდა ჩემი გლოვა ამდენი,
თუმცა ახლაც გარშემო ღალატი და შურია.
ბრუნავს ჩემი ცხოვრება, როგორც კორიანტელი
დავიღალე და ისევ მოსვენება მწყურია.

მიდის ფერწასული დღე, ღამე მომიახლოვდა,
ღამე მომიახლოვდა — შავი და საშინელი.
სინანული გაივლის მოგონების მაღლობთან
და მოვა მწუხარება — ჩემი ლურჯი ფრინველი.

ლურჯი ფრინველი — მიუწვდომელი ოცნების სიმბოლო ლიტერატურაში მეტერლინკის შემდეგ, ტერენტი გრანელის ლექსში კვლავ მწუხარებასთან არის დაკავშირებული — „და მოვა მწუხარება — ჩემი ლურჯი ფრინველი".

როგორც ვხედავთ, პოეტური აზროვნების მხრივ, ტერენტი გრანელი ბევრით არის დავალებული ევროპისაგან. მაგრამ ის კოსმოპოლიტი არასოდეს ყოფილა, არც ლირიკაში. ამის დასტურად გამოდგება თუნდაც ლექსი „სამშობლო":

ვგრძნობ მსოფლიოს და უსაზღვროს ვეტრფი
შენ გაიგებ ჩემს ამნაირ ტირილს,
მე მაფიქრებს საქართველოს ბედი,
მე განვიცდი ჩემ სამშობლოს ტკივილს.

რაღაც მინდა სიცოცხლეზე მეტი
უფსკრულია და შენ მარტო ჰკივი.
მე მაფიქრებს საქართველოს ბედი,
მე განვიცდი ჩემ სამშობლოს ტკივილს.

მძიმე იყო პოეტის ხვედრი. ტრაგიკული იყო მისი აღსასრული.

და სადღაც ბალთან ვიღაც იცდიდა,
და უცებ ზეცა ნახეს თვალებმა.
რომ ვერ შევძელი გასვლა მიწიდან,
ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას.

სიმართლე მოითხოვს ითქვას, რომ ტერენტი გრანელი „მიწიდან გასული" ყოველთვის იყო. იგი სადღაც მესამე განზომილებაში არსებობდა და მართლაც, ლექსებს გარდა, არც არა ებადა რა და არც არა სწადდა.

ამირან არაბული

# „ვინ შეაგროვებს ლექსებსა ჩემსა..."

„მე ამ ქვეყნად სამი რამე მიტაცებდა: სიყვარული, სიმღერა და მამული!.." ამგვარად გააცნო მკითხველს გაბრიელ ჭაბუშანურმა საკუთარი შინაბუნება ჯერ კიდევ შემოქმედებითი სიჭაბუკის წლებში. პოეტის შემდგომმა გზამ თვალნათლივ დაადასტურა ნათქვამის ეჭვშეუვალობა. მამულის და სიყვარულის გრძნობა თანდაყოლილი თვისებების სიმტკიცით იყო განივთებული მის არსებაში. არც არასოდეს გადაუხვევია აღებული გეზიდან. სიცოცხლის ბოლომდე სიმართლის გზით იარა, ღონივრად ზიდა მძიმე და საპატიო ტვირთი, ღირსეულად სწია ჭაპანი. ბევრი კარგი ლექსი დაგვიტოვა, ბევრიც — უთქმელი დარჩა...

ახლა, როცა არქივს ვეცნობით, განსაკუთრებულად ახლობელი ხდება ჩვენთვის გ. ჭაბუშანური, როგორც პოეტი და როგორც პიროვნება. საარქივო მასალების შუქზე მეტი სიცხადით ინაკვთება გ. ჭაბუშანურის ინტერესთა მრავალმხრივობა, პოეტური ნიჭიერება, შემოქმედებითი შესაძლებლობები.

ფერგახუნებული ფურცლებიდან ხალასი პოეზიის მარად მღვიძარე ნერვის ფეთქვას ვგრძნობთ.

გ. ჭაბუშანურს არ დასცალდა ბოლომდე გაელეწა კუთვნილი კალო.

მართლაც, რომ „ჭეშმარიტად უღვთო და უდროო" იყო მისი სიკვდილი.

* * *

გაბრიელ ჭაბუშანურის პატრიოტული ლირიკა თავისუფალია გრძნობათა ყალბი და რიოში აღტყინებისაგან. მამულისადმი ჩუმი, სულში ჩაცილი ტრფიალი გამოსჭვივის მისი ლექსებიდან. კარგია ზღაპრისეული „მზეთა ქვეყანა" (სადაც მიწყივ მოლი ბიბინებს და ქვიშაც ოქროობს), მაგრამ „სამშობლო სხვა არი!.." სადად ნათქვამის სიმართლეში ეჭვს ვერ შეიტანთ: „გინდ ნემსის წვერით გადავჩხრიკო ჩვენი პლანეტა, მე შენი მსგავსი ვერ მოვხელო მაინც, ივერო..."

სამშობლომ გაუწყო საკრავი, მოუმართა სიმები, დაუწმინდა ხმა, მიმმადლა ცეცხლი და სიკეთის, სიქველის, კაცურკაცობისა და ზნეობრივი სიმაღლის მეხოტბედ აკურთხა პოეტი: „ჰე, საქართველოვ, ლექსის მინდორზე გამოველ ვინმე ყრუ და თავხედი. ჰანგიც მიბოძე, ეშხიც მიბოძე და არაკაცი მგოსნად გამხადე..." სამაგიეროდ არც ნაშიერი რჩება ვალში: „ბევრია ქვეყნად ტლუ, უბედური, მწადის მწეობა მწირის, ყარიბის, შევხვდები სადმე მწყურვალ ბედუინს და მშრალ ბაგეზე დავეცვარები..." ასე ლაკონიურად ყალიბდება პოეტის საქვეყნო მისია მოხმობილ სტროფში.

პოეტი. პოეზია. ერთმანეთისგან განუყოფელი ამ ორი ცნების თავისებურ განზოგადებას გ. ჭაბუშანური ხშირად იძლევა. აქ იკვეთება მისი, როგორც შემოქმედის მყარი პოზიცია, დამოკიდებულება ლექსთან, მკითხველთან, საკუთარ თავთან... ცხოვრებისეული გამოცდილების უქონლად, გარესამყაროზე გამუდმებული დაკვირვების გარეშე ლექსის ოსტატი შორს ვერ წავა, ვარგისს ვერაფერს გააკეთებს: „ნისლივით უნდა იყოს პოეტი, მისებრ ლახავდეს მთებს და შორ მინდვრებს, ნახოს მტილი და უდაბნოეთი და შემდეგ ლექსის წვიმად მოვიდეს..."

ლექსში „დიდი მზე" პოეტის დანიშნულების საკითხი მითოლოგიურ პლანში იხსნება. ქართველთა უძველესი წარმოდგენის თანახმად, მზეს — „ქვეყნის სანთელს", „მსაჯულს ცისას და მიწისას" (შუამდინარული მითოლოგიით) ბოროტი არსებანი (ალები, დევები, ქაჯები, გველები, ვეშაპები...) მოტაცებით და ჩანთქმით ემუქრებიან. ქვესკნელის მეუფეთა წინააღმდეგ ბრძოლა და ამ ბრძოლაში გამარჯვება ერთეულ გმირთა ხვედრია. ამ გმირთა გვერდით დგას ხალხთა გულების მესიტყვე — ჭეშმარიტი პოეტი, რომელსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთის თემაზე, მთიელი ხალხის ცხოვრებაზე წერა ვაჟა-ფშაველას შემდეგ ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენდა და ამ საქმისთვის შებედვა და ხელის მოკიდება თითქოს ცოდვადაც კი ირაცხებოდა. გ. ჯაბუშანურის დიდ ღირსებად მიგვაჩნია ის, რომ მან თავი დააღწია ხაბედისწერო გავლენის, უნიჭო მიბაძვის უსახურობას და საკუთარი სიტყვა შეაწია პოეტური ფიქრისა და განცდის აღნიშნულ თემას. გულისტკივილით წერდა პოეტი: „მეუბნებიან, ვაჟამ მთების თემა ამოწურა და მათზე (მთებზე) წერა დიდი ფშაველის შემდეგ თავხედობაა.

ქართველ კლასიკოს მწერალთა მეტი ნაწილი ბარიდან იყო და ბარზე წერდა. ასე გამოდის: მათ ბარის თემა ამოწურეს და მასზე (ბარზე) წერაც თავხედობაა" (პირადი ჩანაწერებიდან).

* * *

ცალკე აღსანიშნავია ლილლოს თემა გ. ჯაბუშანურის პოეზიაში („ლილლური რვეულიდან", „ჰადიშათის ბილიკზე", „რიყრაჟი აულში", „სამი სურვილი", „ქისტი ქალის წყევლა", „ლილლური შემოდგომის წარმოსახვა", „ქისტის ქალები მიდიან წყაროზე", „ძველი ლილლური სიმღერებიდან", „ლილლური კატა", „კიდევ ლილლური კატა"...)

სიძველის იერით და ზღაპრული ეგზოტიკით სავსე ქისტეთი მისი შთაგონების თვალწმინდა წყაროა. იქ ნანახი და განცდილი ფერწერულ ხაზებში იხატება „ლილლო. რიყრაჟი. მთები. თიბათვე. ნაზი ნიავი ნარნარად მქროლი. მოლი მორთული მწვანე დიბათი, ფიქვიან ფერდთა ზურმუხტის ზოლი..." ლექსთა სტრიქონებში ცხადად ვჭვრეტთ სიმაგრეთა ბებერ ბურჯებს და წოწოლა, ტანწვრილ სიპერდებს, შუადღის ლოცვის აღსავლენად დათვის ტყავზე დაჩოქილ დაუთს და კუმგანებით წყაროზე მიმავალ ქისტის ქალებს, ძველი მეჩეთის მინარეთზე გადმომდგარ მუეძინს და ექსტაზში შესულ ვაჟკაცურ ცეკვას...

ავტორი ისწრაფვის, გარემოსთვის დამახასიათებელ ფერებში წარმოგვიდგინოს მაჰმადიანთა სამყოფელი და შესანიშნავად ახერხებს კიდეც უწინარესად იმის წყალობით, რომ ღრმად იცნობს იქაურობას, იცნობს ქისტების ადათ-წესებს, ზნე-ჩვეულებებს, ხასიათს, ყოფით დეტალებს.

სიყვარულის შუქი ათბობს ჰადიშათის ნახვის სურვილს: „ეულ აულში მივყავარ ბილიკს, უკან მომდევენ ნისლის გველები, შენს ნაფეხურებს ავდარი მიჰლეკს, მე მაინც თითქოს აქ მეგულები..." ჰადიშათი ქისტის ასულის კრებითი ხატი და სიმბოლოა. მასში გადმოცემულია შორეული და ოცნებისმიერი სატრფოს მიუწვდომელი სილამაზე...

ლილლური ციკლი იმითაც არის საყურადღებო, რომ იქ ვხვდებით ძარღვმაგარ შედარებებს, მხატვრულ სახეებს, ალიტერაციის ნიმუშებს: „დგას ტაძარივით უწმინდესი ლილლოს ზაფხული და მრავალ ფერებს აბათილებს მაინც სმარაგდი..." „და ასისწყალის თვალთა [illegible] ლოს მღვრიე ცა გდია გულაღმა..." „ქვევით ჰალების ჭრელი ჰილობი გადახატულა გაზაფხულის ისტორიით..."

* * *

საგანგებო ძიების სფეროა გაბრიელ ჯაბუშანურის ფოლკლორთან დამოკიდებულების საკითხი. აღვნიშნავთ მხოლოდ: მისი არაერთი საუკეთესო ლექსი, პოემა, ბალადა სწორედ ხალხურ ძირებთან ფესვეული სიახლოვის გამოა გამძლე და შთამბეჭდავი. გარემო, სადაც გ. ჯაბუშანური იშვა და იზრდებოდა, ცნობილია სახალხო ავტორ-მთქმელთა, შესანიშნავ მელექსეთა სიმრავლით. შეუდარებელი ბალადის, „მოყმე და ვეფხვის" განმვრცობი გაბრიელ ჯაბუშანურის ბიძა — გიორგი ჯაბუშანური გახლდათ. არხოტის თემთან არის დაკავშირებული ხოგაის მინდის მითიური ამბები და მრავალი სხვა.

„ბალღობიდანვე ლექსებით გავიზარდე, ხალხური ლექსებით!" — ამბობს პოეტი საგაზეთო ინტერვიუში და იქვე აგრძელებს საუბარს ზეპირსიტყვიერების დროულად შეგროვების საშურ საქმეზე: „— ისევ და ისევ შეკრება, ჩაწერა ჩვენი უმდიდრესი საუნჯისა, სანამ ჯერ კიდევ შეიძლება! ამ მხრივ დიდი სამუშაოა ჩატარებული. მარტო აკაკი შანიძის საშვილიშვილო ღვაწლი რად გვიღირს ხევსურული პოეზიის გასაცნობად! მაგრამ ჩვენს ფოლკლორისტებს, ლიტერატურისმცოდნეებს უდიდესი სამუშაო ელით ხალხური პოეზიის, როგორც წმინდა მხატვრულ-ლიტერატურული მოვლენის შესწავლის თვალსაზრისით. როდესაც თუშურ ხალხურ ლექსში ვკითხულობთ: „გავიდა ქორვის მთაზედა, ნამი გაბლერტა მთისაო"... მე მზარავს ეს მხატვრული დეტალი, რომლის ძალითაც მოქმედებაშია ჩართული ადამიანი, მთელი ბუნება, ბალახის ღეროსა და ნამის წვეთის გამოუკლებლივ..."

ხალხურ მელექსეებს მიმართავს გ. ჯაბუშანური: „და თუ ჩემი ხმის ექოც გაისმის, — ვარ თქვენი ჯიშის მე ნაშიერი..."

* * *

გაბრიელ ჯაბუშანურის პოეზია ხასიათდება მოულოდნელი და ორიგინალური შედარებების სიუხვით, მეტაფორული აზროვნებით, სახეთა სიმრავლით. შედარებებში საჩინო ხდება პოეტის მახვილი ხედვა, მხატვრული წარმოსახვის ექსპრესიულობა, ფანტაზიის უნაპირობა. სხარტი და ტევადი შედარებები დაუვიწყარ სურათებს ქმნიან: „ასის ხეობა — ნისლთა გომური, მთებში შექრილა, როგორც ჰრილობა", „ვით გურამიშვილს შმაგი ლეკები, მზეს მიეწია ღრუბლის მდევარი" და სხვა... ზოგჯერ შედარებას პერსონაჟთა სულიერი განწყობილების ჩვენების ფუნქცია ენიჭება: „რომ როგორც მარტვილს შავი სამოსი, ისე მაცვია სიშორე შენი", „ამ გულში როგორც შენზე ნაღველი, აულში ისე შემოდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწუხრი“... ერთი საგნის მრავალსახედ წარმოდგენის მაგალითები: მთვარე — ლანგარი, მთვარე — ყაჭის გორგალი, მთვარე — ლომის ბოკვერი; ნისლი — უნასი, ნისლი — ცხენი სალარი, ნისლი — ლეგა ლეკვი; ბუნების ფერისცვალების შეუდარებელი სურათი იძერწება შემდეგ სტრიქონებში: „მთებმა ჩაიცვეს ჩრდილის ჩოხები — მზის ჩახდომაზე გლოვის ნიშნადა“.

ბელინსკის განსაზღვრით, პოეზიის არსი სახე ობრივ მეტყველებაშია. მრავალი პოეტის ხმაში იოლად გამოარჩევთ გ. ჯაბუშანურის ლექსის ინსტრუმენტს მხატვრული სახის თავისებური ხმოვანებით. ერთ კარგ ლექსად ღირს ლაპიდარული ნათქვამი: „ბარბაცებს ნისლი ბებერი, (იქნებ სვა წვიმის არაყი!)“ ანდა: „ფერად კაბებში ჩანან ტყეები, თითქოს გაქურდეს შენი სკავრები“.

მაღალია გ. ჯაბუშანურის ალიტერაციული ხელოვნება. ალიტერაცია შინაგანი მუსიკალობის დიდ ეფექტს ქმნის მის პოეზიაში. ლექსის ესთეტიკური ფასეულობა და შნოიანობა ერთი-ორად იზრდება ბგერათა კეთილხმოვანი თავმოყრით. თანხმოვანთა გამეორება ერთიან გამას იძლევ „ამ ცხრა წლის წინათ შენს აულში წამოსვლის მიზეზს ვეძებდი, როგორც მწირ ეწერში წყაროს მწყურვალი“.

ყველაზე ხშირად ალიტერაციის ჯაჭვი წ ბგერაზე დამყარებით იბმება. „წინა წევს წავარნა წყეული, განწირულს გეზი ვინ უჩვენოს...“ დახვეწილი ევფონიით უმაღლესი ჰარმონია და სტროფის ქედილი სიმტკიცეა შექმნილი შემდეგ ნიმუშში: „შენს ცრემლებს ვფიცავ შარშანდელს, ვფიცავ ოცნების შენის შუქს, შავ ნისლებს ვფიცავ შავ მთაზე შენს ბავშვობაში შენიშნულს“.

გ. ჯაბუშანურის პოეზია რითმის მხრივაც იქცევს გულისყურს. რითმა მისთვის არ არის ლექსის გარეგნული სილამაზისა თუ პეწიანობის მსახური სამკაული, არამედ მხატვრულ ქსოვილში, ნაწარმოების კომპაქტურ ქარგაში ძალდაუტანებლად ჩაშიფრული და ჩაკრისტალებული სრულფასოვანი კომპონენტი. გ. ჯაბუშანურმა დისონანსური რითმა ახალ თვისობრივ სიმაღლეზე აიყვანა, რამაც განაპირობა ლექსების პოლიფონიურობა და საირსახოვნება.. ვნახოთ დისონანსური რითმის რამდენიმე ნიმუში: მკვნესარნი — კესანე, მთვარეზე — არესი, მერანი — მირონი, გაუგონ — აუგი, ნაფლეთი — დავფლე და, მუცალი — მოცელე და სხვა...

მკითხველთა ნაწილს შეიძლება ეხამუშოს ისეთი სიტყვების სიჭარბე, როგორიც არის: თელხი, ყამა, დარჯაკი, ნავროზი, ნამლევი, ლიზლი, ზირწუ, უსხი, უგლიმი, ფირმანი, მიზრაფი, ცხემლი და ა. შ. უნდა ითქვას, რომ სწორედ ასეთ ნაკლებთავჩენილ გამოთქმათა თუ არქაულ ფორმათა, ხევსურული კილოსთვის სპეციფიკურ ტერმინთა თუ ცნებათა მიზანშეწონილი ხმარება განაპირობებს გ. ჯაბუშანურის ლექსიკური არსენალის სიმდიდრეს.

პოეტს სახელმძღვანელო პრინციპად [illegible] ლებული ზომიერებისკენ მომწოდებელი დებულება: „ძალიან გონივრული ხასიათი უნდა ჰქონდეს წმინდა ლიტერატურულ ენაში არქაიზმების გაცოცხლებას, დიალექტიზმების შემოტანას“ (პოეტის ჩანაწერებიდან).

მუხლადი და ძარღვიანი, სიძველის სურნელში ამოვლებული და ხალხური მეტყველების მარაგიანი შრეებიდან ნასაზრდოებია გ. ჯაბუშანურის მხატვრული სიტყვა.

* * *

გაბრიელ ჯაბუშანური ოჯახურმა მდგომარეობამ აიძულა, მეოთხე კურსიდან დაეტოვებინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მთაში წასულიყო. ეს იყო 1938 წელს. ერთხანს მასწავლებლობდა არხოტში, მერე იქვე ქოხ-სამკითხველო გახსნა და თვითონვე მუშაობდა მის გამგედ.

მარტოსულობის ელეგიური ტონითაა შეფერილი მისი მაშინდელი დღიურები, ჩანაწერები, პირადი წერილები... კვლავ უმაღლეს სასწავლებელში აღდგენაზე ფიქრობდა, სწავლის გაგრძელებაზე ოცნებობდა. სცადა კიდეც, მაგრამ რატომღაც აღარ მოხერხდა ეს საქმე... პოეტის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „ღმერთო ჩემო, ეს მერამდენედ მეზმანება: თბილისი, უნივერსიტეტი, ამხანაგები. მათ დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებელი. მე გამოცდები უნდა ჩავაბარო, მაგრამ როგორ? — რა ხანია სწავლა მივატოვე. ახ, რარიგად ვიტანჯები!“

სოფელში დარჩენილი გამოსაცემად ჩაბარებული წიგნების ბედზე წუხდა, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებისთვის გადაცემული მასალების გამო თბილისში მყოფი ახლობლების „დასაქმება“ უხდებოდა. საოჯახო და სასოფლო საქმეებისგან მოუცლელობა ხელს უშლიდა, მალ-მალე ჩამოეკითხა „სისხლით ნაწერი“ ლექსებისთვის...

„სად დაიკარგე, სად მიეფარე? როგორ ხარ ბიჭო, არ გრცხვენია, რომ მაგ მთებს შეხიზნულმა არც ერთხელ აღარ გაგვიხსენე ბარელები“ — სწერდა 1945 წლის სექტემბერში თბილისიდან ნიკა აგიაშვილი.

„მარტო განცხადებების გზავნა არ კმარა წიგნის გამოცემისათვის, ან ვაჟახავით მთაში ყოფნა, საჭიროა აქ, მწერალთა საზოგადოებაში შენს საქმეს შენვე მიხედო“, — ურჩევდნენ ანდრო თევზაძე და გრიგოლ ჩიქოვანი.

„გელოდებით შენი მეგობრები და შენი თბილისი“, — ახსენებდა ოთარ კუპრავა.

თუ რა პირობებში უხდებოდა შემოქმედებითი მუშაობა მთაში გ. ჯაბუშანურს, კარგად ჩანს უახლოესი მეგობრის, გიორგი ქავთარაძისადმი თბილისში გაგზავნილი მისი ერთი ბარათიდან. მოგვყავს ნაწყვეტები: „წელან მივიღე შენი წერილი. მიმწუხრი იყო და წისქვილიდან მოვდიოდი. (დედა დღენახევრის სავალზე — თბილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყლებზე გავაგზავნეთ სამკურნალოდ ეს ორი კვირაა და „სადიაცო" საქმეების კეთება მე და ჩემს ძმას დაგვეკისრა)..." „ამ ზაფხულში ვკითხულობდი ბევრს და ვწერდი კიდეც, როცა ოჯახური საქმეებისგან მოცლით ვიყავი. დღეს დავამთავრე მკა. ხვალიდან ვიწყებ თიბვას..." „ლექსების გარდა ცხრა თუ ათი დღე ინტენსიურად ვიმუშავე პოემაზე. დავწერე უკვე რვა თავი, რაც 1000 სტრიქონზე მეტს შეადგენს... პოემას ჰქვია „მონუმენტი..." „ღრუბლიანი ღამეა. ხვალ თუ ავდარი გათენდა, გავაგრძელებ წერას (წვიმაში თივას არ ვამზადებთ), თუ არა და თბილისში რომ ჩამოვალ, მაშინ დავასრულებ..."

წერილი დათარიღებულია 1949 წლით.

გ. ჯაბუშანურს ხშირად უხდებოდა საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა (არხოტი, თბილისი, ღილღო, ლარსი, კაზეთი...) არხოტი და თბილისი იყო ის ორი პოლუსი, რომლებიც თანაბარი ძალით იზიდავდნენ მის არსებას. შინაგანი ხმა მთიდან თბილისისკენ ეწეოდა და — პირიქით... ოთარ კუპრავას ლექსის პასუხში ვკითხულობთ: „მაწვევს თბილისი ურვით მისეტყვილს, მთაში უშქარი ღამის გამომთევს..." ლექსი დაწერილია ლარსში (სოფელი დარიალის ხეობაში)...

არხოტში გაბრიელი მწვავედ განიცდიდა სულიერი საზრდოს ნაკლებობას. ღარიბი ბიბლიოთეკა მის წყურვილს ვერ აკმაყოფილებდა. „ჩემსავით არხვატში უნდა ჩავარდეს კითხვას მიჩვეული და ლიტერატურის მოყვარული კაცი, რომ ნამდვილად გაიგოს, რა არის უწიგნობა" (პოეტის პირადი წერილებიდან). ტყვეობად უჩნდა ქვეყანას მოწყვეტილ, ღიდთოვლობისგან გზებჩაკეტილ სოფელში ცხოვრება: „ეხლა არხოტში მოლი გართვილა, ვიწყებ ტყვეობის მესამე ზამთარს, რომ კვლავ ვისმინო მთების მარტვილმა ქართა ზირწუ და ზრიალი ზვავთა"...

გაბრიელ ჯაბუშანურის ლექსები იქმნებოდა თბილისსა და არხოტში, ლარსსა და ღილღოში, გზაზე და ნახირში, წისქვილში და საკალმახე ახას წყლის სიახლოვეს... პოეტის ხელნაწერ რვეულებში ლექსების ბოლოს ვხვდებით ამგვარ მინაწერებს: „დღე აულ ოლგეთში (ღილღო)", „დილა ხამხის მინდორში". „ქალაქს მივდივარ. ვწერ გზაზე. უმაღლესი წუხილი. მთვარიანი ღამე". „შუაღამის მიღმა ასის ხეობაში. სათევზაოდ. მე, სამუკა, ხახონა", „ანდეზიტის საავადმყოფო". „ღამე ლარსში. გრიგალი. უძილობა". „ბინდბანდი მზისპირში. ხარებს ვეძებ..." და სხვა. მისი ბევრი სანარჩევო ლექსი ბუნების წიაღში მარტოდ ყოფნის დროსაა დაწერილი (ზოგი მათგანი სიპ ქვებზეც კი ყოფილა ამოკაწრული დანის წვერით ან ბროლის ნატეხით). ამას თვით ავტორისეული ცნობები გვიდასტურებენ.

ვფიქრობ, ყოველივე ამის ხაზგასმა არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული პოეტის შემოქმედებითი მუშაობის თავისებურებათა უკეთ წარმოდგენის თვალსაზრისით.

* * *

გაბრიელ ჯაბუშანურის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ჯეროვანი შესწავლა მომავლის საქმეა. არქივზე მუშაობამ დაგვანახა, თუ რამდენი რამ დარჩა განუხორციელებელი პოეტს. მრავალ ჩანაფიქრს შეახმა ყლორტი, ბევრი მონახაზი და ჩანაწერი დარჩა ხორცშეუსხმელი. არქივი სრული სისავსით წარმოგვიდგენს მწერლის მუშაობის მეთოდს, საშუალებას გვაძლევს უკეთ გავერკვეთ მის პოეტურ სამყაროში...

საქმის ფანატიკური სიყვარული ვლინდება დღიურებში, ჩანაწერებში, წინასწარ მოსამზადებელ სამუშაოებში. იქვე ვნახულობთ მცირე თუ ვრცელი მოცულობის ნაწარმოებთა სიუჟეტებს, გეგმებს, პიესების ფრაგმენტებს, ნოველებს, თარგმანებს (ბლოკი, ბრიუსოვი, ბუნინი, პასტერნაკი, ახმატოვა, ესენინი, თაგორი, სტალსკი, ლუკონინი, გამზატოვი...). გ. ჯაბუშანურის დღიურში ვკითხულობთ: „ვაპირებ ბევრი რამის დაწერას... ვცდილობ. ვმუშაობ. მიქრის დრო... მან წამართვა: ბავშვობა, ყრმობა, სიჭაბუკე, ახალგაზრდობა... დაწერე, ჩქარა მოასწარი, — მიბრძანებს იგი, — არა და, ჩემთვის სულერთია, მე მოგსპობთ მაინც: შენც, შენს ნაწერსაც და მკითხველსაც, მოძმესა შენსა". (27. XI. 1959)...

გონების თვალით გავლილი გზის ავ-კარგს ზომავდა, აფასებდა. უკმარისობის, სიცოტავის, მიღწეულით გულუსრულობის მტანჯველი განცდა თან სდევდა, მოსვენებას არ აძლევდა, აფორიაქებდა, ჯერუხილავი მწვერვალებისკენ უხმობდა... დღითი-დღე სიტყვას გეშავდა, წვრთნიდა და შიგ ღრმა ტკივილებს აქსოვდა. მღეროდა, როცა ემღერებოდა, როცა სამღერლად არ ჰქონდა საქმე, მაშინაც ლექსით იქარვებდა სალმობას: „მე სხვაგვარი ტირილი არ შემიძლია, დიდ სატირალს ლექსით ვტირი მარტო..." „ანდა: „მხოლოდ ლექსია წამალი წყლულის..."

„შენთვის უმღერლობაა ძნელი შესანდობი. ვაჟაის სული არ შაგინდობს, თუ არ იმღერე. იმის ხმას შენღა უბრუნებ ექოს", — სწერდა გაბრიელს თბილისიდან ალ. ჰინჭარაული.

უმღერლობა კი მართლაც არ შეეძლო. აკი ამბობდა კიდეც: „რამდენი ხმა არის, რამდენი სათქმელი, ეს გული ლექსებად მეცლება..."

ამსოფლიური სიამე დიდად არასოდეს სწყალობდა. სევდისა და მწუხარების მოტივი განსაკუთრებით ბოლოდროინდელ ლექსებში იგრძნობა. მშობლიური მიწა-წყლის მიტოვება, ახლობლების, სისხლ-ხორცეული ხალხის დაკარგვა მწვავედ ხანძრობდა მის ფაქიზ სულში: „აღარც ბიძა მყავს, აღარც ძმა, არც მამა, არცა მშობელი, მზექალიც სენმა დახარჯა, — უმიჯნა მზე და სოფელი. ღილღოს მიწაში ხუთივე წევს ნათელგაუკარები, ღამეს ოლოლნი უთევენ და ლექსთა ჩემთა პწკარები..."

ადამიანთა სიცოცხლის ტრაგიკული არსით მუდროებადარღვეული, შეწუხებული პოეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხშირად ეძლეოდა სახოწარკვეთილებას („იფქლი კი არა მარტოდენ ბრეა აქამდე ნაქმნი და ნაჯაფარი...“ „ხალხს ვერ მივეცით ხემსი სამყოფი, — ჩანს: უქმად ვხნავდით საყანე ფართობს..“ „რომ თუნდ მცირე ხნით დახდგა კარავი, იმად არა ღირს ფლიდი სოფელი...“).

საწუთროს სიმუხთლემ მაინც ვერ ჩაშრიტა მასში სიმღერის ჟინი.

იმედის კარნახით წერს გ. ჯაბუშანური: „რიყრაყზე შუქსაც შავი კლდე აზშობს, მაგრამ მზე მაინც მიაღწევს ზენიტს...“

გ. ჯაბუშანურის პოეზიისთვის ნიშნეულია სათქმელის განზოგადება, თემის ფილოსოფიური განსჯა-გადაწყვეტა, ფსიქოლოგიური წიაღსვლები, ღონიერი აზრით დაყურსული ქვეტექსტები. ამდენად, მისი ლირიკა საყოველთაო ხასიათს ღებულობს და ფესვებით ქართული პოეზიის ფუძეველ ტრადიციებს უკავშირდება.

ზოგჯერ ისეთი განცდაც კი გვეუფლება, თითქოს პოეტი მოწყვეტილია დედამიწას და მისი მზერა სივრცეთა მიღმეთშია მიკარგული. ხელნაწერებში რამდენიმე ლექსს ბოლოში უწერია: „სიზმარში ნახული“ ან „სიზმარში ნახული თემის განხორციელება“. უმჯობესია თვით პოეტს მოვუსმინოთ: „ჩემს ლექსებსა, ბალადებსა და პოემებში ცხოვრებისეულ სინამდვილეს ფანტაზია და წარმოსახვა სჭარბობს ყოველთვის, — ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს ქმნილებანი გაივლიან პოეტურ ჯოჯოხეთსა და განსაწმენდელს, მე მათში ასახული ამბები, ნამდვილად მომხდარ ცხოვრებისეულ ფაქტებად მეჩვენებიან“ (დღიურიდან, 28. XI. 1958).

დიახ, უველაფერი მხატვრული ოსტატობის ხარისხზე, წარმოსახვის სიძლიერეზე, ქმნილებისთვის დამაჯერებლობის მინიჭების უნარზეა დამოკიდებული. „არის პოეზია გრძნობის, არის აზრის პოეზიაც, მათი ზომიერი სინთეზი უფრო შთამბეჭდავ, გამძლე და მაღალ ეფექტს იძლევა“ (დღიურიდან, 10. VII. 60) არც ერთი სახის პოეზია არ იყო მისთვის უცნობი ქვეყანა, ორივეში თავისუფლად გრძნობდა თავს, კვერავდა საკუთარ ბილიკს... გონების პრიმატი საცნაურია თვით ისეთ ლექსებშიც კი, რომელნიც წმინდა გრძნობის ნაყოფად შეიძლება მივიჩნიოთ...

* * *

გაბრიელ ჯაბუშანურს არ ჰყვარებია ხმაური და იაფფასიანი ტაში. სულ მცირედს მოითხოვდა იგი ხალხისგან: „სანამ თან გუავართ, მომიარეთ და დამაფასეთ. რა არის ჩემთვის დაფასება? უბრალო რამ: მცირეოდენი ყურადღება და თბილი სიტყვა. თუ ამას არ იქმთ, ნულა ვიშ იქმთ, როცა მოვკვდები. ნუ იტყვით, ხელი რატომ არავინ გავუწოდეთო. მე ხომ მცირე რამ მსურდა თქვენგან სიცოცხლის ხანად...“ დღიური დაწერილია მზისპირში (ლილლო), როგორც აღნიშნულია (22 I 1960).

მწარე სიმართლეა, მაგრამ ასეა. სინამდვილეს ვერსად წაუხვალ!..

პოეტის ეს სატკივარი შემდეგ ლექსადაც ითქვა: „სანამ თან გუავართ ამ ქვეყნად, — დამაფასეთ და მიცანით, მიმიჯნეთ ჭორის ავ ყეფას, მიმიჯნეთ შურის ფიწალი...“

გ. ჯაბუშანურმა საკუთარი გამოცდილებით იცოდა, რომ „ყველასთვის სანიაზო და სასიამოვნოა გატკეპნილი გზით სიარული, — ხელოვანთა, მეცნიერთა და მოაზროვნეთათვის კი არა“ (დღიურიდან, 29. XI. 1948). ასეთი იყო მისი მწერლური მრწამსი.

პოეტის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „დავწერ: ყვავილებს ვყიდი. სხვებიც ყიდიან. სხვები კარგად ასაღებენ, მე კი იშვიათად მყავს მყიდველი, თუმცა ჩემი ყვავილები სხვებისაზე ნაკლები არ არის. რაშია საქმე? მე არ ვყვირი, არ ვაქებ ჩემს საქონელს. ხელში მიჭირავს ყვავილები და მუნჯად ვთავაზობ მსურველთ. სხვები კი გამვლელებს კალთებს აგლეჯენ და ყელის ძარღვებს იგლეჯენ თავისი ყვავილების ქებით. მათ სხვა ვილაცეებიც ეხმარებიან და ამიტომ მეტი მუშტარი ჰყავთ. ჩემგან იშვიათად თუ ვინმე იყიდის თაიგულს, მაგრამ ეს ხალხი ძალიან მახარებს. მათ ესმით ყვავილების ფასი...“

გამჭვირვალეა ნათქვამის ქვეტექსტი.

მინდვრის უბრალო ყვავილების თაიგულივით ფერმრავალია გ. ჯაბუშანურის პოეზია. ფერმრავალი და შინაარსიანი.

„ძალიან მიყვარს გაბრიელ ჯაბუშანური, როგორც კაცი და როგორც პოეტი“, — თქვა თავის დროზე ერთ ინტერვიუში კონსტანტინე გამსახურდიამ.

ქართული სიტყვის დიდოსტატისგან ამგვარი აღიარება ცოტას არ ნიშნავს...

ლექსისადმი ბზარგაუჩენელ ერთგულებასა და ულალატო სამსახურში კანდელივით ჩამოდნა გ. ჯაბუშანურის არც თუ ბედკეთილი და დალხინებული სიცოცხლე. მან იცოდა, რომ „სიტყვას ტკივილი მოეთხოვება, — ტკივილს და მარტვილს ინახავს ხალხი“ და ამიტომაც, ცხოვრების ჟამიერი ჭრილობებით გულგაისრული არასოდეს გასდგომია განზე თავსდატეხილ სვესა თუ უსვეობას.

სიცოცხლის დასალიერთან პოეტი ამბობდა: „როცა უკუნის გავხდები ხემსად, არც მზეს დავუწყებ უქმად მოლოდინს, — ვინ დაუდგება ჩემს წიგნებს მწყემსად, ვინ შეაგროვებს ლექსებსა ჩემსა, გადაფანტულებს უპატრონოდა...“

გაბრიელ ჯაბუშანურის ჯერაც უცნობი შემოქმედებითი მემკვიდრეობა ელოდება გულისხმიერი მეურვის ხელს, გამომზეურებას, მრავალრიცხოვანი მკითხველისკენ გზის გაგნებას.

დინარა ფორჩხიძე

# შრომაში გახარჯული წლები...

## სიმონ არველაძის დაბადებიდან 60 წლისთავის გამო

ხამ ათეულ წელზე მეტია, რაც ჩვენი მწერლობის ასპარეზზე ერთგულად იღწვის სიმონ არველაძე — კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, სტუდენტი ახალგაზრდობის უანგარო აღმზრდელი, კაცი, რომლის გული მუდამ ძგერს სამშობლოს ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის.

სიმონ არველაძის შემოქმედებითი შრომა და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა განუყოფლად დაკავშირებულია მის მშობლიურ ქალაქთან — სავარდო და სამაისო ქუთაისთან. აქ, 1940 წელს, დაამთავრა მან საშუალო სკოლა; იმავე წელს, გაზეთ „ინდუსტრიულ ქუთაისში" დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი. სულ მალე საშუალო სკოლის ფრიადოსანი კურსდამთავრებული გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. ეს იყო დიდი სამამულო ომის წლები. სიმონ არველაძე იბრძოდა დასავლეთ უკრაინის საზღვარზე. ომის ელვიანი ბილიკებით, ბრძოლით განვლო გზა მდინარე ელბამდე. ომი იყო მაშინდელი ახალგაზრდობის მკაცრი გამოცდა, და ეს გამოცდა მან კარგად ჩააბარა. დაჯილდოვდა მრავალი საბრძოლო მედლით, მიღებული აქვს მთავარსარდლობის არაერთი მადლობა. ომის დამთავრებიდან კიდევ ერთი წელი დაჰყო გერმანიის ტერიტორიაზე და შემდეგ, როგორც დემობილიზებული და ვალმოხდილი, დაბრუნდა სამშობლოში.

როგორც კურსდამთავრებული ფრიადოსანი და დიდი სამამულო ომის მონაწილე, სიმონ არველაძე 1947 წელს უგამოცდოდ ჩარიცხეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. სრული კურსი წარჩინებით დაამთავრა 1952 წელს. სტუდენტური წლები გაატარა ჩინებულ გარემოში და მეცადინეობა ერთობ ნაყოფიერი გამოდგა. მას ასწავლიდნენ სახელგანთქმული ქართველი მეცნიერები: დიმიტრი უზნაძე, შალვა ნუცუბიძე, კოტე ბაქრაძე, სავლე წერეთელი, რევაზ ნათაძე, ალექსანდრე ფრანგიშვილი, გიორგი ჯიბლაძე, ალექსანდრე ქუთელია, პეტრე შარია და სხვ. უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრეს მაშინ ბესარიონ ჟღენტი ხელმძღვანელობდა. წრეში სიმონ არველაძეც მეცადინეობდა ნოდარ დუმბაძის, შოთა ნიშნიანიძის, რევაზ ჯაფარიძის, არჩილ სულაკაურის, მუხრან მაჭავარიანის, ოთარ მამფორიას, გიორგი ხუხაშვილის და სხვათა გვერდით. მათი თაოსნობითა და მონაწილეობით ხშირად იმართებოდა საინტერესო ლიტერატურული საღამოები. სიმონ არველაძეც ყოველთვის იყო ამ ღონისძიებათა აქტიური მონაწილე, მადლიერების გრძნობით იგონებს იგი 50-60-იან წლებში „მნათობის" რედაქციის ძველ მუშაკს, ცნობილ მწერალს შალვა ალხაზიშვილს, რომელიც დაუღალავად ზრუნავდა ლიტერატურული ახალგაზრდობის აღზრდისა და შემოქმედებითი დაწინაურებისათვის.

1952 წლიდან სიმონ არველაძე უბრუნდება ქუთაისს, განაგრძობს ლიტერატურულ და პედაგოგიურ-სამეცნიერო მოღვაწეობას. მის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა ახალგაზრდობასთან, მომავალ თაობასთან მუშაობამ. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა სკოლაში დაიწყო და წლების განმავლობაში მოვალეობის შეგნებით, მაღალი პასუხისმგებლობით ემსახურებოდა მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საპატიო საქმეს, პარალელურად მუშაობდა პიონერთა სასახლეში.

ნორჩ შემოქმედთა წრის ხელმძღვანელი, კრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკოსი სიმონ არველაძე ყოველ დღე, დაუღალავად, დიდი რუდუნებითა და სიყვარულით უნერგავდა ახალგაზრდა თაობას ქართველი ხალხის, ქართული ენის, ქართული მიწისა და უძველესი კულტურის სიყვარულს. მას ჰქონდა უნარი სათუთად მოპყრობოდა და გაფრთხილებოდა ახალგაზრდული პოეზიის პირველ ყვავილობას, პირველ დაფრთიანებას, შემდეგ კი დიდი გულისყურით და მღელვარებით ედევნებინა თვალი მათთვის. მისი აღზრდილებიდან მარტო ენვერ ნიჟარაძისა და გივი ალხაზიშვილის დასახელება იკმარებდა. აქვე უნდა დავასახელოთ პროზაიკოსები — ჯემალ ქარჩხაძე, თეიმურაზ ლანჩავა, ვაჟა თვდორაძე; მეცნიერ-მუშაკები: რუბენ ენუქიშვილი, თამარ ინჯია, ლეილა თეთრუაშვილი და სხვ. მათ უკვე თავისი სიტყვა თქვეს და თავისი ადგილი დაიმკვიდრეს საზოგადოებრივ ასპარეზზე, მტკიცედ მიჰყვებიან იმ გზას, გარდასული ბავშვობისას რომ დააყენა სიმონ მასწავლებელმა. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა იგი მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებაში ახალგაზრდა მწერალთა სექციას, სადაც იმხანად დაოსტატდნენ ჯანსულ ღვინჯილია, ტაგუ მებურიშვილი, თეიმურაზ აბულაძე, სულხან აბდალაძე, ავთანდილ ნიკოლეიშვილი და სხვ.

სიმონ არველაძეს მომადლებული აქვს კეთილი გული, რაც აუცილებელია ახალგაზრდებთან მუშაობის დროს. მისი ერთ-ერთი დამსახურება ისიცაა, რომ მისმა წრემ და აღზრდილებმა ქუთაისის ფარგლებს გარეთაც, მთელ რესპუბლიკაში გაითქვეს სახელი.

1960 წლიდან სიმონ არველაძე უმაღლესი სასწავლებლის მუშაკია, ხუთი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის ქუთაისის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტს, კითხულობს ლექციებს მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაში. 1966 წელს იგი სამუშაოდ გადადის ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქუთაისის ფაკულტეტზე, სადაც კითხულობს ლექციებს ჯერ მეცნიერულ კომუნიზმში, შემდეგ კი დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმში.

1972 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე სიმონ არველაძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „შემოქმედების თავისუფლების პრობლემისათვის“ და მოიპოვა ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. თემის მეცნიერული ხელმძღვანელი იყო აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე; ამჟამად სიმონ არველაძე მუშაობს აკად. ნ. მუსხელიშვილის სახელობის ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ფილოსოფიისა და მეცნიერული კომუნიზმის კათედრის დოცენტად, ხელმძღვანელობს ფილოსოფიურ დისციპლინათა საგნობრივ კომისიას. ხანგრძლივი ნაყოფიერი პედაგოგიურ-სამეცნიერო მუშაობისათვის იგი დაჯილდოებულია „საქართველოს სსრ სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“, სხვადასხვა დროს მას მიღებული აქვს საქართველოს სსრ განათლების სპეციალური და უმაღლესი განათლების სამინისტროს საპატიო დიპლომები და სიგელები. ახლახან ხანგრძლივი ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისა და დაბადების 60 წელთან დაკავშირებით სიმონ არველაძე დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

სიმონ არველაძე ნაყოფიერად მუშაობს ქართული კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის დარგში. იგი არის ათამდე წიგნის, მრავალი წერილის თუ გამოკვლევის ავტორი. მისი პირველი ნაშრომი „ვ. ი. ლენინის სახე საზღვარგარეთულ პროგრესულ პოეზიაში“ გამოიცა 1962 წელს. საზღვარგარეთულ პოეტურ ლენინიანაზე მან შემდეგაც გამოაქვეყნა საჟურნალო წერილები — „ჩვენი პლანეტის სიამაყე“, „ლენინიანას ახალი ჰანგები“, „სიტყვა — დილა, სიტყვა — სინათლე“ და სხვ. 1966 წელს გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებამ“ გამოსცა მისი წიგნი „პოეზია და თანამედროვეობა“, რომლის რედაქტორი იყო გამოჩენილი კრიტიკოსი ბესარიონ ჟღენტი. მომდევნო წლებში გამოვიდა წიგნები „შემოქმედების თავისუფლება“ (1968 წ.), „იდეალი და შემოქმედების თავისუფლება“ (1971 წ.), „ლიტერატურული წერილები“ (1973 წ.); მეტად ნაყოფიერი გამოდგა ავტორისათვის 1977 წელი, როცა გამოიცა მისი სამი წიგნი: „შთაგონება და პოეზია“ („საბჭოთა საქართველო“), „კრიტიკული ნარკვევები“ („მერანი“) და „შემოქმედება და თავისუფლება“ („ხელოვნება“). ამას გარდა, სიმონ არველაძემ ნარკვევები, წერილები და გამოკვლევები მიუძღვნა გალაკტიონ ტაბიძის, სიმონ ჩიქოვანის, ი. მოსაშვილის, ი. აბაშიძის, გრ. აბაშიძის, პ. იაშვილის, ი. ნონეშვილის, რ. მარგიანის, ზ. ბერულავას, ო. ჭილაძის, შ. ნიშნიანიძის და სხვათა შემოქმედებას; გ. ჯიბლაძის, გ. ნატროშვილის, გ. ლომიძის, ე. ქარელიშვილის, გ. მერკვილაძის და სხვათა კრიტიკულ-ლიტერატურულ შეხედულებათა შეფასებას. იგი ავტორია ისეთი საყურადღებო გამოკვლევებისა, როგორიცაა „რუსთაველის ესთეტიკური იდეალი“, „პოეზია და ფილოსოფია“, „წარმოსახვა და მხატვრული დეტალი“, „შემოქმედებას სიმართლე უყვარს“, „ვ. მაიაკოვსკი და დემოკრატიული გერმანიის პოეტები“, „არტურ ლაისტი და საქართველო“.

სიმონ არველაძის მთელ შემოქმედებითს მოღვაწეობას მხატვრული კრიტიკის სარბიელზე ერთი მთლიანი ღერძი აქვს — ცხოვრებისა და შემოქმედების მჭიდრო ურთიერთკავშირის გარკვევა. მისი შრომები მკითხველის ყურადღებას იპყრობს საკვლევი საკითხების სწორი შერჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით, საკითხების ცოცხალი მხატვრული შემოქმედების პრაქტიკასთან ორგანულ კავშირში წარმოდგენით და მართებული დასკვნებით.

მონოგრაფიაში „შემოქმედება და თავისუფლება“ ავტორი ღრმა ცოდნით და დამაჯერებლობით ასაბუთებს და იცავს მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის ფუძემდებლურ პრინციპებს, იგი ნათელყოფს თუ რა ბუმბერაზულ როლს ასრულებს ლიტერატურა დღეს, იმ დიდ იდეოლოგიურ ბრძოლაში, რომელსაც მოწინავე კაცობრიობა აწარმოებს მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ. სოციალისტური რეალიზმის თვალსაზრისით არ არსებობს არავითარი ხელოვნება არათუ საერთოდ სოციალურ-პოლიტიკური პლატფორმის, არამედ კიდევ მეტი, ჯანსაღი სოციალურ-პოლიტიკური ტენდენციის გარეშე. ამავე ნაშრომში ავტორი აკრიტიკებს თანამედროვე ბურჟუაზიულ ხელოვნებას, კერძოდ, აბსტრაქციონიზმს, როგორც ხელოვნების თეორიას. აბსტრაქციონიზმმა განავითარა აბსურდის პრინციპი ხელოვნებაში და გეომეტრიის კარიკატურად იქცა. აქ აისახა ბურჟუაზიული კულტურის უპერსპექტივობა და შესაბამისად, ესთეტიკური ენერგიის გამოფიტვა. სიმონ არველაძის კრიტიკულ შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ხალხთა ლიტერატურული თანამეგობრობის, ურთიერთდაახლოებისა და სულიერი გამდიდრების მოტივებს. ამ თემატიკურ რკალს განეკუთვნება წერილები „უკრაინელი მოტივები“, „აფხაზური სიმღერის ექო“ და სხვ.

ქართული ლიტერატურული კრიტიკა თავის მხრივ დროულად ეხმაურება და ყურადღებით განიხილავს სიმონ არველაძის კრიტიკულ ნააზრევს. 1970 წელს გამოიცა ბიბლიოგრაფიული საძიებელი, რომელიც ნათლად გვიშლის თვალწინ მისი მრავალფეროვანი მოღვაწეობის სურათს ქართული კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის დარგში.

ფართო და მრავალმხრივია სიმონ არველაძის ინტერესთა და პრობლემათა კვლევა-ძიების სფერო. იგი, როგორც კომუნისტი მწერალი და მეცნიერი, პირნათლად ასრულებს არაერთ პარტიულ და საზოგადოებრივ დავალებას, არის საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ლექტორი, პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის მეთოდკაბინეტის მეცნიერ-ხელმძღვანელი, ალმანახ „განთიადის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებაში კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის სექციის ხელმძღვანელი და სხვ. იგი არის ბევრი სასიკეთო წამოწყების თაოსანი და პირუთვნელი განმსჯელი უახლეს ლიტერატურულ მოვლენათა ავ-კარგისა.

სამოცი წელი ისეთი მნიშვნელოვანი მიჯნაა ადამიანის ცხოვრებაში, რომ, ალბათ, ყველას და მით უმეტეს, შემოქმედს, უჩნდება სურვილი, ერთხელ კიდევ თვალი გაადევნოს განვლილ გზას, შეაფასოს, განსაჯოს რისთვის უცხოვრია ამ ქვეყნად, რა გააკეთა თავისი ხალხის საკეთილდღეოდ. ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რაოდენ შინაარსიანი იყო ჩვენი საყვარელი სიმონის ღვაწლი და ამაგი ქართული ლიტერატურის წინაშე; იგი კვლავაც იმ რწმენითა და იმედით, კვლავაც მუხლაუჩქარებლად, ნათელი სახითა და სუფთა სინდისით განაგრძობს ნაყოფიერ მოღვაწეობას ჩვენი მწერლობის დიდ სარბიელზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ ლომოური

# კვლავ ნოქალაქევისა და მითიური აიას იგივეობის შესახებ

1979 წლის „მნათობის" № 5-ში ჩვენ გამოვაქვეყნეთ წერილი: „ნოქალაქევისა და ციხეგოჯის იგივეობის თაობაზე", რომელშიაც, სხვა საკითხებთან ერთად, შევეხეთ აგრეთვე მოსაზრებას ნოქალაქევთან ძველ ბერძნულ წყაროებში მოხსენებული ქალაქის აიას (იგივე ეას) გაიგივების შესახებ. რამდენადაც ნოქალაქევისა და აიას იგივეობას უკანასკნელად საგანგებოდ და ვრცლად პროფ. მ. შენგელია შეეხო („სად იყო მედეას ბაღი?", ჟურნალი „განთიადი", 1975 წ. № 3), ბუნებრივია, რომ ჩვენ სწორედ მის არგუმენტაციას განვიხილავდით. ჩვენ არ დავეთანხმეთ პატივცემული მკვლევარის დასკვნებს და გამოვთქვით გარკვეული მოსაზრებები. პროფ. მ. შენგელიამ საჭიროდ ჩათვალა საგანგებოდ ეპასუხა ჩვენთვის (იხ. ჟურნ. „მნათობი", 1980 წ. № 1, „ისევ აია-ნოქალაქევის იგივეობის და ლოკალიზაციის საკითხისათვის"), რამდენადაც აია-ნოქალაქევის იგივეობის საკითხი არაა ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელზედაც აუცილებელი იყოს საგანგებო დისკუსია (ეს საკითხი ალბათ დროთა ვითარებაში გაირკვევა ნოქალაქევში არქეოლოგიური გათხრების შედეგად), ჩვენ არ გავაგრძელებდით პატივცემულ მეცნიერთან კამათს, მას რომ ჩვენს წერილში არ აღმოეჩინა აქ თითქოსდა არსებული მ ე თ ო დ ო ლ ო გ ი უ რ ი ხ ა რ ვ ე ზ ე ბ ი: ჩვენ თურმე ხშირად წინააღმდეგობაში ვვარდებით, არასაკმარისი პატივისცემით ვეპყრობით გამოჩენილ მკვლევართ, დაუსაბუთებლად ვაყენებთ დებულებებს და ვიღებთ დასკვნებს. უფრო მეტიც, არასაკმარისად ვიცნობთ ანტიკურ წყაროთა მონაცემებს. ეს ბრალდებები კი სერიოზულ ჩრდილს აყენებენ ჩვენს ისედაც მოკრძალებულ პრესტიჟს, როგორც მკვლევარ-სპეციალისტისას. სწორედ ამ გარემოებამ გვაიძულა საპასუხო ხმა გაგვეღო და ზოგიერთი განმარტება მიგვეწოდებინა მკითხველისათვის. ეს მით უფრო საჭიროდ მივიჩნიეთ, რომ მკითხველთა გარკვეულმა ნაწილმა დიდი ინტერესი გამოიჩინა საკამათო საკითხისადმი და, წერილობით თუ პირად საუბარში, ჩვენგან ასეთი განმარტება მოითხოვა.

ზემოხსენებულ წერილში ჩვენ ვწერდით, რომ „არ არსებობს არც ერთი წყარო, რომელშიაც აია გაიგივებული იყოს არქეოპოლის-ნოქალაქევთან" პროფ. მ. შენგელია არ ეთანხმება ამ დასკვნას და აღნიშნავს: „ამავე დროს, თვითონ ნ. ლომოური იქვე ასახელებს იმ ავტორებსა და წყაროებს, რომლებიც იზიარებენ ამ იგივეობას (პ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, რ. ერისთავი, ა. მურავიოვი) და თვითონვე გვაწვდის ავტორს, რომელიც ჩვენ არ დაგვისახელებია — შვეიცარიელ სწავლულს ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს, რომელსაც, ავტორის (ე. ი. ჩვენი, ნ. ლ.) თქმით, პირველად... არქეოპოლისი... აიასთან გაუგივებია"... ცოტა ქვევით — დასკვნა: „მაშასადამე, თვით პროფ. ნ. ლომოურის მიერ მოყვანილი ცნობებითაც დასტურდება, რომ: 1. არაა სწორი მის მიერ ხაზგასმული დებულება, რომ თითქოს არ არსებობს არც ერთი წყარო" აია-ნოქალაქევის გაიგივებისათვის" („მნათობი", 1980, № 1, გვ. 166)

აქ უბრალო გაუგებრობაა. ჩვენ ვლაპარაკობთ აია-ნოქალაქევის იგივეობის შესახებ წ ყ ა რ ო ს არარსებობაზე. რა შუაშია აქ დიუბუა დე მონპერეს, პ. იოსელიანის, დ. ბაქრაძის, რ. ერისთავის და ა. მურავიოვის მოსაზრებები? ცალკე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვით დამწყებ ისტორიკოსსაც კარგად მოეხსენება, რა განსხვავებაა წყაროსა და ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებას შორის. ზემოჩამოთვლილ მკვლევარ-მოგზაურთა მიერ გამოთქმული მოსაზრება აია-ნოქალაქევის იგივეობის შესახებ, ცხადია, წყარო არაა. ეს მხოლოდ მეტნაკლებად დასაბუთებული მეცნიერული მოსაზრებაა, ჩვენ კი აღვნიშნავდით ასეთი იგივეობის დამადასტურებელი წყაროს, პირველწყაროს არარსებობას. პროფ. მ. შენგელიამაც ვერ შეძლო ჩვენი მტკიცების საწინააღმდეგოდ რაიმე პირველწყაროს მონაცემის მოტანა. ამდენად ძალაში რჩება ჩვენი ხაზგასმული დებულება, რომ აია-ნოქალაქევის გაიგივებისათვის არ არსებობს არც ერთი წყარო.

პროფ. მ. შენგელიას თავის საპასუხო წერილში მოაქვს ძველ ბერძენ-რომაელ ავტორთა ცნობები, სადაც აია კოლხეთის ქალაქად ან მის დედაქალაქად იხსენიება და, როგორც ჩანს, ჰგონია, რომ ჩვენ ან არ ვიცით ეს ცნობები, ან საგანგებოდ უგულვებელვყოფთ მათ. მაგრამ რას აძლევს ყველა ეს ცნობა თვით პროფ. მ. შენგელიას? დავუშვათ, რომ ყველა ის ავტორი, ვინც აიას კოლხეთის ქალაქად მიიჩნევს, მართალია და კოლხეთში ასეთი სახელწოდების ქალაქი მართლაც რეალურად არსებობდა; დავუშვათ ისიც, რომ აია ოდესღაც კოლხეთის დედაქალაქიც იყო. მერე რა? განა რომელიმე ამ ძველ ავტორს, თუნდაც ერთს მათგანს, აია არქეოპოლისთან აქვს გაიგივებული? ჩვენი კამათი ხომ სწორედ ამას ეხება — შეიძლება თუ არა აიას არქეოპოლის-ნოქალაქევთან გაიგივება.

ან იქნებ პროფ. მ. შენგელიას ჰგონია, რომ, რადგან მას პლინიუსისა და სტეფანე ბიზანტიელის მიერ აიას ადგილმდებარეობის განსაზღვრა მიაჩნია ამ ქალაქის ნოქალაქევის ადგილას ლოკალიზაციის საფუძვლად, თვით ამ ავტორთა ცნობები არის აია-ნოქალაქევის იგივეობის დამადასტურებელი წყაროები? რასაკვირველია, არც ესაა მართებული. პლინიუსისა და სტეფანე ბიზანტიელის ცნობები შეიძლება წყაროდ გამოდგეს თვით ქ. აიას მდებარეობის კვლევისას, მაგრამ აიას ნოქალაქევთან გაიგივება თვით მ. შენგელიას მოსაზრებაა, წყაროებში ამაზე ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი.

მაგრამ კიდევ ერთხელ ვნახოთ, იქნებ ეს ორი ავტორი მართლაც ისეთ ცნობებს გვაწვდიან, რომლებიც აიას მდებარეობას ზუსტად ნოქალაქევის ადგილას მიუთითებენ. მაშინ პროფ. მ. შენგელიას მართლაც ექნება საფუძველი ამტკიცოს, რომ ეს ორი ცნობა წყაროა აია-ნოქალაქევის იგივეობისათვის. პლინიუსით აია მდებარეობს 15.000 ნაბიჯის დაშორებით ზღვიდან, იმ ადგილას, სადაც ფაზისს სხვადასხვა მხრიდან უერთდება დიდი მდინარეები ჰიპოსი და კიანეოსი; ამასთან, პლინიუსის ცნობით, ეს ქალაქი მის დროს უკვე აღარ არსებობდა („ბუნების ისტორია“, VI, 18). სტეფანე ბიზანტიელის „ეთნიკაში“ აღნიშნულია, რომ აია არის კოლხთა ქალაქი, „ზღვას დაშორებულია სამასი სტადიონით. მას ჩამოუდის ორი მდინარე ჰიპოსი და კიანეოსი, რომლებიც მისგან ნახევარკუნძულს ჰქმნიან“ (გეორგიკა, III. გვ. 274). მაშასადამე, ორივე ცნობით ქალაქი აია მდებარეობდა მდ. ფაზისის (რიონის) ნაპირას, ხოლო ნოქალაქევი რიონისაგან ჩრდილოეთით სულ ცოტა 20 კმ-ითაა დაშორებული; უკვე ეს გარემოება საეჭვოს ხდის აიას გაიგივებას ნოქალაქევთან. ორივე ავტორისათვის აიას მდებარეობის გარკვეულ ორიენტირად გვევლინება მდინარეები ჰიპოსი და კიანეოსი, მაგრამ აშკარაა, რომ მათ არა აქვთ საკმარისად ნათელი წარმოდგენა ამ მდინარეებზე. პლინიუსით ჰიპოსი და კიანეოსი „სხვადასხვა მხრიდან“ უერთდებიან მდ. ფაზისს. სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილად ითვლება, რომ ჰიპოსი უდრის ცხენისწყალს, ხოლო კიანეოსზე კი გამოთქმულია მოსაზრება, რომ ის შეიძლება ტეხურს უდრიდეს (კისლინგი). მაგრამ ცხენისწყალი და ტეხური სხვადასხვა მხრიდან არ უერთდებიან რიონს — ისინი პარალელურად მიედინებიან და თანაც ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებით (დაახ. 22 კმ. მანძილზე) უერთდებიან ფაზის — რიონს. ამავე მიზეზით ფრიად არაზუსტი ჩანს სტეფანე ბიზანტიელის ცნობაც, რომ ორივე ეს მდინარე ქ. აიას ჩამოუდის: ერთმანეთისაგან ესოდენ დაშორებული ორი მდინარე ვერაფრით ვერ ჩაუვლიდა ქალაქს და მისგან ნახევარკუნძულს ვერ შექმნიდა; თუ ამას დავუმატებთ, რომ პლინიუსი და სტეფანე ბიზანტიელი საკმაოდ განსხვავებულ მანძილებს გვაძლევენ აიას ზღვიდან დაშორებისა — პირველი 22,2 კმ-ს ასახელებს, მეორე კი 55,5 კმ-ს, მაშინ ცხადი გახდება, რომ ამ ავტორებმა „ნაბიჯებითა და ცალკეული მეტრებით“ კი არ გაზომეს მანძილი ზღვიდან აიამდე, როგორც ეს პროფ. მ. შენგელიას ჰგონია, არამედ რაღაც არაზუსტი, არანიშანდობლივი წყაროების საფუძველზე შეადგინეს თავიანთი ცნობები. გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ, როგორც აღნიშნული გვქონდა, პლინიუსის დროს, მისივე განცხადებით, ქ. აია უკვე აღარ არსებობდა და იგი მხოლოდ ძველი წყაროებიდან იღებს მის (და ფაზისის გაყოლებით მდებარე სხვა ქალაქების) შესახებ ცნობებს, ხოლო სტეფანე ბიზანტიელის „ეთნიკას“, როგორც ეს უახლესი გამოკვლევებითაა გარკვეული (ბ. მიულერის, ე. ჰონიგმანის ა. სტემპლიგერის), საერთოდ ძალზე დაბალი ღირებულება გააჩნია როგორც ისტორიულ-გეოგრაფიულ თხზულებას, რადგან თვით სტეფანეს ძირითადად, აინტერესებდა თავისი მასალა გრამატიკული თვალსაზრისით. თუ ყოველივე ზემოთქმულს გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება, რომ პლინიუსისა და სტეფანე ბიზანტიელის ცნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებს არც თვით ქ. აიას ლოკალიზაციისათვის შეიძლება მიენიჭოს გადამწყვეტი მნიშვნელობა და, მით უფრო, მის ნოქალაქევთან გაიგივებისათვის.

მაშასადამე, უნდა გავიმეოროთ, არ არსებობს არც ერთი წყარო, რომელიც არამცთუ ადასტურებს აია-ნოქალაქევის იგივეობას, არამედ ამ იგივეობის საკითხის დაყენების საფუძველს იძლეოდეს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს მიერ ნოქალაქევთან აიას დაკავშირება უფრო ზოგადი პირადი შთაბეჭდილების შედეგია, ვიდრე მეცნიერულად არგუმენტირებული მოსაზრება, ხოლო დანარჩენები, ვინც აგრეთვე აღნიშნავს ამ იგივეობას, ძირითადად იმეორებენ ამ მოსაზრებას. ამიტომ, ჩვენის აზრით, არ შეიძლება ლაპარაკი რაიმე „საუკუნეობრივ ტრადიციაზე“, მით უფრო „დამკვიდრებულ აზრზე“ აია-ნოქალაქევის იგივეობის შესახებ.

პროფ. მ. შენგელია მაინც თავის მოსაზრებას იცავს და რამდენიმე მიმართულებით გვეკამათება. პირველ რიგში იგი გვედავება იმ საკითხში, რომ დიუბუა დე მონპერე მხოლოდ „რიტორიკული აღფრთოვანებით“, პირადი შთაბეჭდილებით და საგანგებო დასაბუთების გარეშე კი არ ავითარებს თავის მოსაზრებას, „არამედ იშველიებს უძველეს ბერძნულ-რომაულ წყაროებს, სტრაბონის, პლინიუსისა და სტეფანე ბიზანტიელის ცნობებს“ (იქვე, გვ. 166). დიახ, ჩვენ ახლაც ვთვლით, რომ დიუბუამ მეცნიერული არგუმენტაციის გარეშე გააიგივა აია ნოქალაქევთან. მართალია, მან მოიტანა დასახელებულ ავტორთა ცნობები აიას შესახებ, მაგრამ აბა რა მეცნიერული არგუმენტებით დაამტკიცა ის, რომ ამ ცნობებში მოხსენიებული აია სწორედ ნოქალაქევშია საძიებელი?! მან ყოველგვარი კვლევის გარეშე, დეკლარატიულად აღიარა, რომ მდინარეები ჰიპოსი და კიანეოსი — ეს ცხენისწყალი და ტეხურია და აქედან გააკეთა დასკვნა, რომ აია უნდა იყოს ნოქალაქევი. ცხადია, ეს არაა წყაროების მეცნიერული ინტერპრეტაცია და ამდენად დიუბუას მიერ აიას ნოქალაქევთან გაიგივება მეცნიერულად არგუმენტირებულ მოსაზრებად ვერ ჩაითვლება. პროფ. მ. შენგელია დიუბუა დე მონპერეს თხზულებას რომ გაეცნოს, თვითვე დარწმუნდება, რომ შვეიცარიელ მოგზაურს სხვაგანაც აქვს ასეთი უზუსტობანი დაშვებული, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის ადგილობრივ პუნქტთა ბერძნულ-რომაულ წყაროებში მოხსენიებულ გეოგრაფიულ ობიექტებთან გაიგივებას ახდენს. საკმარისია მივუთითოთ, რომ სოფ. ვაშნარში შემორჩენილი ნანგრევები მან, ასევე ზერელე შთაბეჭდილების საფუძველზე, ბიზანტიური ხანის ქალაქ პეტრასთან გააიგივა, იმ დროს, როდესაც ეს უკანასკნელი რეალურად ციხისძირის ადგილზე მდებარეობდა (ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, II, გვ. 83; ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 80).

პროფ. მ. შენგელიას არ სჯერა, რომ დანარჩენი ავტორები უბრალოდ იმეორებენ დიუბუას მოსაზრებას და აქ ჩვენ გვკიცხავს კიდევაც იმის გამო, რომ ჩვენ თითქოს არასაკმარისი პატივისცემით ვეკიდებით ამ ავტორებს. „ჩვენ ვფიქრობთ, — წერს პროფ. მ. შენგელია, — არ შეიძლება ამ ამბის ასეთი ინტერპრეტაცია — ეს ზემოხსენებული გამოჩენილი მკვლევარები და მეცნიერები არ შეიძლება ჩავთვალოთ ზერელე, მხოლოდ სუბიექტურ შთაბეჭდილებას აყოლილ პირებად; ნუთუ დ. ბაქრაძე იმდენად არასერიოზული მკვლევარი იყო, რომ ის მხოლოდ შეუცნობლად იმეორებდა მონპერესა და მურავიოვის დებულებებს! მურავიოვიც, ბაქრაძეც, პ. იოსელიანიც, რ. ერისთავიც რადგან სწერდნენ, სრულიად შეგნებულად იზიარებდნენ კიდეც მოსაზრებას აია-ნოქალაქევის იგივეობის შესახებ და არც მეცნიერული, არც მორალური უფლება არა გვაქვს დავწამოთ მათ არასერიოზული, შეუცნობელი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი“ (იქვე. გვ. 167).

ამის პასუხად უნდა მოვახსენოთ პატივცემულ მეცნიერს, რომ ა. მურავიოვი საერთოდ არ იყო არც მკვლევარი, არც მეცნიერი (მით უფრო გამოჩენილი); იგი სამღვდელო პირი იყო და ამიერკავკასიაში მოგზაურობდა აქაური „წმინდა ადგილების“ გასაცნობად; არა მგონია, „გამოჩენილ მკვლევრად“ შეიძლებოდეს მიჩნევა ჩვენი სასიქადულო მწერლის რაფიელ ერისთავისა, მიუხედავად მისი დიდი დამსახურებისა ქართული ეთნოგრაფიული მასალების შეგროვების საქმეში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ღმერთმა დაგვიფაროს, რომელიმე ამ მოღვაწეთაგანს არასერიოზულობა დავწამო! მაგრამ ჩვენ ხომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ამ ავტორთა საგანგებო გამოკვლევებთან ნოქალაქევის შესახებ, არამედ ან მოგზაურობათა აღწერილობასთან, ან მიმოხილვითი ხასიათის თხზულებებთან. დ. ბაქრაძე, რომლის მთავარ მიზანს შეადგენდა აღენუსხა კავკასიის ქრისტიანული ძეგლები, ნოქალაქევში ეხება და აღწერს მხოლოდ აქაურ ეკლესიას, ყველაფერი დანარჩენი კი პირდაპირ, სიტყვასიტყვით გადმოწერილი აქვს მურავიოვიდან. რ. ერისთავმაც თავის „მოგზაურის შენიშვნებში სამეგრელოზე“ მხოლოდ გაკვრით აღნიშნა აიას და ნოქალაქევის იგივეობა. რაც შეეხება პ. იოსელიანს, მის მონაცემებში არქეოპოლისსა და აიაზე ისე არეულად და არაზუსტადაა ძველი წყაროების ცნობები გადმოტანილი, რომ აქედან საერთოდ გაძნელდება რაიმე პოზიტიური დასკვნის გამოტანა; ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ჩვენ საქმე გვაქვს XIX საუკუნის ავტორებთან, რომლებიც საკმაოდ იოლად წყვეტდნენ ეტიმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოგიებისა და ლოკალიზაციების საკითხებს — ეს ქართული ისტორიოგრაფიის მაშინდელი დონით აიხსნება და არა ამ მოღვაწეთა „არასერიოზულობითა“ და „ზერელობით“. ამდენად სავსებით გასაგებია, რომ ეს ავტორები დაეყრდნენ დიუბუა დე მონპერეს ავტორიტეტს და უბრალოდ გაიმეორეს მისი მოსაზრება. ამაში არაფერია მათი, როგორც მკვლევარებისა და მეცნიერების, შეურაცხმყოფელი.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ უკვე მაშინვე ყველას როდი გაუზიარებია დიუბუა დე მონპერეს მოსაზრება. ასე მაგალითად, გამოჩენილი ისტორიკოსი მ. ბროსე, რომელიც დაწვრილებით აგვიწერს ნოქალაქევს, ეხება მის ისტორიას, ეთანხმება დიუბუას მიერ მის არქეოპოლისთან გაიგივებას, ერთი სიტყვითაც არ ახსენებს მის იდენტურობას აიასთან (იხ. მისი, საქართველოსა და სომხეთში არქეოლოგიური მოგზაურობის ანგარიშები, სანკტ-პეტერბ., 1851, № IX). ხოლო სიძველეთა ცნობილი მკვლევარი და კლასიკურ წყაროთა შესანიშნავი მცოდნე კ. განი და ქართველი ისტორიკოსი თ. ჟორდანია პირდაპირ უარყოფენ აიას და ნოქალაქევის იგივეობას. კ. განი ასეთ გაიგივებას „არარეალურად“ თვლის სწორედ იმის გამო, რომ პლინიუსის და სტეფანე ბიზანტიელის ცნობები არ ემთხვევა ნოქალაქევის მდებარეობას (Изв. Кавк. отдел. Московского арх. об-ва, 2, 1907, გვ. 1-2), თ. ჟორდანია კი ამ იგივეობას უსაფუძვლოდ თვლის, მას, წერს იგი, „საფუძველი არ უძევს“ („ივერია“, № 199, 1900 წ.).

მაშასადამე, არავითარი „საუკუნეობრივი“ ან „ძველთაძველი ტრადიცია“, მით უფრო კი „დამკვიდრებული აზრი“ აია-ნოქალაქევის იგივეობაზე არ არსებულა.

პატივცემული მ. შენგელია საშინლად უკმაყოფილოა იმით, რომ ჩვენ საერთოდ უარვყოფთ აიას, როგორც კონკრეტული ქალაქის არსებობას. ჩვენ ამ შემთხვევაში ვიზიარებთ იმ მკვლევართა მოსაზრებას (პაპე, ს. ყაუხჩიშვილი, თ. ყაუხჩიშვილი, ა. ურუშაძე), რომელთაც მიაჩნიათ, რომ თავდაპირველად „აია“ იყო სახელწოდება ქვეყნისა (კოლხეთისა), ხოლო გვიანდელმა ავტორებმა მასში დაინახეს ქალაქის სახელი და ცადეს მისი ლოკალიზაცია. ჩვენი აზრით, ეს მოსაზრება „არის მრავალნაირ საფუძველზე დამყარებული, სწორი და მეცნიერული“. ამის საპასუხოდ მ. შენგელია კითხულობს: „თუ ლომოურის „მოსაზრება არის მრავალნაირ საბუთებზე დამყარებული სწორი და მეცნიერული“, მაშინ სადღაა ეს საბუთები? რატომ არ მოჰყავს იგი!“ და უფრო ქვევით: „მაგრამ სად არის ეს სწორი და მეცნიერული მოსაზრებები, ამას მტკიცება უნდა, ჩვენება უნდა და არა მარტო თქმა“ (იქვე, გვ. 169).

უპირველეს ყოვლისა, პატივცემულ მეცნიერს უნდა მოვაგონოთ, რომ მოსაზრება აიას, როგორც ქალაქის, არარეალურობის შესახებ ლომოურისა კი არ არის, არამედ ზემოდასახელებული სპეციალისტებისა და ლომოური მხოლოდ მიემხრო ამ მოსაზრებას, გაიზიარა იგი; ამიტომაც ლომოურს არც მოუტანია თავისი საკუთარი საბუთები და მტკიცებანი, მან მხოლოდ მიუთითა ამ ავტორებზე და მოკლედ გადმოსცა მათი არგუმენტაცია.

რა, განა ჩვენ არ მოგვაქვს, მართალია მოკლედ ს. ყაუხჩიშვილის, თ. ყაუხჩიშვილისა და ა. ურუშაძის სათანადო არგუმენტები? აბა ჩახედეთ ჩემი წერილის 150-ე გვერდს, განა იქ ამის შესახებ არაა ლაპარაკი? ჩვენ ხომ აღვნიშნეთ, რომ ჰეროდოტესთან და აპოლონიოს როდოსელთან აიას სახელწოდებით აღნიშნულია ქვეყანა, ე. ი. კოლხეთი; ამ წყაროებში „აიას“ ეს მნიშვნელობა გარკვეული კვლევის შედეგად დაადგინეს ხსენებულმა მეცნიერებმა. შემდეგ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ თვით სახელწოდება „აია“ ეტიმოლოგიურად უკავშირდება ბერძნულ „გაიას“, რაც ნიშნავს „მიწას“. ამ ტერმინის ეტიმოლოგიაც ხომ ასევე სრულიად გარკვეული ძიების შედეგად იქნა დადგენილი. შემდეგ მოტანილია სხვადასხვა ანტიკურ ავტორთა ცნობებში აიას სრულიად განსხვავებული ლოკალიზაცია და აღნიშნულია, რომ „სწორედ წყაროებში ასეთი არევდარევისა და ურთიერთგამომრიცხველი ცნობების არსებობამ შეატანინა ეჭვი მკვლევარებს აიას, როგორც ქალაქის, რეალურ არსებობაში“. მაშ აქაც საჭირო გამხდარა ანტიკურ წყაროებში აიას შესახებ არსებული ცნობების გამოკრება, გაანალიზება და სათანადო დასკვნის გაკეთება. რა არის ეს, თუ არა მოსაზრების მეცნიერული დასაბუთება? მეტი რა საბუთები და მტკიცებები უნდა მოგვეტანა?

პროფ. მ. შენგელია ამტკიცებს, რომ ს. ყაუხჩიშვილის და თ. ყაუხჩიშვილის მოსაზრებები მას თავის სტატიაში არ უხსენებია, ა. ურუშაძეს კი, პირიქით, მრავალ ადგილას იმოწმებს თავის მოსაზრებათა დასტურად...“ ან საერთოდ, — კითხულობს პატივცემული მკვლევარი — რატომ უნდა იყოს „უხერხული“ არ გაიზიარო (ამ შემთხვევაში ასეც რომ იყოს) ის მოსაზრება (სათანადო არგუმენტებით), რასაც იზიარებს რომელიმე მეცნიერი, რაც არ უნდა დიდი მეცნიერი იყოს. საინტერესოა მაინც, რა საჭირო იყო ეს არასწორი ინფორმაცია?“ (გვ. 169). ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში პროფ. მ. შენგელია თვით აძლევს მკითხველს არასწორ ინფორმაციას. მართალია იგი არ ასახელებს ს. ყაუხჩიშვილსა და თ. ყაუხჩიშვილს და, ამ შემთხვევაში, არც ა. ურუშაძეს, მაგრამ ის აკრიტიკებს იმათ, ვინაც ეჭვი შეაქვს კოლხეთში აიას არსებობაში და აღნიშნავს, რომ ეს ეჭვი უსაფუძვლოა, რომ იმის თქმა, „რომ აია — ეა ბერძნების მიერ გვიან შეცდომით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქის სახელწოდება იქნა აღიარებული, მოხდა „დასაბუთების გარეშე“ და ეს „არაა სწორი, არაა მეცნიერული“. ხოლო ეს „დასაბუთების გარეშე“ მიღებული მოსაზრება, რომელიც მ. შენგელიას აზრით „უსაფუძვლოა“, „არაა სწორი“ და „არაა მეცნიერული“ — ეკუთვნის სწორედ ს. და თ. ყაუხჩიშვილებს და ა. ურუშაძეს და მაშასადამე ყველა მოტანილი კვალიფიკაციები ეხება მათ მოსაზრებას. ჩვენც სწორედ ის მივიჩნიეთ უხერხულად, რომ პატივცემულმა პროფესორმა ამგვარი კვალიფიკაცია მისცა ისეთ მეცნიერებს, როგორებიც არიან ზემოაღნიშნული მკვლევარები; თორემ მათი მოსაზრებების გაუზიარებლობა ჩვენ სრულიადაც არ მიგვაჩნია უხერხულად, ამის უფლება ყველას აქვს და მათ შორის პროფ. მ. შენგელიასაც.

პროფ. მ. შენგელია ჩვენ რამდენჯერმე წინააღმდეგობაშიაც გვიჭერს. მას მოაქვს „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ შეტანილი სტატიიდან „აია“ ამონაწერი: „აია... კოლხეთის სამეფოსა და მისი დედაქალაქის სახელწოდება ანტ. ხანის ავტორების (ჰეროდოტე, აპოლონიოს როდოსელი) მიხედვით...“ შემდეგ კი აღშფოთებით უმატებს „და წარმოიდგინეთ, რომ ამ განმარტებას ხელს აწერს თვითონ ნ. ლომოური. საკითხავია, მისთვის შეიძლება აია-ქალაქი იყოს და ჩვენთვის არა?! აი ეს კი არის, ჩვენის აზრით, „უხერხულზე“ ცოტა მეტიც“ (იქვე, გვ. 169). ჩვენ არ ვიცით რას გულისხმობს პატივცემული მეცნიერი „უხერხულობაზე ცოტა მეტში“, მაგრამ მისი აღშფოთება სრულიად უსაფუძვლოა. დიახ ამ სტატიას ჩვენ ვაწერთ ხელს და ახლაც მოვაწერთ, არავითარი უხერხულობა აქ არ არის. ენციკლოპედიის სტატიაში ჩვენ ვწერთ, რომ „აია“ არის სახელწოდება კოლხეთის სამეფოსიც და მისი დედაქალაქისაც ანტიკური ხანის ავტორების მიხედვით, ე. ი. ისინი თვლიან „აიას“ ქვეყნის სახელადაც და ამ ქვეყნის ქალაქადაც (დედაქალაქადაც). ხოლო პატივცემულ მკვლევარს რომ ჩვენი სტატია უადგილო ადგილას არ გაეწყვიტა და სრულად მოეტანა, მკითხველი დარწმუნდებოდა, რომ ჩვენ აქვე ვამჟღავნებთ ჩვენს დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი: ჩვენ მას „მითიურ ქალაქს“ ვუწოდებთ და მოგვაქვს ანტიკური ხანის ავტორთა ის ერთიმეორის საწინააღმდეგო ცნობები, რომლებიც ამ ქალაქის ადგილმდებარეობას ეხება (იხ. ქსე, ტ. I, გვ. 230). მაშასადამე, ჩვენ თვითონ აქაც სრულიადაც არ მივიჩნევთ აიას რეალურად არსებულ ქალაქად და არავითარი წინააღმდეგობა ენციკლოპედიის სტატიასა და ჩვენს შეხედულებას შორის არ არსებობს.

ახევე წინააღმდეგობას, უფრო მეტიც — „საოცარ წინააღმდეგობას“ ხედავს პროფ. მ. შენგელია „მნათობში“ გამოქვეყნებულ ჩვენს წერილსა და 1957 წ. 10. XII გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილ იმ წერილს შორის, რომელსაც პ. ზაქარაიასა და ვ. ლექვინაძესთან ერთად ჩვენც ვაწერთ ხელს. პატივცემულ მკვლევარს მოაქვს ჩვენი წერილის დასკვნითი ნაწილი, სადაც ჩვენ აღვნიშნეთ, რომ არაა მართებული ნოქალაქევში აიას ძიება და „უნდა დავკმაყოფილდეთ ამ ქალაქის ისტორიის იმ, ისედაც საკმაო ხანგრძლიობით, რომელიც სანდო წყაროებშია დამოწმებული“ და ამ ჩვენს დასკვნას უპირისპირებს საგაზეთო წერილის იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ ნოქალაქევში მიკვლეული „არქეოლოგიური მონაპოვარი გაცილებით ადრეულ სურათს გადაგვიშლის. ახალ მონაპოვართა მიხედვით ამ ადგილას მოზრდილი სამოსახლო ყოფილა ჯერ კიდევ ჩვ. წელთაღრიცხვამდე პირველი ათასეულის დასაწყისიდან“. აი სწორედ აქ ხედავს პროფ. მ. შენგელია „საოცარ წინააღმდეგობას“. მაგრამ ვინც ისტორიის ანბანი იცის, აქ ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ დაინახავს. ვფიქრობთ გასაგებია, რომ სულ სხვაა ქალაქი და სულ სხვა „მოზრდილი სამოსახლო პუნქტი“, იქ, სადაც სამოსახლოა მიკვლეული, ყველგან ქალაქი კი არაა. ჩვენ უარვყოფთ, რომ ნოქალაქევის ტერიტორიაზე მდებარეობდა კოლხეთის დედაქალაქი აია, თორემ იმას კი არა, რომ აქ ძვ. წ. III ს-ზე ადრე ცხოვრება იყო და სამოსახლო (ან სამოსახლოები) შეიძლებოდა ყოფილიყო.

პროფ. მ. შენგელია არაზუსტად გადმოსცემს ჩვენს მსჯელობასაც. 169-ე გვ-ზე იგი წერს: „პროფ. ნ. ლომოური ბერძენ ავტორთა ოდნავ განსხვავებული ცნობების მიხედვით (ხაზი ჩვენია, ნ. ლ.) გაკვირვებული სვამს კითხვას, — „შეიძლება ამის შემდეგ ჩვენ ვილაპარაკოთ აიას რეალურობაზე?“ — რადგან მთელი რიგი ავტორები აიას მიიჩნევენ ქვეყნად (კოლხეთის სინონიმად), ზოგი კი — ქალაქად („ზოგიერთმა ავტორმა აია გაიგო როგორც კოლხეთის ქალაქის სახელწოდება“), ამიტომ თურმე „ფრიად საეჭვოა „აიას“ ძიება სადმე კონკრეტულ ადგილას“.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ბერძენ ავტორთა „ოდნავ განსხვავებული“ ცნობების მიხედვით კი არ ვაყენებთ ეჭვის ქვეშ აიას, როგორც ქალაქის რეალურობას, არამედ ამ ცნობების ფრიად და ფრიად განსხვავებულობის გამო განა „ოდნავ განსხვავებაა“ ნიკანორ ალექსანდრიელის და ვთქვათ პლინიუსის ცნობებს შორის? პირველი ხომ დიოსკურია — სოხუმთან აიგივებს აიას, ხოლო მეორე მას ათავსებს მდ. ფაზისის ნაპირას ზღვიდან 22,2 კმ-ის დაშორებით. ან განა ახევე „ოდნავ“ განსხვავებაა პტოლემაიოსის მიერ აიას ზღვის ნაპირ
ენგურისა და ხოფის შესართავებს შორის მ
ვსებასა და სტეფანე ბიზანტიელის მიერ მას იგივე ფაზის-რიონის ნაპირას, ზღვიდან 55,5 კმ-ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანძილზე ლოკალიზაციას შორის?! შ

მეორეც, „ფრიად საეჭვოდ“ აიას ძიება სადმე კონკრეტულ ადგილას ჩვენ იმის გამო კი არ მიგვაჩნია, რომ ზოგი ავტორი მას ქალაქად, ზოგი კი ქვეყნად (კოლხეთის სინონიმად) მიიჩნევს, არამედ სწორედ სხვადასხვა ავტორთა მიერ ამ ქალაქის სრულიად სხვადასხვა ადგილას მოთავსების გამო.

ჩვენ კიდევ შეგვეძლო მოგვეტანა პროფ. მ. შენგელიას წერილიდან არაერთი ადგილი, სადაც პატივცემული მეცნიერი ან უმართებულოდ გვდებს ბრალს, ან თვით მას არასწორად ესმის ჩვენი მსჯელობა და რეალური ფაქტები, მაგრამ, ვფიქრობთ, ზემოთქმულიც საკმარისია.

ჩვენ შეიძლება ვიდავოთ იმაზე, იყო თუ არა კოლხეთში ქალაქი აია, მაგრამ სადავოც არაა, რომ მისი ნოქალაქევთან გაიგივება სრულიად უსაფუძვლოა. როგორც აღვნიშნეთ, არც ერთ პირველწყაროს არ გააჩნია ამის შესახებ რაიმე მინიშნება და არქეოლოგიურადაც ნოქალაქევის ტერიტორიაზე ასე ძველ დროს ქალაქის (ვიმეორებთ ქალაქის და არა სამოსახლოს) არსებობა არაფრით არ დასტურდება.

პროფ. მ. შენგელიას მიაჩნია, რომ ქ. აიას აქ არსებობის მატერიალური ნიშნების აღმოუჩენლობის შემთხვევაშიც კი გაჭირდება მისი კატეგორიული უარყოფა, რადგან დუღაბით მშენებლობა პირველად ახ. წ. I-II სს. შემოდის და ამდენად აიაში „სრასასახლეების ნანგრევებს არ უნდა მოველოდეთ“ და ამასთან კოლხეთისათვის ტრადიციულია ხის ნაგებობები, ხოლო ხის შენობათა ნაშთების პოვნა ძალზე იშვიათი მოვლენაა (იქვე, გვ. 178).

პროფ. მ. შენგელიას, როგორც ჩანს, ჰგონია, რომ, რადგან დუღაბის გამოყენება ახ. წ. I-II საუკუნეებიდან იწყება, მანამდე ქვის შენობებს არ აგებდნენ. დუღაბი მთელ მსოფლიოში დაახლოებით გვიან შემოდის და მაშასადამე სხვაგანაც (ეგვიპტე, საბერძნეთი, რომი...) არ უნდა გვქონდეს ხის შენობები?! ან თუნდაც იგივე კოლხეთში, რა ვუყოთ ძვ. წ. VI-I სს-ში ვანში აგებულ არაერთ ქვის შენობას? საერთოდ ქალაქი ძნელი წარმოსადგენია ქვის შენობათა გარეშე, კერძოდ გალავან-კოშკები, ტაძრები, სასახლეები კოლხეთშიაც უდავოდ ქვისგან იგებოდა, ან მათ საძირკველ-ბალავარი მაინც ჰქონდა ქვისა. ამ დროს გამოიყენებოდა უდუღაბო, ე. წ. „მშრალი წყობა“. ხისგან კი შენდებოდა რიგითი მოქალაქეების სახლები, ცალკეული საკულტო და საფორტიფიკაციო ნაგებობები და სასოფლო ადგილებში საცხოვრებელი სახლები. ამას გარდა, კიდეც რომ არ შემოინახოს ქალაქის ნაგებობები, არქეოლოგებს გააჩნიათ სათანადო მეთოდები, რომლებითაც ისინი ადგენენ ესა თუ ის დასახლება ქალაქური ტიპისაა თუ არა. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ ნოხირში აღმოჩენილი იქნა ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანების მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა (რომელიც პროფ. მ. შენგელიას რატომღაც აქ მოაქვს), არც ამ ნასახლარის გამთხრელს დ. ქორიძეს და არც სხვას აზრად არ მოსვლიათ ეს დასახლება ქალაქად გამოეცხადებიათ.

პროფ. მ. შენგელიას დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული მედიცინის ისტორიის კვლევის საქმეში და ამ სფეროში ჩვენ მასთან დავას ვერასოდეს გავბედავდით, მაგრამ აია-ნოქალაქევის იგივეობის მტკიცებისას მას, სამწუხაროდ, სათანადო არგუმენტაცია აკლია და ჩვენ ვერ დავეთანხმებით მის ძირითად დასკვნებს, ისევე როგორც ვერ გავიზიარებთ იმ მეთოდოლოგიურ პოზიციას, რომელზედაც იგი დგას.

წიგნების თაროსთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეტიუდები წინაპრებსა და თანამედროვეებზე

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მი-ერ გამოცემულ აკაკი თოფურიას ახალ წიგნს „ეტიუდები კრიტიკული ნააზრევიდან“ წამძღვარებული აქვს გიორგი ნატროშვილის მოკლე წერილი სათაურით: „ორიოდე სიტყვა წიგნსა და ავტორზე“. ამ წერილმა ჩვენი ყურადღება მიიპყრო არა მხოლოდ მასში გამომჟღავნებული კოლეგიალობის წრფელი გრძნობით, არამედ წიგნის ავტორის დამსახურების იმ სამი ზოგადი ასპექტის ზუსტი ჩვენებით, რაც ასე მკაფიოდ და ერთობლივად ღღემდე არავის გამოუხატავს. წინასიტყვაობის ავტორმა აღნიშნა აკაკი თოფურიას მოღვაწეობის სხვადასხვა სფერო, დაახასიათა იგი, როგორც „შემოქმედი და მოაზროვნე“, როგორც „ლიტერატურისა და ხალხის ბედზე“ ღრმად დაფიქრებული კრიტიკოსი, რომელსაც აქვს „აზრის შემოქმედებითი გაბედულება და მკაფიოდ გამოხატული ინდივიდუალური ხელწერა“. ყოველივე ამის დადასტურებაა თვით წიგნში მოთავსებული მასალები.

წინასიტყვაობის ავტორმა ამაოდ არ გაიხსენა აკაკი თოფურიას ადრინდელი პოეტური ბიოგრაფია. მოაქვს რა თავის წერილში გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნების“ 1944 წლის 8 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილი აკ. თოფურიას ლექსის — „ვდგავარ კარპატის ქედზე მხარგაშლით“ მთლიანი ტექსტი, აანალიზებს და დადებითად აფასებს რა მის იდეურ და ესთეტიკურ ღირებულებას, გ. ნატროშვილი წერს: „მიუხედავად იმისა, რომ როგორც ეს ლექსი, ისე მისი სხვა პოეტური ნაწარმოებები, გამოქვეყნებული უფრო ადრე, მოწმობდნენ, რომ მათი ავტორი არ იყო უპერსპექტივო ამ ჟანრში, აკაკი თოფურია მაინც არ გაჰყვა ამ გზას და პოეზიიდან არც თუ დიდად დაშორებულ აფეროში — შემოქმედების მომიჯნავე სფეროში — კრიტიკისა, ლიტერატურის ისტორიისა და ლიტერატურისმცოდნეობაში დაიწყო მუშაობა“.

ჩვენ დავინტერესდით აქ აღძრული საკითხის უფრო ღრმად შესწავლით და აღმოჩნდა, რომ ჯერ კიდევ ომამდელი პერიოდის ჟურნალ-გაზეთებში („ჩვენი თაობა“, „მგზნებარე კოლხიდელი“ და სხვ.) გამოქვეყნებული ლექსების მიმოხილვის შედეგად გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1941 წლის 13 ივნისის ნომერში (№ 24) რეცენზენტი ალ. მიმინოშვილი წერდა: „აკ. თოფურიას ლექსები საფუძველს გვაძლევენ ვთქვათ, რომ იგი სულ მალე ახალგაზრდა ნიჭიერ პოეტთა რიგებში ჩადგება“. აკ. თოფურიას ომისდროინდელი ლექსების გარკვეული ნაწილი და პოემა „ხმა სანგრიდან“ დაბეჭდილია 1948 წელს გამომცემლობა „საბლიტგამის“ მიერ გამოცემულ ფრონტელი პოეტების ლექსთა კრებულში „იერიში“ (გვ. 16-32), ბალადა „პალმა“ 1949 წელს სოხუმში გამოცემულ ლექსთა კრებულში „ქალაქი-ბაღი“ (გვ. 68-71), ხოლო ჟურნალ „მნათობის“ 1949 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნებული ლექსი „ლენინი ქოხში“ დასახელებულია, როგორც ლენინის თემაზე დაბეჭდილ ლექსთა შორის ერთ-ერთი კარგი ლექსთაგანი, გიორგი მარგველაშვილის მიმოხილვით წერილში, რომელიც დაბეჭდილია ჟურნალ „დროშა ნაროვდოვის“ ამავე წლის მე-4 ნომერში (გვ. 148). აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ „მოგონება კარპატზე“ გამოქვეყნებულია გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ ფურცლებზე 1945 წლის 9 სექტემბერს (№ 180).

ამ ამბების გახსენება იმისთვის დაგვჭირდა, რომ მკითხველს ნათელი წარმოდგენა მიეცეს, თუ რა საინტერესო, მტკიცე და საიმედო პოეტური წარსული ჰქონია დღეს უკვე სახელმოხვეჭილ, ომგადახდილ მეცნიერს, ღვაწლმოსილ მკვლევარს აკაკი თოფურიას. ამასთან დაკავშირებით, მეტად მნიშვნელოვანი და საგულისხმოა საკითხის მეორე ასპექტიც, რომელსაც გაკვრით, მაგრამ ხელმიწვდენითი სიზუსტით ეხება წინასიტყვაობის ავტორი. ეს არის ის, რომ ლიტერატუ-

---

**აკაკი თოფურია, ეტიუდები კრიტიკული ნააზრევიდან. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. 1980.**

რისმცოდნეობის სამ „ერთმანეთისაგან განუყრელ დარგში“ — ლიტერატურის ისტორიასა, თეორიასა და კრიტიკაში „თანაბარი“ ძალითა და უნარით მუშაობასთან ერთად, აკაკი თოფურია, როგორც იგი აღნიშნავს, სამართლიანად ითვლება „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის მეცნიერული კურსის ფუძემდებლად“. ეს ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის, კერძოდ, სტუდენტი ახალგაზრდობისა და მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისათვის საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული ფაქტია. მაგრამ აქ აუცილებელია აღინიშნოს, რომ, როგორც ახლა უკვე აშკარად ჩანს, ეს მოხდა სწორედ იმ პოეტური გატაცების მსხვერპლად შეწირვის ხარჯზე, რაც, როგორც ზემოთ მოტანილი მასალებიდან დავინახეთ, არანაკლებ სარბიელს და მომავალს უქადდა აკ. თოფურიას პოეზიის სფეროში.

ამის ახსნას სავსებით სწორად იძლევა გ. ნატროშვილი. „მისი მეთოდიკური სახელმძღვანელოები, — ნათქვამია შესავალ წერილში, — ფუნდამენტური ნაშრომები ქართული მეთოდიკური აზროვნების ისტორიის შესახებ, — იქცა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა სამაგიდო წიგნებად. განსაკუთრებით ძვირფასია იმის აღნიშვნა, რომ ეს წიგნები ხელს უწყობენ ქართული კლასიკური და საბჭოთა ლიტერატურისადმი მოსწავლე ახალგაზრდობის სიყვარულისა და ინტერესის აღზრდას“. თავისთავად ეს დიდი ეროვნული საქმეა. და თუ ყოველივე ამას კონკრეტული დებულების სახეს მივცემთ, მაშინ უნდა ითქვას, რომ ომისშემდგომი პერიოდის ქართული მეთოდიკური აზროვნების ისტორიაში პროფესორმა აკაკი თოფურიამ ახალი ეტაპი შექმნა. ამ ეტაპს ქმნიან 1950-იანი წლებიდან ლიტერატურისმცოდნეობითი ხასიათის შრომებისა და გამოკვლევების პარალელურად მის მიერ გამოქვეყნებული ისეთი ორიგინალური მეთოდიკური მონოგრაფიები და სახელმძღვანელო, როგორიცაა „ლეო ქიაჩელის შემოქმედების სწავლება საშუალო სკოლაში“ (გამოიცა ორჯერ 1952-1956 წლებში), „ქართული მეთოდიკური აზროვნების ისტორია“ (1969 წელს) და „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა“ (გამოიცა ოთხჯერ 1957-1974 წლებში).

აკად. გიორგი ჯიბლაძეს წიგნში „პედაგოგიკა და მეთოდიკა“ სპეციალურ თავად აქვს გამოყოფილი სტატია „სწავლების მეთოდიკური პრობლემატიკა“ (იხ. 1974, გვ. 67-76), რომელიც მთლიანად ქართული ლიტერატურის მეთოდიკის დარგში აკ. თოფურიას დამსახურების მეცნიერულ ანალიზს ეძღვნება. აქ პატივცემული აკადემიკოსი სავსებით სწორად მიუთითებს რა იმაზე, რომ „შეუძლებელია იმ საგნის სწავლების მეთოდიკა შექმნა, რომელსაც ღრმად არ ხარ დაუფლებული“, გარკვევით და პირდაპირ აღნიშნავს, რომ „ავტორი (ლაპარაკია ა. თოფურიაზე — ნ. გ.). არამარტო ღრმად ერკვევა ზოგადმეთოდოლოგიურ პრობლემებში, არამედ, მან კარგად იცის ქართული ლიტერატურის ისტორია, პედაგოგიკა, მისი მონათესავე დარგები, რაც საშუალებას აძლევს თავისუფლად გამოიყენოს თითოეული მათგანი მეთოდიკის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული საკითხების გადასაწყვეტად“ (იქვე, გვ. 68). და ბოლოს დასძენს: „ვინც ფიქრობს, მ ე თ ო დ ი კ ა მეცნიერება არ არისო, მას ამ წიგნითაც (ლაპარაკია ა. თოფურიას წიგნზე — ნ. გ.). კარგად შეუძლია საკუთარი შეცდომა დაინახოს და მისი გამოსწორებაც დაიწყოს“ (იქვე, გვ. 76).

შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის მეცნიერული კურსის ფუძემდებლის, იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლის კავალერის აკაკი თოფურიას სახელი, მისი მაღალი მეცნიერული ავტორიტეტი განუყრელად და მჭიდროდ დაუკავშირდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი კათედრის — ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკების გაერთიანებული კათედრის დაარსებას, რომელსაც, მიუხედავად ხანდაზმულობისა, იგი მესამე წელია ნაყოფიერად და ენერგიულად ხელმძღვანელობს.

ამიტომ როცა ქართულ ლიტერატურისმცოდნეობისა და კრიტიკის დარგში აკ. თოფურიას წიგნს ვიხილავთ, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ასეთ ფაქტებსა და მოვლენებს, არ გამოვყოთ მისი საგანგებო ხასიათი და მნიშვნელობა მწერლობისა და სკოლის, ლიტერატურის ისტორიისა და ლიტერატურის სწავლების ურთიერთდაკავშირებისათვის. აკ. თოფურიას მაგალითი დღეს ამ მხრივ შესაშური, მისაბაძი და ღირსეულად დასაფასებელი მაგალითია.

რაც შეეხება თვით სარეცენზიო წიგნს — „ეტიუდები კრიტიკული ნააზრევიდან“, იგი სხვადასხვა პრობლემურ საკითხებზე დაწერილ გამოკვლევებს, სტატიებსა და წერილებს აერთიანებს. წიგნში წარმოდგენილია ასეთი ხასიათის 14 ნაშრომი. „ილია ჭავჭავაძე და ნიკოლოზ ბარათაშვილი (შემოქმედებითი ნათესაობის საკითხისათვის)“ — ასეა სახელდებული პირველი გამოკვლევა, რომელშიც თერგდალეულთა იდეური ბელადის ილია ჭავჭავაძისა და ქართული რომანტიზმის ორფეოსის ნიკოლოზ ბარათაშვილის სულიერი ნათესაობა არის გარკვეული.

„ამ დიდი მწერლების (იგულისხმება ილია და ბარათაშვილი ნ. გ.), დიდი ადამიანების შემოქმედებითი ნათესაობის საკითხი მრავალმხრივ. არის საინტერესო, — წერს აკაკი თოფურია, — ილია ჭავჭავაძე პირველი იყო, რომელმაც გასაოცარი სიღიადით, სიმახვილითა და სიღრმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიგრძნო ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური გენიის კბოველმყოფელობა, მისი აზრების შთამაგონებელი, ამაღელვებელი ძალა. ის დროული სივრცე, რომელიც აშორებდა ილიას ბარათაშვილის ეპოქისაგან სრულიად არ უშლიდა ხელს მას ჩასწვდომოდა პოეტის ბობოქარი სულის ხვეულებს, გულით მინდობოდა მის კაეშნიან ფიქრებს და განეცადა „სულით ობოლის“ ის მწარე ხვედრი, რაც ისტორიული განვითარების კანონზომიერებამ ასე მკაცრად და დაუნდობლად არგუნა ბარათაშვილს“ („ეტიუდები კრიტიკული ნააზრევიდან, გვ. 7).

წერილის ავტორი არ დაკმაყოფილებულა მხოლოდ თეორიული განაცხადით და ჩაუტარებია მეტად შრომატევადი სამუშაო. დიდი სიფრთხილითაა შედარებული ერთმანეთთან ნ. ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის ცალკეული ლექსები და თანამიმდევრული, სკრუპულოზური ანალიზის შედეგად მიღებულია სავსებით ლოგიკური და დამაჯერებელი დასკვნა, რომ „ილიას სულიერი მღელვარების, პოეტური აღმაფრენის, იდეური მოძღვრების პირველი და განუწყვეტელი ძაფები ღრმად ჩაქსოვილია ნ. ბარათაშვილის ფილოსოფიურ ლირიკაში, მის გენიალურ შემოქმედებაში“ (იქვე).

უნდა შევნიშნოთ, რომ მე-19 საუკუნის ლიტერატურის ძველთან მიმართების საკითხი ჩვენში ნაკლებ არის შესწავლილი (ამ ხარვეზს მხოლოდ ნაწილობრივ თუ ავსებს პ. ინგოროყვას, აკ. გაწერელიას, ა. ბარამიძის, ლ. მენაბდის და სხვათა ცალკეული ნაშრომები). ის იდეურ-თემატური პარალელები, რაც სარეცენზიო წიგნის ავტორს ი. ჭავჭავაძის და ნ. ბარათაშვილის პოეზიაში შეგნებულად აქვს დაძებნილი, ძველი ქართული მწერლობის მდიდარი არსენალიდან არის მომდინარე და თუ ამ კუთხით შევხედავთ ნაშრომს, ჩვენს წინაშე წარმოჩინდება მისი კიდევ ერთი საინტერესო, პოზიტიური მხარე.

განსაკუთრებული ინტერესის აღმძვრელია სტატიაში „თაობათა ბრძოლაში გრიგოლ ორბელიანის ადგილის გარკვევისათვის“ აკაკი თოფურიას პოზიცია და მართებული მოსაზრებანი. ეს წერილი ორი ათეული წლის წინათ გამოქვეყნდა და უნდა ითქვას, რომ დიდად შეუწყო ხელი ერთიანი, პოზიტიური აზრის შემუშავებას გრ. ორბელიანის პიროვნების შესახებ, რომლის პერსონა ქართული პრესის ფურცლებზე დაუსრულებელი დავის ობიექტი იყო. სამართლიანად წერს კრიტიკოსი „თაობათა ბრძოლის ისტორიაში გრიგოლ ორბელიანის მონაწილეობა, ვფიქრობთ, არ იძლევა საფუძველს ვამტკიცოთ ახალი თაობისადმი მისი მტრული დამოკიდებულება, რომ თითქოს „იგი ვერ ხედავდა და არ სცნობდა ახალი თაობის მოღვაწეობის დადებით მხარეებს“, არ თანაუგრძნობდა მათ, ანგარიშს არ უწევდა თანამედროვე სინამდვილით ნაკარნახევ აუცილებლობას და 70-იან წლებში „მამების“ პოზიციის აშკარა ტენდენციური დაცვით გამოხატავდა ძველი, „კონსერვატიული ბანაკის რეაქციულ იდეოლოგიას, აქედან მცირე მანძილია რეაქციულ რომანტიზმთან მის გათანაბრებამდე. ეს კი სრულიად გაუმართლებელი იქნებოდა“ („ეტიუდები კრიტიკული ნააზრევიდან“, 1980, გვ. 55).

როცა თაობათა შორის ურთიერთდამოკიდებულებაზეა საუბარი, რატომღაც უცვლელ დებულებად რჩება ინერციით მომდინარე აზრი, რომ მათ შორის უცილობლად ჩინური კედელია აღმართული. თაობათა ცვლა განვითარებას გულისხმობს, რაც ძველის უარყოფას სრულიადაც არ ნიშნავს. ასე ფიქრობდა ილია ჭავჭავაძეც. იგი პრინციპულად წინააღმდეგი იყო თვით სახელწოდებების გამოგონებისაც კი („ძველი თაობა“, „ახალი თაობა“). წერილებში „მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე“ ილიას უწერია — „თავი დავანებოთ ამ გაცვეთილ ფრაზებს“. და თუ ჩვენ მაინც თაობებზე ვილაპარაკებთ, უფრო სწორი იქნება თაობად ერთი იდეური მრწამსით გაერთიანებული ჯგუფი ვიგულისხმოთ.

ამ მხრივ საინტერესოა რენესანსის ეპოქის დიდი ხელოვანის რაფაელ სანსიოს „ათენის სკოლა“. სხვადასხვა ეპოქის ფილოსოფოსნი მხატვრის ტილოზე ერთურთის გვერდით განლაგებულნი არიან არა ქრონოლოგიის მიხედვით, არა მათი ქვეყნადმყოფობის თარიღების გათვალისწინებით, არამედ აზრის, იდეური ერთობის საფუძველზე: ნახატის ცენტრში პირისპირ დგანან პლატონი და არისტოტელე, ხოლო მათ გვერდს უმშვენებენ თავიანთი სულის თანაზიარნი. თაობათა სახელდება ჩვენ ამ პრინციპით მიგვაჩნია გამართლებულად. ცდება ის, ვინც ილია ჭავჭავაძესა და ბესარიონ ღოღობერიძეს ერთ თაობად წარმოგვიდგენს, ხოლო გრიგოლ ორბელიანს მათ მტრულ ბანაკში მიუჩენს ადგილს.

ცალკე განსჯის საგანია აკაკი თოფურიას თეორიული ნააზრევი, რომელიც ძირითადად გადმოცემულია წერილებში „ლიტერატურული ოსტატობისათვის მებრძოლი პოეტი“, „კონსტანტინე გამსახურდიას ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების გამო“ და ვრცელ ნაშრომში „კრიტიკული პათოსი და მწერლის პოზიცია“. მაგრამ მათზე ადრეც დაწერილა და აქ აღარ შევჩერდებით.

„ეტიუდების“ 79-ე გვერდზე, ეხება რა მხატვრული შემოქმედების სპეციფიკის პრობლემას, აკ. თოფურია წერს: „ეს ის უხილავი სამყაროა, სადაც შესვლა და შეღწევა ყველას არ შეუძლია. ამ სამყაროში მკითხველი ლიტერატურისმცოდნეთა კრიტიკული ნაშრომების მეშვეობით შეიძლება მხოლოდ შედიოდეს. ხოლო იმისათვის, რომ ამ დანიშნულების ნაშრომები ასრულებდეს მათზე წაყენებულ მოთხოვნებს,

უპირველესად, როგორც ეს ცნობილია, მწერალს მწერლური ალღოთი და ინერციით, მწერლური შემართებითა და გაბედულებით დაჯილდოებული მეცნიერი თუ კრიტიკოსი უნდა იხილავდეს და იკვლევდეს". ჩვენ ხშირად მოწმენი ვართ იმისა, თუ როგორ კარგავს ორიენტირს ზოგი კრიტიკოსი და ზერელე პარალელებისა ან ზოგადი ისტორიული რეალიების ძიებაში ყურადღების მიღმა რჩება უმთავრესი მფეთქავი ნერვი განსახილველი საგნისა. ამდენად, კრიტიკოსისათვის არათუ სასურველი, აუცილებელი და სავალდებულოა მწერლური ალღო და ინტუიცია, მწერლური შემართება და გაბედულება. უნდა ითქვას, რომ „ეტიუდების" ავტორი ამ მხრივ შესაფერ დონეზე დგას.

იროდიონ ევდოშვილის, ალიო მირცხულავას, მიხეილ ჯავახიშვილის, გიორგი ლეონიძის, იოსებ ნონეშვილის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის და გრიგოლ აბაშიძისადმი მიძღვნილ კრიტიკულ თუ ესეისტურ წერილებში ავტორი ჭეშმარიტად მწერლური ინტუიციით ცდილობს ახსნას მათი შემოქმედებითი საიდუმლოება, ახერხებს ამ საიდუმლოსთან ზიარებას და სიტყვაში გაცხადებას; აკ. თოფურია ცალკეული მწერლის შემოქმედებიდან ყოველთვის მკაფიოდ გამოჰყოფს უმთავრესსა და ინდივიდუალურს. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს 1970 წელს დაწერილი სტატია „იოსებ ნონეშვილის ლირიკის ზოგადი ასპექტები", რომელიც ქართულ საბჭოთა ლიტერატურულ კრიტიკაში აწ გარდაცვლილი პოეტის ლირსეული დაფასების ერთი საუკეთესო ნიმუშთაგანია.

საოცარი სითბო ახლავს იმ სტრიქონებს, რომელნიც გრიგოლ აბაშიძის ტრილოგიის ბოლო რომანის გამო აქვს დაწერილი ავტორს. აკაკი თოფურია ცოტნეს მაგალითზე შეგნებულად გამოჰკვეთს ზნეობრივი გმირის პრობლემას, რადგან „წარსულის შთამაგონებელი მაგალითების გამონათებას ისეთივე მნიშვნელობა აქვს ეროვნული მთლიანობისა და ზნეობრივი სიჯანსაღის განმტკიცებისათვის დღესაც, როგორც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ჰქონდა „დიმიტრი თავდადებულის", „ბაში-აჩუკისა" და „ბახტრიონის" გმირებს" (გვ. 237).

წიგნში, მართალია, გვხვდება ზოგიერთი უზუსტობა და კორექტურული შეცდომა (უნდა იყოს „ბედა მქადაგებელი" და არა „ბუდა მქადაგებელი". გვ. 13). მაგრამ მათ არა აქვთ რაიმე პრინციპული მნიშვნელობა და ოდნავადაც არ ანელებენ წიგნის კითხვისგან მიღებულ საერთო ღრმა შთაბეჭდილებას.

ნოდარ გრიგალაშვილი

# ნაშრომი ზღვაოსნობის შესახებ ძველ საქართველოში

ქართველთა წინაპრები ოდითგანვე მოსახლეობდნენ ზღვის პირას. ჩვენი წარსულის მრავალი მხარე განუყრელადაა დაკავშირებული მასთან. ზღვასთან იყო დაკავშირებული სამეურნეო, სავაჭრო ინტერესები, პოლიტიკური ურთიერთობები, კულტურულ ქვეყნებთან მიმოსვლა და სხვადასხვა მიღწევებით ურთიერთგამდიდრება.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ზღვაოსნობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მიუხედავად, დღემდე არ გაგვაჩნდა საგანგებო ნაშრომი, რომელიც წარმოდგენას შეგვიქმნიდა ქართულ ზღვაოსნობაზე, მის შორეულ ფესვებსა და ტრადიციებზე.

ახლახან გამომცემლობა „ნაკადულმა" დაბეჭდა მკვლევარ თამაზ ბერაძის წიგნი „ზღვაოსნობა ძველ საქართველოში" (თბილისი, 1981 წ., 186 გვ.), რომელიც არსებული ხარვეზის ამოვსების უაღრესად წარმატებულ ცდად უნდა მივიჩნიოთ.

წიგნის ავტორმა, მრავალწლიანი შრომის შედეგად, წარმოადგინა ძველი საქართველოს ზღვაოსნობის შესაძლებლად სრული სურათი. განსაკუთრებით მისასალმებელია, რომ ნაშრომი დაწერილია ფართო მკითხველისათვის, პოპულარული ენით, უაღრესად მიმზიდველად, რაც სრულებითაც არ აყენებს ზიანს მის მეცნიერულ მხარეს, სათანადო არგუმენტაციას.

გადაჭარბებული არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ მეცნიერული კვლევის ამგვარი შერწყმა თხრობის პოპულარულ მანერასთან, უეჭველად მისაბაძი და სასიამოვნოა. სპეციალისტები ზოგჯერ თავს არიდებენ პოპულარული ენით წერას და უაღრესად მნიშვნელოვანი საქმე, არცთუ ისე იშვიათად, შემთხვევითი პირების ამარაა მიტოვებული, რომელთაც საკმაო სპეციალური ცოდნა არ გააჩნიათ.

თ. ბერაძის „ზღვაოსნობა ძველ საქართველოში", პირველი ნაშრომია, სადაც წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მაქსიმალური გათვალისწინებით, ავტორის ჩაღრმავებული კვლევა-ძიების საფუძველზე, წარმოდგენილია ძველი ქართული სანაოსნო ტერმინოლოგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვაოსნობის ეტაპები და სათანადო ტრანსპორტის სახეობანი, რეწვა შავ ზღვაზე, ნაოსნობა დასავლეთ საქართველოს მდინარეებზე, საქართველოს საზღვაო საზღვრები შუა საუკუნეებში, ურთიერთობა უცხო ქვეყნებთან საზღვაო გზის მეშვეობით.

წიგნში განხილულ საკითხთა უბრალო ჩამოთვლაც კი, ნათლად გვიჩვენებს, საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის რამდენი სხვადასხვა, მეცნიერული თუ შემეცნებითი თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო პრობლემაა მასში აღძრული, შესწავლილი და გადაწყვეტილი.

ავტორს ფართოდ აქვს გამოყენებული წერილობით წყაროებში გაბნეული ცნობები, ნამცეცნამცეც აქვს ისინი შეგროვილი და შესწავლილი. ნაშრომში უაღრესად სასარგებლოდაა გამოყენებული ეთნოგრაფიული მასალა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წიგნში გამოყენებული მასალის გარკვეული ნაწილი თვით ავტორის მიერაა მოპოვებული ადგილზე ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად.

ქართული ზღვაოსნობის წარმატებით შესწავლა და წარმოჩენა, ავტორისაგან მოითხოვდა ნაოსნობის ტექნიკისა და სანაოსნო ტერმინოლოგიის ღრმა ცოდნას, სხვა ზღვაოსან ხალხთა სათანადო მონაცემების შესწავლასა და გათვალისწინებას, აგრეთვე შავი ზღვის აუზის სახელმწიფოთა პოლიტიკური თუ სავაჭრო-ეკონომიკური ისტორიის მაქსიმალურ გათვალისწინებას, მათი განვითარების სულ სხვადასხვა პერიოდებში. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს შრომატევადი სამუშაო შესაძლებელი სისრულითაა ჩატარებული. ამასთან, მიღებული ინფორმაცია არ ტვირთავს მკითხველს.

უნდა აღინიშნოს, რომ სარეცენზიო ნაშრომი საინტერესოა ჩვენი დღევანდელი საზოგადოების პრაქტიკული საქმიანობის ზოგიერთი მხარის თვალსაზრისითაც. ნაშრომში, სათანადო მასალის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ თითქმის XIX საუკუნის შუახანებამდე, დასავლეთ საქართველოს ზღვასთან დაკავშირებული მდინარეების დიდი ნაწილი სანაოსნო იყო დიდი გემებისთვისაც. ტყეების გაჩეხვამ ამ მხრივ სავალალო შედეგები გამოიღო. ვფიქრობთ, ეს მასალა გარკვეული მაგალითის მომცემი უნდა იყოს ყველასათვის, ვისაც საქართველოს ბუნების დაცვა-შენარჩუნების საკითხი აწუხებს.

პირველი საგანგებო ნაშრომი ძველი საქართველოს ზღვაოსნობის შესახებ, ბუნებრივია, არაა დაზღვეული ცალკეული ხარვეზებისაგან. ძნელია, მაგალითად გავიზიაროთ, ლევან II დადიანის ზღვაზე „მეკობრეობის" შესახებ თვალსაზრისი (გვ. 88). შეიძლება მეტი თქმულიყო „ნავტობის" შესახებ და სხვ. უმნიშვნელო ხარვეზები აქა-იქ სხვაც შეიმჩნევა, მაგრამ ეს ვერ შეცვლის საერთო შთაბეჭდილებას წიგნის შესახებ. მეცნიერულმა წრეებმა და ფართო მკითხველმა მიიღეს ორიგინალური, მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე დაფუძნებული, ნიჭიერად დაწერილი პირველი ნაშრომი ძველი საქართველოს ზღვაოსნობის შესახებ. სასურველია ამ ნაშრომს რუსულენოვანი მკითხველიც გაეცნოს.

უნდა აღინიშნოს, რომ სარეცენზიო ნაშრომის ავტორს დასაბეჭდად გამზადებული აქვს ქართული სანაოსნო ტერმინოლოგიის ლექსიკონი. ეს ლექსიკონი უაღრესად შრომატევადი სამუშაოს შედეგია, მასში თავმოყრილია ყველა სათანადო მასალა, რომლის უდიდესი ნაწილი აქამდე სრულებით უცნობი იყო. ვფიქრობთ, ამ ლექსიკონის დასტამბვა აუცილებელი საქმეა.

ილია ანთელავა

# „შეხვედრები ესენინთან"

საქართველო ძველთაგანვე ცნობილი და ძალზე პოპულარული თემა იყო რუსულ პოეზიაში. ამ ტრადიციას ჯერ კიდევ პუშკინმა და ლერმონტოვმა ჩაუყარეს საფუძველი და ქართულ თემას უძღვნეს შესანიშნავი და მარად დაუვიწყარი ქმნილებანი. როგორც მთელ თავიანთ შემოქმედებაში, ისე კავკასიის ხალხთა ცხოვრების თემაზე დაწერილ ნაწარმოებებში რუსული პოეზიის ბუმბერაზები ანვითარებდნენ მოწინავე იდეებს, ჰიმნს უმღეროდნენ კავკასიის ხალხების ბრძოლას თავისუფლებისათვის.

პუშკინისა და ლერმონტოვის ამ შესანიშნავ ტრადიციას აგრძელებდნენ ლევ ტოლსტოი, მაქსიმ გორკი, ვლადიმერ მაიაკოვსკი, სერგეი ესენინი, ნიკოლოზ ტიხონოვი, ბორის პასტერნაკი, ნიკოლოზ ზაბოლოცკი, პ. ანტოკოლსკი და ახლანდელი პოეტების მთელი თაობა, რომელიც გულწრფელი სიყვარულით უმღერის საქართველოს, მის ხალხსა და ბუნებას.

ნიკოლოზ ვერჟბიცკის მოგონებები ესენინზე ნათლად წარმოგვიდგენს დიდი პოეტის ბუნებრივ ხასიათს, თვისებებს, თავისებურებებს. აქ ჩვენ ნამდვილ ესენინს ვხედავთ, რომელიც შეჰხარის საქართველოს, ქართველ პოეტებს, რომლებიც მისი განუყრელი მეგობრები იყვნენ. საქართველომ ესენინი, როგორც საკუთარი შვილი, ისე მიიღო. ამ რამდენიმე წლის წინ ამ თემაზე ფრიად საინტერესო მოგონება გამოაქვეყნა ტიციან ტაბიძის მეუღლემ, აწ განსვენებულმა ნინო ტაბიძემ, რომელმაც ცოცხლად

ეროვნული

დაგვიხატა ესენინის სახე. მოგონებები ესენინთან შეხვედრებზე არა ერთ ქართველ მწერალსა და მკვლევარს აქვს დაწერილი; მათ შორის აღსანიშნავია გერონტი ქიქოძის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, ლევან ასათიანის მოგონებანი და გახსენებანი. მთელი ეს მასალა მდიდარ წარმოდგენას გვიქმნის დიდი პოეტის შემოქმედებაზე და ცხოვრებაზე; მოგონებათა ამავე ციკლში უთუოდ ყურადღების ღირსია ნ. ვერჟბიცკის „შეხვედრები ესენინთან“, ეს მოგონებები, თარგმნილი ლამზირა ჩხეიძის მიერ, გამოირჩევა თავისი მრავალფეროვნებით, დამახასიათებელი და მრავლისმეტყველი დეტალების სიუხვით, და ეს ასეც იყო მოსალოდნელი დაკვირვებული და გამოცდილი ჟურნალისტისაგან.

ნ. ვერჟბიცკი ესენინს გაეცნო 1921 წელს გაზაფხულზე. იგი ასე აგვიწერს თავის პირველ შეხვედრას პოეტთან:

„ერთ მზიან დილას, მივდივარ ტვერის ბულვარზე და ვხედავ — მერხზე არხეინად გადაწოლილა ვიღაც ყმაწვილი კაცი და ბეღურებს თეთრი პურის დიდ ნაჭრებს უფშვნის. განცვიფრებული შევდექი. იმ ხანად (ეს ჯერ კიდევ ნეპ-ამდე გახლდათ) მოსკოვში ყოველი პურის ნაჭერი სათვალავში იყო, ყველანი მცირე ულუფაზე გადადიოდნენ. „მომიტევეთ ასეთი სითამამე, — მივმართე ყმაწვილ კაცს, — მაგრამ განა, ეგ მეტად დიდებული მასპინძლობა არ არის ამ უქნარებისათვის?!

— არაფერია, — მიპასუხა, — მე რაღაცრაღაცეებს მიგზავნიან სოფლიდან... აჰა, თქვენც ინებეთ! — მან ჯიბიდან ამოიღო პურის მეორე ნაჭერი და მომაწოდა. ასეთი ხელგაშლილი და ძალდაუტანებელი პურადობა მესიამოვნა, მერხზე ჩამოვჯექი და შემდეგი საუბრიდან შევიტყვე, რომ ვესაუბრებოდი პოეტ სერგეი ესენინს, რომლის სახელიც უკვე დიდი ხანია მსმენოდა“.

უნებურად გახსენდებათ პოეტის უშუალობა და მისი წრფელი სიყვარული მთელი ბუნებისადმი, „ჩვენი უმცროსი ძმებისადმი“ (ასე უწოდებდა იგი ფრინველებსა და ცხოველებს თავის შესანიშნავ ლექსში).

ვერჟბიცკის წიგნში დაწვრილებით არის აღწერილი გარემო, სადაც ცხოვრება და მოღვაწეობა უხდებოდა პოეტს, ადამიანები, ვისთანაც მას ურთიერთობა ჰქონდა რუსეთში და საქართველოში.

ძალზე საინტერესოა ესენინისა და მაიაკოვსკის შეხვედრა თბილისში. მათი მეგობრული საუბრება: მათ თურმე „გაიხსენეს [illegible] რეთი, სადაც ორივემ იმოგზაურეს ცოტა ხნის წინ. რატომღაც საზღვარგარეთულ რეკლამაზე ჩამოვარდა ლაპარაკი. მაიაკოვსკი გულდაწყვეტილი გამოტყდა, რომ საუცხოვო რეკლამით ბერლინში ნაყიდი სათთახო შხაპი მოშლილი აღმოჩნდა.

ესენინი უსმენდა, თანაგრძნობით აქნევდა თავს, ბოლოს უთხრა: „გამიგონეთ ვლადიმერ ვლადიმიროვიჩ, განა ღირს ამაზე გულის ხეთქვა? საამო ბანაობა გსურთ? ჩვენ ხომ იმ ქალაქში ვიმყოფებით, რომელიც, როგორც მსმენია, საქვეყნოდ არის განთქმული თავისი გოგირდის აბანოებით! მიაფურთხე მაგ პატენტირებულ შხაპს და ჰაიდა აბანოსაკენ!“ ამის გაგონებაზე მაიაკოვსკი სახტად დარჩა, მოცელილივით ჩავარდა სავარძელში და მოგონილი სასოწარკვეთილებით წარმოსთქვა, რომ მკვდარია, განადგურებულია, სამუდამოდ მოეჭრა თავი! „რანაირად დამემართა მე, ქართველს, რომ დამავიწყდა ასეთი, ცხადზე უცხადესი რამ?! — ყვიროდა ის, — რა თქმა უნდა, ახლავე, ამ წუთს ეტლში ჩავსხდეთ და ორბელიანისაკენ (გოგირდის აბანოსაკენ) გავწიოთო!“.

ნ. ვერჟბიცკი თავისი კრებულის მომდევნო თავში, რომელსაც „პირველი გამოსვლა“ ეწოდება, ვრცლად მოუთხრობს მკითხველს ესენინის მრავალგზის შეხვედრებზე თბილისელ მუშებთან, მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობასთან; ესენინს საკუთარი ძმებივით როგორ ეგებებოდნენ და უმასპინძლდებოდნენ პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, მოუთხრობდნენ საქართველოს დიდებულ წარსულსა და აწმყოზე და ესენინიც აღტაცებული უსმენდა მათ.

ამ მცირე შენიშვნებში ძნელია აღვნიშნოთ ყველა საგულისხმო ეპიზოდი; საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ეს მოგონებები ნათელ წარმოდგენას გვაძლევს დიდ რუს პოეტზე და მის უსაზღვრო სიყვარულზე საქართველოსადმი; მოგონებები იკითხება, როგორც კარგი მხატვრული ნაწარმოები; განსაკუთრებით აღსანიშნავია კრებულის შემდეგი თავები — „ახალი ნაცნობობა“, „კოჯრის ქუჩა“, „ვ. ი. ბრიუსოვზე“, „ჩემი უბის წიგნაკიდან“, „მუშაობის დროს“, „მარცხიანი გამოსვლა“, „ალმაფრენა“ და სხვ. ამ წიგნის გამოცემით „ნაკადულმა“ ფრიად კარგი საქმე გააკეთა.

ა. არომიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76128

# „МНАТОБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ